

1965.



მეტეოროლოგია

93
—
114

1965

7

გნათობი



სოციალისტური ლიტერატურულ-მხატვრული
და სასოფლისმშენებელი-კომუნისტური შუროსის

წელიწადი 42-ე

№ 7

ივლისი, 1965 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

9747
216

ოთარ ჩხეიძე — კერნაქი, რომანი, დასასრული	3
ხუტა ბერულავა — ლექსები	30
აუნდ თარბა — ლექსები, თარგმანი კარლო კალაძისა	33
ოტია იოსელიანი — მოთხრობები	34
ტაგუ მებურიშვილი — წლების გადაღმა, ლექსი	53
ამერიკელი პოეტები — ლექსები, თარგმანი ინგლისურიდან ზვიად გამსახურ- დიასი	54
ენა-პოლ სარტრი — სიტყვები, გაგრძელება, თარგმანი ფრანგულიდან კოტე ჭავჭა- შვილის და გასტონ ბუაჩიძისა	63

პრიტიკა

კობა იმედაშვილი — რეალიზმი და პეროიკა	96
---	----

მეცნიერება

ი. ბერიტაშვილი — რეფლექსურ მოძრაობათა ევოლუციურიდან ქცევის ფსიქონერგულ ინტეგრაციამდე	113
---	-----

შაბათი, მოგონებანი

მიხეილ კვებელავა — ათასი ფუთი ბრალდება, გაგრძელება	126
--	-----

წარსულიდან

ფ. ტოლტის-ჭინჭაშვილი — ანთიმოზ ივერიელი — რუმინეთის პატრიოტი, მწერალი- პუბლიცისტი	170
აღ. შინდაძე — „ივერიის“ ფურცლებზე	180

წიგნების მიმოხილვა

ალექო ხანადირაძე — სიცოცხლისა და სიყვარულის პოეზია	186
ილია შაინურაძე — ჭარბული მეტალურგიის სიაჯეგებთან	188
გიორგი დოლიძე — „პაიფათას“ ახალი თარგმანი	189
დ. ქუშიშვილი — სამამულო ომის გამოცხილი	191

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ე ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე, ბ. ძღენტი, ა. სულაქაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 68. ტელეფონი 7-18-42; 7-11-66.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 15/VII-65 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა
7¼×12½ ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უე 03354. ტირაჟი 6500. შეკვეთა № 1881.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

მთარ ჩხიძე

კ ვ მ რ ნ ა ქ ი

დაბრუნდნენ ისე, საუბარი აღარ გაგ-
რძელებულა, დაემშვიდობნენ ისე, მე-
რე შეხვედრაზე აღარაფერი თქმულა.
მაინც შეხვედნენ მეორედ, მესამედ, მე-
რამდენიმე. ქეთევანმა მოაბა თავი ამ
შეხვედრებსა, აღარც მარტო სტოვებდა,
საუბარსაც აღარ ანებებდა, ჩაუდგებო-
და შუაში და სილამაზისა თუ სიყვარუ-
ლის ამბებსა ჰყვებოდა, იმათაც ამაზე
ალაპარაკებდა, სადაოდ თუ საკამათოდ
არ მოუშვებდა. გურანდას აქებდა, სან-
დროსი ყველაფერი მოსწონდა, ყველა-
ფერი, თავდაპირა, სიტყვა-პასუხი, სი-
არული, თვალ-წარბი, ასე განსაჯე
ცხვირიც მოსწონდა, წერილებით ზომ
გადარევას მისულიყო; ჰო მოსწონდა
და აწონებდა გურანდას. მეგობარს უწო-
დებდა, ალტაცებულყო ამ მეგობრობი-
თა, ჩემი საქმროც დაბრუნდება და
ჩვენს მეგობრობას ყველა დანატრებსო.
ოღონდით მტკიცე საბელო უნდა მეგობ-
რობასო: ჩემი საქმრო რომ დაბრუნდე-
ბა, ჩვენს ბედს გადაეწყვეტო, თქვენიც
უნდა გადაწყვიტოთ თქვენი ბედით. ჰა,
ჰა, ჰა, ჰაო... ჰა, ჰა, ჰა, ჰაო... ჰა, ჰა, ჰა,
ჰაო... და მორთავდნენ ისეთ სიცილსა,
თითქოს არკვიოვ იმ.თ მეტა არავინ
არისო. ხან მართლაც არავინ იყო,
ვთქვათ, ისეც ციხეზე თუ ავიდოდნენ;
ხან ბევრიც იყო, ვთქვათ, ცხედარს თუ
მიაცილებდნენ ან კინოსეანს თუ ელო-
დებოდნენ, სულერთია, თვითონ ცალკე
იყვნენ, მეგობრობაც მეტა აღარ ყოფი-
ლა, სხვებს არც უნდა ამჩნევდნენო.
საბელიც თუ ნდომია, სანდროც ჩაეკიდა
თავში იმ საბელსა: ახ, რა ყოფაში ვარ!..

ახ, თავისუფალი რატომ არა ვარ!.. გან-
საქორწინებელს ვინ დამთანხმდებო...
დაგთანხმდებო და ქეთევანმა საბელის
ბოლო გურანდას მიაჩეჩა ხელში.

XX

დასთქვეს: შაბათს საღამოს გურან-
დას მამიდა, — მამიდასთან ცხოვრობ-
და გურანდა, — პატარა ვახშამს მოამ-
ზადებდა. ქეთევანი იქ იქნებოდა, სან-
დრო მოვიდოდა თავისი მეგობრებით.
ივანშემებდნენ, ილხენდნენ, წავიდოდ-
ნენ და წაიყვანდნენ დედოფალს. ქეთე-
ვანი შინამდისაც მიჰყვებოდა, ახალ
სადგურს დაულოცავდა, ბედნიერებას
უსურვებდა და გამოეთხოვებოდა მე-
გობარს: თუმცა გამოტეხილად რომ
ითქვას, დათქმით ვახშამი და მეგობრე-
ბით სანდროს წვევა დათქმულიყო, და-
ნარჩენი იგულსხმებდა ან ქეთევანის
ვარაუდი გახლდათ. რაც უნდა ყოფი-
ლიყო, ქორწილს უდრიდა ის პატარა
ვახშამი, პატარაში დიდის ამბავი უნდა
ამოსულიყო. ქეთევანის როლიც მოთა-
ვებულიყო და შინამდისაც მიჰყვებოდა
თუ არა, მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.
ერთისიტყვით დადგა საღამო შაბათისა
და ისინი ელოდნენ.

ამანაც გაიგდო კარი და იქვე შეჩე-
რდა. ქუჩაში იდგა და ჭერაც არ იცო-
და, ვინ წაეყვანა: ორსა თუ სამზე ლა-
პარაკი ზომ ზედმეტი იყო. ერთი მეგო-
ბარიც არა ჰყავდა და იმაზე ფიქრობ-
და, თუ ვისთვის დაერქმია მეგობარი.
ისე ჰადრავს მეგობარს თუ მიადგე-
ბოდა, არა ჰყავდა სხვა ავან-ჩაევანი.
თადარიგი დილასვე დაიჭირა, მიესალ-
მა, იმანაც არ დააყოვნა საღამო; სამ-

წუხაროა, ასე რომ დავცილდით ერთ-მანეთისაო, უთხრა. იმანაც გამოსთქვა სინანული. გამოშიარეო, სთხოვა. შენ გამოშიარეო, არ დაიყოვნა იმანაც. პოდა გაუვლიდა, წაიყვანდა, ახალი ძალით იფუთქებდა იმათი მეგობრობა. მესამე ქორწინებას დაემოწმებოდა, ეგება მტკიცედ დამოწმებოდა, საუკუნოდ შეესყვნა იმათი კავშირი. თუმცა აღარც ენადვლებოდა, თუნდა საუკუნო გამომდგარიყო, თუნდაც ხვალვე გაწყვეტილიყო, მერე რაო, ზეგ სხვა ჩავარდებოდა იმავე მახეში, კიდევაც იყვნენ გულუბრყვილო ქალიშვილები ან ოჯახს, ქმარშვილს დანატრებულნი; კიდევაც იყვნენ და კიდევაც მიეტანებოდნენ. ისიც მიჰყოფდა ხელს, რაც უფრო მეტი, მით უკეთესიო. მეგობარიც მეტი ერჩივნა, საფიქრალი აღარ ექნებოდა, ხელს წამოჰკრავდა, ვაიყოლებდა, რომელიც სურდა, რომელიც ერჩია. თითო იქნებოდა მოწმე თითო შემთხვევასა, მესაიდუმლოდ ვერავინ გაუხდებოდა, ვერც მესაიდუმლოდ, ვერც შეთქმულად. ქადრაკის მეგობარი შეთქმულს დაემგვანა, ბოლო დროს გაურჩებულ შეთქმულს. მაგრამ ეტყობა, ლალისთვის ასე დიდხანსაც აღარ გამოიდებს თავს, აქაც გაჰყვება, აქაც უერთგულებს. მერეც უერთგულებს, ოღონდ თანდათან საშიშად იქცევა ამდენი რამის მცოდნე შეთქმული, სხვა ამიტომაც ურჩიენია, მაგრამ სად არის სხვა იგი, ვის წაატანოს ხელი, ვინმე შინაც გამოჩნდებოდეს, ვინმე ვთქვათ, სამსახურის ამხანაგი, თუნდაც სათევზაოდ ვაცნობილი ან მეზობელი რომელიმე, გამოჩნდებოდეს, გამოვიდოდეს, ვითომ შემთხვევით აიყოლოებს, ხოლო შემთხვევითობა ბევრჯერ გამხდარა საფუძვლად დიდი მეგობრობისაო. მაგრამ არავინა ჩანს ნაცნობთაგანი, არცა უცნობი, ქუჩა დაცლილა, თანაც შინაგანი ხმა ამოსძახის: ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო.

ნაბიჯს ჩამოსდგამს, შედრკება მყისვე, ყავისფერი ტაქსი ჩაუქროლებს.

მალე შეჩერდება ტაქსი, უკან-უკან წამოვა, გზას გადაუჭრის.

— ჰელოო!.. — მოესმის მანქანისგან გამოწვევითი ხელი სახეს უფარავს, ვერ მიმხვდარა, ვინ ესალმება, თუმცა ხმა ეცნაურება, ეცნაურება ხელიც. ესეც არ იყოს, რაღაცა რომ დაჰკრავს თავში, ფეხებამდის ზრილით ჩაუვლის. — ჰელოო!.. — მოისმის განმეორებით, ხელიც ჩაიკეცება და გადმოერთება თვალები დიანასი, — ველარ მიციანთო?

— რა ბრძანებაა!.. — ლულულღებს სანდრო და მანქანასთან მიდის მუხლმორღვეული.

— საკვირველიც არ არის... რამდენი ხანია!.. — თვალებს ნაბაჟს, მიიჩინდება დიანა, დრძელი, ხშირი, კრიალა წამწამები დაწვებამდის ჩამოეფინება. ოცნებისა და სიწმინდის ნათელი მოვლებია, მუხლისმოყრა მოუნდება ვაჟკაცს. — ო, რამდენი ხანია!..

— დიდხანსა... — დაატანს სანდრო, სარკმელს ჩაეჭიდება, მუხლს იმაგრებს თუ ვინ იცის, წასვლა არ იფიქროს, თორემ სულერთია, ვერ წამივა, შევაჩერებ მანქანასაო.

— მეგობართან მივიდიოდი, დაგინახეთ და შევეჩერდი... — თავს არხევის, სხივი დასცივლივებს, მოშხიბლავი სხივი.

— კარგად მოქცეულხართ, მობრძანდით!.. — სახელურს მისწვდება სანდრო.

საუაროდ მოიმართება ბაგე დიანასი, ხელიც ჩაეჭიდება კარს, არ გააღოსო, მაგრამ ის სხივი უცებ ირიბად გაეკანძება თვალებში, ირიბად, ცბიერად, მომჯადოებლად, გაეკანძება, გადაუვლის, სისპეტაკედ გადავა შებლზე.

— ძალიან თუ მთხოვთ...

— ძალიანი!.. ძალიანი!..

— კეთილგონიერი თუ იქნებით...

— კეთილგონიერზე კეთილგონიერი!..

კვლავ ჯადო ღიმლის შეაფრქვევს დიანა, გადმოდის და გადმოაქვს დიდი სამგზავრო ჩანთა. სანდრო მიეშველე-

ბა, რათქმუნდა, ოღონდ ჯერ ტაქსის ანგარიშს ასწორებს, გაისტუმრებს, მერე მიეშველება, კარს შეაღებს, შედიან. ის ჩერდება, შემოფიცივ, რომ კეთილგონიერი იქნებო. აკი ვითხარით, ვიქნებო. შემოფიცივთ. იფიცავს: ფიცავო... ოღონდ რა დაიფიცოს არ იცის, საფიცარი არ გააჩნია, — არც შვილი, არც ცოლი, არცა დედა, არცა ღმერთი, თურმე წმინდა არაფერი მოეპოვება. ამას ხომ არა გულისხმობდა ის უცნაური თამადა: ოცდათექვსმეტს ისე გადასცილებია, ვერაფერი მოუპოვებია... ეს მშვენიერი სახლი, ეს მოწყობილი ოთახები, ბევრი არაფერი ყოფილა, საფიცარში ვერ გავიდოდა, წმინდად არც ითქმის, რა არის საფიცარიო. თავს აიღებს და დაიღებს, ტყუპნის ერთ ადგილს, უნდა გაიციონოს, სახე ეღრიცება უცნაურად, უამურად, შეკრთება დიანა, ეღრიცება ისე უამურად და უცებ შესაძებს აღმოჩენის სიხარულითა. ფიცავს სამშობლოსო. ის ლამის გაიჭაპოს სიცილით, საუკუნეში ერთხელ თუ გაახსენდებათ სამშობლო. მებნამც დასცემია ეგრეთ შვილებსაო.

მანც ენდობა ფიცსა, ან არც ენდობა, ყოველშემთხვევაში შესდევს დარბაზში, მაშინვე როიალს ეცემა, სასიხარულოს უკრავს, ეღერს სიციოცხლის სიყვარულითა, კლავიშები ეღერს, აეღერებულა თვითონაც, სიხარულად გადაქეულა. მაშინ სხვა იყო, სხვანაირი, სევდიანი და მომხიბლავი, ახლა სხვა არის, სხვანაირი, აღტაცებული და მომხიბლავი. ეტყობა, ყველაფერი უხდება, ყოველ განწყობილებასას ინარჩუნებს სილამაზეს, ან ურღვევია სილამაზე, უმტკიცესი, შეურყეველი. უკრავს და უხდება. შესწყვეტს დაკვრას უცბათ, ბოლომდის არ მიატანს. ესეც უხდება. რადიოლა მოხედება თვალში, იქით წაირბენს, ფირფიტებს წამოჭყრის, არჩევს, არჩევს მოჩქარებით, კიდევ უფრო მოჩქარებით, მოსწრაფებით. ბოლოს ბუზღუნსაც ააყოლებს. კიდევაც იტყვის, — ცეკვები არა გქონიათ, მოგიტანთ... — ფირფიტებს ხე-

ლსა ჰკრავს იმედგაცრუებელი. რომელიც ძირს დაეცემა, დასწყვეტს, დაიღიმებს, მაინცდამაინც მოწონებით არ გაიღიმებს, მაინც არა უჭირს რა, არა-რაობაში არა უჭირს რაო. ჩასდებს, მომართავს, ხელს გაუწვდის, ვიცეკვოთო. სანდრო მისდევს, მისდევს, მაგრამ ვერ ასდევს. ვერც აპყვება, კარგად ვერ გაწაფულა საცეკვაოდ, რომ გაწაფულიყო, ეგება მანც ვერ აპყვეს, ის სისხარტად, სისწრაფეა, ალია ავარდნილი, ატაცებული, რხეული მომხიბლავად, შმაგად, წარმტაცად, მეტყველად; პომეტყველად, პირველი სიტყვაც რხევა ყოფილა, რიტმი ყოფილა, პირველი გამჟღავნება, პირველი ძახილი, პირველი და მარადიული ფეთქვა ვენებისა. ენის ამოდგმა რიტმს მოჰყოლია, სიტყვაც იმისია. თვით სიტყვა ყოფილა სახიერი, მელერი. უმძაფრესი, რადგან ეროსი ყოფილა შიგ ჩაბუღებული. ერიქსიმახოსსაც ასე უთქვამს რიტმში ეროსი ჩაბუღებულიაო. რიტმშიო და პარამონიაშიო. ერიქსიმახოსს დამოწმებაც არ უნდოდა, ისე მეტყველებდა, ენაც არ უნდოდა, თვალებიც არა, მეტყველებდა ყოველი ნაკეთი. სანდროც დასდევდა, დაჰყვებოდა სათრეველასაც, ნალოსავით. დაქანებდა, ათამაშებდა, დაიქნევდა, თითქოს იატაკს უნდა დააწყვიტოსო. ხელთ ებყრა და ათამაშებდა, ათამაშებდა თითქოს მოდონდლოებულს, მოშლილს, მოფუტკნულს, ოღონდ იმ თითქოს გარეგნულ მოშლილობასა თუ მოდუნებაშიც ფეთქდა რიტმი, თავისებურად ფეთქდა. კუნძებივით ათრეულ ფეხებსაც აფრიალებდა რიტმი, ანუ ეროსი აფრიალებდა, აფრიალებდა მთელს სხეულს, ისე აფრიალებდა, არ გამოითქმოდა პარმონიული რხევით, უეცრად უნდა მომსკდარიყო, მოვარდნილიყო და კიდევაც მოვარდებოდა ანუ მივარდებოდა. მანამდის ის დააწერებს, შეჩერდება, თვალს გაუყრის, ტუჩებს გაბუზსხავს და თითს დაუქნევს, — ციკ! კეთილგონიერება რომ აღმოთქვი, იყავი ერთგული შენი აღთქმისაო.

ტუჩები მოეშლება სანდროს, ვითომ ილიმის, თვალბსაც აცეცებს, ღიმილი-სად როდი, ჩამოსაჯდომი უნდა, დაეძებს ჩამოსაჯდომს, დაეძებს და ვერა პოულობს, თუმცა ორი-სამი დღეანი ვგას, რამდენიმე სავარძელიც, სკამიც რამდენიმე, ვერა პოულობს, ვერც იპოვნის, ისე დასცეცებია თვალები. ფანჯრის რაფას მაინც მიაგნებს, მივა, მიეყუდება; მიეყუდება და მაინც ნახტომისათვის ემზადება. აღთქმა ავიწყდება, მალ-მალე ავიწყდება. საჩვენებელი თითიც მალმალ შეიშრატება, — ციცი! არ დაავიწყდესო. რა დაავიწყებს, ყოველ წამში თუ მოაგონებენ, ან რა მოგონება უნდა, ან რა ბედენაა, რისი მაქნისია ფიცი, საფიცარი თუ არ გაანია. თუმცა ასეთ დროს საფიცარიც ვერ დააბრკოლებს, აქ ლალატი გარღვევლიყო. მაგრამ მანადის ის კონიაკს მოითხოვს, თან სიცილსაც აადვენებს, ალბათ ახალა გავარდები მლაზიებშიო. მხოლოდ იცოდე, ვერსად იშოვნი, რამდენიმე თვეა კონიაკი აღარ გაჰქაჩებულა ჩვენს ქალაქში, თბილისიდან თუ ჩამოიტანენო, — თბილისს წახვალთ? იტყვის ისე, შეჭხედავს ისე, უთუოდ წავაო. ოღონდ წასვლა არ მოუხდება, იმას რომ დაეძებდა. კონიაკიც მოემარაგებინა. განჯინას გაჰკრა ხელი, გადმოიღო „თბილისი, საიუბილეო, 1500 წელი“. ვითომ თბილისს წასულხარო, აქეზებს და თვითონვე არჩევს ჭიქებს. მძიმე, სქელი, ძირგანიერი ზროლის ჭიქები გადმოაქვს, ხელი უბყრია ორივე ჭიქა, ელოდება, როდის გახსნისო. თითქოს უჭირს გახსნა, თითქოს აგვიანებს, მიეშველოს თუ? არა, მოუხერხდება, მოაძრობს საცობს, ჩამოსახმს და ის უნებურად შეჭრის ნესტოებს, სუნი ეცემა, ეცემა გეში, ისუნთქავს, იყნოსავს ღრმად, მერე ჭიქას გაუწვდის, თავს ჭიქიანად სავარძელს მიეჭევა, ჩამოჯდება, წავა ისედაც მოკლე კაბა, წავა მოურიღლად, ის ჭიქას ჩაჰყურებს, მოსვამს და ჩაჰყურებს, თითქოს ოცნებობს და ჩაჰყურებს, ოცნებობს, ფიქრობს, სადღაც

წასულა, თითქოს აღარც ახსოვს, სად არის თუ ვისთან არის, ვინ შესცქერის თუ შესცქნავის, ლამის ვეღარც ვიხსენებთ თვალბებით. თითქოს აღარ ახსოვსო, მაგრამ არა, ახსოვს, თვალბს ჩაუყუყუნებს და თითს დაუქნევს, — ციცი! დაიშალეო. იმას აღარც „ციცი“ ესმის, ვეღარც თითსა ხედავს, ლამაზად დაქნეულ თითს, აღარც აღარაფერს ერიდება, მხოლოდ ერთი მოსმით გამოცლის თავის ჭიქას, მეორედ გამოცლის, მესამედაც გამოცლის, ხელისუბრგს გადაისვამს ტუჩებზე და შეჭკრავს კამარას, ვეფხვის კამარას. ასხლტება შველი, ზე ავარდება სავარძელზედ, ჭიქა ჩაუვარდება ან განგებ ჩააგდებს, ნამსხვრევებდა აქცევს იმის ფეხებთან. შედრკება, ერთი წამით შედრკება, ნამსხვრევებს ვახედავს და კვლავ მიეტანება, კამარა აღარა სჭირდება, ხელის გაწვდენაღა ეყოფა, მომუჭვა უნდა, მუჭში მოეჭევა და წავა, ჩაყურდება, ჩაქერება სულში. „ჭიქა!.. ჭიქა!..“ — ის ჰკივის და ამისი გაწვდილი ხელები ასავსადება, თვალბები ნამსხვრევებს მიეჭევა, აზრიც წაუვა ნამსხვრევებისკენ, ისევ ერთი წამით ან წამზე მცირე მონაკვეთით, მაგრამ საკმარისია, ის აქ აღარ არის, შუა დარბაზში დვას წარშეკრული, განჯისხეული, — „რას სახელით?!“ — იძახის მწარედ და გამაქვავებლად. „არ ვიცი...“ — მოისმის ფშვივასავით.

— გონს მოდიო!

— არ შემიძლია...

— ვაჟაკი არა ხართ?!

ვაჟაკი რომ იყო, იმიტომაც მისტანებოდა, მაგრამ ის ისე იდგა, შეჰყურებდა ისეთი გამჭირდავი თვალით, შესძახა ისეთი მძრახველი ხმით, წადილი ჩაექვა თუ გაუბრუნდა, სირცხვილელუმა გრძნობამ წამოჰკრა ბოლოს-დაბოლოს, რაღა ვაჟაკი ვარ, თავი თუ ვერ შევიკავეო; ზო, რა ვაჟაკი ვარო და შეეცადა, შეეკავებინა თავი, გაასწორა, ის რომ იჯდა, ის სავარძელი, რა გასწორება უნდოდა, მაგრამ უნდა ემოქმედნა და ესეც მოქმედება გახლდათ. ჰო, გაასწორა და ფეხი რომ მოი-

ნაცვლა, ბროლის ნატეხი ჩაეჭვდა ლანჩაში, ასწია ფეხი, ამოიღო, როგორღაც უხერხულად ამოიღო, თითი გაეჭრა, ცერა თითი ოდნავ გაიჭრა, ოდნავ წამოედინა სისხლი. იმან თავისი დიდი სამგზავრო ჩანთა მოარბენინა, ბამბა ამოაძვრინა, მერე სანდროს მიუხალოვდა, თითი დაუჭირა, ძარღვს დააწვა, უფრო მეტად გამოადინა სისხლი, გამოადინა და მოსწმინდა, კარგია სისხლი რომ გამოღუშვიო. სანდროს მაინც უნდოდა, წასტანებოდა, წადილი გამოუბრუნდა, თუ უკანასკნელი ნაწყვეტი-ლა აფეთქებოდა, — აფეთქებოდა და სძლია, ვაჟკაცობის ნდომით სძლია, ნებისყოფას შესჭიდებოდა, ანდა სულერთია ვერ დაიჭერდა, ის უკვე განჯინასთან იყო, თავისთვის ირჩევდა ჭიქას, სხვა კონიაკსაც წასწვდა, მიუტანა, გახსენიო, პატარა მაგიდაც მიუღვა, მოხერხებულიც იყო, ბარიკადადაც გამოდგებოდა, ოღონდ რამდენიმე ჭიქა ზედიზედ გამოაცლევინა და ამდენი სიფრთხილაც აღარ იყო საჭირო, აქეთ აღარ იყო სანდრო, ბრძოლის თავი აღარა ჰქონდა, ვაჟკაცობასთან თუ ვაჟკაცობისათვის ბრძოლისა. მხოლოდ უაზროდ ილიმებოდა და ენად ვაკრეფილიყო: შენია ეს ყველაფერი, შენთვის მიჩუქნია სახლი, კარი, ჩემი თავიც შენი საჩუქარი იყოსო. გამოფხიზლდები და ინანებ, ეს გამოცლელი ბოთლებიც დაგენანებაო. სხვისთვის შესაძლოა, შენთვის არაფერი დამენანება, ფხიზელზე ფხიზელად მიგულე, აქამდისაც შენთვის მინდოდა, ახლაც, ამიერიდანაც შენთვის მენდომება ყველაფერი. ჩემი გულიც, ჩემი ქონებაც ფეხქვეშ დაიგე ფიანდაზადო. შუახანს გადაცილებული კაცის გული ვერაფერი ფიანდაზიაო. სწორედ ის არის, რაც არისო, რაც არის, ის არისო, ჰა, ჰა, ჰა, ჰა... იციონოდა და წრუპავდა ჩარჩენილ კონიაკს, ნელნელა წრუპავდა.

ასე გაგრძელდა ეს თამაში, თუ გამოცანა, გამოცანა სანდროსი, — რა სურდა, რად მოსვლოდა, ახლოსაც თუ არ გაიკარებდა, ან ეს სამგზავრო ჩანთა რად აეთრია, — თუ მიდიოდა, რად არ

მიდიოდა, მოსულად თუ ითქმოდა, იმასთან თუ მოსულიყო, რად ვერ დაეჭვებოდა. ეგებ ჯერაც ვერ გადაეწყვიტა მაშინ გადაეწყვიტა სადმე სხვაგან, თავის სახლში გადაეწყვიტა, რალა აქ ჩაუჭდა, რას აფგორიაქა?! თუ ფიქრობდა ჯერ დავიმორჩილოო, მეტი რალა დამორჩილება უნდოდა, — არცერთ ქალთან ასე არ მოუხრია ქედი, ეყოფა, ეწამა, კიდეც რალა სურს, რა განუზრახავს, რას იმედოვნებსო. არაფერსაო, ეუბნებოდა, სტუმარი ვარო. ასეთი სტუმრობაც არ გაეგონა; არც არსიდან ჩამოსულიყო, არც ნათესავე გახლდათ, არც ცოლობას ესწრაფოდა, არც სატრფოდ იმეტებდა თავს, მაშ. რა ჯანდაბად გადაჰცილებოდა. თქმა არ უნდა სამსახურს აღარა ჰგავდა იმისი სამსახური, უფროსები იცლდნენ შენიშვნებითა თუ საყვედურებით, ხოლო უმცროსები თავს აქნევდნენ თუ მხრებს იჩქნდნენ, ვერ ამჩნევდა, არც არაფერი ესმოდა, იბნეოდა, თანდათან საყვედურებიც აღარ გაეგებოდა, შინ დარჩენოდა სული და გული, დღის ბოლოს ელოდა, საათს დაჰყურებდა, ეგონა გაჩერდა ჩემი საათიო, წარამარა ეკითხებოდა სხვებს... გაჩერებულიყო იმათი საათებიც. დღის ბოლო მაინც მოატანდა, გამოეხსნებოდა ერთი საწამებლიდან, ერთიდან გამოეხსნებოდა, მეორეში შერგავდა თავს. შეიჭრებოდა დაქადნებული, გაშმაგებული შეიჭრებოდა. მაგრამ მალე მოეშვებოდა, მოჩოლოჩინდებოდა, ხანგამოშვებით თუ დაიღმუვლებდა, მერე რაო, თუნდაც ლომის ღმუილი ყოფილიყო, გალიაში მოშწყვედიულისას ჰგავდა, მოთვინიერებულისას, გაწაფულის, მწვრთნელის მორჩილისა. რით იმორჩილებდა, ვერ მიეტანა გუმანი: არ აშინებდა, არ აიძულებდა, არ თანაუგრძნობდა, სიძულვილსაც არ აგრძნობინებდა, არ უფრთხობდა, არ ეფერებოდა, თილისმას თუ ხმარობდა, უჩინარ, უებრო თილისმას; ან ხმაში თუ ჰქონდა ის თილისმა, ან გორბო გამოხედვებაში ანდა კონიაკი თუ იქცა თილისმად? — ვთქვათ ეგრე იყოს, ის არ აძალბ-

და, ეს ეტანებოდა, თანდათან უფრო ეტანებოდა, გამოთვრებოდა და ეხვეწებოდა, მიიღე ყველაფერი, მიიღე, რაც გამაჩნია, მერე თუ გინდოდეს გამაძვეო. შენი შენვე მოგახმაროს ღმერთმა, მე არაფერი მინდაო. მე მინდაო. გინდა და გქონდეს. ვიბედნიეროსო. შენთვის მინდა, შენს გასაბედნიერებლადო. ჩემი ბედისა არა უფიქრობარ, დამეხსენიო. მე დაგეხსნაო. აბა მაშ ვინაო. ვინაო და... და ტელეფონი ატყდა. მესამე ღამის შემთხვევას მოგახსენებთ: ტელეფონი ატყდა, ის აიჭრა, აირბინა კიბეზე. სულ მალე ჩამობრუნდა, ჩამოირბინა, შექვივით ჩამოირბინა, სამგზავრო ჩანთა აეტაცა, ისევე გარბოდა კარისკენ, თითქოს აღარაფერი ახსოვსო. ალბათ, არც ახსოვსო. ალბათ, არც ახსოვდა, ოღონდ გაახსენდა, კართან გაახსენდა, სარაზავს რომ მოჰქიდა ხელი, არც შემობრუნებულა, ეგრევე ზურგსუკან გადმოიძახა:

— მშვიდობით!... სტუმართმოყვარეობისთვის გამდლობთ... მშვიდობით!...

სანდრო ვერას მიუხვდა, მხოლოდ თვალები გადაეწმინდა, თითქოს გაუარა სიმთვრალეშო.

- რა ბრძანეთ?!
- მშვიდობითმეთქი.
- მოულოდნელია...
- ველოდი.
- შე არა.
- არც ჩემს მოსვლას ელოდით...
- არა!..
- ასეცა ხდება...
- თურმე...
- მშვიდობით!..
- მეტი არაფერი?!
- მეტი რა?!
- ასეთივე, უეცარი, მოულოდნელი...
- ჩემგნით კმარა, გამოჩნდება ვინმე...
- ჩემთვის კმარა.
- მაშ რაღაღა მთხოვ?!
- არ ვიციო...
- მშვიდობით!...

— გაგაცილებთ... — წამოღვება, მიუახლოვდება, არც ის უფროფის ნაბიჯი დონდლოა, მოდუნებული ნაბიჯი და სიტყვაპასუხი.

— კეთილი! — მყისვე თანხმდება, ეჩქარება, არ უფრთხის, ოღონდ ჩქარობს, ცმუკავს, ვეღარ დატეულა, არც ისეთი სწრაფია რამე, უეცრად გაიტაცოს, — კეთილი, მანქანა მომიყვანეთ, მეტი არაფერი მინდა თქვენი. თუნდაც გამომყვეით, ოღონდ აღმოთქვით, რომ მანქანიდან არ გამოხვალთ. იყავით კეთილგონიერი.

— უკვე აღვითქვით!

— გაგიჭირდათ იმ აღთქმის აღსრულება.

— ესეც რომ გამიჭირდეს?

— დარჩით!

— წამოვალ, გამიჭირდეს და გამიჭირდეს, ჩემთვის იქნება ძნელი, თქვენ რა?!

— მეცოდებით

— შეევე?

— მშვიდობით?..

— მე გეცოდებით?!

— მშვიდობითმეთქი.

— არა, უნდა მითხრათ!... — გადალობოდა, თვალეში ცეცხლი მოსწოლოდა, წამომართოდა მხრები.

ის უკვე ფრთხება, ჩქარობს და კიდევაც ფრთხება:

— სიტყვას მოჰყვა... მე ხომ მხოლოდ კეთილგონიერებასა ვთხოვთ, წესიერებას... წესიერებას.. მეტი არაფერი!

— წესიერებას ჩემი სურვილის წინააღმდეგ...

— წესიერებაც ევა ყოფილა.

ტუჩები დაეგრინა სანდროს, აღარაფერი თქვა, მხოლოდ კარებს ჩამოეცალა, გავიდა, მანქანა მალე ჩამოაყენა. იმან ბრძანა, მიადგნენ რკინიგზის სადგურს. მანქანა არცკი შეჩერებულიყო, კარი გააღო, თითქმის გადახტა, ხელი დაუწინა, გამოსამშვიდობებლად და გაფრინდა. ალბათ, შიშობდა, არ დაიშლის გადმომყვებო. მართლაც გადაჰყვა, მაგრამ მერე რაო, ველარსად დალანდა, ველარსად მოჰკრა თვალი.

ამოდ დაბორილებდა მოსაცდელ დარბაზში, ამოდ იქვრივებოდა, სამორიგეოებსა თუ შემნახველ საენებში, ამოდ ეფარებოდა სვეტებს, ეგება თვითონვე გამოჩნდეს, რომ აღარ დამინახესო. არ გამოჩენილა, მსგავსი არავინ გამოჩენილა. მატარებელი რომ ჩამოვდა და ხალხი აირია, მაშინაც დიდად გამოიდო თავი, ვის აღარ მიაწყდა, ვის აღარ მოუბოდიშა. ვინ აღარ შეუყურთხა, იმის დანახვას მაინც ვერ ეღირსა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ უყო პირი, ველარ იხილა. მაშინლა მოჰკრა თვალი, მწვანე შუქი რომ აღნთეს მატარებელს: ბოლოსკენ გარბოდა, ერთი მოიხედა და შუა ვაგონის კიბეზე მოჰკრა თვალი. შემობრუნდა, ოღონდ გაიხლართა ხალხში. ამასობაში კიბის საბუფები დაუშვეს კონდუქტორებმა, ყვირელი ნიშნები შემართეს, დაიძრა მატარებელი, სიჩქარეს უმატა, წავიდა, გაქანდა. მერელა მოიფიქრა, თუნდაც ბოლო ვაგონს რატომ არ შევხებიო, მოიფიქრა და გაეკიდა, უკვე შორს წასულს გაეკიდა, მალე გონს მოეგო, როგორც მოეგო, ეგრევეც გაშეშდა, ნეტავი ხომ არავინ მიუყურებს, ნეტავი როგორი სასაცილო ვარო... შეგვიანებით გაჰბედა შემობრუნება, ბაქანი დაცილიყო, მადლობა ღმერთს, დაცილიყო, მხოლოდ კიოსკებიდან თუ ურბიკებიდან გაჰყურებდნენ გამყიდველები, ისინიც იმიტომ, ჩვენთან ხომ არ მოდის, რაიმე ხომ არ უნდა იყიდოსო.

გაიპო კაცი, გული გაებო, გაებო ტანიც, ასე ეგონა, გადახლეჩილი დაედვიარ, ან ვდგავარ, მუხა რომ დგას გადახლეჩილიო. ოღონდ ეს თითქოს რაინდულ ტანჯვასა ჰგავდა, როგორღაც კიდევაც მალღებოდა თავისავე თვალში, მალღებოდა, ოღონდ არ დასცალდა, მეორე დღესვე დაეშვა, დაეცა თავისავე თვალში. ეს იყო შედეგი ჯიბოს გარშემო დაყრილი სხემბისა. ჯიბო სახელოვანი სახელი ვახლდათ, სახელოვანი მძ ქალაქისა, დიდად სახელიანი, შემოსავლიანი დაწესებულების მმართველი, დარდიმანდი, პურაღი, გულადი, ენამაზვილი ქველმოქმე-

დი, სავეს ყოველი სიკეთით, სავეს ფულითა და სიკეთით; მაგრამ, როგორღაც თუ როგორღაც ფეხმ დადებოდა და და გაათავისუფლეს, ერთი კვირის წინ გაათავისუფლეს, ერთ კვირის „გათავისუფლეს“ ეკერათ პირზე, მთელ ქალაქს ეკერა, სანდროს გამოკლებით. სხვა დროს სანდროც აჰყვებოდა და მართლაც გამოვიდოდა მთელი ქალაქი. კვირის თავზე ანუ მეორე დღეს კიდევ ახვევდა ხმები: ცოლშვილი მიატოვა ჯიბოშიაო, სოქას გადასულა, სოქას კი არა მოსკოვსაო, მოსკოვს კი არა რივასაო, დიანა გაუტაცინია და წასულაო. გაუტაცინია რას მიქვია, დიანა იქ ელოდაო. არაო, დიანა სანდროსთან ერთად წავიდაო. სანდრო რომ არსად წასულიყო, ზოგი დაიბნა, ზოგმა მაშინვე ჩამოაცილა ამ მითქმამოთქმას, ჯერ ზოგმა; მერე ყველამ ჩამოაშორა, რის სანდრო, რა სანდრო, სანდრო რა შუაშიაო, რა მარაქაში გასარევიო. მხოლოდ სანდრომ იცოდა, რა მარაქაშიც ვარეულიყო, სხვისა და სხვათა შეთქმულების მონაწილე ყოფილიყო, უმეცარი მონაწილე, მაინც თავგამოდებული, ერთგული, ბრმა ერთგული, ბრმა ხელისშემწყობი, ანუ ბრწყინ პირში ჩალავამოვლებული. ამ სიტყვებს თვითონვე ამბობდა, სხვამ ვინ იცოდა, ვინ შეჰბედავდა. ეშინოდა არ მიმიხვდნენო, ეშინოდა და მომტუზულიყო. ცოტა დაშოშმინდა მითქმამოთქმიდან რომ ამოიღეს იმისი სახელი. თუ ახსენებდნენ, მყისვე დასძენდნენ, არა გეჯეროდა. ესლა დარჩენოდა ნუგეშად, ყველას დამალვოდა, ყველას დამფარვოდა, მაგრამ საით წასვლოდა თავისავე თვალს, თავის თვალში დამცირებულიყო.

დღისით არაფერი, საქმეს დაჰყვა, ეკვეთა დაკარგული დღეების ამოსაგებად, დამით იყო, რაც იყო, კარგახანს არ ეძინებოდა ის არ სცილდებოდა თვალთვანი: იმ ყოფაში როდი, როგორშიც იყო, რაც ვადიტანა არა, იმ ყოფაში, თვითონ რომ სურდა და ვერ აღსრულებოდა. ეჩვენებოდა და ბორავდა, წამოვარდებოდა, სკამებს ახ-

რივინებდა, დარბებს ახეთქებდა. გული მოსდიოდა, ქარი რად არა ჰქრის, კოცისპირული რად არ ასხამს, ან დიდი ხმაური რად არ ამოდის ქალაქის გულიდანო. არ ამოდის, არ ასხამდა, არა ჰქროდა, ვატკრავნილიყო, ვაყუმუნილიყო, განაბულიყო, დაღუშვებულიყო ყველაფერი კვერნაქის მღუმარებით, იმის სამფოთვარში არ ერეოდა.

XXI

შრომისა და ძილის მეტს აღარაფერს ისურვებდა, საშრომი ჰქონდა, ყელამდის ჰქონდა, მაგრამ ძილისა რა მოვასხენოთ, — დაუფრთხა ძილი, აღრინდელი ღრმა ძილი დაეკარგა და სასმელით მოინდომა შრომიდან ძილამდის დარჩენილი დროის ამოვსება. თორემ ფიქრი ეძალეებოდა, ფიქრი იმისა, რომ მარცხიანად აეწყო ცხოვრება ოცდათექვსმეტის შემდეგ. მარცხი მარცხს მოსდევდა. ეს ფიქრი არ უნდოდა, ეს ფიქრი აძრწუნებდა, თორემ სხვა ფიქრები ერჩინა სასმელს, მერე ასე მარტო თრთობას; ჰო, მარტო თვრებოდა, შეიკეტებოდა და თვრებოდა მარანში, იქვე მიეგდებოდა ნარჩედ, ვითომც საწოლი არა ჰქონოდა, არცა კეთილმოწყობილი ოთახები დივანსა-გარძლებით, ხალიჩა-ფარდავებით, ვითომც აქაც სამადლოდ შეეკედლებინათ, ვითომც ფიროსმანი ყოფილიყო, მხოლოდ ეს არის, იმდენი ნიჭი არა ჰქონდა, იმისი ხელოვნებისა არაფერი გაეგებოდა, იმხელა განცდა არ შეეძლო. კარდაკარ არ დადიოდა იმისავით, თორემ ისე ფიროსმანი გახლდათ მარანსა თუ სარდაფში დამკვიდრებული, სასმელს მიძალეებული. იქ უხმანრობა არ აშფოთებდა, ხმაური ხომ არ აწუხებდა და, არა. ეგრე ერჩინა, ეგრე გამოიტირა, ეგრე გადაიტანა და შაბათ საღამოს ცამოწმენდილზე კარი დაუკაქუნა გურანდას. შაბათი გახლდათ, შაბათ საღამო, კვირაძალი, შაბათ საღამოსიანდ დაჰპირდა და მოვიდა, შაბათმა შაბათის მეტი რა იცისო, — ხელადა რომ მოიმარჯვა, მაშინ მოავგონდა, უცებ მოავგონდა, უცბადვე და-

ავგო ხელადა და გაეშურა. არ უფიქროსა თუ რას იტყვიანო, არც თანვესი სათქმელი აუწყვია; მივალ და გამიწინდება თუ გამომავლებენ, გამოვბრუნდებიო. მაგრამ არ გამობრუნებულა, მივიდა და აღარ მოიცივლა ფეხი. განა ჭიუტობდა, — არა, გამაშულმა ლოთობამ თუ მოაღუნა, დაუბლაგვა გრძნობა შეურაცხყოფისა.

ერთისიტყვით კარი დაუკაქუნამეთქი...

კარი მაშიდამ გაულო, გაულო და დაიხია, უკანუკან წავიდა, ჭერ ნელა, მერე მოჩქარებითა, კედელს ვიდრე არ მიაწყდა, არ შეჩერებულა, გაცხარებისა იყო, გაცხარებისა და გაკვირვებისა; როგორ გაბედდო, კითხულობდა იმისი თვალები, განს გასული თვალები, სიციხარისა და გაკვირვებისაგან განს გასული. აქ მოულოდნელობაც უნდა დაემატოს ან ეს უნდა ითქვას პირველ ყოვლისა, ამიტომაც ვერაფერი მოეხერხებინა, ვერც ეთქვა, ვერც ენიშნებინა. მისალმებამ თუ დააბნია, სალამზე საღამით უნდა ეპასუხა, ზრდილობისა გახლდათ, ოღონდ გამარჯვებას ვერ უსურვებდა, ვერც ზრდილობას გადავიდოდა, და მშფოთვარედ გაიქნია თავი, თითქოს უქმური მოიშორაო, აჩქარებით გავიდა. ის შუშაბანდში დარჩა, სუფთა, გამოკრიალებულ, ოღონდ მოძველებულ შუშაბანდში, დარჩა ეგრე სარგადაუაპულივით, თუმცა იქვე ტახტიც იღვა, სკამებიც ეწყო, ჩამოკდომა არც მოფიქრებია, ან არცა სურდა. არც უთხოვნიათ, ზურგსუკან კარი ღიად დაგდებულყო, ალბათ ნიშნად იმისა, გაბრუნდი, გადი და კარი გახსურეო. მაგრამ უკან აღარ იქიჩრებოდა, წინაც აღარავინ იყო, მხოლოდ ტახტი გაწყალებული საფარველითა და სელის სკამები, ალაგალავ ჩაწყვეტილი სელით. იყო სიღარიბე, სისუფთავე და მღუმარება, ექიჩრა თუ სურდა, მდგარიყო და ექიჩრა. მაგრამ მღუმარება უკვე მობზრებოდა, მღუმარებას გამოჰქცეოდა. აქედან მაინც რომ არ ვარ-

ბოდა? რაიმეს თუ ელოდა ან აღარაფერი გაეგებოდა, ნამდვილად, კეშმა-რიტად აღარაფერი გაეგებოდა, თორემ გაბრუნება თუ არ უნდოდა, მასპინძელს მაინც მოიხმობდა, გინდა თუ არა, უნდა მიმიღო. არც უხმობდა, არც ახველებდა განგებობსად, ვითომდა რაო, ზომ არ დაგვიწყებიათ, აქა ვარო, არც აბაკუნებდა, არც აჭრიალებდა იატაკს, — ფეხი რომ წაედგა, აჭრიალდებოდა ძველი იატაკი. ჰერზე, კუთხეებში ნაწვიმარის ლაქები მოჩანდა, ესეც გყოფოდა შესაყოლებლად. მერე ეზოში გავიდა, თვალი შეასწრო, ბოსტანი იყო პატარა ეზოში, ბოსტანში გავიდა.

მანამდის მამიდა გასულიყო, ძალიანაც კარგი, ისიც გავიდა და სიტყვა ჩამოუგლო, — რაღაც ავადობა გაჩნდა, პომიდორს გვერდები უღაპებო. არაფერი მიუგო. კიტრი ნუყრიანდებო. ეგეც ხრწნა არისო, მიუგო, აღარ შეიკავა თავი, აღამიანს არ ეტყობა ნუყრი თუ კოყრი, მაინც იხრწნებო. ეგეც არ არის საკვირველიო, რატომ არ არის საკვირველიო, — მამიდა აი-მართა, დაუბღვირა, ისედაც მრისხანე თვალები ჰქონდა, ახლა მით უფრო გულოვანიც შეეფიქრიანდებოდა. ზოლო ის არა, ვითომც არაფერი, ვითომც იმას არაფერი შეეხებოდა, — რახანა ზდება საკვირველიც აღარ არისო. რადა ხდებო. აქ პასუხი აღარ იყო ადვილი, მითუმეტეს იმისთვის არ ვახლოდთ ადვილი, აქ თუნდაც ჩაეხველებინა, თუნდაც შეტოკებულყო, აღარას არგებდა, მკაფიო პასუხის გარდა აღარაფერი გამოადგებოდა, მაგრამ ბუნდოვანიც არაფერი აფიქრდებოდა, ზოლო მამიდა მისჩერებოდა, მისციებოდა, რადა ხდებო, გინდა თუ არა მიპასუხე, რადა ხდებო. მწვავე ხვედრი რგებოდა, მკაცრი სასჯელი გასჩენოდა სასიძო კაცს. ოღონდ ხსნა ყველგან არისო, რომ თქმულა, მართლდა თქმულა: შუშაბანდში ხმაური შეიჭრა, ხმაურს ქეთევანი შესყვა, შესყვა და გასყვა ოთახისკენ, შუშაბანდში გურანდა დარჩა, იმან თუ ვერ შენიშნა, ამან შეასწრო თვალი, გადმოჰხედა ცივად, ეკ-

ვიანად, ფიქრიანად. ამასობაში გამბრუნდა ხმაური, გამოსყვა ქეთევანი დაინახა, ხმაურიანადვე ჩავარდა იქნაში.

— მადლობა ღმერთს!... — იტყვის ქეთევანი, მკაცრად, ოღონდ საამოღ, შემრიგებლად იტყვის, საღ დაიქარგეთ, სადა ბრძანდებით ამდენიხანი! ან რა იყო, რა დღე დაგვაწიეთ? არა, შინ შევიდეთ, — ხელს ჩაჰკიდებს, — შევიდეთ, თორემ ხმას ავუწევ და მთელი უბანი თავს დაგვეხვევა. — აჩქარებს, ჩქარობს, უნდა თქვას, უნდა გაიგოს, ორივე ერთად ვერა ხერხდება, ეკითხება, პასუხს არ აცლის, ბრაზობს, თანაც უნდა დაამშვიდოს სხვები, თანხმობა უნდა და ლამის ცა დააქციოს თავზე. — დაბრძანდით, აგერ დაბრძანდით!... თქვენ რაო, თქვენც მე მიგიაპტიეთო! — მაგდას მიუჭლება, — თქვენ როგორც ვენებოთ, გინდათ, დასხედით, გინდათ, იდექით. ისინი რომ დასხდებიან, წამოვარდება, თავს დაადგება სანდროს, — რა ჩაიღინეთ? ვინმეს თუ ჩაუდენია ასეთი რამე და მერე ასე უტიფრად გამოცხადებულა?! მე მრცხენია, ნეტავი არ ჩავრეულიყავი თქვენს საქმეში, მაგრამ ჩავერიე და სხვა რაღა დამრჩენია, სირცხვილით ვიწვი. თქვენგან ამას ვინ წარმოიდგენდა.

— გველი გარედანაა ჰრელი, ადამიანი შეგნიდანაო. — ჩაურთავს მამიდა.

— ეგრეც ნუ ვიტყვით, — მოუჭრის ქეთევანი, — ყველაფრის ღირსია, მაგრამ სიტყვასაც თავისი საზომი აქვს. თქვენ ნურაფერი გაგვიკვირდებათ. აქ იცით, რა მოხდა? ჰმ!... წინა ღამეს არ დაგვიძინია, წინა დღეს, იმ დღეს ფეხი არ ჩავგიფერხია, არც დაღლა გვიგრძენია, სიხარულმა დაღლისა რა იცისო. ოხ, თვალებს ნუ მიბრიალებთ, ვიცი, რაც უნდა ვთქვა, მაშინ გვიხაროდა, რაც მართალია, მართალია, გვიხაროდა. საღამოსთვის ყველაფერი მზად იყო, მზად იყო მშვენიერი ვახშამი. წუთი წუთსაც მომდგარიყო, აი, აპაა, ვფიქრობთ, სადაც არის მობრძანდება

სიძებატონიო, ეს არის წამოვიდა, რამდენიმე წუთში აქ განხლებო... მეზობელთან გავრბივარ, ტელეფონს ვიღებ და მეგობრებს ვურეკავ, მობრძანდით, გურანდას ქორწილია, ახლავე გამოეშურეთ, ჩქარა, სასწრაფოდ, სიძე უკვე მობრძანდებამეთქი. უფრო საოცარი სურპრიზი თუ გავიგონიათმეთქი ყველა მომძახოდა არ გავეგონიაო. ეს მე ვიციმეთქი. ვურეკავ სხვას, ვაოცებ, სხვას ვაოცებ... შეგშალე მეგობრები, შემოვრბივარ და მევე ვგოცდები, ფაფუ, სად არის სიძე! რა ჰქვია ამ საქციელს, მითხარით, რა ჰქვია?!

— ეგეთი უმსგავსი სიტყვა ჩვენმა ენამ არ იცის... — მიუგებს მამიდა.

— სხვა ენას მოვიშველიებთ, ეგ აღვილია, — არ აცდის ქეთევანი, — სად შევჩერდი? ჰო... მოდიან სტუმრები, ღმერთო ჩემო, რა სახით მოდიან რა ალტაცები გვეხვევიან: სად არის სიძე, სიძე გვჩვენეთო, გაიძახიან. მე ვიციონი, მაღე, სულ მაღე გაჩვენებთმეთქი, ვცეკვავ: დავბტივარ, ვყვები ათი წლის წინანდელ ჭორებს, ანეგლოტებს ვიშველიებ. სად არის სიძე?! ჰმ!... იმათ საცეკვაოდ წავაქეზებ, მე გავრბივარ, ტაქსში ვჯდები, თქვენს სახლთან ვაჩერებ, შოფერი შემომცინის, ნეტავი აქ რა ამბავიაო, ყველა ლამაზი ქალიშვილი აქეთ მოეშურება, ერთი წელანაც მოვიყვანეთო. ლამაზი ქალიშვილი ეს მე ვარ, კეთილი და პატროსანი, გმადლობთ ქათინაურისთვის, ეს მე ვარ, მაგრამ ის ვინ იყო?

— არ ვიცი, — ლულულუღებს სანდრო, — არ ვიცი, არაფერი გამეგება...

— უცოდველი კრავი... — იგესლება მამიდა.

— სად შევჩერდი? — არ უნდა ქეთევანს ეს ჩარევანი, რომ იკითხავს, თავისთვის იკითხავს, ნეტავი რას ჩაერთვიან ხოლმე, — მაგრამ ის ვინ იყო?! ვინც იყო, იყო, მე ვბრუნდები. არ გეტყვით, რა თვალით მიცქერის გურანდა, არ გეტყვით თუ რა დღეშია მამიდა, არც გეტყვით, არც დასსოვს მე ჩემი გასაჭირიც შეყოფა... ვცეკვავ, ვმღერო, აქაობას ვიკლებ, ვიციანი,

ვხითხითებ, ლამის დავიხრჩო არა სიცილით, არა ჯავრით, ლამის სხვანაც ვახრჩო, მაგრამ რა გამოვიდა, ვბრუნდები წყლებათ, მაინც გაიძახიან: სიძე გვიჩვენეთ, სიძებატონიო. მე ვაცხადებ, ვინუშრემეთქი. ეგეტ თქვენა, ხომ მოგატყუებთმეთქი. ისინი დროს ატარებენ, ვახშობენ, ლხინობენ, არა ნაღვლობენ მოტყუებას, მაგრამ ჩვენ?

— ნულარ გამახსენებ, კმარა!... — თითქმის ჰკიცის მამიდა.

— მართლაც ძნელია, — უდასტურებს ქეთევანი, — თუმცა განვიცდიო და ისე აღარ განვიცდიო, მაინც ძნელია, ახლაც ძნელია, მაშინ რა იქნებოდა!... — და გრძელდება, რათქმუნდა, გრძელდება სიტყვა ქეთევანისა, ნუ გამოვეცილებით, ყველაფერს ნულარ გავიმეორებთ, აშბავი უკვე ნათელია. ქეთევანი მოკლედ არას იტყვის, ჯობს მთავარი ამოცკრიბოთ იმისი ნათქვამიდან, მთავარს მივაღევნოთ ყური, მითუმეტეს სანდრო აღარც უსმენდა, ოღონდ უხაროდა, ბევრს რომ ლამაზაკობდა ქეთევანი, საშუალება ეძლეოდა წარმოედგინა თავისი დანაშაული, თავის მართლებაც მოეხერხებინა. ამასთან გურანდასაც აკვირდებოდა: რამდენიც უნდა ევიშვიო მამიდას, როგორც უნდა გაეშალა ხელები თუ აღეპყრო თვალები ქეთევანს, მთავარი მაინც გურანდა ვახლდათ. ის იყო იმისი ბედის მწერალი, ან ის მოვლენოდა ბედის მწერალი. მაგრამ გურანდა არას ამბობდა, კართან მიმჯდარიყო, შემოსულიყო თუ არა, იქვე ჩამუხლნა მღუმარედ, უთქმელად, თითქოს არც აბირებდა რაიმეს თქმას, მხოლოდ მიჩერდებოდა ფიქრიანად, მაღე დაზხრიდა წამწამებს, იატაკიდან ავარდნილ ხიწვს აწვალებდა ფეხსაცმლის ჰვინტით, თითქოს ესაა და ეს, ამის მეტი აღარაფერი აბსოვს ამ ქვეყნად. ძნელი იყო მიწვდენა იმის განზრახვათა, ყოველშემთხვევაში დრო უნდოდა, ქეთევანი არ მოაკლებდა დროს.. ბოლოს მაინც გაიკვანძება სიტყვა, რომ აღარა თქვას, არ ივარგებს... — აბა რას ივარგებს: ქეთევანიც, მამიდაც,



გურანდაც მიაჩრდებდა, ეს მაშინ, ქეთევანი რომ იკითხავს, — რა მოხდა, რად დაგვატეხე ასეთი საშინელი ამბავით. ჩვეულებრივ იკითხავს, თითქოს ამოისუნთქა და ისევ უნდა გააქენოსო, მაგრამ მაშინდა ხელს გაიქნევს, მოიცადეო, ამის ნიშნად გაიქნევს ხელს. თანაც იგივე კითხვას გაიმეორებს, ისე ჯიუტად გაიმეორებს, ქეთევანიც ვაჭკმედს სულსა და თვალდაღებული მიაჩრდებდა. შიშით გაპხედავს გურანდაც. ისევ შემართულა ხელი მაშინდასი, არც დაეშვება პასუხამდის. ეს იქნება გადაწყვეტი პასუხი, მერე გამოჩენილი მკვერპრებზედ ველარ იხსნიან, ველარაინ იხსნის, მოუზომავი თუ რამე წამოსცდა.

ხმა უკვე მოზომილია, სუსტად, გაფანტულად მოისმის:

— ავად ვიყავი...

ერთდროულად შეირხვიან სამივენი, ერთდროულად დახანზამებენ თვალბნა და ხელაქა რომ მიაჩრდებიან, უკვე სხვა თვლით მიაჩრდებიან, თითქოს ეს არის იბილეს პირველადო: გაფითრებულა, უბები ჩალრმავებია და ჩალურჯებია, კისერი დაგრძელებია, მხრები მორყევი. ვახსენებენ, ფეხზეც ძლივს იდგაო, ნაბიჯის გადადგმა უჭირდაო; ზო, ვახსენებენ და ვიდრე ყველაფერს ვახსენებენ, ვიდრე თვალს გაკვანძავენ ეჭვისა თუ ფიქრის ვასამხელად, ის რწმუნდება, ბრძოლა მოვიგეო.

— შეგვატყობინებდით... — ამბობს მაშინდა ცოტა დამოშობი, ოღონდ მაინც ეკვის კილოთი.

— ვერ შეგაწუხეთ, — სახითაც, ხმიოთაც მონანიებას გამოსთქვამს სანდრო.

მაშინდას რაღაც არ მოსწონს იმ ხმისა, ან თვალში დაუქერს გამარჯვების იმედსა და ის არ მოსწონს, გესლიანად მიატანს:

— ხალხს ზოცავს და ევრძალება, ვერ შეგაწუხებთო...

— მაშინდა... — ხმადაბლა, მწყურალად შესძახებს გურანდა.

— მაშინდა გაზღავართ, ქალბატონო, — არ შებრუნდება, აქამდე მდგომარეობა შეექცია, ისევე დარჩენა, — წინა წინთ ჩემი სიტყვაპასუხი, თქვენი ნებაა!.. შენს ხელთაა შენი ბედი, მაგრამ ჩვენს ღროს ასეთ რამეს არავის ამატიებდნენ, არაფრის გულისათვის არ ამატიებდნენ. ქალიშვილისათვის უფრო დიდი შეურაცხყოფა სხვა არაფერია, ძალადობაზე უარესი ეს არის.

— ახ, მაშინდა, მაშინდა, — წამლერებით, გაგრძელებით ამბობს ქეთევანი, მიღის, მკლავებს შემოაბხვევს მაშინდას, — ავადმყოფობა საპატიო მიზეზად ითვლება.

— საკლასო ეურნალეზში...
— ქარხნებშიც, დაწესებულებებშიც...
— ეს სულ სხვა რამ არის...

— ყველგან, ყველგან, — ჯიუტობს ქეთევანი, — ასეთ რამეზე თუ წაეყიდეთ საქმროებს, გაუთხოვარნი დავრჩებით ყველანი.

მრისხანედ აპხედავს მაშინდა, შემოიგლეჯს იმის მკლავებსა: ჩემს გაუთხოვრობას თუ გადაჭკრაო, აღდება მაშინვე და მკაცრად განაცხადებს:

— თქვენითვის ეს თამაში გამოიღის. ბავშვობანაა, კატათავობანაა, ჩემთვის დიდი შეურაცხყოფაა. ჩვენ სულ სხვადახსენაირად გვესმის ერთიდაიგივე, არაფერი გავგეგება ერთმანეთისა. რა გაეწყობა!.. თქვენ იციო! აღარ ჩავერევი...

— მაშინდა... — დატუქაული ბავშვით შეევედრება ქეთევანი, ხელს გაიწვლის, უნდა ისევ მოეხვიოს, მაგრამ ეგრევე დარჩება გაწვილი ხელები, მაშინდა გაღის.

ასეც უჯობდა, იმათ ადვილად შეაბრალა თავი, სიბრალულმა თანაგრძნობაც იცის. თანაგრძნობამ ყველაფრის მიტეგება, ხოლო მიტეგების შემდეგ ზომ ახალი ცხოვრება იწყება და იმათაც დაიწყებს ახალი ცხოვრება ანუ დაავიროვნებს გაუწყვეტილებს წინა კვირისა. ოღონდ მანამდის, ტყბილად რომ აღუღუნდნენ ნეფე-ღელთაო, აღუღუნდნენ თუ ავიკვილნენ, ქეთევანმა გადა-

იქსისა და გარეთ ვავარდა. თუმცა იმავნუთს შემოჰყო თავი, უჩემოდ ფეხი არ მოიცივლოთო, მიძახა და მიიშალა. იმ კისკისს თავისი აზრი ჰქონდა, მხოლოდ ქეთევანს შეეძლო ასეთი გაბედული აზრი ამოეჭრა, განხორციელებაც იმასვე შეეძლო, ეგება ვინმე სხვაც გამორჩენილიყო, ოღონდ იმხელა გაცაცება უნდა სცოდნოდა, ისეთი უნარი უნდა ჰქონოდა სხვათა აყოლიებისა, ისევე დაუმცხრალი უნდა ყოფილიყო ბლომდღის, რა დაბრკოლებაც უნდა შეჰხვედროდა. მაგრამ სხვა ვინმე რაღა საჭირო იყო, ქეთევანი იქ გახლდათ, თვით ქეთევანი, თვითონვე შოიფიქრა, კისკისს ამოატანა ის განდიქრი და კისკასად იქცა, შემოიჭროლა მთელი ქალაქი, თავი მოუყარა იმღამინდელ სტუმრებს, ძეხვეებს, კონსერვებსაც მოუყარა თავი, რომელიდაც რესტორანში ციკნის ხორციც შესთავაზეს, საწებელი შინ ეგულებოდა, ღვინოც იმდღეს გადაჩენოდათ, — თუმცა მთავარი ისაა, რასაც მოუყარა თავი, ვისაც მოუყარა თავი, მთავარი ისაა, სტუმრებიანად თავს რომ დაესხა ჩაუყუთლ ნეფე-დედოფალსა და ღვინო ბრძანა. მამრდა მაშინაც არ გამოჩენილა. გულრანა დაიბნა. ქეთევანი არ დაბნეულა; ბარბარე ჯორჯაძის სამზარეულოს წიგნი ურჩევდა, მოულოდნელმა სტუმრობამ არ უნდა დაგაბნეოთო; დღში დათაღეთო, აუზიდან ცოცხალი ამოყარეთო, საბაქაპურე ცომი წაზიღეთ და კაციის თავზე თითო ვარაა დაკალითო; ბლომად შეკანმეთ ნიგვზის საწებელი, სადილად მორჩენილი ბეჭი თხლათხლად ღათაღეთ და ინდაურის შემწვარი წაშველეთო, გადააახლეთ, არა უჭირს რაო; ოღონდაო, ქვევრი ახალი მოჰხადეთო, არ დაგძრახონ, ნაწუფი ღვინო დაგვალევიანო. თუმცა ესეები ფიქრადაც არ მოსვლია ქეთევანს, მაგრამ რომ არ დაბნეულა, ეს არის, რაც არის და ქალბატონი ბარბარეც სხვას რას ურჩევდა, არ დაიბნეთო. ჰოდა, არც დაბნეულა, ისეთი სიმღერა გააჩაღა, ისეთი ცეკვა გაახურა, ღამის ჩაიქცა ძველი იატაკი. კიდევ კარგი არ ჩა-

იქცა, თორემ რომ წავიდნენ, უკან აღარავის მოუხედა; მაშინაც რომ შეეგჩაჰყოლოდა, მაინც აღარ მოიხედავდნენ, რას მოიხედავდნენ, ნეფე მიუძღვოდათ, ნეფე ეწყოდათ, — ჩემთან, ჩემსკენ, ღვინო მაინცა მაქვს, სხვა თუ არაფერიო, ჯერ ამას დამჭერდით, მალე დიდ ქორწილს გადავიხდით. ისინიც დასჯერდნენ; დასჯერდნენ და იღბინეს... ღმერთიც უშველის ფირფიტების გამოშვონს.

დაბირებული დიდი ქორწილი, რათქმუნდა, აღარ გადაუხდია, — დედოფალი მკლავზე რომ დაუფორებია, პირობავილას გახსენებიაო. ამისათვის სიძე არ დაუძრახავთ, სანდროც არავის დაუძრახია, მითუმეტეს სამართლიანი ქმარი გამოვლა, სამართლიანი და ერთგული. ნარზე გუებას ამოად არ ჩაველო, იქიდან, ნაროდან ბევრი რამ სხვანაირად დანახა, ან მაშინდა დანახა, მაშინდა ჩასწვდენოდა მოკლენათა არსსა თუ ბუნებას. მაინც ამისმორეს თუ ვერ გასწვდებოდა იმისი ფიქრი თუ გონება, ერთი რამ დასაჭეითებით ითქმოდა: ამპარტანობა გასტეხოდა, მოთვინიერებულყო. ასეთ ყოფაში მაგდასაც არ აუტყუდებოდა, ლალისაც არ აუზირებოდა ან იმათამდეც, უიმათოდაც ადვილად მოაწყობდა თავის ოჯახს, მოაწყობდა და იქნებოდა წყნარად, უშფოთველად, როგორც ბევრი იყო თუნდაც იმ ქალაქში, მთელ ქვეყანას ნუ წამოველებით. იქაც ბევრი გახლდათ, უამრავი მარად უშფოთველი, აუმღვრეველი, კმაყოფილი თავისი ცხოვრებით, მონარული ნემსის ღირებულების შემატებითა. ისეთივე იქნებოდა, ისეთადაც განჩილიყო, ისეთიც იყო, მხოლოდ ესაა, ოჯახი აკლდა. დროზე რომ მოესწრო? — კმ, ძალდა არ დაჰყვედა იმის ბედს. მაგრამ საიდანღაც მოაწყუა ტალღა ვნებისა, მძაფრი ვნებისა, დათორია და გაიტაცა, აბრუნდა, ატრიალა, დაღეწა და გარყვა. ეგდო რიყზე, ნარზე ეგდო დაღეწილი, ძვალ-რბილგაყრილი, აზრგათიშული... სული მოითქვა, დაუბრუნდა მშვიდ ცხოვრებას, რისთვისაც შობილიყო,

იმას დაუბრუნდა. ნებას დაჰყოლოდა გურანდაც, თითქოს სხვა სურვილები არ გააჩნდა, ასდევდა იმის სურვილებს, თითქოს თავისი აზრი არა ჰქონდა, იმერება იმის ნათქვამს, ხალისიც იმისი გადაღებოდა, შეწუხებაც თუ დალონებაც, იმის საქმეებს შეიძულებოდა, შეენუჯვოდა იმის სანუჯვარსა. შინ უნდა ყოფილიყვნენ? — კმაყოფილი იყო; უნდა წასულიყვნენ? — ნება შენია, მე მზადა ვარო. ამ სრულს თანხმობაში ჩუმად, იღუპილად მოქმედებდა ნება ქალისა, მოქმედებდა საოცარი იღუპილებით, დიდი სიმამხილე უნდოდა, ეს რომ განეუკრიბა მაგრამ ან არ გააჩნდა ამდენი სიმამხილე, ან გონს ვერ მოსულიყო იმ დიდი აფორიაქების შემდეგ... და ვინ იცის, გაჰფანტვოდა ის წადილი? შეუარაცხოფის განცდა არ გაჰფანტვოდა, ახსოვდა, დროულადო ქრცოლად შემოედებოდა ხოლმე, ოღონდ, ვინ უწყის, წადილიც ფეთქდა ამ ქრცოლაში, ვინ უწყის, წადილიც არ განელეზბოდა, მხოლოდ თავისებურად, შურისძიებად ამოსტროდა გულში, ან შურისძიებით შეფერილიყო, თორემ იგივე იყო, ისევ ის იყო, — თვითონ ვერ გამოტყუილიყო, საკუთარ თავსაც ვერ გამოტყუებოდა, მხოლოდ ქალი მიმხვდარიყო, მისწდენოდა ქალური ალღოთი, მისწდენოდა მიუხეზებულ მეტოქესა და უნდოდა მიეჭრო ძლიერი ნებით, სრულ მორჩილებად რომ გამოხატულიყო.

ან ეგებ კიდევაც მიჰქრობოდა, ისე დაჰკარგოდა ყველაფრის ხალისი, ასე განსაყვთ წერის ხალისიც დაჰკარგოდა. თუმცა ეს ისეთი ხალისი გახლდათ, ზშირად რომ ეკარგებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა რედაქტორი აქეზებდა, ურეკავდა, ბარათიც გამოუგზავნა, პრესის მუშაკთა თათბირზეც მიიწვია, ცალკეც ეთათბირა, მოხსენებამიც აქო, — ყველა შებრუნდა იმისკენ, ყველამ გადაავლო მოწონების თვალა, მეტი რა უნდოდა, უფრო მეტი წაქეზება რაღა იქნებოდა, კალამი მაინც აღარ ემორჩილებოდა. ქალაქის გამწვანებაზე რომ დაიშუქრა, მაშინაც ვერაფერი დასწერა, ახლა გაბ-

სენებაც აღარ უნდოდა. რედაქტორმა ვაჭრობის საკითხები შესთავაზა უკრეცურა, არც არაფერი გამაძნობდასწერა რანდა ამჩნევდა და არ იმჩნევდა. ისიც არ ეშვებოდა, ბოლოსდაბოლოს ცოლისთვის მაინც უნდა მოეწონებინა თავი. აფუტყნა ძველი გახეთები, ერთი წიგნაკიც იშოვნა, მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოცემული. აქედან ამოიღო, იმას მიიბა, სოციალისტური ვაჭრობით დაიწყო და დამთავრა, რათქმუნდა, სოციალისტური ვაჭრობით. რედაქტორმა მოახსენა, ძალიან კარგია, ოღონდ ზოგადია, ერთიორი ცოცხალი მაგალითი უნდა ჩაურთო, თორემ ისე საქურნალო წერილი გამოდის, ჩვენ კი გახეთი ვართო. კეთილი და პატიოსანით, ორ ლიმონათის გამყიდველს შეაბა ეყვანი, ეგეც ცოცხალი მაგალითიო. მერე ლუღის გამყიდველს აუარ-ჩაუარა, ერთ წერილსაც ამას ვუძღვნიო. კიდევაც უძღვნიდა. ლიმონათის წერილი უკვე დაებეჭდათ, ცოლი კითხულობდა ლიმონორელი. აი ცოლი... კითხულობდა, თავს იქნევდა ლიმონორელი, კარგიაო, დასძენდა, არ იშურებდა სიტყვასაც, მეორედაც ჩაიკითხა, მეორეც არ ამორებდა თვალსა. მოწონებაც ასეთი უნდაო. კარგიაო, იმეორებდა, მართალია სხვას არაფერს უმატებდა, მაგრამ მოწონებას მრავალსიტყვაობა რად უნდაო. ორიოდე სიტყვა მაინც ურიგო არ უნდა იყოსო და იმანაც მოადევნა: კარგია, დასწერე, როგორია თვითღირებულება ნაწარმისა და როგორ იზრდება საბაზრო ფასი, დასწერე თუ იცი, თუ გეკითხება რამე. დასწერე, როგორ გადის იშვიათი საქონელი კერძო ბაზარზე ან როგორია ქალები კერძო ბაზრისა, როცა ასეთი რამ არც არსებობს ჩვენში. დასწერე, აბა, თუ შეგიძლია დონკიხოტობა. თორემ ეს რა არის, ლიმონათი ლიმონათია, უამისოდ ადამიანს არაფერი მოეწევა, უნდა დაღუგვს, უნდა აბა, უნდა დაღუგვებს ზედმეტი კაკიკს. უნდა არა, ძალას ვერაფერ დაატანს, ხოლო თუ უტოვებს, მას ანუქებს და ნაწუქარის დაყვედრება კეთილსინდისერება არ

არის. დასწერე თუ ძალგის, ამხილე და-
ნაშაული. ლუღზე წერ? კარგია! მუქი
მელანი ხომ არ გირჩევნია?! ან სხვა კა-
ლამი ხომ არ აჯობებს? აი მამიდან გა-
მოგვიზავნა სახსოვრად, პატიება იცის,
გვიან, მაგრამ მაინც აპატიებს ხოლმე...
დაწერე, მე ვავლო. გვიდა: ოღონდ
ბოლომდის მაინც ვერ მიატანა ლუღის
წერილი. ვერც ხინკლის წერილს აეწყო
პირი, ვერ გაიანგარიშა თუ რამდენი
ფქვილის, რამდენი ხორცილა და სანე-
ლებლის აწაანა ხერხდებოდა ერთი ლუ-
კმა ხინკლიდან. ტახტზე დაწებოდა გუ-
ლადმა, ხელებს თავქვეშ ამოიდებდა და
მისძახოდა მეუღლეს, — რედაქტორმა
თუ დარეკოს, უთხარი, შინ არ არის-
თქო.

რედაქტორიც აღარ მიეძალებოდა,
იმისნაირს სხვასაც ბევრს იშოვნოდა,
ბოლოსდაბოლოს რედაქციის თანამშ-
რომლები დასწერდნენ და ვინმეს წა-
უღებდნენ ხელმოსაწერად, ხელისმო-
წერა ხომ ყველამ იცოდა. ერთსიტყვით
არ მიეძალებოდა, არც სხვა ვინმე მიამ-
ტკრევდა კარსა და ბანსა, იქნებოდა ისე
გარინდებულნი, თვალებით ქერს მიბჭე-
ნილი უსურვილოდ, უფიქრელად, რა-
ღაც გამოუთქმელი ნდომით აღსავსე.

XXII

წელიწადი რომ მოტრიალდება, ფიქ-
რიც მოუბრუნდება, ხალისიც, სამშობი-
აროდან რომ შეატყობინებენ—ჯავი შე-
გეძინაო, სურვილებიც აენტება: პირ-
ველყოვლისა ძეობას გადავიზიდ, დიდ
ძეობას, მართლა გადავიზიდი: იმ თამა-
დას მოვქებნი და ნიშნს მოვუღებო; ფი-
ქრობდა სხვასაც, რაც უკეთ გამოძხა-
ტავდა იმის სიხარულს, ზოგის შესრუ-
ლება მოხერხდებოდა, ზოგისა არა, ოც-
ნებად მაინც კარგი რამ იყო. თადარი-
გიც უნდოდა, თვითონ თუ ვერ მოაბამ-
და თავსა, მშობიარეს უკვე მოეკეთა,
იქიდან იქერდა თადარიგს: ჯერ შე-
მოთვალა, ბიქს რა დავარქვავო. სახელად
ამირანი მოსწონდა, ამირანიო, შეატყო-

ბინა. გვარისა რა ვქნა, ჩემს გვარზე და-
წეროო, მოადენა შემდეგი შეკითხვა.
როგორ თუ შენს გვარზე, იტყვიან, მითხრა
კაცმა. მაშ რას მირჩევო, — ტელეფონი-
თა, რეკუნენ, — მეუღლე ეთხოვე, მირ-
ჩიე, როგორ მოვიქცეო. როგორ თუ რო-
გორაო, ჩემს გვარზე უნდა დაიწეროსო.
უქორწინოდ არა სჩადიან, იღონე რამე,
თორემ ჩემს გვარზე სწერენო. იღონე
რამეო და ამა არ იცოდა, რა ეღონა,
არ იცოდა, ან ვერ მოეფიქრებინა, მაშინ
იმით დააყენეს კვალზე, აქ ჩამოდიო,
დაიბარეა. ვესტიბულში დახვდნენ, მამა-
ჩის წარმომადგენელიც იქ იყო, უდაც
გამოიყვანეს, ბავშვი არა, მხოლოდ შო-
რიდან დაანახვეს ბავშვი და ასე, სამ-
შობიაროს ვესტიბულში მოაწერიანეს ხე-
ლი. დაგვიანებული თადარიგი გახლდათ,
მაგრამ უამისოდაც არ ივარგებდა, ამა-
საც გულს მოეშვა, იმანაც, ვინ იცის.
რა განიცადა, ვიღრე ამ ამბავს მოაგვა-
რებდა. ეს ამაყობდა, მე მოვაგვარო,
უცბადო, სწრაფადო, როგორც მინდო-
და, ისე ლამაზადო. სილამაზისა რა მო-
ვახსენოთ, კარგი კი იყო, თუმცა ამას
უხაროდა და, ჯანდაბას, ლამაზადაც ით-
ქვას.

უხაროდა.. წელიწადი მობრუნდა, სი-
ხარული აღარ განეცადა, ასეთი ხომ არც
იცოდა: დღეს ან ხვალ ძე ამ ოჯახისა
აღრზაურით შემოაღებდა კარებს, შემო-
აღებდა თუ შემომამტკრევდა და მეფედ
დაბრძანდებოდა აგერ ამ ტახტზე... არა,
უკაცრავად, წამოგორებოდა, მეფობაც
ეს გახლდათ. წამოგორებული იმბრძა-
ნებლებდა. ტახტი მზად იყო, ბავშვის
ოთახში იდგა აკვანი, მზე ისე მოჰხვე-
ოდა, ოქროსიო, გეგონებოდათ. შიგაც
მზე იწყო მეფის მოლოდინში. მამიდას
გაემართა, კარგად გაეწყო, თავისი შვი-
ლი არ ჩაეწვინა, მაგრამ სცოლნოდა
აკვნის გაწყობა. შუაში შიბაქი ამომარ-
თულიყო, თითქოს შექურა ყოფილი-
ყოს, — აქეთ, აქეთ, აქ გელოდებითო.
ელოდებოდნენ და მოვიდოდა, აქ ჩაუ-
შვებდა ლუზას. აქ იქნებოდა, შიბაქი
გამოებოდა და იქნებოდა თითქოს ცო-
მი, თითქოს უძელო, უქუნთებო, მერე

ძვალს გაიმავრებდა, კუნთებს მოიგვრი-
და, იზრდებოდა, იზრდებოდა, აქეთაც,
იქითაც, აქეთ თავს მიიბჯენდა აკვანს,
იქით ფეხებს, აკივლდებოდა, ამომიყვან-
ნეთო. ჭერი გაიცინებდა, ამოიყვანეთო.
ამოიყვანდნენ, თორემ დასწყვეტდა არ-
ტახებდა, — ამირანი არ იყო! დასწყვეტ-
და. დავლექდა, ღმერთს ეტყუადა, ნათლი
ჩემო, ჩამო, დამეჭიდევო. ახ, ნათლია!..
აი რის თადარიგი გამორჩენოდათ. სამ-
შობიაროდან აღარაფერს ითვლევინებო-
დნენ, დღეს თუ ხვალ გამოვიდოდნენ
დღა-შვილი, მეტს აღარაფერს ითვლე-
ვინებოდნენ, ძალიანაც კარგი, თვითონ-
ვე დაიჭერდა საამისო თადარიგს, რჩე-
ულთა შორის რჩეულს ამორჩევდა,
რჩეულთაგან რჩეულს დაახვედრებდა
ნათლიად, ბიჭის მომავალი აქედანვე გა-
დაწყებოდა. ოღონდ მანამდის, ვინ
იქნის, ვინ როგორ დააყრავონ, ვის რო-
დის გამოუთხარონ ძირით. დიდი შორს-
მჭვრეტელობა უნდა გამოეჩინა, მთელი
გონება უნდა მოეკრიფა თუ ეყოფოდა
მოსაყრეფი, უნდა მოეკრიფა. გულის გა-
ტეხვაც არ ივარგებდა. არც გაიტეხდა
გულს, მობრძანდებოდა დიდი მბრძანე-
ბელი, ელოდა ტახტი ოქროსი, მზე აღ-
და ტახტს, მზე ხარობდა, ის რაღად გა-
იტეხდა გულს?

ზარი დარეკეს.

მოიყვანეს?... ვინ იცის, აღარ მოიცა-
და მბრძანებელმა, აღარ მოიცადა იმ
ოლომლოლში, თავისი სამბრძანებლო
მოინდომა, თავისი ტახტი, სანებიეროდ-
ენა თუ არა აქვს, რა ვუყოთ მერე, ტი-
რილი ხომ იცის, ტირილითა ბრძანებდა,
ჩქარა ჩემს ტახტზე ამბრძანეთო. და
რაღაც წამოაგდებს, თითქოს მუხლში
ძალა მოემატაო, თითქოს ფრთებიც გა-
მოესხაო, ჩარბის ან ჩაფრინანეს, კარს
გამოაოღებს და გაშეშდება, ყველა კუნთი
შეეცვრის, თითქოს სისხლი გაეყინაო.

— ველარ მიცანით?!

რა სათქმელია... ხმა ხომ დიანასია,
ხნაც არ ამოელო, უცნობლობა რა სათ-
ქმელია!.. თომცა სევდის რამ ჩრდილი,
მკრთალი ჩრდილი გადავლენია შეზლ-
ზე, თვალის კილოები მოსწყურვია თუ

მონაოქებია ოდნავ, სულ ოდნავ, მაგრამ
ამითი კიდევე უფრო დამშვენებულ...
უფრო შემპარავი გამზღარა, ჯადოს შექმნა
ტებია. ყელზე გიშრის მძივი მოვლებია,
ყურებზე საყურენი გიშრისანივე, მცი-
რედ ციგლიგებენ. მცირედ ისინიც აჩე-
ნენ ჯადოსა.

— მობრძანდითო!..

ამბობს და სისხლი დაიძრება ძარღვე-
ბში, თბილად, თბილად წაა, ფრჩხილე-
ბამდის გაეონანეს, ამობრუნდება და მო-
აწევება შეზლს, უფრო თბილად, თითქ-
მის მხურვალედ.

შემოდის მსუბუქად, ლამაზი რხევით,
თხელ, სიფრიფანა შავ წამოსასხამს გა-
დაიძრებს სწრაფად, ხელის ერთი მოხ-
დენილი ამოქნევით, საკიდარზე სტო-
ვებს. ღრმად ამოჭრილი მუქმწვანე კაბა
სცმია, ძალიან მუქია, ჭიგარი მუქი, თი-
თქოს შავიაო, ოღონდ რომ ირხვეა, ტა-
ლლად გადაღის მწვანე ფერები, შექს
გადასდევს ტალღატალღად. ბაც სიმწვა-
ნიდან ჭიგარ მწვანემდე. მკერდი მოღე-
ლავს და თითქოს ზღვას მოაბობსო,
ზღვას მიიტანს ნაცვობ საეარძლამდის.
ჩაჯდება, პაპიროსს მოუკიდებს, სწევს
ერთს, მეორეს, მესამეს, ზედზეუდ სწევს,
უშევებს მსხვილ-მსხვილ ბოლქვებად,
ბოლში ეხვევა, თითქოს ნისლში ეხვე-
ვა, ნისლით დაბურვილა მძივი გიშრისა,
საყურეები გიშრისა, თვალები გიშრზე
მუქი, კრიალა, ბღღვრიალა თვალეზი.
ნისლს გამოჰკვეთავს და წინაბება
ბღღვრიალა თვალეზი, ისევ გამოჰკვეთს
და ისევ წინაბება.

— გიკვირთ?

ნისლიდანვე მოისმის, შორიდან, შო-
რიდან მოისმის.

— არა... — სანდრო არ დამჯდარა,
სხვა სავარძელზე გადაუღვია ხელი, თი-
თქოს იშველიებს, ფეხი თუ ღამიცდ-
ბაო. — ხმა უკვე დაირხა, ჭიბო თავის
ოჯახს დაუბრუნდაო...

ნისლიდან ამოვა თვალეზი, ნისლს
იქით დასტოვებს, მოეჭრება, ჩაუჭდება
თვალთა ბუდეებში:

— იციოთ?!

— თითქმის...

476

— ნაწყენი ხართ?

— როგორ ვითხრათ...

უცქერის, უცქერის, მერე იმის იქით გადაიტანს მზერას, ქალაქს თუ ვაჰხედავს ფანჯრის თაღქვეშ ან არც ვაჰხედავს, არის ისე, გატრეწილი, ვარინდებული. ხელი სავარძლის ზურგზე შეიმართება, პაპირისი იწვეის, ნელნელა იწვეის, ფერფლი მოსწყდება, გაიშლება, დაეფინება ხალხთან.

— კონიაკი გაჭვთ? — უცებ იტყვის, თითქოს გამოცოცხლდაო.

— არა...

— ღვინოს დაუბრუნდით?

— ღვინოს...

— ღვინო იყოს...

— კონიაკს მოვიტან.

— არა! ღვინო იყოს.

მოაქვს ღვინო, მაგიდასაც მიუღვამს მაშინდელივით, დაუსხამს, თავისთვის არა, ვაბრუნდება, ჩაჯდება მოხირდაპირე სავარძელში. იქიდანაც მოჩანს, ჭავლები ამოდის ჭიქაში, თითქოს იშლება ქარვისფერი ღვინო, თითქოს იშლება და არც იშლება, ამოდის, ამოდის ჭავლები, ჭავლებად ედება მშვენიერ ტუნებს, ქორფას, უბიწოს, თითქოს ამ ჭავლების მეტი არაფერი შეხებიაო.

— როგორც უნდა ვითხრათ, ნაწყენი იქნებით... — ჭიქას დადგამს, — რათქმუნდა, ნაწყენი იქნებით, მაგრამ მე უბრალო ვარ, განგებ არ ვამიხვევებარ ამ ამბებში, შემთხვევით მოხდა. გახსოვთ ის საღამო? მხოლოდ მანქანა მინდოდა, უსათუოდ უნდა წავსულიყავი დისევეს. შინ ვერ მოვიცადე, ვარტე ვამოვედი და თითქოს ბედად მანქანა გამწყვარაიყო. თქვენ შეგხვდით, კაცი მაინც სხვაა, მეგონა, მიწიდან ამოაძვრენდით მანქანას. მართლაც ამოაძვრინეთ. ასე არ იყო? რაღაც იმედი მომეცა თქვენი. თქვენც გეტყობოდეთ, არსად მიეჩქარებოდით; არსად მიეჩქარებოდით და გამოწყევით... რაში ვტყუივარ?! არაფერი...

— მანდამდის არაფერი...

— მერეც!... არ მინდოდა შინ მიე-

სულიყავი, დავრჩი თქვენთან, რა მოხდა?! სტუმარი გიყვიროთ თუ რა ვარაზი!

— არა, ცხადია არა! მანქანაზე რომ არაფერი ვიცოდი...

— არაფერი?! აკი თქვით, ცოლ-შვილს დაუბრუნდაო...

— მერეღა გავიგე...

— მაშინვე რად არა?! ჩვენს მერე მანქანა რომ შეჩერდა, იქ ხომ იმისი მუუღვი ვახლდათ... ცოლი რისხვით შეიჭრა, ქმარი ძლივს ამშვიდებდა, ძლივს ჩამოკაყავდა. მე სიამოვნებისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა. თქვენ მოწამე იყავით, თქვენს თვალწინა ხდებოდა ყველაფერი და რა დიდი გონიერება უნდოდა იმის მიხვედრას, რომ იმ ამბავთან რაღაც ურთიერთობა მექნებოდა? ყველაფერი თუ არ გეცოდინებოდათ არც იყო საჭირო. დამალვით, არც მაშინ დაგვიმალავდით, არ მოინდომეთ, თორემ გეტყოდით ისევე, როგორც ახლაც შემძლია ვითხრათ... მანამდის წელიწადზე მეტიც იყო აჩრდილივით თან დაშვებოდა. მე უარს არ ვიყავი, გასართობში ავდევდი, საჩუქრებს ვლებულობდი, მაგრამ ნებას არ დავყოლივარ, არც დავყვებოდი თუ ცოლად არ წამიყვანდა. ის მაიძვებდა, მეც ველოდი. მოუთმენლად როდი ველოდი, კმაროდა ჩემთვის მხიარული დროსტარებანი და გულუხვი საჩუქრები. მაგრამ იმას მოსწყინდა ჩემს ვარშემო ტრიალი, მოხეზრდა ჩემი დევნა და აღთქმანი სამარადისო სიყვარულისა, სხვას აყუვა ან თვითონვე აიყოლია, თვითონ იცი, როგორცა ხდება, ერთი-სიტყვით აიყოლია და არც მე შემშობოდა. აღარც მე შეთმობოდა, ვგრძნობდი, ვეღარ შეველეოდი. შეურაცხყოფაც მახლებდა, შურისძიებისათვის მაქნებდა. ვიცოდი იმათი ასავალდასავალი, ცოლს წერილებს ვწერდი, კვალში მყავდა ჩაყენებული, მოხერხებულ დროს ვუცდიდი, თავზე უნდა დამეყენებინა და კიდევაც დაეყენე თავზე. ვიცოდი, რაც მოხდებოდა. რა დიდი ცოდნა უნდოდა, მაგრამ შინ მაინც ვერ მოვითმინე, მინდოდა ჩემის თვალით მენახა, შინ ვერ დავტოვი... მე-

რე ხომ თქვენ შეგხვდით. დაებრუნდით და ცხადია უნდა გამოგმწვიდობებოდით, მაგრამ ვიცოდი მომძებნიდა, შინ ვიქნებოდი თუ მეგობართან თავშეფარებული, მაინც მიპოვნიდა, არ მინდოდა შეეხვედროდი, დაე მარტო დარჩენილიყო, ასე მსურდა, ასე მერჩივნა და თქვენ იყავით დიდებული საფარი. მართლაც იმ დამეს მთელი ქალაქი გადაუბრუნებია, ხოლო ფიქრადაც არ მოსვლია, აქ თუ ვიქნებოდი. მეც თქვენ მიძებდით, ჩემს კვალს მოსდევდით, მე გაგაბრბოდით, არ შემეძლო თქვენთვის მომეცა რაიმე იმედი, არ მინდოდა იმისთვის მიმეცა საბაბი ეჭვიანობისა, შწამდა მისი, მჯეროდა, მისი მეუღლე რომ ვიქნებოდი, ყოველშემთხვევაში წვაიდოდი სადმე, აქაობას გავშორდებოდი და ერთად დაგყოფდით ჩვენ სიცოცხლეს. ეს დროც დადგა: ის გაანთავისუფლეს. კიდევ რამდენიმე დღე უნდოდა რალაცრალაცის მოსაგვარებლად. ვარჩიეთ, მე მანამდის წავსულიყავი ან აქ სადმე შემეფარებინა თავი. თქვენ არცა გველმისხმოდით, ერთ მეგობარს გავენდე, იმასთან უნდა გავჩერებულყავი. იქ მივდიოდი და თქვენ გამოაღეთ კარი. ალბათ, ბედი იყო, მე აქ არაფერ შუაში ვარ!... თუ რამე დამბრალდება, ალბათ, ის, რომ აქ ვარჩიე, იქ რაც უნდა იყოს ოჯახია, ვილაცას რალაც ეხამუშებოდა, ვილაცა რალაც ამბავს გაიტანდა, თქვენ მარტო ბრძანდებოდით, მარტო და თანაც ასეთი.. ასეთი... როგორ ვთქვა? ასეთი წრფელი აღამიანი. აქ ვამჯობინე. მეგონა იცოდით, რა დამიპლება პატარა ქალაქში! ხმა უკვე გასულიყო, ამ ზერხს ამიტომაც დაეფლოდი, ხმა დაგვებინა, ხელი არ შეგვშლოდა, ცოლი თუ მახლობელი არ გადაგვლობოდნენ. თქვენ იშვიათი სამსახური გავგიწიეთ. მთელ დღეს შინ არ შემოდოდით, ტელეფონი ჩემს ხელთ იყო, ჩვენ ერთი წუთითაც არა ვკარგავდით ერთმანეთს. უაღრესად მაღლობელი ვარ თქვენი. გმადლობთ!...

— არაფერს!... — მრავალმნიშვნელოვნად დაატანს სანდრო, ცივად ილი-

მის, თითქოს არც გაუგონია, არც ღიმილი შეუმჩნევიაო, თავისას განაგრძობს:

— დანარჩენი იცით... დაბრუნდაო, თქვენვე ბრძანეთ. ყოველთვის ვშიშობდი, მაგრამ თავს ვირწმუნებდი, არ მიმართებდებოდათ. პირველ ხანებში მართლაც ასე იყო: უფრო დიდი გატაცება და თავდავიწყება ძველს რომანებში თუ წამოკითხავს, ოღონდ ნელნელა, თანდათანობით მიიღია ის გატაცება, თავისი ოჯახის სევდამ დაარია ხელი, ბავშვების ფიქრმა შეაწუხა, სიმთვარლისას იმათი სურათები ეჭირა ხელში და ცრემლი ლაპალუბით ჩამოსდიოდა. სიფხიზლისას ხმას აღარ იღებდა, თითქოს დამუნჯებულყო ან აზრი აღარ უმოძრაებდა. ველარ ვახერხებდი გამეჭარბებინა დარდი, აღარ შემეძლო ჩამეხშო სინანულის განცდა, ვცდილობდი, მაგრამ აღარ შემეძლო. ვხედავდი თუ როგორ მშორდებოდა, ყოველ დღე, ყოველ წუთს, ყოველ წამს მშორდებოდა და მომწყდა, გამომექცა... და, აი, მეც აქა ვარ, თუმცა არ ვიცი, რატომ დაებრუნდი. თავგზა დაგვარგე, ველარაფერი ვადამიწყვეტია თქვენთან რომ მოვედი, ისიც იმიტომ, თავგზა რომ დაგვარგე. შინ ვერ მივბრუნდი, ასე ხელალებით ვერ მივბრუნდი. ალბათ მივალ, დაგვმვიდლები, გონებას მოვიკრებ და ან მივალ ან სხვა რამეს გადავწყვეტ. ხმ!.. — დადუმდა, ფიქრმა თუ წაიღო. მერე შემართულ ხელს შეავლო თვალი, პაპიროსი კარგახანია ჩამჭრალიყო, ფერფლიც დაკვენილიყო, ღერო ქანაობდა თითებზე... თითები ირხვეა, ხელი კანკალუნს, ვინ იცის რამდენიხანია კანკალუნს, ახლად შენიშნავს, ღეროს მოისვრის, სავარძლის სახელურს ჩაავლებს თითებს, კანკალს შეიჩერებს, თითქოს შეიჩერებს, ოღონდ ხელადს რომ მისწვდება, ღვინის დასასხმელად, ისევე აუკანკალდება ხელი. დამისხიო, თითქოს ისე გადახედავს სანდროს, ან თვითონ ის მიუხედება, მივა, დაუსხამს. ქიქასაც არ აიღებს, დამალვივინო, ანიშნებს ან თვითონვე ის მიუხედება,

ჭიქას მიუტანს ტუჩებთან. ნელნელა შეახებს ტუჩებს, თრთოლვით, რადით შეახებს, მერე თვალს მინაბავს და არის ისე, არცა სვამს, არც აშორებს ტუჩებს. გაახელს თვალს და თითქოს ნაპერწკლები დასცვივო, ერთბაშად ნაპერწკლებს შეაფრქვევს სანდროს. თითქოს მართლაც ნაპერწკლები შეეფრქვაო, ჭიქა დაუცდება. ტუჩები მიეტანება ჭიქას, მოსვამს, მერე ხელს მიატანს ჭიქიან მაქას, მაქას მიეტანება, მყუფავო, მაქასაც არ უშვებს, მაქასაც არ ეთმობა, ეამება თითქოს ცივად მოვლებული თითები, ცივად და მწველად. თვითონვე მოაცილებს, დადგო, ეტყვის, შეუშვებს ხელსა, თვალს არ მიადევნებს, არის გარინდებული. სანდრო ჯერ უხერხულადა დგას, შემდეგ მოსძებნის თავის საეარძელსა, შეასწორებს, ჩქარობს, ცოტა წინ წაიხსწევს და ჩაქდება, უნდა, დაირღვეს დუმილი, ის არას ამბობს, ამასაც ვერაფერი მოუხერხებია, ბოლოს მაინც ეს ამოთქვამს:

— მე სხვანაირად მეგონა...

— და თავს გრძნობდით შეურაცხყოფილად.

— შეურაცხყოფილად...

— საკვირველი არ არის, — თითქოს შორიდან იძახის, ოღონდ უცებ მოსკრის და ახლოსაც მოვა, — ოღონდ ახლა, ახლა რას ფიქრობთ?

— არაფერს...

— აგრე სჯობს!.. ჰა, ჰა, ჰა... — გაიცინებს და წამოდგება, — თითქოს უკეთა ვარ... — ღვინოს მოსვამს, თვითონვე შეიესებს ჭიქას, როიალთან მიდის, ჭიქა თან მიაქვს, — შეიძლება? — იკითხავს, პასუხს არ მოუცდის, დაუკრავს.

სანდროს არ ესმის, რას ეთხოვება თუ რას შეჰხარის დიანა, შეჰხარის რამეს თუ მხოლოდ მონანიებაა, გამოტირებაა, — არა, არ ესმის, მხოლოდ გრძნობს თუ როგორ უძეგრს გული და როგორ იძვრის ძლიერი ნდომა, ნდომა მაშინდელი, მაშინ რომ დაუკარგა მოსვენება, აღანთო ყველადრის დათმობის სურვილით, იძვრის და ღვივდება, იძ-

ვრის და მატულობს მაჯაზე ისევე განიცდის იმ თითებს, ცივ თითებს, ოღონდ თებება, თითქოს ისევე შემორტყმიაო, ისევე ჰგონია გარსმობვეული, ცივი და მწველი, შემთბარი და უფრო მწველი, რომ გახურდება, რაღა იქნება... უკვე ანთია ის თითები კლავიშებზე. ცახცახმა გაიარა, სიცივემ გაიარა, აენტო, ვარვარებს, იმიტომაც აელერა დარბაზი. რა ვუყოთ თუ იმას არ ესმის, სმენა დახშობია, ვანცდა რომ მოსძალეზბია, იმიტომ დახშობია, მოსძალეზია იგივე ნდომა ყველადრის დათმობისა, ყველას დათმობისა, ამისათვის, მხოლოდ ამისთვისა, — ამ საოცარი საზღაურისთვისა, — ესღა გავგება, სხვა აღარც აღარაფერი უნდა; დაე ქდერდეს, უფროც აენტოს, შესძრას აქაობა, კიდევაც დაეხშოს გავგების უნარი, გარდაიქცეს ნდომის მონად... ფანჯრისაკენ ზურგი მიუქცევია, აღარა ჩანს ქალაქი, იმასღა ჰხედავს, იმის ნახევრად შიშველ მხრებს, არხეულს, მელოდიად ქცეულს, მელოდიას ადევნებულს.

უცებ რაღაც ჩამოსწმენდს თვალს, თითქოს სველი გრუბელი გადაუსხვესო, ზმა მოესმის, გავგება, რასაც უკრავს — გამოსათბოვარისაა, იმას თუ ეთხოვება, ამასაც ეთხოვება, გამოეთხოვება და წავა; თავისსავე თავგადასავალს თუ ეთხოვება, მოიგულისჭირებს დ წავა; ჰო ამისთვის მოსულა, რომ წავიდეს, ეს სიღამაზე, ეს მომზიბლაობა, ეს მიმზიდველობა უნდა წავიდეს. და ნისლი ჩამოდის, ნისლში იღვება, ქარწყლდება, ქრება, მხოლოდღა მოინმის კლავიშების ზმა, ისიც შორეული, მელოდია მოინმის გამოშვებებისა. ველარ ისვენებს, დგება, თითქოს უნდა წამოეწიოს იმ ზმასა, მიდის, მიდის და აი აჰა, იმის მხრებთან შეჩერებულია. ის კისერს გადაიდგებს და აჰხედავს ნაპერწკლიანი თვალებით, აჰხედავს და დაიხრება ისევე კლავიშებზე, ისევე შორდება, აქვეა და მაინც შორდება. უცნაურად შემოეჭრა ცხოვრებაში, შეიარყია, შეიანჯღრია, ააფორიაქა, უცნაურადვე სტოვებს, ეცლება, იღვება, იღვება ზმათა.

ქიქისკენ გაიწევეს ხელი, თითებზე ციმციმებს ბეჭედები, თითქოს თვალთა ანახსლუტები ჩაუსხამს იმ ბეჭედებშიო. მიჰყვება ამისი ხელიც, შეიბყრობს ასხივებულ თითებსა და ჭავლებიან ქიქას. — წელან ხომ მე დაგალევიყო. დამალევიყო, ისე ხელჭიქიანად მიაქვს იმის წამოწვდილ ტუჩებთან. ვარჯარებს წელანდელი ცივი თითები, თითქოსა სცდიან, ალალი ხარ თუ შემცოდნო. არაფერი შეუტოდნია, გაუძღვებს, მაგრამ თავში ავარდა ცეცხლი, გულზე ხომ მოედო და მოედო, ვერა, ვერა, ვერა გაუძღვებს, არაფერი შეუტოდია და შირნი ვეღარ გაუძღვებს, რადო, რატომო, უნებლიედ ხომ არ შესცოდლა? ახლა გაიგებს, დარწმუნდება წმინდა სამსჯავროში. კანკალებს ხელი, ახლა ამისი ხელი კანკალებს, ლამის გაუფარდეს გავარჯარებული ლითონი, გაუფარდება და შეზომუვლებს ხალხი, ცოდვილი ყოფილაო, კუდიანი ყოფილაო. თვალებს აცეცებს, მართლა ხომ არ მოკრილა ხალხიო; თვალებს აცეცებს და უფარდება ცეცხლი ხელიდან. რა გემართებათო, ის ეკითხება, თვალე-ბითვე ეკითხება სახეგახსნილი, ნამე-ბი, ნასიამოვნები. მოკრიალეხულა, წელანდელ ნაჩრდილს გადაუვლია ან ღრმად მიმალულა. მოსვიო, მიიწვდის. მოსვამს. ახლა მე დავლევე, ვავიგებ თქვენს საიდუმლოსაო. მოსვამს, — ვავიგებ, ყველაფერი ვავიგებო, კისკისებს. ქიქას დადგამს და მიუბრუნდება კლავიუმს.

ეს შეგებებაა რაღაც ახლისა, რაღაც ძლიერისა. სანდრო გუმანით ხვდება, ის გამოთხოვება რომ იყო, ეს შეგებება რომ არის. მორღვეული ნაბიჯით მიდის ფანჯარასთან, ზურგზე მოჰყვება შეგებებისა და იმედების ხმები, ქალაქიდან არაფერი ესმის, თითქოს დაღუძმებულა, გამტკნარებულა ქალაქიო. ხეებიც არ ირწყვია. ღობრად ლაპლაპებს ყვითლად შეღებილი კედლები მაღალი შენობებისა. იქიდანაც მოისმის ხოლმე ხმაური, ქალაქის ხმაური, ახლა სიწყნარება. სამაგიეროდ აქა

ქლერს მუსიკა იმედებისა. სინარული მიგებებისა, ქლერს და მიწყდება, ხუფი ეხურება კლავიშებს. აჰა, წავიყვანე, წავიყვანე. ნურაფერს იტყვის, აღგეს, გაიხუროს კარი. აქედან დაინახავს თუ როგორ ჩაივლის კვერნაქის ქუჩას. ნურც მოიხედავს, ჩაიაროს თავდაბრილად, თუნდაც ნუ დაჰხრის, ჩაიაროს თავაწულმა, ოღონდ აქეთ ნუ მოიხედავს, ესეც ააცილებს თვალსა. აგერა მთები, აგერა ზეცა, იქით მიმართავს თვალის ჩინსა, რომ დაიხედავს, აღარც ეს იქნება, ჩათავებდა კვერნაქის ქუჩას. მართლა ხომ არ წასულა? შეეშლება ვიღაც გამვლელში, კისერს წაიწვდის, — არა, სხვა არის, არც არაფრითა ჰგავს, ნეტავი რად არეგია თვალე?! სკამი გაიჭრიალებს. აქ არის. გარეთ იხედება, გარეთ კარგად ვერას არჩევს, ოღონდ თითქოს კეფაზე გამოსხმოდეს თვალეები, ხედავს: ზუფს დაესხნება, ბეჭედებს აწვალბებს, გამოიღებს, გაიყუთებს. სრიალებს თითი, ბეჭედებს მიწვეული თითი. ბეჭედებს დაესხნება, თვალეებზე აიფარებს ხელებს, არის ასე თვალეებზე ხელაფარებული, მერე წამოვია, იმისკენ წამოემართება, ეგრე თვალეებზე ხელაფარებული. აგერა, იმის მხართან მოსულა, აგერა, იმისი სუნთქვაც მოესმის.

— ეს იყო სულ... ახლა გამოგემშვიდობებით. — ამბობს და იდაყვზე ეხება ოდნავად, ალბათ, მხოლოდ ფრჩხილით, შუათითის ფრჩხილით.

— ნუ გამოგემშვიდობებით... — არ შემობრუნდება, თითქოს ქალაქს გადასძახისო.

— რატომ?! — კითხულობს ასე: მე გამეგება, მაგრამ შენ თუ გესმის, რას ამბობო.

— არ ვიცი... — სახე კვლავ ქალაქისკენ მიჰქცევია, ოღონდ ვეღარც ქალაქსა ჰხედავს.

— უნდა იცოდეთ. რომ დავრჩე, მერე?

თითები მოედება აქეთა იდაყვს, აცოცდება. შემოველება, მეორე ხელი

მხარზე გადადის, აქეთა მხარზე ნიკას დააყრდნობს, ასე ამბობს, რომ დავრჩე, მერეო, — ასე ამბობს და ნიკაპი ვერ მოსდევს თავისუფლად, კბილები კაპუნებს, თითქოს წყრიალებს, გაიწყრიალებს და მოიხშობა.

— მერე? — სანდრო იმეორებს მოგუღული ხმით.

— მერე...

— დარჩი ისე, როგორც დარჩები იმასთან, ვისაც ცხოვრების თანამგზავრად აირჩევ. — ძლივს ამბობს, ოღონდ დაჯერებით ამბობს.

ის ცოვად იცინის, იქვე, იმის მხარზე, იმის ყურთან იცინის.

— ერთხელ რომ შევცდი, განა იმიტომ, კიდევ რომ შევცდებ...

და სცილდება თითები იდაყვიდან, მხარიდანაც მისცურავს ხელი, ნიკაპიცა სწყდება, მიდის, უკვე კართანაა, დერეფანში გავა, იქ წამოსასხამი აქვს, შავი, თხელი, საფრთხანა წამოსასხამი, გავა და მერთალი ჩრდილიც წამოეფინება შუბლზე, ჩრდილი წუხილისა, ჩრდილი იმედგაცრუებისა. ეგება უკვე შეუთამაშა იმა ლანდმა, — აქ ავი შემოაპყვა, შეუთამაშებდა. შემობრუნდება — მართლაც შემოვლებია მქრალი რამ ლანდი. ვინ იცის იმიტომ, უფრო მომხიბლავი რომ იყოს, სულერთია, იმას აღრათფერი გაეგება, გაექანება ხელგაწვდილი, რაღაცას შესთხოვს, რაღაცას ემუდრება, თვითონაც არ გაეგება თავისი სიტყვები, მხოლოდ ხმა ესმის მთრთოლვარე და ავანკალბული. მიხედება უარს, ეკარგება მთავარი ცნება. აღარც ხმა ესმის, აღარც თავისი, აღარც იმისი, ნდომა აბოდებს აწყვეტილი, მოურვეელი, ვნება აცოფებს უგზოუცვლო, უდასაბამო. ის თრთის, კარს აპყვრია, ვითა მსხვერპლი განწირული, — არაო ჩიფჩიფებს, არაო, დუღუნებს, არაო, უარობს და ვერც დაძრულა. იცის ვერც წაუვა, ვეღარ წაუვა მოვარდნილ ძალას გამთანგველსა და დამბუგველს.

მერე ეს აიტაცებს, ის დაუსრიალ-

დება მკლავებში. კვლავ აიტაცებს, შეეშინება მოეხლანება და დაუსხლტება, დაუსხლტება, ოღონდ არ გაექცევა, იქვე დგას, დგას მიმზიდველი და მიუკარებელი. მაინც მიუვა, წელს შემოსალტავს, ძარღვიანად შემოსალტავს, დაიმედდება, ვეღარ წაშევაო, ვეღარც ირხევაო, გაეხარდება. მართლაც არ ირხევა, ოღონდ ორივე ხელით ნიკაპზე მიაწვება, კისერს გადაუქნევს, გადაუკიმაეს და უჭირავს ეგრე. წამოწვდილი ტუჩები ჰაერში სავსავეებს. არა მრისხანებს, არცა კისკისებს, დინჯობს, თითქოს აკრობატული ილეთისათვის ემზადებო. ეს შეუშვებს მარჯვენას, ხელები უნდა ჩაუხსნას, ნიკაპიდან უნდა მოიშოროს, უნდა მიუვნდეს, გულთან, ტუჩებთან უნდა მიუვიდეს როგორმე, ჰო მარჯვენას შეუშვებს და ვეღარ შეიკავებს მარცხენათი, დაუსხლტება. აღარც გაუჩერდება, ვარს შემოურბენს, ხელებშია გაუჭვრება, შემოველება საეარძელს, გაუციუნებს, ენას გამოუყავს, ვერ შემობყვრობო. ბოლოს კიბეს აირბენს, სიცილითვე აირბენს, აირბენს მსუბუქად, თითქოს აფრინდაო. ეს აპყვება ბრაგაბრუგით, აპყვება გახელბული, გავეშებული. იქ საწოლის კარი ქანაობს, გამოაღებს, გამოიპყიტება, გაიკისკისებს, მოაზღეროებს და მოაწვება, არა ჰქეტავს, მხოლოდ მოაწვება. ეს აქედან მოაწყდება, ის იქიდან იცავს, ქანაობს კარი, ირხევა კარი, ის არ უშვებს, ეს არ ეშვება. კარს ძალა აღება, ანჯამები სრქიალებს, თითქოს უნდა ჩამოვარდესო, თითქოს ჩარჩო დაიძრაო... მალე მიუყურდება კარი, სრული მღუმარება მოიცავს იქაობას.

ბავშვის ოთახში აყვანი შეირხევა, ცარიელი აყვანი, მზეგადასული, შეირხევა, თითქოს ვიღაცამ წაპკრა ხელიო.



ლა, თავდავიწყებას მისცემია და ვახსენებაც არ უნდა, აღარაფერი უნდა, ქვეყანას გამოსთიშვია, არცთუ მიისწრაფვის რომელიმე პლანეტისაკენ, სამყაროს გამოსთიშვია, ვარსკვლავთა ბილიკით გადასულა სამყაროს იქით, უსასრულობას შენივთებია და მზეც აღარ უნდა; მზე თავისას არ იზღის, აქეთვე ეწევა, აქეთვე გაიტაცებს, გამოსტყორცნის, იმავე ქალაქში ჩამოაგდებს და თვალს მოსჭრის სახურავების ელვარებით. გათენებულა, რა ვუყოთ თუ გათენება არ უნდა, მზე გაუთენებს, ზეცას გადაქუსლავს, საშუადღეოზე დაეკიდება, ალბათ, დაემებენ, კითხულობენ უფროსები თუ უმცროსები, უფროსები მრისხანებენ, უმცროსები ბუზღუნებენ ან ჰეილავენ გათამამებულნი, აქ არ არისო. უფრო ახლოს მდგომი უმცროსი იმის ადგილს მისტანებია, მაღიმაღ მირბის უფროსებთან: ვინმემ მოგვხედოს, გვიჩიოს რამე, ასე უპატრონოდ რომდემდის უნდა ვიყვეთო. უფროსებიც ურჩევენ და იმუქრებიან. იმუქრონ, არ უნდა, აღარ უნდა, ვარსკვლავების გზა უსწავლია. აქ აღარ უნდა, მზის ბრალია. მზემ ჩამოაგდო ამ ქვეყნად, მზემ დაუბრუნა სააქაო ვაწაწაწას, სამსახურის მომამბეზრებელ ალიაქოთს, აღარ უნდა, აღარ ჩაებმის იმ ალიაქოთში, დღეს მაინც აღარა, აღარც ივარგებს, საშუადღეოს მისულა მზე, აღარ ივარგებს, დარეკვით მაინც დაურეკავს, შეუძლოდა ვარო, დაურეკავს და მოიშორებს სამსახურის ბურანს. მზემ თავისი იცოდღეს, იქპაროს, რახანაც აჩქარებულა. წავიდეს. ჩავარდეს მთებში, ვარსკვლავები აკიაფდებიან და მიეცემა ვარსკვლავთა ბილიკებს. უსაზღვროს, უსასრულოს, ულამაზესს.

ეს გაიტაცებს, ამან იცის ის ბილიკები, გაუტაცნია, კვლავ გაიტაცებს. მხოლოდ ჭერ ძინავს, ეძინოს, ეძინოს უმანყო ძილით, უცოდველი ძილით. დაბლა იქოთქოთოს ქალაქმა, მზესთან ერთად იქოთქოთოს და იფუთფუთოს,

ოღონდა აქამდის არ ამოაღწიოს იმა ხმაურმა, არცა მტვერმა. ქალაქი მტვერმა არ ამოაღწიოს, არაფერმაც მტვერმა აკრთოს ეს ნაზი ძილი, ეს მოსვენება უჩვეულო მჩქეფარების. უმტვეროდ მაინც თუ ვერ გადარჩება, ჩამოვიდეს მტვერი კვერნაქის ყვავილებისა, აბიზინებულ ფერდობებიდან აკრუფილი მტვერი, ქალაქისა იქავე დარჩეს, დაბლა, გულშივე დატრიალდეს, იქავე დარჩეს. და ქალაქისკენ ფანჯრებსა ხურავს, დარაბებსაც, გაალებს კვერნაქებისკენ, მთებიდან შემოვიდეს ჰაერიც, მზეც, ჭერ აქ შემოვიდეს, მერე წავიდეს, გადაიაროს ქალაქზე, გადაიაროს და მალე ჩავარდეს, იქითა კვერნაქებში ჩავარდეს, დასავლეთისაკენ ჩაივარგოს, იქპაროს, ისწრაფოს, ხარგუთანი, დიდი დათვი, ირმის ნახტომი გადაიჭიმოს კვერნაქებიდან კვერნაქებამდე. მანამდის იძინოს, მოისვენოს, ძალა მოიკეს, თუმცა ის ძალა მჩქეფარი, დაუდგარი, ვნებაა დაუმცხრალი, მაინც მოისვენოს, იტვირინოს, იყუროს. და გაუჩქებულა. ალბათ, იმიტომ, ამან დაისვენოს, ძალა აღიდგინოს, რომ ავარდე, შემეტოლოსო... სიცოცხლისათვის გაჩენილა და სიცოცხლეს იწვევს, დარბის, დაპქრის, კისკასებს, კისკისებს, სხლტება, სრიალებს, მოქნილა ვითარცა მცოდური ევასი, თვით ევა, სირცხვილი რომ არ იყოდა სიშიშვლისა; დაპქრის ნახევრად შიშველი, დაპქრის, დასრიალებს, შეესკვნება და გაქექევა, შეესკვნება ლამის სულში ჩაუძვრესო, გაუსხლტება და თითქოს სულიდან ამოუვარდაო. და მისდევს, მისდევს თავის სულსა, უნდა ჩაიდგას, შეესკვნას, შეუნივთდეს. ერთნი ყოფილან, ერთად შობილან. ბუნებას გაუყარია, რომ ეძებნათ ერთმანეთი, ეძებნათ და ეპოვნათ, ეპოვნათ და შენივთებულნიყვენ. ისინი მალე ბეზრდებოდნენ, თურმე ამიტომ, სხვანი ყოფილან, არა ყოფილან იმისი ნაწილნი, მობეზრდებოდა, მაშ რა იქნებოდა, ვერ განუძლებდა, ვერ აიტანდა, თავისი ეძებდა, მოუხმობდა,

მოუწოდებდა, იღუმალი, თავისას ეძებდა, მიჰყოდა, მიჰქაქანებდა და ავიწყლებოდა შეცდომით აღევნებულნი. ჰოდა არა სტყუის, არ გაემტყუნება თუ სცდებოდა, ამიერიდან გაემტყუნება, იპოვნა იგი. ვისაც ეძებდა, თუ მიატოვა გაემტყუნება. მაგრამ დადრკა მაცდური ასე აღვილად? ეგება ესეც შეცდომა ვახლავთ, ეგება მხოლოდ დაბნეულობაა? ო, არა! ვინ იცის, ვინ უწყის სხვა არის საძებნელი. ასეთი სწრაფია, ასეთი კისკისი, ვინ იცის ახლოსა, ვისი ცალიც არის, ის ანჭარებს, ეწევა იღუმალი ძალით, და შიშობს, არავინ წარმტაცოს ან თვითონვე არ გამეჭვცოს, შიშობს და გარეთ ვერ გასულა, ჰგონია, შინ აღარ დამხვდებაო.

იმათი შიში არა ჰქონია, მობეზრებოდნენ, წასულიყვნენ. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონოდათ. დახარბებული ვნება ახალ-ახალს ეტანებოდა ან უძალონი თუ მცირე ძალოვანი შეხვედროდნენ, ვერ აღდიოდნენ იმის მადას. ეს ძალოვანი გამოდგა, ძალოვანი და ეშხიანი, გააბრუებდა და გამოაფხიზლებდა, დაძუგავდა და განაახლებდა: ადამ და ევობანას ეთამაშებოდა, ეზო თითქოს სამოთხე ვახლდათ, ვაზის ფოთლებს ეფარებოდა. გაინაბებოდა ლელვის ტოტებში, მიინახებოდა. მიიკმიდებოდა, აღივსებოდა სასოებითა, თითქოს სიწმინდე განსახებულა მასშიო, ან აი ესაა პირველი ქალი, ჯერ რომ არაფერი გაუგია, მხოლოდ გრძნობს რაღაც იღუმალსა, გარდაუფელსა, გრძნობს, ოღონდ არ იცის საიდან თუ როგორ მოველინება, არ იცის და შიშით შეჰყურებს ყველაფერს, კენჭებს, ბალახებს. თვით იმ ფოთლებს, შიგ რომ გახვეულა. მაგრამ უცებ გაიკისკისებს, შეფრთხილდება, თითქოს სხვარამ არის, სულ სხვა რამეო, თითქოს ალქიაო, აქ გაიკისკისებს და იქით გაისმის იგივე კისკისი, იგივე ფრთხილი, სწრაფად გადავა, სწრაფად მოინაცვლებს ადგილს, ოღონდ თითქოს

იქ კიდევ სხვაც უნდა იყოსო, თქვენს ორია. ორი კი არა, რამდენიმეა: შეშოქა ჰხვევია გუნდი ალქთა. აუტაცინათ და აქანავებენ, მალა ჰაერში აქანავებენ, გრძელი დალალები გაუკიდიათ საქანელად, ზედ უფსკრულზე გაუკიდიათ. — ჰა, გამოაცალონ თუ არა საქანელა, გადაისროლონ თუ არაო, უფრო მადლა აიტაცონ თუ მისცენ უფსკრულსაო; თითქოს უნდა მისცენ, ოღონდ ჯერ არა, ასე მალე როდი ეთმობათ, ჯერ ხარობენ შვილნი ბუნებისანი, შვილნი იღუმალებისანი, შიში რომ არ იციან. იციან სიცოცხლე, სწამთ მარადისო, სჭერათ და სტკებებიან, ლაღობენ, ხარობენ, ემალეებიან, უხმობენ, გვიპოვნეო: „კუკუ!“ გაისმის აქაც, იქაც, იმას იქითაც, რომელს მიმართოს, რომელს მიეტანოს. — აქეთ მიატანს, იქიდან მოსძახის ალქი ფიცხელი, ალქი მწველი, ალქი ელვარი. ტლაშუნებს ფოთლები, იღუმება ლელვის ტოტები, აქ ტლაშუნებს და იღუმება, ზოლო კისკისი მალა, ოთახებში გამოფხვევია, ოღონდ რომელში? მიაგნებს, შეიბყრობს, ის თუ ფერიაა, ეს სატირია, ის თუ დაჰქრის, ეს დაბაკუნებს. ის თუ გუნდივითაა, ეს ჯოგადა ქეუღლა. თითქოს ჯოგად შესევია და გზას ველარ იგნებს დამფრთხალი ფერია, კუთხეში იყუტება, თვალებსა ნაბავს, ეგება გამცდეს, ჩამიაროს ჩლიქთა თქარუნითაო; ხან თუ ასცდება, მიეფარება, ხან ველარა, ჩაიჭერს, გაიტაცებს თქარათქურით, კბილთა ხრჭიალითა, დაუოკებელი ხითხითით.. მოულოდნელად ბავშვის ოთახშიც მოხვდება ფერია, აკვანს წააწყდება და აისუსება, აიწურება, შეერთება უშიშარი, აცხცახდება, დააცხრება სატირი იმავე თქარათქურით. იმავე ხითხითით, დააცხრება და გაიყინება, გაიყინება ერთი წამით, მაგრამ უმალვე სძლევს ეინი ატეხილი, ჩაიწეწება ლანდი აკვნისა, ჩაილევა, ჩაიკარგება. ყველაფერი ჩაიკარგება.

დამიან ასეა...

დამე გადაივლის და ამოდის ყველა-

ფერი, ჩნდება, მკაფიოვდება. ისინი თვალს მილულავენ, ძილად მიეშეებიან, და სიზმრად აპყვებიან იმავე სურათებს, თითქოს გამჭრალიყოს სიცხადე ან ისინი წასულიყვნენ, გადასულიყვნენ ზღაპრების სამყაროში, ირმის ნანტომით გადასულიყვნენ. მაგრამ სიცხადე მაინც სიცხადე ყოფილა, ზღაპრებიდან გამოურკვევია აღმამანი, სიზმრებში შესვრია ავერ ამასაცა, რომ ჩასძინებია უმანკო ძილით, დროდადრო წარბები მოელუშება ან შეჩქეფდება თუ შერაცრაცდება, თითქოს ვიღამაც ხელი წაჭრაო: აკვანი თუ ამოდის სიზმრებში, სხვადასხვაგვარ ლანდებად ამოდის, კრთება, აერჟოლებს, ვერ მოუსვენია. ჰო, უღმობელი ყოფილა სიცხადე, სიზმრებშიც შეჭრილა, ზღაპარიც გაუფანტია. შინ რომ ჰქონოდა ცოტაოდენი მარაგი ან გამზადებული სადილ-ვანშაში შემოედგათ ზღაპარივით, ეგება მალე არ გასწეწოდა თუ გაჭანტოდა ზღაპრული ჩვენებანი, მაგრამ მხოლოდ ღვინო ჰქონდა, შეეცარტული ყველის პატარა ნაჭერიც შემორჩენოდა. ის ღვინოს მოსვამდა, მოკუენიდა ყველსა და თვალებს აქუქუნებდა. მეტი არაფერი მინდაო. ეს ვერ დაიჭერებდა, თუნდაც დაეჭრა, უნდოდა, მიერთმია ნუგბარი საზრდო, დეტტბო გემრიელი საჭმელებით; თავისთავისაც უნდოდა, ძაღა უნდა აღედგინა, თორემ უფრო სწრაფად გამოეცლებოდა ზღაპარი, ეშხი დაეღეოდა, ხოლო უეშხო ზღაპარი ცხადზე უარესიაო. სამსახურში მიუსვლელობაც აღარ იქნებოდა, ერთისიტყვით გარეთ გასვლას ვერ ასცდებოდა; ვერ ასცდებოდა და ნუ ასცდებოდა, გაეიდოდა, მოიხდიდა სიცხადის ვალსა, გამოიტანდა თუ გამოიტაცებდა, რაცა სჭირდებოდა, ვიდრე იმას ეძინა უმანკო ძილით.

იბინე ტკბილად უმანკო ძილითაო. — და კარს გაიგდებს, გაიჭახუნებს, მაგრად ჩაპტეტავს, ფანჯრებსაც აპხედავს, კარგად თუ არის მოგმანილიო, არსაით შეიჭრას სიცხადე უღმობელი,

არ გაუერთოს უმანკო ძილიო. ოღონდ არაფერი ყოფილა მიუვალი სტეცხედულო სთვის: იქაც დარეკა, დარეკა: შარმაქქქქქ ისე ძლიერად დაიჭრიალა, თითქოს შეირყა სადარბაზო კარიო, ჩარჩო და იძრა, თალი უნდა ჩამოიქცესო. ასეთი ძალით მხოლოდ დიდი გატაცება თუ მოვარდებოდა, და უფრო აიწიოს. აზავთდეს, — გამოჰღვიძებია, ოღონდ ისევე ნებივრობს ლოვინში, ხარის ხმაზე წამოჭდება, ნელნელა ადგება, ნელნელა წამოისხამს ხალათს, ვინ იცის რომლისას, მაგდასი, ლალისა თუ გურანდასი, სულერთია, რომელიც მოეწონება იმას წამოისხამს, ჰო, ნელნელა წამოისხამს, დაე აზავთდეს, მოლოდინში ისიც აენთება და ჩაირბენს, ჩაიფრენს, იმავე აღტაცებით, მიეგებება იმავე გზნებით, ოღონდ იქვე როდი დაუცდის, კარს გამოაღებს თუ არა, შემოტრიალდება, ამოირბენს, ამოირბენინებს, შემოიჭროლებს, შემოაჭროლებს. სულს არ მოითქვამს, სულს არ მოათქმევინებს, ჩაიხვევს ასე სულმოუთქმელს. მაგრამ ჰო, მაგრამ თურმე აღსრულება აღარ ეწერა ამ განაზრახსა, კარს გამოაღებს თუ არა გაშეშდება: კარებში ფერგამკრთალი ქალი დგას, თვალები უღლავს გორბინად, ლოყები შეფაყლებია ან ტოტტოტად, წერილად გამოეშლება სისხლი, დაუწყდება და გამოეტოტება. საბანში გამოკრული ბავშვი მიუხუტებია გულზე. ბავშვს უნდა ეძინებოდეს, იტვრენს და ფშუქუნებს, გაისუსება და წამოიტირებს. „სსს...“ — ეფერება დედა, იმას ეფერება, ხოლო ეს ლამის გაფატროს თვალით. მაჯაზე ჩანთაც ჰკიდია, ცდილობს ჩამოიხსნას, ისე ჩამოიხსნას, არ შეერბეს ბავშვი. ეს ეშველება, ჩამოართმევს. გმადლობთო, ეტყვის, სალამიც ესაა, გაცნობაც, აღორცა სცალიან, ბავშვს ეძინება. აკვანს მიაშურებს. ესეც მიჰყვება ფეხდაფეხ, ესეც ფუსფუსებს. იმას არ ეხერხება აკვანი, ამას სულ არა, მაინცა ცდილობენ. ერთადა ცდილობენ, აკვანში

აწვენენ პატარა ბიჭსა. ილიმის ბიჭი, თვალეზი ეხუტება და ილიმის, წამოიზნუქუნებს, მაინც ღიმილით გაახელს თვალსა, გაახელს და მილულავს ღიმილით. შიბაქს ვერ უმართავენ, არტახებში ხელეზი გახელარებათ, ხელი ხელს მოხვდება, ორივე გაცივებული, ყრუოლიანი, თასმები ჩაიკვანძება, უჭირთ გამოხსნა ყრუოლიან ხელთა. გამოხსნა, შემოუჭერენ...

არწვენენ, ორივეს წაუტანებია ხელი, არწვენენ აკვანს. ხმას არ იღებენ, რწვეა მოისმის თანზომიერი. თანაბარი, გალაქულ პარკეტზე მისცურავს აკვანი, ფეხს ინაცვლებენ, ფეხის ხმაც გაისმის, ოღნავად, ძლივს გასაგონად. ოღონდ ფიქრები რომ ამფორიაქებით, გული უბაგუნებთ და ჰგონიათ, ვევირითო: „სსსსსს...“ — აფრთხილებს ერთი, „სსსსსს...“ — აფრთხილებს მეორე, ხოლო გული მაინცა ბაგუნებს, მკვებ სიტყვაპასუხიც მოჭრილა ბაგესთან, მოჭრილა და გადმოჰხეთქავს, შუაში ბაგეში რომ არ ჩამდგარიყვეს, ბაგეში უტოლდელი, მიძინებული. ფეხაკრფით გადაიან, ძილი რომ არ დაუფრთხონ, შუა დარბაზში შეჩერდებიან და ერთხანს კიდევა მდუმარებენ, თვალითა ზომივენ ერთმანეთს...

— არ ვიცოდი... — დიანა ამბობს დამორჩილებულის ხმითა.

— არც მე... ოღონდ ყოველთვის ვგრძნობდი, ჩვენს შორის ვიღაც რომ იდგა. — ამბობს გურანდა.

— შარშანდღამდის არც ვიცნობდი. — თავს იცავს დიანა.

— არც მე... მაგრამ წელიწადიც დიდი დროა, ზოგჯერ შეიძლება ბევრი რამ მოხდეს.

— ბევრი რამ! — დიანა უდასტურებს ფიქრიანად და სევდიანად ამასაც მოადევნებს, — რა იქნება ამის შემდეგ?

— რა მოვახსენოთ! ძე შემოვიდა თავის ოჯახში!

— ეგ მესმის, შიში ნუ გექნებათ, უნდა წაივად, ეს ცხადია, ამიტომ არ

მიკითხავს, რაც ცხადია. გამორყვევად არ უნდა. ოღონდ ეს წელი ჩემთვისაა შეცდომების წელი გამოდგა, რა იქნება ამის შემდეგ, სადამდის მიმიყვანს გულუბრყვილობა...

— თუ მაკლური?

— არ ვიცი! ყოველშემთხვევაში ეს მაკლური არ არის.

— მსხვერპლი?

— არც მსხვერპლი.

— გაშე?

— ძნელი სათქმელია, — მხრებს აკყრის დიანა, — არც მომწონდა. არც არაფრით იყო ჩემთვის მიმზიდველი, არც მაგას გააჩნდა ძალა ჩემი დამორჩილებისა, მაგრამ აი მაინც აქა ვარ. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, აქა ვარ და ზედმეტილაა ლაპარაკი. აქა ვარ და სინანულში ვარ. გვიანდა არის თითზე კბენაიო. და მაინც ეს შეცდომა მაინც აღარ უნდა მომსვლოდა. — თვალებს დაჰხრის, — თუ იცით, აქვს თუ არა დასასრული შეცდომებს? — იკითხავს ეგერ თვალდახრული.

— აქვს!

— გჯერათ?

— მჯერა!

— მეცა მჯეროდა.

— ახლა?

— ვეშვობ... არის გარემოება, როცა თავგზას ველარ გაიგნებ, ველარც სიბრძნე გიშველის, ველარც სიკეთე, ეშმაკიც ველარას გიშველის. გაბრუნდები, გაოგნდები და რომ გამოერკვევი, უკვე გვიანდა...

— ყველას არ ემართება ასე.

— ყველას არა! ზოგი სწირავს, ზოგსა სწირავენ, ზოგი შეიწირავს, ვინცა სწირავს. არ დაემართება, ვინც შეიწირავს, არც იმას, ვისაცა სწირავენ?

— ჰა,ჰა. ჰა... და მაინცა გჯერათ, რომ მაკლური არ არის?!

— ესა?! — დიანას მწვავე ღიმილი გადაეფინება, — მჯერა და არც არის!.. აქ არ იწყება ჩემი შეცდომა. თუცა რა საჭიროა!.. მშვიდობით! — ჩანთას მოძებნის, წამოსასხამს გადაივლებს

მკლავზე, კარს გამოაღებს, — შშვიდობით! ოღონდ ფრთხილად, განსაცდელი გელით!

— ვიცი...

— უთხარით, რომ აქ არ დაგხვედრივართ.

— ვეტყვი, როგორც იყო, სადაც სიკრულა, იქ სიმტკიცეც არ არის.

— ძლიერი ქალი ყოფილხართ.

— გმადლობთ!

— შშვიდობით!

— შშვიდობით...

კარი იხურება, გურანდა დგას, ვერც მიაცილებს, ვერც გამობრუნებულა, თითქოს ერთ ადგილს დაჰყინვიაო, ძარღვებიც უჭრიალებს, სცივა, ვერც ვერაფერი გაათბობს. ხელებს იფშენებს, ისევამს, ისახუნებს მკლავებზე, მხრებზე, კისერზე, ლოყებზე, ვეგბა დაიძრას სისხლი. წელან რომ მოაწყდა, წითლად დაეტოტა ლოყები. ახლა იქ ლურჯი ზოლები ამომქდარა, დაკვანძულა, დახორკლილა კანი. მოულოდნელობისა იყო. ვგრძნობდიო, უთხრა, მაგრამ სხვა იყო ის გრძნობა, ის შიში ვიღაც უცნობისა, შორეულისა, ვინ იცის უკვე გარდასულისა, როგორც მაშინ ვარაუდობდა თავის დასაშვებდლად. ხოლო ეს შეხვედრა სხვა რამ გამოვიდა... სამშობიაროში ელოდა, ბიჭს ჩასძახოდა, მამიკო მოდიო, მამიკო წაგვიყვანს, აგერ გვიხმობენო. თითქოს ესმისო, თვალებს აჭყეტდა პატარა ბიჭი, მერე ტირილდა. მამიკო მოდიო, უმეორებდა, სსსტუ... გაიგონე, დაიხსოვე, აგერა იმისი ფეხის ხმაო. ჩაიძინებდა ბიჭულკლა, ნანას დამღერდა, აქა მამილო, მამილო აქო. მაგრამ მამილო არსაით მოსჩანდა. მამილა მრისხანებდა, ჩემთან დაბრუნდი. ჭანდაბამდისაც გზა ჰქონიაო. ქეთევანიც ვადანდგომოდა, დაბრუნდი, მამილას გაუგონეო. არ გაუგონა, მამას მოჰგვარა ძეი, კარს რომ მიადგა, ხელი ამოუთათა, ზარის დილაკთან მიუტანა თითი: დარეკა ზარმა, რატქმუნდა დედამ დარეკა, გააღეთ კარი, იხარე ჰერო, მოკვდი მტეროო,

გააღეთ კარიო. და რეკდა ზარი, რეკდა გულიც. ახლა გაყინული გულეკვლევი ვები შეუთბა, შეუთბა ლოყებზეც. რეკდა თბება თუ არა გულიც? ბიჭი მაინც ატირებულყოფიერ ან ის არ წასულყოფიერ, გაჭიქებულყოფიერ, რაღაც მომხდარყოფიერ, ამ მღუმარებას და გაყინულობას ყველაფერი სჯობდა. ასე იქნებოდა ვაებატონის დაბრუნებამდე, მალე მაინც დაბრუნდებოდეს; დაბრუნდება და რისხვას დაატეხს, მოვიდეს, დაატეხოს, მალე, თორემ ისევე ეყინება ხელები, ლოყებიც ეყინება, გული ხომ, გული არც შეთბობია.

მერე უცებ გაუვარვარდება გული, ოღონდ არ ამოუვა საზღვრიდანა, ვერ წაუვა მტკიცე ნებასა, ეს მაშინ, სადარბაზო კარი რომ შეჭრიალდება, ნაცნობი ფეხის ხმა შემოვარდება დარბაზში. ფეხის ხმასვე ეტყობა სიხარული, პირშშოთი გაბედნიერებული მაშის სიხარული როდი, არა, სხვა რამ სიხარული, სხვა რამ გატაცება ფეხის ხმასვე ეტყობა, არც უნდა აიხედოს, სახეც წარმოუდგენია, მთელი სხეულიც, მოზიღული, აცტებული; პო არც უნდა ამოიხედოს, თავი ჩაუკილია, გულზელი დაუტყრეფია, ზის დევანზე, როგორც იქნა მოსწყდა ერთ ადგილს, დევანზე ჩამომქდარა, იქ დალოდება. იქვე აირევა ხმა ფეხისა, სახეც აირევა, მხრებიც მოიმტკრევა, ახედვა არ უნდა, ისედაც ეტყობა ფეხის ხმაზედ:

— შეეენ? — შესძახებს, ამაზეც ეტყობა.

— სსსსს... ბიჭსა სძინავს!.. — გააფრთხილებს, მაინც არ აპხედავს.

— სად არის?!

— იქ, აკვანში!.. — აპხედავს დედის სიამყაით.

— სად არის-მეთქი... ის!.

— წავიდა...

მკლავები ჩამოსწყდება ვაებატონს, სქელ-სქელ ქაღალდებში გახვეული რაღაცრულადაცა ეჭირა ხელში, ძირს დაუტოვია, გადაედება, კონიაკის ბოთლი დგაფუნს გაიღებს, შემწვარი ქა-

თამი გაიტყაპება. ტორტი აილუფებდა. კეხურა ვაშლი გაიბნევა ზოგი საით, ზოგი საით, წაევა გორიალ-გორიალით.

— შენ აიძულე!...

— არა!

— რომ მოხვედი, იძულედაა...

— მაშ რა შექნა?! — კითხულობს ისე, თითქოს და რაო, არ ვიცოდი. მიჩნე, ამიხსენი და მოვიტყევი შენი რჩევისამებრო, დაგვიანებული არ არის, კიდევ გამოსწორდება, ყველაფერი გამოსწორდება. ჰო თითქოს ასე კითხულობს და სანდროს უყვირს, არ იცის ვანა თუ როგორ მოიქცესო: ალარა სურდა ერთი — წავიდა, აღარ ისურვა მეორე — წავიდა, იმათ გაუგეს, ადვილად მიუხედნენ. ამას რაღა დამართნია, თითქოს ბევრად გონიერი ჩანდა. იმათზე გონიერი ჩანდა, იმათდენსაც ვეღარ მიმხედარა?! წავიდეს, ადგეს და წავიდეს, რომ არ მოსულიყო, ბევრად უკეთესი იქნებოდა. რად უნდა ამას კითხვა-პასუხი, ასეთი დრამატული ხმა, ან ასე გაფითრებული სახე რად უნდა?! — ადგეს და წავიდეს.

— შენ უკეთ იცი... — გამოთქმით მხოლოდ ასე გამოსთქვამს.

— მე? მე ბიჭს მოვეყვი, ბიჭი მომიძლოდა, მეტი რა ვიცი?!

— ფეხი აიდგა?! — დამცინავად კითხულობს სანდრო, — ენა, ენაც ზომ არ ამოიდგა, ჰა?!, ჰა, ჰა, ჰა...

— სსსს... ბიჭი გაღვიძებდა... — შიშობს გურანდა, დგება, კიბესთან მიდის, მიაყურადებს.

— უკვე იარაღად გადაგიტყევი ჩილი არსება, ჯერ თვალი არ აპხელია, ცნობა არ მოსვლია და უკვე ჩაგითრევი დიდთა ამბებში, საშოდან პირდაპირ ცხოვრების მორევში გადაგიგდია, შენთვის, შენი ინტერესებისათვის ჩილიც არ დაგინდვია...

— ჩუმად! — ხმადაბლა, ოღონდ მტკიცედ ამბობს გურანდა, მადლიდან თითქოს ტირილის ხმა მოესმაო.

— ლაპარაკსაც მიშლი?! ჩემს სახლში, ჩემს ჰერკვეშ, ჩემს საძირკველ-

ზე ლაპარაკსაც მიშლი?! — სისინებს სანდრო, სისინებს და თითქმის: ჩეღლაჟი ნჯავს, — ჩემი ოფლის მონაგარი, ჩემი შიშისა და ღელვის შედეგია ყველაფერი ეს, ჩემი შრომაა, მხოლოდ ჩემი! მაშინ გვერდით არავინა მყოლია. არც მომხმარებ, არც გამომხნევებელი არავინ, არავინ გამომჩენია, ახლა კი... ჰმ! რატომაც არა, მზამხარეულზე ბატონობა ადვილი ყოფილა...

— ამაოდ ღელავ, არაფერი მესმის, — ნაძალადევი სიწყნარით მოუგებს გურანდა, — დამშვიდდები და მერე მოვილაპარაკეთ.

— ახლავე გადაწყვეს! — ყვირის სანდრო.

ბავშვი ატირდება.


— მერე!.. — კიბეზე არბის გურანდა, ურყევად, მტკიცედ დასძახის კიბიდან; მტკიცედაო, ოღონდ იქ სადმე გულგრილი მოყურადე რომ ყოფილიყო, ადვილად შეამჩნევდა, თავს ვეღარ მოერგოდა, უმეტუნებდა ნებისყოფა, დროზე მიუსწრო ბავშვის ტირილში, დროზე მიეფარა, აკვანთან დაღვარა ცრემლი. ბოლმას გაინელებდა და გამოვიდოდა კვლავ უტეხი, დაუძლველო. ხოლო სანდროს რა ელონა, აღარ იცოდა, ცრემლით გულს ვერ მოიფონებდა ან რომელი ცრემლი, რა ცრემლიო, — გამშრალაყო, მხოლოდ ხმა მოსძალებოდა, უნდოდა ეყვირა, კედლები შეეძრა, უნდოდა ეყვირა და ხმა ვერ ამოელო, ინსტინქტს შეებორკა: ბავშვს ეღვიძებოდა, როგორ შეიძლებოდა და თავის სახლში, თავის ჰერკვეშ ასუსულიყო, აბოზოქრებულიყო და მოწურულიყო, ღამის დამსხვრეულიყო, თითქოს მყიფე რამ საგნადაქეულო. უფლება აპყროდა, დაკარგოდა ყველაფერი, დაკარგოდა, აქამდის რასაც თავს ევლებოდა, რაც ახარებდა, აამაყებდა; ამდენსა ცდილობდა, ეშმაკობდა, ცბიერობდა, მაინც დაკარგოდა, ერთი მიუზომავი თუ ატაცებული ნაბეჭი გადაედგა იქ, სამ-

შობიარო ვესტიბულში. ერთი, ერთად-
ერთი და მაშინვე დაკარგოდა. ჯან-
დაბას! აღარაფერი ენაღვლება, ამო-
ყოფილა. რაც შეიძლება უეცრად გაპ-
ქრეს, გაპქრეს ასე თვალსა და ხელს
შუა, ამოა ყოფილა და ჯანდაბას ეს
სახლკარი, ეს კარმიდამო, დგამები თუ
ხალიჩა-ფარდაგი, ჯანდაბას იყოს,
მაგრამ უფლებაც რომ აპყრია: ველარ
მოიქცევა ნებისამებრ, ვერ მოიხიბ-
ლება, ვერ შეიყვარებს, შინ ვერ მოი-
ყვანს, ვერ ვაიჭრება. ვერა, ნებისა-
მებრ ველარას ჩაიდენს, ეს რაღა ყო-
ფილა?! ქონება ერთ ხელისმოწერას
წაუერთმეგია, თავისუფლებაც იმ ხელ-
მოწერას გადაჰყოლია?! გადაჰყოლია!
იცოდა. შიშობდა, ეშმაკობდა, თვალთ-
მაქცობდა, დააბნია ერთი, მეორე, მე-
სამე ვერა, მესამე ველარ დააბნია. უფ-
რო ეშმაკი გამოდგა თუ უფრო წრფე-
ლი? — ვერა, ამას ველარ გამოარკ-

ვევს, დაბნეულო, ვასახლენსა, თუ ველარ
სამსხვრევს მისულა და ველარ ვამოყრეს
კვევს. რაც ახსოვს, ახსოვს, — იყო
თავისუფალი, ირჩევდა ქალებს, ღინს
იკლავდა და აბუჩად იგდებდა. გულს
ურევდა მობეზრებული, სხვა მოესურ-
ვებოდა, სხვას იტყუებდა ცოლქმრო-
ბის უღლით. ჰა?! არა! არა! მაგრამ და-
სამსხვრევს მისულა და გონების ძაფიც
გადასწყვეტია. რახან ყველაფერი დაპ-
კარგვია, დაე უარყოს მოსაგონარიც.
და შერე რა გამოდის. ნუთუ მონაპო-
ვარი ამასა ჰქვია?! ნუთუ ამას უკიცი-
ნებდა ის ახირებული თამადა, თამადა
იყო თუ ბედისწერა?! უკიციანებდა და
მოუპოებია, აჰა, ყველაფერი მოუპო-
ებია. ჰა, ჰა, ჰა... და კარი ეზღერთება.

— სანდრო!.. — აივანზე გადმომდ-
გარა გურანდა, უნშობს.

სანდრო აღარა ჩანს.



ხუბა ბერიაშვილი

ადრინდელი ჩვეულებანი

1949

...რაღა გსურს მისგან, პოეტო, შენა?

ადამ მიცემიანი — „საახალწლო“.

თოვს მოსკოვეურად. თეთრი ფიფქი შრიალეებს კდემით,
ფიფქი, რომელიც დღეს მზიბლავს და ხეალ არ იქნება!
არ ვიცი, რატომ მას ვამგვანე მე ლექსი ჩემი...
ახალწლის დილას რა სცოდნია, რა ჩაფიქრება!

მე ვეუბნები სიცოცხლის ზეს: წლები წარვიდნენ,
გეყო ბავშვობით მიაშობად თავის გატანა.
დროა ხეალისთვის რომ იზრუნო შენც ამთავითვე
და ქვეყანაზე გამიცოცხლო ჰანგი პატარა.

თუმც სიყვარულით თვალს შევეაღებ კიბეს, რომელზეც
მე ავდიოდი მორიდებით, ვითარ შეგირდი,
ორმოცდაცხრაო, მე შენს პირველ ცისკარს შეეპირდი,
რომ შენთან ერთად ვიბადებდი, როგორც მოლექსე.

მე შენს ლაქვარდში ვხედავ ჩემი სიმღერის ამინდს.
დღეა აღარ მყავს... მაშ ისევ შენ მითხარი: ამინ.

ჩემი თაობის ძალიშვილები

ზოგი ამაყად დაძლულუნებს მოხატულ აკვანს,
ზოგი ჯერ კიდევ ელოდება ბედნიერ ვარსკვლავს.

ზოგი სიცოცხლის სიყვარულით კოლხეთში სტკებება,
ზოგი ეამიყამ მე თბილისის ქუჩებზე მხედება.

ზოგიც... ვინ იცის, სად არის და სად გაიგონებს,
ამ ძახილსა და მდულარებით ნათქვამ სტრაქონებს!

სადაც არ იყოთ, გახსოვართ თუ არ გაგონდებით,
გათხოვილნი ხართ დიდხნის, თუ ახლა თხოვდებით.

ერთი წუთით-ლა გაიხსენეთ ბიჭი გამხდარი,
ყველა თქვენგანი რომ ეგონა მზეთუნახავი.

თვალს შეავლებდა სანდომიან გოგონას სადმე
 და სიხარულით ადიოდა მეშვიდე ცამდე...

ჩემი თაობის გოგონებო, ჩემო კარგებო,
 განა არ იცით: არაფერი არ იყარგება,

თუ მის ბწყარებში ნაპერწყლები ცეცხლის ღვივიან, —
 ეს თვითმული ნაპერწყალი თქვენი სხივია.

თქვენი სხივია და ნატეხი თქვენივე ეშის,
 რომელიც ჩემად გადასულა გულიდან ლექსში.

და მას ამ ქვეყნად თუ პოეტის სახელი შვენის,
 იცოდეთ, ესეც ბრაღია თქვენი!



ივანე თარგა

გ ა ზ ა ზ ზ ხ უ ლ ი

გაზაფხულმა თავი ისევ
სილამაზით ისახელა,
ყვავილების კაბა შეენის
და შეიღღერი ცისარტყელა!

თვალი ისევ ამიჭრელა
კობტა-კობტა გოგონებმა, —
სიზმარშიაც არ მასვენებს
ხშირად მათი მოგონება...

გამო, ჩიტებს გამოხედე
გატაცებულთ ვალობითა,
არე-მარე გაახარე
შენი კარგი ქალობითა!

იასამნის ტოტი რხევით
მეძახოდეს, მე რად მინდა,
თუ ყვავილებს ხელი შენი
ხალისით არ შეაფრინდა...

აბა, როგორ შევადარო
გაზაფხულის დარი დარებს —
თუ შე შენი ვალიმება
გულში სხივს არ გამიტარებს!

თუ ყოველი წუთი ჩემი
სიყვარულით არ იღვსო —
ბედკრულს რაღა დამრჩენია
საამო და სამაისო!

აღარ ვიცი რა ქარს იფუფე,
ერთხელ კიდევ რა ვილონო,
რომ ჩემს ბაღში შენი კაბის
შარიშური ვაევიგონო! —

შენ ხარ ჩემი გაზაფხული,
ჩემი სულის ცისკრად ელაგ,
წვიმის შემდეგ, ერთხელ კიდევ
გამახარე, ცისარტყელაგ!

სტუმრად რასულთან

საპატიო ყარაულში
მთაც დამდგარა თითქოს,
ეგებება მოგზაურთა
მოსვლას ყოველ დილით,
მაგრამ გზას არ მიასწავლის,
კაცმა გზა რომ ჰკითხოს,
და გაუვალ უფსკრულებსაც
ჰფარავს მხრების ჩრდილით...

მიისწრაფი მაინც ხევ-ხევ
და არ გაკრთობს დაღლა,
გზას ხან ხრამი ვადაგიჭრის
და ხან თოვლის ზეაგი,
ციცაბოდან ციცაბოზე
რომ აღიხარ მალლა,
გეშინია, უნებლიედ
ცას არ აჰკრა თავი!

ცა კი მწვერვალს აუკუწავს
ისე, როგორც ხანჯალს:
ჰყრია ღრუბლის ნაფლეთები
სათამაშოდ ქართა.
და ლაყვარდში სხვა რომ უკვე
არაფერი არ სჩანს,
მთებისა და თეთრი ლექვის
სტრიქონების გარდა!

თუ ხელმარჯენივ ხუნძახია
და ხელმარცხნივ ცადა,
სტუმარს თვალთა ასარჩევად
უკეთესი რა სურს!
არწივივით თვითმფრინავმაც
ფრთების გაშლა სცადა...
და უმალვე ხელის-გულზე
დავაფრინდით რასულს!

თარგმანი კარლო კალაძისა



ოზია იოსელიანი

წყლის ქალი

სულ ახლახან მიიცვალა ამ მოთხრობის გმირი და, ის, რაც უკვე სოფელს მივიწყებული ჰქონდა, ამ კაცის სიკვდილმა ერთხელ კიდევ გაახსენა. გაახსენა ამ ადამიანთან დაკავშირებული ერთი ამბავი.

მე ადრე, პატარა ბიჭობაში, გამიგონია ძველებსაგან ბუხრის პირს მონაცოლი. მასსოვს, ასეთ ამბავს ზამთრის გრძელ ღამეში ჰყეებოდნენ, როცა შეშა დანაკვეთჩხლდებოდა და კრაქის სინათლე მიიბუტებოდა. როცა ნამდვილსა და თვალთ ნახულზე სათქმელი დაეღლოდათ: მოიგონებდნენ ნათქვამის ნათქვამს, სიყვითლე ლაპარაკს მოათავებდნენ და მერე ბორბტებსა და კუდიანებს მოიკითხავდნენ. მაშინ, მე ამას ისე ვისმენდი, როგორც ჰყეებოდნენ და მთელ ღამეს მეჩვენებოდა ავი სულები და ქაჯები, რომლებიც ღამაზე, თეთრ ქალებად გადაქცეულნი, დადროდნენ წყლის პირებზე და მთვარის სინათლეზე ოქროს სავარცხლით ივარცხნიდნენ თმას, ცდილობდნენ ვინმე შეგვიანებული მგზავრისათვის თავი შეეყვარებინათ და შეეცდინათ. ვიცოდი, რომ ხმა არ უნდა გაეცა ადამიანს, თორემ მთელი სიცოცხლე მოჯადოებული დარჩებოდა და სიკვდილამდე მარტო ქაჯის თეთრი ქალი ეყვარებოდა.

მერე, რაც დრო გადიოდა, ელექტრონის სინათლეზე და თუნუქის ლუმენთან ასეთი ამბები დაივიწყეს და ავერ, ახლახან, როცა სარდიონი გარდაიცვალა, მოიგონეს. მოიგონეს, რადგან უამი-

სოდ სარდიონზე მნიშვნელოვანი ვერაფერი თქვეს. მეც გამახსენდა ბავშვობაში მიმჭრალ ბუხართან და მბუტუტე კრაქთან განავონი. ახლა მივხვდი, რომ ეს ერთი, მეტად საოცარი იღუმალებით მოცული ამბავი იყო ამ კაცის ცხოვრებაში. რალაც ქაჯის თუ სატანას საფარველში გამოხვეული ქალის ერთი ღამის სიყვარული. ეს სიყვარული სარდიონს სიკვდილამდე გაყვა და ახლა, სიკვდილის შემდეგაც, მისი ცხოვრებიდან ესლა დარჩა.

ეს ამბავი კი ასე მოხდა:

ჩემს მასსოვრობაში სარდიონი ხანში შესული, მოტეხილი კაცი იყო, მაგრამ თავის დროზე სასიამოვნო ვაჟკაცი, კარგი მეტრე და მიწის მოყვარული გლეხი ყოფილა, შეძლებული მკლავი ჰქონია და უშიშარი გული.

შემოდგომის ერთ თბილ, სასიამოვნო საღამოს, სარდიონს ურმისთვის თავტაბიკი გამოუცვლია, დაუდევს საფქვავე, შეუბამს და ჭიშკრისაყენ წამოსულა. სანამ ეზოდან გადმოიყვანდა ურემს, აყალ-მაყალის ხმა შემოსმია, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. რაც მისმა უნდილმა მეზობელმა ეს სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალი შეირთო, მის მერე დიდხანს არ გაუვლია, რომ ეს დავა-ყაყანი დაიწყო და აღარ დამთავრებულა. ძველად სოფელში უფრო გაფანტულად საბლობდნენ და ასე იოლად სხვისი ოჯახის სანამუსო სატკივარზე, ძალიან გულითაც რომ ვნდომოდა, ხელი არ მივიწყებდებოდა, მაგრამ სარდიონმა იცოდა ამ მეზობლის სატკივარი და სადავიდარაბო. ამაზე მთელმა სოფელმა

იყო — რძლის უშვილობა იყო უსი-
ამოვნების ერთადერთი მიზეზი. ვათხო-
ვილი მული რომ სტუმრად მოვიდოდა,
თავის წყალ-ღვინო ძმასაც აიყოლიებ-
და და მიღგებოდნენ ქმარი და მული
ახალგაზრდა ქალს. კიდევ დედამთილი
სჯობდა სხვას. ცალკე მწარე სიტყვას და
გადაკრულს არ აკლებდა, როცა სხვები
მიესოვოდნენ, უშვილობით რძლის დაცვა
უჭირდა, მაგრამ ბრალსაც არ დებდა.

სარდიონისთვის ეს ახალი ამბავი არ
იყო და თითქმის მიეჩნევა კიდევ. ახლაც
არ ამირებდა მესრის ვადაღმა ვადახედ-
ვას, მაგრამ თვალი მაინც გაექცა. ოდა
მომორებით იყო, ფოთოლშეყვითლე-
ბულ ხეხილიან ეზოში არც კი ჩანდა,
მაგრამ აქედან მაინც შეიძლებოდა სახ-
ლის ერთი კუთხის დანახვა, სადაც ლა-
ფაროში ატუზულ ქალს შეასწრო თვა-
ლი. ქალმაც დაინახა სარდიონი; იქნებ,
არც დაუნახავს, ხეირიანად ვერ ვაარჩია.
ერთხანს კი მოაშტერდა აქეთ და მერე
სად გაქრა ისე თვალშეუსწრებლად,
პირდაპირ საოცარი იყო.

სარდიონმა ხარები გზაზე დააყენა,
ჭიშკარი დახურა, ზედ რგოლი ჩამოაგო,
რომ საქონელს არ გაეღო. ეზოს გასათა-
ვართან დაღმართი იყო, და ურემს
უკან დაუქდა. მალე დიდი, უსიგრი ტყე
იწყებოდა. ტყე ზედ მდინარემდე მიდი-
ოდა და გზას ხან წყლის პირს მისდევ-
და, ხანაც, როცა კალაპოტი უხვევდა,
მოკლზე გადიოდა დაბურულ ბებერ
ტყეში.

სალამო იყო, წისქვილში რომ მივიდა.
ურემი დაცალა, ხარები გამოუშვა, თან
წალეხული ორი კონა ჩალა გაუშალა,
ურმის ერთ მხარეს ერთი გამოაბა, მეორე
მხარეს — მეორე, რომ ერთმანეთი-
სათვის რქა არ ამოეკრათ, და წისქვილ-
ში შევიდა. რიგს დაელოდა.

წისქვილში ათასნაირი ხალხი იყრის
თავს. ვინ რას იტყვის, ვინ რას მოყვება,
ვინ დოქით ღვინოს მოიტანს, ვინ პრა-
სის მწიწილს. თბილია წისქვილის შუა
ცეცხლი და გემრიელი დადარში ჩაფი-
ცხებული მჭადი, სარდიონსაც აქვს კვა-
ხის ნეშოში შეხვეული წველა ყველი,

წაბლის ფოთოლში გამომცხვარი კეცის
მჭადი და მორჩილა დოქით ღვინო მუ-
ღამებისას გაიკრიფება ხალხრეჭრეჭრე
საც მხრით აქვს ჩამოტანილი, ის აჩქარ-
დება, მერე პრიალით დაიძრებიან მძიმე
ურმები, დაცარიელდება წისქვილი, სა-
დაც შორს ტურები ატეხენ კვივლს,
მერე უფრო ახლოს. სახურავში მთვარე
ჩამოძვრება და რომელიმე ავორთულ
ცალიანზე დაეცემა. სანამ სარდიონის
საფქვავი ჩამოიცილებოდეს, წისქვილის
გრუტუნში ერთ გამოძინებასაც მოას-
წრებს. წისქვილში ძილი მაინც სხვაა.
გძინავს, არც გძინავს, მაგარი სასთუმა-
ლი გაქვს, ლოყა სავეს ტომარაზე გი-
დევს. გცივა — არც გცივა. გეშინია ისე
არ დაგეძინოს, რომ სიმინდის ჩამოცლა
არ გამოგეპაროს და დოლაბი ცარიელზე
არ მობრუნდეს, შენი იმედითაა მეწის-
ქვილე. შენისთანა აქ ათასი მოდის და,
თუ მეწისქვილემ თვალი არ მიდვა, ისიც
კაცია. პოდა, გეძინება. ვითომ ფხიზ-
ლობ კიდევ და მაინც გძინავს. ბრუნავს
დოლაბი, ლიკლიკებს სარეკელა, იმტვ-
რევა მარცვალი; მთვარე სახურავში და
კედლის ჭურჭუტანებში იწყებება. სა-
დაც ისევ კვიან ტურები, თავვი წრი-
პინებს, მწვანედ ანთია ხვადი კატის
თვალეები ბნელში და თავვის წრიპინზე
ყურსაც არ იბერტყავს. ცხვირში მტვერ-
ნარევი ფქვილის, თავვის თუ ნოტიო
სიმშრალის სუნი გიღიტინებს და გძი-
ნავს.

წისქვილი ფქვავს, ფქვავს და ფქვავს.
ჰყვება ამ მთისას და ბარისას, იმ მთისას
და ბარისას, ტყისა და წყლისას, რაც
გამოუვლია, რაც უნახავს სავსე მთვა-
რისას, მეწყერისას და ჩანჩქერისას,
გრძნეულებისას და ალქაჯებისას, ვერ-
ცხლისდევ წყალში მოღვაფუნე თეთრი
ქალისას.

... და ფქვავს და ფქვავს...

გძინავს, არც გძინავს, აბრუნებ თავს
მარცვლით ვატენილ ტომარაზე, მთვარის
შუქი გეპარება, ტომრიდან ტომარაზე
გადმოდის, გიახლოვდება და წისქვილი
ჰყვება გრძნეულებისას და ჯადოქრები-

სას, გრძელთმიანი ბროლის ქალებისას, მთვარიანში რომ მდინარეში ლივლივებენ, უშვებენ გრძელ თმებს წყალში და ოქროს სავარცხლით ივარცხნიან. ადგაფუნებენ ატალღებულ წყალს, მერე ამ ტალღებზე გაწოლილი იფანტებიან, ყოველ მხარეს იშლებიან და მერე უცებ შუა მდინარეში წამოიმართება თმბჩა-პოშლილი თეთრი ქალი და გადიკისკისებს.

შეგაერთოლებს და გამოიღვიძებ. ეს შიშიცაა და არცაა შიში. ლამაზი შიშია, საამო შიში.

ბრუნავს დოლაბი და ფქვეავს, წისქვილის ქვეშ ფირფიტებს ეცემა ღარის წყალი, შრიალებს თეთრი, შიშველი ავი სული, ისევე დგაფუნობს მდინარეში და ისევე ივარცხნის თმას, ივარცხნის ყოველ მხარეს, წინაც უშვებს, ისე, რომ სახეს იფარავს. ჩამოშლილი თმებით დაფარული აქვს ზურგიც და მკერდიც, მაგრამ მკერდზე ძუძუს თავებს გაურღვევიათ თმის ტუფრი, შიშველი მხრებიც უჩანს. ივარცხნის, ივარცხნის და მერე სიცილი აუტყდება. ვადაისვრის ოქროს სავარცხელს, თმაში მთვარის სხივებს იბნევს, სხივებს ძაფივით აწყვეტს და მთელ თმას ვერცხლის სიმებით იშკობს. აღმართება წყალზე, ჩაიხედავს შიგ, იწვილებს სიხარულით ისე მოეწონება თავისი თავი და ვადაიკისკისებს.

შენ ისევ გელვიძება.

წისქვილი ფქვეავს, შრიალებს წყალი, ქათქათებს მთვარე და სადღაც წყლის პირზე თეთრი ქალი დააბიჯებს ჩამოშლილი თმებით და გეძახის. გეძახის შენს ნამდვილს სახელს. ვიხმობს, ხელს ვიკნევს.

ნამდვილად გესმის წყლის შრიალში შენი სახელი და ქალის კისკისი. ერუანტელი გივლის, ეს არც სიცივეა, არც შიში, სასიამოვნოდ გცივა, საამოდ გეშინია და ისევე გინდა დაინახო ქალი — ქაჯი, ქალი მაცდური. გინდა ხელი დაგიქნოს, სახელი დაგიძახოს, მაგრამ ვერ გაცდუნოს...

რომ გაცდუნოს?

არა, ვერ უნდა გაცდუნოს...

ნეტავ, თუ მართლა ქალია და მერე მთელი სიციხლე მოჯადოებული დარჩები?..

—სარდიონ, სარდიონ!

რა თეთრი ხელები აქვს ამ შეჩვენებულს, რა მაცდუნებელი სიცილი!

მთელ ტანზე ხორკლს გაყრის და თმა გეშვება.

ვიღაც დააბიჯებს და გელვიძება. მე-წისქვილე ამდგარა და დაფქვილს ტომარაში ყრის. ვერ გაგივია, ისე ჩამოსულა სიმინდი.

სანამ ურემს ტვირთავ და ხარებს აბამ, ფხიზლად ხარ. დაუჭდები, დაიძრებიან გზას მიჩვეული ხარები. ვადახრილი მთვარე-ზურგში მოგეჭყევა და ხარურემის ჩრდილი ფეხქვეშ ებლანდება ზომიერად მიმავალ პირუტყვს. მალე მიწვები მხარეთმოზე. იწყება ტყე, მთვარე და ნადრევად ჩამოცვნილი, შეყვითლებული ფოთლები გზაზე ნოხივით ავია. მიდის ურემი, თვლები მიშრიალბენ ფოთლებში და ისევე გერევა რული. მოჩვენებაა, თუ სინამდვილე... სადღაც ტყესთან ახლო ჩავლილი მდინარე ლაპლაპებს თეთრად და იტალღება. იტალღება და შავი ხეების იქით წყალში თმბჩამოშლილი თეთრი ქალი ბანაობს.

ურემი მიდის, მიდის და მიდის. ალაგ-ალაგ ჩამოიხედავს მთვარე და ავია ფართო, მოყვითალო ფოთლებითა და მთვარით მოფენილი გზა. ვერცხლის წყალივით იბნევა მოლაპლაპე ტალღებში თეთრი ქალი. მერე მდინარე ცილდება გზას და ქალი ნაპირზე ამოდის. ტყე-ტყე მოშრიალებს და მოდის. მდინარის გამოჩენამდე ასე ფეხდაფეხ მოყვება ხეებს მოფარებული. მალე ისევე გამოჩნდება მდინარის თეთრი ზედაპირი და ჩქართან გადაეშვება, აკისკისდება და ტალღებზე გაწოლილი დაიშლება, ყოველ მხარეს გაყვება მგორავ ტალღებს მოლაპლაპე ნამსხვრევებად.

მალე ისევ შუაგულ წყალში ამოვა და

ივარცხნის თმას და იბნევს ვერცხლის ძაფებს.

ურემი მიდის ნელა, ზომიერად. ბორბლები ჯერ ისევ ნელდ ფოთლებში მიფუჩეჩობენ და ტყეში გაიღვებენ თეთრი მთვარის ქალი.

— სარდიონ!

სარდიონი თვალებს ახელს. თვალები თითქოს აქამდეც გახელილი ჰქონდა. არაფერიც არ შეცვლილა. ისევ ურემი და ურემის ქვეშ ხალიჩად გაგებული გზა და ტყეში ჩამოპარული მთვარის სვეტები, მართლა, გრძნეული, თეთრი ქალივით, ურემის სვლისას ხეებს უკან ხან გაქრება და ხან ისევ გამოჩნდება.

— სარდიონ!..

ხარებს რა აფრთხობთ. მათაც ეჩვენებათ თეთრი ქალი თუ ძახილიც ესმით? სარდიონს ესმის, მაგრამ იცის, — ამას სხვა ვერ გაიგონებს.

— სარდიონ!

თითქმის ეცანაურა კიდეც ხმა. კი, ეს ხმა ამასწინაც მოესმა ცხენით რომ მოდიოდა ნასვამი. ეზოს წინ რომ ტყეა, იქედან გაიგონა სწორედ ეს ხმა. მაშინ ნასვამი იყო და მაინც შეეშინდა. ცხენი რომ დაუფრთხო, იმიტომ შეშინდა, თორემ ძახილს არ შეუშინებია. უცებ გამოფხიზლდა, მერე სიმღერა წამოიჩყო. ხმამაღალი, ჩქარი სიმღერა და ძახილი აღარ გაუგონია. სახლში მისულმა ინანა. ყურში ჩარჩა ის ხმა, მოსვენება დაუკარგა.

— სარდიონ! — მთელი ღამე ეძახდა უჩინარი ქალი, — სარდიონ!

მეორე დღეს ყველაფერი მოჩვენებებს მიაწერა, მაგრამ ერთი გულით ნანობდა, რატომ ცხენი არ შეეაჩერე, ყური კარგად არ დავუგდეო. რომ ვიმღეროდი, რა მამლერებდა, რა უნდა ყოფილიყო. ჭაჭი იყო? — ყოფილიყო, ეძახა თუ ასე მშვენიერი ხმა ჰქონდა. სარდიონმა იცოდა, ხმა არ უნდა გაეცა და არაფერიც არ მოხდებოდა. მეორე ღამეს ნავახშმევეს ვაღმოვიდა, მარტო ვერცხლის ხანჯალი დაიკიდა. ხანჯლის ეშინიათ ქაჯებს, როცა უნდა მოიგერიოს ან

გაგაგდებინოს, ორღესულ მახვილს ხელი არ ეკიდება და კვილით ვარჯისხეული კარგა ხანს იხეტიალა. ტყის მარტოველი შიაც შევიდა, მაგრამ არავის კრინტი არ დაუძრავს. ერთი კვირის მერე ისევ ცხენით ამოიარა ნასვამმა, მაგრამ ღრუბლიანი იყო და ისევ არ გაუგონია თავისი სახელი.

სარდიონს სადღაც გული დაწყდა, რომ ასე ერთი დამახების მერე ჩამოშორდა გრძნეული. ეს ერთი მხრივ სასიხარულოც იყო. ულოცავად, უთილისმოდ, უეშმავოდ რომ ჩამოშორდა, მაგრამ ეს ჩამოშორება მაინც ნამეტანი ნადრევედ მიაჩნდა.

— სარდიონ!..

ახლა ხომ ისევ ესმის. შიშთან ერთად რაღაც ქაჯური გრძნეულებით ბოჭავს და არ უნდა გაინძრეს, არც ხმა ამოიღოს, თუნდაც ხარებს რომ შეუძახოს, რომლებიც ყოველ დამახებაზე ფრთხებიან და ნაბიჯს უკლებენ.

მერე ერთბაშად აუჩქარებენ ფეხს და სარდიონს უკვირს, — ჭაჭის ძახილი ხარებს რატომ უნდა ესმოდეთ?

სარდიონთან მეორე აღამიანიც რომ იყოს, ვერც იმან უნდა გაიგონოს.

— სარდიონ!

სარდიონი ხედავს ტყე-ტყე მომავალ თეთრ ჯაღოქარს. იგი სულ ახლოსაა, გზიდან ორი-სამი ხის უკან. ხიდან ხესთან ვადაირბენს, თითქოს თეთრ სამოსელს მიაფრიალებს. ვადაირბენს, ამოეფარება და დაიკარგება. მერე ერთბაშად გამოვა. სარდიონი ხედავს, ჯერ თავს გამოყოფს. თავი ჩამოშლილი შავი თმებით აქვს დაფარული, მაგრამ ხედავს, მერე თეთრ სამოსელმოხვეული ერთბაშად გამოვა და...

— სარდიონ!..

სარდიონმა იცის, ხმა არ უნდა გასცეს, ხმა კი არა, არც უნდა მიიხედოს, მაგრამ უყურებს. სანამ ურემი გაუსწორდებოდეს, დგას, დგას და ხელს იწვდის სარდიონისაკენ. ჩაუვლის და ისევ ვადაირბენს. სარდიონს ესმის მისი ნაბიჯების ფაჩუნი ფოთლებში, ზოგჯერ ხმელი ფი-

ჩნიც ვაუტყდება და ერთხანს გაუჩინარდება.

სარდიონს გულზე ეშვება, მოჩვენება რომ ქრება, მაგრამ გულიც წყდება, რომ აღარ ჩანს და არ ეძახის. იცის, ქაჯის ქალები წყალზე დადიან, მიწაზე ისე დარბიან, ფეხს არ აკარებენ, ეს კი ისე დადის, როგორც ნამდვილი ქალი, მაგრამ ალბათ, როცა კაცის შეცდენა უნდა, მაშინ ნამდვილ ქალად იქცევიან, თორემ, თუ მართლა ქალი არ იქნა, თუ სიმძიმე და სხეული არ ექნა, როგორ უნდა ვაცდუნოს?!

— სარდიონ!

ხარები ისევ დაფრთხნენ, მაგრამ ქალი არ ჩანდა. სარდიონი ტყის სიღრმეში ეძებდა და ვერსად თვალი ვერ შეასწრო.

— სარდიონ, აქეთ, სარდიონ!..

ხარები შეჩერდნენ. სარდიონს ჭული გადაუფარდა თავიდან. თუმცა არ უგრძენია, რომ შეეშინდა. გზის პირას, ჩამხობილი წიფლის იქით იჯდა თეთრი ჯაღოქარი და ხელს უქნევდა, თავისთან უხმობდა.

სარდიონი წამოიწია. ურმიდან გადასვლა დააპირა, თუ რა მოუვიდა, არ იცის, მაგრამ ხარებმა უცებ მოწყვიტეს ურები და გაიბრინეს. სარდიონმა სულ ახლოს ჩაუარა თეთრ ქალს და უკან მოუხედა. იცოდა, არ უნდა მოეხედა, მოიხედა და თვალი ვეღარ მოაცილა.

— სარდიონ, სარდიონ! — ისევ დაუძახა, წამოვიდა ისევ ტყე-ტყე, გამოიქცა და, როცა ხარებმა ნაბიჯს უკლეს, გაუსწორდა, მერე წინ წავიდა და დაიკარგა სიბნელეში.

სარდიონს ახლა აღარც კი ეშინოდა. მუხლებზე წამოიჩოქა და გავაციცებით დაეძებდა, რომ ერთხელ, ერთხელ კიდევ დაენახა ის, რაც დაინახა, მოჩვენება იყო. ახლა რომ დაინახავდა, დაიჭრებდა. რატომ არ უნდა დაინახოს, ქაჯიც უნდა დაინახოს და ანგელოზიც, თუ შეგიძლია დაინახოს.

ხარები შეჩერდნენ და უკან დახევა დაიწყეს.

სარდიონი მიხვდა, ისევ გამოჩნდა სა-

დაც, მაგრამ ხმა არ გაუგონია და ტყეს მიაშტერა თვალები.

— აქეთ, სარდიონ!

სარდიონი მთელი ტანით მიტრიალდა წინ.

თავიდან ფეხებამდე თეთრი ჯაღოქარი იდგა გზაზე, ჯაღოქარი-კი, — არა, ქალი და ხელს უქნევდა.

სარდიონს სულ არ შეშინებია. ქალი ურმიდან მაინც მოშორებით იყო და ისე მოუნდა მისი ახლოს დანახვა, წამოიწია, წამოიწია და წინ, უღლისაკენ გახიზნა. ხარები ფეხის ფადგმას არ აპირებდნენ. ადვილზე ადვილზე დათხვინავდნენ და უღლიდან თავის დაღწევას ლამობდნენ. ქალი კი იდგა ჭრელ გზაზე და იქნევდა გამოწვილი ხელის ოთხ თითს. ახლა უფრო ხმადაბლა, ძლივსგასაგონად ეძახდა:

— სარდო, სარდიონ!

სარდოს შინაურები ეძახდნენ ბიჭობაში. ახლა იმათაც გადაიფიწყეს, რა ხანია, აღარ გაუგონია ეს მოფერებითი სარდო და არ ეგონა, თუ ამ ტყიურის მშვენიერი ხმით ნათქვამი გულ-ღვიძლს დაუწვავდა.

— სარდო!..

სარდიონი ფრთხილობდა, რომ თავისი თავიც არ გამოეფხიზლებია, ხელის თაზე ვავდა, იქედან ფეხები უღლის ქვეშ ჩააცურა, მიწაზე დაეშვა და ჩაცუქულმა გახედა გზას. ეგონა, ვეღარ დაინახავდა, მაგრამ ქალი ისევ იქ იდგა და ახლა უხმოდ იშვერდა ხელს მისკენ.

სარდიონი თითის წვერებზე წავიდა წინ. წელში მოხრილი გაცდა უღელს. მერეც არ გამართულა, ისე განაგრძო გზა. მაგრამ იგი უკვე აღარ ფიქრობდა, როგორ მიდიოდა, რას ადგამდა ფეხს, სად მიდიოდა, ან უკან რა დატოვა, ვინ იყო თვითონ და ვისკენ მიისწრაფოდა. ხედავდა, რომ თეთრი ქალი ახლოვდებოდა, თვითონ კი არ უახლოვდებოდა, ქალი ახლოვდებოდა, მაგრამ როცა თითქმის კარგად გააჩნია მის თეთრ ტანზე ჩამოშლილი თმა, რომელიც სახეს უფარავდა, სარდიონისაკენ ხელგამოწვდილმა ადვილი გადაინაცვლა, მაგრამ მათ



შორის მანძილი არ შემოკლებულა. მერე რა ხდებოდა, მიდიოდა ქალი და მიუვებოდა სარდიონს, თუ სასწაული დატრიალდა და ხეებმა აიღვეს ფეხი. კი, ხემ ჩაუარა მარჯვნივ. მთვარე, გადაეწეოთ თავზე და მერე ისევ ხემ ჩაუარა ნელა. ნელა. კიდევ ორტოტად ამოზრდილ ხეს გაცდა, ქალმა გაანათა და გადაეწეოთ მთვარე სარდიონს, დიდი, გაჩახჩახებული მთვარე. მერე ისევ თეთრ ქალს ხედავდა და მიდიოდნენ ხეები მარჯვნივ და მარცხნივ, ვზას უქცევდნენ, ტოტებს აცილებდნენ, ეკალ-ბარდს არიდებდნენ და მიდიოდნენ. ქალის გამოწვდილი ხელი თავისკენ იხმობდა და მიდიოდა ტყე, — ტყე თავისი ხეებით, მთვარიით, და იდგა ქალი, უქნევდა ხელს და ფეხქვეშ ბრუნავდა დედამიწა.

მერე უმატა სიჩქარეს და ახლა ხეები კი არ მიდიოდნენ, მიქროდნენ. მათი ბრუნვისაგან ნიავეც კი ამოტყდა. ქალი უკვე კი აღარ გაანათებდა, გაიღვებდა და მთვარე გრძელ, თეთრ ვეებერთელა ხაზად გადაივლიდა. ქალი თითქოს მიფრინავდა და სარდიონიც მიფრინავდა. სარდიონს უნდოდა უფრო ჩქარა ეფრინა, რომ დაეწყოდა. ამ სრბოლაში ხეები ველარ ასწრებდნენ ტოტებისა და ეკლებს არიდებდნენ და სარდიონს ხედებოდა გრილი ფოთლები და ბარდები, მაგრამ არაფერს გრძნობდა. იგი ხედავდა იმ სითეთრეს, რომელსაც უახლოვდებოდა და უნდოდა უფრო ჩქარა ერბინა ფეხქვეშ მიწას.

სარდიონი უახლოვდება, უახლოვდება. ახლა მეტს ველარაფერს ხედავს, ვერც მიწას და ცას, ვერც ხეს და მთვარეს. მისდევს, მისდევს და უცებ წინ თეთრად გაანათა. სარდიონი მიხვდა: მდინარე შორბოდა აქეთ და შეეშინდა, თეთრ ქალს წყალში არ შეესწრო და უმატა სირბილს თუ ფრენას. უმატა და წვდა წვდა, ორივე ხელი შემოხვია, ზედ მიეკრა. თუ წყალზე გავიდოდა, სარდიონიც უნდა გაეყვანა, თუ დაიძირებოდა, მასთან ერთად ჩაიძირულიყო.

ცალი ხელი ვინთავისუფლა, განაპირა ხეს მოხვია, რომ გვერდით ჩაელისას

თან გაჰყოლოდა, რომ ცივ მდინარეში არ გადაეცენილიყოფენ.

უეცრად ყველაფერი გაქვევდა. ერთ ადგილზე გაიყინა, და იგრძნო ქალის ცხელი სუნთქვა და მისი გრილ-თბილი სხეული. ხეს ხელი ვერ გაუშვა, ეშინოდა ისევ არ გაქცეოდა და მეორე ხელის ფრჩხილებითაც მიწვედა ტანდაკორძილ ხეს. გრძნეული, ხესა და მას შორის მოიმწყვდია მკლავებში. დაეწაფა, კოცნიდა, კოცნიდა გაშმაგებით, რომ მოესწრო, მოესწრო, სანამ ხელეებში გაუღდებოდა. მოესწრო ერთი, კიდევ ერთი, კიდევ...

ტუჩებით ცივ თმებს და თბილ სხეულს გრძნობდა, სხეულს კი არა, გრძნეულებას, ჯაღოს, ჯოჯობეთურ სიამეს და სიტანჯველს და ეშინოდა არ გაქრობოდა ხელიდან ეს მწვალეზღური სიტუბო, ეს ეშმაკის მოგონილი ცდუნება.

სარდიონს არ უგრძნებია, როდის შეუშვა ხელები ხის ტანს და ახლა ხელებში მართო ეშმაკეული ეჭირა, მაგრამ მასზე მინდობილი, მასზე მოხვეული და დანებებული. სარდიონმა დაიჭრა, რომ ახლა ვერსად გაქცეოდა ჯაღოქარი. მაკლური თვითონვე აცდუნა თავისავე მოგონილმა ცდუნებამ და მკლავებში ძალა წაართვა, მუხლში სახსარები გადაუჭრა, მოადუნა, სარდიონს მოცეკვილივით შეჩინა ხელში და, როცა სარდიონი ჩაიკეცა ტყისპირა ბალახებში, გრძნეული თბილი ცვილის სანთელივით დაიღვარა...

როცა სარდიონმა იგრძნო, რომ ვადაკრული ბინდი ეწმინდებოდა მის ხელებში მომწყვდეულ მოშვებულ ქალს, რომელსაც სახე ისევ შავი თმის დაბურღული ტვერში ჰქონდა დამალული, ხელი შეუშვა, წამოიწია, მუხლებზე დადგა და ფრთხილად გადაიხარა. უნდოდა თმები გადაეწია და თვალეებში ჩაეხედა, მართლა ჭავი იყო თუ არა. ყველაფრად ქალს ჰგავდა, თვალეებიც ქალისა უნდა ჰქონოდა, მაგრამ მაინც სხვანაირი. გრძნეული მანამ არ განძრეულა, სანამ სარდიონმა მის თმებს არ შეახო ხელი, მაგრამ შეეხო თუ არა, დაფრთხა, წამოჯდა, მკლავებში მოეჭიდა, მოიშორა მისი

ხელები. ნელ-ნელა უკან, თავისავე მკერდთან მიუტანა. წამოიწია და უცებ ხელი ჰკრა. გულაღმა გადააგდო, იწივლა და, როცა სარდიონი წამოვარდა, აღარც ქალი ჩანდა და არც მისი თეთრი სამოსელი, რომელიც ადრე ტანზე ეხვია ჯადოქარს, ხოლო ბოლოს ქვეშ ეგოთ. ხის მიღმა მდინარე მიედინებოდა და ტალღებში იმტვრეოდა კაშკაშა მთვარე.

სარდიონი ჩაჯდა და თვალები მოისრისა. არ სძინებია, ყველაფერი ნამდვილად მოხდა. ადგა, ხეს გაცდა და წყლის პირას დადგა. ელოდა იმ წუთს, როცა თეთრი ქალი წყლის შუაგულში ისევ ამოიშარებოდა და დაიწყებდა თმის ვარცხნას, რომელიც სარდიონმა დაუწეწა.

მდინარის ზედაპირზე არაფერი არ ჩანდა, გარდა დამსხვრეული თეთრი მთვარისა, და არსაიდან არ ისმოდა სარდიონის არც ახლანდელი და არც ბავშვობისდროინდელი სახელი.

აიცივდა. სარდიონს თითქოს კოკით ცივი წყალი გადაასხესო. მოაგონდა, რომ ხარი და ურეში გზის პირას ჰყავდა დატოვებული, მაგრამ ადგილიდან ფეხი ვერ მოიცივალა.

მთვარე გადასულიყო და ალიონი ახლოვდებოდა. სადაც ჩიტმა დაიფლურტულა, მაგრამ ადრე მოუყვიდა და მიყუჩდა.

სარდიონი ადგა. იმ ხეს შემოუარა, სადაც უკანასკნელად გაქრა თეთრი ქალი და ტყის სიღრმეში შევიდა ნელი ნაბიჯით.

ხარები წინ წასულიყვნენ, მერე, ალბათ, ბალახზე წაიწიეს. ტყის კიდებზე ურმის ლერძით ხეს მოდებოდნენ და იცოხნებოდნენ.

სახლში რომ დაბრუნდა, კარგა ვათელებული იყო. ფქვილი შეიტანა, ხარები გამოუშვა, ხელპირი დაიბანა, ეზოში გაიარ-გამოიარა. სახლში ჯერ ისევ ეძინათ. გუშინ რაღაც აუცილებელი საქმე ჩაიფიქრა დღეისათვის, ვერ იქნა და ვერ გაიხსენა. მერე დაასკვნა, რომ არაფერი ისეთი არ ჰქონია. რაღაც საქმე კი მაინც ჰქონდა, უძილო იყო, მაგრამ არ

ეძინებოდა, უქმელი იყო და ლუკმა არ უნდოდა.

ჰო, ხარები უნდა გაეღუნა ბალახზე, ერთმანეთს გადაბაბა სარქით და წინ გაირეკა. მინდვრებისაკენ არ წასულა, წიქვლის გზას დაადგა. მერე მოაგონდა, რომ ხარები მიყავდა ბალახზე, და მობრუნდა, ხარები მინდორში დატოვა და სახლში წამოვიდა. ტყე-ტყე იარა, ჭიშკარს რომ უნდა მოდგომოდა, მდინარის პირას გავიდა. არ გაჰკვირვებია. მიიხედ-მოიხედა. აი, ეს ხე, აი, ეს ვათე-ლილი ბალახი, აი, ის ადგილიც, დილამდე რომ იჯდა ელოდა მის გამოჩენას. გვიან დაბრუნდა სახლში და ისევ ვერ გაიხსენა, რა ჰქონდა ვასაკეთებელი. მგონი არაფერი.

დიდი დღე ჩამოვიდა. წლისოდენი. შეღამებული არ იყო, რომ ისევ მდინარის პირას იჯდა. ხეირიანად არც კი იცოდა, როდის წამოვიდა, გზაში რამდენი დაავიანდა.

მთვარის ამოსვლას ელოდა მოუთმენლად. ვერ იქნა და ვერ ამოაღწია. დაილა, დაიქანცა და როგორც იყო ეშველა. აციმციმდა წყლისპირი, აელვარდა, დაიმტვრა მთვარე, მაგრამ წყალში არავინ ჩანდა.

ადგა, გზისპირისაკენ გამოსწია, ტყეში ყოველი ხის ძირას ელოდა მის გამოჩენას, ფოთლებში ჩამომძვრალი მთვარის ნათელი თეთრ ქალად ეჩვენებოდა, მივიდოდა — არაფერი. გზაზე გავიდა, — ისევ არაფერი. წისქვილისაკენ დაუყვა, სადაც პირველად დაინახა, — მაინც ვერსად შეასწრო თვალი. მობრუნდა ისევ და მდინარისაკენ იარა, ისევ ლიე-ლიეებდა თეთრი მთვარე ტალღებში, ქალი არსად ჩანდა.

მოაგონდა, სანამ ქალს დაინახავდა, ხმას უფრო ადრე გაიგონებდა. წავიდა ისევ, თითქმის წისქვილამდე მივიდა და იქედან გამოჰყვა. ჩქარა მოდიოდა ტყის სიღრმეში ერთბაშად შეჩერდა, აქ შემოესმა პირველად ძახილი, თუ მოეჩვენა. წავიდა და ისევ შეჩერდა. აქ კი, თავიც წამოსწია ძახილზე. აქაც ეძინდა, აქაც, იქით კი დაინახა. ნამდვილად

მდინარესთან მელოდებო და სირბილით გაიქცა. ისევ თეთრი წყალი და მთვარე, სხვა არაფერი.

გათენდა.

მეორე დღეს წისქვილში მივიდა. არც საფეკვეი წაუღია, არც ამბავი უთქვამს რაიმე. უცადა, უცადა, სანამ ხალხი არ გაიკრიბა, მერე სახურავიდან ჩამოპარული მთვარის გვერდით მიღვა თავი ცალიანზე და ყური მიუგდო. წყლის შხუილში და წისქვილის გრუტუნში წინა ღამის უძინარს რული მოერია. ძინავს, არც ძინავს. აღგაფუნდა თეთრი ქალი ვერცხლის ტალღებში, ოქროს სავარცხელმა გაიღვლა მის ხელში. ივარცხნის, ივარცხნის, მერე შედგა წყალზე, ჩაიხედა შიგ, იკვილა სიხარულით ისე მოეწონა თავისი თავი და ტალღებად დაიშალა.

წამოსწია სარდიონმა თავი, მთვარეს მეორე ტომარაზე გადაენაცვლებია.

აღგა და ფეხაკრეფით გამოვიდა გარეთ. მოდის, მოდის, იწყება ტყე; ხეებში თეთრად ილანდება მდინარე, ოქროს სავარცხლებივით ჰყრია დამსხვრეული მთვარე. აი, საცაა დაუძახებს, საცაა გაიგონებს:

— სარდიონ!

ესმის?

— სარდიონ!

არა, თავისი გულის ხმა ესმის, თავისი ძახილი.

ისევ ტყეში მიდის გზა, მდინარემ გაუხვია.

— სარდიონ!

არა, ნამდვილად არ გაუგონია.

აბა, თვითონ გამოჩნდება. აი, იქ რომ თეთრად ანათებს, ის იქნება. კი, ისაა, არ ჰვავს, მაგრამ ისაა, ახლოს მივა და ნახავს თუ ის არ იქნება!

მივიდა... არაა...

აბა, იქ. ჩამხობილი წიფლის იქით. აუცილებლად იქნება, დაუძახებს და მერე ამოვა ზის იქიდან.

— სარდიონ!

ეძახის კი. ნამდვილად გაიგონა, თვითონ არ ჩანს, მაგრამ ხმა გაიგონა.

აგერ წიფელიც. მივიდა, სულ მივიდა და უკან დაიხია. რომ არ იყოს... როგორ არ იქნება! იქ იქნება, მივიდეს და ნახოს თუ არ იქნება! ვაი, რომ არ იყოს?..

— სარდიონ!

ხომ ეძახის?

ეძახის...

მაშინ მივიდეს. რომ არ იყოს, ვერც დაუძახებდა.

ფეხაკრეფით მიუახლოვდა, გადაიხედა, არაა... იქედან მოუარა — მაინც არაა.

აბა, იქ, სადაც ურემს გადაუღდა და ხარები დააფრთხო. სირბილით სარდიონ! მაინც არ ჩანს...

მდინარის პირას, იმ ზესთან, იქ, იმ გათელილ ბალახებთან, ჯერ ისევ ნედლ ჩამონაყარ ფოთლებთან, — მაინც არაა...

მდინარის ზედაპირიც მარტო ოქროს სავარცხლებითაა სავსე.

არა, არ ჩანს...

გათენდა.

დაღამდა.

ისევ გათენდა.

აბა, იქნებ, ისევ ხარ-ურმით გამოჰყვეს, ისევ სიმინდი და ტომარა. ჯერ რომელიც დაფეკვა, ისიც ბელუხლებელია. არა, კიდევ უნდა დაფეკვას. დოქით ღვინო. ევახის ნეშოში გახვეული წველა ყველი და წაბლის ფოთოლში გამომცხვარი კეცის მქადი.

ისევ წისქვილი. ცეცხლისპირი, ამ მთისა და იმ ბარის, იმ ტყისა და მდინარის, თვალით ნახული და ყურით გაგონილი...

ძილი, არც ძილი, ჟრჟოლა და ჟრუანტელი...

ისევ ქალის დგაფუნი და თმების ვარცხნა.

გზა და ურემი...

ეძახის?

ეძახის...

გამოჩნდა?

კი, ჩანს.

აბა მიდი, თუ მართლა ისაა!

არაა...



— სარდიონ!
ხარები რატომ არ ფრთხევიან. მი-
ეჩვივნენ ბანალდისაწვევები და აღარ
ემინათ.

— სარდიონ!
არავინ არაა.
ხარები არ ჩერდებიან.
გაჩერდით, თქვე ოზრადღასარჩენე-
ბო!..

მიდიან და მიდიან...
ტყე, ხეები და მთვარე, ისევ გარბიან,
წყლის პირას ისევ გათელილია ბალახი,
ჯერ ისევ არ გამხმარა ჩამონაყარი
ფოთლები, მდინარე სავარცხლებითაა
საესე, ქალი კი არ ჩანს.

გათენდა.
დაღამდა...
ისევ გათენდა და დაღამდა.

წამოვიდა ფოთლები, მუხლამდე იე-
სო ტყე და ახლა მთვარე ყველგან იხე-
დება, ყველგან, თეთრი ქალი კი არაა.

ქარი უბერავს და ყოველი ზის უკან
ისმის:

— სარდიონ, სარდო, სარდიონ!
და არავინ არ ჩანს.

იღვება მთვარე, იღვება, მდინარეზე
ახლა არც სავარცხლები ჩანს და ქალი
ხომ არ ჩანს და არ ჩანს და ისევ იე-
სება.

თოვს. თეთრი ქალის ფერად თოვს.
ახლა ყველგან მისი მოსახსნამია გაშლი-
ლი.

— სარდიონ, სარდო, სარდიონ!
იძახიან თეთრი ხეები და ბუჩქები.
წაქცეული წიფელი სულ თეთრებში
გახვეული.

არავინ არ ჩანს.

ისევ თენდება და ღამდება.
ისევ იმოსება ხეები, მაგრამ ისეთი
მოყვითალო ფოთლებით კი არა, ნორ-
ჩი, მწვანე ფოთლებით, მერე იზრდე-
ბიან და ბოლოს და ბოლოს ერევათ
სიყვითლე. ცვივიან ჯერ ისევ ნელდი
და ალაგ-ალაგ ტყეში მოძვრება მთვა-
რე, უცხო ფარდაგივით ეფინება ტყეს.
მდინარე სავსეა დაღეწილი ოქროს სა-
ვარცხლებით.

...და ისევ თეთრი ქალის ფერად
თოვს...
თენდება...
ღამდება.

— რა დამართა სარდიონს?
— სარდიონ, ამოილე ხმა!
— სარდიონ, რას ეძებ ამ წისქვილის
გზებზე?

— მდინარეში რა მარგალიტები ჩა-
გიცივდა!
— რავე მთლად გატყუებდა ეს სა-
ცოდავი!

— თავს მიხედე, სარდიონ, ოჯახს
მოეკადე!
— ბერდება უცოლშვილოდ ეს
ღმერთგამწყურალი?!

— შავის ხნის კაცი ვიღაა უცოლო!
— ბევრად უფროსი კი არ იყო მა-
გის უნდელი მეზობელი, ვარსკვლავი-
ვით ქალი რომ მოიყვანა. ერთხანს უშ-
ვილო ეგონათ, მაგრამ ახლა შვილიც
ჰყავს და... მეტი არ ეყოლა, მაგრამ
ერთი შვილიც შვილია.

— ჰე, სარდიონ, არ იტყვი რა გვირს?
ღამდება.
თენდება.

წისქვილში უთქვამთ:
— სარდიონს კარგი საქმე არ ჰქირსო.
— რა დამართაო უბედურს?
— ქაჯი შეყვარებია, წყლის თეთრი
ქალი.

— თფუი ეშმაკს, დაიწვა მისი ბა-
ნალი!
— ეუ, დაღუპულა და ისაა!

— ვერ ხედავ რომ დაღუპულია?
— ნეშმაკარი რომაა, რად უნდა მა-
გას ჩიჩინი, რაიმე ნალოცი, ან ნაყურ-
თხი...

— აჰ, არაფერი არ უშველის, ქაჯის
შეყვარებას მეხუმრები?
— აბა, არაფერი საშეგლი არაა?!

— მზოთუნახავი რომ მოუყვანო, ეშ-
მაკის მამხალად მოეჩვენება.
— ეუუ!..
ღამდება...
თენდება...

ტყის მოჭრა გადაწყვიტეს და პლან-
ტაციის გაშენება. სარდიონი თოფით

ჩაღდა და სისხლს დავაქცევო, — იმუქრებოდა.

ტყე მინც აიღეს და თვალუწვდენი ჩაის პლანტაციები გააშენეს.

ვაუწყრა სოფელს სარდიონი, თავის კარმიდამოში ჩაიკეტა. სახლვრებზე ხეები აუშვა და ზედ ეკალ-მაცვალი შეუსია, ალბათ, ქაჯებისათვის მის ერთ მტაველ ეზოში რომ თავშესაფარი მიეცა.

ლაპარაკობდნენ სარდიონზე, ლაპარაკობდნენ ჩემს ზავშვობაშიაც. სარდი-

ონი არ ეხმიანებოდა, არც ავს ამბობდა, არც კარგს. ბოლოს სოფელში წაიქცა. მეც რახანია, აღარ მრჩებოდა.

ახლა მისმა სიკვდილმა გამახსენა მისი თავიცი და მისი ერთი ღამის ამბავიც. სადაც სარდიონი სახლობდა, იმ მხარეზე რომ ვაიარო და იკითხო, გეტყვიან:

— იყო კაცი, რომელსაც ქაჯი უყვარდაო.

მართლა ქაჯი იყო, ქალი იყო, რა იყო, ვერავინ ვეტყვის...

ზ ა მ თ ა რ ი

გარეთ თოვლი დევს. ქვენა ქარი აღარ უბერავს, მაგრამ სიცივე მინც ძელბში ატანს. ეს დალოცვილი ბუხარი მარტო წინ გათბობს ადამიანს და ზურგი თითქოს მინდორში გქონდეს, თუმცა ცეცხლს რომ თვლით უქქერი. მინც სხვაა. თვლით უხილავი სითბო მოსაწყენია, გადუნებს და თითქოს თავი გბეზრდება. ასეთ ცხვირპირჩამოტირებულ დღეებში მინც სულ სხვაა ცეცხლი.

მით უმეტეს, თუ მარტო არა ხარ და გვერდით დრომოკმული და გადაღძუებული ძელოსძველი მეგობარი გიზის. მეტი არც არავინ გინდა. შენ მისი გესმის დამას შენი, თქვენ რომ არ თქვათ, მინც გაიგებთ ერთმანეთისას. არაფერი სჯობს, როცა შენი სატყვიარი გვერდით მყოფისთვის უცხო არაა, როცა შენს სიცილზე მასაც ეციენება.

— გაიხედე, სოლომონ, გარეთ!

— რა გახედვა უნდა!

— რა იცი, სოფელია, ქვეყანა მიღიმოდის.

— სოფელი რომაა, გზაში ვართ თუ?!

— არ მითხრა... გზაში რომ არა ვართ, რა იცი, ვინ მოგადგება!

— რა უნდათ, ვის მოვავაგონდებით!

სოლომონი ხელებით მუხლებს ეყრდნობა და მიმედ დგება, კარებს აღებს და გარეთ მოწყენილ ბუნებას მიჩერებულია. ასეთ დღეს რაღაც ერთი წუთით

გამოიხედავ, ან საქმეზე გამოხვალ და მაშინაც არ გინდა კერძის მოცილდე. შეშინებულმა ჩახხველა და ექვთიმეს ხმა მოესმა:

— ნამეტანი წაწყმედილი ამინდია, ხომ?

— ამინდის რა მოგახსენო!

— არაეინაა?

— კაცის ჭაჭანება არაა!

— ვინ იქნება! — წინდიან ფეხს ნაპობზე დებს და ცეცხლს ეფიცება, — კარგად მიუგდე მაგ კარები!

— დაკეტოლია და ისაა!

ექვთიმე ცეცხლს ჩასჩერებია, მოკლელ შეკრუილ წვერში თითებით ნიკას იქეჭავს და ქირჩილებს.

— ჰი-ჰი-ჰი!

— რა იყო? — ეკითხება სოლომონი და ჯორკოს კერისაყენ ფეხით ითრევს.

— ჰი-ჰი-ჰი! — წვერზე ისეაშს ექვთიმე ხელს.

— რა იყო, თქვი!

— იმაზე გეუბნები!

— შენ მდგმურზე?

— ჰო, შე კაი კაცო, აბა ვისზე!

— ჰოო!..

— კარგი რამეა. აჰ, რას იტყვი!

— კარგი რამეა, მე და ჩემმა ღმერთმა!

— ჰო-ჰო, რა დედაკაცია!.. ჰი-ჰი-ჰი!

— ერთ რამედ ღირს!..

— არ მითხრა... მე თუ ექვთიმე ვარ... შენ კიდევ, არ ვიცი!..

— ძაან რამეა!

— ჰი-ჰი-ჰი! — ჩაბეირდა, ჩაბეირდა და ხველებს აუტყდა. — აჰ, მართლა, ძაან რამეა!

— ერთ რამედ ღირს!

— ქალი კი არა, ცხოვრება!

— სამოთხეა, ჰი-ჰი-ჰი! — ჩაბეირდა ისევ ექვთიმე.

სოლომონი იღიმება და შეთხელე-ბულ-შეყვითლებულ უღვაშებზე ხელს ისევას.

მუგუზხალი ჩამოგორდა და ექვთიმეს მიფიცებულ ფეხთან შეჩერდა. ორივე წაეტანა. ექვთიმესკენ დანაცვერჩხლებული თავი ჰქონდა, და სოლომონმა დაითრია. ისევ მალა შემოდო. ერთ-ხანს იყურეს. გარეთ დასავლეთის ციფმა ნიავმა შემოუბერა.

— ისევ გაწვიმდება, იცოდე შენ!

— კი...

ჩაჩუმდნენ. იყენენ ერთხანს ცეცხლს ჩაჩერებული, აწიტებდა ხან ერთი, ხან მეორე. ჯორკოს საზურგე არ ჰქონდა, და სოლომონს წელმა უსუსტა. გვერდით მიიჩინა და მჭვარტლიან, გარუ-ჯულ ბუხრის აგურებს ბეჭით მიაწვა.

— დრო დაუნდობელია...

— დრო... გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს. პირდაპირ მასხარობაა ეს წუთი-სოფელი თუ რალაც... არ მითხრა, თუ კაცი ხარ. — და ექვთიმემ პირდაპირ ცხელ ლაღარში გადააურჭყა. — კი იცი შენ... შენ მიინც კი იცი...

სოლომონმა მძიმედ დააქნია თავი.

— რავა არ ვიცი, ჩემო ექვთიმე!

— იცი და... მეც იმას გეუბნები... კარგი ერთი, იმ კარგი დედის სული ნუ წაგიწყდება, ოინბაზობაა პირდაპირ...

სოლომონმა ნაპობი შეშის მუგუზხალი ორივე ხელით დააჩინჩხვარა. — კი ბატონო, ბავშვობას ჰგავს, კარგად რომ დაუფიქრდეს კაცი! — თამაში... რიკტაფელა არ გითამაშია, ან კუქუშალო-ბია? ესაა და მეტი არაფერი! რომ და-ეუფიქრდები, პირდაპირ...

— აბა-პა-პა! არ უნდა დაუფიქრდე, თუ მართლა გიყვარს სიცოცხლე, მე და ჩემმა ღმერთმა!

— რაფერ არ დაუფიქრდები, ჩემო ექვთიმე, კაცი ხარ, ვირის კიტრა ხომ არა, დაუფიქრდები...

— გაჩუმდი ერთი, მამა გიცხონდა! დაუფიქრდები, კი დაუფიქრდები... რაი მერე!.. იფიქრებ, იფიქრებ და რა გამოვია, — არაფერი!

— არაფერი არ გამოვია.

— ჰოდა, ამას ვამბობ მეც. მალა დადევნი მაგ მუგუზხალი, ნამეტანი ქვევით მოგორავს და არ დაგვირუ-ჯოს წინდები. სად მოჭერი ეს კობიტი, წყალი რომ გასდის?

— დავბელე!

— შენ დაბელე?

— მე კარგა ხანია, შენი არ იყოს, მოვეშვი ხეებზე პოტინს. ანდროს და-ვაბელიე.

— ჩემს ანდროს?

— ჰო, არ ვაპირებდი წლეულობით, მაგრამ ეს ზამთარიც რომ აღარ და-ილია!

— იყოს, შე მამაგანათლებულო, რა სული მიგდის!

— იყოს და არის. არის, მარა შეშა ხომ გინდა!

— გინდა!

— ჰოდა, რომ გინდა, ავიღე და დავბელე!

— კარგი გიქნია.

— შეინახე. თუ არა...

— კარგი ერთი, სალაპარაკო არაა. ინახე, ინახე, იწვალე, იჭახირე და რა გამოვია მერე?!

— არაფერი!

— არაფერი არ გამოვია, მე შენ გე-ტყვი, ცას გამოეკერები... დამიყარე ერთი გახვევა მაგ შენი თუთუნი!

— აღარც მაქვს დაჭრილი!

— არ გაქვს და დავჭრა, შე კაი კა-ცო, დრო არა გვაქვს, თუ მოცალეა.

— ვის რას ვუკეთობ.

— არ მითხრა, სოლომონ, ვის უნდი-ხარ. რომ უნდოდე, შენ თვითონ ხომ ხედავ!

— ვხედავ.

— რავა არ ხედავ, რას ერჩი იმ კაცს... არა, არა, დიდი თავის აგდებაა.

ეს წუთისოფელია, თუ რაღაც ჯარხანა, კარგი ერთი, მამა გიცხონდა...

სოლომონი წამოიღვა.

— თუ კაცი ხარ, კარგი ტყეცა თუ-
თუნი წამოიღე. გამოყუთაებული არ
იყოს. ჩემი წლებულს რაღაც მაგარი
გამოვიდა. ყალიონით არ ვეწვივი, მაგ-
რამ მაინც ქებასავითაა.

— ვინ იცის, შართლა, მაგარია, თუ
ჩვენ გვეჩვენება...

— რა ვიცი, ასე კია და... თუ კაცი
ხარ, გუშინწინ რომ მოიტანე, იმისთანა
ამოარჩიე.

— რომელი გუშინწინ?

— რომელი... რომელი და არ გახ-
სოვს? ქარი უბერავდა და გაფიცებუ-
ლი იყო, სულ დაგვეფშენა დაქრისას.

— მერე ეგ გუშინწინ იყო?

— აბა?..

— არ გამიკვირდა, ერთი კვირია,
აგერ თოვლი და წვიმაა, და იმაზე ადრე
არ იქნებოდა?

— კი, ქარის მერე ვაფუჭდა ამინდი.

— არ გამიკვირდა?

— რა ვიცი, რა მახსოვს, ჰოდა იმის-
თანა წამოიღე, თუ გახსოვს იმისი პარ-
ტი თუთუნი სადა გაქვს შენახული!

— მსე ვიზამ, თუ მივაგენი.

— ჰქენი და, თუ ავიტანე წელი, მა-
ნამდე შეშას შემოვხიდავ. ჯერ გვაქვს
დაქრილი...

— კი, ერთ ხანს გვეყოფა, მერე
ღმერთია მოწყალე!

— ღმერთია მოწყალე... არ მითხრა
მაგი, იმ შენი ღედ-მამის ცხონებამ...

— ღმერთი... ღმერთი კი არა, ის არ გინ-
და! ბიჭო, როცა იცი, ეს ქვეყანა რო-
გორაა მოწყობილი, რაღა გგონია, შიგ
ღმერთის ხელი ურევია?

— აბა!

— არ ურევია. სადაა ღმერთი!

— არაფერი არ ეტყობა, რომ ვინმემ
ჰკვიანად მოიფიქრა.

— არა, კაცო, ვინ, სადაა მერე!

სოლომონმა წასასვლელად ნაბიჯი
გადადგა.

— სტუმრები ვართ, ექვთიმე, სტუმ-
რები!

— არც მაგი მითხრა... სტუმრები
ვართო, თუ მეტყვი, ბარემ ისიც მათხრა...
რი, სადა ვართ მასპინძლები, — სხინქა
მოვედით!

— რას დაეძებ, საიდან მოდი!

— არ დავეძებ, მაგრამ სად მივდივარ,
ის მაინც მითხარა!

— საიდანაც მოხვედი.

— ჰოდა, თუ იქ მიშვებ, საიდანაც
მოვედი, ვერაფერი მასპინძლობაა.

სოლომონმა კარგად შეხვეული და
მაგრად გაბრტყელებული ტყეცა თუ-
თუნი მოიტანა. ექვთიმემ ორ-ორ ლე-
რობით — კოპიტის მსხვილი ნაპობები.
სოლომონს გვიან მოაგონდა ნაჯახი...
კარგი ვალესილი ნაჯახით თუთუნის
დაჭრა იოლია. დაადებ თუ არა, რო-
გორც გაუსვამ, თვითონ, თავისი სიმძი-
მით ქრის.

ადგა, ისევ გარეთ გავიდა და ნაჯახ-
თან ერთად შეშის ნაპობიც შემოიმ-
ძღვანა. ხენვით ჩამოჯდა; ხელის ზურ-
გი უღეაშებზე გადაისვა, ტაბურეტი
ჩაიდგა მუხლებს შუა, ნაჯახს ფხა გაუ-
სინჯა და თუთუნის ქრას შეუდგა. ექვ-
თიმემ ცეცხლს გული გამოუშალა. მო-
კიდებული მუგულლები მოხერხებუ-
ლად, ჯვარედინად დალაგა, ზევიდან
ახლები დააწყო, ხელი მოითბო და
ჯიბეები მოიჭექა. პატარა ოთხკუთხე-
დად დაქცილი გაზეთის ქალაღი ამო-
იღო, ერთი ფურცელი აახია, სოლო-
მონს გაუწოდა.

— დამიყარე, ქე იქნება აწი ერთი
გაწყობა!

სოლომონმა სამი თითით შეაგროვა
და გამოწვდილ ქალაღზე დაუყარა,
მერე ერთხანს ისევ ქრა და ბოლოს
წელში გარჭობილი ცარიელი ქისა ამო-
აძრო. სალოცი თითით და ცერით ბირ-
ლიად დიჭირა ტაბურეტის ფიცრის
კიდებზე, ზევიდან მეორე ხელით მოხვე-
ტა. რაც დაქრილი იყო, ქისა მუჭში
დაიჭირა. დარჩენილ დაუქრელ ტყეცას
ნაჯახი დაადო და ტაბურეტი ბუნჩის
გვერდით მიდგა. თინის ყალიონი ცე-
რის გამაგრებულ ფრჩხილზე დაიბერ-
ტყა და აქმუტუნდა. ჩაუბერა, მერე

თავი წააძრო, ბუხრის ყურეში მიდებულ ცოცხს ღერი შეამტვრია და მჭკარტლით გატენილ გრძელ ტარში გააძვრინა. გატენა. შიშველა ხელით აილო ნაკვერჩხალი და დაადო. მოსწია, გადააწიტა და ისევ მოსწია.

— კარგია შენი თუთუნნი, სოლომონ, ჩემი არ დადგა წელს ხეირიანი.

— იცის ზოგიერთმა წელიწადმა.

— წელს ევარგა, კარგი იყო და...

— ევარგა თუ არა...

— ეჰ, არ მითხრა, შენს გახარებას, რათ გინდა მერე, გამოვა რამე თუ...

— არაფერი არ გამოვა...

— არაფერი...

ცეცხლი ძლიერდება. გუგუნებს, ტკაცუნებს, მალლა იწვევს ალი.

— შენი ბიჭი ახლა დიდი კაცი იქნება!

— უფროსია.

— შეილიშვილი?

— შეილიშვილი დავაქვაცდა.

— ვერ გაძელი?

— ვერ ვავძელი. ძნელია საცხა სართულებში ვაკვებებული ცხოვრება.

— კიდევ კარგი, რომ აქაურობა არ გაყიდე!

— ვიცოდი!

— მეც ვიცოდი, რომ ვერ გაძლებდი!

— ძნელია.

— ნამეტანი ძნელია, ისევ აქ გირჩენია!

— რა ვიცი... ვინ იცის, სად ჯობია...

— არ მითხრა, თუ კაცი გპეცია, რა სალაპარაკოა, აქ ჯობია.

— ჯობია და ვარ.

— იყავი.

დანაკვერჩხლდა შეგუზღები. შიშინებს ნეღლი კოპიტის შეშა, გადანაჭერზე ორთქლი ადის და ქაფს იყენებს.


— კარგი ცეცხლი იცის კოპიტმა.

— დალოცვილია შეშად.

საიდანაც კატა შემოძვრა, ბუხრის წინ მოირბინა, პატრონის ფეხს გაეხახუნა და მიწვა.

— სად დადის აწი ეს ბალანდამწვარი. სულ რომ დასველებულა!

— დაღლილიცაა.

— კატა რამ უნდა დაღალს... 

— მამალია?

— ხვადია.

— დადის. ვახაფხული ახლოვდება. პი-პი-პი!

— აბა, ადრე სულ კერის პირას ეგდო.

— არ ვითხარი? დღე-დღეზე მარტი ჩამოდგება. გაიხედე ერთი, სოლომონ ჩემო, ზომ არავინ მოდის!

— ვინ მოვა...

— რა იცი...

— მაინც...

— თქვი, ვინ მოვა, ვის ვახსოვართ.

— ძაან დედაკაცია, იცოდე შენი!

— კარგია!

— პი-პი-პი! ქალი კი არა, ცხონებაა.

— ცხონებაა.

— პი-პი-პი! კარგი რამეა.

— კარგი მოგეცა, კარგი ის იყოს.

— ჰა, სოლომონ, ზომ მართალს ვამბობ, პი-პი-პი! — ისევ ჩაბყირდა ექვთიმე.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ექვთიმე.

სოლომონი იღიმება, იღიმება და ულვაშებზე ისვამს ზელს.

კატამ ასწია თავი და დაიკნავლა.

— მოუტეხე რაღაც მაგ პატიოსანს,

— ქირქილებს ექვთიმე, — ის კი არა და თუ კაცი ვარ, მეც დაგეწევოდი. კარდალაში გაქვს რამე?

— ცივი ღომი იქნება.

— ცივი რომაა ჩადგი აგერ დადარში, ის დოქი კი აქეთ მომიდგი.

— რომელი დოქი?

— რომელი დოქი იქნება, მე არ მოვიტანე დოქი, რომ მოვედი?

სოლომონმა იცის, მოიტანა, მაგრამ აქ ვერ უგებენ ერთიმეორეს ბერცაყები. ექვთიმეს არ უნდა მოჰქონდეს თავისი ღვინო, მაგრამ სოლომონის ვენახი დაბერდა, ნამეტანი დაბერდა და ვილა განაახლებს. ჭურვი მთლად ცარიელიც არა აქვს. ექვთიმეს კი ორი ბიჭი დარჩა, ღვინოც მტერი აქვს და მჭადიც. მას შვილებისა არ ესმის, როგორ არ ესმის, მაგრამ ასეთ დღეებში სოლომონთან



ურჩენია. სოლომონი მარტოხელაა. ცეცხლი შინც უნთია, ერთი იქნება თუ ორი. საქმე არც ერთსა აქვს და არც მეორეს. ჰოდა, საუზნის შერე-კარგად რომ მოშუადღდება, ამოიდებს ილიაში ერთ პატარა დოქს და გადმოვა.

ახლაც დაინახა სოლომონმა. რა დანახვა უნდოდა, რა, ექვთიმე სახლში რომ შემოდის, ხელს მაშინვე იცლის და ყოველთვის ერთ ადგილას დებს. ახლაც იქაა პატარა, უკვე ცეცხლზე თბობისაგან ნაცირთა და კვამლით გარუჭული ტუჩიანი დოქი.

გვიან დაუტრელი თუთუნი ბუხრის თაროზე გადაინაცვლებს და ტაბურეტი ისევ ცეცხლის წინ ჩამოდგება. პატარა, წელში გამოყვანილ თეთრ ღვინის ჭიქებში აელვარდება ნაკვერჩხლის წითელი ფერები და ორ-სამ ჭიქაზე კოპიტის შესასავით დაიწყებს შემთბარი ღვინო ტვინში ტკაცუნს.

— გაემარჯოს, სოლომონ!

— გაემარჯოს, ექვთიმე!

— კარგი ღვინოა, ზედაშეა.

— მაგის ძირში დამმარხე, თუ შენ დაესწრო ჩემს სიკვდილს.

— კარგი ერთი...

— აბა რავე გინდა... თავსლაფი კი დავასბი ამისთანა წუთისოფელს, მოწიე ჭიქა...

— მაგერაა და დაასბი.

— ვინ, თუ ექვთიმე მქვია, — ნაობიდან წინდიან ფეხს იღებს და წულაში ჩრჩის, — თუ კაცი ვარ...

— თქვი რამე თუ?

— ვთქვი!

— რაღაც არ გამიგონია.

— ახლა ვიტყვი მე შენ გითხრა სადღეგრძელო შემომეღევა, გამოუცდელი ვარ...

— ჰოდა, თქვი.

— ეს ღმერთმა გაუმარჯოს... სადაა ღმერთი...

— შენ ის თქვი, რისი თქმაც გინდოდა.

— კი, მაგრამ მართლა არაა ეს უღმერთო?..

— რა ეტყობა, რომაა.

— არაფერი.

— აბა, კაცს გაუმარჯოს მაშინ, თუ არაა, მან იკითხოს, ჩვენ ამდენხანს ხომ მაინც ვიყავით.

— ვიყავით, მარა... მაგი დალიე და კიდევ ვიქნებით.

— დაეღევი.

— დაღევი და დალიე. დაწიე მაგ დოქი უკან, ნამეტანი გათბება.

— ღმერთმა შეარცხენია ამისთანა წუთისოფელი.

— მსგე იყოს...

— დაღამდა სოლომონ?

— კი, ღამდება.

— ღამდება და დაღამდეს, ეს კი მისი სადღეგრძელო იყოს...

— გამარჯვება ნუ მოუშალოს...

— ნამეტანი კარგი და პატიოსანი, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ..

— არა კაცო, თუ ექვთიმე ვარ... ისე ვარ, რომ... ჰი-ჰი-ჰი! სოლომონმა იცის, რა აცინებს ექვთიმეს და თვითონაც იღიმება. იღიმება და ხელის ზურგით უღვაშებს ისწორებს.

— კი რამეა, აჰ!

— ვინ, კაცო, ჩემი მღვმური? გავიხარდება.

— მარილიანი დედაკაცია.

— არ მითხრა, სოლომონ, ჰი-ჰი-ჰი!

— ჩაბვირდება ექვთიმე და სლოკინი მოუსწრებს.

— ახლოს მოიწი ბიჭო ცეცხლთან.

— აჰ, ცეცხლია ქალად.

— ცხონებაა მე და ჩემმა ღმერთმა.

— ვასხამ, იცოდე, სოლომონ.

— დაასხი, მაგის ღვინი არ იყოს!

— გაუმარჯოს...

— ვის, კაცო?

— ვის და... ჰი-ჰი-ჰი!

სოლომონი იღიმება, იღიმება — ყაბულსაა.

— გაუმარჯოს...

— კაცი ვარ, სოლომონ, აჰ, არ უნდა ლაპარაკი!

— მე და ჩემმა ღმერთმა.

— დულარესავით ქალია, აჰ! ჰი-ჰი-ჰი!

- ღადარია.
- ჰი-ჰი-ჰი!
- პა-პა-პა! და რო რამე იყოს?
- რა კაცო?
- რა და საქმე საქმეზე რომ მიდგეს?..
- ჰი-ჰი-ჰი!
- პა-პა-პა, აჰ!
- რატომაც არა!

- შენი არ ვიცი და...
- სოლომონ, რას ამბობ, სოლომონ!
- ეჭვითმე ისე ჩაბეირდა, სუნთქვა შეეკრა.
- პა-პა-პა! — უღვაშები გადაიგრიხა სოლომონმა, — რატომაც არა, რატომაც არა... რაგა...

გარეთ თოვლი იდო, ნამეტანი მაგარი ზამთარი იდგა, თეთრი ზამთარი.

სიცხილი წისქვილის გზაზე

ხშირად ჩვენებური ზამთარი ზამთარს არა ჰგავს. ზოგჯერ ისეთ ამინდებს დაიჭერს, ისეთი მცხუნვარე მზიანი დღეები დადგება, რომ მინდვრებზე ღია მწვანე ბალახი წამოვა. ტყის პირებზე ყოჩივარდები წამოჰყოფენ თავს და მძლღობ ფერდობებზე მოტყუებული ტყემლები იფეთქებენ.

პირდაპირ ჩემი და ჩემი ვანუყრული ბიძაშვილის ბუდუს ამინდი იდგა. ომი ახალი დამთავრებული იყო და თითო მუხლგამოვდებული შარვლისა და თითებგამოყრილი ჭლანის მეტი არაფერი გვებადა. არა და უკვე აღარც ბავშვობა გვეთქმოდა, მაგრამ მეტი საშუალება არ იყო და მოგვხსენებთ, თავს ზევით ძალა არაა.

მართალია, ზამთარი იყო, მაგრამ ამ დალოცვილ სოფელში საქმეს ვერ გამოლევე. თუ შეშა და წყალიო, თუ ჩალა და საქონელიო, თუ ტყე და წისქვილიო.

ჩვენი მდინარე, თუ ჩვენი ეთქმის, რადგან სოფლიდან ნამეტანი მოშორებითაა, დაბლობში მიედინება და მის ნაპირებზე ისეთი დაცემული ქალებია, ჩვენმა წინაპრებმა, აღბათ, უკეთესი ადგილი ვერ შეარჩიეს წყალგარდნისათვის, რომ წისქვილი, დასწყველოს ღმერთმა, სადღაც მდინარის ვასათავარი ააშენეს.

იშვითად შემხვედრია ვინმე, ერთსა და იმავე საქმეს, რაც თითქმის წლიდან წლამდე მეორდება, ხალისით აკეთებდეს, და გამონაკლისს არც ჩვენ წარმოვადგენდით, მაგრამ სანამ დასა-

ფქავი გექონდა, წისქვილი იყო ჩვენი წელისწყვეტა, ამაზე იყო მუდამ ჩიჩინი, ხვეწნა, მუქარა და წყველა-კრულვა.

რამდენად შორს იყო წისქვილი, როცა თავს გაეწირავდით, გვინდოდა ბარემ ერთად ბევრი წაგველო, რომ მერე ერთხანს ამოგვესუნთქა. სახლში, თუ სხვა საძინელო საქმეს გვიშლიდნენ, წელს მოიწყვეტსო—საფქავით სავსე ცალიანი რომ წაგველო, ზმას არავინ ამოიღებდა და ჩვენც, რაკი თავს გადავდებდით, რაც არ შეგვექლო, იმდენს მოვიკიდებდით.

თუ ამინდი იყო, რა გიშავდა, მაგრამ აედარში ამ გზის გავლა ნამდვილად წამება იყო. როგორც კი სოფელს გაცდებოდით, ტყეში გზა მიხვეულ-მოხვეული იყო და იოლად გაივლიდი, მაგრამ მერე იყო, რაც იყო, — ამ დაცემულ ქალებზე გაიჭიმებოდა სწორი, თვალუწიერი გზა, რომელიც შუაგულ საყანეებზე გადიოდა. საყანედ კარგი ადგილები იყო, მაგრამ ნაწვიმარზე ზედ გავლა არ შეიძლებოდა. ამოდენა გზაზე, სადაც არ უნდა აგველო მიწა, ყველა ჭურის საგოზავად გამოდგებოდა. ნაწვიმარზე, მით უმეტეს, თუ ფეხზე რაიმე გეცვა, გერჩია მუხლამდე კუბრის სქელ ფაფაში გველო. ფეხსაცმელს კი არ იწებებდა, პირდაპირ თოკით გაბამდა. დადგებოდა წყალ-ტალახი და ამ მომსპარ გზაზე ვერსად ტომარას მხრიდან ვერ ჩამოიღებდი, დავისველდებოდა და გაგესვრებოდა. აკი მოგახსენეთ, ომი ახალ დამთავრებული იყო და ყოველ

მუცა ფქვილს ისე ვუყურებდით, როგორც ძუნწი — ოქროს.

შაბათ-სალამო იყო. უკვე მთელი კვირა ვიმაღეთ, ვირბინეთ მეზობლებში ქოთინი ფქვილის სასესხებლად და ახლა სხვა რა გზა იყო: თანაც თბილი, მშრალი ამინდებია იდგა.

ზამთარი მაინც ზამთარია, ვიცოდით, დიდხანს არ გაყვებოდა ასეთი დღეები, და უნდა მოგვესწრო.

მე და ჩემი ბიძაშვილი კბილა ბიჭები ვიყავით. ზოგჯერ კარგი ძმობა გვქონდა, ზოგჯერ ნაჩხუბარი და გაბუტულები, მაგრამ წისქვილში უერთმანეთოდ არასოდეს წავსულვართ. მარტოხელა ამ გზას ვერ გაივლიდი.

— აბა, ბუღუ, უნდა წავიდეთ!

— კი, კი, უნდა წავიდეთ!

— გამოვიარ?

— გამოვიარ?

-- ჩავაყრევინებ საფქვავს და გიცილი ცილდე!

— მასე ჰქენი.

ტომარას რომ თავი მოვუყარი, შუაზე გაყავი და მხარზე მოვიგდე სასინჯად; როდი შემჩატა, მაგრამ ჩამოვიღე, მოვსენი თავი და კიდეე ჩაეუშვი, რაც იქნება, იქნება. ამინდები კარგია, მალ-მალე დავისვენებ, — ვიფიქრე.

ბუღუს კარგა გვარიანად შეაგვიანდა. მეგონა, ალბათ, ხვალამდე არ წავალთ-მეთქი, აგერ არ მომალდა?

— სად იყავი, ბიჭო, ამდენი ხანი?

— დამაგვიანდა.

— რომ დაგაგვიანდა, მავაზე გეუბნები.

— ჭის გვიმი დაგვენრა.

— რა ჯანდაბამ დაანგრია ახლა ჭის გვიმი.

— დაინგრა და კითხე შენ!

— მერე ხვალ გაგვეკეთებია!

— ხვალამდე უწყლოდ?

— აბა იარე ახლა შუა დამეში!

— ნუ იარ შენ, თუ ბიჭი ხარ!

— ხვალ რომ წავსულიყავით?

— სახლში ამბობდნენ მთვარე გადაბრუნდებოა და რომ გაწვიმდეს!

— მთვარე კი არა, ქვეყანა გადაბრუნდება!

მაინც წავედით, მოვიგდე მხარზე შუაზე გარწყული მძიმე ტომრები და დავადექით გზას. როგორც კი მინდრებში დავადვიარეთ, ტყესთან დავისვენეთ. სალამოს გრილი ნიავი უბერავდა. დავედევით ტომრები, ჩამოვყვეით ზედ. ბუღუს ჭის გვიმის კეთებისას ნაჭახის ყუა ცერზე დაეკრა და ფრჩხილი გაშავებოდა.

— გტკივა?

— მაშინ კინალამ ვული შემწუხდა.

— ახლა გაგიარა?

— იმდენად აღარ მტკივა.

ავიგდეთ ტომრები და ვავსწიეთ. ახლა ტყეში მივდიოდით საურმე, ოღრო-ოღრო გზაზე. ტყის პირას, ჩამონაყარ გაშვებულ ხმელ ფოთლებში ყოჩივარდებს ამოუყვავით თავი. ორჯერ დავისვენეთ, სანამ ტყეებს გავცდებოდით, მერე კი, ანგარიში აგვერია, მით უფრო, რაც წისქვილს მივუახლოვდით, მთლად მოგვისავდა მუხლებში და ტომარას რომ ჩამოვედებდით და ზედ ჩამოვვდებოდით — ადგომა აღარ გვინდოდა, ავდგებოდით და ტომრის მხარზე ადებოდა არ შეგვეძლო.

წისქვილის სათავეს რომ გავუსწორდით, ძალა მოვიკრიბეთ და, როცა დოლაბების ხმაური შორიდან სასიამოვნო გრუტუნად მოგვესმა, გაეწირეთ თავი და გაოფლილი, დაღლილობისაგან ენა გადმოგდებულ შევედით წყალზე გადებულ ძელის ქოხში. კარებთან ჩამოყვარეთ ტომრები და გაბდღვერილ, შეხუთულ ჰერს წყლიდან ამოგდებულ თევზივით დაეუწყეთ ყლაპვა.

იმ სალამოს არც უკან დაბრუნების დრო იყო და არც ამის თავი გვქონდა, მაგრამ წისქვილში ღამისთევა ჩვენთვის ახალი ამბავი არ იყო. ეს არც სახლში გაუკვირდებოდათ.

ნაშუალამევს, შენს მტერს, ქარტხილი ამოტყდა. ჯერ ხომ იწვიმა და იწვიმა, მერე თოვა გამოურია და, იცოცხლე, ჩვენ კანკალი აგვიტყდა.

ბუღუს მხარეზე გახედვა აღარ მინ-

ლოდა. ბუნებასთან აბა რას გავაწყობ-
დი და ყველა უბედურება ჩემს გუნება-
ში ბუდუს დაეატეხე თავს. მას რომ არ
დაეგვიანებია, საღამოსვე უკან დავ-
ბრუნდებოდი მეთქი და ჩემთვის ცა-
ლიანზე მიმხობილმა რა ღმერთთან და
კაცთან არ შევჩვენე. მარტო ამალამ-
დელი კი არა, წასული ყველა უსიამოვნ-
ება მას დაეაბრალო.

რაღა გავაგრძელო, წვიმს და თოვს,
თოვს და წვიმს, ვითრით ფეხი მეორე
ლილით, მაგრამ წისქვილში ხომ არ და-
სახლდები! შენც არ მომიკვდე, ვინ ფი-
ქრობს გადაღებას. მოგვიანებით პატა-
რა მოუკლო ვითომ. ბუდუს ავი ნავა-
ზივით შევეუყვდე:

— გამძიხე!

ეს ერთი სიტყვა იმდენს რას ნიშ-
ნავს, მაგრამ თქვენ ვერ გაშიგებთ, რამ-
დენ მუქარას, ბრაზსა და რისხვას იტყე-
და.

როგორც კი კარებიდან ფეხი გამოვ-
დგით, ჯერ კიდევ აივანზე გავგვესო
თოვლიანი წყლით ჭდანები. ცეცხლი-
დან ახლად ამდგარი, უკანშმო, უსაუზ-
მო, ერთი მუხლგამოვლელი შარვლის
ამარა უმწიფარი ბიჭებისათვის ეს იმ-
დენად ძნელი იყო, რომ უნდა გამო-
გიტყდეთ, მძულდა ბუდუს დანახვა. რა
მეჭნა, სიტყვა ვერ მეპოვა და ბოლომთ
გულგასიებული ვდუმდი თუ არა,
ღმერთს გავავიწყებდი მის ლანძღვა-გი-
ნებას.

მოვდივართ, თუ ამას სიარული ჰქვია.
ბუდუსი არ ვიცი, მაშინ არც მაინტე-
რესებდა მისი არაფერი, მაგრამ მე
ვითვლიდი ნაბიჯებს, ვითვლიდი ათო-
ბით. ათამდე თუ გავივლიდი, ეს იყო
საქმე, თუ არა, მაშინ რომ ასი ნაბიჯის
გაველა წარმომედგინა წინდაწინ, დარ-
წმუნებული ვარ, ტომარას ძირს დავავ-
დებდი, და ზედ ფეხით შევდგებოდი.

თავი რომ არ მოგაწყინოთ, თუ ადა-
მიანის ფანტაზიას რაიმე ჯანდაბა, ჯარ-
ხანა და ჯოჯოხეთი გამოუგონია, ჩვენ
ყველა ერთად ვნახეთ იმ დღეს. ასე
მოვალწიეთ შუა გზამდე, რომ ისევ წა-
მოვიდა თოვლშეავი. წამოვიდა, მაგრამ

თვალში ვერ ვიხედები, ან რა ობო-
ბას უნდა ვუყურო, დახრილუ მუქვეს
თავი, ცალი ლოყა ტომარის წინა ნახევარს
რისთვის მაქვს მიბჯენილი და ვაღამ
ამ ცოდვის ნაბიჯებს.

— ერთი, ორი... ორი, სამი...

წინ ბუდუ მიმიძღვის, მოულოდნე-
ლად შეჩერდა. ყურადღება არ მიმიქ-
ცევია, არც მისცენ მიმიხედავს. გვერდი
ავუქციე და ათი ნაბიჯი სწორედ მის
გასწვრივ დავთვალე, მერე ისევ დავი-
წყე.

— ერთი, ორი, სამი... სამი... სა-
მი... — კარგახანს ფეხი ვერ ამოვგლი-
ჯე ლაფიდან, — ოთხი, ხუთი, ხუთი,
ექვსი...

რაღაცის ხმა მომესმა, ბუდუ თუ
კენესის მეთქი და არ შევჩერებულ-
ვარ. — ახია შენზე, — ამოვილაპარაკე
და თვლა განვაგარძე — შვიდი, რვა,
რვა...

ისევ მომესმა რაღაც, მაგრამ ეს ხმა
წინიდან მოდიოდა. ავწიე თავი, გავიხე-
დე. ვილაცა ჩანს გზაზე. გზა სადაა, ტი-
ალ, თოვლ და წყალად გათქვეფილ ნა-
ყანეზე.

ალბათ, მოლანდებები თუ დამეწყო-
მეთქი, რადგან, რასაც ვხედავ, ადამი-
ანი არ უნდა იყოს. თოვლი კი მიშლის,
მაგრამ დღეა, ადამიანს როგორ ვერ
გავარჩევ. რაღაც პატარა კუნძულივი-
თაა ამ ალაგ მოყვითალო ტალახიან
თოვლზე დაგდებული და ტირის ქალის
თუ ბავშვის ხმაზე.

ახლა მე ვაჩერდი.

ბუდუ დამეწია და ისიც გაჩერდა.
წინ იხედება და ყურს უჯდება.

მე თუ მეჩვენება ამ უპატრონო ბუ-
დუიასაც ეჩვენება?

არა, არაფერიც არ გეჩვენება, ამ
წყალ-ტალახში აგდია კუნძი და ტირის.

— რა უნდა იყოს? —

— კითხე შენ! — თვალები დაქანა-
ბუდუმ.

— წესიერი პასუხი გაეცი, — უთხა-
რი, როცა გეკითხებიან!

— რავარც შენ იცი, ისე ვიცი...

— შენ რომ რაიმე იცი, მოგჩვენა!

— ტირის ვილაყა.

— შენ გგონია, მე სიმღერად მესმის? ვაი, შენს პატრონს!

წავედით წინ. ეუახლოვდებით. ადამიანის ხმაა, მაგრამ აღამიანს არა ჰგავს, ნამეტანი პატარა ჩანს.

მივედით. კი, ადამიანია, მაგრამ შორიდან არ შეიძლებაოდა მისი ცნობა. ტალახში დაფლული გოგო ჩაყუნტულა, ტომარა მუხლებზე დაუდევს, რომ წყალში არ ჩაეგდო, ცხვირპირით ზედ დამხობილა და ტირის. ვინაა, ასე რას გაიგებ. თავზე ღაზლის მოყვითალო ნაგლეჯი აქვს მოხვეული, კაბის ბოლო ტალახში უდევს, შინ ნაქსოვი ბამბის გრძელი წინდები აცვია. გაცეული თვალი წვივის მთელ სივრცეზე ჩასდევს და ქვევით, კოჭამდე ტალახში და თოვლში დაფლული.

— რომელი ხარ? — ვეკითხები.

ტირის და ტირის.

— ასწიე თავი!

ვის ვისმენს?

— შენ რომ გეუბნებიან, არ გეყურება? ვინა ხარ!

უეცრად ასწია თავი და მიიხედ-მოიხედა. ჯერ ჩვენი ფეხები დაინახა, მერე ზევით ამოგვაყოლა მხერა.

— არეთა ვარ, — გვიპასუხა ისე, რომ ტირილი არ შეუწყვეტია.

მართლა არეთა იყო.

ჩვენგან შორს ცხოვრობდა, მაგრამ ცნობით როგორ არ ვიცნობდით, მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყო, ასე ხომ არ დავტოვებდით. დავტოვებდით კი არა, იმ წამსვე მის მუხლებზე დადებულ ტომარას ვეცით, აქედან მე, იქიდან ბუდუ და მალა ავიტაცეთ.

არეთა მაინც ტირიდა და ტირიდა.

— ახლა რაღა ვატირებს?

მუხლებზე კაბა ჩაიქაჩა და უფრო უმატა ტირილს.

— აღეჭი, არეთა!

გავიგონია?! ხელის ზურგით იქიყუნის თვალბს და ფშლუყუნებს.

— რა იყო, არეთა? ქვეყანა დაიქცა? ჯერ არ მოუთოვია, თუ რამ გადაგარია?

არეთა წამოდგა, მაგრამ ჩვენ ზურგი

შეგვაქცია და უკან წავიდა. გვიჭირავს ტომარი მე თავში, ხელჩაყიდებულ ბუდუს ბოლოში და მივეცევიღ-ბუდუს დაბეგვილი ცერი მთლად გაშვებია, მაგრამ ტომარა მაინც უჭირავს, არეთა მივეძიდება და მიტირის. არაფრით არ ჩუმდება. რა მოვიფიქროთ, რომ განუმდეს.

თოვს და თოვს. მიდის არეთა და ტირის და ტირის.

რა ვქნათ, რა ვუთხრათ ისეთი, რომ არ იტროს? არადა მთლად გადამილია გული მისმა ტირილმა.

— კაი ახლა, არეთა, მოიხედე აქეთ!

თქვენ გაიგონეთ მაშინდელი ჩემი ნათქვამი? არც იმას გაუგონია. მოულოდნელად ბუდუს მივებრუნდი:

— ბუდუ, თოვლის მოსვლა არ გიხარია?

ბუდუმ ზედაც არ შემომხედა, თუმცა მე ეს ისე ხმამალა ვთქვი, არეთასაც უნდა გაეგონა.

— ყრუ, შენ გეკითხები!

ბუდუმ ახლა კი შემომხედა, მაგრამ ისეთი თვალით, იქვე ქვა რომ შეენიშნა, ტომარს ხელიდან გააგდებდა, აიღებდა და თავში დამარტყამდა.

— მე მიხარია! — ვთქვი ისევ ხმამალა, — თუმცა შენც ხომ ამბობდი გზაში, ნეტავი თოვლი იქნებოდესო.

ბუდუ რაღაცას მიხვდა, მაგრამ რავარი სათქმელი იყო ის, რაც მე მინდოდა ეთქვა.

— მე, შენც იცი, მტკაველი გავიზარდე, ამ დღით თოვლი რომ დავიჩახე.

ბუდუს რაღაც უნდა ეთქვა თუ არა, ყველაფერი წყალში ჩამეყრებოდა.

ნამეტანი გაუჭირდა, ენა დაემა, მაგრამ ბოლოს თქვა:

— თოვლის მოსვლა ვის არ უხარია! არეთამ სლუყუნი შეწყვიტა, და მე ბუდუს ყველაფერი ვაპატიე.

— უხარია, აბა, არ უხარია? მზე ყოველთვის იქნება და თოვლი რა, ზაფხულში კი არ მოვა.

— ზაფხულშიაც თუ თოვლი იქნა..

— სად იქნება, ზაფხულში კი არა,

აგერ, ზამთარშიაც ძლივს მოვიდა. არეთა, ციგაობა გიყვარს?

— არეთა ხმა არ გამცა.

— არ უყვარს,—მიპასუხა ბუღუმ.

— ამიტომაც ტირილა, შენ ციგაობა რომ გიყვარს ბუღუ, იმიტომ გაგინარდა. მე ხომ, რაც მართალი მართალია და ნამეტანი მიყვარს ციგაობა. და ვინაც ციგაობა უყვარს,—თოვლიც უნდა უყვარდეს. შენ ნამდვილად იცი, რომ არეთას ციგაობა არ უყვარს?

— თოვლი არ უყვარს, ვიცი.

— იქნება ციგაობა უყვარს, მაგრამ თოვლი არ უყვარს

— აბა როგორ, კონინდარში ციგაობს?

— რა ვიცი—გთქვი და გავიცინე.

არეთამ ჩვენსკენ მოიხედა. ახლა ბუღუმაც გაიცინა. მე უკვე ხმაშალა ვიცინოდი. ბუღუც ამყვა. გავჩერდით, ვიცინეთ და ვიცინეთ. არეთა მთლად ჩვენსკენ მობრუნდა, თვალები ცრემლებით სავსე ჰქონდა, თვითონ არ იცინოდა, მაგრამ გვიყურებდა, ხან მე, ხან ბუღუს. უკვირდა, ასე რა გვაცივებდა. ჩვენ ლამის არეთას ტომარა გაგვივარდა სიცილისაგან. მერე თვალთ ვანიშნე ბუღუს, ხელი წამომიკრა და მხარზე ავიგდე, ჩემი ტომარის ზევით დავიდე. თან ვიცინი.

მიყვებით ისევ გზას, ბუღუ მეუბნება:

— ნამდვილად არ ვიცი, უყვარს არეთას ციგაობა, თუ არა.

— იქნებ ციგაობა კი უყვარს, მაგრამ... — და ამ ღროს მომისწრებს საცილი და ვიცინი.

— აჰ, — ვეკითხები ისევ,—ნამდვილად არ იცი!

— არა.

— იქნებ უყვარს, მაგრამ...

ნიუყვებით არეთას უკან და ვხიბობთ.

— არეთა! — ეძახის მე.

— არეთა! — ეძახის ბუღუ.

— მოიხედე, არეთა!

არეთა იხედება.

— ციგაობა გიყვარს?

არეთა ერთხანს ვერ მიპასუხებს.

— ციგაობა, ციგაობა არ გიყვარს!

თავს მიქნევს.

— ხომ ხედავ, ჰყვარებია, — ვიცინით ისევ.

— თოვლი?..

— თოვლი თუ გიყვარს? — არ ვაცილი ბუღუს.

— არა, — თავს იქნევს არეთა.

— თოვლი არ ჰყვარებია. ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ციგაობა კი.

— არეთა, იქნებ, მაგ ღაზლი რომ

გაქვს მოხვეული, იმიტომაც ვერ გაიგონე? ციგაობა მართლა გიყვარს?

— მიყვარს, — თავს იქნევს ისევ და ილიმება.

— თოვლი?

— თოვლი არა.

„არაო“, — აგვიტყდება ისევ სიცილი.

— რა გაცივებთ, რომ იცინით? — გვეკითხება არეთა.

— კონინდარში ციგაობს არეთა. — ამბობს ბუღუ.

— არეთა, ზამთარში არ გიყვარს ციგაობა?

— არა.

— ზაფხულში?

— კი.

— კი მიყვარსო! — იმეორებს ბუღუ და ცალი ხელით ტომარა მიჭირავს, მეორეთი მუცელი.

— რა გაცივებთ, არ იტყვი?

— ხა, ხა, ხა, ხა!

— თქვით, რა გაცივებთ?

— ციგაობა ხომ გიყვარს, არეთა?

— მიყვარს.

— თოვლი არ გიყვარს!

— არა.

— ზაფხულში ციგაობა გიყვარს?

— მოდი და, თუ ბიჭი ხარ ნუ გაიცინებ!

ღმერთო ჩემო, ამდენი არასდროს არ გვიცინია.


მივიხედ-მოვიხედე და აგერ, შუა ტყეში არა ვართ? კი, მაგრამ არეთას ჩვენ აქ რომ არ შევხვედრივართ, როდის მოხდა, აქ საიდან გავჩნდით? მოდი ახლა და ისევ ნუ გაგვიცინება! მოვდივართ, მოგვაქვს ტომარები, არეთას სიმინდიანი ტომარაც უკან მოგვაქვს და ახლა ამაზე ვიცინით. როგორ მოვედით სახლში, შერცხვენილი ვიყო, ახლაც თუ ვიცოდე!

ამის შემდეგ, ჩვენ ისევ დავდიოდით წისქვილში, ხან დარში და ხან ავდარში და ყოველთვის ისევ ისე გვწყვეტდა წელს საფეკავი, მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, თორემ არეთასთვის რომ გავვევლო, გზაც რომ გავვემრუდებია, წაგვეყვანა, მისი საფეკავიც ჩვენსაზე დავვემატებია, არ დავიღლებოდით და სიცილითაც ბევრს ვიცინებდით.

ზაგა მუხარხვილი

წლების გადაღმა

მძიმე ზარები ისევ რეკავდნენ
ძლიერი გზნებით და გაურჩებით
და შენს თვალებზე, როგორც ეკრანზე
ირეკლებოდნენ მწვანე ქუჩები.
ცაში გაფრენა სწყუროდათ კვირტებს,
იდგა აპრილი თეთრი და სრული...
და ხიდან ხეზე დაჰქონდათ ჩიტებს
შენი ნაზი და მზიანი სული:
სურვილს ბავშვით ხელში ეკავე,
გათრობდა სუნთქვის საამო ჩქამი...
და გულში ეჭვი, როგორც ეკალი
გჩხვლევდა და ცუდად გეძინა ღამით.
ძლიეს გასაგონრად მღეროდი შენთვის
ცისფერ თვალებზე, ოქროსფერ თმებზე
და გისხლტებოდა ხელიდან ბედი,
როგორც სხარტი და მოქნილი თევზი.
შენ არ გტყიოდა სხვებზე ნაკლებად,
არ გაკლდა ყინი, თავგამეტება,
მაგრამ მოწყენით ისხდნენ სარკმელთან
დღეები, როგორც ლურჯი მტრედები.
გიყვარდა ცოლი, გიყვარდა შვილი;
ისიც ძალიან ძლიერ გიყვარდა
და შენი ტანის მოხრილი ჩრდილი
ძალღვივით იწვა რკინის ჭიშკართან...
გოგოს, რომელიც მრავალჯერ გიქქეს,
უკანასკნელად მიაცილებდი...
და ბავშვებით შეჩვეულ ფიქრებს
ასაზრდოებდი მზით და იმედით.
დამშვიდობების ფერმკრთალ ღიმღლში
ვერვინ მიგიხვდა ხასიათს შეცვლილს
და ოცნებაში ენთო თბილისი
როგორც დიდი და კეთილი ცეცხლი.



ამერიკელი პოეტები

აკარ სენდბერგი (1878)

გ ა ლ ა ხ ი

დაახორეთ გვამები აუსტერლიცში და ვატერლოოში.
დამარხეთ მიწაში და მიმიშვით სამუშაოდ, —
მე ვარ ბალახი; მე ვფარავ ყველაფერს.

დაახორეთ გვამები გეტტისბურგში,
დაახორეთ იპრესში, ვერდენში.
დამარხეთ მიწაში და მიმიშვით სამუშაოდ.
ორი წელი, ათი წელი, და მგზავრები ჰკითხავენ
გამყოლს:

რა ჰქვია ამ ადგილს?
სად ვიმყოფებით?

მე ვარ ბალახი.
მე ვფარავ ყველაფერს.

არბინსონ ჯუნიანი (1887)

ტუდი სიზმრების აკოლოგია

I

მეწამულ შექმე, სანდალოზის ტყით დამძიმებული ფერდობები
ულრან ტვერებში შემალულა ციცაბო ხევი, ქვევით ზღვის
მოსჩანს ახო უკაცრიელი; მდინარისპირა პატარა ყანა;
ლაპლაპებს, როგორც ვეება ლოდი, ფერდჩამოთლილი და გარანდული.
და სახმილი უჩვეულო ნათლისა რომელიც იფრქვევა ჩამავალ მზის
ქალია, რომელსაც ცხენი მიუბამს ნერგისთვის აღვირით
გამწარებული პირუტყვი ფართხალებს, ქალს ეშინია არ გაწყდეს
შვილს, ახალგაზრდა კაცს, რომელსაც გამოაქვს ჯაჭვშებმული თოკი,
ისინი სდებენ ჟანგმოკიდებულ პაწია რგოლებს ცხენს ენის ქვეშ და
გასიებელი ენით აბამენ მახლობელ ხეზე.



ამ სიმაღლიდან ბუზის ოდენად მოსჩანან ისინი.
 თქვენ ველარ ხედავთ სისხლს, რომელიც მოსდის ცხენს პირიდან,
 თქვენ ველარ ხედავთ პირუტყვის ცახცახს; მოსჩანს მხოლოდ
 გაწვილი კისერი,

გაჩანხული ფეხები. მოსჩანს აგრეთვე შოლტის მოძრაობა...

და ყესტი მკლავისა. ქალის სახეს კი ველარ გაარჩევთ.

სინათლის ვეება ჩქერალი ინთხევა დასაელეთიდან პასატა! მიერ

მომბერილი ღრუბლების ჯებირზე,

ოკეანე ბინდდება, ბრწყინავენ ცაზე მოჯარული ღრუბლები, ბინდი

ეცემა გორაკებს. დაუჯერებელი, აღვირაზნისილი სიტურფე

მოიცავს საღამურ მიდამოს... არათუ მოიცავს, არამედ ამოდის მისი

წიალიდან, როგორც ასპიროზი

გაბრწყინებულ ცაზე. რას ამბობს მესსია? „მე შევექმენ კეთილი.

მე შევექმენ ბოროტი. ეს მე ვარ, უფალი“.

II

ეს სანაპირო უხმობს ტრაგედიას, მსგავსად სხვა ტურფა ადგილებისა,

(მშვიდი ადგილები მოითხოვენ უფრო მშვიდ წამებას; მაგრამ ეს

გრანიტის ვეება კლდეები, კიპარისების მეჩხერი გვირგვინით,

რა მსხვერპლს ითხოვენ? წითელი ლავის რომელ მდინარეებს ან რომელ

შავ ტიტანს? ცეცხლის ენებად აწვილი ქიშხი,

სობერანებთან, ამაზრზენი მწვერვალები, მზით ანთებული სალი

კლდეები რა და რა ზვარავებს ელიან?)

ეს სანაპირო უხმობს ტრაგედიას, მსგავსად სხვა ტურფა ადგილებისა;

მსგავსად კაცობრიობის მგზნებარე სულისა,

ტანჯვას ითხოვს საკუთარ საზრდოდ: „ზვარავებს უფლისას“.

ტანჯვით სიკვდილს, დასახიჩრებას; და მე ვთქვი გულში,

სჯობს გამოიგონო ამგვარი რამ, ვიდრე ვანიცადო:

წარმოიდგინე უბრალოდ, მსხვერპლნი,

რათა თვით შენი საკუთარი სხეული არ იქცეს ზვარავად ან შენ არ

შესწირო რაიმე არსება ადგილის სიტურფეს!

და ვთქვი აგრეთვე: „უკმეი ყოველ წელს მაგიურ, უცხო საშინელებას,

შორს, სახლის გარეთ, რადგან შენ ეს პატარა სახლი

ოკეანის პირად დაგიდგამს საკუთარ ხელით

ამ დაბერგული ლოდების ვასწვრივ; ან რანი ვართ ჩვენ,

თუ არა მხეცნი, ორ ფეხზე მავალნი, მოლაპარაკენი,

მეჩხერთმიანნი, ან რა უფლება გვაქვს

ვიფიქროთ რომ ნიადაგ ვიქნებით ქერის მქონენი,

ხელშეუხებნი, თავდაჭერილნი?

ჩვენ, უბრალოდ, ოდნავ მეტი მოგვეთხოვება, ვიდრე სხვა მხეცებს;

წამება, შიში, სურვილით შეშლა, — არსებითია ყველა

ჩვენთვის, არა შემთხვევითი;

ეს არის ბირთვი: წარმოვიდგინე უკვე მსხვერპლნი მე ამ მკვლელებისთვის.

მე შევექმენი მათ აჩრდილები დასადევნებლად,

მათ ინადირეს აჩრდილებზე, გაცვიფდნენ ბინიდან; ნუ დავივიწყებთ

ჩვენ იმას თუ რაგვარ მორევში

1 ქარების სახელწოდება.

პოულობს კვლავ თავის სიმშვიდეს კაცობრიული მშვენიერების სული, —
ფურცელი დამკნარ ყვავილისა, ზღვისკენ წაღებული ღამეულ ქარში.

III

ბებერი დათვის კბილებივით დაბლაგვებულან ნაპირზე ქვები.
ნიჟარები გაფანტულან
მათ მიღმა, ქვიშაზე. ნაპირის კლდე ნადიმს უხდის მიცვალებულებს.
გრანიტის სიბებს აჩნიათ კვალი ძველი ცეცხლისა,
ადგილობრივი ტომის აჩრდილნი
იკრებებიან ცეცხლის აჩრდილის გარშემო, ღამით, ცდილობენ
ხოლმე მოგონებას მზის სინათლისას.
რახანია, რაც შეაკვდა მათ ცას ნათელი, მათ მოიხადეს რაღაც ვალი
თავისი ქვეყნის მომავლის წინაშე,
მაშინ როდესაც ჩვენ ცოცხლები ჯერაც ვატარებთ ხსოვნას
ძველი მწუხარებისას.
შური უფლისა არ წარმოადგენს უცილობელი ნგრევის საწყისს,
მაგრამ მაინც ნუ დავივიწყებთ, რომ ბოროტებას
ძალუძს ღრუბლიდან ჩამოხმობა უეცარი შემახსენებლის:
გახსენებული სიკვდილები გვიხსნიან ამრიგად:
წარმოსახვით ნახულნი მსხვერპლნი იქნებიან ჩვენნი მშველენანი:
თეთრი, როგორც ნახევარმთვარე შუალამისას,
ვიღაც ცეცხლოვანი ჩამივლის გვერდით და მეტუნება:
„ეს შე ვარ, ტამარ კოლდუელი.

მე მწვავს იღუმალი სურვილი“.
და როდესაც იგი ჩაივლის, ზღვის ხმაური ისევ აბრუნებს თავიანთ
კოშკებში კაშკაშა ვარსკვლავებს,
...იწვის ტურფა მხარე პონტ პინოსიდან სურის მდინარემდე,
...იწვის, როგორც უწინ, მწვავე საოცრება, მიწა, ოკეანე, კარმელის წყლები.

IV

იგი ნაყავს კაცობრიობას ავანდასტაში რათა გამოდენოს სურნელება
დაჩეჩქვილ ფესვთაგან: კაცი, ავ სიზმართა მზილეელი, მსხვერპლთა
გამომგონი, — არის მხოლოდ ამ ღვთის მაიმუნი.
იგი განბანს კაცს საკუთარ ცრემლით, წყლით აურაცხელით,
გამოსწავს ცეცხლზე, წითელ კოჭობში,
სახეს დაუკარგავს, თავს შეაზარებს: გამოფრინდება სული სხეულიდან
და დგას შიშველი და იგიც უჭკრეტს ამ სულს.
მერმე იჭერს სულს შიშველ ექსტაზში, ლეწავს მას ხელით,
იშლება ატომი, ხოლო მისი შემქმნელი ძალა
ეხმანება ვარსკვლავების წარმმართველ ძალას: „მე დავებრუნდი
ჩემს ბინას, ჩემს თავს, აჰა, შემომხედე.

მე დავიჩეჩქვე ჩემივ თავი კაცის ფილთაქვით, გამოვიბუგე ჩემივ თავი
წითელ ნიჟარაში, შემდეგ ვეწამე, გამოფრინდი, დავდექ შიშველი,
გავთავისუფლდი ჩემივ თავისგან და დავილეწე.
ამჟამად აქ ვარ და ვაბრუნებ ვარსკვლავებს, რომელთაც ვეკუთვნი“.
მე მინახავს ამგვარი ქმნანი უფლისანი, მაგრამ არ ვუწყვი მათი მიზეზი,



ამ ცეცხლის, ცვალების, წამების და ხელახალი დაბრუნებების.
 მას საკმარისად მიაჩნია დღემილი. მე ვფიქრობ, ისინი არც ითხოვენ
 მიზეზს რაიმეს, — სიყვარულისა ჩემის სიგნისი.
 განუზომელი სიძლიერე, ვნება უჩვეულო, სიმარჯვე საზარი:
 არავითარი აზრი გარკვეული და მხოლოდ მკრთალი წვა
 თვისივე ბოლით ჩახშობილი ადამიანის ტვინის თაღებქვეშ: არავითარი
 გარეშე აზრი: მხოლოდ ზომა გარკვეული ფენომენისა,
 შედრევნები მდულარე ვარსკვლავთა, კონცხზე ყვავილები და მარადის
 შემოქცევადი ვარდები აისის.

დაბრეწილი ქორი

I

ფრთის მოტეხილი ძვალი მოსჩანს გახვრეტელ მხრიდან,
 ფრთა ძირს ეთრევა, ვით ალაში ძლეული ლაშქრის,
 ცა დახშულია სამუდამოდ, რამდენიმე დღეს
 გასტანს ალბათ შიმშილი და უზომო ტანჯვა: მგელი ან კატა
 შეამოკლებენ დღეებს სიკვდილის მოლოდინისას, შეწყდება
 უბრჭყალო თამაში.

მუხის ჩირგვთან დგას და მოელის
 ფეხათრეული გადარჩენის ჩქამს; დამლამობით ახსენდება თავისუფლება,
 სიზმარში ფრინავს, ხოლო დილა ისევ აქარწყლებს მის მტკნარ ოცნებას.
 ძლიერთათვის სატანჯველი უფრო მწვავეა,
 სინაკლულის გრძნობა — მომსპობი.

სოფლის ძაღლები მოდიან და ახელებენ მას შორიდან,
 მხოლოდ მხსნელ სიკვდილს შეუძლია მისი მოდრეკა:
 ამ შეუვალი მზადყოფნის, ამ საშინელ მზერის.
 და თავადი ამა სოფლისა ხშირად წყალობას იჩენს ხოლმე
 მისდამი, ვინც შეელას მოითხოვს. გულამაყებს კი არ სწყალობს იგი.
 შენ მას არ იცნობ, ჩვეულებრივო ადამიანო, ანდა იგი დაგვიწყებია.
 თავაწყვეტილი, ველური ქორი კარგად იცნობს მას.
 გარეულ ქორებს, ლამაზ ქორებს და განწირულ ადამიანებს
 ახსოვთ ის მხოლოდ.

II

მე კაცს უფრო მოვეკლავ ვიდრე ქორს, მაგრამ ვეება ბოლოწითელას
 აღარაფერი შერჩენოდა გარდა საბრალოდ დაკიდებულ ფრთისა რომელიც
 მორჩენის იმედს არ იძლეოდა, ბასრ კლანჭებქვეშ

ებლანდებოდა სიარულის დროს.

ექვსი კვირის განმავლობაში ვაქმევდით მას, შემდეგ გავეშვი,
 დავუბრუნე თავისუფლება.
 იგი აფორთხდა კონცხის ბეჭობზე და სადამოთი კვლავ მობრუნდა,
 მთხოვა სიკვდილი,
 არა როგორც მათხოვარმა, არამედ მკაცრად,
 ძველებურის, შეუვალის გულზვიადობით:

მე საღამეულ ბინდში ვაჩუქე მას ცხელი ტყვია. და რა სიმტკიცე
დაიშალა, რა შემართება! რა ფაფუკი ბურტყლი დაცვივდა
ერთი მინც წამოიწია: (ერთი მძაფრი გაბრძოლება: დამის ყანზემის
მფრთხალი წივილი დამდორებულ მდინარის პირად)
და სამუდამოდ გამოეყო რეალობის ზღვარს.

პეიჩაე ღინღი (1879—1931)

ჯანგური ქალაქება: სიმონ ლეგრი

ლეგრის ჰქონდა სახლი —

თეთრი და კრიალა,

ბამბის ნათესები, მინდვრები ტრიალი,
საჯიშე ცხენები, პირუტყვი ქებული,
შავი ნავაზები ჯაჭვებშიშვებული,
კარადაში ჰქონდა უცხო ფარდაგები,
მავიის წიგნები, ოქროს ტობრაკები,
და ჟურდლოს თათები, მავთულზე საგები,¹
მაგრამ საბოლოოდ ეშმასთან წავიდა.

ლეგრის ჰქონდა ჯუბა —

ბრინჯაოს ღილეებით,

სისხლისფერ პერანგზე —

გველის ყელსაბამი,

თხისებრი წვერი და წაზრდილი

ფრჩხილები,

მგლისფერი თვალები, კისერი — დაბალი,

ლოყები — მოთეთრო,

თევზის მუცელივით,

კბილები — ვეება, პირბასრი ცელივით,

უმი ზორცის ჭამა უყვარდა სადილად,

თვალების ბრიალით კატების გადენა,

ლეგრის ჰქონდა მუშტი —

უჰ, უზარმაზარი,

საცოდავ ზანგათვის —

განკითხვა და ზარი.

ნილაბქვეშ თუ ჰქონდა ჯადო რამ საზარი,

მაგრამ საბოლოოდ ეშმასთან წავიდა.

წელამდე ჩექმებით მოლევდა მთადაბარს,

იჭერდა გაქცეულ ზანგ მონებს,

ცოცხალმკვდარს,

მაგრამ საბოლოოდ ეშმასთან წავიდა.

საწყალ ბიძია ტომს სცემა სასიკვდილოდ.

(ლეგრისთვის ილოცა ბოლოს,

სულმინდილმა)

¹ მავთულზე საგები ჟურდლოს თათი „ჯადო“ ითვლება ზანგათვის.



შემდეგ ძია ტომი ევასთან აფრინდა,
მაღალი სიწმინდის წიაღში დამკვიდრდა,
ლეგრამ ცას ახედა ანთებულს ციალით,
ქუსლი ქუსლს შემოაჰკრა

და კბილთა ღრჭიალით —

ეშმასთან წავიდა.

ეზო გადასერა ქარში და წვიმაში,
გვერდის ოთახიდან გავიდა წინაში,
სთქვა: „რაკი მოვკალი ზედმეტია მოთქმა“,
ძალღები გარეკა. ფიცი რამ წარმოთქვა,
შეირტყა სარტყელი, აიღო ლამპარი,
ჩავიდა სარდაფში, იატაკი დამბალი
აჰყარა, შუაში, ობმოკიდებული
ქვეყარი იპოვნა, მიწაში გდებული
და ჰვევით, ჰვევით, ეშმასთან ჩავიდა.
ლამპარი ჩაუქრა, აენთო თვალები,
ლეგრამ მთელი ღამე იფორთხა წველებით,
ჰვევით, ჰვევით, ეშმას საუფლოში.
ბოლოს მიადწია ადგილს და ნახა რომ
გეენა შანთავდა კაცთ მოდგმის ნახევარს,
ნახა მწვანე ტახტზე დამჯდარი ეშმაკი,
სისხლიან ბარკლის ძვალს ღიჯნიდა

ეგ შმაგი

და უთხრა მისტერ ეშმაკს:

„უხვად გაქვთ საკვები, სისხლი დგას
ტბორებდად,
სჩანს, გემრიელია ცოდვილთა მძორები,
უქმად არ მომცდარან ეგ ლომის ტორები.
მსუქანიც ბრძანდებით, ტკბილად მოუბარი,
სამსალა გისვამთ და სისხლი ნაგუბარი,
დაგიყოლებიათ ზედ ფისი მდულარი“. **ეშმაკმა** მიუგო მას სიტყვა-ტვიფარი:
„მომწონს შენი ენა, ლალი, უტიფარი,
მოდი ტახტს გაგიყოფ, გვაშოროს არული,
შევიტებოთ ყოფა და ვიქმნეთ მხიარული“. **მას** აქეთ სხედან და, როგორც ავაზები,
კბილს აღრჭიალებენ, ხელთ უსურვაზებო
უპყრიათ, — ფანტავენ პენსებს

და მონეტებს,

პოკერს აჩალებენ, საიდუმლო ნეპებს.¹
ლეგრიც გაგვისუქდა, ამოდ მოუბარი,
ცეცხლი უქამია, სისხლი ნაგუბარი,
დაუყოლებია ზედ ფისი მდულარი,
ჰვევით, ჰვევით, ეშმას საუფლოში,
ჰვევით, ჰვევით, ეშმას საუფლოში,
ჰვევით, ჰვევით, ეშმას საუფლოში,

¹ ნები — კარტის თამაშია ერთგვარი.



შპა პაჟერი მუშხრის ლიტანი

O Dieu, Purifiez nos coeurs,¹
Purifiez nos coeurs.
გმადლობ რომ სიამის ხაზები
მოაველე ჩემს სულში,
და სიმშვენიერე ამ შენი ვენეციისა,
განმაცდევინე,
ვიდრე ეს მშვენება ჩემთვის იქცეოდა
ცრემლების მიზნად
ღმერთო, რა დიდი ქველმოქმედება
ჩაგვიდენია
და აღარ გვახსოვს,
ესოდენ დიდი მშვენიერება რომ
მოგვივლინე
ო წყალთა ღმერთო
ო ღამის ღმერთო
გვამცნე რა დიდი მწუხარება
უნდა გვეწვიოს,
ნაადრევად რომ
გვიზღავ მუქაფას
მის მოვლენამდის?
ო სიჩუმის ღმერთო,
Purifiez nos coeurs.
Purifiez nos coeurs.
რამეთუ ვნახეთ
ბრწყინვალება შენი მხეველის
ხატების ლანდისა,
პოი, ბრწყინვალება შენი მშვენების
ლანდისა ვიხილეთ

წყლის ზედაპირზე,
აი, ამ შენს ვენეციაში
და შენი მხეველის
ლანდის სიწმინდეს
ვერ გავუმართე მე თვალები,
ო წყალთა ღმერთო,
ო სიჩუმის ღმერთო
Purifiez nos coeurs.
Purifiez nos coeurs.
ო წყალთა ღმერთო
შენ განწმინდე ჩვენი გულები
რამეთუ ვნახე
ლანდი ამ შენი ვენეციისა,
წყალზე მოლივლივე,
და შენნი ვარსკვლავნი
ხედავდნენ მას თავიანთი შორი
გზებიდან
ხედავდნენ მას
ო წყალთა ღმერთო
შენნი ვარსკვლავნი სდუმან ჩვენთვის
შორით მგზობარნი,
ასევე სდუმს ჩემი გული
ამჟამად ჩემში.
Purifiez nos coeurs.
ო სიჩუმის ღმერთო,
Purifiez nos coeurs.
ო წყალთა ღმერთო.

გ. ს. პიროვი (1888—1965)

ქარიანი ღამის რაფსოდია

თორმეტი საათი-
შორს გაწოლილი ქუჩები
მთვარეულ სინთებით შეკრული
ქუჩები
მთვარეულ შელოცვის დუღუნით,
სართულუბად შლიან მოგონებებს.
მათი თვალნათლივი მიმართებანი,
დანაყოფები, დაზუსტებანი,
ქუჩის ყოველი ფარანი, რომელსაც
გვერდს ვუვლი,

¹ ღმერთო, განწმინდე ჩვენი გულები (ფრანგ.).

უკრავს თითქოს-და ფატალურ
დაფდაფს,
და ბნელ სივრცეში
შუალაშე არხვეს მოგონებებს
როგორც შემლილი გამხმარ
გერანიუმს.

ორის ნახევარი.
შიშინებს ქუჩის ფარანი.
ჩურჩულებს ქუჩის ფარანი.
ქუჩის ფარანი ამბობს: „შეხედე იმ
ქალს,
შენსკენ მოისწრაფის იგი
კარის სინათლეში
რომელიც მის უკან გაიღო მცინარე
პირივით.

შენ ხედავ მის კაბის კალთას
მიწით დასვრილს და დახეულს.
შენ ხედავ მის თვალისუბეებში
ქინძისთაგებად დაგრეხილ ნაოქებს“,
ხსოვნა ამოისვრის
დაგრეხილი საგნების გროვას:
დაგრეხილ ტოტს ზღვის სანაპიროზე
ტალღისაგან გამოხზრულს,
გახეხილს, —
თითქოს-და ვასთქვაო სამყარომ

თავისი ჩონჩხის საიდუმლო, —
თეთრის, გასლიპულის.
ქანგმოკიდებულ ზამბარას, ქარნნის ეზოში
მტკიცეს, დაგრეხილს, მაგრამ უვარგისს.

სამის ნახევარი.
ფარანი ამბობს:
„დააკვირდი ტალახში გაწოლილ კატას,
როგორ გამოჰყო ენა და შესვლიბა
დამძალბული კარაქის ნარჩენი“.
ასევე გამოჰყო ბავშვმა ხელი და
ავტომატურად ჩაიღო ჯიბეში თოჯინა
დაგორებული ხიდის ქვაფენილზე.
მე ვერაფერი დავინახე ამ ბავშვის თვალეებში.
მე მინახავს ქუჩაში თვალეები
ვანათებულ დარაბებში რომ ცდილობდნენ შექცვრეტას,
მინახავს კიბო, შუადღისას, თავის გუბეში,
ბებერი კიბო, რომელსაც ზურგზე ჰყავს ასთაყვები,
ეჭიდებოდა ჩემი სტეკის მეორე ბოლოს.
ოთხის ნახევარი.
შიშინებს ქუჩის ფარანი.



ჩურჩულებს ქუჩის ფარანი.

ქუჩის ფარანი ამბობს:

„გახედე მთვარეს

La lune ne garde aucune rancune¹.

მიმქრალი თვლების პაკუნით

უღიმის იგი ჩაბნელებულ შუკებს.

თმაზე ზელს უსვამს მდელოს, ეფერება,

მთვარეს დაუკარგავს მესსიერება,

ჩუტყვავილა მოსდებია ქათქათა სახეზე.

ცალი ხელით ფშვნის ქაღალდის ვარდს,

რომელსაც ასდის

მტვრისა და eau de cologne²-ის სუნი

იგი მარტოა

ყოველგვარ ღაემულ სურნელებათა პირისპირ,

რომელნიც სწყულებენ და სწყულებენ მის ტვინს.

მოსცურავენ მოგონებები:

უმზეოდ დამტკნარი გერანიუმები

დამტვერილ ქოთნებში,

ქუჩისპირად დარგული წაბლების სუნი,

ქალების სუნი დახშულ ოთახებში,

სიგარეტების ბოლი დერეფნებში.

კოკტილის სუნი ბარებში.

ქუჩის ფარანი ამბობს:

„ოთხი საათია,

აგერ გამოჩნდა კარზე ნომერი,

მესსიერება!

შენ გაქვს გასაღები.

პატარა ფარნის წრიული შუქი არეკლილა კიბეზე-

ადი.

ლოგინი დაგხვდება გაშლილი. კედელზე ჰკიდია

კბილის ჯაგრისი,

კარებთან დაწყვე ფეხსაცმელები, დაიძინე.

მოამზადე ცხოვრებისათვის სხეული.

დანის უკანასკნელი ხვეული.

ინგლისურიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ

¹ მთვარე არავის უცქერის სიძულვილით (ფრ.).

² ოდეკოლონი (ფრ.).

ქან-პოეტი სარგაძე

ს ი ტ ყ ვ ე ბ ი

ხუთშაბათობით ჩვენთან სადილად მოდიოდა პაპაჩემის თანამშრომელი ბატონი სიმონო. მე მშურდა ამ ქალიშვილივით ლოყაწითელ ორმოცდაათი წლის კაცისა, რომელიც უღვაშებს იყენებდა და ჭოჩორს იღებავდა: როდესაც ან-მარი საუბრის გასაბმელად შეეკითხებოდა ხოლმე ბახი თუ უყვარს, ანდა მოსწონს თუ არა ზღვა ან მთები, ტკბილსახსოვარია თუ არა მისთვის მშობლიური ქალაქი, იგი უცებ კი არ უპასუხებდა, ჯერ შინაგან მზერას მიპყრობდა თავისი გემოვნების გრანიტულ მასივს, საძიებელი პასუხის მიღებისთანავე თავისი კანტურით უღრტვინველი ხმით შეატყობინებდა დედა-ჩემს. ბედნიერი ადამიანია! — ვფიქრობდი. ალბათ ყოველ დილა აღტაცებული იღვიძებს და რომელიღაც ამიღლებული წერტილიდან თვალს მოავლებს ყველა საკუთარ სულიერ ქედებსა და მწვერვლებს, საკუთარ ხეობებს, ტკბილად გააზმორებს და იტყვის „ქეშმარიტად ჩემია, ეს სულ მთლად მე ვარ, ბატონი სიმონო! ცხადია, როდესაც მეკითხებოდნენ, მეც შემძლო მეპასუხა, რა მომწონს და რა არა, ამის დასაბუთებაც შემძლო; მაგრამ როდესაც მარტო ვიყავი, ვიბნეოდი: არამც თუ არ შემძლო ჩემი არჩევანის კონსტატირება, უნდა მომეძებნა, თუ რა მომწონს, გამომეფხიზლებინა ჩემი გემოვნება, სული ჩამებერა მისთვის; ისიც კი არ ვიცოდი, რა მიჩვენებია ძროხის სუკი თუ შემწვარი ხბო. რას არ დავთმობდი იმისთვის, რომ ჩემში დამკვიდრებულყო მთა-გორიანი პეიზაჟი, კლდესავით უღრეკი წინასწარ შექმნილი აზრების

ქიმებით. როდესაც ქალბატონი პიკარი ფრიალი ტაქტით მოიხმარდა ხოლმე მოდამი შემოსულ სიტყვას და პაპაჩემის შესახებ ამბობდა: „შარლი მშვენიერი არსებაა“; ანდა „ამ არსებებისა არაფერი გამეგება“, მე ვგრძნობდი, რომ განწირული ვარ და საშველი არაა. ლუქსემბურგის ბალის გზებზე მოყრილი კენჭები, ბატონი სიმონო, წაბლის ხეები, კარლემამი — ყოველივე ეს არსებებია. მე კი — არა: ჩემში არ იყო არც უძრაობა, არც სიღრმე და არც შეუვალაობა. მე არაფერი არ ვიყავი — რაღაც წარუბოცელი და გამჭვირვალე. უსაზღვრო შურით აღვივსე მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ ბატონი სიმონო, ეს მონუმენტი, ეს მონოლითური ბლოკი, ყოველივე სიკეთესთან ერთად, ქვეყანას ესაჭიროება.

დღესასწაული იყო. ამალი ენების ინსტიტუტში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და გაზის ნათურების მთრთოლავ სინათლეზე ტაშით აჯილდოვებდნენ დედაჩემს, რომელიც შობენს უკრავდა. პაპაჩემის ბრძანებით, ყველანი ლაპარაკობდნენ ფრანგულად — შიშვე-შიშვედ, ძველებურად მაღალფარდოვნად და ორატორიასავით საზეიმოდ. მე ხელი-ხელ მატარებდნენ და იატაკს არც კი მკარებდნენ. სწორედ იმ დროს გერმანელი რომანისტი ქალის მკლავებში რომ ეიგუდებოდი, საპა-ჩემმა თავისი დიდების მწვერვალიდან წარმოსთქვა განჩინება, რომელმაც შიგ გულში დამკოდა: „აქ ვიღაცა გვაკლია: ბატონი სიმონონამ დღეობდა!“ მე დავუძვერი რომანიტი ქალის მკლავებს და სადღაც კუთხეში მივიმალე, ჩემთვის სტუმრები აღარ

არსებობდნენ. მოყაყანე ხალხის წრეში უეცრად ვიხილე სვეტი: ეს სვეტი ბატონი სიმონო გახლდათ, ის ბატონი სიმონო, რომელიც აქ არ იყო. მისმა სასწაულებიებრმა მოუსვლელობამ ფერი უცვალა. ინსტიტუტის ზეიმზე მრავალი არ გამოცხადდნენ: ზოგი მოწაფე ავად იყო, ზოგმა სხვადასხვა მიზეზით დაპატიებებს თავი აარიდა, მაგრამ ყოველივე ეს შემთხვევითი და არა უურადასაღები ფაქტი გახლდათ. აქ აკლდა მხოლოდ ბატონი სიმონო. საკმარისი გახდა მისი სახელი ეხსენებინათ, რომ ეს ხალხით სავსე დარბაზი დანასავით გაჰკვეთა სიკაროელმა. აჰან შემზარა: თურმე ყოველ ადამიანს შეიძლება საკუთარი ადგილი ჰქონდეს მიკუთვნებული. საკუთარი ადგილი: იგი, თითქოს უხილავი საშოდან, საყოველთაო მოლოდინის უფსკრულიდან კვლავ ევლინება ამ ჭვეყანას, თუმცა მოულოდნელად მიწა რომ გამსკდარიყო და გამოჩენილიყო ბატონი სიმონო და თუნდაც ქალები რომ მიჭირილიყვნენ მასთან ხელზე სამთხვევად, მე გამოვფხიზლდებოდი. ადამიანის ხორციელი არსებობა გულგრილობას იწვევს. უბიწო, უარყოფითი სიდიდის სიწმინდემდე დაყვანილი ბატონი სიმონოს ბრილიანტის უკუმშვადი გამჭვირვალეობა გააჩნდა. და რადგან წილად მხვდა ყოველ მოცემულ წუთში სრულიად გარკვეულ ადამიანთა შორის და დედამიწის სრულიად გარკვეულ ადგილას ყოფნა და ცოდნა იმისა, რომ მე აქ ზედმეტი ვარ, სწორედ ამიტომ, მე მომიინდა ყველა სხვა ადამიანს, დედამიწის ყველა სხვა ადგილას მე ვაკლდე; როგორც წყალი. როგორც პური, როგორც ჰაერი.

ეს გამოუთქმელი სურვილი გამუდმებით ზედ პირზე მქონდა მომდგარი. შარლ შვეიცერი ყველაფერში ზედავდებოდა სიმწერის დაოკების საჭიროებას, რომელიც, სანამ პაპაჩემი ცოცხალი იყო, არასოდეს არ დამდგარა ჩემს წინაშე და რომლის გავებას მე მხოლოდ ახლა ვიწყებ. ცარგვალის ყველა მისი კოლეგების საზიდი იყო. ამ ატლანტოსთა

შორის იყვნენ გრამატიკოსნი, ფილოლოგები, ლინგვისტები, ბატონი [ლენინი] კანი და „პედაგოგიური მემონისტის“ მთავარი რედაქტორი. მათ შესახებ პაპაჩემი ლაპარაკობდა დამრგვალებულად, სენტენციურად. რათა ჩვენ საესებით გავგეგოთ მათი მნიშვნელობა: „ლიონ-კანმა იცის თავისი საქმე. მისი ადგილი აკადემიისაა“. ან კიდევ: „შურესი ბერდება. იმეღია, რომ არც ისეთი სულელები არიან, რომ დათანხმდნენ მის გადადგომას. ფაკულტეტმა არც იცის, თუ რამდენს დაკარგავს“. გარშემორტყმული ამ შეუცვლელი მოხუცებით, რომლებიც ეს ეს არის უნდა წარიგავონ პირიდან მიწისა და ჩაავდონ ევროპა სავონებელში და, შეიძლება, ბარბაროსობაშიც-კი, მე მზად ვიყავი ყოველივე დამეთმო, რათა მომესმინა სააკაკო რამ ხმა, რომელიც ჩემ გულში ააქლერებდა სიტყვებს: „ამ პატარა სარტრმა იცის თავისი საქმე. ის რომ გაქრეს, საფრანგეთმა არც კი უწყის თუ რამდენს დაკარგავს“. ბურჟუაზიული ბავშვობა წამიერ მარადიულობაში ცოცხლობს ე. ი. უმოქმედოა. მე მსურდა დაუყოვნებლივ, ოდითგანვე და სამარადისოდ გავმხდარიყავი ატლანტი, მე ვერც კი წარმომედგინა, რომ საჭიროა გაისარგო, რათა ატლანტად იქცე. მე მსურდა უზენაესი განჩინება, ბრძანებულება, რომელიც ჩემ უფლებებს დამკვიდრებდა. მაგრამ სად იყვნენ ის კანონმდებლები? უფროსების ავტორიტეტი მათმა ტაკიმასხარაობამ შეარყია; ეს მსაჯულები მე უარყავი, სხვა კი არ სად ჩანდა.

რეტლასხმული ჭია, რომელსაც არავითარი აზრი და მიზანი არ გააჩნდა, რომელიც არც თავისთვის უქნია ღმერთს არც სხვისთვის, თავშესაფარს ოჯახურ კომედიაში ეძებდა; სირბილსა და გაძრომა-გამძრომაში ვიყავი, ერთი ტყუილიდან მეორე ტყუილისაკენ დავნავარდობდი, ვაფურბოდი ჩემს არაფრის მაქნის სხეულს და მის უსუსურ გულახილობას. როდესაც აბზრიალებული ჩიკორი დაბრკოლებას ზედებო-

და და ჩერდებოდა, პატარა კომედიანტი იზნეოდა და შტერდებოდა. მეგობრებმა უთხრეს დედაჩემს, რომ მათ დაღონებულია და ოცნებაში წასულს მომისწერეს. დედამ სიცილით გულში ჩამიკრა: „ყოველთვის ასეთი მხიარული ხარ, სულ მღერი და ნეტა რას უჩივი? ყველაფერი გაქვს, რაც კი მოგესურვება“. დედა მართალი იყო: განებივრებული ბავშვი არ ნალეობს. იგი მოიწყენს ზოლმე, როგორც მეფე. როგორც ძაღლი.

მე ძალი ვარ. ვამთქნარებ, ცრემლები ჩამომდის, მე ვგრძნობ, როგორ მდის ცრემლი. მე ხე ვარ, ქარი ეხება ჩემს ტოტებს და ოდნავ არხვეს მათ. მე ბუტი ვარ, დავეცავ სუშაზე, ვსხლტები და ისევ ვიწყებ ცოცხას. ხანდახან ვგრძნობ მიმავალი დროის აღტრსს, ხან კი უფრო ხშირად, ვგრძნობ, რომ დრო არ მოძრაობს, მთრთოლვარე წუთები ცვივიან, მფარავენ და მასამარებენ და დაუსრულებელ აგონიას განიცდიან; ისინი დაქვანენ, მაგრამ ჯერ ცოცხლობენ, მათ ჰგვიან, მათ სანაცვლოდ მოდიან სხვა ჯერ კიდევ ნორჩნი, მაგრამ ასეთივე ამაონი; ამ საზოგადოებას ბედნიერება ეწოდება; დედაჩემი ჩამჩინინებს, რომ მე ყველაზე ბედნიერი ბავშვი ვარ ამ ქვეყანად. როგორ არ დავუქურო, ეს ხომ სი მ ა რ თ ლ ე ა? ჩემს მარტოობაზე არასოდეს არ ვფიქრობ: ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ ვიცი, სიტყვა, რომელიც ამას აღნიშნავს, და თანაც მე მას ვერ ვამჩნევ: ყოველთვის ხალხში ვარ. მაგრამ ეს ჩემი ცხოვრების ძარღვია, ჩემი სიამოვნების ჩონჩხი, ჩემი ფიქრების სისხლი და ხორცი.

ხუთი წლისამ ვიხილე სიკვდილი: იგი მიდარაჯებდა, საღამოობით დაეხეტებოდა აივანზე და სიფათით ფანჯრის მიწას ეკვროდა, მე ვხედავდი მას, მაგრამ თქმას ვერ ვხედავდი. ერთხელ ვოლტერის სანაპიროზე შეგვხვდა — შავებში ჩაცმული, შეშლილი დიდი ღედაბერი, რომელმაც, როცა გვერდზე ჩამიარა, წაბუტბუტა: „ამ ბავშვს ახლავე ჯიბეში ჩავისიამ“. მეორედ ორმოს სახით

ვამომეცხადა: ეს მოხდა არკაშონში; კორლემამი და დედაჩემი მივიდნენ, რომ მოენახლებიათ ქალბატონი დედაჩემი და მისი შვილი, კომპოზიტორი, რომელსაც გაბრიელი ერქვა. მე აგარაკის ბაღში ვთამაშობდი. შეშინებული ვიყავი, რადგან მითხრეს, გაბრიელი ავადა და კვდებოდა. მე უხალისოდ ვთამაშობდი ცხენობანას და სახლის გარშემო დავაქვნივდი. უცებ ბნელი ორბო შევინიშნე — სარდაფი, რომელიც ვილაცას გაელო. არ ვიცი საიდან წარმომიდგა მთელი სიცხადით მარტოობის საშინელება: ხარდაცემული მოგტრიალდი, თავდავიწყებით დავიწყე სიმღერა და მოკურცხლე. იმ ხანებში ყოველ დამე, დავწვებოდი თუ არა, ველოდი სიკვდილთან შეხვედრას. ამას მთელი რიტუალი ახლდა: უნდა მარცხენა გვერდზე დავწვლილიყავი პირით საწოლებს შუა გასასვლელისაკენ. აკანკალებული ველოდი და ისიც შეახლებოდა, ცელით შეიარაღებული ფრიად ჩვეულებრივი ჩონჩხი. ამის შემდეგ ნება მქონდა, ვადავბრუნებულყოყავი მარჯვენა გვერდზე. იგი მიდიოდა და შემეძლო მშვიდად დამინება. დღისით ვცნობდი ზოლმე მას სრულიად სხვადასხვა ნილაბამოფარებულს: დედა „ტყის ნიფის“ სიმღერას დაიწყებდა და მე ყურებს ვიხშობდი. წაეკითხე ლაფონტენის იგავარაკი „ლოთი და მისი ცოლი“ და ნახევარი წლის განმავლობაში იგავარაკების წიგნი აღარ გადამიშლია. ის საზოგადოება არ სება კი აბუჩად მიგდებდა: ჩამალბობდა მერიმეს წიგნში და მიდარაჯებდა, როდის წაეკითხავ „ილის ვენერას“. რომ ყელში მეტაკოს. მაგრამ არც დასაფლავებისა და არც საფლავის არ შეშინოდა. სწორედ იმ ხანებში ავად გახდა და გარდაიცვალა დიდდაჩემი სარტრი. დედაჩემს და მე დეპრესიით გამოვვიძახეს. ჩავედიოთ ტივიეში და ცოცხალს მოვუსწარიოთ. ამჟობინეს მოვეშორები-ნე იმ ადგილიდან, სადაც ბებია ესალმებოდა ხანგრძლივსა და უბედურ სიციცხლეს; ოჯახის მეგობრებმა მომამოხრეს იქაურობას, შემიკვლეს, გასარ-

თობად მომცეს გარემოების შესაფერისი სათამაშოები, ჭკუის სასწავლებელი და მოსაწყენი, ვთამაშობდი, კვითხულობდი, ძალ-ღონეს არ ვზოგავდი, რათა სამაგალითოდ სევდიანი ეყოფილიყავი, მაგრამ არაფერს არ ვანვიციდი. სიკვდილი იქ არ იყო. გარდაცვალება არ ნიშნავდა სიკვდილს, ამ დედაბერის საფლავის ქვედ გარდასახვა უსიამოვნო როდი იყო ჩემთვის. აქ ეს ფერისცვალება იყო, ყოფიერებასთან შერწყმა, ყოველივე ისე მიმდინარეობდა, მე რომ უცებ გარდავქმნილიყავ და საზეიმოდ ბატონ სიმონოდ ვქცეულიყავ. ამის გამო მე ყოველთვის მიყვარდა და ახლაც მიყვარს იტალიურის სასაფლაოები: მგლოვიარე საფლავის ქვა, ადამიანის უცნაურ ხატებას რომ ჰგავს და ზედ მედლიონი ფოტოგრაფიული სურათით, რომელიც გვაგონებს იმას, თუ როგორ გამოიყურებოდა ადამიანის თავდაპირველი მიწიერი არსი. შვიდი წლისა რომ ვიყავი, ნამდვილ, ცხვირბაჭუთა სიკვდილს ყველგან ვხვდებოდი; აქ კი, სასაფლაოზე, არასოდეს არ შემხვედრია. რა იყო ეს სიკვდილი? ცოცხალი არსება და საშინელება. ეს არსება გადარეული იყო, ხოლო საშინელება ასე წარმომდგინა: დღისით, მზისით, დედამიწა შეიძლება ვასკდეს, ქვესკნელმა ხახა დაალოს და სადაც კი მომიხელთებს, შთანთქმას. ამქვეყნიურ ამბებს საზარელი უკულმა პირი გააჩნიათ. ადამიანები ხედავენ მას, როდესაც ჭკუაზე იშლებიან. სიკვდილი უაღრესად შეშლას და შემოილობაში გათქვეფთას ნიშნავს. მუდმივ შიშში ვცხოვრობდი. ეს კი ნამდვილი ნევროზი იყო. როდესაც მიზეზს ვეძებ, ასე მესახება: ჩემთვის, განებევრებული ბავშვისა და ზეგარდმან საზოგადოებისათვის, ჩემივე სრული უმაქნისობა აშკარა იყო, მით უფრო, რომ ოჯახში აიკვირებდა და მოიგონეს, რომ მე აუცილებელ საჭიროებას წარმოვადგენ. ვგრძნობდი, რომ ზედმეტი ვარ და, მამასადამე, უნდა მოვისპო. დაღუპვის მუდმივ მოლოდინში მყოფი მიღებული ყლორტი ვიყავ. სხვაგვარად

რომ ვთქვათ, განწირული ვიყავი, განაჩენის სისრულეში მოყვანა ყუველ წამს შეეძლო. მე ვეწინააღმდეგებოდი ვმმტარაც ძალა და ღონე მქონდა, არა იმიტომ, რომ ჩემს არსებობას ფასს ვდებდი, პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ იგი არაფრად მიმიჩნდა: რაც უფრო უაზროა სიციოცხლე, მით უფრო აუტანელია სიკვდილი.

ღმერთი დამიფარავდა განსაცდელისაგან: თავს მის მიერ ხელმოწყრილ შედეგად ვიგრძნობდი, დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ მსოფლიო კონცერტში წამყვანი როლი მაქვს მიკუთვნებული და მოთმინებით დაველოდებოდი, როდის კეთილინებებდა, გამომიცხადებდა თავის განზრახვას და დამიდასტურებდა, რომ მე აუცილებლად საჭირო ვარ. მე წინათვარძნობდი რელიგიას, მისი იმედი მქონდა, იგი მომანიჭებდა განკუთრებას. ჩემთვის რწმენის უარი რომ ეთქვათ, მე თვითონვე გამოვიგონებდი მას. მაგრამ უარი არ უთქვამთ: კათოლიკურ რწმენაში გაზრდილმა, მე ვირწმუნე რომ ყოვლისშემძლემ შემქმნა თავისივე სადიდებლად: ეს კი ყველა ჩემ იმედებს აღემატებოდა. მაგრამ, ამასობაში, იმ გამოწყვილ ღმერთში, რომელსაც მასწავლიდნენ, მე ვერ ვცნობდი იმ ღმერთს, რომელიც ჩემს სულს სწყუროდა: მე მჭირდებოდა შემოქმედი, მე კი უზენაეს მფარველს მთავაზობდნენ. ეს ორსახეობა იყო ერთი ღვთაებისა, მაგრამ მე ხომ არ ვიციოდი; გულგრილად ვემსახურებოდი ფარისევლთა კერპს, და ოფიციალურმა დოქტრინამ საკუთარი რწმენის ძიების ყოველგვარი სურვილი მომისპო. ესეც ილბალია! მიმნდობელობამ და მწუხარებამ ჩემი სული აქცია ნიადავად, რომელშიაც რწმენის თესლი მშვენიერად აღმოცენდებოდა და რომ არ მომხდარიყო ის გაუგებრობა, ბერად შევდგებოდი. მაგრამ ჩემს ოჯახს შეეხო თანდათან განჭრისტიანების პროცესი, რომელიც მაღალ წარჩინებული ვოლტერიანული ბურჟუაზიის წრეში ჩაისახა და ერთი საუკუნის განმავლობაში საზოგადოების

ყველა წევრს მოედო: რწმენა რომ საყოველთაოდ არ შესუსტებულყო, პროვინციელი კათოლიკე ქალიშვილი ლუიზა გიემენი ჯერ გაიპრაპებოდა, სასამ ლუთერანელს გაჰყვებოდა ცოლად. ბუნებრივია, თუ ყველა ჩვენთან მორწმუნე იყო: ამას წესიერება მოითხოვდა. კომპის მმართველობის შემდგომ ხანაში შეიძინა თუ რვა წლის განმავლობაში გაცხადებული ურწმუნოება ჯერ კიდევ გამოიყურებოდა, როგორც ურცხვობა და აღვირახსნილობა: ათეისტი უცნაური აბირებული ადამიანი იყო, რომელსაც სადილად არ პატივებენ იმის შიშით, რომ „არ აუროსი“, ფანატიკოსი, რომელიც სიცოცხლეს იმწარებს ყოველგვარი ტაბუთი და თავისივე ნებით კარგავს ეკლესიაში მუხლის მორდრეკის, თავის ქალიშვილებისათვის ჯვარის დაწერის ანდა ტირილით გულის მოჭერების უფლებას და თავს ვალდებულად ხდის საკუთარი დებულებების გასამართლებლად პატიოსან ცხოვრებას მიმართოს და ისეთი თავგამოდებით ამბობს: უარს თავის ბედნიერებასა და სულს სიმშვიდეზე, რომ სიკვდილის ეამს ნუგეშს უარყოფს; მინაიკი იყო, იმდენად გავიყრული ღმერთზე, რომ ყველგან მის ახარებობას ხედავდა და ხმას ვერ ამოიღებდა უიმისოდ, რომ მისი სახელი არ ეხსენებინა, მოკლედ, ეს ბატონი გახლდათ, რომელსაც რელიგიური მრწამსი ჰქონდა. მორწმუნეებს ასეთი არ გააჩნდათ, თავისი არსებობის ორი ათასი წლის განმავლობაში ქრისტიანული კემშარტებანი უპველნი გახდნენ, ისინი ყველასათვის მისაწვდომნი იყვნენ, დაწესდა, რომ ისინი ნახევრად დაბნელებულ ეკლესიაში ხუცევის თვალებიდან გამოკართოდნენ, და ანათებდნენ სულებს, მაგრამ სრულიად არ იყო საჭირო, რომ ვისმეს მათთვის პასუხისმგებლობა ეკისრა, საყოველთაო საკუთრებას შეადგენდნენ. კარგ საზოგადოებას, რაც ვინდა სთქვით, მაგრამ ღმერთი სწამდა, რა მომთმენი იყო რელიგია, რა ხელსაყრელი: ქრისტიანს უფლება ჰქონდა წი-

რვას არ, ოსწრებოდა, შვილებისათვის კი საეკლესიო წესით ჯვარს დაეწერა, გაღიებოდა სენ-სულპისის საბაზრო ღვთისმოსავ სურათების გამო და ცრემლი ეღვარა ღოვანების საქორწინო მარშის მოსმენის დროს. მას არც სამგალითო ცხოვრება მოეთხოვებოდა. არც სასოწარკვეთილი სიკვდილი და კრემაციასაც არავინ სთხოვდა. ჩვენს წრეში, ჩვენს ოჯახში, რწმენა მხოლოდ და მხოლოდ შალაღვარდოვანი სახელწოდება იყო ფრანგული უწყინარი თავისუფლებისა. სხვათაგან მცე მომნათლეს, რათა უზრუნველყოთ ჩემთვის თავისუფლება, ნათლობაზე რომ უარი ეთქვათ, აბლობები ჩასთვლიდნენ, რომ ჩემს სულს ძალდატანება მიაციენეს; კათოლიკედ დაწერილი, მე თავისუფალი და ნორმალური ვიყავი: „შემდგომში, რასაც უნდა, იმას იზამს“, — ამბობდნენ ნათესავები. იმხანად ითვლებოდა, რომ რწმენის მოპოვება უფრო ძნელია, ვიდრე მისი დაკარგვა.

შარლ შვეიცერი იმდენად დიდი კომედიანტი იყო, რომ დიდ მაყურებელს საჭიროებდა, მაგრამ ღმერთი იშვიათად ახსენდებოდა, ალბათ, მხოლოდ გაჭირვების ეამს. დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილის ეამს პოვებს მას და თავის ცხოვრებაში არ რედა. კერძო ცხოვრებაში იგი ჩვენს მიერ დაკარგული პროვინციებისა და თავისი ანტიპაპისტი ძმების მხიარულების ერთგული იყო და არ გამოსტოვებდა შემთხვევას, რომ არ დაეცინა კათოლიკობისათვის: ლუთერისა არ იყოს, უყვარდა სუფრასთან ხუმრობა. ყველაზე მეტად ქალაქ ლურდს იგდებდა სასაცილოდ: ბერნადეტას ქალი უნახავს, რომელიც „პერანგს იცვლიდა“. დამბლადაცმული ემბაზში ჩაასვენეს, ხოლო, როცა ამოიყვანეს, „ორივე თვალი აეხილა“. პაპა ჰყვებოდა წმინდანთა ცხოვრებას — ტილიანი წმინდა ლავროისა და წმინდა ალაკოკისა, რომელიც ლოკავდა ავღმყოფთა განაეალს. მისმა აუცილობამ კარგი სამსახური გამიწია; ამქვეყნიურ სიკეთეთაგან განბრინება მით უფრო აღ-

ვილი იყო ჩემთვის, რამდენადაც ისინი არ გამაჩნდა და გაჭირვების მოწოდებად აღიარება არაფრად მიიღირდა. მისტიციზმი მიუსაფარი აღამიანებისათვის და ზედმეტად ჩაირცხული ბავშვებისათვისაა შექმნილი: ჩემს დასაღუბავად საკმარისი იყო რელიგია სხვა მხრიდან დაენახებინათ და მაშინ უკვე საშიში გახდებოდა წმინდანობაში არ გადავვარდნილიყავ, მაგრამ პაპაჩემმა სამუდამოდ ამიკრუა გული რელიგიამზე, რომელიც მე მისი თვალთ ვიხილე და ამგვარმა განუსჯელმა აღიარებამ უხამსი ალტკინება შემახზოდა, ხოლო ხორციელისადმი სადისტურმა მძულვარებამ შემაშინა. წმინდანთა ახირებულ ნამოქმედარში არცთუ მეტი აზრი იყო, ვიდრე იმ ინგლისელის საქციელში, რომელიც გაუხდელად, სმოკინვიანად ჩავიდა ზღვაში საბანაოდ. ამ ამბების გავონებაზე ბებიაჩემი ვითომდა აღშფოთდებოდა ხოლმე, თავის მეუღლეს „ურჩულოსა“ და „ჰუგენოტს“ ეძახდა, თითებზედაც დაკრავდა ხელს, მაგრამ მისი შემნდობი ღმირი მაშინვე თვალს ამიხვდებოდა ხოლმე; მას არაფრისა არა სწამდა, და მხოლოდ სკეპტიციზმი თუ უშლიდა ხელს ათეისტი გამხდარიყო. დედაჩემს ამ საქმეში ჩარევისა ერიდებოდა, მას თავისი „საკუთარი“ ღმერთისა სწამდა, რომლისგანაც არაფერს არ თხოულობდა, გარდა იდუმალი ნუგეშისა. ნაკლები სიმრავლით ეს პაექრობა ჩემს გონებაშიაც ვრძელდებოდა; ჩემი მეორე „მე“, ჩემი შავებში გამოწყობილი ძმა, უხალისოდ ეკამათებოდა სარწმუნოების დებულებებს; მე კათოლიკეც ვიყავი და პროტესტანტიც, ჩემში შეერთებული იყო კრიტიკული გონებაცა და მორჩილების სულიც; სარწმუნოების დოგმათა შეჯახებამ კი არ გამხადა ურწმუნო, არამედ პაპისა და ბებიაჩემის სრულმა ვულგარილობამ ამ ბრძოლის მიმართ. მაგრამ მაინც მწამდა: პერანგის ამარა, ლოგინზე მუხლმოდრეკილი და ხელაპყრობილი ყოველდღე გლოცულობდი ხელდაკრეფილი, თუმც ყოველდღე სულ ნაკლებსა და ნაკლებს

ვფიქრობდი კეთილი ღმერთის შესახებ, ხუთშაბათობით დედას დავეჯვდე აბაჯრის დიბილდოს სასწავლებელში. სადაც სხვა, ჩემთვის უცნობ ბავშვებთან ერთად, სამღვთო რჯულის კურსს გავდიოდი. პაპაჩემის წყალობით მე ეს კათოლიკე მღვდლები უცნაურ ცხოველებად მეჩვენებოდნენ. ტყუილად ხომ არ იყვნენ, ისინი ჩემი სარწმუნოების წმინდა ხუცესები; ისინი ანაფორისა და უცოლობის გამო გაცილებით უფრო უცხონი იყვნენ, ვიდრე პატრონები. შარლ შევიცერი პირადად იცნობდა აბაჯრის დიბილდოს და პატრესა სცემდა, — „რიგიანი კაციაო!“ — ამბობდა, მაგრამ პაპაჩემის ანტიკლერიკალობა იმდენად აშკარა იყო, რომ სკოლის ჭიშკარს რომ შევალბდი, ასე მეგონა მტრის ბანაკში მოვხვდი მეთქი. მე თვითონ მღვდლები არა მძულდა: ჩემთან საუბრის დროს მათ სიამეზოსტურებულ სახეებზე ისახებოდა ხოლმე ალერსიანი გამომეტყველება, სიამეზოფენილი კეთილგანწყობა და განრინება ამაქვეყნიური საქმეებისაგან — ყოველივე ის, რასაც მე ვაფასებდი, განსაკუთრებით კი — ქალბატონ პიკარსა და სხვა ხანდაზმულ მანდილოსნებში, რომლებიც მეგობრობდნენ დედაჩემს და მასთან მუსიკის დაკრით ერთობოდნენ, მაგრამ ჩემში პაპაჩემის სიძულვილი დგოდა; მას პირველს დაებადა აზრი, რომ მისი მეგობრისათვის, აბატისათვის მივებარებინე, მაგრამ ამასთანავე იგი შეწუხებული აღევნებდა თვალს პატარა კათოლიკეს, როდესაც იგი ოთხშაბათ საღამომობით სახლში მოჰყავდათ და ცდილობდა ამოეკითხა ჩემს თვალებში, ხომ არ გაიკვლია პაპაჩემმა გზა ჩემი გულისკენ, თანაც ჩემი გამასხარავეებით ერთობოდა. ასეთ ორჭოფულ მდგომარეობას ექვს თვეზე მეტ ხანს არ გაუტანია. ერთხელ მე მივართვი ოსტატს თხზულება ქრისტეს წამების შესახებ, რომელმაც ჩემი ოჯახი ალტაცებაში მოიყვანა, ისე რომ დედაჩემმა საკუთარი ხელით გადაწერა კიდევაც. მაგრამ მხოლოდ ვერცხლის მდელი მაღირსეს. გული გამიტყდა და

დავგმე უფალი. ჯერ ავადმყოფობის, მერე არდადეგების გამო შევწყვიტე აბატი დიმიტროს გაეკეთებებზე სიარული; ხოლო სწავლა რომ დაიწყო, მის სკოლაში სიარულზე უარი ვთქვი. კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ყოვლისშემძლესთან ოფიციალური დამოკიდებულება არ შემინწყვეტია, მაგრამ კერძო ცხოვრებაში ჩვენ უკვე აღარ შევხვედრივართ. მხოლოდ ერთხელ ვივარდენ, თითქოს იგი არსებობს. ასანთით ვთამაშობდი და პატარა ნოხი დავწვი; ვცდილობდი, დამეფარა ჩემი დანაშაული, როდესაც უეცრად ღმერთმა დამინახა. მე ვივარდენი მისი მხერა თავის ქალის შიგნით და ჩემს ხელებზე ავწრიალდი საბაზანო ოთახში, შევძრწუნდი, ისე სააშკარაოზე ვიყავ, როგორც ცოცხალი მიზანი. აღშფოთებამ მიხსნა: გამაცოფა მისმა ესოდენ უხეშმა მორტიდებლობამ და მკრთობლობა დავიწყე: პაპაჩემივით ვბურღულუნებდი: „ეშმაკმა წაიღოს: ეშმაკმა დალაზვროს, ეშმაკმა წაიღოს“. ამის შემდეგ მას ჩემთვის აღარ შეუხვდია.

მე გიამბუთ ჩემი განუხორციელებელი მოწოდების ამბავი. ღმერთი მჭირდებოდა, მომცეს და ვიწამე ისე, ვერც კი მივხვდი, რომ სწორედ მას ვეძიებდი. მან ვერ გაიღვა ფესვები ჩემს გულში, ერთხანს ცოცხლობდა ჩემში, შემდეგ კი ჩავკვდა. დღეს როდესაც მის გამო მეციხებთან, მე მეცინება ისე, როგორც იმ ბებერ მუსუსს, ყოფილი მხეთუნახავი რომ შეხვდა: „ამ შეცდომას ხელი რომ არ შეეშალა, გაუგებრობას რომ არ ჰქონოდა ადგილი, ეს უბედური შემთხვევა რომ არ ყოფილიყო, ჩვენს შორის შეიძლება რამე მომხდარიყო“.

მაგრამ, არაფერი არ მომხდარა. ამასობაში ჩემი საქმე სულ უკან და უკან წავიდა. პაპას ჩემი გრძელი თმა აბრაზებდა. „ბიჭი გყავს, ეუბნებოდა იგი დედაჩემს, და გოგოდ გინდა აქციო. არ მინდა, რომ ჩემი შვილიშვილი დაყუდებული გამოვიდეს“. ან-მარი არ სთმობდა; მეგონა, მას მართლაც უნდოდა, რომ

გოგო ვყოფილიყავ. რა ბედნიერი ბედნიერად ექცია იგი. მაგრამ ზეცამ არ შეიერდომა მისი ვედრება და დედაჩემმა სხვა გზა გამონახა: ანგელოზების მსგავსად ჩემი სქესი გაურკვეველი დარჩება, მაგრამ რაღაც ქალური კი დაემჩნევა. დედაჩემი ალერსიანი ქალი იყო და მეც ალერსიანობას მიმაჩვია, მართობაში კი თავაწყვეტილ თამაშზე გული ამიკრუა. შვიდი წლისა რომ ვიყავი, ერთხელ პაპაჩემის მოთმინების ფილა აივსო, ხელი მომკიდა, მითხრა, რომ სასეირნოდ მივყავარ. მაგრამ მოვეუარეთ თუ არა სახლის კუთხეს, ხელი მკრა და სადღალქოში შემავლო, თანაც დააყოლა „დედაშენს სიურპრიზი უნდა მოუწყოთ“ სიურპრიზები მიყავარდა. რა გამოლევდა ამ სახუმარო ჩურჩულს, მოულოდნელ საჩუქრებს, საიდუმლოების თეატრალურ გამომკვლავებას და შემდგომ ხვევნა-კოცნას. ასე გვექონდა ჩვეულებად ყოველდღე და ყველაფერში. აპენდიციტის ოპერაცია რომ უნდა გაეკეთებინათ ჩემთვის, დედას სიტყვა არ ამოუღია კარლთან, რათა დაცვა იგი ლეღვისაგან, რომელსაც იგი ნამდვილად არ განიცდიდა. ბიძაჩემმა ოგოუსტმა ფული მოგვცა, ჩვენ საიდუმლოდ გავიპარეთ არკაშონიდან და კარბევუას კლინიკას შევაფარეთ თავი. ოპერაციის შემდეგ, მეორე დღეს, ოგიუსტი მოვიდა პაპაჩემის სანახავდ და ისეთი გამტკბარი და სახეიშო ხმით მოახსენა: „სასიამოვნო ამბის სათქმელად ვარ მოსულიო“, რომ პაპა მოტყუვდა: „რაო, ისევე ცოლს ირთავ!“ „არა, ღმერთით უპასუხა ბიძაჩემმა, მაგრამ ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა“, „რა, ყველაფერმა“ და ა. შ. და სხვ. მოკლედ, თეატრალური ეფექტები ჩვენთან დიდ გასაფაღში იყო და მეც მწყალობელი თვალთ შევცქეროდი, როგორ სხლტებოდა ჩემი კულულები კისერზე შემოხვეულ თეთრ პირსახოცზე, და უმაღვე როგორღაც ფერდაკარგული ეცემოდა იატაკზე. გამარჯვებული და გადანოტრილი დავბრუნდი შინ. გაისმა წამოძი-

ხილები, მაგრამ ხვევნა-კოცნა არ მოკყვა. დედაჩემი ჩაიკეტა თავის ოთახში რათა ეტირა: მისი გოგონა შეცვალეს და ბიჭი მოუყვანეს. მაგრამ მთავარი სხვა იყო. სანამ თავზე ხუჭუჭა თმა მქონდა, დედაჩემს შეეძლო თავისთავისათვის დაეფარა ჩემი აშკარა სიმახინჯე. ახლა, როდესაც ჩემ მარჯვენა ოვალს უკვე ლიბრი ფარავდა, იგი იძულებული გახდა პირისპირ შეებნა სინამდვილისათვის. პაპაჩემი თვითონაც შეცნობდა: მას მისი თვალის წინა ანდეს, მან კი გომბეშო მოიყვანა სახლში: ეს ხომ ძირს უთხრიდა მის მომავალ ხიბლვასა და აღტაცებას. მამას გაეციონა და მხოლოდ ესლა სთქვა: „ბარემ, თითონაც არ უხარია, დახეთ, როგორ მოიკრუნხება“.

ან-მარის სიკეთემ არ ათქმევინა ჩემთვის თავისი მწუხარების მიზეზი. თორმეტ წლამდე არც გამიგია, გავიგე-კი ყოვლად უწყალოდ. მაინც გულს რაღაც მეთანაღრებოდა, ხშირად შევასწრებდი ხოლმე თვალს, რომ ჩვენი ოჯახის მოკეთებები შემფოთებით მიცქერიან და შეფიქრიანებულები არიან. ყოველდღე სულ უფრო და უფრო მიძნელებოდა მყურებელთა გულის მოგება, თავძალის დატანება მიხდებოდა, ეფექტებს მივმართავდი და ზედმეტ მომდიოდა. მაშინ გავიგე სიბერეში გადამდგარი მსახიობი ქალის წამებანი: მივხვდი, რომ შეიძლება სხვაც მოსწონდეთ. მოგვიანებით მომხდარი ორი რამ მახსენდება მეტად თვალსაჩინოდ.

ცხრა წლისა ვიყავი. მოდიოდა წვიმა. ნუარეტაბლის სასტუმროში ათი ბავშვი ვართ, ერთად თავმოყრილი ათი კატის კნუტი. ჩვენს გასართობად პაპაჩემი დათანხმდა დაეწერა და დაედგა პატრიოტული პიესა, რომელშიაც ათი მოქმედი პირი უნდა ყოფილიყო. ბერნარდს, ჩვენს მარაქაში ყველაზე უფროსს, კეთილი გულის მქონე და ბუზღუნა შტრუტკოფის როლი შეხვდა. მე ახალგაზრდა ელზასელს ვთამაშობ: მამაჩემმა საფრანგეთის მოქალაქეობა აირჩია და მე მასთან შესახვედრად საიღუმ-

ლოდ გადავდივარ საზღვარზე. ვაქცაქური რეპლიკები მიწილადეს: მარჯვენა ხელს ვიშვერდი, თავს ვხრიდი, ფუნჩულა ლოყას მხარს მივყარდნობდი და ვჩურჩულებდი „მშვიდობით, მშვიდობით, საყვარლო ჩვენო ელზასო“. რეპეტიციებზე მეუბნებოდნენ რომ ჩინებულაო, რაც სრულიადაც არ მიკვირდა. წარმოდგენა ბალში გაიმართა; სცენა ჭანჭყატას ბუჩქებითა და ოტელის კედლით იყო შემოფარგლული. მშობლები დაწნულ საგარდებში ისხდნენ. ბავშვები ერთ ამბავში იყვნენ, ჩემს გარდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ პიესის მთელი გამარჯვება ჩემზეა დამოკიდებული, საერთო საქმის გულისათვის ვიჭებობდი, ვცდილობდი მოეწონებოდა. მეგონა, რომ ყველანი მწოლოდ მე მიცქერიან. გადავაპარბე: ტაშით ბერნარდი დაავილოვეს, რომელიც ნაცლებს იმანჭებოდა. ნეტა თუ მივხვდი ამას? წარმოდგენის შემდეგ ბერნარდი ხალხში დადიოდა და შეწირულებას აგროვებდა. უკანიდან მივეპარე და წვერზე მოვეჭაჩე: წვერი ხელში შემჩრა. ეს სცენის ვარსკვლავის ხუმრობა იყო და ყველა უნდა გაეცინებინა. თავს ჩინებულად ვგრძნობდი, ასკინკილა დავხტოდი და ნადავლს ჰაერში ვაფრიალებდი. არავის არ გაუცინია. დედამ ხელი წამავლო, უმალვე გვერდზე გამიყვანა და მისაყვედურა: „ნეტავ რა მოგივიდა? რა ლამაზი წვერი იყო! ყველა გააოცა შენმა საქციელმა“. ბეზიაც მოვიდა და ეს ახალი ამბავიც გვაუწყა: ბერნარდის დედას შურიანობის შესახებ დაუწყია ლაპარაკი. „ხომ ხედავ მეტიჩრობას რა მოკყვება!“ გავქექეცი, ჩავიკეტე ოთახში და კარადის სარკის წინ დიდხანს ვიმანჭებოდი.

ქალბატონი პიკარი იმ აზრისა იყო, რომ ბავშვებს შეიძლება ყველაფერი წაუციტხო. „წიგნი არასოდეს წიანს არ მოუტანს თუკი კარგადაა დაწერილი“. ერთხელ მისი თანდასწრებით მე „მადამ ბოვარის“ წაითხვის ნებართვა ვითხოვე, რაზედაც დედაჩემმა ზედმეტად განაზებული ხმით მიპასუხა: „კი, მაგრამ

ჩემმა პატარამ ახლა რომ ყველა ამგვარი წიგნი წაიკითხოს, როცა გაიზრდება და დიდი გახდება, მაშინ რაღა უნდა ქნას? — „მე ამ წიგნებით ვიცხოვრებ“. ამ ჩემ რეპლიკას ყველაზე გულწრფელი და მეტად ხანგრძლივი მოწონება ხვდა წილად. ყოველთვის, როდესაც გვესტუმრებოდა, ქალბატონი პიკარი ვადაკრულად გაიხსენებდა ჩემ ნათქვამს და ნასიამოვნები დედაჩემი საყვედურით წამოიძახებდა ხოლმე: „გაჩუმდიო, ბლანშო, თორემ მთლად გაათამამებთ ბავშვს!“ მიყვარდა და არაფრად ვაგდებდი ამ ფერმკრთალ და ჩასუქებულ დედაბერს; მის მოსვლას რომ იტყოდნენ, შემოქმედებას ვიწყებდი: მეჩვენებოდა, თითქოს კაბა შემოვიძარცვა და უკანალი გამოუჩნდა, ეს ჩემმხრივ მისი ენამოსწრებულობის გამო პატივისცემის აღიარებას ნიშნავდა. 1915 წლის ნოემბერში მან ტყავის წითელყდიანი და ოქროს შემონაჭერიანი უბის წიგნაკი მაჩუქა. ვინაიდან პაპაჩემი სახლში არ იყო, მის სამუშაო კაბინეტში მოვიკალაოეთ; ქალები გაცხოველებით საუბრობდნენ, მართალია, ცოტა უფრო თავშეკავებით ვიდრე 1914 წელს, რადგან ომი იყო; ფანჯრებს ქუჩიანი ყვითელი ნისლი ეფინებოდა, პერი თამბაქოს დამყავებული სუნით იყო გამსჭვალული. წიგნაკი გადავშალე და ჭერ გული ამეყარა მასზე. მე რომანისა ან ზღაპრის იმედი მქონდა, მაგრამ ფერად-ფერად ფურცლებზე მხოლოდ ერთი და იგივე კითხვარი წაეკითხე ორჯერ. „შეავსე, მითხრა ქალბატონმა პიკარმა, და შენ პატარა მეგობრებსაც შეავსებინე. გავა დრო და კარგი მოსაგონარი გექნება“. მივხვდი, რომ ნიქის გამოჩენის საშუალება მეძლევა: მაშინვე, დაუყოვნებლივ შევუღდე საქმეს. პაპაჩემის მაგადას მოვუქაქე, წიგნაკი პაპაჩემის საქალაღებზე დავდე, ავიღე მისი გალალიტის კალმისტარი, ჩავაწე წითელი მელნის ბოთლში და წერას შევუღდე. ამასობაში უფროსები ეშმაკურად გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს. „ასაკისათვის შეუფერებელი“

ჰკვიანური პასუხების ძიებაში აღმოჩენამ სულმოთქმელად ამოტყვევებს სულზე უფრო მაღლა. ვაგლხნად კითხვარი ვერაფერში მეხმარებოდა. მეკითხებოდნენ, რა მომწონს და რა არ მომწონს: რომელია ჩემი საყვარელი ფერი, რომელი სურნელი მიჩვენია? დიდად არ აღტაცებულვარ ისე ვთხზავდი ჩემს გემოვნებას, როდესაც უცებ თავის გამოჩენის შესაძლებლობა გამოჩნდა: „თქვენი ყველაზე საოცნებო სურვილი?“ წარბიც არ შემისრია. ისე ვუპასუხე: „გავხდე ჭარისკაცი და მოკლულთა შვიკი ვიძიო“. ამის შემდეგ იმდენად ფეიკი აღვლევბული, რომ ველარ განვაგრძე, წამოვხტი და ჩემი ქმნილება უფროსებს ვახსლე. გამახვილებული მზერა მომაპყრეს, ქალბატონმა პიკარმა სათვალე მოიმარჯვა, დედა მის მხარს მიეყრდნო, ორივენი წინასწარვე გაეშაღნენ გასალიმებლად. თავები ერთბაშად ასწიეს: დედაჩემი გაწითლდა, ქალბატონმა პიკარმა წიგნაკი დამიბრუნა: „იცი, ჩემო პატარა მეგობარო, საინტერესო არ არის როდესაც არა გულწრფელად უპასუხებენ“. სიკვდილი მეჩინენა. ჩემი ჩაერანა ამჟარა იყო: სასწაულ ბავშვად ვიყავ გამოცხადებული, მე კი კეთილშობილი რაინდის როლი ვარჩიე. ჩემდა საუბედუროდ, არცერთ აქ მყოფ ქალბატონთაგანს ფრონტზე არავინ არა ჰყავდა: მათ უღრტინველ სულში სამხედრო გმირობამ გამოძახილი ვერ ჰპოვა. ვავიქეცი, ვეცი სარკეს და მანკვა-გრეხა დავიწყე. ახლა ასე მესმის, რომ ეს პრანკვა მომათქმევიანება ხოლმე სულს, ამით თავს ვიცავდი: ვცილობდი საშინელი სულიერი ქენჯინისაგან თავი დამეცვა, უკნთების ბლოკადით გადავეღობებოდი ხოლმე. ამასთან ერთად, ეს პრანკვა-გრეხვა ჩემს შერცხვენას უკიდურესამდე ამახვილებდა და ამით მათავისუფლებდა მისგან: დამცირებისათვის თავი რომ დამეღწია, თვითდამცირებას მოვცეობოდი და მოვისპობდი ხოლმე თავისმოწონების ყოველგვარ საშუალებას, რათა დამევიწყებინა, რომ გამოჩნდა იგი და ბორო-

ტად გამოვიყენე. სარკე დიდად მეხმარებოდა: ჩემი სიმახინჯის დამტკიცებას მას ვანდობდი. როდესაც ამას წარმატებით შეასრულებდა, მძაფრ სირცხვილს ახლა სიბრაღული მოჰყვებოდა. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ჩავარდნამ ჩემი მლიქვნელობა გამოამქლავა, ვცდილობდი თავი დამემახინჯებინა, რათა მისი განმეორება შეუძლებელი გამეხადა, რათა დამეგმო აღამიანები და რომ მათ დავეგმიე. ბოროტების კომედიას მე ვუპირისპირებდი სიკეთის კომედიას. ელიასი კვაზიმოდოს როლს კისრულობდა. სახეს ვიღრეცდი, ვიღმინებობდი, რათა სახე გამომეცვალა და ჩემი წინანდელი ღიმილის კვალიც—კი ამომეწვა.

წამალი სენზე უარესი აღმოჩნდა. დიდებისა და შერცხვენისაგან თავის დასაღწევად ვცდილობდი შეეფარებოდი ჩემი მარტოობის ჭეშმარიტებას, მაგრამ ჭეშმარიტება არ გამაჩნდა: სულის სიღრმეში მხოლოდ უგერგოლ განცვიფრება ვიხილე. თვალწინ მედგა მელდუზა, რომელიც აჭვარიუმის მინას ესეთობა, რბილ ნაოჭებად იკეცება და უკუნეთში უჩინარდება. ჩამოწვა დამე, სარკეს მოეფარა მელნის ღრუბელი და დაფარა ჩემი უკანასკნელი გარდასახულება. დავკარგე ალიბი და ამით ჩემივე თავის პირისპირ აღმოვჩნდი. სიბნელეში მესახებოდა რაღაც გაურკვეველი შფოთი, შარი-შური, ფეთქვა რომელიც ხორციელი ცოცხალი არსებისა, იგი ყველაზე შემამაჩრუნებელი იყო არსებულთა შორის და ერთად-ერთი, რომლისაც მე არ მეშინოდა. გავექეცი და ისევ დაუბრუნდი შელახული ქერებიმის როლის შესრულებას. ამოოდ, სარკემ ჩემთვის უკვე კარგა ხანს ცნობილი ჭეშმარიტება მაუწყა: ნამდვილად საზარელი ვარ. ამ აღმოჩენას ველარასოდეს ვერ გადავურჩი. ყველასაგან გაღმერთებული, არავისათვის ვიყავი საპირო; ვარიყული ვიყავი, შვიდი წლისას არავისი იმედი არა მქონდა, გარდა საკუთარი თავისა, მე კი ჯერ არ ვა-

რსებობდი, იყო მხოლოდ სასახლე უდაბური სარკეებით, რომლებზეც ვხედავდი შობილი საუკუნის სევედას რეკონსტრუქციას მე დავიბადე, რათა დამეცხრო საკუთარი დიდი სურვილი ჩემივე არსებობისა. გარკვეულ დრომდე ოთახის თავმოშობაზე გოშიაზე მეტი გავგება არაფრისა არ მქონია. ამპარტავენტებაში გადავარდნილმა ვიწამე ჭედმალლობა. ვადავწყვიტე რახან არავის სერიოზულად არ ვესაპიროები, მე გარდაუვლად საპირო უნდა გავხდე მთელი ქვეყნისათვის. ამაზე მეტად ამაღლებული რა უნდა იყოს? ამაზე მეტი სისულელე რა უნდა იყოს? სიმაართლე რომ ითქვას არჩევანიც არა მქონდა. უბილეთო მოგზაურს ვაგონის მერხზე ჩამეძინა და კონტროლიორმა გამომაღვიძა: „თქვენი ბილეთი!“ იძულებული შევიქენი გამოვტენილიყავი, რომ ბილეთი არა მაქვს. არც მგზავრობის ღირებულების გადასახდელი გამაჩნია. ჯერ დანაშაული ვიღობი: ქალღმერთი სახლში დამვიწვია, აღარ მახსოვს თუ როგორ მოვატყუე კონტროლიორი, დავუშვათ, მოტყუებით შემოვიპარე ვაგონში, მაგრამ აზრადაც არ მომსვლია, კონტროლიორის ავტორიტეტი შემეღაბა. ხმა-მალა ვიფიცებდი, რომ პატივს ვცემ მის თანამდებობას და წინასწარვე თანახმა ვარ ყველაფერზე, რასაც ის გადასწყვეტს. ამ უადრესი დამციობის წუთებში აღარაფერი დამჩინებოდა გარდა იმისა, რომ მთელი ამბავი სრულიად შემებრუნებინა: ვეუბნები: ფრიალ მნიშვნელოვანი და საიდუმლო მიზეზები, რომლებშიაც საფრანგეთი და შვიდღება მთელი კაცობრიობაა დაინტერესებული, დიკონში მიხმობენ. ამ ახალ გაშუქებით რომ შევხედოთ გარემოებას, ალბათ, მთელს მატარებელში არ მოიძებნება კაცი, რომელსაც ჩემზე მეტი უფლება ჰქონდეს მოგზაურობისა. ცხადია, იგულისხმება უზენაესი უფლება, რომელიც არ ეთანხმება ჩვეულებრივ წესებს, მაგრამ თუ კონტროლიორი ჩემი მოგზაურობის შეწყვეტას იკისრებს, ამას დიდი გართულება მოჰყვება და

მთელი პასუხისმგებლობა მას დაატყდება თავზე. ვემუდარებოდი დაფიქრებულობით: რამდენად გონივრულია მთელი სამყაროს განწყობების დარღვევა მხოლოდ იმისათვის, რომ მატარებელში წესრიგი დაიცვა? ასე იცის ამპარტავენებამ — გაპირებულთა შუამავალმა. თავმდაბლობის უფლება მხოლოდ ბილეთთან მგზავრებს გააჩნიათ. ვერასოდეს ვერ გავიგე გავიმარჯვე ამ საქმეში თუ არა: კონტროლიორი ხმას არ იღებდა. ისევე მოვეყვი თავის მართლებას; ვგრძნობდი არ ჩამომსვამენ. ერთს პირი არ გაუღია, მეორეს არ დაუშეწავს და ასე ვიყავით ერთმანეთის პირისპირ, მატარებელი კი დიოქონისაკენ მიგვაქროლებდა. მე თითონ ვიყავი მატარებელიც, კონტროლიორიც და წესრიგის დამრღვევიც. მეოთხე მოქმედი პირიც მე ვიყავი: დამდგმელი, რომელსაც ერთად ერთი სურვილი ამოქმედებდა: თავი მოეტყუებინა, ერთი წამით მაინც დაეიწყებოდა, რომ ყოველივე მისივე ჩაწყობილია. ოჯახური კომედია ხელს მიწყობდა: განა არ მესმოდა, რომ ზეგარდმო საბოძვარს ხუმრობით მიწოდებდნენ; გულჩვილობა მოყირპებულმა, მტირალმა და გულქვამ მოვინდომე გამმხდარიყავი სასარგებლო საბოძვარი, რომელიც თავის დანიშნულებას ეძებს. ჩემი თავი შევთავაზე საფრანგეთს, მთელ სამყაროს. აღამიანები ფესებზე მეკიდა, მაგრამ ვინაიდან უიმათოდაც არ იქნებოდა, გადაწყვიტე: მათი სიხარულის ცრემლები მიმეღო დასტურად იმისა, რომ მადლიერმა სამყარომ მაღიარა. შეიძლება იფიქრონ, ყოყონათმა გადამძლია; არა: მამით ობოლი ვიყავი. არავინ შვილი, თვითონვე ვიყავი ჩემი თავის პატრონი, უაღრესად ამპარტავანი და უაღრესად უბედური. სიკეთისაკენ მისწრაფებამ მომაველინა ამქვეყნად. მიზეზი ადვილი სანახავია. დედის ალერსით განებივრებული. გულაცრუებული ვიყავი, რადგან მყავდა მკაცრი მოსე, რომელმაც ჩამსახა. პაპაჩემი მდამერთებდა და მთლად გამათასსირა. ამგვარად, მე ვი-

ყავი წმინდა ობიექტი და ერთი წუთით რომ მაინც დამეჭვრებინა ოჯახური კომედისათვის, უპირველესად გულგონობა მაზოხიზმის კერძი გავხდებოდი. მაგრამ ეს კომედია ჩემს სულს არ ეკარებოდა, გულის სიღრმეში ცივი და განუსჯელი ვრჩებოდი. ყოველივე დაწესებული შემძულდა, მეთანადრებოდა გულისგამაწყალებული ალტკინება, ალტაცება, მეზიზღებოდა ჩემი ზედმეტად გააზიზღებული და განებივრებული სხეული და ჩემი თავი ჩემივე დაპირისპირებაში ეპოვე იმით, რომ ამპარტავენებასა და სადიზმს მივაშურე ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სულგრძელობა გამოვიჩინე. სულგრძელობა სიძუნწისა და რასიზმის მსგავსად ის მაღამოა, რომელიც ჩვენს შინაგან იარებს ჰკურნავს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს გვწამლავს: ვცდილობდი თავი დამეღწია მიუსაფრობისაგან, რომელიც წილად ხვდა ქმნილებას, და ამით ვიმზადებდი ყოვლად უსასო ბურეუაზიულ მარტოობას, რაც შემქმნელის ხედვრია. მაგრამ უეცარი მალაყს ვადასვლა ნამდვილ აჯანყებად არ ჩასთვალთ: აჯანყებას ჯალათების წინააღმდეგ აწყობენ, მე კი კეთილისყოფელთა გარდა არავინ მყავდა. დიდხანს მათი თანამონაწილე ვიყავი. თუმცა, მათ ხომ თითონ მიწოდეს „განგების საბოძვარი“, მე მხოლოდ სხვა მიზნისათვის გამოვიყენე ის იარაღი, რომელიც მათ მიბოძეს.

ყოველივე ეს ჩემს გონებაში ხდებოდა: გამოგონილი ბავშვი ვიყავი და ამ მონაპოროს საშუალებით ვიმკვიდრებდი თავს ამქვეყნად. როდესაც ეხსენებ, თუ როგორ ვცხოვრობდი ექვსიდან ცხრა წლამდე, მაკვირვებს რა მუდმივი იყო ეს ტვინის ჰყლეტა: შინაარსი ხშირად იცვლებოდა, მაგრამ პროგრამა უცვლელი იყო. ჩემი გამოცხადება უადგილო იყო, მაშინვე უკან დაეხიე და შირმას ამოვეფარე და ხელახლა მოვევლინე ქვეყანას, უკვე დროულად, სწორედ იმ წამს, როდესაც გაყურებული სამყარო მიხმობდა.

ჩემი პირველი ამბები „ლურჯი ფრინ-

ველის“, „ჩემებიანი კატისა“ და მორის ბუშორის ზღაპრების გამეორება იყო. ისინი თავისთავად ითხზებოდნენ და მოედინებოდნენ ჩემს შუბლს უკან, წარბების რკალთა შუა. შემდგომში გავებდე; დავიწყე მათი შესწორება და საკუთარი როლიც გამოვხატე. ზღაპრებმა ფერი იცვალეს: ფერიები არ მიყვარდა, გარს რომ მეხვივინენ, ისინიც მობეზრებული მყვანდნენ: ახლა ჯადოქრობა გმირობამ შეცვალა. გმირი გავხდი; ჩემი ჯადოქრობის პერანგი გავიხადე; ახლა უკვე მოჯადოვებისათვის არ მეცალა, საქმე საკუთარი თავის დამკვიდრებაზე მიდგა. დავეგე ოჯახი: კარლემამი და ან-მარი განიდევნენ ჩემი ოცნებებიდან; მომბეზრდა ეესტი, პოზის დაჭერა და ახლა ჩემს ოცნებებში ნამდვილ, მართალ საქციელს ჩავდიოდი. ვქმნიდი სიკვდილითა და გასაჭირით აღსავსე ქვეყანას. ამაში მესმარებოდნენ „კრი-კრი“, „საოცარი“ და პოლ იფუა. შრომა და ვაჭირება, რომლებიც ჩემთვის უცნობი იყვნენ, ხიფათით შევცვალე. არასდროს არ ვყოფილვარ ასე დაშორებული არსებული წესწყობილების უარყოფისაგან, როგორც იმხანად: დარწმუნებული ვიყავი, რომ ვცხოვრობ უველაზე უკეთეს ქვეყანაში და ვთვლიდი, რომ საიმისოდ ვარ მოვლენილი, რათა ვაშორო მას ბოროტობქმედნი. ვიყავ მსტრავარი და ლინჩის სამართლის მოქმედი და ყოველ საღამოს წესი ვუკვებდი ბანდიტების მთელ ბანდას. არც პრევენტიული ომი და არც დამსჯელი ექსპედიცია არ მიზიდავდა: ვკლავდი არა იმიტომ, რომ მომწონდა ან გამშაგებული ვიყავი, არამედ მხოლოდ ნორჩი ქალიშვილების გადასარჩენად. ეს სათუთი არსებანი აუცილებლად მჭირდებოდა, ვინაიდან ისინი მომიწონებდნენ. რასაკვირველია, ჩემი იმედი ჰქონდათ, რადგან არ მიცნობდნენ, მაგრამ მე მათ ისეთ უსაშველო გასაჭირში ვავდებდი, რომ ჩემს მეტს მათი ვადარჩენა არავის ადარ შეეძლო. როდესაც იანიჩრები თავის მოღუნულ ხმლებს მოიქნევდნენ, უდაბნოში კვნესა

გაისმოდა და კლდეები გადაუჩურჩულებდნენ ქვიშას: „აქ ვიღაც გვაკლავს! სარტრია ნამდვილად“, იმაზე წყნარად გამოვიდიოდი შირმის საფარიდან და მახვილის ერთი მოქნევით ვკვეთდი თავებს, სისხლის ნაკადიდან ვევილინებოდი ქვეყანას. დაილოცოს ფოლადი! ესაა ჩემი საქმე.

მე ვიბადებოდი, რათა მოემკვდარიყავი: ვადარჩენილი ქალიშვილი მკერდზე ეკონებოდა თავის მამას, მარკვარუსს, მე კი მივდიოდი და მხოლოდ ისღა მჩებოდა, ან ისევე ზედმეტი გავმხდარიყავი ან ახალი მკვლელების ძებნას შევდგომოდი. ვბოულობდი კიდევაც არსებული წყობილებისათვის მებრძოლი ვიყავი და ჩემი არსებობის გამართლებას მხოლოდ გამუდმებულ არეულობაში ვხედავდი. ჩემი ხელით ვაშთობდი ბოროტებას, მასთან ერთად ვკვდებოდი, მისი აღდგომა — ჩემი აღდგომა იყო, ნამდვილად მემარჯვენე ან-არქისტო ვიყავი.

ჩემი კეთილისმყოფელი ძალადობა თავს არ იჩენდა არაფერში; ისევე ისეთი მაამებელი და ბეჯითი ვიყავი; არც ისე ადვილია სათნოების გადაჩვევა; მაგრამ, ყოველ საღამოს მოუთმენლად ველოდი როდის მოვლება ბოლო ყოველდღიურ ტაკიმასხარაობას, გავრბოდი ჩემი ლოგინისაკენ, ჩავაბულბულებდი ლოცვას და შეეძვრებოდი საბანქვეშ; მესურებოდა კვლავ შევდგომოდი თავზე ხელაღებულ გმირობას. ბინდ-ბუნდში წლები მემატებოდა, ვხვდებოდი ერთ ვინმე მიუსაფარი, უღედსამო და უსახსლკარი და ლამის სახელსაც ვკარგავდი. აი, მივყვები ცეცხლმოკიდებული სახურავის კიდეს, ხელში აყვანილი მყავს ქალი. ჩემს ფეხქვეშ ხალხი ხმაურობს; ხედავენ, შენობა ამ წუთს ჩაინგრება. და ამ წუთებში მე წარმოვთქვამდი საბედისწერო სიტყვებს: „გაგრძელება შემდეგ ნომერში“. — „რას ამბობ?“ მეკითხებოდა დედა. მე წინდახედულად ვუპასუხებდი „ჯერ არ ვიცი, როგორ გათავდება“. ვიძინებდი და ირგვლივ იყო ხიფათი და სანეტარო საფ-

რთხე. მეორე დღეს, საღამოს, დაბარებულივით ვცხადდებოდი პეშანზე, ისევ ვპოულობდი ჩემს სახურავს, ხანძარს და გარდაუვალ სიკვდილს. და მოულოდნელად თვალს მოგვრავდი წყლის მილს, რომელიც წინააღმდეგ არ შემინიშნავს. ღმერთო ჩემო, ეს ხომ ხსნაა! მაგრამ როგორ დავეჭვირო მილს და ხელიდან არ გამისხლტეს ჩემი სათუთი ტვირთი? საბედნიეროდ, ქალიშვილი გონს მოდიოდა, ზურგზე ვიკიდებდი, ის კი ხელებით კისერზე მომეჭლებოდა. არა, მოვიფიქრე და ისევ გონებას ვუკარგავდი: თუმცა მისი როლი გადარჩენაში მეტად მცირე იყო, მაინც ჩემს დამსახურებას აკლდებოდა. ბედნიერი შემთხვევის გამო მოულოდნელად ჩემ ფეხქვეშ თოკი გამოჩნდებოდა, თოკით ვებამდი მსხვერპლს ვადამრჩენელის ზურგზე, დანარჩენი კი თამაშ-თამაშით ხდებოდა. ქალაქის თავყაყაბები — მერი, პოლიციის უფროსი, მეხანძრეთა კაპიტანი გულში მიკრავდნენ, მკოცნიდნენ, მედლით მაჯილოფებდნენ, მე კი ვიბნეოდი, არ ვიცოდი, რა მომეშოქმედნა: ამ პარტიცემულ მოქალაქეთა ზევინა-ლოშნა მეტად მიაგავდა პაპაჩემის კოცნა-ჩახუტებას. ხაზს გადავუსვამდი ყველაფერს და ხელახლა ვიწყებდი: ისევ იყო ღამე, ნორჩი ქალიშვილი ითხოვდა შევლას, შუა ჩხუბში ვვარდები... ვაგრძელება შემდეგ ნომერში. თავს ეწირავდი იმ დიადი წუთისათვის, რომელსაც შემთხვევით გამჩინილი არსება განგების წარმოგზავნიდა უნდა გადაეჭკია, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამ გამარჯვებას ვერ ვადავურჩებოდი და მიხაროდა, რომ შეიძლება იგი სახვალიოდ გადაიდოს.

ვანა საკვირველი არაა, რომ სამღვდლოდ განკუთვნილი თავს სდებდა ამ ყაჩაღანას ოცნებებისათვის; ბავშვობის მღვდლვარება მეტაფიზიკურ ხასიათს ატარებს; მათ დასაოკებლად არაა საჭირო სისხლის დაღვრა. ნუთუ არასოდეს მინატრია გავმხდარიყავი გმირი ექიმში, რომელიც ვადარჩენს ხალხს შვიტირისა და ხოლერისაგან? უნდა გამოვ-

ტყდე, არასოდეს არ მინატრია, მაგრამ, ამასთან ერთად არც უწყალოდ ვაპყრობდი მეტძობი არ ვყოფილვარ და ჩემი ბრალი როდია, რომ ახლად მობილმა საუკუნემ ასე ეპიკურად განმეწყო. დამარცხებული საფრანგეთი საესე იყო გამოგონილი გმირებით, რომელთა ძალგულოვნება აოცებდა ქვეყნის თავმოყვარეობას. ჩემ დაბადებამდე რვა წლით ადრე სირანო დე ბერკერაკმა „საყვირის ხმით განფანტა სიმშვიდე“, მოგვიანებით კი გამოჩნდა ამაყი და წამებული არწივის მართვე და ფრანგებს ფაშოლი! და ავიწყებინა. 1912 წელს მე ამ ამაღლებული მოქმედი პირების შესახებ არაფერი გამეგებოდა, მაგრამ მუდმივი კავშირი მქონდა გამბული მათ ეპიგონებთან: ვალმერთებდი კატორღის სირანო დე ბერკერაკს — არსენ ლიუბენს და არაფერი ვიცოდი იმისა, რომ იგი თავის პერკულესურ ძალას, დამცინავ ვაქცოვბას, ნამდვილად ფრანგულ გონიერებას, 1870 წლის ჩვენს გაბითურებას უნდა უმადლოდეს. ეროვნულმა აგრესიულობამ და რევანშის სულსიკვეთებამ ყველა ბავშვი შურისმაძიებლად აქცია. ყველასთან ერთად მეც შურისმგებელი ვავხდი: მომჯადოვდი დამარცხებულთა აუტანელმა მანკმა — აყვიობამ და ქაჩვამ. სანამ მეტრის გვერდებს ჩავუმტვრევდი ჭერ დაეცინოდი. მაგრამ მომწონდა გერმანელები, რომლებიც პაპაჩემთან მოდიოდნენ სტუმრად და მე მხოლოდ კერძო ცხოვრების უსამართლობა მაღლევებდა. ჩემს გულში არ იყო სიძულვილი, კოლექტიური მისწრაფებანი ჩემებურად ვადავხალისე და ჩემი პირადი გმირობის სამსახურში ჩავაყენე. მაგრამ მე მაინც დალი მესვა. სულელურად მოვტყუვდი და ჩვენს რკინისბურთ საუკუნეში ცხოვრება ეპოპეიდ მივიჩნიე, რადგან დამარცხების ნაშვიერი ვიყავი. დარწმუნებული მატერიალისტი ვარ და სიკვდილამდე უნდა მი-

1 ფაშოლი ქალაქი სულანში, რომელიც ფრანგებმა დაიპყრეს 1898 წელს, ხოლო შემდეგში ინგლისელებმა წაართვეს.

ვსდით ვიკტორ რეალიზმს, რითაც უნდა გამოვისყიდო შეურაცხყოფა, რომელიც ჩემთვის არ მიუყენებიათ, უნდა გადავტანო შიში, რომელიც არ განმიცდია და დაკარგვა ორი პროვინციისა, რომელიც უკვე დიდი ხანია, რაც დაგვიბრუნეს.

გასული საუკუნის ბურჟუებს არასოდეს ავიწყდებოდათ თეატრის პირველად ნახვის ამბავი და მათი თანამედროვე მწერლები თავის მოვალეობად სთვლიდნენ, დაწვრილებით გადმოეცათ ეს შთაბეჭდილებანი. აიხდებოდა ფარდა და ბავშვები თითქოს სასახლეში გაჩნდებოდნენ. ოქრო, ძოწვეული, შუქი, ფერუმარბილი, ალტკინება და ბუტაფორია ყველაფერს აცისკროვნებს და წმინდად აქცევს — დანაშაულსაც კი. სცენაზე ცოცხლდება ის არისტოკრატია, რომელსაც მათმა პაპებმა თავი მოჰკვეთეს. ანტრაქტებში დარბაზის იარუსებად დალაგებული გალერეები თვალსაჩინოდ უხატავენ საზოგადოების სურათს; ლოქებში ცოცხლებენ გამიშვლებულ მხრებსა და ცოცხალ თავდაზნაურობას. ვაბრუებულები და ღონემიხილინი ბრუნდებიან სახლში და ამასობაში უკვე მზად არიან საბედისწერო ცერემონიებს შეუდგნენ, გახდნენ ეიულ ფაერები, ეიულ ფერიები, ეიულ გრევიები. მოუწოდებ თანამედროვეებს, რათა რომელიმე მხინც ვახსენოს ის დღე, როდესაც პირველად კინემატოგრაფი გაიციო. ვერც კი შევამჩნიეთ ისე გადავდექით ახალ, უტრადიციო საუკუნეში, რომელსაც წილად ხედა თავისი უზრდელობით ყველა გასული ეპოქებისათვის გადაეკარბებინა, ხოლო ახალი ხელოვნება, მდამბო ხალხის ხელოვნება, ჩვენი გაბრბაროსების მალუწყებელი იყო. ეს ხელოვნება ავაზაკების წავერნაში გაჩნდა, მას თავი მდამბორად ეჭირა, რაც შეურაცხყოფდა სერიოზულ ადამიანებს; ეს ხომ ქალებისა და ბავშვების გასართობი იყო. მე და დედაჩემს ძალიან მოგვწონდა, მაგრამ არასდროს მასზე არ ვფიქრობდით და არც

ვლაპარაკობდით: განა პურზე ლაპარაკობენ თუ კი არ აკლიათ? ყინემატოგრაფის არსებობა მაშინ შევიგნეთ, როდესაც იგი უკვე კარგა ხანია ჩვენთვის აუცილებლად საჭირო გამხდარიყო.

წვიმიან დღეებში ან-მარი მეკითხებოდა, სად მინდა წასვლა; დიდხანს ვარჩევდი, სად წავსულიყავი: ცირკში, შატელეს თეატრში, ელექტრონის სახლსა თუ გრევენის მუზეუმში. უკანასკნელ წუთს თითქოს სასხვათაშორისოდ, თემც წინასწარ გვექონდა უზურში, გადავწყვიტეთ კინოში წასვლა. გავაღებდით თუ არა სადარბაზოს კარს, თავის სამუშაო ოთახიდან პაპაჩემი გამოვიდოდა: „სად მიხვალთ, ბავშვებო? — „სინემაში“ უპასუხებდა დედაჩემი. პაპა სახეს მოილუშავდა და დედა საჩქაროდ დასძინდა: „პანთონის სინემაში მივდივართ, საუფლოს ქუჩაზე გადავალთ და იქვეა“. პაპა მხრებს აიჩეჩავდა და გაგვიშვებდა. უახლოეს ხუთმბათს პაპა ეტყოდა ხოლმე ბატონ სიმონოს, „რას იტყვით, სიმონო, თქვენ ხომ გონიერი ადამიანი ბრძანდებით, რამე თუ გაგეგებათ მაგისი? ჩემ ქალიშვილს ჩემი შვილიშვილი კინოში დაჰყავს!“ ბატონი სიმონო შემარიგებელი ხმით უპასუხებდა „მე თვითონ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ შეუღლე ხანდახან დადის“.

წარმოდგენა დაწყებული იყო. ბორძიკით და ხელისფათურით მივყვებოდი კინოს მსახურს. ჩემი თავი შეთქმული მეგონა; ჩვენ თავს ზევით დარბაზის წყვილადს ჰკვეთდა თეთრი შუქის სხივების კონა, რომელშიაც მტვერი და თამბაქოს ბოლი ირეოდა; პიანინო ჰიხინებდა, კედლებზე იისფერი მსხლები კიაფობდნენ, სული მეხუთებოდა ლაქისა და დეზინფექციის სუნისაგან. ამ ხალხით სავსე წყვილადის ოსმივარი და მსხლის სურნელი ერთმანეთში ირეოდა: თითქოს ვჰამდი ამ ელექტრო ნათურებს, სამარქაფო გასასვლელის თავზე რომ ენთნენ და ვგრძობდით მათ მომთავო სუნს. გავეხახუნებოდი ვილაცას მუხლებს და დავსკუბდებოდი ჭრაქუნს სკამზე, დედაჩემი დამიგებდა სკამზე

დაეცილ საბანს, რომ უკეთესად დამე-
ნახა და, როგორც იქნა, ველირსებოდი
ეკრანის ნახვას. ვხედავდი ცარცის იის-
ფრად მოკამკამე ლაქას, მთრთოლავ პე-
იზაგებს, რომლებიც წვიმისაგან მთლად
იყვნენ დასერილინი; გამუდმებით წვიმ-
და, მაშინაც კი როცა მზე კაშკაშებდა,
ოთახებშიაც კი წვიმიდა. ხანდახან ცეც-
ხლოვანი ასტროიდი შეიჭრებოდა ხო-
ლმე რომელიღაც ბარონესას სასტუმრო
ოთახში, ის კი გაკვირვების ღირსადაც
არ გახდიდა ხოლმე. მე მიყვარდა ეს
წვიმა, ეს განუწყვეტელი ფაცი-ფუცი
კედელს რომ აფორიაქებდა. პიანისტი
„ფინგალის მღვიმის“ უფერტიურას იწ-
ყებდა და ყველასათვის ცხადი ხდებოდა,
რომ ეს-ეს არის, ბორატმოქმედი უნ-
და გამოჩნდეს: ბარონესა შიშისაგან
ირეოდა, მაგრამ მისი მშვენიერი, გამუ-
რული სახის ნაცვლად უცებ გამოჩნდებ-
ოდა იისფერი წარწერა: „პირველი
ნაწილის დასასრული“. შემდეგ, უცეა-
რი გამოფხიზლება, შექი. სადა ვარ?
სკოლაში? რაღაც დაწესებულებაში?
არავითარი მორთულობა: რიგები ასა-
კეცი სკამებისა, რომელთა აეცეცის
დროს ჩანან ზამბარები; ოქროთი შეთ-
ბუნული კედლები, ნაფურთხი და პაპა-
როსის ნაშწევებით მონაგვიანებული ია-
ტაკი. დარბაზს სიტყვაუხვი გუგუნე ავ-
სებდა, ხალხს ლაპარაკის უნარი უბრუ-
ნდებოდა, მსახური ქალი ხამამალა
გეთავაზობდა ინგლისურ კანფეტს. დე-
და მიყიდოდა ხოლმე, პირში ვიტაკებდი
და ვწუწნიდი ნათურებს, სამარჯაფო
გასასვლელის თავზე რომ ენთნენ. მაყუ-
რებლები თვალებს იფშენებდნენ, პირ-
ველად ამჩნევდნენ თავის მეზობლებს.
ჯარისკაცები, ამ უბნის მცხოვრებთა გა-
დიები, გაძვალტყავებული მოხუცი, რო-
მელიც ხალხს აჩუმებს; თავდაუხურავი
ქარხნის მუშა-ქალები, რომლებიც ხმა-
მალა ხარხარებენ: მთელი ეს ხალხი
ჩვენს წრეს არ ეკუთვნის; კიდევ კარგი,
უქულო თავების ამ პარტერში ალაგ-
ალაგ, შორი-შორ დიდი შლაპები ირხე-
ვა.

ცხოვრებულ მამაჩემს, პაპაჩემს, რომ-

ლებიც პირველი იარუსის ლოგების
ბინადარი იყვნენ, თეატრის სკოლაში
მა იერარქიამ ცერემონიები გეგმი
ხსნა: როდესაც ამდენი ხალხი ერთად
იკრიბება, საჭიროა მათი გამოჩენა, რი-
ტუალური ზღუდების აგება, თორემ
ერთმანეთს დახოცავენ. კინო სრულიად
საწინააღმდეგოს ამტკიცებდა: გეგონე-
ბოდა დღესასწაული კი არა, ამ ესოდენ
ქრულ ხალხს, რაღაც უმედურება აკა-
შირებთ ერთმანეთთან. ეტიკეტი მოის-
პო და ადამიანების ჭეშმარიტი მჭიდრო
ურთიერთკავშირი გამოჩნდა. შემძულ-
და ცერემონიები; მიყვარდა ბრბო; მრავალი
სახის ბრბო მინახავს, მაგრამ ასე-
თი გამიშვლებული, ასეთი გულლია ურ-
თიერთობა ერთისა ყველასთან, ასე-
თი ფიზიკურ ნახული სიზმარი, ეს გა-
ურკვეველი შეგნება იმისა, რომ ადამი-
ანობა სახიფათოა, მხოლოდ ერთხელა
ენახე 1940 წელს, სამხედრო ტყვეების
ბანაკში — „შტალაგ XII“.

დედაჩემმა თანდათან უფრო გაბედა
და ახლა ბულვარების კინოებში დავეყ-
ვდი: „კინერამაში“. „ფოლი დრამატი-
კში“, „ვოდევილში“, „გომონ პალას-
ში“, რომელსაც მაშინ „ჰიპოდრომს“
ეძახდნენ. აქ ენახე „ზიგომარი“ და „ფან-
ტომა“, „მაისის თევზადასავალი“,
„ნიუ-იორკის საიდუმლოებანი“, ოქროს
ვარაყი მთელ სიამოვნებას მაკარგვი-
ნებდა. „ვოდევილი“ ყოფილი თეატრი
იყო, მაგრამ წარსულ დიდებასთან გან-
შორება არა სურდა: უკანასკნელ წუ-
თამდე წითელი, ოქროს ფოჩებიანი ფა-
რდა ფარავდა მაყურებლისაგან ეკრანს;
წარმოდგენის დაწყებას სამი ზარი აუწ-
ყებდა, ორკესტრი უფერტიურას უტარავ-
და, ფარდა იხდებოდა, ნათურები ქრე-
ბოდა. მაბრაზებდა ეს უადგილო ცერე-
მონიალი, მთელი ეს მტვრიანი ფუფუ-
ნება, რომელსაც ერთად ერთი შედეგი
მოჰყვებოდა: გვაშორებდა მოქმედ პი-
რებს. ბალკონსა და ქანდაარაზე სი-
არულს მიჩვეულ ჩვენს მამებს, ლუსტრის
ბრწყინვალეობა და ჭერის მოხატულობა
აოგნებდა და მათ არ შეეძლოთ და არც
სურდათ დაეკერათ. რომ თეატრი მათი
საკუთრებაა: ისინი თეატრში სტუმრად
მოდიოდნენ. მე კი მინდოდა, რაც შეიძ-

ლება ახლო დამენახა კინოფილში. ჩვენი უბნის კინოთეატრების მოუწყობლობა ყველას გვათანაბრებდა და ამან შემაჩვია აზრს, რომ ეს ახალი ხელოვნება მე შეეკუთვნის ისევე, როგორც ყველას. განგებრივად ჩვენ თანატოლები ვიყავით: შვიდი წლისა ვიყავი და კითხვა ვიცოდი, იგი თორმეტი წლისა იყო და ლაპარაკი არ იცოდა. ამბობდნენ, რომ იგი მხოლოდ სიარულს სწავლობს და რომ დიდი მომავალი აქვსო; ასე მეგონა ერთად ღვიზრდებოდიო. მე არ დამეფიწყებია ჩვენი ზიარი ბავშვობა: როდესაც ინგლისურ კანფეტებს მთავაზობენ, როდესაც ქალი ჩემის თანდასწრებით ფრჩხილებს იკეთებს და ლაქით იფერავს, როდესაც პროვინციული სასტუმროს საპირფარეოში დეზინფექციის სუნია, როდესაც ღამის მატარებელში ვხედავ იისფერ ღამის ნათურას, მე კვლავ ვხედავ, ვიყნოსავ, ვგრძნობ გემოს იმ დიდი ხნის გადაშენებული კინოდარბაზების შუქსა და სუნს; ოთხი წლის წინათ, ქარიშხლის დროს ფინგალის მღვიმის განედებში აღმოვჩნდი და ქარის ხმაურში პიანინოს ხმა შემომესმა.

სამღვთო ამბებს გულთან არ ვიკარებდი, მიყვარდა ჯადოქრობა: კინოს საექვო გარეგნობა ჰქონდა; ჩემი სიყვარული მისდამი მანკიერი იყო, ვინაიდან მე მისი მაშინდელი სიმახინჯე მიყვარდა. ეს ციალი ყველაფერი იყო და არაფერი არ იყო, იყო არაფრამდე დასული ყველაფერი: მე ვესწრებოდი კედლის გაგვიებას, მყარი სხეულები კარგავდნენ მასივობას, რომლისაგანაც ჩემს საკუთარ სხეულშიც კი შექირებულ ვიყავი და ჩემს ბავშვურ იდეალიზმს ფრიად ახარებდა ეს უნარი უსასრულოდ გაბრტყელებისა. შემდეგში სამკუთხედების ვადატანა და შემობრუნება მაგონებდა ეკრანზე ფიგურების მოძრაობას. პლანიმეტრიაშიაც კი კინო მიყვარდა. შვიდი და თერთმეტი მთავარი ფერები გახდა ჩემთვის, ისინი შეიცავდნენ ყველა დანარჩენ ფერებს, მაგრამ მათი დანახვა რჩეულთ შეეძლოთ; უჩინარის დანახვის შესაძლებლობა მხიბლავდა. მაგრამ ყვე-

ლაზე მეტად ჩემი გმირების განტყურნავი სიმუნჯე მიყვარდა. ^{მეტყურნავ} ასე: მუნჯები არ იყვნენ, ^{მეტყურნავ} რადგან გრძობების გამოხატვა შეეძლოთ. ჩვენს შორის კავშირს მუსიკა ამყარებდა, რომელიც მათი შინაგანი ცხოვრების გამოძახილი იყო. შეურაცხყოფილ უმანკობას რომ გამოეთქვა ან ეჩვენებინათ თვისი მწუხარება იგი ნაკლებად იმოქმედებდა ჩემზე, ახლა კი მისგან გამოსხივებული მელოდია შიგ გულში მწუდებოდა. ვკითხულობდი საუბარს, ხოლო ვხედავდი იმებს და ვამწარებას, ყურს ვუგდებდი ამპარტავან მწუხარებას, რომლის გამოთქმა სიტყვას არ ძალუძს. მათი თანამონაწილე ვიყავი; ეს ახალგაზრდა ქვრივი ეკრანზე რომ ტირის მე კი არა ვარ, მაგრამ მაინც ჩვენ ორივეს ერთი სული გვაქვს: შოპენის სამგლოვიარო მარში. მეტის გაძლება არ ძალუძს, თვალები იმ ქალის ცრემლებით მევესება. წინასწარმეტყველებისა არაფერი გამეგებოდა, მაგრამ თავს მისნად ვგრძნობდი: მოღალატეს ვერ დალატი ჩადენილი არ ჰქონდა, ჩემში კი უკვე მისი ბოროტება ისაღვურებდა; ციხედარბაზში ვერ თითქოს მშვიდობაა, მაგრამ საბედისწერო აკორდები უკვე მკვლელის არსებობას გვაუწყებენ. რა ბედნიერი იყვენ ეს კოვოები, ეს მუსეეტრები, ეს პოლიციელები; მათი მომავალი ხომ აქ იყო, ამ მრავლისმეტყველ მუსიკაში, იგი წარმართავდა მათ აწმყოს. უკიდევანო სიმღერა ერთვოდა მათს სიცოცხლეს, უხმობდა გამარჯვებისა ან სიკვდილისაკენ და ამავდროს თვითონაც დასასრულისაკენ მიისწრაფვოდა. მათ ნამდვილად ელოდნენ: ელოდა საფრთხეში მყოფი ქალიშვილი, ელოდა გენერალი, ელოდა ტყეში ჩასაფრებული მოღალატე, ელოდა დატყვევებული მეგობარი, რომელიც შელონებული შესცქეროდა, თუ როგორ მიჰყვებოდა ალი პატარუს დენთით სავსე კასრისაკენ. აღის სრბოლა, უბიწო ქალიშვილის მოძალადესთან გააფთრებული ქიდილი, ველად გაპრილი გმირის ცხენის ჰენება, ყველა ამ სახე-

თა არეული ციმციმი, სიბოლა და ჭიდილი და სიდიდისადაც ქვეყნელიდან „უფსკრულისადაც მისწრაფების“ ჩქარი მელოდია — „ფაუსტის გაიცილებიდან“ საორკესტრო ნაწყვეტი ადაპტირებული პიანინოსათვის, ყოველივე ეს მხოლოდ ბედისწერა იყო. გმირი ჩამოქვეითდებოდა, აქრობდა პატრუქს, მოლაღატე ეტაკებოდა მას, იწყებოდა დანებით ბრძოლა, მაგრამ ამ შერკინების თვით შემთხვევითობაც კი განუხრელად ემორჩილებოდა მუსიკალური თემის განვითარებას: ეს მხოლოდ ერთ შემთხვევები თუ იყო, ხოლო მათს უკან კი საყოველთაო წესრიგი გამოსჭვავოდა. როგორ მიხაროდა, როდესაც დანის უკანასკნელი ძვრება თანხედებოდა უკანასკნელ აკორდს! ცას ვეწეოდი. ვპოვე ქვეყანა, რომელშიაც მსურდა ცხოვრება; მე აბსოლუტს ვუახლოვდებოდი და რა გულსატყენი იყო, როცა სინათლე ინთებოდა: მოქმედ პირთა სიყვარულით ვილეოდი, ისინი კი ჰქრებოდნენ და თან მიჰქონდათ თავისი სამყარო; მათი გამაჩრვება ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი, მაგრამ ეს მაინც მათი გამაჩრვება იყო და არა ჩემი: ქუჩაში კვლავ მეუფლებოდა ჩემი მიუსაფარობა.

გადაწყვეტიტე დამეგმო სიტყვა და მუსიკით მეცხოვრა. ამის საშუალება მეძლეოდა ყოველდღე დაახლოვებით ხუთ საათზე. ამ დროს პაპაჩემს ლექციები ჰქონდა ახალი ენების ინსტიტუტში, ბებია თავის ოთახს მიაშურებდა და ყიპის რომანებით ერთობოდა, დედაჩემი, საუზმის ამბავს რომ მორჩებოდა, სადილის თადარიგს მოათავებდა, მოსამსახურე ქალს უკანასკნელ დარიგებას მისცემდა; მიუჯდებოდა პიანინოს და უკრავდა შოპენის ბალადებს, შემანის სონატას, ფრანკის სიმფონიურ ვარიაციებს, ხანდახან-კი ჩემი თხოვნით ასრულებდა „ფინგალის მღვიმის“ უფერტიურას. შევიპარებოდი კაბინეტში; დამდებოდა და პიანინოზე ორი სანთელი ანათებდა. ბინდი ხელს მიწყობდა, ხელს დავეჯდებოდი პაპაჩემის სახაზავს; ხმლად გამომაღვებოდა, ავიღებდი ქალადის

საჭრელ დანას: ჩემი ხანჯალი იყო და იმავ წამს მუშეტერის ბრტყელ გამოსახულებად გადავიქცეოდი. ხანდახან შთაგონებას აგვიანდებოდა და უნდამომეცადა: დროის მოსაგებად, მე, სახელგანთქმული ჩხუბისთავი, გადაწყვეტიდი ხოლმე, რომ რაღაც მიზეზის გამო ინკოგნიტოთ უნდა ვყოფილიყავი. მაძგერებდნენ და იძულებული ვიყავი მომეთინა, შური არ მეძია, მომეშველებინა მთელი ჩემი ვაჟკაცობა, რათა ლაჩარად მომეჩვენებინა თავი. ფეხის თრევით, მოვჩაქინდრული და მოღუშული დავეხეტებოდი ოთახში, ხანდახან შევტოვდებოდი, რაიცა იმას აღნიშნავდა, რომ სილა გამაწნეს ან პანდური ამოჰკრეს, მაგრამ სამაგიეროს არ ვჩქარობდი: მხოლოდ შეურაცხყოფელის სახელს ვიხსოვებდი. ბოლოს, ამდენ მუსიკას რომ მივიღებდი, მომჯადოვებდა და შამანის დოლისა არ იყოს, როიალის რიტმი ამიყოლებდა ხოლმე, ფანტაზიაცესპრომტი განდევნიდა ჩემს სულს, და ისადგურებდა ჩემში, მომანიჭებდა უცნობ წარსულს, თავბრუდამხვევსა და გამანადგურებელ მომავალს: სიგიყე მეუფლებოდა და ისევ ვიყავი აყოლილი ეშმაკს, როგორც ქლიავის ზე ქარიშხალს. წინ ცხენიც ვიყავი და ცხენოსანიც; დეზს ვკრავდი და დეზის შეხებას ვგრძნობდი; დავქროდი ველმინდვრებში, პაპაჩემის კაბინეტში, კარებიდან ფანჯრამდე. „ძალიან ხმაურობ, მუსიკალები გვიჩივლებენ“, — მეუბნებოდა დედა როიალიდან თავაულებლად. მე არ ვუპასუხებდი, ვინაიდან მუნჯი ვიყავი. ჩემს წინ დღეცა ვქვეითდები, უხმოდ ვაქცავუნებ ტუჩებს, რათა უხმოდ გავაგებინო, რომ ის ნაბიჯვარია. იგი თავის რეიტარებს მისცევს, მაგრამ ხმალს ვიშინებ და ჩემი ფოლადის სიმაგრე შეუვალა. შიგა და შიგ ვგმირავ ვინმეს მკერას, მერე ცობრტყივით მოვტრიალებდი და თვითონვე ვხდები ვანგმირული მებრძოლი, ვეცემი და ხალიჩაზე სულს ვლევი. მერე, ჩემდა გამოვპარები საკუთარი გვამიდან და ისევ ჩემს როლს ვუბრუნებდი და მოხეტია-

ლე რაინდად გადავიქცევი. მე ყველა მოქმედ პირებს ვანსახიერებ: რაინდი ვარ, ღუკას სილას გავაწნავ, მაშინვე შემოვტრიალდები და ამ სილას ვითმენ. მაგრამ დიდხანს ბოროტმოქმედად ყოფნა არ მიყვარდა, მოთმინება აღარ მყოფნიდა, რომ მთავარ საგმირო როლს, საკუთარ თავს დავბრუნებოდი. მარცხი არ ვიცოდი, ყველას ვამარცხებდი, მაგრამ, ისევე როგორც ჩემი ღმერთი თავ-ვადასავლის დროს, გამარჯვებას სამერ-მისოდ გადავდებდი ხოლმე, რადგან შეშინოდა ჩემი მიუსაფრობისა, რომელიც გამარჯვებას უნდა მოყოლოდა.

ვექომაგები გრაფის ნორჩ ასულს, მისივე ძმა-მეფე რომ ემუქრება. რა ხოცვა-კლტვაა! მაგრამ დედაჩემი გვერდს ვადაბრუნებს, ალგროს ენაც-ვლება ლირიკული ადაფიო, მეც საჩქაროდ ვამთავრებ სისხლის ღვრას და ვუღიმი ჩემი მფარველობის ქვეშ მყოფ ქალიშვილს. მას ვუყვარვარ, ამას მუსიკა მეუბნება. როგორც ჩანს: მეც მიყვარს: ჩემ მკერდში შეყვარებული, მიბნედილი გული ფეთქს. რა უნდა ქნან, როდესაც უყვართ? ხელს ვკიდებ და ველად მიმყავს გასასიერებლად: მაგრამ ეს ნამდვილად საკმარისი არაა. ამ გაჭირვებას რომ თავი დავაღწიო, სასწრაფოდ უნდა მოვიშველიო დაჭირა-ვებული ვიგინდარები: მარტო ვარ და ასამდე ავაზაკი თავს მესხმის; ორმოც-დაათს ვკლავ, გადარჩენილი ათი კი გრაფის ქალიშვილს იტაცებს.

ის დროა, რომ შავ-ბნელი დღეები დამიდგეს. ქალი, რომელსაც ვუყვარვარ, ტყვეობაშია, მთელი სამეფო პოლიცია კუდში დამდევს, კანონს ვარეშე ვარ გამოცხადებული, მდევნიან, აღარფერი გამაჩნია სინიდისისა და ხმლის გარდა. ღონემიხიდილი და სასოწარკვეთილი წინ და უკან დავდივარ პაპაჩემის კაბინეტში და აღსავე ვარ შობენის გრძობამოქარბებული მწუხარებით. ხანდახან ჩქარ-ჩქარა ვფურცლავ ჩემ ცხოვრებას, ორი-სამი წლით წინ ვავრთვარ, რათა დავრწმუნდე, რომ ყოველივე კარვად დამთავრდება, რომ დამიბრუნებენ

ჩემ წოდებებს, მამულებს, თითქმის უბიწო საცოლეს და რომ მეფე მატყუროს სა მთხოვს. მაგრამ მაშინვე, ერთბაშად, ორი-სამი წლით უკან ვიხევ და ისევე უბედურებაში ვვარდები: ეს წამი მნიშ-ლავდა: გამოგონილი ერთფოდა სინამ-ღვილეს. სიმართლის ძიებაში მთარუ-ლი მოხეტიალე მაწაწწალა ძმასავით ჰგავდა მიუსაფარსა და თავის-თავისგან-ვე შეჭირვებულ ბავშვს, რომელიც თავისი სიცოცხლის გამართლების ძიება-ში მუსიკის ხმას აყოლილი, დაბორობ-ლობდა პაპამისის კაბინეტში. როლის მიუტოვებლად ვსარგებლობდი ამ მსგავ-სებით, რათა შემედლებინა ჩვენი ბედ-ილბალი: საბოლოო გამარჯვებაში დარ-წმუნებული ვიყავი და ამ ჩემ განსაც-დელში ვხედავდი ქეშმარიტ გზას გა-მარჯვებისაკენ. ჩემს გათახსირებაში ვხედავდი მომავალ დიდებას, რომელიც ნამდვილი მიზეზი იყო ამ სიმდაბლისა. შუშანის სონატა მარწმუნებდა, რომ მართალი ვარ: ვიყავი სასოწარკვეთილი ქმნილება ღვთისა და მევე ვიყავი მაც-ხოვარი, რომელმაც ქვეყნის დასაბამით-გან იხსნა ეს ქმნილება. რა კარგია, რო-დესაც შეგიძლია უიმედობას მისცე თავ-ვი, მე მქონდა უფლება გავბუტებოდი მთელ ქვეყანას, ყელამდე ავსებული ვიყავ ადვილად მოპოვებული წარმატ-ებებით და ახლა ვიგემე მელანქოლიის მშვენიერება და ღვარძლის მწკლარტე სიამოვნება. უნახესი ყურადღების საგა-ნი ვიყავი, ყველაფერი მოყირკებული მქონდა, სურვილებს მოკლებული ვიყა-ვი და გამოგონებულ ტანჯვა-წამებას ვუქმნიდი ჩემ თავს: რვა წლის განცხრო-მა იმით გათავდა, რომ მოწამებრიობის გემო გამეხსნა. ჩემდამი ზედმეტად კე-თილგანწყობილი მოსამართლეები შეე-ცვალე უღმობელი სამსჯავროთი, რომელიც მზად იყო განუკითხავად დაეხა-ჯე: სწორედ მისგან მსურდა ვყოფილი-ყავი მსჯავრდადებული, განდიდებული, სამაგალითოდ დაქოლავებული. ორჯერ თავდავიწყებულ ვადავებოთზე გრიხელ-ღისის ამბავი; თუმცა მე თვითონ ტანჯ-ვა არ მიყვარდა, მაგრამ ჩემი პირველი

სურვილები სასტიკი იყო: უფალავ უფლისწულების დამცველი და ქომაგი, უსირცხვილოდ წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორც სტყუპავენ მეზობლის ვაგონას. იმ, არც თუ იმდენად სასიქადულო ამბავში, მიზიდავდა მსხვერპლის საღიზმი და მისი მოუდრეკელი უბიწოება, რომელიც ბოლოს და ბოლოს მუხლს მოადრეკინებს მის ჯალათ მეუღლეს. ჩემი საწადელიც სწორედ ეს იყო: მუხლი მომედრეკინებინა მსაჯულთათვის, იძულებული გამეხადა, ვედიდებინე და ამით დამესაჯა ისინი წინასწარშეგონებისა და ცრურწმენისათვის. მაგრამ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას ყოველდღე სახვალიოდ გადავდებდი ხოლმე. ყოველთვის მომავლის გმირი ვიყავი, ვილეოდი სურვილისაგან, რათა ეზიარებოდი გმირობას და ყოველთვის ეთმობდი მას.

ასე მგონია, ეს ორმაგი მელანქოლია, ნაძღვლი და მოგონილი, ჩემს გულგატეხილობას გამოხატავდა: ერთად ასხმული ჩემი გმირობა შემთხვევითობის ჯაჭვს წარმოადგენდა; დედაჩემის ფანტაზია-ექსპრომტის უკანასკნელი აკორდები რომ დადუმდებოდნენ, მე კვლავ ვუბრუნდებოდი უმოგონებო წარსულს მამას მოკლებული ობლებისა და მოხეტიალე რაინდებისა, რომლებსაც ობლები აყლდათ. გმირი ვიყავ თუ მოწაფე, სულერთია, ერთსა და იმავე საკარნახოს ვწერდი, ერთსა და იგივე გმირობას ჩავდიოდი, იგივე საპყრობილის კედლებით ვიყავი შემოხლულული, ეს საპყრობილე იყო — განმეორება. მაგრამ, მომავალი ხომ მაინც არსებობდა, კინომ აღმოაჩინა ჩემთვის მისი არსებობა; ჩემს ხვედრზე ვოცნებობდი. ბოლოს და ბოლოს გრიზელდისის ბუტიაობა მომბეზრდა — რაც უფრო გაურკვეველი ხნით გადავდებდი ხოლმე ჩემი განდიდების ისტორიულ წუთს, მით უფრო ვერ ვახერხებდი ვადამეჭვია იგი ჰეშმარიტ სინამდვილედ: ესე იგი აუხდენელ აწმყო.

სწორედ ამ დროს — არ მახსოვს 1912 თუ 1913 წელს — წავიკითხე მიშელ

სტროგოვი¹. სიხარულისაგან გტრობდი: აი მისაბაძი სიცოცხლე! ამ ოფიცერი როდი უხდებოდა ლოდინი ამისკენ, ყაჩაღებს მოწყალება მოელოდა და მსხვერპლის გამოჩენის საშუალება მიეცათ მისთვის: ზეგარდმო ბრძანებით იგი მოველინა ქვეყანას, მთელი მისი სიცოცხლე ამ ბრძანების შესრულება იყო, იგი კედებოდა თავის დიდების ქაშს, ვინაიდან მისი დიდება მისი სიკვდილი იყო: გადაიფურცლებოდა წიგნის უკანასკნელი გვერდი და სიცოცხლით სავსე მიშელს გამოკეტავდა ოქროთი მოვარაყებულ პატარა აკლამაში. უშფოთველად და შეუწუხებლად: მისი არსებობა იმთავითვე გამართლებული იყო. არავითარი შემთხვევითობა: მართალია იგი განუწყვეტლად მოძრაობდა, მაგრამ სახელმწიფოებრივი ინტერესები, მისი ვაჟკაცობა, მტრის სიფხიზლე, ადგილმდამოს ბუნებრივი ბირობები, მიმოსვლის საშუალებანი, ოციოდე კიდევ სხვა ფაქტორი, თანაც ყველა წინასწარ ცნობილი, საშუალებას იძლეოდა ყოველ წუთს რუკაზე განგვესაზღვრა მისი ადგილმდებარეობა. არავითარი განმეორება: ყოველივე იცვლებოდა, მას თვითონ უხდებოდა განუწყვეტლავ სახის შეცვლა; მისი მომავალი გზას უნათებდა, იგი თავის ბედის ვარსკვლავს მიჰყვებოდა. სამი თვის შემდეგ ასეთივე აღტაცებით გადავიკითხე რომანი, მაგრამ მიშელი არ მიყვარდა, ზედმეტად კეთილგონიერად ვთვლიდი. მისი ბედისაკი მშურდა. აღტაცებული ვიყავი მასში დაფარული ქრისტიანით, მე ხომ ქრისტიანად ყოფნა არ მაღირსეს. იმპერატორი სრულიად რუსეთისა მამა-ღმერთი იყო. მიშელს აბარაობიდან საგანგებო ბრძანებით გამოძახებულს მსგავსად ღმერთის ყოველი ქმნილებისა დაკისრებული ჰქონდა საპასუხისმგებლო და განუმეორებელი მისია. მან ვანვლო ამ ქვეყნიური სეფდის ხვედრი, უკუთვალე ცთუნებანი, დასძლია ყოველი ზღუდენი, იგემა წამება და არამეჭვენიური და-

¹ ვიღუ ვერნის ამავე სახელწოდების რომანის გმირი, მეფის ერთგული და თავდადებული.

ხმარება.¹ თავისი გამჩენის დიდებით საქმე დასასრულამდე მიიყვანა და უკვდავებაში გადადგა ფეხი. ჩემთვის ეს წიგნი საწმალავე იყო: მამ რჩეულნი ყოფილან ამ ქვეყნად? შეძლება მათ უზრუნველად გზა გაეკვალოს? წმინდანობა გულს შირვედა. მიშელი სტროგოვში— კი მან იმიტომ შიმიზიდა, რომ გმირული ელფერი მიიღო.

მიუხედავად ამისა, ჩემს პანტომიმებში არაფერი შემიცვლია და მისი ის იდეა ისევ ტრიალებდა პაერში, როგორც უსახო ლანდი, რომლის ხორცშესხმას ვერ ვახერხებდი, მაგრამ ვერც თავიდან ვიშორებდი. რა თქმა უნდა, ჩემი სტატისტები, საფრანგეთის მეფეები, მხოლოდ ჩემს ბრძანებას ელოდნენ, რათა თვითონაც ებრძანებინათ ჩემთვის. მაგრამ მე ვყოფნებდი. განა სულგრძელად იქცევა ის, ვინც ხიფათში აგდებს ცხოვრებას ქვეშევრდომული გრძნობების გამო? ყოველ კვირას მოცუბდა რკინის მუშტებიანი ბოქსიორი მარსელ დიუნო, რომელიც კობტად და ადვილად მეტს აკეთებდა, ვიდრე ევალბოდა; დაბრმავებულს, სასახელო ჭრილობებით დაფარულს მიშელ სტროგოვს კი შეეძლო მხოლოდ ეთქვა, რომ იგი თავის მოვალეობას ასრულებდა. ალტაცებული ვიყავი მისი გმირობით და ვკიცხავდი მის მორჩილებას; მხოლოდ ზეცა იყო ამ ვაკეცზე უფრო ამაღლებული. მამ რად იხრიდა იგი ქედს მეფის წინაშე, როდესაც მეფეს ფეხები უნდა დაეკოცნა მისთვის? მაგრამ თუ თავს არ დახარი, ვინ მოგცემს ცხოვრების მანდატს? ეს წინააღმდეგობა ღრმა შემფოთებას იწვევდა ჩემში. ხანდახან ვცდილობდი შემომეველო სიძნელისათვის: უცნობი ბავშვი, მე ვიგებდი რაღაც სახიფათო მისიის ამბავს. მეფეს ვუვარდებოდა ფეხებში და ვემუღარებოდი მოენდო იგი ჩემთვის (უარს მეუბნებოდა: ძალიან ახალგაზრდა ვარ, ამოცანა მეტად მძიმე შესასრულებელია). წამოვიჭრე-

ბოდი, ორთა ბრძოლაში ვიწვევდი და რიგ-რიგობით ვამარცხებდი ყველგან მის სარდლებს. ხელმწიფე უძახლებულდა ხდებოდა დაეთმო: „რახან არ იშლი წაღი!“ მაგრამ ეს ჩემი სამხედრო სტიკი არ მივიწყებდა იმას, რომ ძალად მოვახვიე მეფეს ჩემი თავი. თანაც ყველა ეს ტიკინა თვალში არ მომდიოდა: სანკიულოტი ვიყავი, მეფისმკვლეელი, პაპაჩემმა საერთოდ ყველა ტირანის წინააღმდეგ ამამხედრა, ლუდოვიკო XVI იქნებოდა თუ ბადენგი² და რაც მთავარია, ყოველ დილას „ლე მატენში“ ვკითხულობდი მიშელ ზევაკოს რომან-ფელეტონს. ამ ნიჭიერმა მწერალმა ჰიუგოს გავლენით, გამოიგონა წამოსასხამისა და მახვილის რომანის რესპუბლიკური ვარიანტი. მისი გმირები ხალხის წარმომადგენლები იყვნენ, ისინი ჰქმნიდნენ და მუსრავდნენ იმპერიებს, XIV საუკუნიდან დაწყებული წინასწარმეტყველობდნენ საფრანგეთის რევოლუციას, გულჩვილნი იყვნენ და ამიტომ იცავდნენ მცირეწლოვან და შეშლილ მეფეებს მათი მინისტრებისაგან, ვერაგ მეფეებს სილას არ აკლებდნენ. ყველაზე დიდი მთავანი, პერდაიანი, ჩემი მეუფე ვახდა. მისი მიბაძვით ბევრჯერ გავფხორილვარ მამლაყინწასავით და სილა გამიწნავს ანრი III და ლუი XIII-სათვის. და ამის შემდეგ როგორ შემეძლო დავმორჩილებოდი მათ ბრძანებას? ერთი სიტყვით, ვერ ვახერხებდი იმ უტალობლად შესასრულებელი მანდატის შოვნას, რომელიც გაამართლებდა ჩემს ამქვეყნიურ არსებობას — ვერც ჩემში, და ჩემს გარეთაც ვერავის ცნობადი, ვისაც ჩემთვის ასეთი მანდატის მიცემის უფლება ჰქონდა. ისევ ვკაზმავდი ცხენს, უგულოდ ვებმებოდი დაკა-დაკაში; უგულოდ ვბოკავდი, ზოზინით ვეწამებოდი და ვინაიდან არ მყავდა არც მეფე, არც ღმერთი და არც ჩვეულებრივი მამა, ისევ გრიზელისად უნდა დავჩენილიყავი.

ორმაგი სიცოცხლე მქონდა, ორივე

¹ იგი ვადაჩინა სასწაულმოქმედმა (ავტორის შენიშვნა).

² ნაპოლენ III-ს ზედმეტი სახელი.

ყალბი: სახალხოდ ტაქიმასხარა ვიყავი: სახელგანთქმული შარლ შვეიცერის საოცარი შვილიშვილი; მართო რომ ვრჩებოდი მოგონილი წყენა მახსჩობდა. ყალბ დიდებას ყალბი უსახელობით ვაწონასწორებდი. სულ არ მიჭირდა ერთი როლის მეორე როლით შეცვლა: იმ წუთს, როდესაც ჩემი მოსისხლე მტერი უნდა მომეკლა, კლიტეში შემოტრიალებული გასაღების ხმა გაისმოდა, დედა თითქოს დამბლადაცემული გაქვავდებოდა ხოლმე რთიალზე, სახაზავს წიგნების კარადაში ვინახავდი და პაპაჩემს ვეხვეოდი. სავარძელს ვავუმზადებდი, ბეწვით გაწყობილი რბილი ფლოსტები მომქონდა და გამოვკითხავდი იმის შესახებ, თუ რა ვადახდა დღის განმავლობაში, ამასთანავე პაპაჩემის ყველა მოწაფის სახელი მახსოვდა. რა რიგ ღრმადაც არ უნდა ვყოფილიყავი ოცნებაში წასული, არასდროს იმის შიში არ იყო, რომ შიგ ჩავიკარგებოდი. სხვა საფრთხე მელოდა: ჩემი სიმართლე, ჩემი „მე“ შეიძლება სამუდამოდ დაჩენილიყო ერთმანეთის მონაცვლე სიყალბეების წყებად.

არსებობდა სხვა ჰეშმარიტება: ლიუქემზურგის ბალის ტერასებზე თამაშობდნენ ბავშვები, ეუბნოვდებოდნენ, ორი ნაბიჯის მანძილზე გამირბენდნენ და ყუჩადღებდნენ არ მომპყევედნენ. ლატაკის თვალთ შევცქეროდი: რა ღონიერები და სწრაფები იყვნენ! რა თვალწარმტაცნი იყვნენ. ამ ხორცშესხმულ გმირთა წინაშე მეკარგებოდა აზრი. ჩემი სასწაულისამებრი ვონება და უნივერსალური განსწავლულობა, ათლეტური კუნთები და ჩხუბისათვის სიმარჯვე; მივეყრდნობოდი ხეს და ვუცდიდი. ამ ბრბოს მეთაურს უკმეხად რომ ერთი დაეძახა: „მოდი, პერდიან, უნდა დაგატყვეოთ!“, ყველა ჩემს პრივილეგიებს დავთმობდი. მუნჯი როლიც კი გამაბედნიერებდა; აღტაცებით დავთანხმდებოდი საკაცებზე მწოლიარე დაჭირების ან ცხედრის როლი მეთამაშა. ამის შემთხვევა არ მომეცა: შემხვდნენ ჩემი ნამდვილი მსაჯულები, თანატოლები და ტოლ-სწორნი

და მათმა გულგრილობამ განაჩენი გამომიტანა. თავგზა დაეკარგე; როდესაც ჩემი თავი მათი თვალებით დავინახე: არც სასწაული, არც მედუნა, არამედ სრულიად უმჭინისი ვინმე, კაცს რომ არ აინტერესებს. დედაჩემი ვერ ფარავდა აღშფოთებას: ეს ტანადი და ლამაზი ქალი ადვილად შეეჩვია იმას, რომ მოკლე ტანისა ვიყავი. საესებით ბუნებრივი ამბავია: შვეიცერები დიდები არიან, სარტრები პატარები, მე მაშისა დამყვა. ესაა და ეს. მას კიდევაც მოსწონდა, რომ რვა წლისა, ისეთივე პატარა და ადვილად სატარებელი დავრჩი: ჩემი მცირე ფორმატი გახანგრძლივებული ბავშვობა იყო მის თვალში. მაგრამ, როდესაც ხედავდა, რომ არავინ არ მეძახის სათამაშოდ, სიყვარული უკარნახებდა, რომ მე შემიძლია ვიფიქრო, თითქოს ჯუჯა ვარ — თუმცა სრულიადაც არა ვარ ჯუჯა—და ამის გამო ვეწამო. გული რომ არ გამტეხოდა, დედა თითქოს გაჯავრებით მეტყუოდა ხოლმე, „რას უყურებ, ამხელა დოყლაპია ხარ, მიდი, ჰკითხე — იქნებ უნდათ გეთამაშონ“. თავს ვიქნევდი: ყველაზე დამამცირებელ წინადადებასაც კი მივიღებდი, მაგრამ სიამაყე მისი თხოვნის ნებას არ მაძლევდა. დედა მიჩვენებდა ქალებს, რომლებიც ისხდნენ რკინის სავარძლებში და ქსოვდნენ: „გინდა, ვეტყვი მაგ ბავშვების დედებს?“ მაგრამ, ვეხვეწებოდი, რომ არ ეთქვა; მაშინ ჩამქვდებდა ხელს და გავემგზავრებოდი: ერთი ხიდან მეორე ხისკენ მივიდიოდი, ბავშვების ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფისაკენ. მუდამ მთხოვნელები, ყოველთვის უარყოფილნი. დაღამებისას ისევ ვპოვებდი ხოლმე ჩემს ქანდარას, მწვერვალებს, სადაც დაჰქროდა ჩემი სული და ჩემი ოცნება: მარცხის ასანაზღაურებლად და ჭილღოდ მოვეყვებოდი მისნობას და ასიოდე დაჭირებულ ცხენოსანს გამოვასალმებდი წუთისოფელს, მაგრამ არაფერი არ გამოდიოდა.

პაპაჩემმა ვადამარჩინა: თავისდაუნებურად ახალ ტყუილში ჩამავლო, რომელმაც შეცვალა ჩემი ცხოვრება.

3 ვ ი რ

შარლ შვეიცერი არასოდეს მწერლობაზე თავს არ სდებდა, მაგრამ ფრანგული ენით აღტაცებას არც ახლა იშლიდა, როდესაც სამოცდაათი წლისა იყო, ვინაიდან გაჭირვებით შეისწავლა და მაინც არ ვახდა მისთვის დედაენა: პაპას სიამოვნებდა სიტყვების თამაში, თავს იქცევდა ამით და ისე უსაშველოდ ეამოტკეპმდა, რომ უწყალოდ ამახინჯებდა ყოველ მარცვალს. მოცაღლობის ეამს პაპაჩემის კალამი სიტყვების თაიგულებს ჰკონაედა. ეხალისებოდა ჩვენი ოჯახისა და უნივერსიტეტის ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევისა და გარემოებისათვის თხზულებათა მიძღვნა: სწერდა საახალწლო მილოცვებს, ლექსებს და ბადების დღისა და ქორწილის მისალოცად, ვალექსილ სიტყვებს წმინდა კარლოსის დღესასწაულის გამო, ერთმოქმედებიან პიესებს, შარადებს და მსგავს მიამიტურ უხამსობას; ყრილობებზე ფრანგულ და გერმანულ ლექსებს წარმოსთქვამდა ექსპრომტად. ზაფხულის დასაწყისში, სანამ პაპაჩემი ლექციებს დაამთავრებდა ქალები და მე არკაშონში მივდიოდით. კვირაში სამჯერ წერილებს გვწერდა: ორ გვერდს ლუიზას, პოსტსკრიპტუმს ან-მარის და მე კო—ტალკე, ვალექსილ წერილს. იმისათვის რომ სრულად დამეფასებინა ჩემი ბედნიერება, დედამ შეისწავლა და ამიხსნა პროსოდის წესები. ვილაყას დაუნახივარ, რომ ოფლსა ვლერი საპასუხო წერილის ვალექსეაში, აღარ მომეშენენ, დამეხმარენ და დამამთავრებინეს. წერილი რომ ვაგზავნეს, ქალები სიცილით იხოცებოდნენ, როდესაც წარმოიდგენდნენ პაპაჩემის განცვიფრებას. საპასუხო ფოსტას მთელი სახოტბო პოემა მოჰყვა. მე პოემითვე ვუპასუხე. ეს ჩვეულებად ვახდა; პაპა და შვილიშვილი კიდევ ერთმა ძაფმა დააკავშირა: ისინი ინდოელებისა და მონმარტრის ჯიბგირების მსგავსად ლაპარაკობდნენ იმ ენაზე, რომელიც ქალებისათვის აღკვეთილი იყო. რითმების ლექსიკონი მაჩუქეს და

მოლექსე ვაგზდი: მადრიგალებს ვუძღვნიდი პატარა ქერა გოგონას, რომელიც ვერ სტოვებდა თავის სკამ-ლოგინს და რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. ამ ანგელოზივით გოგონას ჩემი ლექსები არაფრად ეპიტანავებოდა, მაგრამ ფართო საზოგადოების აღტაცება მინაზღაურებდა მის ვულგარილობას. ზოგი ამ ლექსთაგანი ამასწინად ვიპოვნე. ეან კოკტომ 1955 წელს სთქვა, რომ ყველა ბავშვი გენიალურია, მინუ დრუეს¹ გარდაო. 1912 წელს გენიალური იყო ყველა, ჩემს გარდა: ვწერდი მაიმუნობით, რაღაც ცერემონიას ვასრულებდი, უფროსებს რომ დავმსგავსებოდი და, რაც მთავარია, ვწერდი, რადგან შარლ შვეიცერის შვილიშვილი ვიყავი. ლაფონტენის ივავ-არაკები მომცეს წასაკითხად; არ მომეწონა: ავტორი თვითნებობას იჩენდა; ვადავწყვიტე ხელახლა დამეწერა ეს არაკები ალექსანდრიულ ლექსად. ეს ვანზრახვა ჩემს ძაღლონეს აღემატებოდა, თანაც შევამჩნიე რომ ღიმილსაც იწვევდა: ეს იყო ჩემი უკანასკნელი პოეტური ცდა. მაგრამ ბიძგი მომცეა: ლექსებიდან პროზაზე გადავედი და სულ არ მიპირდა „კრი-კრიში“ ამოკითხულ თავბრუდამხვევ თავგადასავალთა ხელახლა თხრობა. სწორედ ის დრო იყო, როდესაც ჩემი სიზმრების უშინაარსობისა და უმიზნობის აღმოჩენის წინაშე ვიდექი. ფანტასტიკური მღვევარივით მიწოდდა დაწვეოდი სინამდვილეს. როდესაც დედა ნოტებიდან თავის აუღებლად მკითხავდა ხოლმე: „პულუ რას აკეთებს?“ ხანდახან დავარღვევდი დუმილის ალექმას და ვუპასუხებდი „კინოს ვაკეთებ“. მართლაც ვცდილობდი ამომეყვანა სახეები საკუთარი თავიდან და ხორცი შემესხა მათთვის ჩემს გარეთ, ნამდვილი ავეყის, ნამდვილი კედლების გარემოცვაში, ვა-

1 მინო დრუე — გოგონაა, რომელიც ლექსებს წერდა და ფრანგულმა ბურჟუაზიულმა ვაზეთებმა გენიალურ პოეტად ვამოცახადეს.

მეხდა ისეთივე ბრწყინვალე და თვალსაჩინო, როგორც ისინი, ეკრანზე რომ ციმციმებენ. ამაოდ დავშვებ: ჩემი ორმაგი სიცრუვის შეუმჩნეველობა აღარ შეიძლებოდა: თავს ვიტყუებ, თითქოს ის მსახიობი ვარ, რომელიც თავს იტყუებს, თითქოს ვმირია.

შევუდგებოდი თუ არა წერას, მაშინვე კალამს გადავდებდი, რადგან სიხარული მახრჩობდა. იგივე ტყუილი იყო, მაგრამ მე უკვე ვთქვი, რომ სიტყვები საგნების კვინტესენციად მიმაჩნდა. ისე არაფერი არ მადლეებდა როგორც ჩემი საკუთარი ნაჯღაბნის დანახვა, რომელშიც მოარულ ცეცხლთა ბუნდოვან ციმციმში თანდათან გამოიკვეთებოდა ხოლმე მკრთალი საგნობრივობა: წარმოდგენილი ხორციელდებოდა. სახელის მინიჭების ხაფანგი გამოიჭრდა ლომს, მეორე იმპერიის კაპიტანს, ბედუნს; ისინი შემოიჭრებოდნენ ხოლმე ჩვენს სასაბილო ოთახში და სამუდამოდ რჩებოდნენ აქ დატყვევებულნი, ხორცშესხმულნი ასონიშნების საშუალებით. მე დავიჯერე, რომ ჩემი ფოლადის კალმისწვერით დაჯღაბნილი კაუჭები ოცნებას სინამდვილედ აქცივენ. მე მოვითხოვე რვეული და იისფერი მელანი; ყდაზე დაეაწერე: „რომანების რვეული“. პირველი რომ დავასრულე, დავარქვი: „პეპელას გულისათვის“. ერთი მეცნიერი, მისი ქალიშვილი და ათლეტური აგებულების ახალგაზრდა მკვლევარი მიემზავრებოდნენ. ამაზონის სათავეებისაკენ უცხო პეპელას საძებნელად. ამბავი, მოქმედი პირები, თავგადასავალის დეტალები, სათაურიც კი მთლიანად ნასესხები იყო სურათებიანი მოთხრობიდან, რომელიც უზრუნველ „კრი-კრის“ უკანასკნელ ნომრებში იბეჭდებოდა. ეს წინასწარგანზრახული პლაგიატი საესებით მათავისუფლებდა ყოველგვარი ეპისიგან: ყოველივე ზედმიწევნით მართალია, ვინაიდან არაფერი არ მომიგონია. გამოქვეყნების არც ვფიქრობდი, საქმეც ის იყო, რომ წინასწარვე ყველაფერი უკვე გამოცემული იყო და ერთი სტრიქონიც კი არ დამიწერია

ისე, რომ ნიმუში არ ჰქონოდა საწინდრად. გადამწერი თუ მეგონა ჩემი თხზულები? არა, ორიგინალურ მწერლად ვთვლიდი: რეტუსს ვუკეთებდი, ვაახლებდი, მაგალითად ვავისარჯე და მოქმედ პირებს სახელები გამოვუცვალე. ეს მცირე ვადანაცვლებანი საშუალებას არ მაძლევდნენ გამერკვია გამოგონილისა და გახსენებულის საზღვარი. ახალი და უკვე დაწერილი წინადადებანი განიცდიდნენ ჩემს გონებაში სახეცვლილებას იმ მისწრაფებელი გარდუვალობით, რომელსაც შთაგონებას მიაწერენ ხოლმე. ქალაღზე ვაღამქონდა ისინი და მათ ჩემ თვალწინ ნივთიერი სიმკვრივე ეძლეოდათ და თუ, როგორც საყოველთაოდ ფიქრობენ, მწერლის შთაგონება ვიღაცა სხვის მიერაა ნაკარნახევი, თვით მისი არსების სიღრმიდან, მაშინ მე განმიცდია შთაგონება შვიდი რვა წლისა რომ ვიყავი.

მე არასოდეს სრულად არ გავმზადვარ ამ „ავტობიოგრაფიულ“ ტყუილის მსხვერპლი; მაგრამ თავისთავად ეს თამაში მომწონდა: ერთადერთი ბავშვი ვიყავი და ამ თამაშით გაართობა მარტო შემეძლო. ხანდახან ხელს შევაჩერებდი და ყოყმანს გავითამაშებდი: მოვილუშებოდი, მივამტერებოდი სივრცეს თავს მწერლად წარმოვიდგენდი. თუმცა პლაგიატი მიყვარდა იმიტომ, რომ სწრაფი ვიყავი და განზრახ უკიდურესობამდე მიმყავდა, როგორც ამას შემდეგში დანახავთ.

ბუსენარი და ყიულ ვერნი ერთ შემთხვევასაც არ გამოუშვებენ, რომ მკითხველი არ გაანათლონ: ყველაზე დამაბულ წუთებში წყვეტენ თხრობის ძაფს, რათა მსამიანი მცენარისა ან ადგილობრივ მკვიდრთა სახლის აღწერას შეუდგინენ. როგორც მკითხველი, გადავბტებოდი ხოლმე ამ დიდაქტიურ ადგილებს, როგორც მწერალი, ვატენიდი ამ ადგილებს ჩემს რომანებში, ვესწრაფოდი, რათა შემეტყობინებინა ჩემი თანამედროვეებისათვის ყოველივე, რაც თვითონაც არ ვიცოდი. ფაჯის მცხოვრებთა ადათები, აფრიკის ფლორა, უდაბნოს

პაე. ბედისწერამ გააშორა ერთმანეთს, შემდეგ მათაღუნებურად ერთს გემზე შეპყარა დაღუბული გემის მსხვერპლნი — პეპლებზე მონადირე და მისი ქალიშვილი დაეჭიდებან ერთსადამივე მაშველ რგოლს, თავს ასწევენ და ერთდროულად აღმოჰხდებიან: „ღეზი!“ „მამა!“ ვაგლახ, რომ იქვე მხლობლად ახალი ხორცის ძიებაში გაჩნდებან ზვიგენი; იგი უახლოვდება, მისი მუცელი ბრწყინავს ტალღებში; რა გადაარჩენს ამ უბედურებს სიკვდილისაგან? მივიღოდი ლარუსის დიდი ლექსიკონის „ზან-ლას“ ტომის მოსაძებნათ, გაჰირებებით მივათრევედი ჩემ მაგიდამდე, გადავშლიდი საჭირო გვერდზე და სიტყვა-სიტყვით გადავიწერდი ხოლმე: „ზვიგენი გაბრტყლებულია ატლანტიკური ოკეანის ტროპიკულ ნაწილში. ამ ზღვის დიდ თევზებს გაუმადლობა ახასიათებს. სიგრძით ისინი ცამეტ მეტრს აღწევენ და რვა ტონამდე იწონიან“. აუჩქარებლად გადავიწერდი ხოლმე მთელ წერილს: ვგრძობდი რომ მომაცადოვებლად მოსაწყენი ვარ, კიდევ უფრო კეთილგონიერი ვიდრე, ბუსენარო, ჯერ ჩემი გმირების გადარჩენის საშუალება არ მქონდა გამოჩახული. მაგრამ უკვე ნატიფი აღტაცებისაგან ვილეოდი

უველაფერი ისე წარმართა, რათა ჩემი ახალი საქმიანობა კიდევ ერთ ახალ მიმდინარეობად გადაქცეულიყო. დედაჩემი წაქეზებას არ იშურებდა, შემოჰყავდა სტუმრები სასადილო ოთახში რომ მოულოდნელად მიესწროთ ნორჩი შემოქმედისათვის, რომელიც თავის მერხს უჭდა; მე თითქოს ისევ ვიყავი მუშაობაში გართული, რომ არც ვამჩნევდი თავანისმცემლებს, ისინი ფეხბრუნვით გადიოდნენ და ჩურჩულდებოდნენ, რა საყვარელი და რა მშვენიერი ბავშვიო. ბიძაჩემმა ემილმა პატარა საბუკლი მანქანა მანუქა, რომელსაც მე არ ვხმარობდი. ქალბატონმა პიკარმა ნახევარსფეროთა რუკა მიყიდა, რათა შეცდომა არ მომსვლოდა ჩემი გლობ-ტროტერების სვლიგებების გაკვლევის დროს. ამ-მარამ გადაწერა ბრტყვილა ქალღმერთ

ჩემი მეორე რომანი „ბანანების ვაჭარი“ და წასაკითხად აძლევდა ნაცნობებს. მამა მიც კი მაქეზებდა: სხვა რომანს ვაჭარის პეკვიანად მაინც იქცევა და არა ხმაურობს“, ამბობდა იგი. ბედად მოხდა, რომ ჩემი მწერლად ზიარება გადაიღო, პაპაჩემის უკმაყოფილების გამო.

კარლს არასოდეს არ მოსწონდა ჩემი მიდრეკილება იმ წიგნებისადმი, რომელსაც იგი „უქმ საკითხავს“ უწოდებდა, როდესაც დედაჩემმა აუწყა, რომ მე წერა დავიწყე, პაპაჩემი ჭირა აღტაცებული იყო, ეჭობდა იმის შიშვით, რომ ოჯახის ქარიზიკის მსგავს რაღაცას დავწერ, პიკანტური დაკვირვებებითა და მშვენიერი მიამიტობით აღსავსეს. აიღო ჩემი რვეული, გადაფურცლა, დაიღმიჭა და გაბრაზებული იმით, რომ ჩემი საყვარელი გაზეთების მიბაძვით რაღაც „სისულულეებს“ მივქარავ, დატოვა სასადილო ოთახი. ამის შემდეგ ჩემი თხზულებებისადმი ინტერესი დაკარგა. შეურაცხყოფილი დედაჩემი რამდენჯერმე შეეცადა წაეკითხვინებინა მისთვის „ბანანების ვაჭარი“. დაელოდებოდა ხოლმე, როდესაც პაპაჩემი ფლოსტებს ჩაიკვამდა და სავარძელში ჩაესვენებოდა; და იმ დროს, როდესაც იგი მკაცრ მზერას ერთ წერტილს მიაპყრობდა, ხელებს მუხლებზე დაიწყებდა და გაყუჩებული ისვენებდა, დედა აიღებდა ჩემ ხელნაწერს, ყურადღებით ფურცლავდა მას და ბოლოს, რომ ვეღარ უძლებდა მოწოლილ სურვილს, გაუწოდებდა პაპას: „წაიკითხე, მამა! ისეთი ახირებული რამეა“. მაგრამ იგი თავიდან იცილებდა რვეულს და თუ ჩახედავდა შიგ. მხოლოდ იმისათვის, რომ სინანულით აღენიშნა ჩემი ორთოგრაფიული შეცდომები. ბოლოს დედაჩემი სულაც დაფრთხა: ვერ ბედავდა ჩემს ქებას, თანაც ეშინოდა, არ ეწყენინებინა ჩემთვის და სულ მიანება თავი ჩემი ნაწერების კითხვას, რათა მათ შესახებ არაფერი ელაპარაკა.

ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობა ნახევრად საიდუმლო გახდა, ძლივსღა მითმენდნენ და არაფერს ამბობდნენ

ამის გამო; მიუხედავად ამისა მე მაინც გულმოდგინედ მივღევდი მას გაკვეთილებსა და გაკვეთილებს შუა, ხელშაბათობითა და კვირაობით, არდადეგებსა და თუ საბედნიეროდ ავად გავხდებოდი, ლოგინშიაც. მახსოვს გამოჩანმართელების ბედნიერი დღეები, წითელ ჩამონაჭერიანი შავი რვეული, რომელსაც გეგონება ხელსაქმეაო არ ვიშორებდი, ახლა უფრო იშვიათად „ვაკეთებდი კინოს“; ჩემმა რომანებმა ყველაფერი განდევნეს. მოკლედ, საკუთარი სიამოვნებისათვის ვწერდი.

თანდათან ვართლებდი ჩემი რომანების ინტრიგებს. შეშქონდა შიგ ნაირ-ნაირი ეპიზოდები და ამ აჯაფსანდალში ვაკვებებდი ყველაფერს, რასაც ვკითხულობდი, კარგსაც და ცუდსაც. ამბავი ამის გამო ზარალობდა, მე კი მოგებაში ვიყავი: იძულებული გავხდი შემეთხზა და მომერგო ერთმანეთისათვის ამბავი და, ამასთან ერთად ხშირად მიემართავდი ხოლმე პლაგიატს. თანაც გაორება დავიწყე, გასულ წელს, როდესაც „კინოს ვაკეთებდი“, ჩემ ნამდვილ რბოლს ჩემთვის ვთამაშობდი, თავდავიწყებით ვადავევარდებოდი ხოლმე წარმოსახულში და არა ერთხელ მომჩვენებია, რომ მთლად გავითქვიფე ავტორიცა და მისი გმირიც მე ვიყავი, გმირში ავსახავდი ჩემს ეპიკურ ოცნებას. მაგრამ მაინც ორნი ვიყავით. იგი არ ატარებდა ჩემს სახელს და მე მის შესახებ მხოლოდ მესამე პირში ვლაპარაკობდი. იმის მაგივრად, რომ მესესხებინა მისთვის ჩემი ნაკეთები, მე სიტყვებისგან ვჭერწავდი მის სხეულს, რომელსაც თითქოს გარედან ვხედავდი, ამ მოულოდნელ „ვადვომას“ შეიძლება შევეზინებინე: მან კი მომხიბლა; ვტყბებოდი იმით, რომ შემქმლო ვყოფილიყავი „ის“, მას კი არ შეეძლო, რომ სავსებით მე ყოფილიყო. ის ჩემი საკუთარი თოჯინა იყო, ჩემი კაპრიზების მორჩილი და ჩემ ნებას აყოლილი. შემქმლო შეუბინო გული განმეგმირა მისთვის და შემდეგ მომეგლო და განმეკურნა ისე, როგორც დედა მივლიდა ხოლმე

და მეურნავდა. ჩემი საყვარელი მწერლები დიდების მწვერულზე მდებარეობდნენ შეჩერდებოდნენ ხოლმე მორიდებით: ზედაკოს რაინდებიც კი ერთდროულად ორი ათასზე მეტ დუშმანთან ვერ ბედავდნენ შებმას, სათავადასავლო რომანის ძირფესვიანად გარდაქმნის სურვილმა ის ჰქნა, რომ უკუვადებდი ყოველივეს, რაც სიმაართეს ჰგავდა, ვათქვეცბდი მტრების რიცხვსა და საშიშროებას; რომანში „პეპელას გულისათვის“ თავისი მომავალი სიმამრისა და საცოლის გადასარჩენად, ახალგაზრდა მოგზაური სამი დღე და სამი ღამე ებრძვის ზვიგენებს; ბოლოს ზღვა სისხლისფერი ხდება; იგივე მოგზაური, დაჭრილი გარბოდა აპაჩებისაგან გარშემორტყმული რანჩოდან, გზას მიიკვლევდა უდაბნოში. თანაც ხელთ ეჭირა საკუთარი ნაწლავები და მანამ არ მისცა ნება, რომ გაეკერათ მისთვის მუცელი, სანამ გენერალს არ დაელაპარაკებოდა. ცოტა მოგვიანებით, ვოც ღონ ბერლიპინგენის სახელით, იგივე გმირმა მთელი არმია უკუაგდო და გააქცია. მარტო — ყველას წინააღმდეგ: ასეთი იყო ჩემი კანონი. ამ ბნელ და გრანდიოზულ ზმანებათა წყარო ჩემი ვარემოცვის ბურკუაზიულ და ბურიტანულ ინდივიდუალიზმში უნდა ექებოთ. გმირი ვიყავი და ტირანიების წინააღმდეგ ვიბრძოდი; დემიურგი ვიყავ და თვითონვე გავხდი ტირანი, ძალა-უფლების ყველა ცდუნება ვივემე. უწყინარი ვიყავი და უწყალო ვივხდი. რა დამიშლის, რომ დეზის თვალები დავთხარო? შიში მკლავდა, მაგრამ ვამბობდი: არაფერია და ვთხრიდი კიდევაც ისევე, როგორც შემქმლო ფრთები დამეგლიჯა ბუზისათვის. სული მეხუთებოდა და ისე ვწერდი: „დეზიმ თვალზე მოისვა ხელი, თურმე დაბრმავებულყო“ კალმინი ხელი მიშეშდებოდა; სამყაროს აბსოლუტური წესრიგი მცირედ დაეარღვე და ფრიად მსიამოვნებდა. ნამდვილი საღისეტი არ ვყოფილვარ: ჩემი უკუღმართი სიხარული უმალვე პანიკად იქცეოდა, გაუქმებდი ყველა ჩემ განჩინებას, გა-

ღაცხაზავდი და გადავჯღაბნიდი, რომ მათი ამოკითხვა შეუძლებელი ყოფილიყო: ქალიშვილს თვალის ჩინი უბრუნდებოდა ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, არასოდეს არც დაუკარგავს, მაგრამ საკუთარი თვითნებობის მოგონება კიდევ დიდხანს მასწულებდა: სერიოზულად არ მასვენებდა გვევი საკუთარი თავის მიმართ.

ყველაფერი ჩემი დაწერილიც მასწულებდა: ხანდახან უწყინარი ბავშვური ხოცვა-ჟღერით დადილი, თავს ნებაზე მივეშვებდი და გულშემოყრილი აღმოვაჩენდი ხოლმე სახარელ სამყაროს, რომელიც ჩემი ყოვლისშემძლეობის მხოლოდ მეორე პირი იყო; თავს შეეუძახებდი: ყველაფერი მოსატანია! რაც ნიშნავდა: მე ყველაფრის წარმოდგენა შემიძლია. ათრთოლებული ყოველ წუთს მზად ვიყავი დამეხია ფურცელი, მაინც ვწერდი სახარელი მხეცობის ამბავს. დედაჩემს, თუ კი ჩახედავდა ხანდახან ჩემ ნაწერს, აღმოხდებოდა ხოლმე: „რა ფანტაზიაა“. მის სმასი გამარჯვებაც იყო და განგაშიც. ტუჩებს იკვნეტდა, რალაცის თქმა უნდოდ, ვერ ნახავდა სათქმელს და მსწრაფლ გარბოდა: ეს კი მთლად შიშისაგან მრევდა. მაგრამ ფანტაზია აქ არაფერ შუაში იყო: ყველა ამ სახარელ ამბებს მე კი არ ვიგონებდი არამედ გამოვინახავდი ხოლმე საკუთარ მესხიერებაში, ისევე როგორც სხვა ყველაფერს.

ამხანად დასავლეთი იხუთებოდა: შემდეგში ამას „სიციცხლის სიტკობება“ დააჩქევს. აშკარა მტერი არ ჰყავდათ და ბურჟუაზია თავს ირთობდა იმით, რომ საკუთარ ჩრდილს უფრთხობდა; საკუთარ გულის ლევას ნაძალადევად თავსმობვეულ მოუსვენრობად აქცევდა. ლაპარაკობდნენ სპირიტუზმზე, სულთა გამოცხადებაზე. ლე გოფის ქუჩის მეორე ნომერში, სახლში, ჩვენს პირდაპირ რომ იყო, მაგიდებს ატრიალებდნენ. ეს ამბავი მესხეთე საართულზე ხდებოდა: „გომწვეულთანაო“ ამბობდა ბებიაჩემი. ხანდახან გვეძახოდა ფანჯარასთან და თვალს მოგვრავდი ხოლმე ერთფეხა

მრგვალ მაგიდაზე შეწყობილ ხელებს, მაგრამ ვილაცა მივიდოდა ხოლმე ფანჯარასთან და ჩამოაფარებდნენ ფანჯარასკენ ლუიზა ამტკიცებდა, რომ მისანს ყოველდღე, დედების თანხლებით მოსდის ჩემი ხნის ბავშვები, და „ვხედავ, ამბობდა იგი, როგორ ადებს თავზე ხელს“. პაპაჩემი მხრებს იჩეჩავდა და თუმცა ჰკიცხავდა მთელ ამ ამბავს, სასაცილოდ აგდებდა ვერ ბედავდა. დედაჩემს ეწინააღმდეგებოდა უფრო მეტად ცნობისმოყვარეობა აღაპარაკებდა, ვიდრე სეპტიციზმი. ბოლოს ამ დასკვნამდე მიდიოდნენ: „ბევრი არ უნდა იფიქრო ამ ამბებზე, თორემ ნამდვილად გაგავიყვებს!“ ფანტასტიკური ამბები: ვაშეთები კეთილი განზრახვით ორჯერ თუ სამჯერ კვირაში აწვდიდნენ ამ ამბებს რწმუნადაკარგულ, მაგრამ სარწმუნოების მშვენიერებათა გამო მოვალე მკითხველებს. მთხრობელი სრულიად ობიექტურად ყვებოდა რაიმე საშინელ ფაქტს: იგი პოზიტივიზმისკენ მიისწრაფოდა: რაგინდ უცნაურიც არ უნდა ყოფილიყო ამბავი, მას უსათუოდ რაიმე რაციონალური განმარტება უნდა ჰქონოდა. ავტორი ეძებდა ამ განმარტებას, პოულობდა და პატიოსნად მოგვითხრობდა. მაგრამ, დაუყოვნებლოდ მთელ თავის ხელოვნებას იშველიებდა. რათა დავერწმუნებინეთ თუ რა უსაფუძვლო და ამჩატებულია ამგვარი ახსნა. სხვა არაფერი: ამბავი კითხვის ნიშნით თავდებოდა. ესეც საკმარისი იყო: საიქიო სამყაროს საშინელება გვაგარძნობინა, მით უფრო საშინელი, რომ იგი შეუცნობელი იყო. „ლე-მატენს“ რომ გადაეშლიდა, შიში მზარავდა. ყველა ამბებიდან ერთმა განსაკუთრებით განმაცვიფრა: ახლაც მისთვის მისი სათაური „ქარი ხეებში“. სოფელში, ზაფხულის საღამოს, სახლის მეორე სართულში მოუსვენრად ბორგავს ლოგინში ავადმყოფი ქალი. წაბლის ხის ტოტები აწყდებიან ღია ფანჯარას. ქვედა სართულში თავი მოუყრია რამდენიმე კაცს. საუბრობენ და გასცქერიან ბაღს, რომელსაც დამე ეუფლება. უცებ ერთი მა-

თვანის ყურადღება წაბლის ხემ მიი-
ზიდა: „შეხე, შეხე, — ქარი ატყდა თუ
რა ამბავია?“ გაკვირვებულები ვადიან
გართ: ჰაერი უძრავია, ფოთლები კი
თრთიან. და ამ დროს კივილი გაისმის!
ავადმყოფი ქალის მუხლზე არბის კი-
ბეზე და ხედავს, რომ მისი ახალგაზრდა
ცოლი ლოგინზე წამოშვდარა, თითი ხი-
სკენ გაუშვერია, მერე ეცემა და კვდებ-
და: წაბლის ხე ისევ უძრავადაა რო-
გორც ყოველთვის. რა დაინახა ქალმა?
საგვიეთიდან ავადმყოფი გამოქცეულა:
ის ხომ არ იყო ხეზე გასული და მან
ხომ არ შეაშინა თავისი საზარელი მან-
ქვა-გრეხვით? ისაა, ნამდვილად ის იქ-
ნებოდა, რამდენადაც ამ ამბავს სხვა
გონიერი ახსნა არა აქვს. მაგრამ, მაინც...
რატომ არავის არ დაუნახავს როგორ
აძვრა იგი ხეზე ან ჩამოვიდა ხიდან? ძა-
ღლებმა რატომ არ ასტეხეს ყეფა? რო-
გორ მოხდა, რომ ეს გიგი ექვსი საათის
შემდეგ ნახეს ამ სახლიდან ასი კილო-
მეტრის დაშორებით? ეს კითხვები უპა-
სუხოდ რჩებიან. მთხრობელი სხვათა-
შორის უპასუხებს ახალ ამბავში: „სო-
ფლის ხალხს თუ დაუუჯერებთ, წაბლის
ხეებს თვით სიკვდილი არხვედა“. მოვი-
ქნით ვახეთი, დავაბაკუნე ფეხები და
ხმამალა ვიმორებოდა „არა! არა!“ გუ-
ლი ისე მიცემდა, ლამის გამსკდარიყო.
მაგონდება, ერთხელ კინალამ გული
შემიღონდა ლიმოჟის მატარებელში: პა-
შეტის ალმანახს ვთავალიერებდი, თვა-
ლი მოვკარ გრავიურას, რომელმაც თმე-
ბი ამბურძგლა: სანაპირო მთვარის
შუქზე, წყლიდან ამოშვერილია ხორ-
კლიანი მარწყხი, იგი ეტანება მთვრალ
კაცს, და წყლის სიღრმეში მიათრევს.
ეს სურათი ილუსტრაცია იყო ტექსტი-
სა, რომელიც უმაღვე გადავიკითხე და
რომელიც დაახლოვებით შემდეგი სი-
ტყვებით მთავრდებოდა: „აუკოპოლი-
კის პალუცინაცია იყო თუ ჯოჯოხეთმა
პირი განიხენა?“ მას შემდეგ წყალი, კი-
ბორჩხალები, ხეები მაშინებდნენ. მაგ-
რამ განსაკუთრებით მეშინოდა წიგნე-
ბისა: დაგწყველე ჭალათები, რომლებიც
თავის მოთხრობებში ამ საზარელ ამბებს

უყრიდნენ თავს. მიუხედავად ამისა,
მათ ვებაძვდი.

რასაკვირველია სათანადო გაგებო-
ბის საჭირო, მაგალითად, ლამის ბინდი:
სიბნელე მოიცავდა სასადილო ოთახს,
მივანოჩებდი საწერ მაგიდას ფანჯარას-
თან და ჩემში ისადგურებდა შიში. ჩე-
მი მუდამ პატიოსანი, აუღიარებელი, და
ისევ უფლებებში აღდგენილი გმირების
მორჩილებაში უხორციელობას ვგრძნო-
ბდი, მაშინ მოდიოდა ის: მოდიოდა რა-
ღაცა საშინელი და უხილავი; ხილულად
რომ ქცეულიყო, უნდა აღმეწერა. სა-
ხელდახელად მოვითავებდი მორიგ
თავდადასავალს და ჩემი გმირები გადა-
მყავდა დედამიწის რომელიმე სხვა მხა-
რეში, ჩვეულებრივ სადმე მიწისქვეშ ან
წყალქვეშ და ვქარობდი რაიმე ახალ
განსაცდელში ჩამეგდო ისინი: წყალში
მყვინთავები თუ მოხალისე გეოლოგე-
ბი, ისინი ნახავდნენ ხოლმე უცნობი არ-
სების ნაკვალევს, კვალს მიჰყვებოდნენ
და მოულოდნელად გადააწყდებოდნენ.
ის, რაც დაიბადებოდა ხოლმე იმ წუთს
ჩემს ნაწერში: ანთებულთვალუბიანი
რვაფეხა, ოცტონიანი ასოსახსრობანი,
ბუმბერაზი მოლაპარაკე ობობა, —
თვით მე ვიყავი, მახინჯი ბავშვი. ეს ჩე-
მი ცხოვრების სევდა იყო, ჩემი შიში
სიკვდილის წინაშე, ჩემი უხამსობა და
ჩემი გახრწნილობა. საკუთარ თავს ვერ
ვცნობდი: რა წამს ჩემ მიერ შექმნილი
საზარელი არსება ჩემსკენ წამოიშართე-
ბოდა, ჩემს მამაც სპელოლოგებისაყენ
წამოვიღოდა. მათი სიცოცხლისათვის
მეშინოდა, გული მისკდებოდა, ხელი
თავისთავად მოძრაობდა, კი არ ვწერდი,
კვითხულობდი. ძალიან ხშირად ამბავი
ამით თავდებოდა: ადამიანებს მხეცის
შესაბამელად არ ვწირავდი, მაგრამ არც
განსაცდელს ვაშორებდი; ესეც საკმარისი
იყო, რომ ისინი შეეჭახნენ; ვდგებო-
დი და მივდიოდი სამზარეულოში ან ბი-
ბლიოთეკაში. მეორე დღეს, ერთ-ორ
გვერდს დაუწერლად დავტოვებდი ხო-
ლმე და მერე ახალ განსაცდელისკენ
გავუყენებდი ჩემს გმირებს. ამ ჩემს
უცნაურ „რომანებს“ არასოდეს დასას-



რული არ ჰქონდათ, ყოველთვის ხელახლა იწყებოდნენ და, თუ გნებავთ, სხვა სათაურით გრძელდებოდნენ, ეს იყო ავბედითი ამბებისა და ბედნიერ თავგადასავალთა, ფანტასტიკურ შემთხვევებისა და ენციკლოპედიის სტატიების ნაბრევი; ყველა დამეკარგა და ხანდახან შენანება ხოლმე ეს დანაკლისი: რამდენიმეც რომ შემომენახა, ისინი მთელს ჩემს ბავშვობას გადამიშლიდნენ.

საკუთარი თავის შეცნობას ვიწყებდი. მე თითქმის არაფერი არ ვიყავი, დიდიდი — უშინაარსო აქტივობა, მაგრამ მეტი არც იყო საჭირო. კომედიას თავს ვარიდებდი: ჯერ არ ვმუშაობდი, მაგრამ უკვე აღარ ვთამაშობდი, მატყუარა პოულობდა საკუთარ, ნამდვილ „მე“-ს თავისივე ტყუილების დამუშავებაში. წერისგან ვიშვი: სანამ წერას დავიწყებდი, იყო მხოლოდ სარკეების თამაში, პირველი რომანი რომ დავწერე, მივხვდი რომ ბავშვი შევიდა სარკეებიან სასახლეში. ვწერდი და ვარსებობდი, როდესაც ამით უფროსებს დავუსხლტებოდი ხოლმე; მაგრამ ვარსებობდი მხოლოდ იმისათვის რომ მეწერა: და როდესაც ვაპობოდი „მე“, ეს ნიშნავდა: მე, რომელიც ვწერ. რა ბედენაა: ვიგემე სიხარული; ამასობაში საზოგადოებრივი ბავშვი შეხვდა საკუთარ თავს.

იმდენად კარგი იყო, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა: გულწრფელობას შევინარჩუნებდი იტაკქვეშ რომ დავრჩენილიყავ, მაგრამ არ დამაცალეს. იმ ასაკისა გავხდი, როდესაც მიღებულა რომ ბურკუაზიის ნაშიერებმა თავისი მოწოდების პირველი ნიშნები გამოამკლადნონ. უკვე კარგა ხანია გვაუწყეს, რომ ჩემი ბიძაშვილები, გერმანიელი შვეიცარები თავის მამასავით, ინეინრები გახდებიან: ერთი წუთის დეკარგვაც-კი აღარ შეიძლებოდა. ქალბატონმა პიკარმა პირველმა ისურვა ჩემს შუბლზე დაწერილი ნიშნის აღმოჩენა და დარწმუნებით განაცხადა „ეს პატარა მწერალი გახდება!“ გაჯავრებული ლუიზა უგულოდ იღიმებოდა. ბლანშ პიკარი მიუბრუნდა მას და მტკიცედ განუყო-

რა: „მწერალი გახდება! იმისთვის არის გაჩენილი რომ სწეროს“ *ეგრედამქმმა* იცოდა, რომ შარლს ეს *არამონქმმა* სპაქმის გაართულებისა შეეშინდა და ბეცად ვადმომხედა: „თქვენ ასე ფიქრობთ, ბლანშ? ასე გგონიათ?“ მაგრამ საღამოს, როდესაც დამის პერანგის ამარა დავხტოდი ლოგინზე, გულში ჩამიკრა და ლინილით მიხბრა „ჩემი პატარა, მწერალი გახდება“. პაპანემი მორიდებით გააფრთხილეს: აფთქებისა ეშინოდათ. მხოლოდ თავი ვაიქნია, მაგრამ შემდეგ ხუთშაბათს მე თვითონ გავიგონე, როგორც ეუბნებოდა ბატონ სიმონოს, რომ შეუძლებელია არ აღვლდე, როდესაც სიცოცხლის დასავალზე ახალი ნიჭის გამოღვიძების დამსწრე ხდები. იგი განაგრძობდა ჩემი ჯღანის უგულველყოფას, მაგრამ როდესაც მისი გერმანელი მოწაფეები მოდიოდნენ ჩვენთან სადილად, თავზე დამადებდა ხოლმე ხელს, და სწავლების თავისი პირდაპირი მეთოდის შესაბამისად შემთხვევას არ გამოსტოვებდა, რომ ემძევ ერთი ფრანგული გამოთქმა არ ესწავლებინა, და სიტყვების დამარცვლით უმეორებდა „მას ლიტერატურისკენ მიდრეკილება აქვს“.

თავისივე ნათქვამის არც ერთი სიტყვისა არა სჯეროდა, მაგრამ მერე რა? ბოროტება მოხდა და ახლა პირწმინდათ რომ უარი ეთქვათ, სახიფათო იყო: შეიძლება გავჯიუტებულიყავ. კარლმა ჩემი მოწოდება აუწყა ყველას, რათა მისი მოშლის უფლება შეენარჩუნებინა თავისათვის. ცინიკოსი სულაც არ იყო, მაგრამ ბერდებოდა: საკუთარი ენთუზიაზმი ღლიდა, და მისი შეგნების სიღრმეში, ამ ცივ უდაბნოში, სადაც იგი იშვიათად თუ ჩახედავდა, ნამდვილად კარგად იყო ცნობილი, თუ რას წარმოუადგენდ სინამდვილეში: მეც, ჩვენი ოჯახიცა და თვითონ ისიც. ერთხელ, როდესაც მის ფეხთით ვიწევი და ვკითხულობდი იმ დაუსრულებელ და დამთრგუნავ სიჩუმეში, რომელსაც იგი ძალად თავს გვახვევდა, მას უეცრად აღეძრა აზრი, რომელმაც ჩემი იქ ყოფნაც

კი დააეწყა; საყვედურით შეხედა დედაჩემს, „კი მაგრამ, კალმის საშუალებით ცხოვრებისათვის ფულის შოვნა რომ მოეპოვებინოს?“ პაპაჩემი პატივს სცემდა ვერლენს იმდენად, რომ მისი რჩეული ლექსების კრებულიც კი შეიძინა. მაგრამ ირწმუნებოდა, რომ 1894 წელს უნახავს „ღორივით მთვრალი“, პოეტო, რომელიც შედიოდა სამიკტიონში სენ-ვივის ქუჩაზე. ამ შეხვედრამ განუწყობდა ზიზღი პროფესიული მწერლების მიმართ. რომლებიც ბაზრის ტაქსი-მასხარებისა არ იყო, ერთი ლუი-დორის ფასად ჯერ ციდან მთვარის ჩამოვლებას გაბრუნებთან, ხოლო ბოლოს, საკუთარი უკანალის ჩვენებაში ას სუს სკერდებთან. დედაჩემი შეკრთა, მაგრამ არაფერი უპასუხა: იცოდა, რომ შარლს ჩემს გამო სხვა ანგარიშები ჰქონდა. ლიცეუმებში გერმანული ენის კითხვები უმთავრესად იმ ელზასელებს ეკირათ, რომელთაც საფრანგეთში ცხოვრება აირჩიეს, რაც მათი პატრიოტიზმის თავისებური კომპენსაცია იყო: ორ ერთა შორის, ორ ენათა შორის მათ ვერ შეიძინეს თანამიმდევრული ცოდნა და მთი განათლებას ხარვეზები ახლდა, რაც ფრიად ქენჯინდა; იმასაც ჩიოდნენ, რომ კოლეგები მტრულად ექცევიან და მასწავლებელთა საკუთარ საზოგადოებაში არ უშევენ. მე მათი შურისმგებელი უნდა ვავხდე, პაპაჩემის შური უნდა ვიძიო: ელზასელის შეილიშვილი. მე ხომ ამავე დროს საფრანგეთელი ფრანგი ვარ; კარლი უნივერსალურ ცოდნას შემძენდა, გამოვიდოდი შარაგზაზე; ჩემი სახით წამებული ელზასი ჩიირიცხება უმაღლესს ნორმალურ სკოლაში, ბრწყინვალედ გაივლის კონკურსს და უფლისწულობას მოესწრება, ვახდება ლიტერატურის მასწავლებელი, ერთ საღამოს გამომიცხადა, რომ სურს მელაპარაკოს, როგორც ვაჟაკი ვაჟაკს, ქალებმა დაგვტოვეს. დამისვა მუხლებზე და სერიოზულად მესაუბრა. გადაწყვეტილი საქმეა: უნდა ვწერო. მე ხომ იმდენად

ვიცნობ პაპაჩემს, რომ არ უნდა მეშინოდეს იმისა, რომ იგი წინასწარ ჩემს სურვილს. მაგრამ საკუთარ ვეწლად ფიზიკურად და პირუთვნელად განვსაჯოთ: ლიტერატურა პურს ვერ გავქმევს. ვიცი, თუ არა, რომ სახელოვანი მწერლები შიმშილით დახოცილან? რომ ზოგი მათგანი იძულებული იყო ლუკმა პურად გაეყიდა საკუთარი თავი? თუ დამოუკიდებლობის შენარჩუნება მსურს, უნდა მეორე პროფესია ავირჩიო. მასწავლებლობა კარგია იმით, რომ თავისუფალი დრო გრჩება; უნივერსიტეტის ინტერესები ახლოა ლიტერატურის ინტერესებთან: მე შევთავაზებ ერთს მსახურებას მეორესთან, ურთიერთობა მექნება დიდ მწერლებთან; ჩემს მოწაფეებს ვაზიარებ მათ თხზულებებს და ამავე დროს თვით ვნახავ ამ თხზულებებში ჩემი შემოქმედების წყაროს. ჩემს პროვინციულ განმარტოებაში გავერთობი პოემების თხზვითა და ჰორაციუსის თეორ ლექსად თარგმნით. ადგილობრივ გაზეთებში გამოვაქვეყნებ მოკლე ლიტერატურულ ნარკვევებს და პედაგოგიურ მომხილვაში ბრწყინვალე ესეებს ბერძნული ენის ან მოზარდთა ფსიქოლოგიის სწავლების საკითხებზე. სიკვდილის შემდეგ ჩემს უჯრებში ნახავენ გამოუქვეყნებელ შრომებს: მედიტაციებს ზღვის გამო, ერთაქტიანი კომპოზიციის, რამდენიმე ერუდიციითა და გრძნობით აღსავსე ფურცელს ორიაკის ძეგლთა შესახებ. ყოველივე ეს შეადგენს პატარა წიგნაკს, რომელსაც ჩემი ძველი მოწაფეების ცდითა და დაჯვით გამოიცემა.

ეს ერთი ხანია აღარაფრად მეპიტნავებოდა პაპაჩემის ალტაცება ჩემი სიყვითის გამო; როდესაც სიყვარულისაგან ათრთოლებული ხმით „ზეცის საბოძვარს“ მემხნდა, ჯერ კიდევ მივიღებდი ხოლმე ისეთს გამომეტყველებას თითქოს ყურს ვუვადებ, მაგრამ უკვე ვისწავლე მისი ნათქვამის არ გაგონება. მამ რატომ დავალე პირი და ყურს ვუვადე-

ბდი იმ დღეს, იმ წუთს როდესაც იგი განზრახ მატყუებდა? რამ გაამაგებინა სულ სხვანაირად ის, რაც მას უნდოდა ჩაენერგა ჩემთვის? ალბათ იმან, რომ მისი ხმა სხვანაირად ეღერდა: მშრალად, მკაცრად; მე იმის ხმად ჩავთვალე ვინც ალარ იყო და რომელმაც სიცოცხლე მომანიჭა. შარლი ორსახა იყო: როდესაც პაპას თამაშობდა, მასში ჩემსავით ტაკიმასხარას ვხედავდი და არ ვცემდი პატივს, მაგრამ როდესაც იგი ესაუბრებოდა ბატონ სიმონოს ან თავის ვაჟიშვილებს, ანდა, როდესაც ქალები ემსახურებოდნენ მას სუფრაზე და იგი უსიტყვოდ ანიშნებდა საზეთუზე ან პურის კალათაზე, მისი ძალაუფლება მხიბლავდა. განსაკუთრებით კი მისი საჩვენებელი თითი: პაპაჩემი მის გამართვასაც კი არ კადრულობდა. მოკაყული თითით მოხაზავდა ჰაერში რკალს და ორივე მისი მსახური ქალი უნდა მიხვედრილიყვნენ თუ რას ნიშნავს ეს განკარგულება; ხანდახან არაქათავა ცლილ ბებიჩემს ეშლებოდა და წყლის ნაცვლად კომპოტს აწოდებდა; ამისათვის ვეიცხავდი ბებიას. ქედს ვიხრიდი პაპაჩემის მეფურ სურვილების წინაშე, რომელთა წინასწარ მიხვედრას მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე შესრულებას. შარლს რომ ჩემ დანახვაზე ხელები ვაეშალა და წამოეძახა: „აი, აზალი ჰიუგო, აი, მომავალი შექსპირი!“, დღეს მე ალბათ ქარხნის მხაზველი ან ლიტერატურის მასწავლებელი ვიქნებოდი. იგი კარგად მოიქცა: პირველი შემთხვევა იყო რომ პატრიარქთან მქონდა საქმე, პირქუში იყო, პატივისცემას იწვევდა და არც აგონდებოდა რომ მათაყვანებს. ეს იყო მოსე, რომელიც ახალ კანონს აწესებს. ჩემთვის აწესებს. ჩემი მოწოდება მან მხოლოდ იმისათვის ახსენა რომ მისი სიძნელისათვის ხაზი გაესვა: მე დავასყვენი, რომ საკითხი გადაწყვეტილია. მას რომ ეწინასწარმეტყველა, რომ მე ცრემლთა ნაკადით დავალბობ ქალაქს ანდა ხალიჩაზე გორაკობას მოყვები, ალბათ დააფრთხობდა

ჩემს ბურჟუაზიულ ზომიერებას. მან-კოლასტური დასლო ჩემს მოწოდებას და მაგრძობინა რომ უწესრიგო ფუფუნება არ არის განკუთვნილი საჩემოდ: ორიკის ან პედაგოგიკის გამო მსჯელობისათვის სრულიად არ არის საჭირო არც ციებ-ცხელება და, ვაგლახ, რომ არც ზედმეტი ხმაური სჭირდება. XX საუკუნის უკვდავი ქვეითი სხვის გულმკერდიდან უნდა აღმოჰხდეს, მორჩილად დაეთანხმდი არასოდეს არ ვიყო არც ქაროშხალი და არც ელვა, არამედ ჩემი შინაური სიქველით. ჩემი თავაზიანობითა და გულმოდგინებით გავაბრწყინო ლიტერატურა. მწერლის ხელობა წარმომიდგა, როგორც უფროსი აღამიანების საქმიანობა, იმდენად მომაბეზრებლად სერიოზული და იმდენად უმნიშვნელო და არსებითად იმდენად ინტერეს მოკლებული, რომ ექვის ნატამალიც კი ალარ დამრჩენია: სწორედ ესაა ჩემი ხედვრი. ერთდროულად გავიფიქრე: „ესაა და ეს“ და „ნიჭიერი ვარ“. როგორც ყოველ ქარაოცს, განხიბლვა და ქეშმარიტება ერთმანეთში მერეოდა.

კარლმა ოთხში ამოღებული კურდღლის ტყავით ამომატრიალა. მეგონა ვწერ იმისათვის რომ ჩემი ოცნებები დავაბა, პაპაჩემისათვის-კი ყური რომ დამეგდო გამოდიოდა, მხოლოდ იმისათვის ვოცნებობდი, რომ კალამი მევეარჯიშებინა; ჩემი ღელვა, ჩემი შემოქმედებითი განცდები, მხოლოდ ჩემი ნიჭის ყალბაბანდობა ყოფილა, რომლის ერთადერთი მიზანი ისაა რომ მიიძღოს. ყოველდღე მიუჯდე საწერ მაგიდას და ჩემი ასაკისათვის შესაფერი თემებით მომამარაგოს მანამ, სანამ დაიწყება გამოცდილებისა და სიმწიფის დიდი კარნახი. დავკარგე ჩემი საარაკო ილუზიები: „მარტო ის კი არა კმარა თვალეზი გქონდეს, მათი გამოყენებაც უნდა იყოდე. ხომ იცი როგორ იქცეოდა ფლობერი, როდესაც მოპასანი ჯერ ბავშვი იყო? ხის ქვეშ დასვა მდა და ორ საათს აძლევდა ამ ხის აღწერისათვის“. მეც შევეუ-

დექი საგნების დანახვის სწავლას. განკუთვნილი მქონდა ორიაყის ძეგლებისათვის ქების შესხმა, მე კი მელანქოლიურად შევეცქეროდი სულ სხვა მონუმენტებს: საწერ მაგიდას, პიანინოს, კედლის საათს და ვინ იცის, იქნებ მათაც ჩემი მომავალი წვითა და დავით წილად ხედვებით უკვდავება. ვაკვირდებოდი. მოსაწყენი და გასართობი იყო: დაედგებოდა ხვერდგადაკრულ სავარძლის წინ და გაოცებით ვათვალიერებდი. რისი თქმა შეიძლება ამ სავარძლის გამო? ვთქვათ, რომ მას გადაკრული აქვს მწვანე, ხაოიანი ქსოვილი, ორი სახელური აქვს, ოთხი ფეხი და ზურგი, რომელსაც ხის ორი გირჩი ამშვენებს. ჟერ ეს არის მაგრამ, კიდევ დაუბრუნდება ამ სავარძელს და შემდეგ მოვახერხებ და კიდევ რამეს შევამჩნევ, და ბოლოს მეცოდინება ეს სავარძელი როგორც ჩემი ხუთი თითი, შემდგომში აღწერ და მკითხველები იტყვიან: „რა საოცარი დაკვირვებაა. რა მახვილი თვალი აქვს, ნამდვილად ასე! ამას ხომ ვერ შეთხზავ!“ როდესაც ნამდვილი კალმით დაეწერ ნამდვილ სიტყვებსა და ნამდვილ საგნებს აღწერ, ნეტა ვინ ოხერი დამიშლის რომ მეც ნამდვილი გავხდე? მოკლედ, გავიგე და სამუდამოდ ვიყოლი რა პასუხი გამეცა კონტროლიორისათვის, როდესაც ბილეთს მომთხოვს..

ცხადია, მე ვათასებდი ჩემს ბედნიერებას! უბედურება ის იყო რომ არ მიხაროდა. შტატში ჩამრიცხეს, გამაბედნიერეს იმით რომ დასახეს ჩემი მომავალი და მე ვაცხადებდი რომ ალტაცებული ვარ ამ მომავლით, მაგრამ გული მეთანადრებოდა. მე ხომ არ მომითხოვია ეს კანცელარიის მწერლის თანამდებობა? დიდ ადამიანებთან ურთიერთობაში დამარწმუნა, რომ თუ მწერალი იქნები, სახელი და დიდება არ აგცდება, მაგრამ როდესაც ვუპირისპირებთ ერთმანეთს დიდებას, რომელიც წილად უნდა მხედეს და იმ რამდენიმე წიგნაკს რომელიც ამქვეყნად უნდა დამრჩეს, თავს მოტყუებულად ვგრძნობ: როგორ შემეძლო იმის დაჯერება, რომ ჩემი შვი-

ლიშვილები წაიკითხავენ ამ ჩემ უმნიშვნელო ნაწერებს და ის ამბებენ, რამდენად ბიცი მე თითონ წინასწარცხდნენ ჩემს წყალებენ, მათ აღფრთოვანებას გამოიწვევენ? ხანდახან თავს შევუძახებდი ხოლმე, რომ დავიწყებას არ მიძევენ, რადგან დამენმარება „სტილი“ — ეს ბნელით მოცული თვისება, რომელზეც პაპაჩემი სტენდალს უარს ეუბნებოდა და რენანისას კი სცნობდა: მაგრამ ამ შინაარსსმოკლებულ სიტყვას ჩემი დამშვიდება არ შეეძლო, მთავარი კი ის არის, რომ საკუთარი თავის უარყოფა დამჭირდა. ორი თვის წინათ ჩხუბისთავი ვიყავი და ძალღონე მერჩოდა. მორჩა და გათავდა! ახლა მოითხოვდნენ რომ კორნეისა და პარდაიანში ერთი ამერჩია. უარყავი ჩემი ნამდვილი სიყვარული — პერდაიანივე და მორჩილად კორნეი ავირჩიე. ლუქსემბურგის ბაღში ვხედავდი ხოლმე როგორ არბიან და ჩხუბობენ ვაქცალები; მათმა სილამაზემ ძირს დამცა და ვიგრძენ რომ დაბალ მოღმისა ვარ. იძულებული ვაგებდი საქვეყნოდ მელიარებიანა, ხმალი ქარქაშში ჩამეგო, გაემხდარიაყვი უბრალო საქონელი და ისევ დამეწყო ნაცნობობა ცნობილ მწერლებთან, ჭკუის კოლოფებთან, რომლებსაც არ მეშინოდა: ბავშვობაში მათაც ჰქონდათ სურაყანდი და ამით ხომ მაინც ვვავდი; უძლურნი გაიზარდნენ და სიბერისას სნეულები იყვნენ; მეც მათ დავემსგავსები. ერთმა ბატონმა ვოლტერი აცემინა, შეიძლება მეც გამტყუბოს რომელიმე კაპიტანმა, ადრე ქალაქის ბაღში რომ ჩხუბსა სტეხდა. ჩემი ნიჭიერება ბედისადმი მორჩილებამ დამაჯერებინა. შარლ შვეიცერის სამუშაო ოთახში, დაზიანებულ, ვაწეწილ, დაქსაქსულ წიგნებს შორის ნიჭს ყოველგვარი ფასი დაჰკარგვოდა. ისევე, როგორც ძველ დროს, როდესაც უმცროსი ვაჟიშვილები სულს გასწირავდნენ, რათა ათასეულის უფროსობას ღირსებოდნენ, რადგან დაბადებით მათი ხვედრი სასულიერო მოღვაწეობა იყო. დიდი ხნის განმავლობაში თვალწინ მედგა ერთი სურათი, როგორც საბედის-

წერო განცხრომის აშკარა გამოხატულება: თეთრსუფრავადაფარებული გრძელი მაგიდა, გავსებული ორანჯადის სურებითა და შუშუნა ლეინის ბოთლებით. ხელში მიჭირავს ჭიჭა, ჩემს ირგვლივ შეკრებილა საზეიმოდ გამოწყობილი თხუთმეტამდე ადამიანი და ჩემ სადღეგრძელოს სვამენ; იგრძნობა რომ ჩვენს უკან მტერიანი და ცარიელი, უშველებელი დაჭირავებული დარბაზია. სჩანს, ცხოვრებისაგან არაფერს კარგს არ მოველოდი, ვარდა იმისა, რომ ჩემი ცხოვრების დასასრულს კიდევ მოვესწრები ახალი ენების ინსტიტუტის წლისთავის ზეიმს.

ასე გამოიქცედა ჩემი ბედი ლე-გოფის ქუჩის პირველი ნომრის მეექვსე სართულის ოთახებში, გოეთესა და შილერის ქვეშ, მოლიერისა, რასინისა და ლაფონტენის თავზე, ჰაინრიხ ჰაინესა და ვიქტორ ჰიუგოს პირისპირ, ასჯერ განმეორებულ საუბრებში: მე და კარლი გავაგდებდით ხოლმე ქალებს სამუშაო ოთახიდან; მაგრა ვეხვეოდით ერთმანეთს. ყურზე მიდებული ტუჩებით ვეჩურჩულეობდით ერთმანეთს — ეს იყო ყრუთა დილაოგები, რომელთა ყოველი სიტყვა აღიბეჭდა ჩემში. ზუსტად დამიზნებული სუსტი დარტყმებით შარლი მარწმუნებდა რომ გენიოსი არა ვარ. მართლაც არ ვიყავი. ვიცოდი კიდევაც რომ არა ვარ და არც არაფერში მჭირდება. ჩემ განცდათა ერთადერთი სავანი გახდა შორეული და მიუღწეველი გმირობა: ეს აღზნება ჩემი გლახაკი სულისა და საკუთარი უბადრულობის გრძნობა არ მანებებდნენ რომ უარი მეტქვა ამ გმირობაზე. მომავალ ვაჟაკობაზე ოცნებას ველარ ვებდავდი, მაგრამ გულის სიღრმეში შეშინებული ვიყავი: რალაიაში მოტყუებულანი: ან ბავშვი შეშლიათ ან მისი მიწოდება. თავგზაბანული ვიყავი და კარლის ხათრით ვთანხმდებოდი პატარა მწერლის ბედს დავმორჩილებოდი. მოკლედ, კარლმა ვადამავდო ლიტერატურაში იმით რომ ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინა, რათა მასზე გული აეცრუებინა ჩემთვის.

დღესაც, როდესაც ცუდ გუნებაზე ვარ, მქენჯნის ფიჭრი იმაზე, რომ ტყუილი უბრალოდ წყალში ხომ არ ვაღავეყარე ამდენი დღე და ღამე, ჩემი ნაჭდაბნით გავაფუჭე დასტობით ქალაქი, გამოვიტანე ბაზარზე ამდენი წიგნი, არავის რომ არა სჭირდება, მხოლოდ იმ ერთადერთი და უაზრო იმედით, რომ პაპა-ჩემისათვის შესაძლებელია. კაი რამე იქნებოდა: ორმოცდაათე მეტი წლის შემდეგ აღმომიჩინა, რომ დიდი ხნის მკვდრის სურვილის აღსასრულებლად ვატვირთე ისეთი საქმე, რომელსაც ის ნამდვილად გაამტყუნებდა. ნამდვილად სვანს! გვავედი, რომელიც სიყვარულისაგან განიკურნა და ოხრავდა: „რამი დამჭირდა ცხოვრების ასე არევა ქალის გულისათვის, რომელიც სულაც არ შეეფერება ჩემს გემოვნებას!“ მოხდება რომ ჩემქმედად თავხედობას ვიჩენ: ამას უბრალოდ ჰიგიენა მოითხოვს. თავხედი ყოველთვის მართალია, მაგრამ გარკვეულ წერტილამდე. მართალია, წერის ნიჭი არ გამაჩნია, ეს უგრძობობინებიათ კიდევაც ჩემთვის. მეძახდნენ პირველ მოწაფეს რომელსაც უცხო ენის ყველაწესები ვაიზეპირა. ვარ კიდევაც: ჩემს წიგნებს შრომის ოფლის სუნი უღის. მჯერა, რომ იგი ჩვენი არისტოკრატების ცხვირს არ სიამოვნებს. ხშირად ჩემივე თავის საწინააღმდეგოდ და, მამასაღამე, ყველას საწინააღმდეგოდ ვწერდი¹ და ჩემი ტვინი იმდენად მაღალ ძაბვას განიცდიდა, რომ დროთა განმავლობაში ეს ძაბვა ჩემი სისხლძარღვების ჰიპერტონიად გადაიქცა. ჩემი მცნებები კანქვეშა მაქვს ჩაყვრებული: ერთი დღე რომ არ ვწერ, ნაკერები მეწვის; ადვილად თუ ვწერ, მაშინაც მეწვის. დღეს ამ უხეში მოთხოვნილებების სისასტიკე და მოუქ-

¹ სვანს—გმირი მარსელ პრუსტის რომანისა „დაკარგული დროის ძიებაში“.

² თქვენივე თავის მიმართ თუ ლობიერი და მოწყალე ხართ, მოწყალე ადამიანებს ეყვარებით; მეზობელი რომ აწამოთ, სხვა მეზობლები გაიცინებენ; მაგრამ თუ თქვენ საკუთარ სულს გააწამებთ, ყველა სულეტი აყვირდებან. (ავტორის შენიშვნა).

ნელობა მთოცებს და მაგონებს იმ პრე-ისტორიულ ამპარტავან კიბორჩხალებს, ზღვა რომ გამოირიყავს ხოლმე ლონგ-აილენდის პლიაჟზე, რადგან მათსავით გარდასულ დროთა გადანაშთია. დიდი ხნის განმავლობაში მშურდა ლასეპედის ქუჩის კარის დარაჯებისა; მათ ზაფხუ-ლი და საღამო ერეკებოდა გარეთ, ქვა-ფენილზე. სკამებს გადააჯდებოდნენ და უცოდველი თვლებით იცქირებოდნენ, თუმცა არავის დაეკისრებინა მათთვის ასე ყურება.

მხოლოდ ის კია, რომ გარდა იმ რამ-დენიმე მოხუცისა, რომლებიც კალამს ოდეკოლონში აწებენ და იმ პატარა დე-ნდისა, რომელიც ყსაბივითა სწერს, თარგმანში ძლიერი მოწაფეები არ არ-სებობენ. ასეთია სიტყვის თვისება: სა-კუთარ ენაზე ლაპარაკობ და უცხო ენაზე

კი სწერ. აქედან მხოლოდ ერთი დავას-კენი: ჩვენი ზელობის ხალხი ყველა ერთნაირია: ყველა კატორღელია, ყველა დადაღლია. ამასთანავე, მკითხველი მიხედვებოდა, რომ მეჭაფრება ჩემი ბავ-შეობა და ყოველივე რაც მას მოჰყვა. პაპაჩემის ხმას, ფირფიტაზე ჩაწერილ ხმას, რომელიც მოულოდნელად მა-ღვიძებს და მიმაგდება ხოლმე საწერ მაგიდასთან, განა ყურს დავუგდებდი, რომ იგი ჩემი საკუთარი ხმა არ ყო-ფილიყო და რომ რვა-ათი წლის ასაკში, ვითომდა ვიღაცას დანაბარებს მორჩი-ლად არ დავნებებოდი და რომ ქედმა-ღლობას არ ჩაეგონებინა, რომ ესაა ჩე-მი ცხოვრების საქმე.

ფრანგულიდან თარგმნეს კობა ჯაპარიძის მიერ
და გასტონ ბუაჩიძის

(გაგრძელება იქნება)

კობა იბრაჰიმიძე

რეალიზმი და ჰეროიკა

კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში“ ნაწვენივია საქართველოს ერთ-ერთ ძველ კუთხეში, იმერეთში, კოლმეურნეობის ჩამოყალიბების მტკიცეული პროცესი. ეს თავისთავად დიდი ღირსებაა, მაგრამ ნაწარმოების ავტორიანობას იგი მიიხსნის არ განსაზღვრავს. „კოლხეთის ცისკარის“ სიძლიერისა და აქტუალობის მიზეზი იმ ადამიანთა ბედში, იმ ადამიანთა ხასიათებსა და მოქმედებებში უნდა ვეძებოთ, რომელნიც მონაწილეობას ღებულობდნენ ახალი ცხოვრების დამკვიდრებაში, ხელს უწყობდნენ ან ხელს უშლიდნენ მას. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ თავის რომანში გვიჩვენა საუკუნეებით განმტკიცებული ინსტიტუტებისა და ჩვევების ბრძოლა ახალ იდეებთან, გვიჩვენა ამ ბრძოლის მძაფრი, შეურიგებელი ხასიათი და ძლიერ მეტოქესთან გამარჯვებით ახალი იდეების ცხოველყოფილობა დაგვანახვა. მწერლის ადრინდელი ნაწარმოებებისაგან განსხვავებით „კოლხეთის ცისკარი“ თავისუფალია შიშველი ტენდენციურობისა, მზა დასკვნებისაგან; ხასიათების ერთმანეთთან შეჯახება, ვარგულებათა და ხასიათთა შეჭიდება წარმოქმნის ნაწარმოების სიმართლეს, რომელიც ცხოვრების სიმართლეს ემთხვევა, მაგრამ უფრო მართალია, ვიდრე ცხოვრება. რეალურ ყოფაში ძალთა თანაფარდობა ამ ნაწარმოებისათვის კანონია, რომლის აუცილებლობასაც იგი აღა-

სტურებს და რომელსაც იგი იცავს. „კოლხეთის ცისკარში“ ახალი ცხოვრება მეურნეობის ერთი წესის მეორე წესით მექანიკური შეცვლა კი არ არის, არამედ ახალი ადამიანების დაბადება, ახალი პრობლემების წარმოქმნა, ახალი სიხარულისა და ტკივილის მწვევე განცდა. ახალმა ცხოვრებამ მკვეთრად შეცვალა საზოგადოების ადრინდელი წყობა. „უკანანი წინ, წინანი უკან“ — ეს პრინციპი იქცა რომანის კონფლიქტის მთავარ მიზეზად. სახელდაკარგული ადამიანი — ხრიკუნია პირველი კაცი ხდება სოფელში, სოფლის თავკაცი, ბარანბა საგანგლიძე კი ყველაფერს კარგავს — ქონებასაც და სახელსაც. და ეს ვინმეს კაპრიზი, ბედის უკუღმართობა და ღრობითი მოვლენა კი არ არის. არამედ ცხოვრების კანონზომიერებით გამოწვეული აუცილებლობა — გვიმტკიცებს მწერალი. კონსტანტინე ლორთქიფანიძეს სურს ერთი ან ორი კაცის ბედი კი არ გადმოგვეცეს, არამედ ცხოვრების ეპიური სურათი დავეხატოს, სადაც შეგვეძლება ხალხი შევივარდოთ მის სხვადასხვაობასა და მთლიანობაში. სწორედ ამათ განაპირობა ის, რომ ნაწარმოებში ბევრი მკვეთრი ხასიათი და დასამახსოვრებელი სახე გვხვდება. მაგრამ მათგან არ შეიძლება არ გამოეყოთ მექი ვაშაკიძე — ხრიკუნია.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ამ რომანზე მსჯელობისას გიორგი ლომიძე მართებულად შენიშნავდა (წიგნში —

— „Единство и многообразие“, (1957, გვ. 70): „ხალხის ბედთან ერთიანობა ხასიათის აღმავლებს, მას შინაარსიანსა და მთლიანს ხდის“. მექის ხასიათი ქართველი ხალხის ბედთან (მისი არსებობის ერთ მომენტში) სწორედ ასეთი ერთიანობით ხასიათდება და ამიტომია იგი მკვეთრად ნაციონალურიცა და თანადროულიც.

ხშირად აღნიშნავენ, რომ მექი ახალი ცხოვრების პირშეშა, რომ არაარობიდან ახალმა ცხოვრებამ აღამიანი შექმნა. ეს მართალიც არის და არცაა მართალი. ახალი ცხოვრების გარეშე მექი ვაშაქიძე არ იქნებოდა, მაგრამ არაარობიდან არასოდეს არ იქმნება რაიმე. მექის გვერდით დახუნდაცაა. რატომ დახუნდარასაგან ვერ შექმნა ახალმა ცხოვრებამ აღამიანი? იმიტომ რომ მექი თავიდანვე მძიმეული პიროვნებაა. ახალმა ცხოვრებამ გამოაქანდაცა იგი, მაგრამ გამოსაქანდაცებელი მისალაც ხომ საჭიროა?

გავიხსენოთ ობოლი მექის ბავშვობა, რომელსაც „უფხვი რომ აიღვია, დედა სწორედ იმ წელიწადს გარდაეცვალა“. ქონდა კი ბავშვობა მექის, ერემოს დაბუჩავებულ მოჭაპავიერს? თუ ქონდა, საშინელი იყო იგი. „უთქმელმა დარღმა გული გამოუზრა შავდღებზე ვაჩუნილს, ხანდახან დილიდან საღამომდე მზას არ ამოიღებდა, რომ თავისი თავი არაერთთვის გაეხსენებინა“. მაგრამ ადამიანებს განაპირებულ ობოლს გულში უფაქიზესი გრძობები იბადებოდა.

„პირქელში, ნაწვიმარი დილა გათენდა. კაცი ვერ გაიგებდა, დილა იყო თუ საღამო, ისე დაეთალხა ბუნება სერებზე გაბმულ ნაცრისფერ ღრუბლებს, და მხოლოდ ბროწეულების წითელი ყვავილები ახალისებდნენ კაცის თვალს. წუხანდელ საფურცლო წვიმას უხვად დაუბერტყა თავისი მადლიანი კალთა“...

მერე „ლურჯად ჩაგუბებული ყანები“, „ლურწების დაუცხრობელი შრიალი“, სურათი დღეარული ეამგადასუნი ციხე, რომლის „მაღალი კედლები შორიდან ისე მოსჩანან, თითქოს ისინი

ცაზე არიან დაკიდებული“. ასეთია მექის გარემო, ასეთია ის ფერწერული ტილოები, რომელთაც მექი შექმნიდა და რომელთაც ხედავს იგი და ამათუ ხედავს, ირჩევს მათგან ყველაზე კარგსა და ლამაზს — „მაგრამ მექის გულს ისე არაფერი ატკობდა, როგორც ეს ბრიალა ყვავილები ბროწეულისა. პერანგა ბალები აყვავებულ ხეებს უტრიალებდნენ, ბროწეულის ყვავილებისაგან ყალიონებან აკეთებდნენ და მოხუც მექედლს გასაძოვნენ: „მაბუთა თედორე, ნახე რამდენი ყალიონი გავაკეთეო“.

და ეს ძაბილი, ეს ლამაზი ყვავილები მექისაც ალაღებდნენ, იმ ბალებთან სათამაშოდ იხმობდნენ“.

მექი არა თუ ირჩევს სურათებიდან საუკეთესოს, არამედ გრძობს კიდევ ამ სილამაზეს და ისწრაფვის მისკენ. იქნებ ეს სწრაფვა არ ელონდება მოქმედებაში (მექი უცხოა ხალხისათვის და მისაც ეშინია ხალხის), მაგრამ მისი სული ქვეშეცენულად მისწრაფვის სილამაზისაკენ. სწორედ ამიტომ მიეღტვის თალიკოს, სოფლის ულამაზეს გოგოს, და მხოლოდ მის გვერდით გრძობს ბედნიერად თავს. „სიცოცხლე მხოლოდ მაშინ უხაროდა ამ საწყალს, როდესაც ყოველთვის სუფთად ჩაკმული, თავნება და შემოუვლელი თალიკო სათამაშოდ დაუძახებდა“.

მექისთვის თალიკო მხოლოდ საყვარელი ქალი არ იყო. ბავშვობიდანვე მისთვის თალიკო იქცა სილამაზის, სიწმინდის, ცხოვრებაში ყოველივე კარგის განსახიერებად. „ბრიალა ყვავილები ბროწეულისა, პერანგა ბალები“, თალიკო, თითქოს მისთვის ერთია — სიმშვენიერება — ერთადერთი და დიდი ძალის მომცემი. საჭიდაოდაც ხომ თალიკოს სახელით გავიდა მექი:

„ახლაც ფრთებშესხმული მიდიოდი, რომ თალიკოს სურვილი შეგესრულებინა, შენთვის უჩვეულო გმობა ჩაგედინა“. როცა მექიმ საჭიდაო წრეში ფეხი შემოადგა ეს უკვე დიდი გმობა იყო. თალიკოს გულსთვის, მხოლოდ

თალიკოს გულისთვის დადგა იგი პირისპირ მარტო ხაეომიასთან კი არა, არამედ იმ დანარჩენებთანაც, რომელიც მას ვერ ამჩნევდა.

„წასვლა ადვილი იყო, არც ჭიდაობაა უსაშველო, შენ მხოლოდ ერთი რამ გაფიქრებდა, ჩემო მეჭი, ვაითუ ამპარტავანმა ხაეომიამ ჩემთან ჭიდაობა ითხოვლოს და ხალხმა სასაცილოდ ამიღოსო“.

ასპარეზს რომ მოუხალოდა, ფული ისე, გაბალტებული უფგერდა, თითქოს მთელი სიკოცხლის ვალი ახლა ერთბაშად უნდა მოეხადა.

წაუშინებულად შეერდა, ფეხები ძლივს შეიტანა. ყველაზე უფრო ხელშია შეაწუხა. აღარ იცოდა, სად წავიდა, როგორ დაემალა“.

მექის ამ წუთში რამდენიმე მტერი ჰყავს. ხაეომია, სხვები, თავისი სული და თავისი სხეული. და რომ ხაეომიას თაღლითობა არა, იგი წააქცევდა მას. მეჭი ვაიმარჯვებდა. ვაიმარჯვებდა ხალხზეც, თავის სხეულზეც, სულზეც. მაგრამ აქ არ შეიძლებაოდა მეჭის გამარჯვება. იგი ბეჩავია. ბეჩავია და თაღლითობას ვერაფერს უპირისპირებს, ვერც თავის სულიერ ძალას და ვერც სხვისას. იგი ვერავის ვერ უმხელს წაქცივის მანებებს და ვერც ვერავინ ამჩნევს ხაეომიას თაღლითობას, რადგან არც ხალხი არსებობს მისთვის და არც იგი არსებობს ხალხისთვის. იგი „ბიჭების სტვენა-ყიყინში მოედანს სწრაფად გაეცალა“. მაგრამ ამ დამარცხებამ დაბადა დიდი, თუმცა სტიქიური სურვილი თავისი თავის შეცნობისა. და როდესაც მეჭი მეორე დღეს ხაეომიას ჩაევიდებოდა კიდევ ვიციდითოთო, აქ სიჯიტიტესთან ისიცაა, რომ მას უკვე თავისი სიძლიერის გაგება სურს. პირველ დღეს იგი თალიკოს გულისთვის ჭიდაობდა, მეორე დღეს თავისთვის სურს ჭიდაობა. მისთვის სულერთია დანახავს თუ არა ვინმე როგორ წააქცევს იგი ხაეომიას, ოღონდ წააქციოს. იგი ეუბნება კიდევ: „ნუ გრცხვენია. რიყეზე არავინ დაგინახავს“.

ხაეომია გაიქცა. ვერ ნახა მეჭიმ თა-

ვისი გამარჯვება, მაგრამ მის სულში დიდი მსხვერველა დაიწყო. მოსტარებულად სული რამ, ამ დღეს შეარქვეს „მსაჩინა“ კუნია და ამავე დღეს დაიწყო მისი, ადამიანის დაბადების ძნელი პროცესი.

და აქ იგი სიმარტოვეს გრძნობს. მას არ უნდა არავინ. მაგრამ მარტოობაც ძნელია მისთვის: „მეჭიმ ერთბაშად წარმოიდგინა, ვითომც სოფელში მამლები დაწყდნენ და ვადაშენდნენ. შეკრა. შეწყდა. ღამეს ყური მთუგლო, რათა მათი ხრინწიანი ყვირილი ისევ გაეგონა“.

ეს ყვირილი, ეს სიციცხლის ზმა მარტოობის შიშსა და სიმწარეს უშაბუბებდა გულამღვრეულ ჭაბუქს.

თალიკოს სიყვარულმა, სილამაზისა და სიმშვენიერის შეგრძნებამ და მისთვის თავის შეწირვის სურვილმა უბიძგა მეჭის იმ ნაბიჯისაყენ, რომლითაც იგი ძნელ გზას გაუყვა, საუთარ პიროვნებაში ადამიანის მონახვის გზას. და რაოდენ ტკივილებთან არის დაეკვირებული მისი ბოლო ნაბიჯი, თალიკოს უარყოფა, თუმცა მეჭი აქ უკვე ქალს უარყოფს და არა ოცნებებს, მაგრამ მსხვერპლი მაინც დიდი იყო.

როგორც ვხედავთ, ცხოვრებამ შესანიშნავი მასალა ჰქონდა ხელი, მაგრამ სხვა დრო ალბათ სხვა სახეს გამოძიწავდა და არა მეჭი ეამაიქნის.

სტიქიურია არ დაბადებოდა მეჭი ვაიმარჯვებდა, ახალი ცხოვრება რომ არ მოსულიყო. მას დიდი ნებისყოფა ჰქონდა, დიდი სურვილიც, მაგრამ იგი ვერაღროს ვერ დაინახავდა თავს მოჭამავირობიდან. მწერალმა გვიჩვენა ეს. მან გვიჩვენა როგორ იბრძვის მარტოხელა მეჭი ამ მოჯადოებულ წრიდან გამოსასვლელად, როგორ აგროვებს ფულს, როგორ ადებს კაპიკს კაპიკზე, რომ უღელი ხარი იყიდოს და დასახლდეს. მეჭი ვერ ყიღულობს ხარებზე, ფული არ ყოფნის, მისი ოცნება ინგრევა. მაგრამ ვინდაც ეყიდა მეჭის ხარები, განა მოხდებოდა მისი მკვლართით აღდგომა? განა მას ადამიანად ჩასთვლიდნენ? განა მას მოსცილდებოდა მეტყაბელი „წრიცუნია“? არა. იგი უნდა ასულიყო მის-

გარემო მყოფებზე უფრო მაღლა, რომ იგი კაცად ეცნოთ, მას უნდა ჩაედინა გმირობა. მაგრამ იყო კი იგი გმირობისათვის მზად? განა შეუძლია მონას გმირი გახდეს? იგი ხომ მონა იყო, მონა არა თავის პატრონის ერემო პირტახისი, არამედ მონა საკუთარი თავისა. უნდა მომხდარიყო მისი შინაგანი განთავისუფლება, რომ მექი ადამიანად დაბადებულყო. ზოგი ლიტერატურის მკვლევანე ფიქრობს, რომ მექის, — ადამიანის დაბადება კრების დროს ხდება, როდესაც იგი კულაქთა გეგმებს ჩაფუშავს. ეს არაა სწორი. მექის მოქმედება კრებაზე მისი პროტესტის სტიქიური გამოხატულებაა, თითქმის ისევე, როგორც შედუქნესთან ჩხუბი. შედუქნე ეშმაკურად მოეროდა მექის და მან თავის ბრახს ვერ მოუწაბა, მისამართი:

„პატრონის დღემილა მექი მთლად გაღარი.“

— სულ დავეწყა აქაურობას! დავლევო... დავლევო — დაიდრიალა და სამფეხა სკამს დასწვდა.

ერემომ ისევ წაუყრტა. არაფერი უთხრა. მექის ბრახისგან თვალზე ცრემლი მოადგა.

— რას განუმებულებარი! ვითომ პატრონანი კაცი ხარ! სთქვი რამე, შენი...

სკამი იტაცზე დაახეტიქა და ქუჩაში გაეპარდა. თვითონაც არ იცოდა, ამ თავსხმაში სად მიდიოდა.

კრებაზე მან ქვეშეცნულად იცოდა ვისზე ეყარა ჭაერი. „შურისძიების წყურვილმა გული მისცა მექის. ორი ცარიელი წელიწადია მისი გაუნელებელი ჯაგრი გზას ეძებდა, და აა, მექი ახლა სამაგიეროს მიუზღავს ერემოს! ნაჯომიას, ქვეყანას, ყველას, ვინც მის გაუხარელ ახალგაზრდობას ამდენი სიმწარე არგუნა“.

მაგრამ ამ სტიქიურმა ჯანყმა, შეუგნებელმა წინააღმდეგობამ არსებულსადმი და ლტოლვამ რაღაც შეუტონობელი საყენ მექის კიდევ ერთი ნაბიჯი გადაადგმევინა თავისთავის მონახვის გზაზე, მან მოსჭრა უკან დასაბრუნებელი გზები, კაცობრი დაწყობა წარსულთან.

თუმცა ეს კაცობრი დაწყობა უფრო გარეგნულია, ვიდრე არსებითი. მართალია მექი განუღვა ერემოს. ვერაფერი გახდა, განთავისუფლდა ეკონომიურად, მაგრამ სულიერად იგი ჯერ კიდევ თავისი ჩვევების ტყვეა.

„მოჯამაგირობა სულიერად აბეჩავებს კაცს. მექი ახლა კალექტივში იყო. მაგრამ ჯერ კიდევ თავისუფალ კაცად არ მიიხსნა თავი. ამ ბეჩავ ხასიათს ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებდა“. უნდა მომხდარიყო რაღაც ისეთი, რაც მექის თავისი პიროვნების მნიშვნელოვნობაში დაარწმუნებდა და მოხდა კიდევ. მექი ერთხმად მიიღეს კომპაგშირში, თალიკოს კი უარი უთხრეს. „მხოლოდ იმ დღეს იგარძო მექიმ მან რაღაცაში აჯობა თალიკოს, მაგრამ ეს „რაღაც“ იმდენად ბუნდოვანი იყო მექისათვის, რომ თალიკოს გაწილებდა კიდევ ეწყინა და კიდევ გაუხარდა. ამან უკვე მექი შეგნებულად ჩააფიქრა თავის რაობაზე. და მართალია, მწერალი აქვე შენიშნავს, რომ მექი „დღეს თითქოს მეორედ დაიბადო“, მაგრამ ფაქტიურად მექი აქ მხოლოდ დაფიქრდა თავის რაობაზე. შემდეგ, როცა ეწერის ამოძირკვავზე კომპაგშირის მდივანთან, ბაჭუსთან ერთად მუშაობს, როცა მარტო რჩება და მდივნის მიტოვებულ საქმესაც ის აკეთებს, მას უკვე ეუფლება საკუთარი პიროვნების მნიშვნელოვნობის, თავმოყვარობის შეგრძნება. „ფეხზე ძლიეს იღვა. შინ წასულა დაეხარა და ღამის გასათევად ფარულში დარჩა, ფარავის დახურვა ვერ მოასწრო, მუცლზე მოიტაცა იმ ბედნიერმა ძილმა, კაცი რომ დიდ დოვლათს შინ მიიტანს და ტკბილად დაიძინებს“. მექიმ მიიჯნო ამ დოვლათს, ეს მისი სიძლიერე იყო, ნებისა და კონტენტისა, მან შეიგრძნო ეს და ამიტომ ბედნიერი იყო მისი ძილი. მაგრამ მექი ჯერ მაინც არ იყო თავისუფალი, რადგან, მართალია, მან შეიცნო თავისი თავი, გარემო მისთვის შეუცნობელი დარჩა. გარემოს არცოდნა წინააღმდეგობა იყო მისი განთავისუფლების გზაზე; ეს წინააღმდეგობა მას უნდა

დაეძლია. გაიხსენოთ, როგორ ვეცდრება იგი ბაქუა ვარდოსანიძეს ანბანის სწავლას: — „მასწავლე, თუ ძმა ხარ, მასწავლე! ერთი მეც გავიგო ამ ქვეყნის ამბავი“.. ეს ფუტკი ცნობისმოყვარეობა კი არ არის, არამედ საკუთარი თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანის შეტევა: „კითხვაში რომ ვაიმართა, წიგნებს ხარბად დაეწავა. ორიოდვე კვირის შემდეგ აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ ზეპირად იცოდა. დამწევი ოთხი-ხუთი საათი ძლივს ეძინა. მხოლოდ მისებრ მავარ პაბუქს თუ შეეძლო ამდენი ჯათვისა და უძილობის ატანა.

საღამომანს წიგნს რომ მიუჭვდებოდა, თავს ისე მხნედ და ხალისიანად გრძობდა, თითქოს მთელი დღე მძიმე, მომქანცველ შრომაში არ ყოფილიყოს“.

ეს იყო დასაწყისი გარემოს შეცნობისა. შემდეგ მექის ტრაქტორისტების მოსამზადებელ კურსებზე გზავნიან და როდესაც იგი სოფელში მობრუნდება უკვე სხვა ადამიანია, თავისუფალი ადამიანი, რომელმაც შეიცნო თავისი თავიცა და გარემოც და ეს შემეცნება მისთვის ბედნიერებად იქცა. იგი ჩაწვდა თავისი თავის რაობას, მისი, ადამიანის, დანიშნულებასა და მიზანს, ეს იყო მექის დიდი აღმოჩენა და მწერლის მრავალწლიანი ძიებების გზაზე ნამდვილი გამარჯვება.

„გარკვად გათენებული იყო, როდესაც მექიმ ქუთაისის რეინივზის სატვირთო სადგურიდან ახალთახალი ტრაქტორი გამოიყვანა და პირდაპირ ზემო ციხის გზას დაუყენა“.

— ხრციუნია! — შესძახა მან და თავი ისე ვაიჭნია, თითქოს ვილაცას დაეშუტკრაო: — ეს შენა ხარ, შე საწყალო მოჯამავირეც, პირველი ტრაქტორი რომ მიგყავს შენს სოფელში?

და მანინ ამოსჯა გულიდან რაღაც უცნატრი, ყვირილის მსგავსი სიმღერა. ეს სიმღერა არა ჰგავდა არც ერთ სიმღერას, იმერეთში რომ ოდესმე თქმულა, ამ სიმღერას არც სიტყვა ჰქონდა, არც ნაცნობი კილო, არც დასაწყისი და დასასრული... ამ სიმღერას ვერასოდეს

ვერ გაიმეორებდა სხვა ვაცი“.

ეს იყო თავისუფალი ადამიანის აღმოჩენა, ადამიანისა, რომელმაც ციხის ტყეში თვის არის ადამიანი, აქვს თავისი მიზანი და ამ მიზნისაკენ წინსვლის უნარიც. მექი უკვე აღარაა ხრიკუნია, იგი ბევრად მაღლა დგას თავის თანასოფრელებზე, სწორედ იმიტომ რომ თავისუფალია, თავისუფალ ადამიანს კი ბევრი რამ ძალუძს. იგი პოტენციალური გმირია — და პირველივე ნაბიჯი მექი ვაშაყიძის, ადამიანისა, გმირობაა.

კულაჯ ბარანაბა საგანგებოდ ხელშეწყობით მექის ხაჯომია ჩაუსაფრდება და ორი ტყვიით დასჭრის. კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნაწარმოებთა გმირობის ჩამდენი ყოველი ადამიანი, გმირობას ესწრაფვის არა როგორც განდიდების აქტს, არამედ როგორც საკუთარი სიცოცხლის გამოვლენას. ასე იქცევა ლადო ვაშალოშიძე („მწვეანე დილიდან“), ასე იქცევა მექი:

„მომკლა იმ ურჯულომ“, — გაიფიქრა და ერთბაშად მთელ ტანზე ცივი ოფლი დაასხა. როგორ არ უნდოდა ახლა სიკვდილი!

ტყვილი ოდნავ დაუყუნდა. იქნებ სისხლის დენაც შეუჩერდეს, ასე გაუნძრევლად რომ იწვეს... მერე ვინმე ჩამოივლის და მიეშველება...

უეცრად ტრაქტორის ნელი დაგადუგი მოსწვდა დაჭრილის ყურთასმენას. ამ ხმამ ერთბაშად გამოაფხიზლა თითქმის მიძინებული მექი.

ხილისაკენ გაიხედა.

უპატრონო ტრაქტორი დაქანებულ ფერდობზე მიდიოდა, ცოტაც და მანქანა ხრამში გადაიჩეხებოდა.

„ვაი შენ ჩემო თავო! სოფელი რას იტყვის!“ (მექისათვის სულერთია ახლა სოფელი რას იტყვის. მისთვის ტრაქტორი მხოლოდ ტრაქტორი აღარაა, არამედ მისი სიძლიერის, მისი უპირატესობის განსახიერება. ქვეშეცნეულად ასეა, შეიძლება თვითონ არცა აქვს ასე გააზრებული და ტრაქტორი სანამ იგი ცოცხალია, უნდა გადაარჩინოს. ტრაქტორის გადარჩენა მისი სიცოცხლის დამამ-

ტიცებელი აქტია. — კ. ი.). მძლავრად დარეკა მექის გულში. ისევ მკლავს დაეყრდნო და ერთბაშად წამოიშურხლა, მწარე ტყვიელმა ღონე გამოაცალა, შექანდა, ლამის პირქვე დაემხო... თავი შეიმაგრა. ნელ-ნელა წამოდგა, მერე თითქოს უბიძგესო, ადგილს მოსწყდა..

შემდეგ ვერასდროს ვეღარ გაიხსენა მექიმ როგორ გაიბრძინა მან ტრაქტორამდე დარჩენილი მანძილი.

როდესაც ტრაქტორის შესახვედრად წამოსული ზემოციხელები გუბისწყლის ხილს მოადგნენ, მათ დაინახეს: გულშემოყრილი მექი ორივე ხელით მუხრუჭს ჩასვიდებოდა და ტრაქტორი ზედ ხრამის პირას გაეჩერებინა“.

გმირობის ჩასადენად შესაბამისი სიტუაციაა საჭირო, მაგრამ სიტუაცია სიტუაციად დარჩება თუ პიროვნება არაა მომზადებული ამ გმირობისათვის. მწერლის დამსახურება ისაა, რომ მან გვიჩვენა მექის ხასიათის ჩამოყალიბება მხოლოდ ისეთად, რომლისთვისაც გმირობა უკვე თვისებაა და მის გამოვლენას მხოლოდ შესაბამისი სიტუაცია სჭირდება. და ამ მექის შემდგომი ცხოვრება, საქმიანობა უკვე აღარ არის ისე დინამიური, ისე მძაფრი, გარეგნულად, როგორც ამ მომენტამდე იყო, მან მიადგინა სიმბოლეს და მხოლოდ ერთი ხუნდის მოშორებადა დარჩა—თალიკოს სიყვარულისა, იმ სიყვარულისა, რომელმაც მექის თავისუფლების წყურვილი გაუღვივა და მოჯადოებული წრიდან გაშოსვლა უბიძგა. მწერალი ცოტახანს თითქოს ჩრდილში აყენებს მექის, თბრობის აქცენტი სოფლად კლასობრივ წინააღმდეგობაზე გადააქვს. უფრო და უფრო მწვავდება კონფლიქტი წარსულსა და ახალს შორის. ბარნაბა საგანელიძე ახლა ტარასის მიუგზავნის მკვლელს. აქაც ხელი მოეცარებათ კულაკებს. და როცა ბარნაბა ხელდაეს, რომ ბრძოლა წაგებულა, ცდილობს ქონება მაინც გადაარჩინოს. სწორედ აქ შემოდის ისევ მექი თავისი ძლიერი განცდებით: ქალისადმი, თალიკოსადმი სიყვარულით და მწვავე კლასობრივი შეგნებით. ამ ორ-

თაბრძოლაში მექი გამოდის გამარჯვებული. იგი უარყოფს ქალს, უარყოფს მისი გამარჯვება არა ნაკლებად ვიდრე ქალის აღრინდელი გმირობა, ეს ნაბიჯი მექისა არაა ნაუცბათევი, იგი ნელ-ნელა მზადდება, თუმცა მიუხედავად ამისა, თითქოს მაინც ოდნავ მკრთალად არის დახატული.

მექის სულიერი გამარჯვება და ადამიანად ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, მისმა პირადმა თვისებებმაც განაპირობებს, მაგრამ მთავარი მაინც ის ვარემო იყო, რომელმაც იგი ამ აღმოჩენამდე მიიყვანა. მე მხედველობაში მყავს არა მარტო ტარასი ხაზარაძე და ბაჭუა ვარდოსანიძე, არამედ ერემო და ბარნაბაც, თალიკოც და ხაქომიაც, მათ ვარემო მექი ვაშაქიძე არ იქნებოდა. მექის ხასიათი სტიქიურად არ ჩამოყალიბებულა მხოლოდ ასეთად. იგი განსაზღვრა იმ ვარემომ, რომელშიც ცხოვრობდა, იმ ადამიანებმა. რომლებიც მას გარს ერტყნენ, იმ წინააღმდეგობებმა, რომელთაც იგი ან უნდა გაეკრისათ და ან უნდა აეღორძინებინათ. ეს წინააღმდეგობები, ეს ბრძოლა უკომპრომისოა და არა მარტო ხასიათთა შეჯახებით განსაზღვრული. მართალია, რომანის ლერძად ორი ხასიათის ჭიდილი იქცა — მექისა და ხაქომიასი. გავიხსენოთ, რომანი მათი ფიზიკური შერკინებით იწყება და მთავრდება. და თუ მექი ჯერ მარცხდება და მერე იმარჯვებს, ეს განსაზღვრულია არა მისი ფიზიკური სიძლიერით, იგი ყოველთვის ძლიერი იყო ხაქომიაზე, არამედ მისი სულიერი სიმტკიცით და მის ზურგს უკან მდგომი ძალით. აქ უკვე მარტო მექი კი არ იმარჯვებს, არამედ მისი კლასი. მექი და ხაქომია მოხარდები არიან და მათი სოციალური სახის ჩამოყალიბება ჩვენს თვალწინ ხდება, ჩვენს თვალწინ ხდება მათი პიროვნული მეტოქეობის კლასობრივ წინააღმდეგობაში გადაზრდა, მაგრამ მას თავიდანვე გასდევს ორი კლასის ბრძოლა, რაც ტარასი ხაზარაძისა და ბარნაბა საგანელიძის შეურთიგებელ წინააღმდეგობაში გამოიხატება. ეს ბრძოლა, ზოგჯერ შენი-

ლბული, ზოგჯერ აშკარა, მაგრამ დაუნდობელი და საბოლოო, ემთხვევა რომანის კომპოზიციურ ღერძს, მექი — ხაეშიას მეთოქეობას. ტარასის გამარჯვება მექის გამარჯვებაა, ბარნაბას გამარჯვება კი — ხაეშიას გამარჯვება — სწორედ ამიტომ. ეს ორი ხაზი რომანისა ორგანულად ერწყმის ერთმანეთს და მძაფრი კონფლიქტებით აღსავსე ფაბულას ქმნის. დაწყებული ბრძოლა უნდა დამთავრდეს, უნდა დამთავრდეს ადამიანის განთავისუფლებაც და მისი ამაღლებაც. სწორედ ამიტომ, არამართებული იყო მარიეტა შავინიანის გეგმა მთლიანად ნაწარმოებისა, და აქედან გამომდინარე — მცდარიც, რომანის კომპოზიციური შეფასება: „რომანში მოთხრობილია მოქაშავირე მექის ისტორია, ისტორია მისი გარდაქმნისა კომკავშირულად და ტრაქტორისტად (ცოტაა. უნდა იყოს: „გარდაქმნისა ადამიანად, რომელიც მზადაა გმირობის ჩასადენად“ — კ. ი.). მასში კოლიზია წიგნის დასასრულამდე მიდის. ისტორია კომკავშირელისა მთელ წრეს შემოხაზავს და როდესაც თქვენ რომანის კითხვას ჩაათავებთ. გგონიათ რომ წიგნი ვათავდა (შავინიანი ლაპარაკობს რომანის პირველ ნაწილზე — „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ — კ. ი.). მაგრამ როდენია თქვენი ვაოცება, როდესაც დამამთავრებელი წერტილის შემდეგ, ქვევით ხედავთ საკრამენტულ ფრაზას: „პირველი წიგნის დასასრული“; ამ ბწყარს ტექსტში არავითარი გამართლება არ მოეძებნება („Литературная газета“, 23 августа, 1934). როგორც ზევით ვნახეთ, მეორე ნაწილი არა თუ სასურველი იყო, არამედ აუცილებელიც — არ შეიძლებოდა პირადი განთავისუფლების გზაზე მექი ბოლომდე არ მიეყვანა ავტორს და იგი თალიკოსადმი სიყვარულის ტყვეობაში დაეტოვებინა, არ შეიძლებოდა სოფლად ატეხილ მწვავე ბრძოლას წერტილი არ დასმოდა, არ შეიძლებოდა ტარასისა და ბარნაბას, მექისა და ხაეშიას ბრძოლა უშედეგოდ დამთავრებულიყო, თუ ამას გავითვალისწინებთ,

დაერწმუნდებით, რომ მეორე ნაწილი ისევე აუცილებელია ველისათვის, როგორც პირველია რიასათვის. სწორედ ამ ხაზების დასრულებულობის გამო არის რომანი მთლიანი და თავისი შინაგანი განვითარებით ლოგიკურად დამთავრებული.

დაპირისპირებულთა (მექი — ხაეშია, ტარასი — ბარნაბა) ბრძოლა ლორთქიფანიძეს მეტად თავისებურად და მკვეთრად ინდივიდუალურად აქვს გააღწევტილი, რაც ამ ბრძოლის პერიპეტეიებს მეტ დამახულობასა და დამაჯერებლობას მატებს. ტარასი და ბარნაბა ორივე ძლიერი პიროვნებაა, რომელთაც შეგნებული აქვთ თავიანთი მიზნები და ნებისმიერი მსხვერპლის გაღებით მზად არიან მიაღწიონ ამ მიზნებს. ეს თანაბართა დაუნდობელი და სტრატეგიული ბრძოლაა თავიდანვე განსაზღვრული კლასობრივი აქცენტით. „ხრიკუნია“ არაა ხაეშიას ღირსეული მეტოქე, ისევე როგორც ხაეშია არაა მექის ღირსეული მეტოქე. მექი ჩვენს თვალწინ იზრდება და აღის კლასის შეგნებამდე. ხაეშია უფრო და უფრო დაბლა ეშვება. თავისი ინსტინქტების ტყვე, იგი მექის, როგორც კლასობრივ მტერს კი არ ებრძვის, არამედ როგორც მისთვის არასასურველ პიროვნებას. ამიტომ მექის გამარჯვება ხაეშიაზე, ეს უკვე აღარაა დიდი გამარჯვება, თალიკოზე გამარჯვება კი ტრიუმფია. მექი ისინის უკანასკნელ ხუნდს — თალიკოს სიყვარულს და ამარცხებს კლასობრივ მტერს — თალიკო — ბარნაბას. ამ უკანასკნელი აქტით იგი მხარში უდგება ტარასის, ახალი ცხოვრებისათვის თანმიმდევარ მებრძოლს.

ტარასის სახე, მექის სახესთან შედარებით, მოკლებულია იმ ეფემტურობას, რითაც ასე დამახასიათებელია მექი. მაგრამ ნუ დაგვაიწყებება — ტარასი ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი ცდაა შექმნას სახე ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი პარტიული ამხანაგისა.

მწერლობამ იცის ბევრი მავალითი, როცა მკაფიო ინდივიდუალური ხასიათის მავიერად მწერალი ქმნის ზოგადსახეს თავისი იდეების გამოსახატავად. ტარასი ხაზარაძე ჩვენი ცხოვრების იმ პერიოდის წამყვანი იდეა და ტენდენციაა. მისი საქმე—პარტიის საქმეა, მისი ბრძოლა პარტიის ბრძოლაა. ამიტომ ვასაგებია, რატომ სჭარბობს მის სახეში ზოგადი ინდივიდუალურს. ნაწარმოებისათვის ეს ზოგადია მთავარი.

როდესაც ტარასის სახეზე ვლაპარაკობთ, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ. ოცდაათიან წლებში საბჭოთა ლიტერატურაში რამდენიმე რომანი შეიქმნა, რომელთაც ასახეს საბჭოთა სინამდვილე—სოციალისტური მშენებლობა. პირველ რომანებში ჩანდა პროცესი ამ მშენებლობისა და, სამწუხაროდ, აეტორთა სურვილს ახალი ადამიანის შექმნა ეჩვენებინათ, გამარჯვება არ მოპყლია. ასეთებია ამ დროის საუკეთესო რომანები—მარიეტა შაგინიანის „Гидроцентраль“, ლ. ლეონოვის—„Соть“, ვ. კატაევის — „Время, вперед“, ფ. გლადკოვის „Энергия“.

ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის რომანებში უკვე ჩანს, როგორ ვარდაქმნის ახალი ცხოვრება ადამიანს, და ლიტერატურაში შემოდიან გმირები, რომელნიც ახალი ცხოვრების გარეშე არარაობანი იქნებოდნენ. ჩვენ ვართ მომსწრე მათი ადამიანად გახდომისა. ასეთია ა. მალიშკინის „Люди из захолустья“, და ვ. პანფეროვის „Бруски“, მართალი და ძლიერი ნაწარმოებები; მაგრამ მათში მთელი სიმადლით მიიწე არ ჩანდა ახალი ადამიანი, ახალი ცხოვრების შემქმნელი. ძიებათა ამ გზაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ი. კრიმოვის „Танкер „Дербент“, ხოლო მწვერვალი ამ ძიებისა მ. შოლოხოვის „Поднятая целина“ გახლდათ. ასე ჩანს ზოგად ხაზებში ის ევოლუცია, რომელიც გაიარა ოცდაათიანი წლების იმ საბჭოთა რომანმა, რომლის ცენტრშიც თავდაპირველად წარმო-

ების ისტორია იდგა, მერე კი პირველების ისტორია დადგა (იხე. Русская советская литература, გვ. 249, 1955).

კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ მისი მექითა და ტარასი ხაზარაძით, სწორედ ამ ბოლო ნაწარმოებებს უდგას ვევრდით, რადგან მასში არის ნაჩვენები ადამიანის გარდაქმნელი შრომა, ადამიანის გარდაქმნა (მექი) და ცხოვრების გარდაქმნელები (ტარასი და რომანის მეორე ნაწილში მექი). ტარასის სახეს რომანში საკმაოდ დიდი ფუნქცია აქვს. იგი ხალხის წინამძღოლია, მისი ტყვილის გამგები და მკურნალი, და სწორედ ამიტომ, გლეხთა შორის დიდი ნდობით სარგებლობს. „ჩვენებური გლეხი მხოლოდ იმისთანა თავკაცს აღსაქვს, ვისაც ასი ყური აქვს და ერთი ენა. „კარგმა გამგონმა კარგი საქმე იცისო!“ შემოციხის კომუჭრდის მდივანი ტარასი ხაზარაძე სწორედ იმიტომ უყვარდა სოფელს, რომ ლაპარაკზე მეტად მოსმენა უყვარდა.“

რომანში ტარასი საკმაოდ მოგვიანებით შემოდის, ჯერ მეთორმეტე თავში გავრით, როცა კულაკი ბარნაბა საგანელიძე იხსენებს, როგორ ჩამოართვა ტარასიმ ბალი და რომ „მისი ფუძე ტარასი ხაზარაძის ხელმა მოარყია“. ჩვენ ვიცით, რომ ბარნაბა და ტარასი საუკუნო მტრები არიან, მაგრამ წარმოდგენა არა გვაქვს ტარასის ხასიათზე და ინდიფერენტული ვართ მისდამი. მეთორმეტე თავში მწერალს ტარასი უკვე რთული სახით შემოპყავს და აქედან მოყოლებული, ვიდრე ბოლომდე პარტიისა და მთავრობის ერთგულ, პრინციპულ ადამიანად გვევლინება. იგი საკოლმეურნეო არტელის შექმნის ინიციატორია, კულაკთა შეურიგებელი მტერი და ლატაკთა შემწე. საქმის ერთგულება მასში შერწყმულია ადამიანურ ტაქტთან, მონებებულობასთან, სწორედ ამ თვისებებმა შეაძლებინეს მას არტელის შექმნა და სხვადასხვა ბუნების ადამიანების, სხვადასხვა ხასიათთა და ინტერესთა მორიგება. ტარასი ხაზარაძემ გაიზიარა იმ

დროის ლიტერატურის ასეთი ტიპის ბედი — იგი ცდილობს საზოგადო საქმე და პიროვნული, თავისი ცხოვრება, ერთმანეთთან მოაზროს, მაგრამ უჭირს, და მართალია სახლში მხოლოდ შეღამებულზე ახერხებს შესვლას, ცოლისა და შვილების დარდი მუდამ თან დაჰყვება. არა, მას არ დაუტოვებია ოჯახი, შოლოხოვის ნაგულნოვსავეთ, მწვევედ განიცდის კიდევ საშიშროებას, რომელიც მის მოსალოგინებელ ცოლს ელის, მაგრამ ფაქტიურად ტარასის არა აქვს პირადი ცხოვრება. უფრო სწორედ, საზოგადო მის პირადულს მთლიანად ფარავს. ტარასიმ არ იცოდა როგორ შეთანხმებინა ერთმანეთისათვის საქმე და ოჯახი და ეს მხოლოდ მისი პიროვნული ნაკლი კი არ იყო, იმ დროისა და იმდროინდელი მწერლების ნაკლსაც წარმოადგენდა. ტარასი ცოცხალი ადამიანია და, რა თქმა უნდა, მისი მოქმედება და საქმიანობა უშეცდომო ვერ იქნებოდა. იგი უშვებს შეცდომებს თავის პარტიულ მოღვაწეობაშიც (გავიხსენოთ კრების ნაჩქარევად მოწვევის ეპიზოდი, ბარნაბასთან ბრძოლის დროს ყურადღების მიძინება), მაგრამ თვითკრიტიკულად განწყობილს ამ შეცდომების გამოსწორების უნარიც აქვს. ხაზარაძე, ისევე, როგორც შოლოხოვის დავიდოვი, სოფლად პარტიის პოლიტიკას გამტარებელია. დრო ერთია, კოლექტივიზაცია, ბრძოლა კულაკებთან, პოლიტიკა ერთი — პარტიის პოლიტიკა, ბუნებრივია, რომ მათი მოქმედების სქემაც ერთნაირია, აქედან გამომდინარეობს შეცდომათა ერთგვარობაც — ისინი იმ შეცდომებს იმეორებენ, რაც დამახასიათებელი იყო იმ დროის პარტიის მუშაკთათვის და რომლის აღმოფხვრასაც სპეციალური ღონისძიებები დასჭირდა. და თუმცა ეს ზოგადი, როგორც ერთთან, ისე მეორესთან, ერთი ადამიანის კონკრეტულ საქციელში ვლინდება (სხვადასხვა ვანცდა გარემოსი, ადამიანთა შეცნობა, რაც ინდივიდუალურია, როგორც დავიდოვთან, ისე ხაზარაძესთან), მაინც როგორც ერთი,

ისე მეორე განსახიერებაა ქვეყნულ-რატურაში არსებული პარტიულ-საქმიანობის, მასების აღმზრდელისა და წარმომადგენლის ზოგადი მხატვრული სახისა.

ტარასი ხაზარაძეს ბრძოლა საქმაოდ რთულ პირობებში უხდება. მან უნდა დაძლიოს წინააღმდეგობა არა მარტო კლასობრივი მტრისა, გაერკვეს კულაკ ბარნაბას და მეღუქნე ერემოს ინტრიგებისა და სოფლსაბჭოს თავმჯდომარის, გადაჯვარებული კომუნისტის ტუჩა და-შნიანის შეცდომათა ხლართში, არამედ, და ეს მთავარია, მან უნდა დაამარცხოს გლეხის სულსა და სხეულში საუკუნოობით ფესვგადგმული მესაკუთრული ინსტიტუტები. გავიხსენოთ, როგორ ყოყმანობს გიორგი ჯიშკარიანი კოლმეურნეობაში შესვლაზე. გავიხსენოთ, როგორ შორიდან აღევნებს კოლექტივის შრომას თვალს ასლან მარგველაძე. გავიხსენოთ, როგორ გაუბრბის კოლექტივში გაერთიანებულ ყველა გლეხს თვალი თავისი ყოფილი საქონლისაკენ თუ საშუაო იარაღისაკენ. ამ ინსტიტუტის დამარცხება, ისე რომ ცოცხალი დარჩენილიყო მიწისადმი და შრომისადმი უსაზღვრო სიყვარული (ასლან მარგველაძეს რომ აქვს სწორედ ისეთი) ტარასი ხაზარაძისა და მისი საქმის დიდი გამარჯვება იყო. ტარასიმ ღირსეულ მეტოქესთან ბრძოლაში გაიმარჯვა და ეს კიდევ ზრდის მისი გამარჯვების ფასს. საშუალო გლეხი, ასლან მარგველაძე ჯერ ბარნაბასაკენ იხრება, იმიტომ რომ თავის მომავალ ბარნაბაში ხედავს — ასლანს შრომა უყვარს, მაგრამ კარგი ცხოვრებაც უყვარს და სიმდიდრეც უყვარს. მაგრამ როდესაც დაინახავს, რომ ამ კარგი ცხოვრებისაკენ ხაზარაძის გზა უფრო ფართოა და ნათელი, მის ყოყმანს ბოლო მოეღება, იგი შევა არტელში. ხაზარაძემ მიიმხრო საშუალო გლეხი, ეს მისი პოლიტიკური გამარჯვება იყო და პარტიის პოლიტიკის სწორი განხორციელება. ავტორმა ტარასი ხაზარაძის თანამებრძოლი ადამიანები რომ დაგვიხატა, საზოგადოების სხვადასხვა ფენის

მისწრაფებები, სურვილები, განვითარების ტენდენციები და მომავლის პერსპექტივები გვიჩვენა. ამ ფაქტმა „კოლხეთის ცისკარს“ ნამდვილი ხალხურობის იერი შესძინა. მასში დამარცხებულნიც კი ღირსეულად არიან წარმოდგენილნი, მოუხედავად იმისა, რომ ავტორი მათდამი არაა სიმპათიით განწყობილი, რაც მის, ნამდვილად ხელოვანის ტაქტზე მიუთითებს. ერემო პირტახია და ბარნაბა საგანელიძე, ხაეშია და დახუნდარა მეტად კოლორიტული ფიგურები არიან, მაგრამ მათგან მაინც ბარნაბა გამოირჩევა, რომელსაც შრომისმოყვარეობა, ნებისყოფა, მოხერხებულება, დაუნდობლობა და მიზნების სიცხადე ახალ ცხოვრებისათვის მეტად საშიშ პიროვნებად აქცევს. მაგრამ ეს მისი სისუსტეცაა, რადგან თავის ბრძოლაში იგი იმავე მესაკუთრედ რჩება და ამიტომ ეს ბრძოლა ვერ აღის შეგნებული პოლიტიკური აქტის სიმაღლემდე. თითქოს აჯანყების მზადებაში ჩაითრია იგი დიმიტრი გელოვანმა, არალეგალური ცენტრის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მაგრამ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლა იფუშება, ბარნაბა კი როგორც თავიდან, ისე ახლაც, მხოლოდ თავისი ქონების გადარჩენაზე ზრუნავს, თუმცა, მექის ხელშეშლის გამო, ამასაც ვერ ახერხებს. ბარნაბას დამარცხებით მწერალმა ერთი პიროვნების დამარცხება კი არ გვიჩვენა მეორე პიროვნებასთან ბრძოლაში, არამედ დავანახა: რა ძლიერიც არ უნდა იყოს ადამიანი, თუ მისი სურვილები და ზრახვები ეპოქის წამყვან ტენდენციას არ ემთხვევა, იგი ვერ გაიმარჯვებს ცხოვრებასთან ბრძოლაში და გაირიყება ისე, როგორც ბარნაბა საგანელიძე, დიმიტრი გელოვანი, დახუნდარა, ხაეშია და ერემო გაირიყნენ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის ამ რომანში ბევრი მოქმედი პირია, რომელნიც ჩაითრია ორი დაპირისპირებული მხარის ბრძოლაში და ერთ ან მეორე მხარეზე აღმოჩნდნენ. ყველა ისინი მეტნაკლები სისრულით ყავს ავტორს დახატული, მაგრამ მათი ინდივიდუალური თავისებუ-

რება, სულ ერთია იქნება ეს თალიკოთუ დოფინა, დახუნდარა თუ ბაქუა ვარდოსანიძე, შესამჩნევად მკაფიოა და დასამახროვრებელი. შეიძლება ვილაპარაკოთ ზოგი ხასიათის არამთლიანობაზე (თალიკო), ზოგის სქემატურობაზე (კომკავშირის მდივანი ბაქუა ვარდოსანიძე, ვერ იქნა და ვერ გამოკვთა კომკავშირული ხელმძღვანელის სახე მწერალმა, რომლითაც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იყო გატაცებული), იმაზე, რომ აგრონომ გეგელიას ხაზი უფრო მეტ სისრულესა და რომანის კომპოზიციასთან უფრო მეტ სიახლოვეს საჭიროებს, რომ იგი თითქოს არ ზის თბრობის საერთო რიტმში (თუმცა ეს ვასაგებიცაა: ინტელიგენტი და საბჭოთა სინამდვილე, ახალი ცხოვრების მიღება და უარყოფა, ეს იმდენად დიდი პრობლემაა, რომ ცალკე რომანს საჭიროებს და ალბათ ამიტომაც იბადება ერთგვარი შთაბეჭდილება ნაკლებობისა, რომლის ვარგულ გამოვლენებს ვამჩნევთ მხოლოდ — რიტმის დარღვევას, კომპოზიციის არაკომპაქტურობას და ა. შ.), მაგრამ ერთი რამ ცხადია, ავტორმა მოგვცა თავისი დროის ფართო პანორამა. ამა თუ იმ ნაკლს მის ღირსებებში მნიშვნელოვანი ცვლილებანი არ შეუტანია. და ამის მიზეზი მართა წამოჭრილ პრობლემებსა, ახალ თემასა და ახალ გმირებში არ უნდა ვეტყვობთ. რაც უნდა საპატრო იყოს მიზანი, თუ იგი შესაბამისად არაა ხორცშესხმული, მიზანი მიუღწეველი დარჩება. მხატვრული სიმართლე მხოლოდ მხატვრული საშუალებებით მიიღწევა. ეს რომანი დიდი ნახტომი იყო მწერლის შემოქმედებაში, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისათვის კი მნიშვნელოვანი შენაძენი სწორედ თავისი წმინდა მხატვრული ღირსებების გამოც (თუ კი შეიძლება ასე სტერეოტიპულად მხატვრულობის გამოყოფა). ამ სიტყვების დასტურად მე მიიდა მოვიყვანო ქართული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის დაუსტამბავი სიტყვა წარმოთქმული რომანის პირველი ნაწილის („ძირს სიმინდის რესპუბ-

ლიკა“) განხილვის დროს, მით უფრო, რომ მწერლის ყოველ დებულებას სავსებით ვეთანხმებით — „მრავალჯერ მიტქვამს და კიდევ ვიმეორებ, თუ მწერალს კარგად გამართული ქართული არ ეხერხება, ის შორს ვერ წავა, აქ საჭიროა ზომიერების დაცვა. უკანასკნელ დროს ქართულ ენაში შემოიჭრა მრავალი ნოვატორული ხერხი, მათ შორის სიტყვის შემოკლება. „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“—ში წავაწყდი ზოგიერთ სიტყვებს, რომლებიც ჩემთვის გაუგებარი არის. მიუხედავად ამისა, მე გირჩევთ თვალი გადაავლოთ მის წინანდელ მოთხრობებს „ახალი გლეხები“ და ესლა იმ წიგნს ვერც კი იცნობთ, ეტყობა ლექსიკონის დიდი გამდიდრება, სინტაქსური გამაღამინება. მისი ქართული ამჟამად უკვე დიხვეწა, და უმთავრესი ის არის, რომ მწერლის სიტყვა იყოს გამჭვირვალე, მკაფიო, ვასაგები და მოქნილი. ეს აუცილებლად აქვს ლორთქიფანიძეს, რომელიც, მე ვიცი ქართულ ენაზე ბევრს მუშაობს.

ესლა მის მხატვრულ სახეებზე უნდა მოგახსენოთ. მის ძალიან მჭრელი თვალი აქვს. ნივთიც კი, ისე როგორც ადამიანი, მისი გავლენის ქვეშ არის მოქცეული. რამდენიმე მაგალითი: „გაზაფხულის თეთრი სიცილი“, „მექის ისე ამჩნევდნენ, როგორც ეზოში დაბმულ ძაღლს ამჩნევენ ხოლმე“, „მექის ისე ათვალეიერებდნენ, თითქოს თავისი თოთხმეტი წელი საღდაც მოუპარავსო“, თითქოს მატარებელზე დაგვიანდაო, მექი შინ ისე გულდაწვევტილი დაბრუნდა.

მისი მხატვრული სახე სუფთა, მკაფიო, სრულიად ახალნაირად არის მოჭრილი. ზოგ მწერალს ყოველ წინადადებაში მხატვრული სახე აქვს. მაგრამ ეს ხუთ გვერდზე ეყოფა და მეექვსიდან კი იწყება პროტოკოლი და, ასე მიდის ორას გვერდამდე. ამ მხრივ, ლორთქიფანიძეს მხატვრული სახეები ძალიან ზომიერად და თავის ალაგას აქვს განაწილებული. იმერეთი და მისი ცხოვრება ამ წიგნში სულ სხვანაირად მომჩვენა, ვინემ აქამდე მჭონდა წარ-

მოდგენილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მხატვარს ცხოვრება ასახული ფაქტობრივ სუფთა საღებავებით. არაფერმსი სუფთა არ არის, რაც ჩრდილს აყენებს ხოლმე ამა თუ იმ სურათს, ვიდრე აშუქებს მას. მისი ორნამენტი და დეტალები ძალიან ნათლადაა, მაგრამ ამავე დროს, ზომიერად, კარგად განაწილებულია. მას კარგად აქვს აწერილი იმერული ქეიფი. შემდეგ გიორგი მიწას რომ პარავს მიკიტანს (უკანასკნელ ვარიანტში ასლიან მარგველად მიწას პარავს გიორგი ჯიშარიანს — კ. ი.). დახუნდარა რომ მიუღარდება აღმასკომს, ბოლშევიკებო, ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ და რატომ არ გვეხმარებითო. ყველა ეს პატარა სურათებია, მაგრამ ძალიან მკაფიოდაა აწერილი. ქალების აჯანყება და ბოლოს, უკანასკნელი სურათი — მექის დაჭრა და მოსულიერება — დიდი ხელოვნებით არის აწერილი. დიდ მხნეობას აძლევს მკითხველს.

შემდეგ კიდევ უნდა ავღნიშნოთ ერთი რამ—დილოგი, ამ მხრივაც ლორთქიფანიძე ბედნიერი მწერალია. დილოგი მას ძალიან ემარჯვება. ზედმეტი მასალით ის დილოგს არ ტვირთავს. დილოგს კი ყველაზე მეტად უნდა ვაფრთხილება. რაც უნდა საინტერესო იყოს შინაარსი, თუ მასში მხატვრული დილოგები არ არის, ნაწარმოები კარგავს თავის სიმძაფრეს. ამ მხრივ მას დაწურული აქვს დილოგი. მართალია, მისი ტიპები ცოცხალია. ამ მაგალითად, მექი, ან დახუნდარა. ასევე ცოცხალი სახეებია ერემო, ბარნაბა, ტარასი...

აქ ბენ. ბუაჩიძემ ნაკლად ჩაუთვალა, რომ ესა და ეს ელემენტები და მოვლენები არ არის ასახული, მაგალითად ქალები. ეს და ეს ტიპები არ არის განვითარებული. ეს ისეთი რეცეპტია, რომელსაც მე, მართალი მოგახსენოთ, ვერავის გამოვუწერ, ვინაიდან ვერავის კუჭი ვერ მოინელებს. არ არსებობს ისეთი მწერალი, რომ ყველა მოქმედი პირი თანაბრად გამოიყვანოს და ცხოვრების ყოველი კუთხე თანაბრად გააშუქოს.

მე თვითონ არ ვუჩრჩევ მწერალს გა-

მოეცადას ყველაფერს, იმიტომ რომ, მაშინ მას მარცხი მოეღოს. ყოველ ნაწარმოებში თქვენ ნახავთ რომ ორი, სამი ტიპი პირველ რიგში დგას. სხვები — მეორე რიგში. დანარჩენები ეპიზოდური ტიპებია. ლორთქიფანიძემ დიდი ზომიერება გამოიჩინა. მისი კულაქები ცოცხალი ხალხია, არ არის დაკნინებული. მწერლის ძალა იმაში გამოიხატება სწორედ, რომ მან ეს ტიპები მოგვცა ცოცხლად, ისე, როგორც გვიანახვას ან წარმოვედგენია.

ბენიკო ბუაჩიძემ რამდენიმე რუსი მწერალი ახსენა. მათ შორის შოლოხოვიც. რაკი შედარებაზე მიდგა საქმე, სრული პასუხისმგებლობით ვიტყვი, რომ ლორთქიფანიძე შოლოხოვს არ ჩამოუვარდება ზოგიერთ რამეში უბეჭველად. მაგრამ მისი ერთი ნაკლი კი უნდა აღვნიშნოთ. სუსტად არის სუფეტი განვითარებული, სთქვეს, ეს მართალია. მაგრამ მიზეზი ამისა ის არის, რომ სუსტი არის თვითონ ფაბულა. წიგნის მეორე ნახევარი ჯერ არ არის მოცემული და შესაძლებელია ავტორმა მეორე ნახევარში უფრო გააძლიეროს. თვითონ ფაბულური ამბავი. მისი ჩანასახები პირველ ნახევარში უბეჭველად არის, მხოლოდ საქირთა უფრო მეტად გაიშალოს და მთავარი ღერძის ირგვლივ დაატრიალოს („წიგნის მეორე ნაწილში“ როგორც ცნობილია, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ სწორედ ასე წარმოართა რომანი — კ. ი.).

ჩემის გემოვნებით სათაური უნდა გამოხატავდეს შინაარსს, იდეას. სათაური ამ რომანის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ ცოტა სახიფათო ამბავია. სიმინდმა თავისი მოქალაქეობრივი უფლება დაიბრუნა და მისი განდევნა ღმერთმა ნუ გვიჩვენოს, ნამეტან კი იმერეთში. ძალიან სახიფათო სათაურია, ერთგვარად დასამცირებელიც კი არის (კონსტანტინე ლორთქიფანიძემ გამოუცვალა რომანს სათაური და „კოლხეთის ცისკარი“ შეარქვა — კ. ი.). რაკ მე დღეს მოგახსენებთ, ნათქვამი იყო სრული გულწრფელობით. საქმე ის კი არ არის, რომ პი-

რადად მე ახალ მწერლობას უბუღებულევოდ, არამედ უნდა ითქვას, რომ ნასკნელ დრომდე ბევრი რამ არ გამოჩენილა, რომ ღირსი ყოფილიყოს მართლა ამდენის კარგის თქმისა, რაც დღეს ვთქვით. მე ძალიან ბევრი კარგი ვთქვი, კიდევაც დაეწერე, ვინაიდან ეს ნაწარმოები აუცილებლად ამის ღირსია. ღირსია ქებისა, რომ ეს ფართოდ იქნეს გატანილი მკითხველ მასებში. ამ მხრივ მე ვურჩევ ლორთქიფანიძეს, რომ თავისი რომანის მეორე ნაწილი დაასრულოს ვინაიდან მაშინ უფრო ადვილი იქნება მთლიანად აზრის გამოთქმა“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ გაითვალისწინა ეს შენიშვნები, რომანი დაასრულა და მერე წლიდან წლამდე მუშაობდა მის დახვეწაზე, თვით ბოლო გამოცემასაც კი მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს ნაწარმოებში. პირველსა და ბოლო გამოცემას შორის ოცდაათი წელი ძვეს — ოცდაათი წლის ფიჭრი, მუშაობა, ცხოვრება — ეს რომანი და მისი გმირები კი მიანც ინარჩუნებენ თავის ფერს, მათ კარგად ჩააბარეს გამოცემა და სავსებით მართებული იყო ვ. რევიჩი თავის შეფასებაში, როდესაც „Литературная газета“-ში წერდა: „კოლხეთის ცისკარი“, რომანი კოლექტივიზაციაზე, საბჭოთა ლიტერატურის იმერთერთ ნაწარმოებად იქცა, რომელიც გადაჭარბების გარეშე ეპოქის დოკუმენტად შეიძლება დავასახელოთ“.

ახლა, ოცდაათი წლის მერე ვკითხულობთ „კოლხეთის ცისკარს“, მასში ერთ სტილისტურ თავისებურებასაც ვამჩნევთ, რომელმაც მერე მწერლის ხელწერაში დომინირებული ადგილი დაიკავა. ეს ლირიზმი და გულითადობაა, რაც კარგად ჩანს მწერლის იმ ლირიულ გადახვევებსა და წიაღსვლებში, რომელიც მეტი — თალიკოს მელიქილოვ ფრანზოზ იქცა: ეს მეტიც ზმანებებია — ბავშვობის მოგონება თალიკოზე, ოცნება თალიკოსათვის გმირობის ჩადენაზე, ოცნება თალიკოსთან შექმნილ ოჯახზე. ეს მუსიკალური ფრაზა ეამიდან ეამზე გა-

ყვება რომანს და სევდისა და ლამაზი სინანულის გრძნობას სტოვებს:

„რადენჯერ უნატრია მექის, ბონდზე მიმავალ თალიკოს ჩელტი ჩამტვროდა და თავად იქვე ყოფილიყო სადმე.“

ნატრობდა სავანელიძის სახლ-კარს ცეცხლი გასჩენოდა ღამე და თვითონ იქვე ყოფილიყო სადმე, ნატრობდა წაბლის მოსაკრეფად წასულ თალიკოს მგელი შეფეთებოდა და თავად იქვე ყოფილიყო სადმე.

ო, რა თავგანწირულად ეკვეთებოდა მექი გახელებულ წყალს. ცეცხლს, ნადირს, რომ უქარებელი ქალის გული მოეგო“.

სინაზით, სინატიფით, შინაგანი მუსიკალობითა და გრძნობის სისათუთით ეს ლირიული ადგილები ნამდვილად რომ პოეზიის სიმალღემდე აღიან. მერე, „ბელორუსულ მოთხრობებში“, ომზე დაწერილ მოთხრობებშია და „ცაბუნიაში“ ეს ლირიზმი, ეს პოეტურობა კონსტანტინე ლორთქიფანიძის მხატვრულ ხელწერის ძირითად დამახასიათებლად იქცევა.

პოეტურის გამოვლენა კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში არათუ მოულოდნელია, არამედ სავსებით კანონზომიერი და შემოქმედების ბიოგრაფიულ ლოგიკური. საქმე ისაა, რომ როდესაც „კოლხეთის ცისკარი“ გამოქვეყნდა, კონსტანტინე ლორთქიფანიძე უკვე აღიარებული პოეტი იყო და მართალია პროზასაც ეტანებოდა, მაგრამ კრიტიკოსები მის პოეზიას ბევრად უფრო მაღლა აყენებდნენ.

იგი, ჯერ კიდევ 1923-24 წლებში, თვრამეტი წლის ჰაბუკი, ჟურნალებში „თეატრი და ცხოვრება“, „დინამიტი“, გაზეთი „სპარტაკი“ იწყებს ლექსების ბეჭდვას.

პირველი მსოფლიო ომი, თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციები, მენშევიკური მთავრობა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, სპარტაკელები, კომკავშირი — აი, ის პოლიტიკური მოვლენები, რომელთა გავლენითაც ყალიბდებოდა მისი პიროვნება. რა თქმა უნდა,

პირველ ხანებში მისთვის არ იყო გარკვეული საკუთარი პოლიტიკური მრწამსის ესა თუ ის ასპექტი, მაგრამ ერთნაირად ცხადი იყო, იგი სულითა და ხორციით ახალ ცხოვრებას ეკუთვნოდა და ამდენად, თავის ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში, მაშინ და შემდეგაც ახალი ყოფის ავ-კარგით სუნთქავდა.

1923 წელს კონსტანტინე ლორთქიფანიძე აქტიურ მონაწილეობასღებულობს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების დაარსებაში.

1924 წელს გაზეთი — „სპარტაკი“ აქვეყნებს ბორის ძნელაძისადმი მიძღვნილ ლექსს, ხოლო ლექსთა პირველ კრებულს („ლიმილი“) კი კომუნისტურ პარტიას უძღვნის და ეს არაა შემთხვევითი. მთელი მისი შემდგომი შემოქმედება ახლის დამკვიდრების პათოსით ხასიათდება. როგორც ვხედავთ, მწერლობაში შემოსვლისთანავე კონსტანტინე ლორთქიფანიძისათვის უკვე მკვეთრად იყო განსაზღვრული მისი პოლიტიკური თუ ესთეტიკური სიმპათიები. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ახალგაზრდულმა ტემპერამენტმა და იმ ხანებისათვის დამახასიათებელმა ბრძოლის ყინმა ახალგაზრდა მწერალი ზოგჯერ ჩვენთვის მიუღებელ მცდარ დებულებამდე მიიყვანა. მხედველობაში გვაქვს ძველი ტრადიციების ის უარყოფა, რომელმაც არა მარტო კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, არამედ ჩვენს მწერლობასაც ცუდი სამსახური გაუწია. მაგრამ აქ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ — ძველის უარყოფის პათოსი და ცუდად გაგებული ინტერნაციონალიზმი, უფრო სწორედ კი კოსმოპოლიტიზმი, რეაქცია იყო ისევე ცუდად გაგებული პატრიოტიზმისა. იყო ბრძოლა და ბრძოლაში ორივე მხარე აჯარბებდა და ეს გადაჯარბება უპირატესად დეკლარაციებში იჩინდა ხოლმე თავს, ვირდენ სამწერლო პრაქტიკაში. ალბათ, სწორედ ამიტომ, რომ პოეტის პირველი ლექსები მისი შემოქმედების ორგანულ ნაწილად დარჩა, მათში მკაფიოდ გამოვლინდა ამ შემოქმედების

ძირითადი — ახალი ადამიანის ძებნა და ყოველივე ახლის, მომავლის ძიების დაუშრეტელი წყურვილი. ამჟამა კავშირი იგრძნობა აგრეთვე თემატურადაც — შრომისა და ხალხთა მეგობრობის თემა მერე მთელ მის შემოქმედებას ვაპყვება. ნაწარმოებიდან ნაწარმოებში გადადის ახალი ქვეყნის მეპატრონის, მშრომელი ადამიანის სახე, მისი პირველი მონახაზი კი „მუშა გამომგონებელი“ დარახველიძის მხატვრული სახე იყო.

მწვევე სოციალური საკითხებით დაინტერესება, ახალი სახეებისა და ხასიათების ძებნა, მიდრეკილება ეპიურობისადმი თავისთავად შეტყვევებდნენ იმაზე, რომ კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოსვლა პროზაში მისი შემოქმედებითი ნატიურით განსაზღვრული აუცილებლობა იყო. და უკვე 1925 წელს აღმანახ „დარიალი“ იგი ბეჭდავს თავის მოთხრობას „სანაპირო“. „დარიალი“ ახალგაზრდული აღმანახი იყო, რომელიც სრულიად გარკვეულად პროლეტარული მწერლობის პოზიციებზე იდგა. აღმანახის სარედაქციო განცხადებაში ვკითხულობთ: „დარიალი“ რევოლუციური ლიტერატურის საფუძველზე დგას. თანამშრომლების პირადი კადრი დაკავშირებულია კომუნისტურ პარტიასთან და კომკავშირთან“. ამ აღმანახში მონაწილეობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ლორთქიფანიძის ლიტერატურული პოზიციების თანამიმდევრობას. მაგრამ აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მოთხრობა სრულიად ამჟამად სქემატურისა და გამონაგონის შთაბეჭდილებას სტოვებდა მკითხველზე. მასში აღწერილია ჩინელი გლეხისა და მისი შვილის პეის მწარე ზვედრი. პეის მამას პლანტატორი მოკლავს და ზეტილის მერე ბავშვი ინგლისელ მეზღვაურს, ოფიცერს, დაუდგება მოსამსახურედ. გეშუე მას ადამიანად არავინ სთვლის, აწვალებენ, მაგრამ მალე ინგლისის გემი ბათუმის პორტში ჩამოდგება. პეის მოეწონება ჩვენი პიონერების ცხოვრება და როდესაც გემი უკვე დასტოვებს პორტს, ღამე გადმოხტება გემიდან. მაგრამ პეი ნაპირამდე

ვერ მოაღწევს, გონდაკარგულ ბავშვს კონტრაბანდისტები გადაარჩენენ. მწვევე მოახერხებს საბჭოთა მეზღვაურებს დაკავშირებას. კონტრაბანდისტებს შეიპყრობენ, მართალია ამ დროს პეი დაიჭრება, მაგრამ მას ჩვენი ექიმები მოარჩენენ და ბედნიერი პეი პიონერი ხდება. აი, ზოგადი ხაზები ამ მოთხრობის სქემისა.

უცხო ქვეყნის ცხოვრებით დაინტერესება, რა თქმა უნდა, არაა ურიგო. მაგრამ აქ იგი განსაზღვრა მწერლის ახალგაზრდობამ, საყუთარი ხალხისა და ქვეყნის უცხოენაარობამ. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მწერალმა უცხო ქვეყნის ტკივილებს მიმართა. ვაჟა წლები და კონსტანტინე ლორთქიფანიძე ისევე მიუბრუნდება სხვა ხალხის ცხოვრებას და შექმნის შესანიშნავ მოთხრობებს ბულორუს ხალხზე — მხატვრული სიმართლე, მასალის დამორჩილება და მხატვრული ოსტატობა ამ მოთხრობებს დამაჯერებელსა და მრავლისმთქმელს გაიდიან. მაგრამ ჯერ-ჯერობით ახალგაზრდა ავტორი არ იცნობს ცხოვრებას. დეკლარაციების პერიოდი თავდება, ცხოვრება ახალ-ახალ პრობლემებს უყენებს შემოქმედს, რომ შესაფერისად ასახოს ეს ცხოვრება, იგი გადაწყვეტს ჯერ კარგად შეისწავლოს იგი. ჯერ-ჯერობით კი, როგორც ყველა ახალგაზრდა ავტორს სჩვევია, იგი არჩევს სწეროს იმაზე, რაც მისთვის, ახალგაზრდა ადამიანისათვის, კომკავშირელისათვის, ყველაზე ახლობელი და ნაცნობია — კომკავშირულ ცხოვრებაზე, კომკავშირულზე. ასე შემოდის ჩვენს მწერლობაში სახე კომკავშირელისა, ახალი ადამიანისა. მართალია, ეს ახალი სახე ლორთქიფანიძის პირველ ნაწარმოებებში („ხავსი“, „მესამე გზა“, „პირველი დედა“) არაა მთლიანი, და სქემატურია, მაგრამ პოტენციური მინი შეიცავს იმ დიდ მონაცემებს, რამაც შემდეგ მეტი შეაქმნევინა ავტორს. თუმცა მექის შესაქმნელად ეს ჯერ კიდევ არ კმაროდა, მაგრამ ამაზე ქვევით შევჩერდებით.

პიროვნების გათავისუფლება, მოვა-

ლეობა და გრძნობა, დამოკიდებულება საზოგადოებასთან ახალ ეპოქაში — ეს რთული საკითხები დასვა თავის პირველ ნაწარმოებებში კონსტანტინე ლორთქიფანიძემ და თუ თავის ვაჟადღევენებში მისი გმირების ევოლუციას, მისი გმირების სულიერ ჩამოყალიბებას, ჩვენთვის ნათელი გახდება ის გზა, რამაც მწერალი მეტი ვაშაქიმძემდე მიიყვანა. ჩვენთვის საინტერესოა ის სამი ნაწარმოები, რომლებიც ორ წელიწადში ერთმანეთის მიყოლებით გამოქვეყნდა: „ხავსი“ (1927 წელს ცალკე თავები დაიბეჭდა „მნათობსა“ და „პროლეტარულ მწერლობაში“, წიგნად გამოვიდა ამავე წელს), „მესამე გზა“ (1927 წელს დაიბეჭდა „პროლეტარულ მწერლობაში“, წიგნად გამოიცა 1928 წელს, ოღონდ პიესად გადაკეთებული), „პირველი დედა“ (1928 წელს დაიბეჭდა „პროლეტარულ მწერლობაში“). სამივე ნაწარმოები ჩვენი ცხოვრების პრობლემურ საკითხებს ეხებოდა; ახალი ცხოვრება და მასთან მიმართება, ახალი ურთიერთობანი ადამიანებს შორის. საკითხები თავისთავად იმდენად რთული იყო და ისეთ გამოცდილებასა და ოსტატობას მოითხოვდნენ მწერლისაგან, ვისაკვიარი არცაა, რომ ვერ გაიმარჯვა. „ხავსი“ მწერალს ახალგაზრდა ადამიანი კომკავშირელი გუგა როგავა შემოყავს, რომელიც თავისი დამოკიდებულებით გარე სამყაროსთან უფრო ჯავახიშვილის თეიმურაზ ზევისთავს მოგავს ვიდრე კომკავშირის ენერჯულ მუშაკს და საგანგებო კომისიის წევრს. მართებულად შენიშნავდა ლავროსი კალანდაძე გუგა როგავაზე — „მისი რომანტიკული პოზა, მისი ვითომდა მოაზროვნეობა არსებითად ეგოცენტრიზმით მოღლილი და გაძარცული სულის საბურველია“. გუგა როგავა მეტად მკრთალი სახეა. ავტორს თანამედროვე ადამიანის, კომკავშირელის სახის დახატვა უნდოდა და ვერ შეძლო, რადგან „ხავსი“ მთლიანად ვერ კიდევ ლიტერატურული რემინისცენციებით ცოცხლობს.

„მესამე გზა“ თავისი დროისათვის მეტად საჭირო ნაწარმოები იყო, საკითხის

დაყენების თვალსაზრისით. ახალი ცხოვრება მოვიდა და იგი ან უნდა მიიღოს ადამიანმა, ან უნდა უარყოს; მესამე გზა აქ არ არსებობს. „ქალის ტვირთში“ მიხეილ ჯავახიშვილმა გვიჩვენა რა ძნელია არჩევანი ამ მესამე გზისა და რა ძნელად წყდება ადამიანი საკუთარ კლასს, ანალოგიური ვითარება გვაქვს „მესამე გზაშიც“. კონტრევოლუციონერის ნაციონალიზმით ცოლად გაპყვება ბოლშევიკ კობას. მათი ცოლქმრობა ფიქციაა. ორივე თავის საყვარელ საქმეს აკეთებს — ერთი ახალ ცხოვრების აშენებას, მეორე კი ბალმასკარადებითაა ვართული. მალე, საზღვარგარეთ წასული პირველი ქმარი ბრუნდება და თავისი ცოლყოფილის დახმარებით ხელში ჩაიგდებს იმ არხის ნახაზებს, რომელსაც კობა აშენებს. ხიდი უნდა აფეთქდეს. მაგრამ ქალს სინდისი ქენჯნის, იგი კობას და ჩუკას შეატყობინებს მოსალოდნელი დივერსიის შესახებ. დივერსანტებს იჭერენ. გარებულნი ქალი კი, მესამე გზის მაძიებელი, თავს იკლავს. მესამე გზა არ არსებობს — ასეთია დასკვნა ავტორისა, მაგრამ იგი ამ მოთხრობაში თითქოს გაკვრით სხვა საკითხსაც შეხვო: ოჯახსა და ცოლქმრულ დამოკიდებულებას ახალ ყოფაში. კობას და მის ცოლს არ ქონდათ სულთა ერთობა, კობა მხოლოდ თავისი საქმით იყო დაინტერესებული. ავტორი ეძებს ახალ მორალურ კოდექსს, რომელიც მოაწესრიგებდა ადამიანთა ურთიერთობას ახალ ცხოვრებაში. ეს მისთვის უკვე ლიტერატურული პრობლემა კი არაა, არამედ ცხოვრების მიერ მწვავედ დაყენებული საკითხი. რომელიც პასუხის ვაცემას მოითხოვს. ქალი თავისუფალია, მაგრამ სად იწყება ეს თავისუფლება და სად თავდება იგი? სიყვარული ბორჯავს ადამიანს თუ ათავისუფლებს? და ორი ადამიანის ერთმანეთთან დაკავშირება რა არის — ერთურობის დამორჩილება თუ ერთურობის გათავისუფლება? მისი გმირი ქალეზი საკმაოდ თავისუფალნი არიან თავიანთ არჩევანში, ადვილად გადადიან ხელიდან ხელში, მაგრამ ყალბად ვაგებულნი თავისუფლება მათში იმდენ-

ნად დიდა, რომ სიყვარულს გაურბიან, ოღონდ არ იგრძნონ წარმოსახული თავისუფლების შელახვის ცდა. „პირველი დედა“ საკითხთა სწორედ ასეთი დაყენებით ხასიათდება, და ალბათ, ეს იყო მიზეზი რომ მან თავის დროზე აზრთა დიდი შეზღა-შემოხლა გამოიწვია. მოწინავე კომპაგშირელი ქალი მიყვება თავისი სკოლის ამხანავს, მაგრამ ქმრის სურვილს, ოჯახს მიაჯაჭვოს იგი წინ აღუდგება და სახლიდან წავა. შემდეგ მას მეორე საქმრო გამოუჩნდება, რომლის საქორწინო ბეჭედს ქალი უკვე ბორკილის რგოლად თვლის: „ბორკილი გინდა დამადო, ეს ბეჭედი შენს ნაცნობ მეშინან ქალებს მიუტანე“. იგი მას ზურგს შეაქცევს და გაყვება მესამე კაცს, მაგრამ შეუზღუდველი თავისუფლების სურვილი ამ ქმარსაც მიატოვებინებს. მწერალი გვიჩვენებს, რომ ძველი ოჯახური წესები მოქველდა და ახალი ადამიანი, ახალი ქალი, ძველი ნორმებით ვეღარ იცხოვრებს. მაგრამ მწერალი არც თავისი გმირი ქალის მხარეზე დგას. ნაწარმოების ბოლოს, კომპაგშირის მუშაკი ალექსი თოთათური, როგორც ეს რეზონიორს სჩვევია, მორალს უკითხავს გზადანხეულ ქალს: „კომპაგშირელი ქალი დედაც უნდა იყოს და საზოგადოებრივი მუშაკიც. გიღონთან ბრძოლა იყო საჭირო და არა გაქცევა. გიღონს შენ პირველი უნდა დახმარებოდი, რომ მას ძველი ადათებიდან თავი დაეღწია. მე მეგონა, ჩვენი უჯრედის ქალებიდან შენ პირველი შექმნიდი ახალ ოჯახს, შენ იქნებოდი ჩვენი პირველი დედა, შენ კი რა ჩაიღინე, ადექი და სახლიდან გაიქეცი, თავს უშველე. კომპაგშირელები ასე არ იქცევიან, გული მტკივა, ამას რომ გეუბნები, მაგრამ შენ არა ხარ კარგი კომპაგშირელი, ახალგაზრდობის მასწავლებლად შენ არ გამოდგები“.

ქალი უბრუნდება ქმარს. წინ კიდევ ბრძოლებია, მაგრამ სამართლიანობა აღსდგა. ხელოვნურად, მაგრამ მაინც შეიკრა წრე. უნდა გასულიყო კარგი ხანი რომ ლორთქიფანიძეს თვით გაეცა მარ-

თებული პასუხი თავის მიერ დასმულ კითხვებზე და ადამიანურად გადაწყვეტა ეს საკითხი. შევადაროთ ორი ნაწყვეტი — ერთი „პირველი დედიდან“ მეორე კი „მწვანე დედიდან“. ქმარი ეკითხება ცოლს:

— „თუ ღმერთი გწამს, გამაგებანე, რა ხარ შენ ჩემი?

— ამხანავი.

— მეტი არაფერი?

— ცოლი!

— მერე?

— რა მერე! — მწერელ ჩაიციანა გაიანემ. მან იცოდა რატომ ეკითხებოდა გიღონი.

— რა გაციენებს, აბა, რად მინდა ცოლი თუ პერანგი არ გამირიცხა და შარვალი არ დამიუთოვა. ქალი რომ გათხოვდება, ოჯახში უნდა დაჯდეს და არა მსუბუქ კავალერიაში ირბინოს!“ („პირველი დედა“).

მწერლის აზრით მათ უყვართ ერთმანეთი და თუ იყრებიან იმიტომ, რომ სხვადასხვანაირად ესმით ცოლ-ქმრული დამოკიდებულება. მაგრამ ნამდვილი სიყვარულის დროს ეს საკითხი რომ თავისთავად წყდება, წლების და წლების მერე გვიჩვენა მწერალმა.

— „შენ როგორი ცოლი გინდა, ლადო, კარგი დისახლისი თუ კარგი სამსახურის ქალი?

— როგორიც შენ იქნები, სვეტლანა.

— მართალი მითხარი!

— მართალს გეუბნები.

— ასე ძალიან გიყვარება?

— ძალიან.

— არა, მაინც, შენ როგორი გინდა რომ ვიყო?

— როგორიც ხარ, სვეტლანა“ („მწვანე დედა“).

მაგრამ მაშინ მწერალმა ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იცოდა და იგი ხალხში გადის. ცხოვრების შეგრძნებასა და შესწავლის სურვილი, სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემებით დაინტერესება კონსტანტინე ლორთქიფანიძეს კოლექტივიზაციის აქტიურ მონაწი-

ლედ ხდის. თუმცა იგი ცხოვრებისაგან არასოდეს არა მდგარა განზე, არ ყოფილა მეთვალყურე — აქტიური კომკავშირელი, მონაწილეობას ღებულობდა ყველა იმ ქართველში, რომელიც ახალგაზრდა რესპუბლიკის თავზე გადადიოდა.

1928 წელს იგი ახლოს ეცნობა საქართველოში პირველი კოლმეურნეობის, ზემოქედის სასოფლო-სამეურნეო კომუნის ცხოვრებას. ქმნის ნარკვევებს „ახალი ვლახები“. ამ მოგზაურობამ და ამ ნარკვევებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს „კოლხეთის ცისკრის“ შექმნა. ყოველშემთხვევაში იდეა უკვე იყო და, ალბათ, სწორედ ამიტომ დაესახლა 1930-31 წლებში მწერალი იმერეთის სოფელ ფარცხანაყანევში, იგი აქ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა: იყო სასოფლო

საბჭოს მდივანი და ქობ-სამკითხველს გამგე. პროცესი კოლექტივიზაციისა მის თვალწინ მიმდინარეობდა, იგი თვითონ აქტიური მონაწილე ამ პროცესისა. სწორედ ესაა „კოლხეთის ცისკრის“ ცხოველყოფელობის ერთ-ერთი მიზეზი. მასალის დამუშავებით, მასშტაბურობით, სტილით რომანი მნიშვნელოვნად განსხვავდება კონსტანტინე ლორთქიფანიძის აღრინდელი ნაწარმოებებისაგან. როგორც ვნახეთ, რომანს დიდი მოსაშვადებული პერიოდი უძღოდა წინ და ამ ნაწარმოებში მოხდა მწერლის სულიერი ძალების, ცხოვრებისეული გამოცდილების, მის ძიებათა და მიგნებათა კონცენტრაცია. †

(გაგრძელება იქნება).

შურნალ „მნათობის“ რედაქციას

პატივცემულო რედაქტორი!

ამ ერთი წლის წინ საერთაშორისო მიმომხილველმა ფიზიოლოგიურმა ჟურნალმა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის, მომპარათ: რედაქციას გადაწყვეტილი აქვს 1966 წლის ტომი მიუძღვნას თქვენს სამეცნიერო მოღვაწეობასო. ამისათვის მთხოვედა წარმადგინა რედაქციისათვის სტატია ჩემს სამეცნიერო მოღვაწეობასა და, საზოგადოდ, ჩემს შესახებ. მე ვამყობინე ამ მიზნისათვის ისეთი წერილის დაწერა, სადაც ვაშუქებული იქნებოდა ჩემი კვლევა-ძიების მთავარი პრობლემა სტუდენტობის დროიდან დღემდე. ეს პრობლემა მდგომარეობდა ცენტრალური ნერვული მოქმედების იმ კანონზომიერებათა შესწავლაში, რომელნიც ადამიანთა და ცხოველთა ქცევის წარმართავენ. ეს კვლევა დაიწყო ზურგის ტვინის კოორდინაციული მოქმედებიდან და თანდათან გადავიდი დიდი ტვინის ქერქის ფსიქონერვულ მოქმედებაზე, რომელიც ცხოველთა და ადამიანთა ქცევაში წამყვან როლს ასრულებს. მე ასეთი წერილი უკვე დაწერე და რედაქციას გაუუგზავნე.

ამ სტატიის წერის დროს ვამახსენდა, რომ პირველი წერილი ცხოველთა ქცევის შესახებ სახელწოდებით: „ქცევამეცნიერება, ფსიქოლოგია და დიალექტიკა“ დაიბეჭდა „მნათობში“ 1930 წ. ეს იყო ამ კვლევა-ძიების დასაწყისი პერიოდი.

მე მგონია, საინტერესო უნდა იყოს „მნათობის“ მკითხველთათვის იმის გაცნობა, თუ როგორ განვავითარეთ ეს მეცნიერება და დღეს რა მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომ იქნება შესაძლებლად მიიჩნიოთ აღნიშნული სტატია გამოაკვეყნოთ „მნათობის“ მორიგ ნომერში.

პატივისცემით ი. ბერიტაშვილი.

ი. ბერიტაშვილი

აკადემიკოსი

რედაქტურ მოძრაობათა კოორდინაციიდან ქვეყნის ფსიქონერვულ ინტეგრაციამდე

ჯერ კიდევ 1909 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობის დროს დაიწყო რეფლექსურ მოძრაობათა ცენტრალური კოორდინაციის შესწავლა ცნობილი მეცნიერის ნ. ე. ვედენსკის ხელმძღვანელობით. მაშინ გატაცებული ვიყავი დიდი ინგლისელი მეცნიერის ჩარლზ შერინგტონის ნაწარმოებით:

8. „მნათობი“, № 7

„ნერვული სისტემის ინტეგრაციული მოქმედება“. ამ შრომის გავლენით დაიწყო სტრუქტურის მოქმედების შესწავლა ცხოველთა ზურგის ტვინის აგზნებისა და შეკავების საკოორდინაციო პროცესებზე. ცნობილია, რომ სტრუქტურული მოწამვლა იწვევს ტვინის მოქმედების გაძლიერებას კრუნჩხვების გამოწვევით.

მე ვწამლავდი ტვინს ადგილობრივად ერთი სეგმენტის ფარგალში და შევისწავლიდი, თუ როგორ იცვლებოდა ამ სეგმენტის მოწამვლით უკანა კიდურების კოორდინაციული მოძრაობები: მოზრის რეფლექსი, გამლის, მოცილების რეფლექსი. ბევრ საინტერესო მოვლენას დავაკვირდი. მეტადრე ყურადღებას იქცევდა ის ფაქტი, რომ ზურგის ტვინის ერთი სეგმენტის მოწამვლისას უკანა ზედაპირიდან მეტისმეტად ძლიერდებოდნენ ის რეფლექსები, რომლებიც მოწამვლილი სეგმენტების უკანა ფესვის გაღიზიანებით იყო გამოწვეული, ე. ი. იმ მგრძობიარე ნერვის გაღიზიანებით, რომელიც ამ სეგმენტს უკავშირდება. სხვა რეფლექსები, სხვა ფესვების თუ ნერვის გაღიზიანებით გამოწვეული, არ იცვლებოდნენ. აქედან შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნა გამოვიტანე: თითოეული რეფლექსური მოძრაობის საკოორდინაციო აპარატი მდებარეობს ზურგის ტვინის სწორედ იმ სეგმენტში, სადაც შედის მგრძობიარე ბოქოები კანის იმ ზედაპირიდან, საიდანაც ეს რეფლექსური მოძრაობა გამოიწვევა. მაშასადამე, როდესაც სტრეინინი აძლიერებს კიდურის მოზრის რეფლექსს, მაშინ ზურგის ტვინის მოწამვლილი შუამდებარე ნეირონები იწვევენ კიდურის მოზრელი კუნთების გამაძლიერებელ აგზნებას, ხოლო თანადროულად აძლიერებენ ანტაგონისტური კუნთების, გამშლელების შეკავებას.

1912 წლიდან დავიწყე ცენტრალური კოორდინაციის შესწავლა კუნთების ელექტრული მოვლენების გამოკვლევით. ცნობილია, რომ კუნთის აგზნებას თანსდევს სწრაფი ელექტრული რხევების წარმოშობა. ამ ელექტრული მოვლენების შესწავლას ჰეინთხოვენის სიმის გაღვანომეტრით ვაწარმოებდი. ეს იყო მაშინდელ პირობებში ყველაზე საუკეთესო აპარატი. მასზე მუშაობის ტექნიკას ვავეცანი ყაზანში, ცნობილი ელექტროფიზიოლოგის პროფ. ა. ფ. საშვილოვის ხელმძღვანელობით. ასეთი

კვლევით რამდენიმე საინტერესო მოვლენა აღმოვაჩინე. ყველაზე საინტერესო კი იყო ის, რომ შეკავების პერიოდში ც. ნ. ს.-ში რიტმულად მიმდინარეობს. 1913 წელს ეს ფაქტი იმდენად მნიშვნელოვანი და მოულოდნელი იყო, რომ დამებადა აზრი, ამ ფაქტის შესახებ ცენტრალური შეკავების მთავარ მკვლევარისთვის — შერინგტონისათვის დეპეშით შემეტყობინებინა. მაგრამ ჩემმა ხელმძღვანელმა პროფ. უხტომსკიმ გადაამაფიქრებინა, როგორც გულუბრყვილო საქციელი.

შეკავების რიტმული მსვლელობა დაწვრილებით აღწერილი იყო ჩემს მიერ და დაბეჭდილი 1914 წ. ერთ-ერთ გერმანულ ჟურნალში. შემდეგში ეს მოვლენა დადასტურებული იყო ინგლისელი მეცნიერების ედრიანის, ფულტონის და ლიდლის მიერ 1924 წ.

1914 წელს დავიწყე ტონური რეფლექსების შესწავლა თბილისისტიანი ცხოველებზე. შევისწავლიდი პროფ. რუდოლფ მაგნუსის მეთოდით, რომელსაც ვავეცანი ჰოლანდიაში, თვითონ მაგნუსის ხელმძღვანელობით. ტონურ რეფლექსებს ჩვენ ვუწოდებთ ისეთ მოძრაობას, რომელზედაც არის დამოკიდებული ცხოველთა მუდმივი მდებარეობა, როგორც ფეხზე დგომა, ჯდომა, ორგანიზმის ერთ პოზაში გაჩერება. ტონური რეფლექსები გამოიწვევა უმთავრესად კისრის კუნთების რეცეპტორებისა და შინაგანი ყურის ნახევარკალოვანი არხების და კარიბჭის რეცეპტორების გაღიზიანებით. ამ გაღიზიანებას იწვევს თავის მდებარეობის ცვლილება სივრცეში და თავის მიხრამობრა ტანის მიმართ, ამ კვლევის შედეგად რამდენიმე ახალი ფაქტი მივიღეთ და რაც მთავარია, შევძელით ტონური რეფლექსების წარმოშობის ბუნების გამოკვლევა, სახელდობრ, ჩვენ დავადგინეთ, რომ თავის მოძრაობა სივრცეში ან ტანის მიმართ, აღიზიანებს რა კისრის კუნთების, სახსრების, ნახევარკალოვანი არხებისა და კარიბჭის რეცეპტორებს, იწვევს ც. ნ.

ს. - ში მხოლოდ ავზნებადობის მატებას განსაზღვრულ საკოორდინაციო აპარატებში. ხოლო რაც შეეხება შესატყვისი რეფლექსის გამოწვევას, ეს უკვე დამოკიდებულია სხვადასხვა რეცეპტორების თანადროულ გაღიზიანებებზე. ამ გაღიზიანებათა გავლენით შესატყვისი ტონური საკოორდინაციო აპარატები ამოქმედდებიან.

1916 წელს ჩემი ინტერესი სრულიად მოულოდნელად სხვა საკითხმა მიიპყრო. აღნიშნულ წელს დავიწყე პირველად ლექციების კითხვა ნერვუნთის ზოგად ფიზიოლოგიაში. ეს მოხდა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც დამნიშნეს ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტად. ვუკითხავდი ლექციებს, როგორც პრინციპ-ლოცენტი, ც. ნ. ს. მოქმედების შესახებ შერინგტონის, მაგნუსის და ჩემი გამოკვლევების მიხედვით. როდესაც პირობითი რეფლექსური მოქმედების მოძღვრებაზე გადავიდი, იქ წავაწყდი ასეთ წინააღმდეგობას: ივ. პავლოვის მიერ მოცემული თეორიული განმარტებანი მეტწილად ემყარებოდა მის მიერ შემუშავებულ ჰიპოტეტურ წარმოდგენებს. ეს წარმოდგენები კი არ ეთანხმებოდა ახლად მოპოვებულ კანონზომიერებებს ც. ნ. ს. - ის მოქმედების შესახებ, რაც უკვე ჩემს მსმენელებს წინასწარ გაეცანი. ღრმა განსჯის შემდეგ, გადაწყვიტე თვითონ მეწარმოებინა პირობითი რეფლექსების გამოკვლევა და მიმიცა მათთვის ახსნა-განმარტება ამ ახალ ცნობილ კანონზომიერებათა თვალსაზრისით.

ამიტომ 1916-1918 წლები მთლიანად მოვანდომე პირობითი რეფლექსების შესწავლას ვ. ბენტერევის მეთოდით. შევისწავლიდი ძაღლებზე თავდაცვის პირობითი რეფლექსების კიდურების მოხრა-გაშლის და თავის საორიენტაციო მოძრაობისა და აგრეთვე სუნტყვითი მოძრაობის კომოგრაფზე რეგისტრაციის საშუალებით. რომელიმე კიდურის კანის ელექტრული გაღიზიანებით ვიწვევდი კიდურის თანშობილ თავდაცვის რეფლექსურ მოხრას და ვუძღვებდი

მას ბევრით ან სინათლით გაღიზიანებას. რამდენიმე შეუღლები შემდეგ ენაწილი სიგნალი გაღიზიანებები იწვევდნენ ისეთივე თავდაცვის რეფლექსს, როგორც კანის ელექტრული გაღიზიანებაა. ჩვენ გამოვავლინეთ და დავწერილბით შევისწავლეთ ყველა ცნობილი ფაქტი პირობითი რეფლექსური მოქმედების შესახებ, რაც უკვე კარგად ცნობილი იყო პავლოვის მიერ სანერწყვე სეკრაციის რეფლექსური მოქმედების მიმართ.

ამ კვლევის შედეგები გამოვაცხევეთ პირველად ქართულ და რუსულ ენებზე 1920-22 წლებში, შემდეგ უფრო დავწერილბით დაიბეჭდა 1924-27 წლებში ინგლისურ ენაზე ქურნალ „ბრინ“-ში და გერმანულ ენაზე ფსიქოლოგიის და ნევროლოგიის ქურნალში. ხოლო 1932 წ. გამოვეუშვით მონოგრაფიული შრომა რუსულ ენაზე, სახელდობთ: ც. ნ. ს. - ის ინდივიდუალად შექმნილი მოქმედება.

ამ კვლევის წარმოებისას აღმოვაჩინეთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი ახალი ფაქტი. ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ პირობითი თავდაცვითი რეფლექსი ვითარდება ინდივიდუალურ გაღიზიანებაზე არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გაღიზიანება წინ უძღვის კანის ელექტრულ გაღიზიანებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი მოსდევს კანის გაღიზიანებას. მხოლოდ ამ უკულმა შეუღლებისას პირობითი რეფლექსი ვითარდება უფრო ძნელად, ვიდრე ჩვეულებრივი წესით შეუღლებისას. უკულმა წესით რეფლექსის გამომუშავებას მეტადრე ხელს უწყობს ის ვარემოება, როდესაც ელექტრული გაღიზიანება სუსტია და სიგნალი ეძლევა რამდენიმე სეკუნდის გავლის შემდეგ.

შემდეგ ჩვენ დავადგინეთ, რომ პირობითი რეფლექსის განვითარებისას დიდი ტენის ქერქში ვითარდება როგორც წინქვევითი კავშირები — პირობითი გაღიზიანების კერიდან უპირობო თანშობილ რეფლექსის კერამდის, ისე უკუ-ქვევითი კავშირები — ამ უკანასკნელ კერიდან პირობითისაკენ. უკუქვევით:

კავშირების განვითარებით ჩვენ ავსენით პირობითი რეფლექსების სხვადასხვა მოვლენები, მაგ., დაგვიანებული რეფლექსის უმოქმედო ფაზა: სახელოდობრ, თუ სასიგნალო ბგერითი გალიზიანება ერთ წუთს გრძელდება, ხოლო კიდურის ელექტრული გალიზიანება წწარმოებს ამ წუთის გავლისას, მაშინ მრავალჯერ ასეთი შეუღლების შემდეგ, ძალი იძლევა კიდურის პირობით მოძრაობას აგრეთვე სასიგნალო გალიზიანების ერთი წუთის გავლის შემდეგ. ეს პირველი უმოქმედო ფაზა ჩვენ განვმარტეთ უკუქცევითი კავშირების საშუალებით. აღნიშნული ფაქტების საფუძველზე ჩვენ პირველად დავადგინეთ, რომ ქერქის ორ აგზნებულ კერათა შორის ორმხრივი ნერვული გზები ვითარდება, რომ ამის გამო მათ შორის ჩაკეტილი ნერვული წრეები წარმოიშვება. გაცილებით მოგვიანებით, 1933 წ. ეს ფაქტი, ფიზიოლოგიური კვლევით დადგენილი, დამტკიცდა ცნობილი მეცნიერის ლორენტო დე ნოს მიერ ქერქის სტრუქტურის ჰისტოლოგიური გამოკვლევით.

გარდა ამისა, ჩვენ დავადგინეთ ფაქტი თავდაცვითი პირობითი რეფლექსების ეფექტორული გენერალიზაციისა და დიფერენციაციისა. ეს იმაში მდგომარეობს, რომ პირველად პირობითი გალიზიანება იწვევს საერთო განთავისუფლების მოძრაობას გაძლიერებული სუნთქვით და წამუტუნით, ხოლო მრავალი შეუღლების შემდეგ პირობითი რეფლექსი განისაზღვრება მხოლოდ გალიზიანებული ფეხის აწევით და თავის მცირე მოძრაობით.

როდესაც ჩვენ პირობით რეფლექსებს შევისწავლიდით, იმავე დროს ვცდილობდით თეორიულად ავეცხსნა ყველა ჩვენს მიერ დაკვირვებული მოვლენები. აი, მაგალითად, როგორ ავსენით პირობითი რეფლექსის განვითარება. ი. პავლოვის მოძღვრების თანახმად, დიდი ტვინის ქერქში წინქცევითი კავშირების განვითარება იმაზეა დამოკიდებული, რომ ძლიერ აგზნებული კერა,

რომელსაც უპირობო გალიზიანება წარმოქმნის, მიიტაცებს აგზნების ცენტრებს სუსტი აგზნების კერებთან, მელნიც პირობითი გალიზიანებას მოჰყავს მოქმედებაში. მაგრამ ნეიროფიზიოლოგია არ იძლევა საფუძველს ასეთი პიპოთეზური მტკიცებისათვის. პირიქით, კარგად ცნობილია საწინააღმდეგო ფაქტი: ძლიერ აგზნებულ კერიდან აგზნება ირადიაციას, გავრცელებას განიცდის დიდი ტვინის ქერქში და ამავე დროს ამ კერაში აგზნებალობა მატულობს. ამის გამო რამდენიმე ხნის განმავლობაში ეს კერა ადვილად აიგზნება პირობითი გალიზიანების მიმღებ ქერქულ ფარგლიდან. სწორედ ამის გამო უნდა ვითარდებოდეს წინქცევითი დროებითი კავშირები. პირობითი სიგნალის მიმღებ კერაში დიდი ტვინის ქერქში აგრეთვე აგზნებალობა მატულობს. ამის გამო უპირობო გალიზიანება ამ კერაზე უფრო მეტად მოქმედებს ვიდრე ქერქის სხვა ადგილებზე. ამიტომ დროებითი უკუქცევითი კავშირიც უნდა ვითარდებოდეს.

ამაირადვე კრიტიკულად განვიხილეთ ი. პავლოვის სხვა თეორიული განმარტებები და ვცდილობდი ახალი თეორიული განმარტებების მიცემას ნეიროფიზიოლოგიის ახალი მონაცემების საფუძველზე.

როგორც ი. პავლოვი და ვ. ბებტერევი, ისე მე, პირველ ხანებში პირობით რეფლექსებს შევისწავლიდი ცხოველთა ქცევის ერთი რომელიმე კომპონენტის მიმართ: ნერწყვის სეკრეციის კვებითი ქცევის შესწავლისას და კიდურის მოძრაობას თავდაცვითი ქცევის შესწავლისას. მხოლოდ ძალიან პირობით შეიძლება გამოვიყენოთ ამ კვლევის დროს მიღებული თეორიული დებულებები მთელი ქცევის მიმართ, მთლიანი ორგანიზმის გარემოსაღმე შეგუების აქტის მიმართ. ამ გარემოებამ მიიძულა 1927 წ. ვადავსულიყავი მთლიანი ქცევის შესწავლაზე ცხოველის თავისუფალი მოძრაობის პირობებში. ამისათვის გამოვიმუშავეთ ახალი შესატყვისი მე-

თოდია. დიდ ოთახში ცხოველს ვაჩვენებდით ერთ ადგილას წოლას ან გალიაში მშვიდად ყოფნას. დრო და დრო მიგვყავდა რამდენიმე მეტრის მანძილზე საჭმლის ყუთთან და იქიდან საჭმელს ვაძლევდით, მერე ვაბრუნებდით უკან, საჭმლის ყუთისკენ წყევანის დროს ვაწარმოებდით ბგერას, მაგალითად, ზარის რეკვას, ან ელექტრული ნათურის ანთებას. რამდენიმე ასეთი შეუღლების შემდეგ ამ სიგნალების მიცემისას ცხოველი თვითონ მირბოდა საჭმლის ყუთისკენ. უკან ან თავისით ბრუნდებოდა, ან „ადგილზე“ ძახილის შემდეგ. ჩვენ ამ ქცევას განვიხილავდით როგორც პირობით კვებითი ქცევას.

თავისუფალი მოძრაობის მეთოდით შევისწავლეთ ასეთი კვების ქცევა ძაღლებზე, კატებზე, ბაჭებზე, ქათმებზე, მტრედებზე. ჩვენ მივიღეთ ყველა ცნობილი ფაქტები პირობითი რეფლექსების მოქმედებიდან: მათი სვლა ერთ ბგერაზე ერთი საჭმლის ყუთისაკენ, მეორე ბგერაზე — მეორესკენ, მათი დიფერენციაცია, ჩაქრობა, ურთიერთობა. ყველაზე საინტერესო იყო პირობითი ქცევის გამომწვევება ერთდროულ და მომდევნო კომპლექსურ გალიზიანებაზე. მაგალითად, პირობითი სიგნალის სახით ვაძლევდით სამ ტონს ერთად ან ზედოხედ მიყოლებით და ამ დროს ცხოველი მიგვყავდა საჭმლის ყუთისკენ. რამდენიმე შეუღლების შემდეგ ცხოველი თვით მირბოდა საჭმლის ყუთისკენ ამ კომპლექსურ გალიზიანების დროს. მერე ვსინჯავდით ცალკე ტონებს. თავდაპირველად ამ ტონებზედაც მირბოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭმელს არ ვაძლევდით. რამდენიმე ასეთი ცდის შემდეგ ცხოველი მირბოდა საჭმლისკენ მხოლოდ კომპლექსის დროს, მის კომპონენტზე ფეხზედაც არ დადგებოდა. თუ პირიქით მოვიქცევოდით — საჭმელს ვაძლევდით მხოლოდ ცალკე ტონის ხმარებისას, კომპლექსის მიცემაზე კი საჭმელს არ ეძლეოდა, მაშინ, პირიქით, ცხოველი მირბოდა საჭმლის ყუთისკენ მხოლოდ ცალკე ტონის მიცემისას, ტო-

ნთა კომპლექსი კი მოძრაობას არ იწვევდა.

ამ პირობითი ქცევათა თეორიულ განხილვისას ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ გალიზიანებათა კომპლექსის კომპონენტებიდან დიფერენციაციის დროს საჭმე გვაქვს ახალი დროებითი კავშირების განვითარებასთან იმ ნეირონებთან, რომელნიც აგზნებაში მოდიან მხოლოდ მთლიანი კომპლექსის შემოქმედებისას. თვითნაყოფი კომპონენტი ცალკე მოქმედობს ამ ნეირონებზე სუბმინიმალურად, ე. ი. მხოლოდ აგზნებადობას მატებს, ხოლო მათი აგზნება იწვევს ყველა კომპონენტის ზეგავლენისას. მხოლოდ ამ პირობებში ეს დამატებით აგზნებული ნეირონები ურთიერთმოქმედებაში მოდიან იმ ნეირონებთან, რომელნიც პირობითი და უპირობო გალიზიანების მიერ იგზნებიან. გასაგებია, თუ პირობით გალიზიანებათა კომპლექსი უუღლდება უპირობო გალიზიანებას, ე. ი. კვების ქცევას, მაგალითად, ცხოველის წყევანას საჭმლის ყუთთან და აქ საჭმლის მიღებას. კომპონენტები კი არ უუღლდებიან ასეთი კვების ქცევას, მაშინ აღნიშნული დამატებით აგზნებული ნეირონები დიდი ტენიის ქერქში წარმოქმნიან განსაკუთრებულ დროებით კავშირებს, რომელთა საშუალებით კომპლექსური გალიზიანება იწვევს კვების ქცევას — საჭმლის ყუთისკენ სირბილს, კომპონენტები კი, პირიქით, ცხოველს აკავებენ, ცხოველი თავის ადგილზე უმოძრაოდ რჩება.

არის საფუძველი ვამტკიცოთ, რომ დამატებითი საინტეგრაციო ნეირონები მდებარეობენ ქერქის მიმღები ველების, ე. წ. ანალიზატორების პერიფერიულ ნაწილებში ან ანალიზატორთა შორის არსებულ, ასოციაციურ ველებში.

როდესაც ჩვენ დაიწყეთ ცხოველთა ქცევის შესწავლა თავისუფალი მოძრაობის მეთოდით, თავიდანვე შევამჩნიეთ ისეთი მოვლენები, რომელნიც არ შეიძლებოდა პირობით რეფლექსად ჩაგვეთვალა. მაგალითად, უკვე ერთხელ

საქმლის მიღებისას რომელიმე საქმლის ყუთიდან, ცხოველი თავისთავად გარბოდა ამ საქმლის ყუთისკენ სიგნალის მიცემის გარეშე. ასე იქცეოდა არა მარტო ჭამის რამდენიმე სეკუნდის შემდეგ, არამედ რამდენიმე წუთის და საათის შემდეგაც. სიგნალი კი იძლეოდა საქმლის ყუთისკენ სვლას მხოლოდ რამდენიმე შეუღლების შემდეგ. აი კიდევ ასეთი მაგალითი: თუ ძაღლმა ან კატამ თავის მოძრაობის დროს სადმე უცხო ადგილას საქმელი ჭამა ან მხოლოდ დანახა, იგი ამ ადგილას არ ივიწყებს. შიმშილის დროს საქმლის ძებნისას სწორედ იმ ადგილთან მივბრუნდებით, სადაც საქმელი ერთხელ ნახა. ასეთმა და სხვა მრავალმა ფაქტებმა დამარწმუნეს, რომ ძაღლს და სხვა უმაღლეს ცხოველებს გარემოს პირველ აღქმისთანვე ექმნებათ ამ გარემოს ხატი ანუ კონკრეტული წარმოდგენა, კერძოდ, საქმლის ადგილმდებარეობის ხატი ამ საქმლის პირველ დანახვისთანვე. ეს ხატი ინახება ხანგრძლივად მრავალი დღეებამდე განმელობაში და როდესაც ეს ხატი რეპროდუქციას განიცდის, ანუ გაახსენდება იმავე გარემოს ან რომელიმე მისი კომპონენტის ზეგავლენით, ცხოველი აწარმოებს თავის ისეთსავე საორიენტაციო მოძრაობას, და შემდეგ სწორედ ისეთსავე სვლას ამ საქმლისკენ, როგორც მისი დანახვის დროს.

ასეთ ქცევას, რომელიც ხატიდ რეგულირდება, ჩვენ ვუწოდებთ ჭერ ფსიქონერვეული ქცევა, ახლა კი უბრალოდ მას ვუწოდებთ ხ ა ტ ი ს მ ი ე რ ქ ც ე ვ ა ს. ასეთი ქცევა ცხოველებში ნებისმიერად უნდა ითვლებოდეს და დამახასიათებელი უნდა იყოს უმაღლეს ზერზემილიან ცხოველებსათვის და აგრეთვე მცირეწლოვან ბავშვებისათვის. ჩვენ მივიჩნევთ, რომ, როდესაც ცხოველს ვაჩვენებთ საქმლის ყუთისკენ სვლას რომელიმე ინდიფერენტულ გალიზიანების საპასუხოდ, თავდაპირველად ეს ქცევა ხატიდ რეგულირდება. მაშინაც კი, როდესაც პირობით რეფლექსს პავლოვის მეთოდით ვუმუშა-

ვებთ, პირობითი სიგნალის მიერ თავდაპირველად ნერწყვის სეკრეტციის მოწვევა ხატის საშუალებით უნდა წარმოებდეს. პირობითი რეფლექსის გენერალიზაციის პერიოდში, როდესაც ყველა იმავე თვისების გალიზიანება იწვევს თავის მოძრაობას იმ მიმართულებით, საიდანაც საქმელი ეძლევა და ამავე დროს ნერწყვი გამოიყოფა, ნერწყვის სეკრეცია ხატის საშუალებით უნდა იწვეოდეს, რომლის რეპროდუქციას ანუ გახსენებას პირობითი სიგნალი იძლევა. მხოლოდ შემდეგში, როდესაც სანერწყვე რეფლექსი დიფერენცულად მხოლოდ რომელიმე გალიზიანების საპასუხოდ იწვევა, მხოლოდ მაშინ საქმე უნდა გვექონდეს დროებითი კავშირების განვითარებასთან, რომელიც მოხდა ამ გალიზიანების კვებასთან მრავალჯერ შეუღლების გამო.

თავისუფალი მოძრაობისას პირობითი ქცევა გამოიხატება იმაში, რომ პირობითი აღქმისას ცხოველი მივბრუნდებით პირდაპირ საქმლის ადგილას: პირობით სიგნალზე ცხოველი ფეხზე დგება, თავს მოხრის საქმლის ადგილისაკენ და მერე ადგილს გადინაცვლებს ამ მიმართულებით. მაგრამ შემდეგი მოძრაობა ამ სიგნალზე არ არის დამოკიდებული. ცხოველი განაგრძობს სვლას და მიიღწევს საქმლის ყუთს იმ შემთხვევაშიც თუ სიგნალი შეწყდა ცხოველის გალიიდან გამოსვლისთანვე. ასე ხდება იმის გამო, რომ კვების ქცევის გამოუმუშავებისას ყველა ის შინაგანი და გარეგანი გალიზიანებანი, რომელთაც ჩვეულებრივ ცხოველი განიცდიდა გალიიდან გამოსვლის შემდეგ ვიდრე საქმლის ყუთს მიადგებდეს, პირობით სიგნალზე ხდებიან და სვლის თითოეულ მომენტში ყველა ასეთი გალიზიანებები იწვევენ მოძრაობის შემდგომ ვაგრაქციას. ფაქტურად ჩვენ საქმეს ვაძვერ პირობით რეფლექსთან. ამიტომ ასეთ ქცევას უნებლიეს ვუწოდებთ.

რომ მართლაც ასეთი ვაგრაქციები უნდა იქცევა უნებლიეა, მშვენიერად შეიძლება დამტკიცდეს. თუ ცხოველის

თვალწინ საკმლის ყუთი გადავაადგი-
ლეთ 1-2 მეტრით, პირობით სიგნალზე
ცხოველი მიინც წავა ჩვეულებრივ ად-
გილას, იქ ყნოსვით დაიწყებს საკმლის
ძებნას, მერე მხოლოდ თავს მოზრის და
წავა იმ ადგილას, სადაც საკმლის ყუთი
გადავიტანეთ.

ამ გაავტომატებულ ქცევის დროსაც
საკმლის ყუთის ხატის რეპროდუქციაც
წარმოებს, მაგრამ იგი დამხმარე როლს
სუდა თამაშობდეს, რადგან პირობითი
ქცევა უფრო სწრაფად და ეკონომიუ-
რად წარმოებს. რომ მართლაც გაავტო-
მატებული ქცევის დროსაც ხატი ასე-
ნდება, ეს ასე შეიძლება გამოვამკლავ-
ნოთ: ცხოველი რომ გადავიყვანოთ სხვა
ოთახში და იქ მივცეთ პირობითი სიგნა-
ლი, იგი ჭერ იმ მიმართულებით გაიქ-
ცევა, როგორც ჩვეულებრივ ექსპერი-
მენტალურ პირობებში, მაგრამ 1-2 მე-
ტრის შემდეგ იგი შეჩერდება 1 წუთით,
მერე მიბრუნდება კარებისაკენ, გაირ-
ბენს დერეფანს, შევა საცდელ ოთახში
და პირდაპირ იმ ყუთთან მივა, საიდანაც
ამ სიგნალის დროს საკმელს ლებულო-
ბდა.

1932-1936 წლებში ჩვენ დაწვრილე-
ბით შევისწავლეთ ცხოველთა ინდივი-
დურად შექმნილი ქცევა, რომელიც ხა-
ტით რეგულირდება. მრავალი ფაქტიუ-
რი მასალის საფუძველზე ჩვენ დავად-
გინეთ ის კანონზომიერებანი, რომელ-
ნიც ხატისმიერ ფსიქონერვულ მოქმე-
დებას საფუძველად უნდა ედოს. ასეთია
ეს კანონზომიერებანი:

1. ფსიქონერვულ მოქმედებას აქვს
უნარი გარემოს შემადგენელ ნაწილებს
ინტეგრაცია გაუკეთოს. ერთი მთლიანი
აღქმა წარმოშოს, რაც გამოიწვევს გა-
რემოს ერთი მთლიანი ხატის წარმოქმ-
ნას. ამისათვის საჭიარისია გარემოს
ერთჯერადი აღქმა.

2. გარემოს ხატის ფსიქონერვული
კომპლექსი ადვილად გაიხსნება ამ გა-
რემოს ერთი რომელიმე კომპონენტის
ან რომელიმე მახლობელი გაღიზიანების
ზეგავლენით.

3. რომელიმე სასიცოცხლო მნიშვნე-

ლობის ობიექტის ხატის ფსიქონერვუ-
ლი კომპლექსი ხელახლად შეიქმნება
ამოქმედდეს ამ ობიექტის აღქმის შემ-
დეგ რამდენიმე დღის, კვირების და
თვეების განმავლობაში.

4. სასიცოცხლო მნიშვნელობის ობი-
ექტის ხატის ფსიქონერვულ კომპლექსს
აქვს დიდი მამოძრავებელი აქტიობის
უნარი, ე. ი. აქვს უნარი გამოიწვიოს
შესატყვისი საორიენტაციო რეაქცია და
ქცევის აქტი.

5. ფსიქონერვულ მოქმედებას გააჩ-
ნია დიდი უნარი დროებითი კავშირე-
ბის დამყარებისათვის ხატის ფსიქონერ-
ვულ კომპლექსსა და დიდი ტვინის
ქერქის და ქერქქვეშა მამოძრავებელ
ცენტრებს შორის. ამის გამოა, რომ ხა-
ტის მიერ წარმართული ინდივიდურად
შექმნილი რეაქციები ადვილად ავტო-
მატდება.

6. რომელიმე ობიექტის ხატის მამო-
ძრავებელი აქტიობა დამოკიდებულია
იმ დროზე, რომელმაც აღქმის შემდეგ
გაიარა, მის სასიცოცხლო მნიშვნელო-
ბაზე, აგრეთვე იმ მანძილზე, რომლითაც
ცხოველი დაშორებულია იმ ადგილიდან,
სადაც ეს ხატი პროეცირდება.

7. ხატისმიერი ფსიქონერვული მოქ-
მედება ბატონობს ქცევის სხვა ტიპებზე,
როგორცაა გაავტომატებული პირობი-
თი ქცევა და აგრეთვე თანშობილი ინს-
ტიტუტური ქცევა. ხატისმიერი ქცევა მუ-
დამ აკავებს მათ, თუ ისინი აღარ ემსა-
ხურებიან ორგანიზმის მოთხოვნილე-
ბებს.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ხატისმიერი
ფსიქონერვული მოქმედება თვისობრი-
ვად განირჩევა პირობითი რეფლექსუ-
რისაგან. ამიტომ მათი წარმოშობი ნერ-
ვული სუბსტრატები თვისობრივად უნ-
და განირჩეოდეს ერთმანეთისაგან. ჩვენ
დავასკვნით, რომ ხატისმიერი ფსიქო-
ნერვული მოქმედების ნერვული სუბს-
ტრატები მხოლოდ თავის ტვინის ახალ
ქერქში მდებარეობს. სუბექტური გან-
ცდები, როგორც არის ელემენტარუ-
ლი შეგრძნებანი მხედველობის, სმენის,
კუნთ-კანის და სხვა გრძნობათა ორგა-

ნოების საშუალებით, წარმოიშობიან ახალ ქერქში. აქ არსებობენ სპეციალური ნერვული უჯრედები, მოკლე აქსონიანი ვარსკვლავისებრი უჯრედები, რომელთა აგზნება სუბიექტურ განცდებს იძლევა. ეს უჯრედები მეტწილად ლაგდებიან ახალი ქერქის იმ ველების მეოთხე ფენაში, სადაც გრძნობათა ორგანოებიდან ამავალი ნერვული გზები ბოლოვდებიან. ამ ვარსკვლავისებრი უჯრედებს სენსორულს ვუწოდებთ და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სენსორული უჯრედების უმაღლეს ფორმას უნდა შეადგინდეს ისეთი ვარსკვლავისებრი უჯრედები, რომელთა აქსონი იქვე, უჯრედთა დენდრიტულ მორჩების სფეროში იტოტებიან. ჩვეულებრივ ეს უჯრედები წგუფ-წგუფად განლაგდებიან. თითოეულ ასეთ წგუფზე ბოლოვდება ერთი ამავალი ნერვული ბოჭკო. ალბათ თითოეული ასეთი წგუფი ერთი სენსორული მოდალობისაა, ე. ი. ერთი სუბიექტური თვისების მატარებელი. ასეთი სენსორული უჯრედები ადამიანს და მაიმუნებს ვაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე ძაღლებს და კატებს. მაგრამ სენსორული ფუნქცია, სუბიექტური განცდები უჯრედის გარეგნულ ფორმაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. იგი მთლიანად დამოკიდებული უნდა იყოს ნერვული უჯრედის ციტოპლაზმის თავისებურებაზე, რომელიც ფილოგენეზური გზით უნდა განვითარებულიყო. აქსონის გატოტვას უჯრედის გარშემო დენტრიტებზე უმთავრესად ის მნიშვნელობა უნდა ქონდეს, რომ იგი აპირობადებს უჯრედის მრავალჯერ ზედიზედ აგზნებას მხოლოდ ერთი აფერენტული იმპულსის გავლენით, ე. ი. რეკეპტორიდან მოსული ერთი ამავალი იმპულსის გავლენით. ამიტომ ასეთი უჯრედები აქსონის განტოტვით მის გარშემო შეიძლება არსებობდნენ ტვინის სხვა განყოფილებებშიაც.

ფიზიოლოგიური დაკვირვებანი ადასტურებენ, რომ ეს სენსორული უჯრედები აუცილებლად არ მონაწილეობენ პი-

რობითი რეფლექსური მოქმედების განხორციელებაში. პირობითი რეფლექსები შეიძლება განვითარდნენ სენსორულიზიანიებლებზედაც, რომელნიც სუბიექტურად არ აღიქმებიან.

როდესაც პირობითი რეფლექსი განვითარდა ისეთ ვალიზიანებაზე, რომელიც სუბიექტურად განიცდება, მაშინაც კი შეიძლება დროებითი კავშირები ამოქმედდნენ სენსორული უჯრედების მონაწილეობის გარეშე. ეს დებულება კარგად გამოვლენდა კონტრუბირებულ ცხოველებზე — მტრედებზე, კატებზე, ძაღლებზე აფეთქების დროს წარმოშობილი პეროვანი ტალღის დარტყმის შედეგად. ასეთ ცხოველებს ეკარგებათ დასსომების უნარი, მაშასადამე, ხატისმიერი ფსიქონერვული მოქმედებისა. მაგალითად, ვერ იხსომებენ იმ ადგილს, სადაც ახლახან მიიღეს საჭმელი. ამავდროს ინარჩუნებენ იმ პირობით რეფლექსებს, რომლებიც მათზე გამოიქმნებულ იყო კონტრუზიის წინ. ქცევის ასეთი ცვლილება შეიძლება აიხსნას იმით, რომ აფეთქების ტალღის დარტყმა, როგორც სხვა მავნე აგენტები, პირველ რიგში ყველაზე მეტად განვითარებულ ფსიქონერვულ სენსორულ ელემენტებს აზიანებენ. ეს ელემენტები რომ პირობითი რეფლექსების აუცილებელი მონაწილენი ყოფილიყვნენ, მაშინ პირობითი რეფლექსებიც უნდა გამჭრალიყვნენ.

გარემო ობიექტის ხატის წარმოქმნისათვის აუცილებელია სენსორული ელემენტების აგზნება, რომელთა საშუალებით ობიექტის აღქმა წარმოებს. მაგრამ ხატის შენახვისათვის და მისი გახსენებისათვის აუცილებლად საჭიროა აგრეთვე სპეციალური გამაერთიანებელი ასოციაციური ნეირონები. ჩვენ თანამშრომელთა უკანასკნელი კვლევებიდან ვეგარკვეით, რომ გარემოს აღქმა ქერქის მიმღებელი ფარგლის ცენტრალური ანუ პირველადი ზონის საშუალებით ხდება, ხოლო ხატის წარმოშობა და შენახვა დამოკიდებულია ქერქის სხვა ნაწილებზე: მიმღებელი ფარგლის

მეორად ზოხაზე, ქერქის შუბლის წინა ნაწილზე და სხვა ნაწილებზედაც.

რადგან ხატის წარმომქმნელი ნეირონთა ფუნქციონალური კავშირი წარმოიშვება ობიექტის პირველსავე აღქმისას, ხოლო პირობითი რეფლექსური მოძრაობა ან სეკრეცია ვითარდება ერთი და იმავე ნერვული წრეების მრავალჯერ ამოქმედებისას, უნდა დავასკვნათ, რომ პირობითი რეფლექსების განვითარების სიმწელებები დამოკიდებული უნდა იყოს უმთავრესად საპროექციო პირამიდულ ნეირონების თავისებურებაზე. ამ ნეირონებით ქერქი უკავშირდება ჩონჩხის კუნთების მამოძრავებელ ნეირონებს. ალბათ საპროექციო პირამიდული ნეირონების ავზნებისათვის საჭიროა პირამიდულ ნეირონებზე არსებულ ნერვულ დაბოლოებათა სტრუქტურული და ფუნქციონალური მნიშვნელოვანი განვითარება, რაც დამოკიდებულია ამ სტრუქტურის მრავალჯერ განმეორებით ავზნებაზე ხატისმიერი ფსიქონერვული მოქმედების დროს.

ცხოველთა ფსიქონერვული მოქმედების ერთ-ერთ უმაღლეს ფორმას შეადგენს მათი უნარი გარემო სივრცეში ორიენტაციისა. ეს ფსიქონერვული მოქმედება ჩვენ შევამჩნიეთ თვითდანვე, ცხოველის ფსიქონერვული ქცევის შესწავლის დაწყებიდანვე. ხოლო იგი გადაიქცა ჩვენი სისტემატური კვლევის ობიექტად 1950-1951 წ. და გაგრძელდა 1959 წლამდე.

ცხოველთა უნარი სივრცეში ორიენტაციისა გამოიხატება იმაში, რომ მათ მიერ აღქმული ხატები პროეცირდებიან გარემოში სწორედ იქ, საიდანაც შესატყვისმა ობიექტმა იმოქმედა. ამით მყარდება ხატისმიერი სივრცითი ურთიერთობა გარემო ობიექტთა შორის და აგრეთვე აღქმულ ობიექტებსა და ინდივდის შორის. სივრცითი ორიენტაციის უნარი აგრეთვე გამოიხატება იმაში, რომ ამ ხატის შესატყვისად ცხოველს შეუძლია მივიდეს ობიექტთან ანდა დაშორდეს მათ. ამ კვლევამ იქამდე გვიჩვენა, რომ სივრცითი ორიენტაციაში ყველა

რეცეპტორები — გრძობათა ორგანოები მონაწილეობენ, მაგრამ უპირატესად მნიშვნელოვანია მხედველობისა და ე. წ. ვესტიბულური რეცეპტორები. ვესტიბულურს ვუწოდებთ შინაგანი ყურის ნახევარკალოვანი არხების და კარიბჭის რეცეპტორებს. მხედველობის და ვესტიბულური აპარატების დაზიანებისას ცხოველს და აგრეთვე ადამიანს ეკარგებათ სივრცეში ორიენტაციის უნარი.

ი. სეჩენოვის დროიდან გაბატონებული იყო აზრი, რომ ვითომ სივრცეში ორიენტაციის უნარი დამოკიდებულია აგრეთვე კუნთების, მყესების და სახსრების რეცეპტორებზე, რომ ვითომ ორგანიზმის ადგილგადაწველებისას ღიზიანდებიან ეს რეცეპტორები და ამით ხდება განვლილი მანძილის აღქმა და შესატყვისი ხატის წარმოშობა. მაგრამ ცხოველებზე ცდებმა ვაჩვენეს, რომ მოძრაობის დროს კუნთ-სახსრების რეცეპტორების ავზნება არსებით როლს არ თამაშობს სივრცითი ურთიერთობის დადგენაში. ჩვენ ცხოველს თვალები ავუხეიეთ, ჩავსვით გალიაში და ისე გადავიტანეთ რამოდენიმე მეტრით ერთ ადგილიდან მეორეზე, ვუკამეთ ან ვასუნებინეთ საჭმელი და მერე იმავე გზით უკან გადავიტანეთ; მერე გალიიდან განთავისუფლების შემდეგ ცხოველი საჭმლის ადგილზე მიდიოდა. როგორც თვალების ახელვისას, ისე თვალახეულობაც, რადგან გადატანის დროს ცხოველი გარემოს ვერ ხედავდა და ვერც ფეხზე დადიოდა, მას არ შეეძლო მხედველობის და კუნთ-მყესის და სახსრების რეცეპტორების საშუალებით გავლილი მანძილის აღქმა. მაშასადამე, უნდა გვეფიქრა, რომ ეს აღქმა ვესტიბულური რეცეპტორების საშუალებით უნდა მომხდარიყო, რომელთა გაღიზიანება ხდებოდა გადატანის დროს თავის შერხევის შედეგად. ეს მოსაზრება ჩვენ შემდეგ დაეამტკიცეთ. ცხოველებს ხელოვნურად ნახევარკალოვანი არხები

და კარიბჭე დაფუნგრეთ. როცა შემდეგ თვალეზახვეული საქმლის ყუთთან გალიით გადაეყვანეთ, ან ფეხით მივაყვანეთ, ცხოველს არ წარმოეშვა განვილილი მანძილის ხატი. იგი თვითონ ვერ მიდიოდა იმ ადგილზე, სადაც საქმელი ჭამა ან იყნოსა.

ასეთივე ცდები ჩავატარეთ როგორც 6—12 წლის ნორმალურ ბავშვებზე, ისე ყრუ-მუნჯებზე და ბრმებზე. ნორმალურ ბავშვს რომ თვალეზი ავუხვიოთ და ისე წავიყვანოთ რამოდენიმე მეტრით ერთი ადგილიდან მეორეზე, იგი თვითონ დაბრუნდება უკან, საწყის ადგილზე. ასევე მოხდება თუ თვალეზახვეულ ბავშვს რომელიმე ფიგურით გავატარებთ: სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ნახევარი წრე, შემდეგ თვითონ გაივლის ამ ფიგურით. მერე თვალეზახვეული ბავშვი დავსვით სკამზე და სკამით გადავიტანეთ რომელიმე ფიგურით. ამ შემთხვევაშიაც ბავშვმა ფეხზე გავლით გაიმეორა გავლილი ფიგურა. აქედან ცხადი იყო, რომ კუნთმყესების და სახსრების რეცეპტორები არსებითად არ უნდა მონაწილეობდნენ გავლილი მანძილის აღქმაში. შემდეგ ასეთივე ცდები დავაყვანეთ ყრუ-მუნჯ ბავშვებზე, რომელთა ნახევარკალოვანი არხი და კარიბჭე მთლიანად დაზიანებული იყო. როდესაც ასეთ ყრუ-მუნჯს თვალეზი ავუხვიეთ და ისე გავატარეთ ფიგურაზე, მან ფვითონ ვერ გაიარა ამ ფიგურით — იგი მიდიოდა სულ სხვა გზით, მეტწილად სწორი ხაზით. აქედან ცხადია, რომ ვესტიბულური აპარატის დაზიანებისას ადამიანს, ისევე როგორც ცხოველს, ეკარგება უნარი გავლილი მანძილის აღქმისა. მაშასადამე, კუნთმყესის და სახსრების რეცეპტორები, რომელნიც ნაბიჯით ადგილ გადასაცვლების დროს ღიზიანდებიან, მონაწილეობას არ უნდა ღებულობდნენ გავლილი მანძილის აღქმაში.

მაგრამ თუ ყრუ-მუნჯი ბავშვი მრავალჯერ გავატარეთ ერთი რომელი-

მე ფიგურით, იგი შეძლებს დაახლოებით ამ ფიგურით თავისით გავლას. მაგრამ ეს უკვე სხვა გარემოებებში მოკიდებული. მას უფიქრობდა პირობითი რეფლექსური სვლა: ამ მოძრაობის ერთი რომელიმე ნაწილის დროს გამოწვეული კუნთ-კანის გაღიზიანებანი მოძრაობის შემდგომი ნაწილისთვის პირობით სიგნალად გამოდიან. ამნაირად მყარდება ჯაჭვური პირობითი რეფლექსური მოძრაობა.

ყველა ქვევითი აქტი, ინსტიტუტი თუ ინდივიდუალურ შემენილი ხატისმიერი ქცევა, ანდა პირობითი ჯაჭვური ქცევა გულისხმობს მთელი ცენტრალური ნერვული სისტემის მონაწილეობას. სახელობრ, ყოველი ქცევის დროს ზოგიერთი ნერვული წრეები აგზნებაში მოდიან, ყველა დანარჩენი წრეები კი აქტიურ შეკავებას განიცდიან. ასეთი ვრცელი ზოგადი შეკავება ყველა ქცევითი აქტის მთავარ პირობას წარმოადგენს.

ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ ზოგადი შეკავების მნიშვნელობა ც. ნ. ს. მოქმედების ინტეგრაციაში ქცევის დროს. ზოგადი შეკავება პირველად ი. სეჩენოვმა აღმოაჩინა 1863 წ. მან ნახა, რომ ბაყაყზე თავის ტვინის სამხედველო ბორცვების ქიმიური, ელემენტური ან მექანიკური გაღიზიანება ცხოველის ზოგად შეკავებას იძლევა: კავდება, როგორც ჩონჩხის კუნთები, ისე შინაგანი ორგანოების, მაგ. ღიმფური გულის პულსაცია. შემდეგ აღმოაჩინეს ზოგადი შეკავება სხვა ცხოველებზე ჭამის დროს. აგრეთვე დეფეკაციის ან შარდვის დროს, კანის დაწოლით გაღიზიანებისას, ე. ი. ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ერთი რომელიმე ქცევითი აქტის დროს განსაზღვრული კუნთები მოქმედებაში მოდიან, მაშინ სხვა დანარჩენი კუნთები შეკავებას განიცდიან. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში სეჩენოვის შემდეგ ზოგადი შეკავება დაწვრილებით არ შეისწავლებოდა. მხოლოდ 1927—1929

წწ. ჩვენ შევეუდეთ მის სისტემატურ კვლევას ჯერ ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში და შემდეგ ფიზიოლოგიის ინსტიტუტში 1935—1938 წწ.

ჩვენ დავადგინეთ ზოგადი შეკავების დიდი ბიოლოგიური მნიშვნელობა ცხოველთა ქცევაში: 1. ზოგადი შეკავებით ორგანიზმი დაცულია ენერჯის უსარგებლო ხარჯვისაგან, როდესაც მასზე უამრავი სუსტი გარეგანი და შინაგანი გაღიზიანებანი მოქმედებენ; 2. ზოგადი შეკავების გამო აგზნების პროცესი განისაზღვრება მხოლოდ იმ ნერვული წრეებით, რომლებზედაც დამოკიდებულია განისაზღვრული გარეგანი რეაქცია ერთი რომელიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის გაღიზიანების საპასუხოდ; 3. როდესაც ქცევის რომელიმე ნერვული წრეები აგზნებაშია, მაშინ ზოგადი შეკავების გამო დანარჩენი ნერვული წრეების ამოქმედება შეიძლება მოხდეს მხოლოდ უფრო ძლიერი შინაგანი და გარეგანი გაღიზიანების საპასუხოდ, რომლის შედეგად არსებული ქცევა ისპობა და ახალი ქცევა წარმოიშობა.

ჩვენ აგრეთვე დიდი მუშაობა ჩავატარეთ ზოგადი შეკავების ნერვული სუბსტრატის ცხადყოფისათვის. ჯერ კიდევ 1936—37 წლებში, მივიღეთ რამხედველობაში ყველა ცნობილი ფაქტები, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ზოგადი შეკავება თავის ტვინის ღეროს ფუნქციას შეადგენს, სახელდობრ მისი ბაღისებრი წარმოქმნის ფუნქციას. ეს ჩვენი ჰიპოთეზური წარმოდგენა შემდეგში კარგად დამტკიცდა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის მეგონის და იტალიელ მეცნიერის მორუცის მიერ.

ჩვენ აგრეთვე შევეცადეთ გავფრკვევა ზოგადი შეკავების წარმოების ბუნება. მივიღეთ რამხედველობაში სხვადასხვა მეცნიერთა დაკვირვება, რომ ბაღისებრი წარმოქმნის და საზოგადოდ თავის ტვინის ღეროს მოქმედებასთან სდევს სწრაფი და ნელი ელექტ-

რული რხევები, ამ 32 წლის წინათ იმ დასკვნამდე მივედით, რომ მდებარეობა ლი რხევები მილისეკუნდის ხანგრძლიობისა გამოხატავენ იმ ნერვულ უჯრედთა და ნერვულ ბოჭკოთა აგზნებას, რომელთაგან ნერვული წრეები შედგება, ხოლო ნელი რხევები ათი ან მეტი მილისეკუნდის ხანგრძლიობისა გამოხატავენ უჯრედთა დენდრიტული მორჩების აქტიობას. ჩვენ ვივარაუდეთ, რომ ეს ნელი ელექტრული პოტენციალები ქმნიან ელექტრულ ველს გააქტივებული დენდრიტების ვარშემო, რომელიც მეზობელ ნერვულ უჯრედებზე და აქსონებზე ანუ ნერვულ ბოჭკოებზე ისე მოქმედებენ, როგორც მუღმივი დენი. ე. ი. აგზნებადობას ან უმცირებენ, როგორც ეს საზოგადოდ ჩვევია ელექტროდენის ანოდის მოქმედებას ცოცხალ ნერვულ ქსოვილზე, ან აგზნებადობას უმატებენ, როდესაც, პირიქით, ელექტროდენი კათოდით მოქმედებს.

მაგრამ ზოგადი შეკავების მრავალი ფაქტი არ აიხსნება მხოლოდ ელექტრული ველის გავლენით. ჩვენი აზრით, ხერხეულიან ცხოველებში შეკავება უმთავრესად დამოკიდებულია დენდრიტების ლოკალურ აგზნებაზე, რომელსაც ისინი განიცდიან უამრავი სინაფსების. ე. ი. ნერვულ დაბოლოებათა საშუალებით. ამ ლოკალურ აგზნებისას წარმოიშვება ნელი ელექტროდენი, რომელიც დენდრიტის საშუალებით ვრცელდება უჯრედის სხეულამდის. მერე ეს დენი აქედან გარეთ გამოდის უჯრედზე არსებული სინაფსების ადგილას. როდესაც დენდრიტული დენი უჯრედთან გამოსვლისას ნერვულ დაბოლოებაში შედის, იწვევს ამ დაბოლოებაში აგზნებადობის დაწვეას, ხოლო როდესაც ეს დენი ამ დაბოლოებებიდან გარეთ გამოდის, იწვევს შესატყვისი პრესინაფსური ნერვული ბოჭკოს დეპოლარიზაციას, ე. ი. ამ ბოჭკოს იონთა განვლადობის მატებას. ეს ორივე ფიზიოლოგიური

ცვლილება ისეთნაირია, რომ შეუძლებელი ხდება ამ ნერვულ დაბოლოებათა საშუალებით აგზნების გატარება უჯრედამდის. ამის გამო უჯრედი შეკავებას განიცდის, ე. ი. რეცეპტორებიდან იმპულსებს ვეღარ ღებულობს.

ბადისებრი წარმოქმნა, ჩვენი აზრით, ზოგად შეკავებას შემდეგნაირად იწვევს: ბადისებრი წარმოანქმნიდან გამომავალი ნერვული გზები ბოლოვდებიან თავის ტვინის სხვადასხვა მიდამოებში დენდრიტებზე. ამ გზებით მომავალი ნერვული იმპულსები დენდრიტებში აღძრავენ აგზნების ნელ დენებს და მათი საშუალებით შესატყვის უჯრედებს შეაკავებენ. თუმცა ელექტრული ველიც, რომელიც გააქტივებული დენდრიტების გარშემო წარმოიშობა, აგრეთვე შემაკავებელ გავლენას იქონიებს მახლობელ ნერვულ გზებზე. ასეთი შემაკავებელი დენდრიტული სტრუქტურა, სხვათაშორის, დიდი ტვინის ქერქშიც და ზურგის ტვინშიც არსებობს. ქერქში ასეთ ნერვულ წარმოქმნას ეკუთვნის პირველი ფენა, სადაც სხვადასხვა წარმოშობის ნერვული ბოჭკოები პირამიდული ნეირონების წვეროვან დენდრიტებზე ბოლოვდებიან.

ზურგის ტვინში ზოგადი შეკავების წარმოქმნა უნდა იყოს უკანა რქის ზედაპირზე არსებული ქელატინისებური ნივთიერება. ჯერ კიდევ 1940 წ. სხვადასხვა ფაქტების საფუძველზე ვივარაუდეთ ასეთი შესაძლებლობა, ხოლო ამაში დავრწმუნდით სულ ბოლო ხანებში, როდესაც უშუალოდ ქელატინისებური ნივთიერება გავლიზიანეთ ელექტროდებით. ეს იწვევდა მხოლოდ კიდურების მოძრაობის ზოგად შეკავებას. უკანა რქის შუა ნაწილის ასეთივე გალიზიანება იწვევდა კოორდინირებულ მოძრაობას: ერთი ჯგუფი კუნთებისა იძლეოდა აგზნებას, ანტაგონისტი კუნთები კი განიცდიდნენ შეკავებას: ე. ი. მოქმედებაში მოდიოდა მოძრაობის საკოორდინაციო აპარატები. ზემოთაღნიშნული ზოგადი შეკავე-

ბა იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, რომ შეუძლებარე საკოორდინაციო ნივთიერების დენდრიტების დიდი მასაში შედის ქელატინისებური ნივთიერებაში და აქ აქტივაციას უნდა განიცდიდეს, როგორც ამ ქელატინისებური ნეირონების მიერ, ისე მკარძნობიარე ბოჭკოების მიერ. ამას კი მოსდევს შესატყვისი შეუძლებარე უჯრედების შეკავება.

უკანასკნელ წლებში ჩვენ შევისწავლიდით ემოციურ ფსიქონერვულ მოქმედებას, რაც საუფძველად უღევს უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ქცევას. ემოციური მოქმედება ცხოველებში ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა სახით ვლინდება, როგორც კვების, თავდაცვის და გამრავლების მოთხოვნილება. სათანადო ნერვული სუბსტრატო, ჩემი და ჩვენი თანამშრომელთა კვლევის მიხედვით, ძველ ქერქში უნდა მდებარეობდეს. ასე ეწოდება იმ ქერქულ ნაწილს, რომელიც ცხოველთა ფილოგენეზურ განვითარებას პირველად წარმოიშვა. აქ მდებარეობენ როგორც ისეთი სენსორული ვარსკვლავისებური უჯრედები, რომელთა აგზნება შიმშილის, წყურვილის, გაძლიანის, შიშის, გაანჩხლების, ტკივილის, სიამოვნების სუბიექტურ განცდებს იძლევა, ისე აგრეთვე ის ასოციაციური ნეირონები, რომელთა საშუალებით წარმოებს ინტეგრაცია ყველა იმ შინაგანი და ვარეგანი რეაქციებისა, რომლებზედაც არის დამოკიდებული თითოეული ემოციონალური ქცევის განხორციელება.

სპეციალური ცდებით ჩვენ დავრწმუნდით, რომ ახალი ქერქის მოცილებების შემდეგ ემოციონალური რეაქციებისადმი უნარი არსებითად არ იცვლება. ხატისმიერი ფსიქიური მოქმედება კი მთლიანად ისპობა. ცხოველი კარგავს ხატისმიერ სივრცეში ორიენტაციის უნარს. აგრეთვე, არ იხსომებს იმ ადგილს, სადაც ახლახან საჭმელი ჭამა. პირობითი რეფლექსური მოქმედების უნარი კი შეინახება, თუმცა უფრო

პრიმიტიულ ფორმებში: კვების რეფლექსების გამომუშავებისათვის შეუღლებების გაცილებით მეტი რაოდენობაა საჭირო, ვიდრე ნორმულ ცხოველზე; ასეთი რეფლექსი არ არის მკვიდრი, ნაკლებ დიფერენცირდება. თუმცა მძლავრი ემოციონალური აგზნება და ინდიფერენტული გარემო სწრაფად უკავშირდებიან ერთმანეთს. მაგ. კატას, რომ ამოვარათ ახალი ქერქი და მერე ჭამის დროს ელექტროდენით მტკივნეულად გავაღიზიანოთ, უკვე ერთი ასეთი შემთხვევისას იგი გაურბის იმ ადგილს, სადაც ეს გაღიზიანება მოხდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ეს შიშის რეფლექსი მას არ ეკარგება: ჭამის პირობითი სიგნალიც რომ მივცეთ, საქმლის ყუთთან არ წავა.

ამ უკანასკნელ 2—3 წლის წინ გამიტაცა ახალმა პრობლემამ: მესხიერების შესწავლა. ეს მეტად რთული და მნიშვნელოვანი პრობლემაა, რასაც ფაქტიურად ემყარება ცხოველთა და ადამიანის ინტელექტუალური განვითარება. ეს ალბათ იქნება ჩემი უკანასკნელი გატაცება, რომელმაც შემო-

პურო ცენტრალური ნერვული მოქმედების შესწავლის დაწყებიდან წლები გავლის შემდეგ. ჩვენ დავსახეთ კვლევების რთული პროგრამა: მესხიერების სტრუქტურული, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ფიზიკო-ქიმიური საფუძვლების გარკვევა. ამ კვლევაში აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ყველა განყოფილებები მიიღებენ მონაწილეობას. თანამშრომლების მომავალი ხუთწლედის თემატიკა მესხიერებას ეხება. პირველი მოხსენება მესხიერებაზე ჩვენ უკვე გავაკეთეთ ფიზიოლოგთა საკავშირო ყრილობაზე ერევანში 1964 წლის ოქტომბერში.

ასეთია ჩემი კვლევაშიების თუ შემოქმედების ისტორია ცენტრალური ნერვული მოქმედების ვიშარტ. ამ ისტორიას ვერ ბოლო არ აქვს. ბოლო მაშინ იქნება, როდესაც მესხიერების შესწავლასაც რამდენადმე დავამთავრებთ, ე. ი. როდესაც ჩვენ მივალწევთ დიდი მნიშვნელობის თეორიულ და პრაქტიკულ შედეგებს.

მიხეილ კვსელავა

ათასი ფუთი ბრადღებ

განკლილი და გავრინლი

შვიდი ცოდვა და შვიდი მადლი...

ეს შვიდი რიცხვი როგორღაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ჩვენთან. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველა თავისებურად ავარჯიშებდა ამაზე გონებას, ანტიკურნი მითების მოყვარულები იგონებდნენ, რომ ძველი ეგვიპტელები, შემდეგ ბერძნებიც, რაღაც მისტიკურ მნიშვნელობას აძლევდნენ ამ რიცხვს და სამკუთხედ-ოთხკუთხედების მაგიურ ვარაიციებს ქმნიდნენ მისგან. მერე მოდებოდნენ და რაც კი გავგონათ შვიდ რიცხვთან დაკავშირებით, ყველაფერს იხსენებდნენ: შვიდი პლანეტა, შვიდი ცა, ცისარტყელას შვიდი ფერი, მუსიკის შვიდი ტონი, კვირაში შვიდი დღე, შვიდი თავისუფალი ხელოვნება, შვიდი ბრძენი, შვიდი ეშმაკი და შვიდი ანგელოსი. ამბობდნენ, ნოეს კიდობანი მეშვიდე დღეს მიაღვია არარატის მთას. შვიდს აპოლონის რიცხვად თურმე იმიტომ თვლიდნენ, რომ ლატონამ შვიდი დღის წვალების შემდეგ მეშვიდე დღეს შვა იგი. ისიც გაახსენდათ, ბუდდამ შვიდი მადლისათვის ნაირად-შარას ნაპირზე შეიღწერ შვიდი დღე რომ იმარხულა. მერე შვიდის ალევორია ეთიკურ პრინციპშიც გამოავლინეს. სთქვეს, რომ ლოცვანშიც შვიდი თხოვნა უფლისადმი; მეშვიდე ბოროტებისაგან გათავისუფლებას გულისხმობსო.

გერმანელები მართლაც ამბობდნენ ბოროტი შვიდიო (das Böse Sieben) გადაშვიდებასაც (übersieben) უსურვებდნენ მტერსა და დუშმანს. შემდეგ შვიდის სიმბოლიკა ყოფისა და მორალის სფეროსაც დაუკავშირდა. „აღმოჩნდა“, რომ ქვეყნად შვიდი ცოდვაც არსებობს და შვიდი მადლიც. კათოლიკურ კათეხიზისში, სქოლასტურ დოგმატიკის მიხედვით, მართლაც, შვიდი პიუტევებელი ცოდვაა ჩამოთვლილი: ქედმაღლობა, სიძუნწე, მრუშობა, ბრაზი, ღორმუცლობა, შური და სიზარმაცე. ასევე ამბობდნენ შვიდი მადლიო: ზომიერება, სიმაჰაცე, სიბრძნე, სიმართლე, რწმენა, იმედი და სიყვარული. ამაზეც ითქვა: ახლაც შვიდი ცოდვა და შვიდი მადლი იბრძვისო ერთმანეთთან; თან ასე ჩაახვიეს:

— ქვეყანაზე ეს შვიდი კი არა, შვიდეჭერ შვიდი მადლიც შეიძლება იყოს. მაგრამ ამ შვიდის ერთი მეშვიდედიც რომ ჰქონდეს ყოველ ჩვენთაგანს მომადლებული, შვიდ ცოდვას ადვილად სძლევადა შვიდი მადლი და არც ის ბოროტი შვიდი აცდებოდა თავის ღროზე გადაშვიდებას.

ამის პასუხად ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა წამოიძახა:

— ხომ საოცრებაა...

როგორც ჩანდა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მეორემ არც დაამთავრებინა, ისე მიაყოლა:

— დიხს, რა თქმა უნდა, საოცრებაც შეიძლება რიცხვითადაც დაკავშირებული — იტყვიან შეიძლება საოცრება. მაინც რაო, რომ ჰკითხეს, მაშინვე ჩამოთვალა: ეგვიპტური პირამიდები, სემირამიდას დაკიდული ბალები ბაბილონში, დიანას ტაძარი ეფესოში, ფიდიუსის მიერ გამოქანდაკებული იუპიტერი, პალიკარნასის მავზოლეუმი, როდოსის კოლოსი და ალექსანდრიის შუქურა.

მერე ლიტერატორებიც ჩაერვივნენ ამ ზეპირ ვიქტორინაში და თქვეს, დანტესთან შეიძლება რიცხვი ცარიელი აბსტრაქცია კი არ არის, არამედ ალუგორიული გამოხატვა „შეიძლება სიღრმეო ძალის, შეიძლება მუტაციები ცოდვისა და სულის შეიძლება საჩუქარისაო“.

ისიც კი შენიშნეს, რომ თომას მანის რომან „მოკადრებულ მთაში“, თურმე შეიძლება თავია. მოქმედების ადგილი — Berghof და მთავარი მოქმედი გმირის გვარი Kastorp შეიძლება ასოსაგან შედგება. სხვებმა დაუმატეს, რომ სასადილო ოთახშიც შეიძლება მაგიდა დგას და უმთავრესი სტუმრების გვარებშიც შეიძლება-შეიძლება ასოა.

მე ამ „ფრიალ განსწავლულ“ პაექრობას იმის მეტი ვერაფერი შევმატე. რომ ვთქვი ჩემი სახელიც შეიძლება ასოსაგან შედგება-მეთქი. ისე რომ ეძებოს კაცმა, შეიძლება ასოსაგან შემდგარ სხვა უფრო მნიშვნელოვან გვარსაც აღმოაჩენდა და თუ არ მოიხსენიებდა, გუნებაში მაინც იგულისხმებდა, მაგრამ ჩვენებს აფხსენი, რომ საქართველოში უფრო ცხრის სიმბოლიკაა მიღებული: ცხრა მთა, ცხრათვალა მზე, ცხრა წყარო, ცხრა კლიტე და სხვა ასეთი... თუნდაც ცხრა მირონცხებული და ცხრა ბექედლასმული. ისიც მივთვალე, თუ ჩემი სახელი შეიძლება ასოსაგან შედგება, სამიგვიეროდ გვარში ცხრა ასოა-მეთქი და ამით ვითომ ორივე რიცხვის, როგორც შეიძლება, ისე ცხრის, სიმბოლიკაში შევყავი თავი...

...განა არ ვიცი, რომ ყველაფერი ეს ზღაპარია, ფანტაზიის თამაში, მაგრამ ადამიანის ფიქრი ზოგჯერ ანეთ მირაკებსაც მისდევს, ან ყოველგვარ ცოდვისაგან ვათავისუფლებული და ბინეს შუქით გაბრწყინებული, დანტე ალიგიერივით მიყუება ჯოჯოხეთიდან განსაწმენდელისაკენ მიმავალ გზას, რომ მეშვიდე ცაზე მაინც ჰპოვოს სულის სიმშვიდე. ეს განწმენდისა და ამაღლების გზააო — ამბობდა ჩემს შორის ყველაზე გატაცებული „შეიძლება“ პავლე პავლეს ძე. რომელსაც მეგობრები პალ-პალიჩს, ან, უბრალოდ, პაოლოს ვეძახდით ზოლმე. იგი საბჭოთა კულტურის გამოჩენილ მოღვაწე, უცხო ენების ჩინებული მცოდნე და დიდი ერუდიციის ლიტერატორი იყო, თანაც ისე უცნაური, რომ მისი მოგონება ყოველთვის სიამოვნების ღიმილს მგვრის.

თვითონაც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს სულ ყელში მოწოლილ სიცილს ებრძოდა. გაიფიქრებდა რაღაცას თუ არა, მაშინვე სიცილი მოაწვევბოდა. სამუშაოზე კი სულ სიცილი ვინ გაიგონა, და ისიც ითმენდა, ტუჩებს მოკუმბობდა, ხანდახან ხელებსაც დაიფარებდა პირზე, მაგრამ ერთხელ აყრილი სიცილის ტალღა მაინც აწვევბოდა, გუმბდებოდა, ძლიერდებოდა და თუ გადმოხეტიავდა...

მორჩა! პაოლო უკვე თავს ველარ შეიკავებდა და იმდენს იცინებდა, ვიდრე ის ტალღა ისევ არ დაცხრებოდა და თვითონაც ტიკივით არ დაიკლებოდა. მერე სიცილის ტალღა ისევ მოაწვევბოდა, ისევ გაიგულებოდა და... იყო ასე დილიდან საღამომდე.

კამათიც ასე უცნაური იცოდა. მიუხედავად ყველაფრისა იგი მაინც ვერ სთმობდა გერმანული კულტურისადმი პატივისცემას. ამას არც არავინ მოითხოვდა. მაგრამ ზოგი ისე იყო გამოწვრებული გერმანელებისაგან, განსაკუთრებით კი კამიტან მარკოვი, რომელსაც ლენინგრაღში მთელი ოჯახი დაეღუპა, რომ ვერ იტანდა

მის „ინტელიგენტურ ფილოსოფიას“. როგორც კი პაოლო გერმანულ კულტურაზე ჩამოავდებდა სიტყვას, მარკოვი მაშინვე პირში ეცემოდა, ფრიცების კულტურა ვინ გაიგონა, შე გამოტვირუბულო.

ამაზე პაოლო იფეთქებდა:

— რას ამბობ, კაცო, მაშ გერმანულ ერს კულტურა არ შეუქმნია?

— ერი, რომელიც ამდენ მილიონ პროფესიულ მკვლელს ქმნის არ შეიძლება რამე კულტურის შემქმნელი იყოს, — უპასუხებდა მარკოვი — ან თუ შექმნა, ისიც ისევე შემარჩუნებელი იქნება, როგორც თვითონ. მკვლელების კულტურა ისევე მკვლელებს ზრდის. სამხედრო ყაზარმებით, თუ „სულეირი საზარდოთი“ ეს სულერითია! მკვლელი მაინც მკვლელია. შორჩა და გათავდა!

როცა მტკიცების არგუმენტი შემოაკლდებოდა, მარკოვი ამ ყოვლის შემძლე „მორჩა და გათავდას“ დაყოლებდა. ვითომ ვთქვი და ბეჭედიც დაუხსნავო, მაგრამ პაოლო მაინც არ ნებდებოდა.

— ყველა გერმანელი? განურჩევლად? დიდი და პატარა? — ეკითხებოდა ის.

— ყველა, მორჩა და გათავდა! — გადაწყვეტდა მარკოვი — ფრიცი ყველა ფრიცია, შე მაგათი...

— ბავშვებიც? — გაიოცებდა პაოლო.

— ბავშვები კი არა, სანამ დაიბადებოდნენ მანამდეც, — ამტკიცებდა მარკოვი — დაიბადებიან თუ არა, ცხადია, ფრიცებია, და როცა გაიზრდებიან, ისევე ფრიცები იქნებიან, აბა, რა...

— ფრიცი შენ თვითონ ხარ, შე უბედურო, შენა! — იფეთქებდა პაოლო.

— შენ კიდევ ჰანსი ხარ, შე გამოჩერჩეტბულო — დაუბრუნებდა მარკოვი, რადგან ჰანსი და ფრიცი მისთვის ერთი და იგივე იყო.

მერე პაოლო მესაყერ მოყვებოდა, თუ რა დიდი კულტურა შექმნა გერმანელმა ერმა. ჩამოთვლიდა გვარებს, ეს ლუთერიო, ლესინგი, შილერი და გოეთე, მერე ბეთჰოვენი, ბახი და მოცარტი...

ასე ივლიდა, ივლიდა და ბოლოს თრმან მანთან ამოვიდოდა. მაგრამ მარკოვი ყველაფერ ამაზე ხელს აუქნევდა. ვინებზე გადავიდოდა. ისეთი ლაგამწაყრილი ლაპარაკი იცოდა, რომ ის „გულსამრევად ინტელიგენტური“ პაოლო რას ვაფძლედოდა. სახითაც „უწმინაწური“ იყო, უცნაურად ვადალესილი, უფერული, თანაც ისე გამხდარი, რომ ყბა ყბაში გასდიოდა. კარგად თუ არ დააკვირდებოდით, ვერც გაარჩევდით სად თვალეები ჰქონდა, სად ცხვირი და სად პირი. ამაზე თვითონ მარკოვიც ხუმრობდა: ეს ოხერი რალაც „უცენზურო სახე“ მაქვსო. მგონი ართობდა კიდევ ამგვარი ხუმრობა, ყოველშემთხვევაში, გული არ მოსდიოდა, პირიქით, სხვის ნათქვამს თვითონაც რამე საოხუნჯოს დაუმატებდა და კიდევ უფრო გაკილადა თავის უსახურობას.

მარკოვს არც მაშინ მოსვლია გული, როცა გაგულისებულმა პაოლომ რიჩარდ III დაუძახა და მიუღეკა კიდევ:

„შესთალ ბუნებას აღუესხიარ
უსახურობით,
და უგამურო, შეთიხნალი
გაურევიხარ
ცოცხალი შორის...“

...ისე მარკოვი სულაც არ ჰგავდა რიჩარდ მესამეს, პირიქით, შესანიშნავი ხასიათი ჰქონდა, უაღრესად გაბედულ კაცი იყო, თავდადებული და ერთგული. საოცრად უყვარდა სამხედრო წესრიგი. როგორც ეტყოდნენ, ისე აკეთებდა ყველაფერს. ზოგჯერ თვითონაც არ მოსწონდა, რასაც აკეთებინებდნენ, მაგრამ იტყოდა:

— რას იზამ, ძმაო, ხაზია ასეთი მოცემულიო.

სულ ამ „მოცემულ ხაზს“ მიყვებოდა და არც არაფერი შეეშლებოდა. გული რომ მოუვიდოდა, ენას ჯარასავით დაატრიალებდა და ისეთ უწმინაწურ სიტყვებს ჩაახვევდა, რომ განყოფილების გოგოები სულ კვილით გარბოდნენ. ყველაზე უფრო კი ვითომ იმ „ქარიფან-

ტია პოლინას“ ეჭაერებოდა მარკოვის უწმინწური ლაპარაკი. სულ მის ლანძღვაში იყო, რას არ ეუბნებოდა, როგორ არ დასცინოდა: ტარტაროზო, სატანა, უკაცურო, ბილწო, საზიზღარო, ზღარბო, ჯოჯო, ასპიტო, — ასე მიმართავდა ისედაც „უცენზურო სახის“ მარკოვს. ის კი მაინც კეთილად უღიმოდა, ან თვითონაც რიჩარდ მესამის სიტყვებს უჩუჩრულებდა:

— მე, უწოდ გათლილს, არ მაქვს სატარტო შეხედულება, რომ მოეაწინო თავი ცენსურა კობტა ვომბოთ...

ასე იყო დღისით, საღამოთი კი როგორღაც ისევ დაუტყებოდნენ ერთმანეთს და ყველა ამჩნევდა ხელიხელჩაკიდებულნი რომ იყარგებოდნენ ბნელ ხეივნებში. ამან კიდევ უფრო განუმტკიცა მარკოვს რიჩარდ მესამის სახელი, ხოლო პაოლომ ერთხელ „ლუდი ანაო“ — დაუძახა პოლინას და ყურებამდე გააწითლა...

უჩრებო საათი...

პაოლოსა და მარკოვის „ხელჩართულ კამათში“ ზოგჯერ ჩვენს შორის ყველაზე „უხუცესი“ გრიგოლ აბრამისძე ბრემიანიც ერეოდა. იგი პაოლოს სრული ანტიპოდი იყო — ყველაფრისადმი განურჩეველი, აუღელვებელი, გულწაახრობილი და განდგომილი. ხუმრობდნენ კიდევ — მაგისთვის სულერთია, ცხელ კუპრში ჩააგდებ თუ გაყინულ წყალში, განსხვავებას მაინც ვერ იგრძნობსო. ალბათ, ომამდეც ისეთივე იყო, რაც ომის დროს. არავითარი ცვლილება! მთელი ქვეყანა რომ დაქცეულიყო, ერთხელ შემუშავებულ რიტმიდან ვერაფერს გამოიყვანდა. ვერც ააჩქარებდა, სასადილოში მიდიოდა, თუ მოულოდნელი საპაერო თავდასხმის დროს თავშესაფარში, მისთვის სულერთი იყო — ერთნაირი დინჯი და მოკლე ნაბიჯებით იცოდა სიარული, თანაც ისე მოკრძალებულად, საკუთარ ჩრდილის-

თვის რომ ფეხი დაედგა, იმასაც ბოდიშს მოუხდიდა... ერთხელ ვიწახარო, ძალიან მეჩქარება და ეს მასალები როგორმე საღამოდე გამიმზაღეთ-მეთქი, გაცემით შემომხედა და ტუჩები ოდნავ ირონიულმა დიმილმა გაუბზარა. ალბათ, იფიქრა, რა ეჩქარება ამ სულელსო. მერე გაკვირვებით მკითხა:

— რატომ მაინცდამაინც ამაღამ და არა ხვალ?
— იმიტომ, რომ ამაღამ უნდა მოვახსენო გენერალს.
— ხვალ მოახსენეთ!
— ხვალ გვიან იქნება!
— რატომ იქნება გვიან?

აბა, რა ვიცი, რატომ იქნება? უცებ მართლაც გაგვიჩრდება ამის თქმა. ვერც მე მოვიფიქრე ამაზე უკეთესი:

— გენერალს დღეს უნდა და არა ხვალ.

ბრემიანმა გულუბრყვილოდ გაიღიმა და მკითხა:

— განა გენერალმა არ იცის, რომ ხვალაც ის არის, რაც დღეს?

სულერთია, რაც არ უნდა მეჭადაგნა საწინააღმდეგოში ვერ დავარწმუნებდი და ვერც ავაჩქარებდი.

ისე კი ვკითხე:

— გრიგოლ აბრამისძეც, როგორ შემგებლიათ ყოველთვის ასე ერთნაირი იყოთ?

ამ კითხვაში რატომღაც ირონია იგრძნო და ვითომ სიტყვა ბანზე ამიგდო:

— ლათინური ანდაზაა ყმაწვილო: „ისწავლეთ იყოთ ერთნაირი!“

მერე, ჩვეულებისამებრ იგავიც მოაყოლა:

— სოკრატეს მეუღლე ქსანტიბა ამბობდა თავის ბრძენ ქმარზე: როცა ის მიდიოდა, ან მოდიოდა, სახის გამომეტყველება სულ ერთნაირი ჰქონდაო.

... ბრემიანის მოვალეობას გერმანელ ჯარისკაცებისა და ოფიცერების წერილებისა თუ დოკუმენტების გარჩევა შეადგენდა. ასეთი მასალები აუარებელი მო-

ჰქონდათ მოწინავე ხაზიდან, ნამეტნავად მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმია წინ მიიწვევდა და ტყვეებიც ბევრი ჰყავდა. იქ და ბრეიშანი თავის ოთახში თუ მიწურში და ბეჭებოდა დოკუმენტებში. დროს რიტეიდან ის ღიღი ხანია რაც ამოვარდნილი იყო. ვერც არჩევდა დღე იყო, თუ ღამე. როცა ერთი-ორი საათი წაიძინებდა, ეს მისთვის ღამე იყო, სულაც შუაღლე რომ ყოფილიყო, დანარჩენი კი ღლე. იქდა თავისთვის და ღამდის მბუტბავ სინათლეზე კითხულობდა სხვის წერილებს, ან თვლემდა ფიქრებში წასული.

იმ წერილებში სარკესავეით ჩანდა გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების განწყობილება ომის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე. ჯერ თავზედური ტონი ჰქონდათ. მოდიოდნენ და მოიშლეოვდნენ, ტრაზახობდნენ, დიდგულობდნენ; ორიოდე კვირას შემდეგ შინ გამარჯვებული დაებრუნდებოთო, პირველობდნენ თავიანთ ნათესავეებსა და ნაცონობებს. მაშინ გერმანიიდანაც ასეთივე წერილებს იღებდნენ: მიღით, დასცხეთ, დაჰკარით! თქვენით ამაყოფს დიდი გერმანია და სხვა ასეთი. მათი „უძლეველი რაინდებიც“ სულ „ოი, ღა... ღა... ღა...ს“ სიმღერით მიიწვევდნენ აღმოსავლეთისკენ, მაგრამ მერე სიტუაციასთან ერთად შეიცვალა წერილების ტონიც. ძველებური პათოსი ნელ-ნელა გაჰქრა. კადნიერმა ტონმა ადგილი დაუთმო შეშფოთების ნოტებს. „რატომ შეჩერდით?“ „რა მოხდა?“ „ნუ თუ!“ — მონისმოდა გერმანიიდან. „სამინელი ბრძოლებია“, „ჩვენ უკან ვიხვით“... „ძლივს გადავრჩით... პასუხობდნენ მათ ფრონტიდან. განწყობილებაც შეიცვალა. ფრიცებმა ღამდის დაუწიეს. „ოი, ღა... ღა... ღა...ს“ მაგიერად ახლა წერდნენ: „თუ ცოცხალი გადავჩი“, „თუ როდესმე ისევ შედირსა თქვენი ნახვა...“ „შე უკვე იმედი დავკარგე“.. და სხვა ასეთი.

შემდეგ შეშფოთება პანიკურ შიშსა და ისტერიისში გადავიდა... ბრეიშანთან მოჰქონდათ ათასობით ტალახში, თუ

სისხლში ამოსერილი წერილები, ფოტოები... მის მაგიდაზე ყოველთვის გუფრები ეწყო ამ ამაზრუნე დოკუმენტებს! ბრეიშანი დღედაღამ არჩევდა ამ წერილებს. მის გვერდით განუწყვეტლივ შიშინებდა ჩაიდან. ის ჯერ ცხელ წყალს დაასხამდა ღამბაჭვე, რალც ნაჰერს დაასველებდა, ფრთხილად გასწურავდა და ნელ-ნელა სწმენდა წერილებს სისხლისა და ტალახისაგან. მერე ღამდის სინათლეზე გააშრობდა და კითხულობდა... „ბედმა თუ გამიღიმა და შინ ცოცხალი დაებრუნდი...“

...ისინი კი უკან არ ბრუნდებოდნენ... იყინებოდნენ. იზოცებოდნენ, ან ხელემაწეულნი ნებდებოდნენ ტყვედ. ასეოდროს მათ შორის მუშაობას მეტი ეშხი ეძლეოდა. საქირო იყო გერმანელ ჯარისკაცებს სკოდნოდათ, თუ რა კატასტროფულ მდგომარეობაში იყო მათი არმია ჩავარდნილი, რომ დარწმუნებულ იყვნენ წინააღმდეგობის გაგრძელების უაზრობაში, რასაც ასევე უაზრო მსხვერპლის მეტი არაფერი მოყვებოდა.

ყველაზე საინტერესო სამუშაოებს ამ მხრივ ე. წ. „ოპერატიული ჯგუფები“ ასრულებდნენ. მათი საქმიანობა მართლაც ცეცხლთან თამაშს ჰგავდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა პირველ სადესანტო ჯგუფებთან ერთად მიდიოდნენ ტყვეების ადგილობრივ დასაკითხად და დოკუმენტების გასარჩევად, ან მტრის ზურგში ასრულებდნენ რამე დავალეხას. არც ფრონტისპირა ხაზზე ჩასატარებელი მუშაობა იყო ადვილი. ასეთი რამ კი ძალიან ფართო მასშტაბებით ტარდებოდა. ჩვენი ოფიცრები და მებრძოლები საამისო „საომარი ტექნიკითაც“ იყვნენ შეიარაღებულნი: დწყებული უბრალო რუპორებით და დამთავრებული ე. წ. „მფრანავი ფილარმონიით“. რუპორისტები მოწინავე ხაზის ყველა ნაწილში იყვნენ. ისინი ღამღამობით 30—50 მეტრის სიანლოვეზე მიდიოდნენ მტრის პოზიციებამდე და გადასცემდნენ „უქანასენელ ცნობებს“. გერ-



მინულის ამდენი მცოდნე საღ იყო, მაგრამ ამისათვის წინასწარ ამზადებდნენ მარტივ ტექსტებს, რაც რუსული ასოებით იყო დაწერილი და მებრძოლები ადვილად სწავლობდნენ. ვისაც ასეთი ცნობების გადაცემა არ შეეძლო, მოკლე მოწოდებებს ვაძლევდით. მაგალითად ასეთებს: „წინააღმდეგობა უაზროა“, „თქვენ ალყაშემორტყმული ხართ“, „დაგვენდით ტყვედ“, „გაუფრთხილდით თქვენს სიცოცხლეს“ და სხვ. თუ რამეს, „წმიდა რუსულს“ დაუმატებდა თავის მხრივ რუპორისტი, ეს ანგარიშში არ შედიოდა.

მათი ყოველი გასვლა მოწინავე პოზიციებზე მძიმე საბრძოლო დავალებას უღრიდა. ადვილი ხომ არ არის, ასე ახლოს მიხვიდე მტრის სანგრებთან და ისიც არა ფარულად, არამედ რუპორების ძახილით გაამჟღავნო შენი ადგილსამყოფელი.

კორპუსებსა და დივიზიებში ჰქონდათ, აგრეთვე, ხმის გამძლიერებელი სტაციონალური დანადგარები. ასეთი დანადგარის მოძრავ რეპროდუქტორებს 50 — 100 მეტრით წასწევდნენ წინ. ვა საღმე ამაღლებულ ადგილას დაამაგრებდნენ, დიქტორი კი სანგრებიდან აწარმოებდა გადაცემას მიკროფონის საშუალებით. ეს არა ნაკლებ სახიფათო იყო, რადგან „ლექციები“ დღისითაც წარმოებდა.

მეც ბევრჯერ მიმიღია ასეთ გადაცემებში მონაწილეობა და ვიცი რა ხილია ბევრი დაიღუპა დავალების შესრულების დროს, ბევრიც ორდენებითა და მედლებით იქნა დაჯილდოვებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან სახიფათო საქმე იყო, მოხალისეები ყოველთვის ბევრს გვყავდა. ზოგჯერ ერთმანეთს გლეჯდნენ ხელიდან რუპორს, რომ „ოფიციალური“ ტექსტის გადაცემის შემდეგ „ტკბილი სიტყვაც“ შეეთვალათ ფრიცებისათვის. ეს ყველას ეხალისებოდა და კონტროლს გაწევაც ძნელი იყო. ამიტომ გადაცემები ხშირად კეთილგანწყობილი მოწოდებებით იწყებოდა და „ფრიც, შენი ასე და ისეთით“

მთავრდებოდა. არც უფროსები უშლიდნენ ამას. ამბობდნენ, გაუშვი, გულში მყოფი იფხანონო. ჭარისკაცები კი გულს უტყრო ენას იფხანდნენ და, რადგან გადაცემები ღამით მიმდინარეობდა, ძილს უფრთხობდნენ გერმანელებს.

ერთხელ, რომელიღაც დივიზიაში ნაშუალამემდე შეუჩნდნენ თურმე ჩვენები რუპორებით. მერე იქიდანაც მოისმა რაღაც სახელდახელოდ გაკეთებული რუპორის ხმა:

— რუს, დავაი შპატ!
 ამითაც რომ ვერ გააჩერეს ჩვენები, სროლა აუტეხეს.

მომრავ რეპროდუქტორებიანი დანადგარებით უფრო სერიოზულ გადაცემებს აწარმოებდნენ. ან, როგორც ფრონტის ხაზზე ამბობდნენ: „ლექციებს უკითხავდნენ ფრიცებს“.

მტრინავე ფილარმონია...

ასეთი „ლექციები“ თითქმის ყოველ საღამოს ტარდებოდა. მოწინავე ხაზზე ამისათვის იყენებდნენ სპეციალურ ავტომანქანებს ხმის გამძლიერებელი მოწყობილობით. რაკი ამ მანქანის სახელწოდება МГУ-ს (Мощно-говорящая установка) შემოკლებული ინიციალები მოსკოვის უნივერსიტეტის ასეთივე სახელწოდებას ემთხვეოდა, ფრონტზე „ფრიცების უნივერსიტეტი“ უწოდეს. ეს იყო ჩვეულებრივი საბარგო მანქანა ფანერის ძარით და თუნუქის სახურავით. ძარაზე ოთხი მძლავრი რეპროდუქტორი იყო დამაგრებული; ხმა ორ-სამ კილომეტრზე სწვდებოდა. ამ მანქანაზე მღშობა ეკიპაჟის განსაკუთრებულ გმირობას მოითხოვდა, რადგან გადაცემები დღისითაც სწარმოვდა და ღამითაც. „ემეგუ“ მოწინააღმდეგის „ცხვირის წინ“ მოქმედებდა და ხშირად ტყვიებით დაცხრილული ან ნაღმებით ფერდშეღწეული ბრუნდებოდა ნაწილში.

წარმოიდგინეთ ბრძოლის ველი, სადაც მებრძოლები სანგრებითა და ბლინდავებით არიან დაცულნი, მძიმე იარაღები ტყის პირებსა და ბუჩქნარებშია

ჩამალული; ეს მანქანა კი მიდის პირდაპირ შოსეზე. არავითარი დაცვა, არც ჯავშანი, მხოლოდ ფანერა და თუნუქი; ერთი, ან სულ დიდი, ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე უახლოვდება მტრის პოზიციას, შებრუნდება ზურგით მოწინააღმდეგისკენ და იწყებს გადაცემებს. ტანკს ჯავშანი აქვს, ადვილად შეუძლია მანევრირება, მტრის პოზიციაზე ფარული გასვლა, იგი არ ეძებს კარგ გზებს, პირაქით, ოდრო-ოდრო ადგილებით უფრო ადვილად უახლოვდება მოწინააღმდეგეს. „ფრიცების უნივერსიტეტს“ კი არაფერი ამის მსგავსი! ის მხოლოდ კარგ გზებზე დაის, ვერსად ვერ გადაუხვევს. ვერც ასე ადვილად შეაფარებს რამეს თავს. თანაც კი არ ინიღბება, პირაქით, აღრიალდება და მოწინააღმდეგის ყურადღებას იქცევს. არც ის აყოვნებს, ტყვიამფრქვევს უშენს, ნაღმებითა და მსუბუქი არტილერიით ესხმის თავს, ზოგჯერ თვითმფრინავებსაც კი გზავნის მის ჩასაჩუმებლად...

...გადაცემები აქაც მუსიკით იწყებოდა, შემდეგ ინფორმაციებსა და მოწოდებებს კითხულობდნენ, ბოლოს, თუ სიწყინარე იქნებოდა, ისევე მუსიკას გადასცემდნენ, მაგრამ თუ ძლიერი სროლა ატყდებოდა, ეკიპაჟის უფროსი გასცემდა განკარგულებას, „აბა, ბიჭებო მოუსვითო“ და „ფრაცების უნივერსიტეტი“ სტოვებდა „საბრძოლო პოზიციას“.

ფრონტზე, მეტრძოლებმა ამ მანქანას „ბორბლებიანი კუბო“ შეარქვეს. არავის არ სიამოვნებდა მისი გამოჩენა. განსაკუთრებით ღამე, როცა ჭარბსკაცები ისვენებდნენ, რადგან გადაცემის დაწყებისთანავე მტრის ცეცხლს იწყებდა. ზოგჯერ ნაწილების მეთაურები ეჩხუბებოდნენ კიდეც ეკიპაჟის უფროსს, ჩვენი პოზიციიდან ნუ აწარმოებთ გადაცემასო. საჭირო გახდა სარდლობის მხრივ მკაცრი ზომების მიღება, რომ ასეთი რამ აღკვეთილიყო. ამას თვით ეკიპაჟებმაც

შეუწყვეს ხელი. როცა ისინი „ლექციების კითხვას“ მორჩებოდნენ, ნეტო-ორი კილომეტრით უკან უდგახებდნენ მთელი საათი გადასცემდნენ სიმღერებს ჩვენივე ჭარბსკაცებისა და ოფიცრებისათვის. ეს ყველას მოსწონდა. შემდეგ ცნობისმოყვარეებმაც იმატა. გადაცემა რომ დაიწყებოდა, მანქანის გაშვებოდა გროვდებოდნენ ჭარბსკაცები და თხოვლობდნენ მიკროფონთან მიგვიშვით და ჩვენ უფრო შესაფერის ლექციას წავუკითხავთ ფრიცებსო. ზოგჯერ დიქტორს უჭირდა კიდეც მათგან თავის დაცვა. მე თვითონ ვნახე, როგორ ებრძოდა ის ცნობისმოყვარე ჭარბსკაცებს. ერთმა მაინც გამოსტაცა მიკროფონი და რაც ძალღონე ჰქონდა ჩაპყვიდა:

— ფრიც, შენი დედა...— მერე მეორე წამოეშველა მას და კიდეც უფრო „მალფარდოვანი მისალმება“ გაუგზავნა გერმანელებს. ეს ხმები ჩვენი ჭარბების განლაგების წინა ხაზზედაც გავრცელდა და როგორც შემდეგ გვითხრეს, მეტრძოლების საერთო აღტაცება გამოიწვია...

...უფრო გვიან. ფრონტის ხაზზე ახალი და ყველაზე საინტერესო „იარაღი“ გამოჩნდა: „მფრინავი ფილარმონია.“ „პო—2“-ის ტიპის თვითმფრინავზე დადგმული იყო ხმის გამაძლიერებელი აპარატურა, მიკროფონი და რეპროდუქტორები. ღამით თვითმფრინავი მტრის მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტს გადაუფრენდა, მოტორს გამორთავდა და მიკროფონს აამუშავებდა მძლავრი რეპროდუქტორები ჯერ მუსიკას გადასცემდნენ, შემდეგ უკანასკნელ ცნობებს. თუ გერმანელები სროლას აუტყხდნენ, მფრინავი ერთ-ორ ყუმბარას ჩამოავლებდა, დიქტორი კი მიკროფონით აფრთხილებდა:

— ეი, ფრიც, არ ისროლო, თორემ კიდეც ჩამოვადლებ ყუმბარას.

შემდეგ ფრონტის ამბებს გადასცემდნენ და, თუ ფრიცები „ქვიანად იქნებოდნენ“, ბოლოს მუსიკას მიაყოლებდ-

ნენ, თუ არა და... ისევ ყუმბარებსა და
„მფრინავ ფურცლებს“...

...შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. გერმანელები დამარცხდნენ მოსკოვთან, სტალინგრადთან, კავკასიის მისადგომებზე და სწრაფად დაიხიეს უკან. საბჭოთა არმიის მოტო-მექანიზებული შენაერთები ფლანგებიდან უვლიდნენ მათ და არ აძლევდნენ ორგანიზებულად უკან დახევის საშუალებას. გაჩნდა უამრავი დიდი, თუ მცირე ალყა-შემორტყმული ადგილი, რომლებშიც გერმანული არმიის ნაწილები და ზოგჯერ მთელი შენაერთებიც იყვნენ მოწყვდულნი. ოფიცრები უმაღლესდნენ ამას თავიანთ ჯარისკაცებს და აიძულებდნენ უაზრო წინააღმდეგობა გაეწიათ:

- „უკანასკნელ ჯარისკაცამდე!“
- „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე!“
- „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე!“

პიტლერი მათ ალყის გარღვევის უფლებასაც არ აძლევდა. უმთავრეს შემთხვევაში, ჯარისკაცებმა არც იცოდნენ მათ ფრონტზე რა მდგომარეობა იყო. ასეთ დროს სწორი ინფორმაციის მიწოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, განსაკუთრებით რუმინულ ნაწილებისათვის. ისინი დიდი ყურადღებით ისმენდნენ ახალ ცნობებს და თუ ოფიცრები არ აიძულებდნენ, არც ახშობდნენ გადაცემებს.

ჯარისკაცები განსაკუთრებულ ინტერესს ისეთ გადაცემებისადმი იჩენდნენ, რომლებშიც ტყვედ წამოყვანილი ოფიცრები იღებდნენ მონაწილეობას. ჯერ ამბობდნენ; ისინი მოლაპატებიაო, მაგრამ როცა ოფიცრების ტყვეობა გახშირდა, ჯარისკაცებიც ჩაუფიქრდნენ ამას. ჯერ გენერალ ზაიდლიცის და ნაციონალური კომიტეტის „თავისუფალი

გერმანიის“ მოწოდებებმა, ხოლო შემდეგ ფელდმარშალ პაულუსის მარცხიდან მაც, ბევრს აუხილა თვალი. სხვაც ბევრი გენერალი დანებდა ტყვედ საბჭოთა არმიას. მათი მიმართებებიც გარკვეულ როლს თამაშობდა განსაკუთრებით ჭიუტი ჯარისკაცების „ჰუაზე მოყვანის“ საქმეში.

ასეთი მუშაობა ძალიან ოპერატიულად სწარმოებდა და შედეგიც თვალაჩინო იყო, მართალია, ყოველთვის არა, მაგრამ მაინც...

...სტანიცა კრიმსკაიასთან ჩვენმა არმიამ ხელთ იგუო დივიზიის შტაბი და ტყვედ წამოიყვანა მისი უფროსი — პოლკოვნიკის ჩინით. თვით დივიზია ჯერ კიდევ იცავდა ამ სტანიცის დასავლეთ ნაწილს. იმავე დღეს მე ის პოლკოვნიკი წაიყვანე მოწინავე ხაზზე; იქ, სადაც მისივე დივიზია იყო განლაგებული და სწორედ იმ სახლში შევიყვანე, სადაც ადრე მათი შტაბი იდგა. საინტერესო იყო ამ პოლკოვნიკისა და იმ სახლის დიასახლისის შეხვედრა. ჯერ კიდევ გუშინ ის აქ მბრძანებლობდა, დღეს კი ორი რუსი მეავტომატისა და საბჭოთა ოფიცრების თანხლებით დაუბრუნდა იმავე ადგილებს, როგორც ტყვე. მის დანახვაზე დიასახლისმა ლოყაზე იტყია ხელი და ნიშნის მოგებით დაუწყო ყურება. პოლკოვნიკი ცვილობდა თვალი აერიდებინა მისთვის. მან იცოდა, რომ რამდენიმე ქუჩის იქით, ჯერ კიდევ გერმანელები იყვნენ. ეტყობოდა, თავს ებრძოდა. ჩვენი დავალების შესრულებაც უნდოდა და ტყვეობის გამჟღავნებისაც რცხენოდა. ცხადია, ამას არც მისი დივიზიის მებრძოლები მოელოდნენ, რომელთაც ჩვენმა ჯარისკაცებმა რეპროდუქტორები „ზედ ყურის ძირას“ დაუვიდეს.

წყნარი მთვარიანი ღამე იყო. ციოდა. ფრონტის ხაზიდან მხოლოდ კანტიკუნტი სროლის ხმა ისმოდა. მიკროფონთან ჯერ მე მივედი და ვცაღე ამეხსნა გერმანელ ჯარისკაცებისათვის, რომ უკან დასახვეი გზა არა აქვთ და, რომ წინააღმდეგობა უაზროა. მაგრამ ეს არაფერი! წარმოდგენილი მაქვს, როგორ დააღებდნენ ისინი პირს, როცა გამოვუცხადა:

— მე საბჭოთა ოფიცერი ვარ და შეიძლება არც დამიჯეროთ, მაგრამ აი, ახლა მოუსმინეთ თქვენი შტაბის უფროსს, ის აგიხსნით ყველაფერს.

ამის შემდეგ ქაღალდით გათვთრებული პოლკოვნიკი მივიღა მიკროფონთან, მაგრამ ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, ისე იყო გაოგნებული. მერე თვალები დახუტა და ტუჩები მოკუმა. „შუბლზე ცივი ოფლი დაასხა. ალბათ, გაჰყირებინა იყო! მერე თვალები ნელ-ნელა გაახილა და წყალი ითხოვა, არ აღმოგვაჩინდა. სამაგიეროდ, ეკიპაჟის უფროსმა მათარით არაყი მიაწოდა, ხასიათზე მოიყვანსო, პოლკოვნიკმა ოღნავ მოსვა და დაიწყო:

— ჩემო ჯარისკაცებო! მე ყოველთვის ერთგული ვიყავი თქვენი და სამშობლოსი. მოღალატე არც ახლა ვარ! სანამდე შემძლო, ვიბრძოლე. ახლა კი მოგმართავთ, როგორც სამხედრო ტყვე მე ვიცი, რა მდგომარეობაა ფრონტზე. თქვენი წინააღმდეგობა უაზროა. იფიქრეთ და იმოქმედეთ! ღმერთი იყოს თქვენი შემწე!..

იმ ღამეს მხოლოდ 5 ჯარისკაცსა და ერთ უნტეროფიცერს „შეეწია ღმერთი“. ისინი მშვიდობით გაღმოვიდნენ ჩვენს მხარეს. გათამამებულმა პოლკოვნიკმა კიდევ რამდენჯერმე მიმართა სიტყვით თავის ჯარისკაცებს. მერე მის მიერ დაწერილი მოწოდებაც გავრცელდა „მფრინავი ფურცლების“ სახით...

შემდეგში ჩვენი გადაცემების რეპერტუარი კიდევ უფრო გააფართოვდა. „სროლისტებად“ სხვა გერმანულენოვანი ცრებიც გამოდიოდნენ. ჯარისკაცები კი თითქმის ყოველღამე „მორიგეობდნენ“ მიკროფონთან; მათ რუბორისტებადაც ხშირად ვაყენებდით.

ერთი დიდი და ერთი პატარა...

ჩვენთან ერთად ამ საქმეზე ორი დრუენიკოვი მუშაობდა. ორივეს ნიკოლოზი ერქვა და ორივე ნიკოლოზის ძე იყო, ორივე მაიორი, მაგრამ ასაკით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. უმცროსი ტანად დიდი იყო, მარგილივით აშვერინი, ბეჭებმობრილი და ტლანქი. ის მუდამ მოღუშული დადიოდა და თითქმის არავის არ მეგობრობდა. უფროსი კი ჩიაკაცი ჩანდა, მომცრო ტანის, მაგრამ ყოველთვის მხიარული და ყველაათვის საყვარელი. ზრდილობისათვის უფროსს, მაგრამ ტანად პატარას, „დიდი დრუენიკოვი“ შეეარქვეთ, მაღალს, მაგრამ ასაკით უმცროსს, — „პატარა დრუენიკოვი“. ეს როგორღაც სპააცილოდ ქლერდა, მაგრამ უფრო სამართლიანად გვეჩვენებოდა. ორივე დრუენიკოვს სულ გერმანელების „ცხვირის წინ“ უხდებოდათ მუშაობა და მოსწონდათ კიდევ ეს სახითათო თამაში ცუცხლთან. „დიდი დრუენიკოვის“ კი ის მიეკვირდა, რომ ფრონტის მოწინავე ხაზზედაც ჩვეულებრივი სათვალეები მაგვირად, ოქროს პეშანეს ატარებდა. კაცისთვის, რომელიც დღე და ღამე ფრონტისპირა სანგრებზე და ბლინდაეებში დაფორთხავს, ეს სრულიად შეუფერებელი „სამკალლი“ იყო. ამიტომაც გვიკვირდა ყველას. ზოგი დასცინოდა კიდევ; ხუმრობით ლიტვინიოვიც შეარქვეს, ვითომ საგარეო საქმეთა მინისტრიაო, სხეებზე „დიდი დრუენიკოვი“ დაიწიწყს და უბრალოდ „პეშანეზიან მაიორს“ უძახდნენ. მე მეგონა ის ოღნავ კეკლუცობდა კიდევ ამით. ომამდე საგარეო ვაჭრობის სისტემაში მუშაობდა და ამიტომაც

არ კარგავდა თავის „ინტელიჯენტურ იერს“. ჩვენს ყურადღებას ისიც იქცევდა, თუ რა გულმოდგინედ სწმენდდა ის თავის პენსენს. ამისთვის ხავერდის ნაქერაც დაქონდა თან. მოიძრობდა, მტვერს მოაცილიდა, მერე გაორთქლავდა, ისევ გაწმენდა, ისევ გაორთქლავდა, გააპრიალეზა; ერთი ორჯერ გახედავდა სინათლეზე, სადმე მტერის ნამცეცი ხომ არ შერჩაო და ფრთხილად დაიკონებდა ცხვირზე. ეტყობოდა, ეს პროცესი დიდ სიამოვნებას გვირბოდა, რადგან პენსენს წმენდის პროცედურა ნახევარი საათი მინიმუმ გრძელდებოდა. ამასობაში შეიძლება შაშხანის ორჯერ მიინც დაშლა, გაწმენდა და აწყობა.

მე კი მინც ცნობისმოყვარეობა მაწმენებდა. ეგზონობდი, რომ ეს პენსენს დრუენიკოვსათვის უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ჩვენ ვფიქრობდით. კარგა ხნის შემდეგ თვითონ გამიხილა თავისი „აიდეშლოება“. შეიძლება ეს დიდი არაფერი იყოს, მაგრამ მე რატომღაც დღემდე ჩამრჩა გულში.

— იცი, რა გიხარა? — თქვა მან — ხომ უნდა გქონდეს ადამიანს ცხოვრებაში ისეთი რამ, რასაც ძალიან უფრთხილდები, რაც ყოველ წუთს ვახსოვს და რისი დაკარგვაც ძალიან გეწყინება. ეს რაღაცათი ავსებს შენს ცხოვრებას და გიღვიძებს ინტერესს. ჩემთვის ასეთი რამ პენსენა. მე მას უფრო ვუფრთხილდები, ვიდრე საყუთარ თავს. არ გეგონოთ, რომ ამას ფილოსოფოსობისათვის ვამბობდე. არა — ნამდვილად ასეა. გამოცდილიც მაქვს, როცა ფრანტის წინა ხაზზე მძიმე მდგომარეობაში ვვარდები, მთელი ჩემი ყურადღება და ფიქრი ამ პენსენსკენა მიმართული და შიშისთვის არც მცალია. ასე დროც ადვილად გადის. მერე ყველაფერი რომ გათავდება, მე ისევ პენსენს ვახსენებ, ხელს შევახებ, გავწმენდ და მიხარია... რა გიხარიაო, რომ მკითხოთ, უბრალოდ გეტყვით: ის რომ კიდევ ვარსებობს!..

როვნებ, მაშასადამე ვარსებობ; რომანტიკოსების — მიყვარს, მაშასადამე ვარსებობ; პოლ ვალერის — უყვარს, მაშასადამე ვარსებობ, ალბერ კამოს — აჯანყებული ვარ, მაშასადამე ვარსებობ, ბერდიევის — ვიტანჯები, მაშასადამე ვარსებობ, სარტრის — გული მეტრევა, მაშასადამე ვარსებობ. მაგრამ დიდი დრუენიკოვს ეს — „პენსენს მაქვს, მაშასადამე ვარსებობ“, ყველაზე უცნაური მათ შორის.

ის კი ფაქტია, რომ დრუენიკოვმა მთელი ომის ქარცეცხლი იმე განვლო, თავისი პენსენს არ დაუკარგავს... და ცხადია, არც თავი, რადგან მისი Cogito უვნებელი გადარჩა...

მერვე ბრძენი...

ოპერატიული ჯგუფების მუშაობაში ჩემს ნაცნობთაგან თითქმის ყველა ოფიცერი იღებდა მონაწილეობას, გარდა საინტენდანტო სამსახურის კაპიტან ტრაინინისა. ის კი, როგორც იტყვიან, სათაფლე არ ეკარებოდა ამ სახიფათო „თამაშს“. პატარა დრუენიკოვი კი ამოღებდა, ერთხელ შენც წადი და ვასინჯე რა ხილიაო, მაგრამ ტრაინინს ამით ვერაფერი გააბრკვევდა, დრუენიკოვი კი სძულდა ამის გამო. არც დრუენიკოვს ამოდიოდა მზე ტრაინინზე, მაგრამ თავს მინც იკავებდა. როცა ისინი პირისპირ სვდებოდნენ ერთმანეთს, ტრაინინი პირდაპირ თავლად იღვრებოდა მის წინაშე, ელოლიაფებოდა და მშობას ეფიცებოდა, მაგრამ საქმარისი იყო ოდნავ მოშორებოდა „იმ თოკიდან გამოქცეულს“, რომ მაშინვე შეიცვლებოდა და იტყოდა: თავი დაანებეთ, ეგ ისეთი ვინმეა, დამწვარი ხელი რომ უჩვენო, ზედ მდუღარეს დაგასხამსო.

ტრაინინს მეგობრები „მერვე ბრძენს“ უწოდებდნენ. მას „თავისი საყუთარი ფილოსოფია“ ჰქონდა ცხოვრებასა, რასაც მის მეტი არაფერი იზიარებდა, მაგრამ ეს არც აწუხებდა; პირიქით, შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, მინც მოპყვებოდა ქადაგებას:

— რას იზამ, ჩემო ძმაო, უნდა შეეჩვიო ყველაფერს. რაც არის, ის არის.

...ყოველგვარი Cogito გამიგონია ჩემს ცხოვრებაში: დეკარტეს — ვახ-

არ უნდა იფიქროთ იმაზე, როგორია ქვეყანა. საქმე ისაა, როგორ იცხოვრო ამ ქვეყანაზე. თუ კარგად მოეწყობი — ქვეყანი ხარ, ცუდად — რეგენი. ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. სხვას არაფერი არ უნდა დააბრალო. შეგიძლია? იცხოვრე, არა და — გაიშლი. ხომ სხვადაც ცხოვრება იმისია, ვისაც ძლიერი ყბები აქვს. თუ შნო გაქვს და დემე და გადაყლაპე. ეს ქვეყანა მაინც არაფერს შეერჩება. ის კი არა კაცი რომ იზადება, მაშინვე კატაფალკაზე სვამენ. შენ როგორც შეგიძლია, ისე მოეწყვე, რასაც მოისურვებ ის აკეთე, გინდა სულ იცეკვე და იხტუნავე, კატაფალკა კი მიღის თავისი გზით სისაფლაოსკენ, თანაც ისე, რომ ერთი წუთი რა არი, ერთი წაი, ან თუნდაც მისი მემილიონედი, არ შეჩერდება სადმე. მიღის და მიღის... მერე იქამდე რომ მივა, გეტყვიან. აბა ჩამოშრატანდით, მოვედიოო, მოჩრჩა და მოისუყნა! ეს არის მთელი შენი სიცოცხლე.

თვითონ ტრაინინი დარწმუნებული იყო, რაც შეეძლო ჰქონს არ აყლებდა და ისე ცხოვრობდა, როგორც უნდოდა. ფრანგული ანდაზა უყვარდა: ვისაც ბედი აქვს, მისი ქათმებიც იწველიანო. თუ მოინდომებდა მართლაც „ჩიტის რძეს“ გააჩენდა, თავისთვის, რა თქმა უნდა. ისე კი სულ წუწუნებდა, ქვეყანა რომ ნახლქად ვადაიქცეს, მე ერთი ლუქაც არ შეშვებდებო. მადა კარგი ჰქონდა, მზოდველობაც, სენა კიდევ უყუთესი, ყნოსვაც... პირს მოკუშავდა, თავს უკან გადააწვედა და წარმოუდგენელი სიურთხილით ყნოსავდა ჰაერს. სულ დამაბული იყურებოდა, რამე ხიფათში არ გავებო. გრძნობდა კიდევ საიდან ელოდა საფრთხე და მაშინვე დატრიალდებოდა. ვეულის ფხაში გაძვრებოდა და ფათერაკს აიკლენდა.

ის უპოაერქვად „დიპლომატიური ფრატი“ გაფორმებაზე მეშაობდა. როცა მასალებს შუტურეებდნენ, ყველაფერს „აუტრში მოიყვანდა“ და გასაუზუნად მოაზარებდა. გავხვანა უკვე სხვისი კომპეტენცია იყო. „დიპლომატიურ

ფოსტაში“, უმთავრესად, ტყვე გენერლების მიმართებები შედიოდა. მისი მიმართებებს თავიანთ ყოფილ ქვეყანას ეცხს უგზავნიდნენ და ლხანადნენ მდგომარეობას. ასეთი წერილები მრავალ ათეულ ათას ვეზემლაზარად იბეკდებოდა და ავიაციის საშუალებით ვრეკულდებოდა მოწინააღმდეგის ჯარის ნაწილებში. იყო სხვა სახის „დიპლომატიური ფოსტაც“. როცა ჩვენს სარდლობა შეიტყობდა, რომ გერმანელების მიერ დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე რომელიმე გენერალური კომისარი, ან სხვა ვინავე მსხვილი მთხელე განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდა რბევასა და სისასტიკეში, სარდლობა მათ „მფრინავი ფურცლების“ საშუალებით აძლევდა გაფრთხილებას. ჩვენ ასეთ გაფრთხილებებს ხომარობით „ტრაინინის მემორანდუმებს“ ვუწოდებდით. ზოგჯერ ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი ოპერაციაც ტარდებოდა. საბჭოთა მთავრობა იმთავითვე აფრთხილებდა გერმანელ ოკუპანტებს, შეეწყვიტათ შევიდომიანი მოსახლეობის ძარცვა და ხოცვა-ჟოტვა. ჟერ კიდევ 1941 წლის 25 ნოემბერს სპეციალური ნოტა დაეგზავნათ ყველა იმ ქვეყნის ელჩებს, რომელთაც დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან, გერმანიელ ხელისუფალთა აღმასუბოთებელი მხეცობის შესახებ სამხედრო ტყვეების მიმართ. თენახეერის შემდეგ, 1942 წლის 6 იანვარს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა ნოტა გერმანელთა ხელისუფლების გადგონარის სიამატიყის და ძარცვა-გლეჯის შეახებ დაპყრობილ ტერიტორიებზე. იმავე წლის 27 აპრილს შედგენილ იქნა ასეთივე ნოტა, რომელიც აფრთხილებდა გერმანიის მთავრობასა და სარდლობას მათი პასუხისმგებლობის შესახებ. რამდენიმე თვის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის დესპანმა ფირლნეგრმა და საფრანგიეთის ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელმა გერრომ საბჭოთა მთავრობას ვადასცეს ჩეხოსლოვაკიის პოლონეთის, იტალიის-



ვის, ნორვეგიის, საბერძნეთის, ბელგიის, ლუქსემბურგის მთავრობებისა და საფრანგეთის ეროვნული კომიტეტის კოლექტიური ნოტა თხოვნით, გაეფრთხილებინათ პიტლერელები მათი პასუხისმგებლობის შესახებ; ამ მთავრობებმა თვითონაც მიიღეს დეკლარაცია ომის დროს გერმანელებს მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებების გამო დამნაშავეთა დასჯის შესახებ.

ამს გამო საბჭოთა მთავრობამ კიდევ ერთხელ, და ეს მერამდენედ ვაფრთხილა გერმანიის მთავრობის წევრები, რომ მათ დაეკარებათ პერსონალური პასუხისმგებლობა დროებით ოკუპირებულ ქვეყნებში და ტერიტორიებზე ჩადენილ დანაშაულებათა გამო. ნახუნები იყო გვარებიც: პიტლერი, გერინდი, ჰენსი, გებულა, ჰიმლერი. რიბენტრომი, როზენბერგი და სხვები. უფრო გვიან, 1943 წელს, როცა გერმანელების ბოროტმოქმედებებმა ფანტატიკური ხასიათი მიიღო, სამმა მოკავშირე სახელმწიფომ — საბჭოთა კავშირმა, ინგლისმა და ამერიკამ გამოაქვეყნეს დეკლარაცია პიტლერელთა პასუხისმგებლობის შესახებ იმ აღმშფოთებელი მხეცობის გამო, რასაც ისინი სწავლიდნენ გარეშე სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. ამ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ გერმანელები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ იტალიელ ოფიცერთა მასიურ დახვედრაში, ფრანგ, ნიდერლანდელ და ბელგიელ მძევალთა სიკვდილით დასჯაში, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ქვებში, გაგზავნილი და გასაპართლებული იქნებიან ჩადენილ დანაშაულებათა ადგილას და რომ არცერთ მათგანს არ ასულებს პერსონალური პასუხისმგებლობა. დეკლარაციაში ნათქვამი იყო: „დეე იმით, ვისი ზელებიც ჯერ კიდევ არ არის უდანაშაულოთა სისხლით შეღებული, მიიღონ ეს მხედველობაში, რათა არ მოხდნენ დამნაშავეთა რიცხვი, თორემ სამი მოკავშირე სახელმწიფო მოსტენის მათ თუნდაც ცის კიდვზე და გადასცემს

საპაპართლოს, რათა აღასრულოს მათ თუნდაც კლესა!“

ამავე დეკლარაციით დადგინდა, რომ მთავარი სამხედრო დამნაშავეები, რომელთა ბოროტმოქმედებანი არ არის შეზღუდული ამა თუ იმ გეოგრაფიული პლუბარობით, დაჟილ იქნებიან მოკავშირე მთავრობათა საერთო ვადამწყვეტილებით! მთელი ეს მასალები, გარდა სახელმწიფოებრივი არხებისა, ფრონტზეც ვრცელდებოდა „მფრინავი ფურცლები“ საშუალებით...

ცოცხალი ყუმბარა...

ზოგჯერ „ადგილობრივი მნიშვნელობის“ ოპერაციებიც ტარდებოდა. საჭირო იყო ჩვენი ფრონტის წინ მოთარეშე პიტლერელებსათვისაც პერსონალური მიმართვის გაგზავნა და პერსონალური ვაფრთხილება. ასეთი მასალების ორგანიზაცია ჩვენი ფრონტისათვის ერთხელ მეც დამევალა. ამისათვის რამდენიმე დღით მოსკოვში უნდა გავფრენილიყავი, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო მაშინ. ვიცოდი, რომ ჯერ კიდევ მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიების თავზე მოგვიხდებოდა ფრენა. სატრანსპორტო თვითმფრინავით ეს შეუძლებელი იყო, ამიტომ გადასწყვეტეს ყუმბარაშენით გაგზავნა. ეს მოგზაურობა დაუეციყარია ჩემთვის. არ ვიცი რა აუცილებლობა იყო ამისი, რომ თვითმფრინავის ძარაში (ოტეკ-ში) ჩამსკეს, იქ, სადაც ჩვეულებრივად ყუმბარებს აწყობენ. შემდეგში რამდენჯერმე წავიკითხე, სამხედროები რომ წერდნენ მოგონებებში, ყუმბარაშენის ოტეკ-ით ვიმგზავრეთო. ეს მეც გამოვცადე. მფრინავი კი გამეზუმრა წინასწარ, ჰვიანად იყავი, თორემ დილის ერთი დაჰერა და წახვალ ძირს ზომბან მაგივრადო. ძალიანაც რომ მომენდომებინა, რა უჭკობა უნდა გამოემჩინა ამ ძარაში! შევყირა, ჩემს ხმას ვერცინ გაიგონებდა. სულიც რომ ამომზდომოდა, ისე ჩამიტანდნენ მოსკოვში თვითონაც ვერ მიხვდებოდნენ, რა მომივიდა, თუ საერთოდ, ჩავადწყე-

დი იქამდე. დიდ სიმაღლეზე მივფრინავდით (ეს მე იმით ვიგარძენი, რომ გავითოშე). ვიცოდი, ჩვენს თვითმფრინავს ორი გამანადგურებელიც რომ მოყვებოდა მცველად, სამხედრო თვითმფრინავით გამგზავრება მოსკოვში, ისიც ორი გამანადგურებლის ესკორტით რაღაც სადღესასწაულოდ ყლერს. მაგრამ ვაი. ასეთ დღესასწაულს! გზაში ერთი მხრივ სიცივემ, ხოლო მეორე მხრივ თვითმფრინავის ნჯღრევამ და იმ ძარაში აქეთ-იქით ხეთქებამ ისეთ დღეში ჩამაყენა, რომ თავმოქლვებულ კაცს იმ დღეზე ხელის დაქერა მოეწატრებოდა...

...ღამით მივფრინავდით და საშინელი სიცივე იყო! ხელები და ფეხები ისე გამაფშვიკა, რომ ძლივს ვამოძრავებდი სახსრებში. მფრინავებს თბილი ქურქები ეცვათ, მე კი უბრალო ფარაჯა, თანაც ნაბდის ჩექმების ნაცვლად ტყავისა, და თავზეც ბეწვის ყურსათარების მაგივრად ჩვეულებრივი, სამხედრო ქელი. ჯერ ის ვიგარძენი, რომ ყინვამ ყურის ბიბილოები „მოამაქა“, მერე ფეხებისა და ხელების შეგარძნება დაეკარგე, ბოლოს მომეჩვენა, თითქმის სიცივე გველივით მოცოცავდა გულისკენ, ერთი კი ვიფიქრე, სადაცაა მოაღწევს და მორჩა, განერდება-მეთქი. მაგრამ ამ დროს თვითმფრინავი გრიგალების ზონაში მოხვდა და მეც აქეთ-იქით დამიწყო ძარაში ხეთქება. მერე ერთბაშს სულ ნაფოტივით გვისროდა თვითმფრინავიანად. ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. მართლაც! მგონი, ამან მიხსნა, თორემ სულ გავიყინებოდი. იძულებითმა მოძრაობამ სახსრები ამიშუშავა, თან ისე დავიბეჯე, რომ მთელ სხეულში ტკივილებს ვგრძნობდი. ეს კი მიხაროდა, რადგან

ტკივილის შეგარძნება ასეთ დროს სიცოცხლის ნიშანია.

გარეკარაქისას აეროდრომზე ჩამოვსვამ ვეშვით, იმ ძარიდან ძლივს ამომათრიეს.

— ცოცხალი ხარ? — ჩამომძახა მფრინავმა.

— მგონი, — ვუბასუხე მე, — რადგან მეტი ლაპარაკის თავი არც მქონდა.

— არ გვეგონა, ასე მაღლა თუ მოგვიდებოდა ფრენა, თორემ უფრო თბილად გავხვევდით, — მითხრა მან, მერე თუნუქის მათარით გათოშილობის „უებარი წამალი“ მომაყუდა და ერთბაშად გავთბი, სხეულიც თავისუფლად ამიმოძრავდა, ენის მობრუნებას უნარიც დამიბრუნდა. სასტუმრო „მოსკოვში“ კი სულ დავებრუნდი ამ ქვეყანას. ფრანტის შემდეგ ეს ნამდვილი ფუფუნება იყო ჩემთვის. მეხუთე სართულზე დავბინავდი მარჯვენა ფლიგელში.

წინასწარი მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ ზოგიერთ „პაციენტთან“ შეხვედრა არა სხვაგან სადმე, არამედ სასტუმროში მოხდებოდა. გამიკვირდა! რა ვიციოდი, რომ ეს შესაძლებელი იყო. თურმე შესაძლებელი კი არა. როგორც მითხრეს, ასეც ყოფილა საქირო...

...ომის დროს მოსკოვში, მიმაგრების გარეშე სასადილოში ვერაინი შევიდოდა. მე სამხედრო უწყებამ გორაკის ქუჩაზე მდებარე რესტორან „ასტორია“-ზე მიმაპაგრა. საქირო ბარათი მომცეს თუ არა, მაშინვე იქ გავჩნდი. დარბაზი საესე იყო გერმანული არმიის უფროსი და უმაღლესი ოფიცრობით. ზოგს სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა, ზოგსაც სამხედრო. ერთბაშს აზრზე ვერც მოვედი. თავი უცხოეთში მეგონა. მერე ყველაფერი გაიარკვა. აქ თურმე გერმანელ ემიგრანტთა და „პროგრესულად განწყობილ“ ტყვე ოფიცერთა დემოკრატიული ორგანიზაცია „თავისუფალი გერმანიის“ ხელმძღვანელები და

პასუხისმგებელი თანამშრომლები სა-
დილობდნენ. რაკი მე ამ ორგანიზა-
ციასთანაც მქონდა საქმე, აქვე მიმამაგ-
რეს. ვიჩქეი და ცნობისმოყვარედ ვა-
თვალეირებდი დარბაზში მსხდომთ.
ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს
გერმანული არმიის გენშტაბი გადმო-
ეტანათ აქ. მართალია, გენერლებს ძვე-
ლებური ამპარტავნული გამომეტყვე-
ლება და მიხვრამოხვრა შემპარავ,
თანაც მლიქვნელურ მანერებით შეეც-
ვლათ, მაგრამ თავი მაინც ღირსეუ-
ლად ეჭირათ. თუმცა, უნდა ითქვას,
რომ „ტყვე გენერალი“ არც თუ ისე
ღირსეულად ეღერს, თუნდაც „ასტო-
რიაში“.

ვიჩქეი და დიდხანს ვათვალეირებდი
ამ „გადემოკრატებულ“ გენერლებს.
მე არავის ვიცნობდი. ისინი კი ინტე-
რესით მომჩერებოდნენ, რადგან ერ-
თადერთი საბჭოთა ოფიცერი ვიყავი
მათ შორის. საღამომდე დიდი ხანი იყო
დარჩენილი და არ მეჩქარებოდა. მაგი-
დები თანდათან შეივსო ახალმოსულე-
ბით. „შეიძლება?“ იკითხავდნენ ისინი
და ცარიელ ადგილს მიუხსნებოდნენ.
მე მარტო ვიჩქეი, მაგრამ ჩემთან არა-
ვინ მოდიოდა. მერე თავზე ვიღაც და-
მადგა და მეუბნება:

— შეიძლება, ბატონო ოფიცერო?

— სიამოვნებით! — ვუთხარი მექა-
ნიკურად და პირი გაღებული დამრჩა:
სწორედ ის პოლკოვნიკი კრიმსკა-
იაში რომ ტყვედ ჩავგვივარდა, ისიც
ახალთ-ახალ სამოქალაქო ტანისამოსში.
პოლკოვნიკი იცინის და მხიარულად მე-
სალმება. დაესხედით. საიდან, როგორ,
როდის? — გამოვკითხეთ ერთმანეთს,
სტანიცა კრიმსკაიაც მოვიგონეთ, ერთ-
ხანს ვიბაასეთ. მერე ის შეუღდა ჩემი
ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილე-
ბას: ეს, ეს არის; ის, ის, მიხსნიდა პოლ-
კოვნიკი: გენერალი ესა და ეს. აი, ის
კი გენერალი ზაიდლიცი, ამ ორგანიზა-
ციის ერთ-ერთი მეთაური. მე თვალს
იქეთეენ ვაპარებდი ხოლმე, საითყენაც
პოლკოვნიკი მანიშნებდა... გენერლები
კი თავისთვის ისბდნენ და მადიანად

შეეტეოდნენ, ზოგს სადილი უკვე და-
ემთავრებინა და თამბაქოს მწეოდა,
სხვები ხმადაბლა მუსიკა უღებდნენ.
ვიცოდი, რომ „თავისუფალი გერმანი-
ა“ პრეზიდენტი ცნობილი გერმანელი
მწერალი ერთი ვაინერტი იყო და პოლ-
კოვნიკს ვკითხე:

— ბატონი ვაინერტი ხომ არ არის
აქ?

— დიახ, როგორ არა, — მიპასუხა
მან — მეორე დარბაზში, შემოსასვლე-
ლიდან მარჯვნივ, სამოქალაქონი უმთა-
ვრესად იქ სადილობენ.

მერე საათს დახედეა და დაუმატა:

— გერმანელების პუნქტუალობის
ამბავი მოგეხსენებათ. 20 წუთის შემ-
დეგ ყველანი იქ იქნებიან, ოჯახის წევ-
რებიანად.

კიდევ ერთხანს ვილაპარაკე ჩემს ნაც-
ნობ პოლკოვნიკთან. ზეალაც ამ დროს
შემოვივლი-მეთქი და მეორე დარბაზ-
ში გავედი. აქ მართლაც მხოლოდ სა-
მოქალაქონი იყვნენ: კაცები, ქალები,
ბავშვები. ნამდვილი დემოკრატები და
გადემოკრატებული გენერლები ჯერ
ისე მაინც არ იყვნენ დაახლოებულნი,
რომ ერთ მაგიდას მოსხდომოდნენ...

დარბაზს რომ ვათვალეირებ, უცებ...
ვიღაც წამომეპარა და თვალებზე ხელები
დამაფარა. უცხოელების მეტი იქ არა-
ვინ მეგულებოდა და რას მიეხვდებო-
დი, ვინ „შემიპყრო“ ასე უეცრად. მე-
რე იმ უცნობმა პირდაპირ ყურში ჩამ-
ძახა:

— გამარჯობა, ხახვო! — და გადი-
მეხვია.

პოლკოვნიკი სამოილოვი იყო, ყი-
რიშში რომ 4 დღე ერთად მხოლოდ
ხახვით ვიკვებებოდი.

— გაემარჯოს, ციბული! — ვუპა-
სუხე მე და ჩემს მხრივაც გულითადად
მივესალმე. გერმანელებმა ერთი წუ-
თით მიანებეს თავი „საქმლის მიღების“
წმიდათა-წმიდა რიტუალს და ჩვენ მო-
გვაჩერდნენ. თავი რომ უფრო თავი-
სუფლად გვეგარძნო, გვერდზე გავედით
და სხაპასხუპით ვუამბეთ ერთმანეთს
ჩვენი თავდადასავალი. მერე იმ პოლ-

კოვნიკმა ხელი დამავლო, რესტორანის დირექტორის კაბინეტში შემოყვანა და როგორც ფრონტზე ამბობენ „აუბსნა სიტუაცია“. ასეთი „საზეიმო შემთხვევის“ პასუხად დირექტორმა ნახევარი ლიტრა არაყი „გააჩინა“ და ჩვენც მაშინვე „წავუტეხეთ ბოთლს თავი“. პირველი ჭიქა დავცალეთ თუ არა, პოლკოვნიკმა სიცილით თქვა:

— ეხ, ერთი თავი ხახვი დაგვაყოლებინა ახლა!

დირექტორს ეს მართალი ეგონა და თვალის დახამხამებაზე გავარდა სადღაც. ჩვენ სიცილით ვიყავით გართული და ვერც შევამჩნიეთ, ისე გავგიქრა თვალსა და ხელს შუა. ორიოდ წუთის შემდეგ კი ისევ შემოვიდა ოთახში და სუფთად დაჭრილი და საინზე კონტად დალაგებული ხახვი მოგვაწოდა. ჩვენ იმდენს ვიკინოდით, რომ დირექტორი გაოგნებული გვიყურებდა. ალბათ, ფიქრობდა, ნეტა რა არის აქ სასაცილოო!..

საქმეს „უცებ მოვებით თავი“, ბოთლი დავცალეთ, დირექტორს მადლობა გადავუხადეთ და ისევ დარბაზში გამოვედით. პოლკოვნიკსაც ამ ორგანიზაციასთან ჰქონია საქმე და ისე შინაურულად იქცეოდა, რომ, ეტყობოდა, უკვე ყველას იცნობდა. მერე მეც გამაცნო ზოგიერთი მათგანი. ჯერ ერიპ ვაინერტი, ჯმუხი, სახე დანაოკებული. უკვე ხანში შესული, უზარმაზარფაფრიანი, მერე ცნობილი ანტიფაშისტური მწერლები იოჰანეს ბეხერი, რომლის ქალიშვილი მარინა ჩვენთან მსახურობდა, ფრიდრიხ ვოლფი, ვილელი ბრედელი და სხვები. ისინი მაშინ დიდ მუშაობას ეწეოდნენ მოსკოვში, როგორც ნაციონალური კომიტეტის, „თავისუფალი გერმანიის“ წევრები. ეს კომიტეტი ჩვენთან განუწყვეტლოვ გაზავნიდა გერმანულ ჯარის ნაწილებში გასაგრეცლებელ საინფორმაციო მასალებს. ერთხანს ვისაუბრე მათთან, მერე...

...დრომ მოაღწია და წამოვედი. სამაგისტროს 7 საათზე შეხვედრა მქონდა სტუმროში. გენერალი ზანდლიცი სხვები უნდა მოსულიყვნენ, თუ მოყვანათ, არ ვიცი. შესაძლებელი იყო უფრო მაღალი ჩინის მქონე პირი! მეს უფრო მინტერესებდა და სამზადისს შევეუდექი. მეხუთე სართულის დერეფანში რომ შევეუხევე, ერთ-ერთი ნომრის ღია კარებიდან ქართულ ლაპარაკს მოვკარი ყური. ძალუწებურად შევჩერდი და ყური მიუვადე. ქართველები იყვნენ. თითქოს მათი ხმაც მცინაურა. ძალიან მომინდა თანამემამულეებთან შეხვედრა, თუნდაც უცნობებთან. გაგებდე და დავაკაუნე. ირაკელი აბაშიძე გამოვიდა. ეს ნამდვილი სიურპრიზი იყო ჩემთვის. ერთმანეთს კარგად ვიცნობდით უნივერსიტეტიდან. ნომერში რომ შევედით, აბალი სიურპრიზი დამხვდა: შალვა დადიანი! მანამდე პირადად არ ვიცნობდი მას და ეს შეხვედრა დიდად სასიამოვნო იყო ჩემთვის. მასპინძლებმა ცნობისმოყვარეობა გამოიჩინეს, რაღაცეები გამოიკითხეს. მე ვუამბე, რისთვის ვიპოე მოსკოვს ჩასული და დანტერესდნენ. ერთხანს ვისაუბრეთ, მერე ჩემს ნომერში წავედი და დაველოდე „საპატიო სტუმრებს“...

მკვდრების მოგზაურობა...

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც დაგეგმილი იყო. ვისთანაც შესახვედრი ვიყავი, შევხვდი კიდევ. საჭირო მასალებიც მივიღე და მეორე დღეს კრასნოგორსკის ბანაკში უნდა წავსულიყავი. სადაც სტალინგრადში დატყვევებული სხვა გენერლები იყვნენ მოთავსებული, მაგრამ სამოილოვმა „ნაციონალურ კომიტეტში“ წამოყვანა და მისი ხელმძღვანელები გამაცნო. წინასწარ შეთანხმებულიც ყოფილა, რომ მე უკრაინის ფრონტებზე მყოფ გერმანელო ჯარისკაცებისა და ოფიცრების პოლიტიკურ-მორალურ მდგომარეობის შესახებ გავაკეთებდი მოხსენებას ჩემს

ხელთ მყოფ დოკუმენტური მასალების მიხედვით. ასეთი საინფორმაციო მოხსენება მე ყოველთვის მზად მქონდა და მისი წაკითხვა არც არავითარ სიმწელეს წარმოადგენდა, მაგრამ აუდიტორია რომ გამოცნეს, დავიბენი. ნაციონალური კომიტეტის ხელმძღვანელების — ვაინერტის, ბეხერის, ზაილიციის, ბრედელის, ვოლფის და სხვების ვარდა, აქ იყვნენ გერმანიის მუშათა კლასის მეთაურები ვილჰელმ პიკი და ვალტერ თლბრიხტი. გერმანელების წინაშე გერმანულ ენაზე მოხსენების გაკეთება ზედმეტ კანდიტებადაც მეჩვენა, მაგრამ შემავლუიანეს და იძულებული გავხდი დავთანხმებულყავი, მით უმეტეს, რომ აუდიტორიის თითქმის ნახევარმა რუსული ენა არ იცოდა.

ჩემი მოხსენების აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ გერმანელ ჯარისკაცებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა, ხოლო ოფიცრობის თითქმის მთელი შემადგენლობა ჯერ კიდევ დარწმუნებული იყო გამარჯვებაში.

მოხსენების შემდეგ უამრავი შეკითხვა მომცეს. მეც ვპასუხობდი, რაც შემიძლო, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ პიკმა და ულბრაჰტმა ყოველგვ ეს ჩემზე უკეთ იცოდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც დიდ ინტერესს იჩენდნენ, კითხვებსაც იძლეოდნენ, თვითონაც მსჯელობდნენ, ახალ-ახალი მაგალითები მოჰქონდათ და, საერთოდ, ტონს აძლევდნენ საქმის ვითარებას. მე ერთი სული მქონდა, როდის გათავდებოდა ყოველივე ეს. მეშინოდა, ვაი, თუ მათთვის არასაინტერესო ამბებს ვუყვები მეთქა, მაგრამ როგორც გამოარკვეა, თურმე, ჩემდაუნებურად, „სიტუაციაში ჩავვარდა“. ნაციონალურ კომიტეტს გერმანელ ტყვე ოფიცერთა კავშირის დაარსება გადაეწყვიტა და მას ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ დავა ჰქონდათ ერთმანეთთან ცალკეულ საკითხებზე. როგორც შევატყვე, ვაინერტი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა ამ საქმისადმი, არ სჯეროდა გერმანელი ოფიცრების თავზე „სახარების კითხვა“ თუ რამე შედეგს

გამოიღებდა. მოსამზადებელი მუშაობა კი მაინც სწარმოებდა, ვახსენებთ, კრასნოგორსკის ტყვეთა შანაკში. იქ უკვე იმდენი გენერალი და ოფიცერი იყო, რომ, ცხადია, მათი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა. მეც იმ გენერლების მიმართებას და სხვა მასალების ორგანიზაცია მქონდა დავალებული. ეს რომ ვთქვი, პიკმა მაშინვე მითხრა:

— თუ სხვა გეგმა არა გაქვთ, ზეგ მე და ერიპი მივდივართ კრასნოგორსკში, თქვენც წამოდით და იქ მოვაგვარებთ ყველაფერს.

— მეც მოვივარ — სთქვა სამოილოვმა.

ეს სწორედ ის იყო, რაც მე მინდოდა და, რა თქმა უნდა, დავეთანხმე. მეორე დღეს სამოილოვთან სამსახურში ვეცნობოდი სპეციალურ ბიულეტენებს ნაციონალური კომიტეტისა და სტალინგრადის ამბების შესახებ; განსაკუთრებით, პაულუსის დაკითხვის ტექსტებს და სხვა გენერლების „საერთო განწყობილებას“... ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ სტალინგრადის კატასტროფა უმთავრესად პიტლერისა და გერინგის ბრალი იყო. გენერლებს მიანდათ, რომ საქმეს მხოლოდ დროზე უნა დახვევა უშველიდა, მაგრამ რაკი ეს არ მოხერხდა, მერე ალყის გარღვევა მაინც უნდა ეცადათ. მართალია, ალყის გარღვევის ცდის დროს პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს დავკარგავდით, მაგრამ რალაცას მაინც გადავარჩენდით. ბევრი მათგანი პირადად პაულუსს ადანაშაულებდა; უნერხემლო აღმოჩნდა, თორემ კრიტიკულ მომენტში უნდა მეტი პასუხისმგებლობა აეღო თავის თავზე.

პაულუსთან საუბრის შემთხვევა რომ მომეცა, მანაც დაადასტურა, დროზე უკანახვევა, ან ალყის გარღვევა იყო აუცილებელი.

— ამის შესახებ მე ჰიტლერს დებეშა გავუგზავნე 2 ნოემბერს — თქვა მან — ერთი დღის შემდეგ იგივე გავიმოხრე. 25 ნოემბერს კი ერთხელ

კიდევ ვითხოვე ალყის გარღვევის ნებართვა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჰიტლერი მაშინ მხოლოდ კაიტელსა და იოდლს უჯერებდა, ისინი კი უმალ არმიას გაიმეტებდნენ დასალუპად, ვიდრე ფიურერის, როგორც მთავარსარდლის, პრესტიჟს შელახავდნენ.

პაულუსი ამბობდა, რომ 8 დეკემბრიდან 1-ლ ბანერამდე იგი თითქმის ყოველდღე გზავნიდა ლეკეშებს ჰიტლერის სახელზე, მაგრამ ის ვარედან დახმარებას ჰპირდებოდა და კატეგორიულად უკრძალავდა უკან დახევას, ალყის გარღვევას ან კაპიტულაციას. მერე ეს უკვე შეუძლებელი გახდა. არმია ისე დაიღო, რომ სერიოზული მანევრების ჩატარება აღარც შეეძლო...

...სამხედრო მემუარებში კარგადაა აღწერილი თუ რა კატასტროფიულ მდგომარეობაში იყვნენ ალყაშემორტყმულები. საშინელი ყინვის გარდა, ჭარს მომარაგება აკლდა. სახამართ ტანისამოსი არ იყო. სიცოცხლე, შიმშილი და ავადმყოფობა მუსრს ავლებდა გერმანელთა „ცოცხალ ძალას“. ჩვენი არმიები კი თანდათან უჭერდნენ მათ მარწყუხებს. სულ ამო გამოდგა გერინგის ქაღილი, თითქოს პაულუსის არმიას ჰყერიდან მომარაგებდა. თვით პაულუსის თქმით, ამისთვის სულ მცირე 850 ტონა ტვირთის გადმოსროლა იყო საჭირო ყოველდღიურად. გერინგი კი ამის ნახევარსაც ვერ ახერხებდა, თუმცა ჰიტლერს კი არწმუნებდა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. როცა კატასტროფა მოახლოვდა და პაულუსის არმიის ხსნა უკვე შეუძლებელი იყო, ჰიტლერს მორიგმა ისტერიამ მოუარა. მან იხმო გერინგი და პირველად მის სიცოცხლეში უყვირა, უქნარა ხარ, ზარმაცი, შენი ავიაცია კი უსუსური, არაფრის მაქნისი, ისა სჯობია სულ დაეშალოთ და არმიათა წგუფებს მივამაგროთო. „რკინის ჰერმანმა“ ამას იმით უპასუხა, რომ ცრემლები გაღმოდვარა, მერე გალახული ბავშვივით გამო-

ვარდა ფიურერის კაბინეტიდან, გაიარა მისილები და პირდაპირ ბუფეტზე წავიდა. აქ ერთი ბოთლი კონიაკი და ერთი ცალა და მაგიდაზე დავარდნილმა ისევ ქვეთინი მორთო. ან რა ეთქმოდა. არმია ისე ილუპებოდა, რომ უკვე ვერავითარი ძალა ვერ უშველოდა. გერმანელთა ჯარისკაცები ხომ სულ კატასტროფიულ მდგომარეობაში იყვნენ... ახლა მათ უფრო მეკვდრებზე უხდებოდათ ზრუნვა, ვიდრე თავიანთ თავზე. გაყინული და ქვესავით გამაგრებული მიწის ამოთხრა საფლავებისთვის ისე ჰირდა, რომ ზოგჯერ ერთი სამარის გომარას შიმშილისაგან მისუსტებული, გათოხილი 4—5 კაცი მთელი დღე უხდებოდა. მერე და რამდენი საფლავის ამოთხრა იყო საჭირო! ლამის მთელი არმია მესაფლავებდალ გადიოქვა. ეს კიდევ არაფერი! როცა გერმანული ნაწილი უკან იხევდა, ოფიცრების განკარგულებით, ჯარისკაცებს მეკვდრები ისევ უნდა გამოეთხარათ და თავიანთი ახალი დისლოკაციის ზონაში გადმოეტანათ. შემდეგ ისევ უკან იხევდნენ, ისევ თხრიდნენ გვამებს და იყვნენ მეკვდრები და ცოცხლები ასე ერთიან „მოგზაურობაში“.

ადილი გასაგებია, თუ რა გავლენას მოახდენდა ეს გერმანელი ჯარისკაცების მორალურ მდგომარეობაზე. ოფიცრები კი მათ უმაღლვდნენ, თუ რა გამოუვალ მდგომარეობაში იყვნენ, ატყუებდნენ, მალე შემოცლულებს გამოგზავნიან, თქვენ კი სამშობლოში დაბრუნდებითო. ჯარისკაცებს კი არა, პაულუსმა თავის გენერლებსაც დაუმალა საბჭოთა სარდლობისგან დანებების ულტიმატუმი რომ მიიღო. ერთხელ ის თვითონაც გაფრინდა ჰიტლერთან, მაგრამ იგივე განკარგულება ჩამოიტანა:

— წინააღმდეგობა უკანასკნელ ჯარისკაცამდე!...

...20 იანვარს პაულუსი ისევ იძულებული გახდა ჰიტლერისათვის კაპიტუ-

ლაციის ნება ეთხოვა, მაგრამ ამჯერადაც უარი მიიღო, ბრძოლები კი დასასრულს უახლოვდებოდა.

— ეს ყველაზე მძიმე დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში — თქვა მან, როცა ამის შესახებ გვიყვებოდა.

ოლონდელ ადრე ის ბედით განეზიარებული ჩანდა. სამხედრო კარიერის საფეხურებიც შედარებით ადვილად აირბინა და სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის ობერკვარტირმაისტერად დაინიშნა. აქ ის ცვლიდა შტაბის უფროსს, გენერალ-პოლკოვნიკ ჰალდერს, და ასრულებდა მის სპეციალურ დავალებებს. 1941 წლის შემოდგომიდან პაულუსს დაუმორჩილეს გენერალური შტაბის ორი განყოფილება: სასწავლო და ორგანიზაციული. იგი მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმის შედგენაში, რასაც კოდური სახელი „ბარბაროსა“ შეარქვეს...

...პოქენშტაუფენების დინასტიის წარმომადგენელი, ე. წ. „რომის წმიდა იმპერიის“ იმპერატორი XII საუკუნეში, ფრიდრიხ I ბარბაროსა მრავალი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე იყო. იგი ოცნებობდა აღმოსავლეთის ტერიტორიების დაპყრობასა და სლავების შემუსვრაზე. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ ის ერთერთი შეტაკების დროს დაიხრჩო მდინარე სალეფში. ამის შემდეგ გერმანიაში შეიქმნა ლეგენდა, თითქოს ფრიდრიხ ბარბაროსამ თავი შეაფარა კიჟპაიზერის მთის გამოქვაბულს ტიურინგიაში და უცდიდა როდის დადგებოდა დრო, რომ კვლავ ჩადგომოდა სათავეში ტეტონელ რაინდებს და გაელაშქრა აღმოსავლეთისაკენ.

ჰიტლერის აზრით, ეს დროც დადგა. 800 წლის შემდეგ მან გასცა განკარგულება შეედგინათ აღმოსავლეთზე ვალაშქრების გეგმა. და იმ მითის შესაბამისად წინასწარვე „ბარბაროსა“ უწოდა მას. თქვა კიდევ, რომ ის იქი-

დან დაიწყებს, სადაც ერთ დროს გერმანიის ტეტონები შეჩერდნენ.

— „ბარბაროსას“ პირველი ჯარისკაცი ტი შედგენილი იქნა მე-18 არმიის შტაბის უფროსის გენერალ-მაიორ მარქსის მიერ. — რატომღაც ხაზგასმით აღნიშნა პაულუსმა. ეს გვარი რომ ახსენა, სახეზე ღიმილი აუთამამდა. პიკმა მაშინვე შენიშნა:

— მგონი, ვსიამოვნებთ ამ გვარის ხსენება, იქნებ ეს რამე ასოციაციებს იწვევს თქვენში?

— ჩემში არავითარს, — თქვა პაულუსმა, — თვითონ გენერალი მარქსი კი ხუმრობდა ამაზე.

— რას ხუმრობდა? — ჩაეკითხა პიკი და მოიღუშა, პაულუსმა თავი უხერხულად იგრძნო, მაგრამ მაინც თქვა:

— კომუნისტ მარქსის საქმეს მე, ნაციონალ-სოციალისტი მარქსი, მოვუღებ ბოლოსო.

— თქვენ როგორ გგონიათ? — არ მოეშვა პიკი და პირდაპირ თვლებში ჩახედა.

— მე მგონია, პირიქით, მკვდარი მარქსი სძლევს ცოცხალს, — უპასუხა პაულუსმა და ისევ გაიღიმა.

— ამაში მალე დარწმუნდებით — მიუგო პიკმა. ეტყობოდა, გააჯერებული იყო, მაგრამ არ იმჩნევდა. პაულუსმა კი სწრაფად განაგრძო:

— გენერალური შტაბის უფროსმა ჰალდერმა შემდეგ ის გეგმა მე გადმომა დასამუშავებლად. ჩემს შემდეგ კი გენერალი ჰოიზინგერიც მუშაობდა საბოლოო ვარიანტზე.

ამის შემდეგ პაულუსი მოყვა, რომ მისი ზეღმძვანელობით ცოსსენში ჩატარდა „ბარბაროსას“ პირველი სამხედრო ვარჯიში — ანუ „თამაშობანი“, როგორც მაშინ ამბობდნენ. პიკი უცებ გამხიარულდა: — ასე რომ, საბჭოთა კავშირთან ომი თქვენ „თამაშით“ დაიწყო და სტალინგრადში ხელების აწევით დაამთავრეთ, არა?

პაულუსს, ამაზე პასუხი არ გაუცია. პიკმა კი ჩვენ გადმოგვხედა და რაღაც

საოცარი გერმანული აქცენტით გვითხრა:

Доигралса фелдмаршал, მერე თითქოს მარქსზე ხუმრობის სამაგიეროს უზღავსო, გულიანად გაიცინა და გაიმეორა: — Да, да доигралса!..

...პაულუსისათვის ეს დამარცხება მართლაც დიდი ტრაგედია იყო. იგი იმთავითვე საბჭოთა კავშირთან ომის მომხრედ ითვლებოდა. მისი სახელი მოიხსენიება ყველგან, სადაც კი „მარბაროსაზეა“ ლაპარაკი. 1941 წლის სამ თებერვალს ესწრებოდა კიდეც ბერპტენგადენში ჰიტლერის მიერ მოწვეულ თათბირს, სადაც დამტკიცებული იქნა ეს გეგმა. თათბირზე იყვნენ, აგრეთვე სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი, ფელდმარშალი ბრაუნჩი, გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების გამგე გენერალი ჰოინინგერი და სხვები. მათ შორის, რა თქმა უნდა, ჰიტლერის მუდმივი თანმზლებნი ასეთ და მსგავს შემთხვევებში: კაიტელი და იოდლი. თათბირისა და გეგმის დამტკიცების შემდეგ, იოდლმა უთხრა თურმე გენშტაბის პოდპოლკოვნიკ ლოსბერგს:

— საბჭოთა კავშირზე შეტევის დაწყებიდან 3 კვირის შემდეგ ეს მუყაოს ჭეხულა დაინგრევა!

ლოსბერგმა იოდლის ნათქვამი პაულუსს გადასცა, რომელმაც გააცხადა ეს თავის მიმართულებაში საბჭოთა მთავრობისადმი.

პაულუსმა აქტიური მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, იუგოსლავიაზე თავდასხმებში. 1941 წლის 27 მარტს სპეციალურ თათბირზე ჰიტლერმა თქვა:

— გადავწყვიტე, მოვკაო იუგოსლავია. მე იქ გამოვიჩენ შეუზარალებელ სისასტიკეს, რათა დავამინო სხვა ნეიტრალები!..

ყველამ იცით, რა საშინელი ტრაგედია დატრიალდა ამის შემდეგ იუგოსლავიაში. პაულუსსაც მიუძღვის წილი ამ ამბებში. სხვაგანაც. იგი სპეციალუ-

რი ეიზიტით ჩავიდა ჯერ ვენაში, სოლო შემდეგ ბუდაპეშტში, რათა შემდეგ ბინა ნიადავი უნგრეთის მარშალის შირის წინააღმდეგ ომში ჩააბაძულა. ასეთთვე გადალებას მართლებდნენ გერმანული სამხედრო მისიები რუმინეთსა და ფინეთში. 27 თუ 28 მარტს პაულუსს გამოუძახეს იმპერიის კანცელარიაში. სადაც პაულერმა გადასცა სამხედრო „ტრიუმირატის“ — ჰიტლერ-საიტელი-იოდლის გადაწყვეტილება იუგოსლავიაზე თავდასხმის შესახებ. ამით უნდოდან „მარბაროსას“ ოპერაციების გაშლის დროს გერმანულ არმიას მარჯვენა ფლანგი უზრუნველყოფილი ჰქონოდა.

ამის გამო საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ვდამ მინიდან იენისის მეორე ნახეცრამდე გადაიწია. პაულუსი ამ თავდასხმის ყველა დეტალს მომზადებაში იღებდა მონაწილეობას. იგი ესწრებოდა 1941 წლის 6 ივნისის თათბირსაც, სადაც ჯარების სამეობათა საზღვლები მოაქსენებდნენ ჰიტლერს, კაიტელსა და იოდლს თავიანთ მზადყოფნას საბჭოთა კავშირზე თავდასხმეულად.

— 1941 წლის 22 ივნისიდან, — თქვა პაულუსმა — ჩვენ ავიღეთ საბჭოთა ქვეყნის განადგურებისა და მოსაპოვის ჯერსი...

...გენერალ-ფელდმარშალ ფონ რაიპენაუს მოკვლის შემდეგ, პაულუსს თვითონ მოუხდა მონაწილეობა „მარბაროსას“ პრაქტიკულ განზოცეულებებში. იგი დანიშნა მე-6 არმიის სარდალად, რომელსაც სტალინურადის აღება ევალებოდა. ამ დროს გერმანია თავის გამარჯვებათა ზენიტში იყო. იგი ფლობდა და განაგებდა უზარმაზარ ტერიტორიას, დაწყებულს ნორდჰაიმის კონცხიდან ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროებამდე და ვოლვიდან ბრეტანამდე. გერმანიის არმიამ ამ დროს უკვე მიაღწია ერთი მხრივ ლამანშს, ატლანტიკას, პარიზის, ადრიატიკას და თვით ხმელთაშუა ზღვის ორივე სანაპიროს; მეორეს მხრივ

კი — არქტიკას, მოსკოვისა და კავკასი-
ის მისადგომებს, შავსა და ეგეოსის
ზღვებს. მისი წყალქვეშა ნაეები მოქმე-
დებდნენ დედამიწის ყველა ოკეანეში.
ეს დიდი მიღწევა იყო და უბედურე-
ბაც. გერმანიას არ შეეძლო ასე ათასე-
ულ კილომეტრებზე გავიშული ფრონ-
ტის ერთდროული დაცვა და შემდგომი
შეტევების განვითარება. მისი დაქსაქ-
სული ძალები თანდათან სუსტდებოდა,
მოკავშირეები კი სულ ახალ და ახალ
ენერგიას იკერფდნენ. ნოემბერში ინგ-
ლისელებმა რომმელი დაამარცხეს ელ-
ალამეინთან, და ამერიკელებთან ერთად
დესანტები გადასახეს მაროკოსა და ალ-
ჯირში. იმავე დროს დაიწყო სტალინ-
გრადის ეპოპეა. აქ ვოლგისა და დონის
ქვემოღინების უწვრილეს ყელზე, ასი
ათას კვადრატულ კილომეტრ ტერიტო-
რიაზე საომარ ოპერაციებში ერთდრო-
ულად მონაწილეობდა 2 მილიონზე მე-
ტი კაცი, დაახლოებით 2 ათასი ტანკი,
20 ათასი ზარბაზანი და 2 ათასზე მეტი
სამხედრო თვითმფრინავი. ნოემბრის
შუა რიცხვებში საბჭოთა არმიამ გაარღ-
ვია გერმანულ-რუმინელთა დაცვის ხაზი
სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთ-
ითა და სამხრეთით, სადაც გერმანე-
ლებთან ერთად იბრძოდნენ რუმინელები
(მე-3 არმია), იტალიელები (მე-8 არ-
მია) და უნგრელები (მე-2 არმია).

გერმანელების მარჯვენა ფლანგს რუ-
მინეთის (მე-4 არმია) იცავდა. დონისა
და სტალინგრადის ფრონტების ერთი-
ანი ოპერაციით, რაც 19 ნოემბერს დაი-
წყო, იერიში მიტანილ იქნა როგორც
ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით ორივე
რუმინულ არმიაზე (მე-3 და მე-4) ამავე
დროს 20 საბჭოთა დივიზია და რამდე-
ნიმე სატანკო თუ მოტო-მექანიზებული
ბრიგადა გადავიდა შეტევაზე ვოლგასა
და დონს შორის, რათა შეეებოა გერმა-
ნელთა ძირითადი ძალების მოქმედება.
მე-6 არმიის სარდლობამ მაშინვე იგ-
რა, რომ ხაზანგში ხედებოდა, თავდა-
ცვის ზომებიც მიიღო, მაგრამ ყველა-
ფერი ამაო გამოდგა. 22 ნოემბერს ის
აღყაშემორატყმული აღმოჩნდა. იმავე
10. „მთაბი“, № 7

დღეს იყო პაულუსმა ღებნით რომ
ითხოვა ნებართვა ალყის გარღვევისა...
მაგრამ... თქვენ უკვე იცით, რა...
შემდეგ მოხდა!

ეს „თამაშობანი“ კი არ იყო ცოსენ-
ში, არამედ ნამდვილი ომი, და პაულუსი
მართლაც „догнался“.

თერმობილის კომედია...

...ახლა კი ის ზის უკვე დამშვიდებუ-
ლი, ინტერვიუებსა და მიმართვებში გა-
რთული. საშუალოზე მაღალი კაცია, გა-
მხდარი, უკან გადაეარცხნილი თმები
აქვს, დიდი შუბლი, ოდნავ მოხრილი
ცხვირი და ამპარტავნული გამოხედვა.
კარგი საუბარი იცის, ბუერს ფიქრობს
და ცოტას ლაპარაკობს, ცდილობს ყო-
ველი სიტყვა ასწონ-დასწონოს. თავი
იცე მოაქვს, თითქოს ღრმად აღწოთე-
ბული იყოს პიტლერის პოლიტიკით, ნა-
მდვილად კი უფრო გერინგს, კაიტელსა
და იოდლს ლანძღავს.

მე მასსოვს ნიურნბერგის პროცესზე
რომ წაიკითხეს დოკუმენტი პაულუსის
ხელმოწერით, სადაც ის ჩამოთვლის
მთავარ სამხედრო დანაშაულებების —
გერინგის, კაიტელისა და იოდლის მძი-
მე დანაშაულს, თავის თავზე კი რამდე-
ნადმე შეკავებულად წერს:

— მე თვითონაც მაწევს მძიმე პასუ-
ხისმგებლობა იმისა, რომ სტალინგრად-
ში სრულიად კეთილსინდისიერად ვას-
რულეზდი ბრძანებებს სამხედრო ხელმ-
ძღვანელებისა, რომელნიც წინასწარი
განზრახვით მოქმედებდნენ დანაშაუ-
ლებრივად...

მერე პაულუსი მოწმედ გამოვიდა
ნიურნბერგის პროცესზე. ის რომ ლაპა-
რაკობდა, გერინგი, კაიტელი და იოდლი
როგორღაც ამრეზილად უყურებდნენ.
პაულუსი მათ მოდლოატედ მიანნდათ,
ფიცის გამტეხად; თუმცა იყო დრო, რო-
ცა თერმობილის გმირადაც კი სახად-
ნენ მას...

...თერმობილი, მოგესხენებათ, ვიწრო
ხეობაა საბერძნეთში, რომელიც თესა-
ლიას აერთებს ლოკრიდუსთან. აქ, ამ

ხეობაში, ჩვენს ერთმდე 1 საუკუნით ადრე, მოხდა სამხედრო ხელოვნების ისტორიაში კარგად ცნობილი შეტაკება ბერძენებსა და სპარსელებს შორის. როცა ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ ბერძენები დარწმუნდნენ, რომ მათი დამარცხება გარდუვალია, სარდალმა, მეფე ლეონიდემ, დაითხოვა ოთხი ათასი კარსაკი, რის შემდეგაც ხეობას მხოლოდ სამასი სპარსელი იცავდა. კიდევ 2 დღის განუწყვეტელი ბრძოლის მიღებად სპარსელებმა ვერ შესძლეს თერმოპილის ხეობის გარღვევა და გასულა. ძირი იძულებული ვაზდნენ მთის ბილიკებით შემოველოთ... მაგრამ არცერთი სპარსელი არ დანებდა მტერს. ყველანი გმირულად დაიღუპნენ ბრძოლის ველზე თავიანთი მეფის მეთაურობით. სპარსელებმა კი 20 ათასი კაცი დაკარგეს ამ ბრძოლებში...

...სტალინგრადის კატასტროფის მძიმე შთაბეჭდილება რომ შეენელებინათ, გებელსის პროპაგანდამ სცადა თერმოპილის გმირების ბედი დაეკავშირებინა პაულუსისა და მისი „გრენადერების გმირულ დაღუპვასთან“. ნაციტური პრესა აიწყო „სტალინგრადელი სპარსელების“ ზოტბით. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ფელდმარშალმა პაულუსმა და მისმა გენერლებმა თავი დასდეს ბრძოლის ველზე. ამზდნენ სამასი სპარსელი მოსასჯელიც შეუკეთესო მკერავემ დაღუპული გმირების სიმბოლური დამარხვის ცერემონიალისთვის. ვახეთები აქვეყნებდნენ „გმირი“ პაულუსის ბიოგრაფიას, რაც უფრო ნეკროლოგს ჰკავდა... რადიო დღედაღამ გაჰყვირდა იმის შესახებ, თუ რა მამაკლრად დაიღუპა ფელდმარშალი თავის ოფიცრებთან ერთად... ეს კატასტროფული მარცხიც „გერმანული სულის“ სიმტკიცის მავალითად უნდოდან გამოყენებინათ. მაგრამ...

...სწორედ მაშინ, როცა „სტალინგრადელ სპარსელებს“ დიდებულ შარავნდით მოსავედნენ, საბჭოთა მეავტომობილ ტექნიკის სპეციალური რაზმი მიიწვედა უნივერსიტეტის შენობისაკენ, რომლის სარდალშიც პაულუსის შტაბი იმყოფებოდა. ალყაშემორტყმული არმიის ლაციონადაცია თითქმის დამთავრებული იყო, ეს ხელისგულის ოდენა ტერორითა კი, რომელზედაც ერთი სახლიც ძლივს ეტეოდა, ჯერ კიდევ ფელდმარშალის განკარგულებაში იყო...

31 იანვარს, დამით, მეავტომობილმა ალყა შემოარტყეს ამ სახლს და გადაჭრეს ტელეფონის ხაზები... პაულუსს ეს დილაზე არ გაუგია. დილით ადრე კი საბჭოთა პარლამენტიორებმა ულტიმატუმი გადასცეს დანებების შესახებ, რაც მიღებული იქნა.

„თერმოპილის კომედია“ დამთავრდა. „გმირულად დაღუპული ფელდმარშალი“ და მისი გრენადერები „სამარცხვინო ტყვეობაში“ აღმოჩნდნენ. ბერლინში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა. რადიო განუწყვეტლივ გადასცემდა „ღმერთების დასასრულს“. საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ვრძელი სია გენერლებისა და პოლკოვნიკებისა, რომელთაც ტყვეობა არჩიეს თეატრალურ სიკვდილს. თავი ვერც პაულუსმა გაიმეტა. ამის შემდეგ ის საბჭოთა არმიის განკარგულებაში იყო, სხვა გენერლებთანაგან განცალკევებით ცხოვრობდა და, საერთოდ, ლოიალურად იყო განწყობილი ყველაფრისადმი, რასაც მისგან მოითხოვდნენ. ბოლოს და ბოლოს ის არც ისე გაუტეხელი ბეჭედი აღმოჩნდა, პიკი ესაუბრა კიდევ ოფიცერთა კავშირის ჩამოყალიბების შესახებ, რასაც პაულუსი ინტერესით შეხვდა და მგონი თავისი თანამშრომლობაც აღუთქვა.

მე ყველა მასალა მივიღე, რაც მინდოდა, დამირჩა მხოლოდ კრასნოგორსკში წასვლა...

სატანის ბიბლია...

დანიშნულ დროს „სატორიასი“ შევიკრიბეთ. სახელდახელოდ ვისაუხმეთ და რომელიღაც უცხოური მარკის მანქანაში ჩავსხედით. მე მძღოლთან დამსტეს, თვითონ უკან მოათავსდნენ. გზადგზა მანქანის სარკეში ვაინერტის სახეს ვხედავდი. იგი გაცხარებით ეკამათებოდა პიკს „ოფიცერთა კავშირის“ შესახებ. პიკი იცინოდა და თითქოს ეთანხმებოდა კიდევ, მაგრამ მაშინვე შევატყვე, რომ მიიხეც თავის პოზიციასზე იდგა.

— ეჰ, ერის, ერის, რა კარგი პოლიტიკოსი იქნებოდი, პოეტი რომ არ იყო, — ეხუმრა ბოლოს პიკი.

— პოლიტიკოსები რომ პოეტები არ ყოფილიყვნენ, რევოლუციასაც ვერ მოახდენდნენ, — უპასუხა ვაინერტმა.

ვერც მივხვდი, რაზე დაობდნენ ისინი. ეს სიტყვები კი კარგად დამამახსოვრდა. ვაინერტი ხუმრობდა; „ოფიცერთა დემოკრატიულ კავშირს“ ისა სჯობს, „იესუიტ გენერალთა ინტერნაციონალი“ ჩამოვაყალიბოთ, მათ შორის გერმანელების გარდა ხომ რუმინელები, აზერელები და იტალიელებიც არიანო.

მოსკოვიდან კრანოვოვსკამდე სულ 23 კილომეტრია, მაგრამ მანქანა ისე ნელა მიდიოდა, რომ ამ მანძილის გავლას საათზე მეტი მოვუწიდა. ტყვეთა ბანაკამდე რომ მივადელო, ჩვენს თვალწინ მშვენიერი პეიზაჟი გადაიშალა. კრასნოვოსკი საკურორტო ადგილია და ლაშაზი ხედი აქვს. ბორცვებზე აქა იქ, კოხტა აგარაკებია მოფანტული. წიწვიანი ხეების სისშირე კიდევ უფრო ალამაზებს იქაურობას.

ბანაკის ხელმძღვანელობისათვის მარტო მე ვიყავი ახალი სტუმარი. პოლკოვნიკმა გააცნო ჩემი თავი, მაგრამ დოკუმენტები მაინც მომთხოვეს.

ვილჰელმ პიკი ყველას მეგობრულად მიესალმა. ვაინერტიც, ერთსაც და მეორესაც ძალიან უზნებოდათ უცხოური აქცენტით გამოთქმული რუსული სიტყვები. კომენდანტმა იკითხა ამხანაგი ულბრიხტი რატომ არ ჩამოვიდაო. ის

თურმე ყველაზე ხშირი სტუმარი ყოფილა ამ ბანაკში. უთბრეს, ჯარისკაცების ბანაკშია წასულიო. ვაინერტიც ბრეტერი და ბრედელიც ხშირად გამოდიოდნენ თურმე აქ და კითხულობდნენ „მგლების თავზე სახარებას“. „მგლები“ კი სულ ტყისკენ იყურებოდნენ. ერთხელ მათუღსწარათებს ქვეშ გვირამიც გაიყვანეს და გაქცევა სცადეს, რომ შემდეგ თავიანთ „მგლის ბუნებაზე“ მიეღწიათ, მაგრამ გაუგეს და უკანვე დააბრუნეს ბანაკში. მათ შორის იყო თითო-ორიოლა თვინიერი გამოხაყლისი, მაგრამ ისიც. მგონი, ისე, სიტუაციის გამო. როცა პიკი მიმართავდა მათ სიტყვით, ზედვე ეტყობოდათ, გუნებაში რასაც ფიქრობდნენ. მართალია, სტალინგრადის კატასტროფა კი გამოსცადეს, მაგრამ ეს მაინც ვოლგის ნაპირას მოხდა და არა ოდერზე. მათ ჯერ კიდევ წარმატების იმედი ჰქონდათ. სტალინგრადის ამბებს კი ისევე უმალდესი სარდლობის შეცდომებს მიაწერდნენ. უფრო ხშირად კი „გენერალ ზამთარს“. მერე იქაურ წესებსაც გაეცნა. დილისა და საღამოს შემოწმებაზე გენერლები ცალკე ეწყობოდნენ, სხვა ოფიცრები ცალკე-სამსაცილოც იყო, „უძლეველი“ გერმანელი გენერლები რომ საბჭოთა ლეიტენანტის წინაშე იჭიმებოდნენ და მწყობრში სწორდებოდნენ. მაშინ ყველა მათგანი ატარებდა სამხედრო წოდების გათმასხვავებულ ნიშნებს და ორდენებს. მარტო რუმინელი გენერალი იყო რატომღაც სამოქალაქოში. ალბათ, ასე გადაცემულს უნდოდა გააბრუნდეს, მაგრამ მაინც ჩავარდა ტყვედ. კავალერიის გენერალი ბრატესკე კი სრულ ფორმაში დადიოდა და თანაც ისე ამაყად, თითქოს დიდი ომი მოეგოს. ამ ბრატესკუს კითხეს თურმე, შენი კავალერიის ცხენები სად არისო და გერმანელმა ჯარისკაცებმა შესაშლესო. მართლაც ასე ყოფილა. როცა ბრატესკუს კავალერია ალყაში მოხვდა და მომზარების მდგომარეობა გაუარესდა, მისი ცხენები სულ ნაჭერ-ნაჭერ დაუტყენიათ ჯარისკაცებს, როგორც გერმანელებს, ისე

რუმინელებსაც. მერე ამ „ფეხოსან კავალერიის“ სხვა ოფიცრებიც ტყვედ მოხვდნენ. მე ველაპარაკე პოლკოვნიკ მალტოპოლს. ვკითხე, „დიდი რუმინეთის“ ზონა ხომ დნესტრისა და დნებარის მიდამოებშია და ვოლგასთან როგორ აღმოჩნდით-მეთქი.

— ჰიტლერსა და ანტონესკუს თავიანთი საზღვრები გაყოფილი არასოდეს ჰქონიათ, — მიპასუხა.

ახლა ეს რუმინელი გენერლებიც გერმანელებთან ერთად ეფიცებოდნენ მხეს კრასნოგორსკის ბანაკში, თუმცა შიგა და შიგ უღრენდნენ კიდევ ერთმანეთს. გერმანელები რუმინელების სისუსტეს აბრალებდნენ მათი ფლანგების გამიშვლებას. ამას განმკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდნენ კორაუისის მეთაურები, გენერალ-პოლკოვნიკები შტრეკერი და ჰაინცი. ამავე აზრს იზიარებდნენ გენერალ-ლეიტენანტები — ფონ როდებურგი, ზესტ არნიმი და ფონ ლენსკი. ექსპანსიური იტალიელი გენერალი რინოლდი წამდაუწყებლად სათვალევებს ისწორებდა და რაღაცას უმტკიცებდა გენერალ-მაიორ ფონ ლიტმანსა და შავნოსს. გენერალმაიორი როსკე კი ვანზე იდგა და ისე ათვალეობდა ყველაფერს.

პიესა და ვაინერტს ჯერ რამდენიმე გენერალი შემოეხვია, მერე მათმა რიცხვმა იმატა, ბოლოს გაცხოველებული დისკუსიაც გაიპართა. პიესი რეინისებური ლოგიკით ბოჭავდა გერმანელ გენერლებს. მაგრამ თავის მხრივ გენერლებიც აქტიურობდნენ, განსაკუთრებით, გენერალ-პოლკოვნიკი შტრეკერი. იგი ამტკიცებდა, გერმანული არმია არასოდეს არ წააგებს ომს, პოლიტიკოსები რომ არ აფუჭებდნენ საქმესო.

— ასე იყო იმ ომის დროსაც, ასეა ახლაც, — თქვა მან — ჩვენ ვმარცხდებით პოლიტიკის გამო და არა სამხედრო სტრატეგიისა.

პიესი ერთბაშად ელაპარაკა მას, მაგრამ ვერ გადაარწმუნა. შტრეკერმა მინც თავისებურად თქმული სენტენცია მოარგო სიტუაციას:

— როცა ზარბაზნები ვრიალებენ, პოლიტიკოსები უნდა სდუმდნენ. ნამდვილი პრუსიული საოლდფორნი იყო და ამგვარი საუბარი მასთან, მართლაც, მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავდა...

...მათ ხომ თავიანთი სახარება ჰქონდათ: ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“. ამ წიგნმა გარყვნა ნაციისტების გონება, ეს გენერლებიც აყარა თავიანთ სახლკარიდან და კრასნოგორსკის ბანაკში ამოაყოფინა თავი. რა უნდოდათ? რისთვის ააფორიაქეს ამდენი ქვეყანა? სად მოდიოდნენ? მეზობელი რომ მეზობელს ერთი გოჯით გადაუნაცვლებს ღობეს მთელი დავიდარაბა ატყდება, ესენი კი ოდერიდან ვოლგას მოადგნენ. რატომ? რისთვის?

ომიდან დაბრუნებულს მეც ისე უბრალოდ მიკითხებოდნენ ხოლმე „რა უნდოდათო“, თითქოს ამ კითხვაზე ასე ადვილი იყოს პასუხის გაცემა. მაშინ ამის შესწავლა ჩვენს სამსახურობორიგ მოვალეობას შეადგენდა. უნდა გვცოდნოდა მოწინააღმდეგე ქვეყნების ისტორია, პოლიტიკა, იდეოლოგია. სამიანო საშუალებებიც გვექონდა: წიგნები, რადიო, ნადავლი დოკუმენტები და სხვ. ამისთვის ვაწარმოებდით ტყვეების დაკითხვას, ვსწავლობდით მათ პირად წერილებს. მე ასეთი მუშაობის ვაგრაჟელება ომის შემდეგაც მომიხდა ნიურნბერგის პროცესზე. იქ იმდენი მასალა იყო ჩემს განკარგულებაში, რომ ვაგებე და ვცდი პასუხს ვაგეც ამ უბრალო, მაგრამ ძნელ კითხვას: რა უნდოდათ?..

...ჩემს მოვალეობას ამ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც ის აადვილებს, რომ თავდაპირველად ნაციისტები თავიანთი მისწრაფებებისაგან არავითარ საიდუმლოებას არ ქმნიდნენ. ჰიტლერი ისეთი ყბაღია პოლიტიკოსი იყო, რომ ყველაფერი საშეკარაოზე გამოჰქანდა. მას ისეთი არაფერი გაუკეთებია, რომ წი-

ნასწარ არ ჰქონოდა გამოცხადებული. ენა ყოველთვის წინ უსწრებდა მოქმედებას. ჯერ იტყოდა, მერე აცეთებდა. იოანეს სჯახარებაში რომ წერია: „პირველთაგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა...“ ნაცისტები აქაც ნაცულად „ღმრთისა“ გულანსმობდნენ თვით ჰიტლერს. ამიტომაც ისე სჯეროდათ მისი ყოველი სიტყვისა, როგორც გამოცხადების. მათი ნამდვილი სჯახრება კი ნაცისტური პარტიის პროგრამა და ჰიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“ იყო. ყველაფერი, რაც მონდა, ეწერა სატანაში ამ „სახარებაში“ და ეს არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. ამერიკელმა ბრალდებულმა ჯექსონმა თქვა კიდევ ნიურნბერგის პროცესზე:

— აღოლვ ჰიტლერის აგრესიული გეგმები ისეთივე საიდუმლოება იყო, როგორც წიგნი „ჩემი ბრძოლა“, რომელიც ექვს მილიონზე მეტი ტირაჟით გამოვიდა. იმავე პროცესზე ელვინ ჯონსონმა გაიხსენა „დიდი გერმანელი ფილოსოფოსის“ სიტყვებში: იღვას ხელები და ფეხები აქვსო, და განაცხადა:

— ბრალდებულებმა „ჩემი ბრძოლის“ იღვა აქციუს დოქტრინად და მოქმედების იარაღად. ამ წიგნს სტენიდენ თავეში ახალგაზრდებს, ყველგან — სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებში, ბიბლიოთეკებში, პროპაგანდისტულ წრეებში. იგი მიღებულ იქნა როგორც საღვთო წიგნი — დაბადება, ანუ ბიბლია!

— ამ წიგნმა — განავრთო მან — მოსწამლა ერთი თაობის შეგნება და გარყვანა მთელი ხალხის მსოფლმხედველობა... „ჩემი ბრძოლიდან“ პირდაპირი გზაა ისევენიცის კრემატორიუმებსა და მიიდანეკის გაზეამერებამდე!..

...ჰიტლერი მართლაც ცინიკური გულახდილობით ქადაგებდა ძალის გამოყენების აუცილებლობას საერთაშორისო საკითხების გადასაწყვეტად. იგი უარყოფდა ერთა თანამშრომლობის იდეას. „მიწა რომელზედაც ვცხოვრობთ — წერდა ის, ციდან კი არ გამოუფგზავნია ჩვენი წინაპრებისათვის ღმერთს, არამედ ჩვენ ის დავეიჭდა სიცოცხლის ფასად.

გერმანელი ხალხი არც მომავალში მიიღებს არსებობის წყაროსა და საფუძვლებებს, როგორც სხვებისა. მან უნდა დაიპყროს ის „მოზეიმე მახვილით“.

ჰიტლერს მიაჩნდა, რომ არიული რასა ვერავითარ კულტურას ვერ შექმნიდა დაბალი რასების დათრგუნვის გარეშე... „დაბალ რასებზე ბატონობა არის ერთადერთი საშუალება მაღალი კულტურის მიღწევისა, — წერდა ის — როცა გერმანიის ტერიტორია მოიცავს ყველა გერმანელს და ამის შემდეგაც ვერ მიიღებს არსებობის საკმარის საშუალებებს, მაშინ მას ექნება მორალური უფლება, ხალხის მოთხოვნილებათა მიხედვით დაიპყროს უცხოეთის ტერიტორიები. ამის შემდეგ სახსნიებს შეცვლის მახვილი და ომით მონადენი ცრემლები მოგვიპოვებს პურს ჩვენის არსობისა“.

ჰიტლერი აცხადებდა, რომ გერმანიისთვის სრულიდაც არ არის საკმარისი ვერსალის შედეგების გაუქმება და 1914 წლის საზღვრების აღდგენა. მას უნდა მიეცეს აუცილებელი საარსებო ტერიტორიები თვით ევროპის კონტინენტზე, პირველ რიგში კი „რუსეთსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში“. ამისთვის გერმანელები ისევე უნდა დაადგინენ ტევტონელი რაინდების გზას აღმოსავლეთისკენ. ამასთანავე, ჰიტლერი ქადაგებდა ფეიდეტრუს სისასტიკეს, როგორც მოქმედების მეთოდს და ამას ფარავდა უცნაური პარადოქსით: „ბრძოლის ყველაზე შეუღრალელებელი მეთოდი არის იმავე დროს ყველაზე ჰუმანური“.

ამიტომაც თქვა ინგლისელმა ბრალდებულმა ჯონსონმა, „ჩემი ბრძოლა“ ისეთი ლიტერატურული ვარჯიშობა კი არ არის, რომლის უგულვებელყოფა შეიძლება, არამედ გამოხატულებაა ძალისა და მოტყუებისა, ფანატიკური რწმენის, როგორც იარაღის ევროპის და, იქნებ, მთელი მსოფლიოს დასაპყრობად“.

„ბრალდება მიაჩნია — დასკვნა მან, რომ ნაცისტი თანამონაწილენი, რომე-

ლნიც აქ სხედან საბრალმდებლო სკამზე წინასწარ მოფიქრებულად ჰკრავდნენ ხელს ცივილიზაციას ომის უფსკრულში“...

...პიტლერული შეხედულებების უფრო „თანმიმდევრულ, მეცნიერულ“ დასაბუთებას ე. წ. „გეოპოლიტიკა“ ცდილობდა. „ხალხი და ფართობი“, „საინჟინერი და მიწა“, ასეთი იყო ამ „მეცნიერების“ მთავარი თეზა. გეოპოლიტიკის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლების — ფრიდრიხ რატცელის, რედლოფ ჩე-ლლენის და კარლ ჰაუსჰოფერის ნაწერები გაქვნილია მილიტარისტული სულისკვეთებით: „იმპერია გულისხმობს იმპერატორს!“ „საპიროა პოლიტიკური მიზანშეწონილობა და არა კანონი“, „ხელისუფლებას ტყუილა როდი უპირავს მახვილი“; „პოლიტიკური დემოკრატია არ იქნება ისტორიის უკანასკნელი სიტყვა“ — ქადაგებდნენ ისინი. გეოპოლიტიკოსების აზრით, ომი დაპყრობის „სტიქიური ინსტიქტი“ კი არ არის, არამედ „ზრდის ბუნებრივი და აუცილებელი ფორმა“.

აი, სწორედ ამ აზრის შთანერგვა იყო საქართველოს გერმანელი ხალხისთვის და აქეთყენვე იქნა მიმართული გეოპოლიტიკოსებისა და ნაციტური პარტიის მთელი პროპაგანდისტული არსენალი. მათ უნდოდათ დამტკიცებინათ, რომ „არსებობისათვის ბრძოლა არსია ერის ცხოვრებისა, ხოლო ომი მისი ფორმა“. ამ იდეას თანმიმდევრულად ატარებდნენ გეოპოლიტიკოსები. ისინი ჩააგონებდნენ თავიანთ თანამემამულეებს, რომ გერმანელი რასა ერთადერთი მმართველი რასაა მსოფლიოში. ამიტომ ყველა დანარჩენი რასის წარმომადგენლებს სძლეთ ის და არ სურთ განვითარების ნორმალური საშუალება მისცენ. მთელი მსოფლიო გაერთიანებულია გერმანელების წინააღმდეგ და ამიტომ ისინიც იძულებულნი არიან (!) იბრძოლონ მსოფლიო ბატონობისათვის, რათა უზრუნველყონ თავიანთი ნორმალური არსებო-

ბისა და განვითარების პირობები. ეს, მათი აზრით, „არსებობის უწყვეტი წინააღმდეგობა და არა არჩევანი“. ამიტომ „საბუნებრივი ტერიტორიების დაპყრობა და კოლონიზაცია „ბუნებრივი აუცილებლობაა“ და, როგორც ასეთი, „სამართლისა და უსამართლობის მიღმა იგულისხმება, რაც არ შეიძლება მსჯავრდადებულ იქნას“, არც ის პირები, ვინც ამათ ასრულებენ. ეს არის მთავარი. ამით გააბრუნეს და გახარწყნეს ნაცისტებმა გერმანელი ხალხის დიდი ნაწილი. დღედაღამ ისმოდა: გერმანია იღუპება, იჩაგრება, მას აბრაზობენ, არ აძლევენ სასიცოცხლო ფართობს, არმთვევენ კოლონიებს, უნდათ შური იძიონ იმის გამო, რომ ის მათზე უნარიანი, მმართველი რასაა, უმადლესი და უფიქრესი პოტენციის მქონე ხალხი. ამიტომ საპიროა შეიარაღება, ომი, მტრების არა მარტო დამარცხება, არამედ მოსპობა; მათი ტერიტორიების დაპყრობა და გერმანული რასის მსოფლიო ჰეგემონიის უზრუნველყოფა. ყველაფერი ეს „ბუნებრივი აუცილებლობაა“ და ბოროტების თუ საყვედურის, ან სამართლიანობისა და უსამართლობის პრინციპებით არ გაიზომება. ფიურერი მიზანშეწონილობის პირობებს უნდა მიეყვას და არა კანონმდებლობას; და თუ ის კანონებს არღვევს, ეს დანაშაული კი არ არის, არამედ ისევე იმ „ბუნებრივი აუცილებლობის“ გამოხატულება: შეიძლება მკაცრი, მაგრამ აუცილებელი.

პიტლერი ამისკან არც ქმნიდა საიდუმლოებას. იგი ამბობდა: — ხელშეკრულებას იცავენ მხოლოდ მაშინ, ვიდრე ეს მიზანშეწონილია. ყველა, ვინც ამ საქმეში მონაწილეობას იღებს, თავისუფალია მორალურ და იურიდიულ პასუხისმგებლობისაგან, რადგან ეს არის წმიდათა-წმიდა მოვალეობა სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

ასეთია ნაციზმის სატანური ლოგიკა გამოუმუშავებული გერმანელი გეოპოლიტიკოსების, განსაკუთრებით კი, ჰაუსჰოფერის მიერ.

ყველაფერი, რაც პიტლერის ქადაგებებში ისმის, ეყრდნობა ჰაუსჰოფერისა

და სხვა გერმანელი გეოპოლიტიკოსების შრომებს. თვითონ ჰაუსჰოფერი პირველი მსოფლიო ომის დროს გენერალ-მაიორი იყო, რუდოლფ ჰესსი — მისი აღმუშავე. მერე ჰაუსჰოფერი მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა — ჰესსიც იქ გაჩნდა, ჯერ როგორც სტუდენტი, მერე — უნივერსიტეტის ნაციტურ ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მიუნხენის პუტჩის ჩაჭრობის შემდეგ, რუდოლფ ჰესსი ჰაუსჰოფერმა დამალა თავის მამულში, ხოლო როცა ჰესსი და ჰიტლერი ლანდსბერგის ციხეში ჩასვეს, ჰაუსჰოფერმა ინახულა ისინი და მიუტანა რატკელის „პოლიტიკური გეოგრაფია“ და სხვა გეოპოლიტიკური წიგნები. ვინც ჰიტლერის წიგნს, „ჩემი ბრძოლა“, შეადარებს გერმანელი გეოპოლიტიკოსების ძირითად ნაშრომებს, დარწმუნდება, რომ ამ წიგნში, გარდა ჰიტლერის პირადი ცხოვრების აღწერისა, არ არის თითქმის არცერთი დეტალი, რაც გეოპოლიტიკოსების შრომებში არ იყო განვითარებული. ყველა მათგანის ამოსავალი წერტილი ერთნაირია: საჭიროა არა ობიექტურობა, არამედ მიზანდასახულობა. მიზანი ამართლებს საშუალებას. შეიძლება მოსპოთ, გაანადგუროთ, ფეხქვეშ გათულოთ ყველაფერი და ამასთანავე არ იგრძნობთ არც სინიდისის ქეფსა, არც პასუხისმგებლობა — მორალური თუ იურიდიული, რადგან ასეთ ღონისძიებების გარეშე შეუძლებელია მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვება და კოლოსალური გერმანული იმპერიის შექმნა დედამიწის სამ კონტინენტზე. (ევროპა + აზია = ევრაზია, და ევროპა + აფრიკა = ევრაფრიკა). ევრაზიაც და ევრაფრიკაც იქნება „ათასწლოვანი გერმანული იმპერია“. რაღაც ბიბლიური „ღვთაებრივი იმპერიის“ მსგავსი. დანარჩენი სახელმწიფოები გაქრებიან და მათი გადარჩენილი მოსახლეობა იქცევა მონებად მმართველი არიული რასისა. ამის მტკიცებას ჰაუსჰოფერმა 40 ტომი წიგნი და 400 სტატია მოაწოდო, სხვა გეოპოლიტიკოსებმა კიდევ

მეტე, და მათ ნიადაგზე აღმოცენდა ნაცისტური მსოფლიო ბატონობის იდეა. ამ იდეით აიარალებდნენ ხალხს, ახალგაზრდობას, არმიას. გერმანელი ჯარისკაცების ოფიციალური სააღლუმო სიმღერაც ასეთი სიტყვებით იწყებოდა:

- თუნდაც მთელი მსოფლიო იქნეს ნანგრევებად, განდობას; მიგვიფურობებია ყველაფრისათვის, სულერთია, მაინც ვაფრეთ წინ, რადგან ჩვენ დღეს ვაწაფოვნის გერმანია, ხელს კი მთელი მსოფლიოს...“

თომას მანი ამას „ნაციტურ ჰიპერტროფიას“ უწოდებდა, მაგრამ მსოფლიო ბატონობის ეს მართლაც ჰიპერტროფიული იდეა განსაზღვრავდა ჰიტლერულათა პოლიტიკას. ამით იყო გამსჭვალული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, მოქმედებისა და მოღვაწეობის გეგმა, მოსწრაფება, ოცნება.. ყველაფერი უნდა მილიტარისტული სულისკვეთებით ყოფილიყო გამსჭვალული. როცა ჰიტლერი მსოფლიო ბატონობის იდეაზე ლაპარაკობდა, სრულიად გარკვევით აცხადებდა კიდევ: „არავითარი ჰუტის ჰუტება და მოყრბალება არ უშველის ამას. ეს უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ იარაღმა“.

„ჩვენ ისევ იარაღი გვინდა — ამბობდა ის — ამიტომ ყველაფერი, დაწყებული ანბანის წიგნიდან ვახეთებამდე, თეატრი, კინო, პლაკატებისა და განცხადებების ვსაკერული ბოძები, ყოველი ცარიელი დაფა, გამოყენებული უნდა იქნეს ამ ერთადერთი მიზნისათვის“.


ჰიტლერს უნდოდა არა მარტო იარაღი, არამედ ამ იარაღის მატარებელი ადამიანები. „გერმანიის ძლიერების აღდგენა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევქმნით სულისკვეთებას, რაც ხალხს გამოუწოდებებს უნარს ატაროს იარაღი. თუკი ასეთი სულისკვეთება დაუფლებია მათ, ჩვენ ვიპოვით შე-

იარაღების ათასგვარ საშუალებას“. და ბოლოს: „ჩვენ ვვინა შევარჩიოთ ახალი ბატონების ფენა, რომელიც თავისუფალი იქნება სიბრალულის უცხო მორალისაგან“.

მერე ამას მოჰყვა სინიღისისა და პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება... და სხვა მათი.

ყველაფერი ეს გასაგებია, თავისებურად ლოგიკურიც: მსოფლიო პირშეკრულია გერმანიის წინააღმდეგ, ამიტომ აუცილებელია უცხო სახელმწიფოების დაპყრობა და მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვება; რომ დაიპყრო, საქირთა იარაღი, იარაღის სატარებლად კი უნდა მომზადდეს ისეთი „ქერათ-მიანი ბესტიები“, რომლებიც გათავისუფლებული იქნებიან „სიბრალულის სამარცხენო ვრწოვობისაგან“, პასუხისმგებლობისა და სინიღისის ქეჭვისაგან...

...მერე ის საკითხიც დადგა, თუ გერმანელთა მსოფლიო ჰეგემონიის დასამტკიცებლად რამდენი დამპყრობელი საჭირო და რამდენი დაპყრობილი. ეს თურმე „რაციონალური შეფარდების“ საქმეა, რასაც ისევ გეოპოლიტიკა არკვევს და ადგენს კიდევ გერმანელ დამპყრობელებისა და ადგილობრივი მოსახლეობის „რიცხოობრივი შეფარდების“ სასურველ გეგმას. ამ შეფარდების უზრუნველსაყოფად სახავდნენ ისინი ათეული მილიონობით „ადგილობრივი მოსახლეობის“ მოსპობის გეგმებს, არა რამე სხვა მიზეზის, წინააღმდეგობის, ან დანაშაულისათვის; არამედ აუცილებელ „შეფარდებისთვის“. ამისათვის უნდა ეფლიტათ ქალები, კაცები, დიდები, პატარები, ძღუდნი, ბავშვებიც კი. მთავარ სამხედრო დანაშაულებათა შორის ამ საკითხებში ყველაზე უკეთ გესტაპოს უფროსი, კალტენბრუნერი „ერკვეოდა“. წინასწარ დაკითხვებზე იგი არც არაფერს მალავდა, პირაქით, ამკარად აცხადებდა ყველაფერს, რადგან უდანაშაულო ხალხის ასე მილიონო-

ბით ხოცვა-ჟლეტა ფიურერის მიერ დადგენილ „ბუნებრივ ლეგიონებში“ ხდებოდა და არა ბუნებრივად...


ლევიათანი

ეს გავიფიქრე მაშინვე, როგორც კი ის დაკითხვის ოთახში შემოიყვანეს. იმ დღეს მუშაობა არ მევალებოდა, მაგრამ მარკოვმა მთხოვა და სიამოვნებით შევეცალე. ეს საინტერესო შემთხვევა იყო ჩემთვის, მართალია შემზარავი, მაგრამ მაინც საინტერესო. აბლაც გოწნია, რომ სწორედ იმ დაკითხვაზე გავიგე მთელი ამ ქოროხეთური მანქანის საიდუმლოება. ადრეც ვაცოდი, რომ ყოველგვარი საშინელება, რაც კი საკონცენტრაციო ბანაკებში ხდებოდა, კალტენბრუნერის სახელთან იყო დაკავშირებული. იგი წლების მანძილზე ცნავენდდა პროფესიულ ქალათა კორპორაციას — გესტაპოს. ჰიმლერმა თავი მოიწამლა, ჰიდრიხი მოკლეს, იმპერიის ოფიციალური ქალათი №3 კი საბრალმდებლო საქმე დასვეს.

— თქვენი სახელი და გვარი? — ეკითხებოდა მას.

— ერმსტ კალტენბრუნერი! — ამბობს ის უხალისოდ. მარტო ამ გვარის ხსენება სცემდა შიშის ზარს მილიონობით ადამიანებს. ვარგნობაც ისეთი აქვს: უზარმაზარი ტლანქი, თითქოს ნაჯახით გამოთლილი სახე, სტუდენტობის დროს დუელებით დაჩხილდასახიჩრებული, ზეთისფერი, უგონო თვალები და, რაც მთავარია, უზარმაზარი ყურები, ხელები კი სადღაც მუხლებს ქვევით წუდება და, ძალაუნებურად, გორილას გვავიწყობს...

იშვიათად თუ სჯის ბუნება ადამიანს ასეთი გარეგნობით! ისე ცენზი არც მის განათლებას აკლია როცა ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯექსონმა პირველად პანს ფრანკის სახელი ასხენა—თქვა: არ შემძლია სიოცხვილის გარეშე განაცხადო, რომ ის იურისტიყო. კალტენბრუნერიც იურადიულ მეცნიერებათა დოქტორი იყო. მან კარგად იცოდა

რას აკეთებდა და რატომ აკეთებდა! მეც ამიტომ მიბყრობდა მოუთმენლობა. მინდოდა გამეგო ყველაფერი: როგორ თავსდება ერთ სიბრტყეზე იურისპრუდენცია და კაცთმკვლელობა, საუნივერსიტეტო განათლება და ქალათის ხელობა, ან ეთიკისა და მორალის ცნება თუ შეიძლება ახსენოს კაცმა აქ ისე, რომ მართლაც სირცხვილის გრძობამ არ შეიბყროს! რა გინდ მრუში არ უნდა იყოს კაცის გონება, როგორ გაამართლებს იმას, რაც მოხდა, ან რაც პირადად მან ჩაიდინა!..

...ის კი ზის ჩვენს წინაშე, მოთვინიერებელი, ბედს შერიგებული და ჩლუნგი თვალებით მისჩერებია ერთ წერტილს. ასე მგონია, სადაც არის დაამთქნარეშა-მთქი, და ტანში ყრუ-ანტილი მივლის. ეტყობა, ჯერ არცაა გაჩვეული, რა ხდება მის გარშემო. არც აერაფერს უარყოფს! რაც არ უნდა საშინელი ციფრი, ან ფაქტი დაუსახელოთ, მაშინვე ადამტურებს. მის შუბლზე ერთი ძარღვიც არ ირხევა, როცა მილიონობით ადამიანების სიცოცხლის მოსაპოვებლად „ანგარიშს აბარებს“ გამომძიებლებს, თან ისე უღარდულად, რომ გვეგონებათ ამდენი და ამდენი მილიონი ფული ხორბლის მოწყვეაზე ლაპარაკობდეს. სფინქსივითაა, გაყინული, ცაქვავებული, ენა მოძრაობს მხოლოდ. ისიც უხალიაო, ლაშები ძირს ჩამოუშვია და ტყეებით ყვება, სად რამდენი დასაოცეს და კიდევ რამდენი უნდა დაეზოცათ:

— ევროპაში ოც მილიონამდე მოვსპეთ, 30 მილიონი კიდევ უნდა მოგვესპო, ეს პირველ რიგში, დანარჩენი მერე, — ამბობს ის და უმატებს:

— ასეთი იყო ფიურერის ბრძანება. გამომძიებლებმა ჰკითხეს:

— მერე რამდენი?

— ეს ზუსტად არ იყო დადგენილი, ისე რამდენსაც აუცილებლობა მოითხოვდა — „განმარტა“ მან.

ეს ისევ ის „აუცილებლობაა“, გეო-

პოლიტიკოსების „შეფარდების თეორიით“ რომ განისაზღვრა და, საფუძველად დაედო კალტენბრუნერის მარქსისტულ მოღვაწეობას.

— სინიდისი ქეჩნას მაინც თუ გრძნობთ, როცა ამას ლაპარაკობთ? — ვერ მოითმინა გამომძიებელმა აქ კი შეიშმუნა ბრალდებული, იწყინა კიდევ ეტყობოდა, ვერც ვაივო, რა სახსენებელი იყო სინიდისი, როცა საქმე მოვალეობას ეხებოდა! ან თავს რამეში სცნობს დამნაშავედ? არავითარ შემთხვევაში! ამ „საკონტროლო ციფრებს“ სხვები ადგენდნენ, ის კი მხოლოდ ასრულებდა, ე. ი. მის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა, თორემ რაც მას ჩაუდენია ყვედერი პერსონალურ დანაშაულად რომ ჩაუთვალონ, ათათასჯერ უნდა ჩამოახრჩონ. ეს თვითონაც იცის და ოდნავ ეღიშება კიდევ, ალბათ, ფიქრობს, რა სისულელეაო!..

...ყველაზე აბსურდული სწორედ ეს იყო: დანაშაული ჩადენილია, დამნაშავე არ არის! მთელი ნიურნბერგის პროცესის მანძილზე მე არ მახსოვს თუნდაც ერთი ფაქტი ამ საშინელი მოქმედებისა, რაც უარყოფთ ბრალდებულებს, მაგრამ არცერთ მათგანს არ უღიარებია თავი დამნაშავედ. ტრიბუნალის მუშაობის პერიოდში გერმანიაში გაკრული იქნა 200 ათასი განცხადება რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციების წევრებს უფლებება აქვთ თვითონ წარსდგნენ სამამართლოს წინაშე და იმართლონ თავი. ასეთი განცხადებები გამოქვეყნდა პრესაში და სისტემატურად ცხადდებოდა რადიოთი. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა: 245 ათასმა კაცმა ითხოვა მოესმინათ მათთვის. მარტო ერთ, აუერბახის სამხედრო ტყვეთა ბანაკში, 923 ოფიცერმა და 16964 ჯარისკაცმა მისცა წერილობითი ჩვენება. ასევე მოხდა სხვა ბანაკებშიც. ნიურნბერგის ტრიბუნალში, როგორც მოვახსენეთ, 310 ათასი ასეთი წერილობითი ჩვენება იღო, არც ერთის ავტორი არ სცნობდა თავს დამნაშავედ; არც ნა-

ციტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრები არც ესესელები, გესტაპოელები, ან დამსჯელი რაზმელები, ვინც მოსპო მილიონობით უდანაშაულო ადამიანები. ასე იქცეოდნენ მთავარი სამხედრო დამნაშავენიც ნიურნბერგის პროცესზე. ისინი აღიარებდნენ, რომ დანაშაული ჩადენილია, ამდენი ხალხი დახოცილია, მაგრამ პირადად თურმე არცერთ მათგანს არ მიუძღვის ამაში ბრალი. აქ ამერიკელ ბრალმძებელს, ჯეკსონს, ისევე შექსპირის გახსენება მოუხდა:

როცა ლედი ანა სწყევლის რიჩარდ პესამეს „სხვების უღირსად, უსამართლოდ ხოცვა-ჟლეტისთვის“, ჯალათი რიჩარდი ამბობს:

— მე ხომ ტყუილად მბარალებენ იმათ დახოცვას?

ამაზე გაგულსებული ანა მიუგებს:

— მაშინ მკვდარნიც არ იქნებიან...

მაგრამ ისინი მკვდარნი არიან შენის ხელით, სატანის მონავ!

ნიურნბერგშიც ამას ამტკიცებდნენ ბრალდებულები: მოკლულები კი არიან, მაგრამ მკვლელები არა!.. და არც არავინ აღიარებდა თავს ასეთად...

...არც დაკითხვაზე მყოფი კალტენბრუნერი აპირებდა ამას, თავს იმართლებდა. მან, როგორც იურისტმა, კარგად იცოდა, რასაც ნიშნავს „აუცილებლობა“ და „მოვალეობა“! არც სხვებს ეშლებოდა ეს. ცინიკური გულახდილობა არცერთს არ აკლდა, გარდა შახტისა და პაპენისა. თვითონვე ამბობდნენ, რომ ყოველივე ეს სასტიკია, არაადამიანური, შემპირწუნებელიც, მაგრამ — აუცილებელი. ვიმეორებ, რომ ნაციტური პროპაგანდის მთავარი მიზანი ამ „აუცილებლობის“ შთაგონება იყო გერმანელი ხალხისთვის. უნდოდათ, ეს ფატალური „აუცილებლობა“ შეგნებულ მოვალეობად ექციათ, ხოლო ვინც ამ „მოვალეობას“ ასრულებდა, გაეთავისუფლებინათ ყოველგვარი იურიდიულ და მორალურ პასუხისმგებლობისაგან. ეს მექანიზმი

აბრუნებდა მთელ ამ ჩოჯოხეთურ მანქანას.

ეროვნული

— აუცილებლობა!.. — ამანდამ სსს წყა
მდაუწუმ. ცხადია, უნდა გვეკითხა, რა აუცილებლობაა ეს, ათეული მილიონობით უდანაშაულო ხალხის დახოცვას რომ მოითხოვს!..

ასე რომ არ მოგვეკუთლიყავით, ვერასოდეს ვერ განვახორციელებდით ფიურერის იდეას — ამბობს ეს — მას ხომ განზრახული ჰქონდა ბატონობა ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და საბჭოთა კავშირში ურალამდე (inklusive — ჩათვლით, არ გამოსტოვა კალტენბრუნერმა). ამისთვის ეს მასიური რეპრესიები აუცილებელი იყო და ჩვენც ვითვალისწინებდით ამას. ან სხვა რა გზა გვქონდა! ასეთ ვრცელ ტერიტორიებზე და ხალხებზე რომ იბატონო, ჯერ მათი წინააღმდეგობის ძალა უნდა გასტეხო, მერე კი მისი აღორძინების პოტენციური შესაძლებლობა მოსპო. თუ ამას არ გააკეთებ, ვერც იბატონებ მათზე, ვინც ათჯერ და მეტჯერაც გპარობს რიცხობრივად.

ეს კალტენბრუნერს „ბუნებრივ ჰემმარტებად“ მიიჩნია, რადგან თვით პიტლერი შთაგონებდა ასეთ აზრს. წიგნში, „ჩემი ბრძოლა“, მარტლაც სწერია: „უფრო ძლიერი რასა განდევნის სუსტებს, რადგან საშინელი და გაბედული სწრაფვა წინ, სიცოცხლისაკენ. უარყოფს ინდივიდუალისტურად განწყობილი კაცობრიობის სასაელო გზებს და გაუთავისუფლებს ადგილს ადამიანებს, რომელნიც მოქმედებენ ბუნების კანონების შესაბამისად, რაც გულისხმობს სუსტების მოსპობას ძლიერების მიერ“.

მისი აზრის ამ „უცილობელ დადასტურების“ შემდეგ, კალტენბრუნერმა მანინ საჭიროდ ჩათვალა „სრულიად მარტივად“ აეხსნა ეს, თითქოს ჩვენ მერხზე მსხდომი მოწაფეები ვყოფილიყავით, ის კი კლასის დამრიგებელი.

— აბა, წარმოიდგინეთ — ამბობს ის. — რამდენი ქალაქი, სოფელი, ან, საერთოდ, დასახლებული პუნქტია ევრო-

პაში, ახლო აღმოსავლეთსა და საბჭოთა კავშირში? ვთქვათ, თქვენ სრულიად არ გაგეწიათ წინააღმდეგობა ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის და გეთქვათ: კი, ბატონო, მობრძანდით და იბატონეთ, წინააღმდეგობას არც გაგიწევთ! რა უნდა გვექნა მაშინ? თქვენ გგონიათ, ეს უზრუნველყოფდა ჩვენს გამარჯვებას? არაკეთილარ შემთხვევაში. მთელი ჩვენი არმიები რომ გავგენაწილებინა ამოდენა ტერიტორიებზე, თითო დასახლებულ პუნქტს იმდენი მაინც არ შეხვდებოდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ცარეული ხელებითაც არ მიეზარჩო ისინი, როცა ამას მოისურვებდა. ამაზეც ხომ უნდა ეფიქრა ჩვენს ფიურერს?

აქ კალტენბრუნერმა თავისი უზარმაზარი თათი შუბლზე გადაისვა და უფრო დაფიქრებული გამომეტყველება მიიღო. ჩვენ გაოგნებულები ვუსმენდით მას. ის კი ისევე კლასის დამრიგებლის ტონით გვიხსნიდა ამ „უბრალო ჭეშმარიტებას“. შეიძლება უკვირდა კიდევ, ასეთი ელემენტარული რამ როგორ არ ესმითო!

— პოდა, იფიქრა კიდევ — განაგრძობს ის — თუმცა აქ იმაზე მეტს რას მოიფიქრებდა, თუ არა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის პოტენციური ძალის მოსპობა. ასეთ ძალას კი, უმთავრესად, ებრაელობა, კომუნისტები, სლავები და ინტელიგენცია წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივია, რომ პირველ რიგში სწორედ მათი მოსპობა გადასწყვიტეს. ამის გარეშე ფიურერის ცდა გერმანელებისათვის სასიცოცხლო სივრცის მოპოებისა და მსოფლიო ბატონობის განმტკიცებისა, სულ ამოიქნებოდა, შეიძლება — კატასტროფიულიც, რადგან მოწინააღმდეგე სრულიად ადვილად მოსპობდა გერმანიის არმიასა და, საერთოდ, მის აქტიურ ძალას. ამიტომ იყო, რომ ჩვენ, საიდუმლო პოლიციის მუშაებს, ვეჭონდა უმადლესი სარდლობის კატეგორიული ბრძანება ამის თაობაზე.

კალტენბრუნერს აქ მხედველობაში ჰქონდა ფელდმარშალ კაიტელის ბრძანება, სადაც ნათქვამი იყო: „აღმოსავლეთში დაპყრობილი ტერიტორიების დიდი ფართობის გამო უშიშროებისათვის განკუთვნილი ძალები საკმარისი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი წინააღმდეგობის ყოველგვარი ცდა აღკვეთილი იქნება არა სასამართლო გამოძიებებით, არამედ ისეთი ტერორის შემოღებით, რაც შესაძლებს წინააღმდეგობისადმი ყოველგვარი მიდრეკილების აღმოფხვრას“ და შემდეგ: „სარდლებმა თვითონ უნდა გამოჩახონ უშიშროების დაცვის ღონისძიებანი, არა ახალი ძალების გამოთხოვით, არამედ დრაკონული წესების შემოღებით“.

კალტენბრუნერს ეგონა, რომ ის ასრულებდა ფიურერის იდეას გამოხატულს კაიტელის ბრძანებაში და ამიტომაც მისი სინიღისი თავისუფალი იყო ყოველგვარ პასუხისმგებლობისაგან.

— ბავშვებს რატომ ხოცავდით? — ეკითხებიან ამ ჯალათ „იურისტს“.

— იზავე მიზნით, — მშვიდად განაგრძობს ის — მომავალზეც ხომ უნდა ეუქიარათ. ვთქვათ, მოესპოთ წინააღმდეგობის ძალა. მერე ეს ბავშვები რომ დაიზრდებოდნენ, ხომ ისევე გაჩნდებოდა საშიშროება. საჭირო იყო ამ საშიშროების ლიკვიდაციაც. ეს კი მაშინ უფრო ადვილი იყო, ვიდრე შემდეგ, როცა ისინი დაიზრდებოდნენ. ამიტომ ნაწილი ბავშვებისა უნდა დაეხოცათ, ხოლო ის, ვინც რასიულად სრულფასოვანი იქნებოდა, წაეყვანათ და გაეგერმანელებინათ. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებდა ადგილობრივ მოსახლეობას და ასევე მნიშვნელოვნად გაზრდიდა „ბატონთა რასის“ რიცხვს.

თავს ძალას ვატანთ და მშვიდად ვეკითხებით:

— კი მაგრამ, იმ ბავშვებს რას უპირებდით მომავალში რომ უნდა დაბადებულიყვნენ?

ვეგვონა აქ მაინც მოვიდოდა გონს



და მიხვდებოდა კითხვის ასე დაყენების ირონიას. საქმეში ხართ?! კალტენბრუ-ნერმა ისევ შუბლზე გადაისვა ხელი და დინჯად გვიპასუხა:

— ამისი რეგულირება მოხდებოდა სტერილიზაციის საშუალებით. გერმანელები თვითონ განსაზღვრავდნენ რამდენი არაგერმანელი უნდა დაბადებულიყო მათ ტერიტორიებზე, ე. ი. რამდენი მუშახელი იქნებოდა საქაირო.

ამას რომ ამბობს, ჩვენ უხერხულად ვიშმუშნებით, ის კი თავისი ჭროლა თვალეებით მოგვჩერებია და არხეინად განაგრძობს:

— ეს შედარებით ადვილი საქმეა. ჰიმლერის უწყებაში უკვე სათანადო ცდებიც იქნა ჩატარებული. — სპეციალური ჯგუფები შეუდგნენ კიდევ ამის განხორციელებას...

სახურველი შეფარდება...

მართლაც, რა გვიანტური მასშტაბების ბოროტმოქმედება უნდა ჰქონოდათ ჩაფიქრებული ჰიტლერელებს, მათთვის სასურველი „პროცენტული შეფარდების“ დასაცავად დამპყრობლებისა და დაპყრობილთ შორის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მათ მიზნად დასახული ჰქონდათ „წმიდა სისხლის გერმანელების“ უახლოესი ასი წლის განმავლობაში ორას მილიონამდე გაზრდა, ადგილობრივი, არაგერმანული მოსახლეობის ნაწილობრივი გაგერმანელების, ხოლო დანარჩენების ევროპის ტერიტორიებიდან „გასახლების“ საშუალებით, ამით უნდა დაეყოფიერა „აუცილებელი პროცენტული შეფარდება“ გერმანელ და არაგერმანელ მოსახლეობას შორის, რაც, მათი აზრით, უზრუნველყოფდა „ათასწლოვანი იმპერიის“ სამუდამო უშიშროებას.

ამსურდულობა ამ განზრახვისა შეგვიძლია, თუნდაც, ასე წარმოვიდგინოთ: ეთქვათ, ჰიტლერელებს ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილობრივ გაგერმანელებით, ე. წ. „ბორმანის კანონების“ გატარებით, თუ ჰიმლერის მიერ შემუ-

შავებული „ანტროპოლოგიური ღონისძიებებით“, მართლაც მოეწესრიგნათ გერმანული მოსახლეობის 200 მილიონამდე გაზრდა. ამასთანავე გავითვალისწინოთ მეცნიერულ-სტატისტიკური მონაცემები მოსახლეობის საერთო პერსპექტიული ზრდისა და შევადაროთ ერთმანეთს, რომ დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ მათთვის სასურველი „პროცენტული შეფარდების“ შემადარსებელი სურათი...

...გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სოციალურ საქმეთა დეპარტამენტისა და სტატისტიკური ორგანიზაციის ცნობით, დედამიწის მოსახლეობა ყოველ წუთში 94 კაცით იზრდება, დღემდეში ჩვენს პლანეტას დაახლოებით 135 ათასი კაცი ემატება. ერთ წელიწადში, მიგალითად, 1959 წ. დედამიწის მოსახლეობის წმიდა მატება 50 მილიონს შეადგენდა. 1960 წელს დედამიწაზე 2,914 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, 1980 წელს ჩვენი პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 4,223 მილიონი იქნება, ხოლო 2000 წლისათვის — ეს ციფრი ექვსიდან შვიდ მილიარდამდე გაიზრდება. ვინ იცის, რა იქნება 2050 წელს, როცა ნაციისტების აზრით, ევროპაში 200 მილიონი გერმანელი უნდა იყოს? ახლა იფიქრეთ რამდენი მილიარდი ადამიანი უნდა გაეფლიტათ, ან რამდენად უნდა შეემცირებინათ მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა, რომ გერმანელებს უახლოესი ასი წლის განმავლობაში უზრუნველყოთ მსოფლიო ჰეგემონიისათვის აუცილებელი პროცენტული შეფარდება?

აი კიდევ ერთი მითითური ამოცანა, დასმული ჩვენი წარმოსახვის წინაშე. ჰიტლერელებისათვის კი ეს მითი კი არა, პრაქტიკულად გადასაჭრელი საკითხი იყო. ამისათვის ისინი ჯერ კიდევ 1941 წლის ნოემბერს იმპერიის უშიშროების მთავარ სამმართველოში შეუდგნენ „პროცენტული შეფარდების“ ღონისძიებათა გერმანული პუნქტუალობით და-

მუშაებებს და 1942 წლის აპრილისათვის უკვე მზად ჰქონდათ დაპყრობილ ტერიტორიებზე მოსახლეობის რეგულირების „გენერალური გეგმა“, რომელსაც მიეცა კოდური სახელწოდება „Ost“ — „აღმოსავლეთი“. ეს გეგმა სახელმძღვანელოდ გადაეცა ალფრედ როზენბერგის უწყების „კოლონიზაციის განყოფილების“ უფროსს ე. ვეტცელს, რომელმაც მოიწონა ის, მაგრამ მიინც საჭიროდ ჩათვალა თავისი შენიშვნებიც გაეკეთებინა. ეს „შენიშვნები“ ახლა ჩვენს ხელთაა.

გადმოგვეცხადოს რა გეგმა „აღმოსავლეთის“ შინაარსს, ვეტცელი წერს, რომ „დაპყრობილ ტერიტორიებზე დასახლებულ უნდა იქნეს 8 მილიონი გერმანელი. ამის მიხედვით თითო გერმანელზე — განაგრძობს ის — გეგმას მიხედვით მოდის არა გერმანული წარმოშობის 45 მილიონი ადგილობრივი მცხოვრები, რომელთაგან 31 მილიონი გასახლებულ უნდა იქნეს ამ ტერიტორიებში“.

აქედან ვიგებთ, რომ მათი „პროცენტული შეფარდება“ გულისხმობს დაახლოებით ერთ გერმანელს 2 ადგილობრივ მცხოვრებზე. დანარჩენებზე წერდნენ, უნდა გავასახლოთ, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა რომ „გასახლება“ და „მოსპობა“ მათ უარგონზე ერთსა და იმავეს ნიშნავდა. ამის შემდეგ ჩვენთვის ისიც ნათელია, თუ საიდან მოდის ჰიმლერის მიერ გამოცხადებული 30 მილიონი სლავის მოსპობის „აუცილებლობა“.

ვეტცელის შენიშვნების მთელი აზრი მდგომარეობს „გასასახლებელთა“ რიცხვის გადიდებაში 31 მილიონიდან 46-51 მილიონამდე, რაც თურმე უზრუნველყოფს უფრო სასურველ „პროცენტულ შეფარდებას“. ვეტცელი იმასაც აზღვდებს ანგარიშში, რომ „5-6 მილიონი ებრაელის ლიკვიდაცია მოხდება გასახლების დაწყებამდე“, მაგრამ მიინც მიაჩნია, რომ გეგმით დასახული „საკონტროლო ციფრები“ ზუსტი არ არის.

„გარდა ამისა, მე მგონია — წერს ის,

— გეგმაში გათვალისწინებული არ არის, რომ არაგერმანული წარმოშობის ადგილობრივი მოსახლეობა მომავალ 30 წლის განმავლობაში სწრაფად ვიზრდება“.

ვეტცელი შეწუხებულია იმ სიძნელებებითაც, რასაც გერმანელთა ბატონობა ხედება „რუსი ხალხის უზარმაზარი ბიოლოგიური ძალის სახით“. ამიტომ მოითხოვს რუსების „ბიოლოგიური დასუსტების“ ლონისძიებების გაძლიერებას, და გაგერმანელების პროცესის დაჩქარებას. თუმცა ვეტცელის მოთხოვნა რა საჭირო იყო, როცა ასეთი ლონისძიებები ისედაც სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს შეადგენდა: ერთის მხრივ, სიკვდილის კომბინატები დაბალი რასის გასაყლევად, „რომელიც მატლებივით მრავლდებიან“, ხოლო, მეორეს მხრივ, „არიული რასის წარმოების“ გაძლიერება მსოფლიო ჰეგემონიის უზრუნველსაყოფად“. ასეთი იყო მათი მახანი.

რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილობრივი გაგერმანელების საკითხს, აქ ერთგვარი ცვლილება იზიხდა...

...თავდაპირველად ასეთ პოლიტიკას ბევრი მომხრე ყავდა. ცდები ამ მხრივ ჭერ კიდევ ბარონ ფონ ნოირატმა ჩაატარა ბოჰემიასა და მორავეთში. მან ჭერ ჩეხი ინტელიგენციის „გასახლება“ მოითხოვა „პროტექტორატიდან“, სხვების საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსება, ხოლო მცირე ნაწილის გაგერმანელება, ანუ „ასიმილაცია“.

— რატომ უნდა გავეცახლებინათ ჩეხი ინტელიგენცია საკუთარი სამშობლოდან? — ეკითხება ნოირატს გამოძიებელი ნიურნბერგში.

— იმიტომ, რომ ინტელიგენცია წარმოადგენდა მთავარ დაბრკოლებას გერმანელებისა და ჩეხების თანამშრომლობის პოგვარების საკითხში.

სიტყვა „თანამშრომლობა“ ნოირატმა

აქ იმითომ იხმარა, რომ ნამდვილი მიზანი დაეფარა, მაგრამ გამოძიებელი აღვალად ხვდება ამ ფანდს და ეკითხება:

— განა თქვენ, როგორც ბრძანეთ, ჩეხი და გერმანელი ხალხის თანამშრომლობა გინდოდათ?

— დიახ, თანამშრომლობა! — მიუგებს ნოირატს.

— ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, სადაც ნათქვამია, რომ „თანამშრომლობა“ უადგილო გამოთქმაა იმ მიზნების გამოსახატავად, რაც გერმანელებს აქვთ ჩეხების მიმართ.

— ვის ეკუთვნის ეს სიტყვები? — შეშფოთდა ბრალდებული.

— თქვენ, ფონ ნოირატს! — მიუგო გამოძიებელმა.

ნოირატი ხვდება, რაზეა ლაპარაკი და არჩევს, თვითონვე გადადგას ერთი ნაბიჯი სიმართლისაკენ. იგი იფიქრებს, რომ „თანამშრომლობის“ ნაცვლად ხმარობდა ტერმინს „ასიმილაციას“, და ამბობს:

— შესაძლებელია, მაგრამ „თანამშრომლობაში“ მე სწორედ „ასიმილაციას“ ვგულისხმობდი.

— განა თანამშრომლობა და ასიმილაცია ერთი და იგივეა?

— შეიძლება მათ შორის შემხები წერტილები მოიძებნოს, — არ ტყდება ნოირატი, მაგრამ არც გამოძიებლები ნებდებიან.

— ვთქვათ, ასეა, მაშინ აგვიხსენით, რა საშუალებებით გინდოდათ ამ „ასიმილაციის“ მიღწევა?

ნოირატს, რა თქმა უნდა, უმძიმეს აზის „ახსნა“. მან კარგად იცის ეს „ასიმილაცია“ რომ შეუფერებელი გამოთქმაა იმის გამოსახატავად, რასაც ნამდვილად აკეთებდა, მაგრამ მიკიბულ-მოკიბული პასუხებით ცდილობს პასუხისმგებლობის აცდენას. გამოცდილი დიპლომატია და ეხერხება სინამდვილისთვის ბურუსის მოხვევა. ათასი ფუთი ბრალდების აღეგორია კი მაინც ძალაშია. მტკიცების საფუძველი დო-

კუმენტებია და არა დიპლომატიური მანევრები.

— ხომ არ შეგიდგენიათ ამ საკითხზე რამე მემორანდუმი? — ეკითხებიან მოულოდნელად ნოირატს.

— არ მახსოვს! — იჩქარა მან პასუხის გაცემა. გამოძიებლებმა არამც თუ გაახსენეს ეს, არამედ წინაც დაუდგეს ასლი იმ მემორანდუმისა და ახსნა-განმარტება სთხოვეს.

— ეს ჩემი მემორანდუმი არ არის! — განაცხადა ნოირატმა.

— მაშ ვისია?

— კარლ ფრანკის.

— კარლ ფრანკი ვინ არის?

— ჩემი მოადგილე!

— კეთილი, თქვენ იცნობდით თუ არა ამ მემორანდუმს?

— არა, არ ვიცნობდი, ეს ფრანკის შედგენილია! — ჭიუტობს ნოირატი.

— განა ფრანკი თქვენ არ ვითანხმებდათ ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებს?

— არა, ყოველთვის არა, — დაიბნა ბრალდებული, მაგრამ გამოძიებელი მაინც არ მოეშვა:

— ამ შემთხვევაში?

— ამ შემთხვევაშიც არ შეუთანხმებია, — იტრუა ნოირატმა.

აქ ისევ იმ „ათასი ფუთის“ რამდენიმე მილიგრამმა გამოყო თავი და ნოირატს ახლა წინ იმ მემორანდუმის ასლი კი არა, დედანი დაუდგეს, რომელსაც მისი ხელით აწერია: „ვეთანხმები მთლიანად. გაეგზავნოს ლამერსს, ჰიტლერისათვის გადასაცემად. ნოირატი“.

— ახლა ხომ ვაგონდებთ ეს მემორანდუმი? — ეკითხებიან მას. ნოირატი სდუმს. ან რა უნდა თქვას. მან ძალიან კარგად იცის, რა წერია ამ მემორანდუმში. ეს ხომ მისი საშუაო გეგმაა, რაც ითვალისწინებს ბოქემიისა და მორავეთის ან სრულ „განხალხებას“ ჩეხი მოსახლეობისაგან, ან თუ ნაწილი დარჩება, მათ მიმართ „სპეციალური ზომების“ მიღებას. „არასრულფასოვანი ჩეხებისა“ და ინტელიგენციის მიმართ კი „სპეციალურ მოპყრობას“.

ჩვენ უკვე ვიცით, რას ნიშნავს ტერმინი „განხალხება“. ნორიატმაც კარგად იცოდა ეს, რადგან თავის დროზე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, მონაწილეობას იღებდა „მთელი რასიული ერთეულების ლიკვიდაციის“ გეგმების შედგენაში, თანაც ხედავს, რომ ჩვენთვის ეს ყველაფერი ნაცნობია და ამიტომ პასუხსაც, ასე თუ ისე, პირდაპირ იძლევა:

— რას ნიშნავს „სპეციალური ზომები“?

— საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებას.

— „სპეციალური მოპყრობა“?

ნორიატი ერთხანს სდუმს. ისევ ვუცდით, მაგრამ არაფერს ამბობს. გამომძიებელი იძულებული ხდება კითხვა გაუმეოროს.

— ამას წყვეტდა უმაღლესი ხელისუფლება, — ამბობს ის ბოლოს.

— ჩვენ არ გეკითხებით, ვინ წყვეტდა ამას. უპასუხეთ კითხვაზე: რას ნიშნავს „სპეციალური მოპყრობა“?

ნორიატი მინც სდუმს.

— თქვენ წარადგინეთ წინადადება „არასრულფასოვანი ჩეხებისა“ და ინტელიგენციის მიმართ „სპეციალური მოპყრობის“ გამოყენების შესახებ. ნუთუ არ იცით რას ნიშნავს ეს?

— ლიკვიდაციას! — გამოსცრა კბილებიდან ნორიატმა.

— ესე იგი მოსპობას, არა? — დააზუსტა გამომძიებელმა.

— დიახ, მოსპობას, მაგრამ ჩვენ არ გვინდოდა მთელი ჩეხი მოსახლეობის მოსპობა! — ეძებს ხერხებს ბრალდებულის.

— გვჯერა, — მიუგებს ამაზე გამომძიებელი — მაშასადამე: ნაწილის განდევნა, ნაწილის საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსება, ნაწილის მოსპობა და, თუ ვინმე დარჩებოდა, მათი გაგერმანელება, ასეა არა?

— დიახ, ასეა! — ადასტურებს ნორიატი.

— პირადად თქვენ თუ იძლეოდით

განკარგულებებს ჩეხი ინტელიგენციის მოსპობაზე? — ეკითხება მეორე გამომძიებელი.

ნორიატს არც ამაზე სურს პასუხის გაცემა, მაგრამ იცის, უარი რომ თქვას, წინ ისევ იმ ათასი ფუთის რამდენიმე გრამ მამხილებელ საბუთს დაუდებენ. ჩვენ კი რამდენიმე გრამი კი არა, ერთი უჯრა გვქონდა გატენილი ჩეხი ინტელიგენტების სიებით, რომელთა დახვრეტის შესახებ განკარგულებები ნორიატმა გასცა. ზოგჯერ აფიშებსაც აკრავდა ქუჩებში. ამ აფიშებზედაც ნორიატის ხელის მოწერაა...

...მერე საქმე უფრო გამართვდა. პოლონეთში გერმანელები „ამდენი ცერემონიებით“ თავს არ იწუხებდნენ. გენერალ-გუბერნატორი პანს ფრანკი დასცინოდა კიდევ „კოლეგა ნორიატს“ — იმ „მაწანწალა ინტელიგენტებს“ რომ ხერხებს ქუჩებში ამის შესახებ აფიშებს აკრავსო.

— მე რომ ასე მოვიქცე, — თქვა მან — მაშინ პოლონეთის მთელი ტყეები არ მეყოფა იმდენი ქაღალდის დასამზადებლად, რაც ასეთ აფიშებს მოუნდებოდა!

ბოლოს არც ნორიატი იწუხებდა თავს ამით. ეს ხომ ის ნორიატია, კანონი რომ გამოსცა, დამნაშავე და უდანაშაულო ერთნაირად ისჯებაო. ან მის დანაშაულს რა ამდენი მტკიცება უნდა! მთელი ის ათასი ფუთი ბრალდება აქ შეიძლება ერთადერთი სიტყვით გამოიხატოს:

— ლიდიცე!..

იქ მომხდარი ამბებით ხომ დღესაც შეძრწუნებულია კაცობრიობა...

...ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი კი მხოლოდ დასაწყისი იყო. ფაშისტური გერმანიის მთელი პანდემონიუმი საბჭოთა კავშირის დროებითი ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაიშალა. აქ „განხალხების“ პოლიტიკამ საერთო სახელმწი-

ფოებრივი ხასიათი მიიღო. შემდეგ იგი „განჯალაქების“ პოლიტიკაში გადაიზარდა. კალტენბრუნერმა „მსხვილი დასახლებული პუნქტების“ — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვ. მოსპობის „აუცილებლობაც“ „ავიხსნა“. რაკი რუსეთის ვრცელ ტერიტორიებზე სოფლის მეურნეობა უნდა განვითარებულიყო და არა ინდუსტრია, დიდი ქალაქები, თურმე ზედმეტ ტვირთად დააწვებოდა სურსათით მომარაგების ორგანოებს. პიტლერი წერდა კიდევ:

— „მოსკოვი და ლენინგრადი მიწასთან უნდა იქნეს გასწორებული, რათა მთლიანად გავთავისუფლდეთ ამ ქალაქების მცხოვრებლებსაგან და არ მოგვიხდეს მათი კვება ზამთრის განმავლობაში“.

კაიტელის დავალებით იოდლმა მაშინვე აფრინა ქალაქი ფრონტებზე: „ფიურერმა ისევ მიიღო გადაწყვეტილება არ იქნეს მიღებული ლენინგრადის კაპიტულაცია, მერე არც მოსკოვისა, თუკი ექნება ამას ადგილი... ეს ეხება, აგრეთვე, ყველა დანარჩენ ქალაქს: ადების წინ ისინი მოსპობილ უნდა იქნენ არტილერიის ცეცხლითა და საჰაერო თავდასხმებით; მოსახლეობა კი უნდა ვაიძულოთ ვაიქცეს... რაც უფრო მეტი ქაოსი იქნება რუსეთში, მით უკეთესი ჩვენთვის. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ ქალაქების მცხოვრებთა სურსათით მომარაგება გერმანული სამშობლოს ხარჯზე... ფიურერის ამ ნების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ყველა ჩვენს მეთაურს.“

მერე მოსახლეობისათვის „გაქცევის საშუალების“ მიცემის „პუმანიზმიც“ ჩაქრა. ლენინგრადის მოსპობის გეგმაში ამ მხრივ უფრო მკაცრი ზომები იქნა გათვალისწინებული. აქ სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსმა 1941 წლის 29 სექტემბერს გამოსცა საიდუმლო ბრძანება ლენინგრადისა და მისი მოსახლეობის მთლიანად მოსპობის შესახებ. „ადრინდელი მოთხოვნა — წერია ამ ბრძანებაში — გემთშენებელსანავსადგურო და სამხედრო-საზღ-

ვაო ფლოტის სხვა მნიშვნელოვან ნაგებობების შენარჩუნების შესახებ ცნობილია შეიარაღებული ძალების მხრიდან სი სარდლობისათვის, მაგრამ ამის დაუმაყოფილება შეუძლებელია პეტერბურგის მიმართ სიერით ხაზის მიღების გამო.

განზრახულია მკიდრო აღუა შემოერთყას ქალაქს, რომ ყველა ყალიბის არტილერიის ცეცხლით და განუწყვეტელი დაბომბვით ჰაერიდან გასწორებულ იქნეს ის მიწასთან.

შექმნილი მდგომარეობის გამო, ალბათ მიღებულ იქნება თხოვნა დანებების შესახებ, რაც უნდა უარყვოთ, რომ მოსახლეობის ქალაქში ყოფნისა და მათი მომარაგების პრობლემები არ გავიხადოთ სადავიდარაბოდ. ამ ომში, რომელსაც ჩვენ არსებობისათვის ვაწარმოებთ, დაინტერესებული არა ვართ მოსახლეობის თუნდაც ნაწილობრივი შენარჩუნებით“.

როცა კალტენბრუნერი ამის შესახებ გვიამბობდა წინასწარი დაკითხვის დროს, ჩვენ თმა ყალყზე აგვდიოდა, ის კი იჯდა და მშვიდად ყვებოდა საბჭოთა კავშირის ქალაქებისა და მოსახლეობის მოსპობის ამბებს. მერე, როცა ჩვენს გაოგნებულ სახეებს შეხედა, რაღაც შემზარავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე და თქვა:

— რას იზამთ, ბატონებო, შეიძლება ეს მართლაც საშინელია, მაგრამ აუცილებელი..

ვერაგობა და სინამდვილე...

მთელი მსოფლიო რომ შეიძრა ამ საშინელი ბოროტებით, პიტლერმა გადაწყვიტა ნაწილობრივ მაინც შეენიღბათვისი მტაცებლური განზრახვები. ჯერიყო და, განკარგულება მისცა პროპაგანდისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს საჭაროდ მხოლოდ ისეთი განცხადებები გაეკეთებინათ, რაც არ შელახავდა „გერმანიის, როგორც დამონებულ ხალხთა გამათავისუფლებელი ქვეყნის“ პრესტიჟს. შემდეგ ისევ ის „აუ-

ცილებლობის“ ვერსია აათამაშა: „გერმანია იძულებულია“, „ვალდებულია“, „სხვა გზა არა აქვს“ და ა. შ. საერთოდ კი, ყოველგვარი დიპლომატიურ-პროპაგანდისტული მანევრი ეტაპებად დაყო. პირველ ეტაპზე, როცა რომელიმე სახელმწიფოში იწყებდნენ შეჭრას, პროპაგანდისტებს უნდა ემტკიცებინათ, რომ ისინი მოდიან ამ ხალხის გასათავისუფლებლად და ევროპაში „ახალი წესრიგის“ დასამყარებლად. მეორე ეტაპზე იწყებოდა სასტიკი საოკუპაციო რეჟიმი, ხოლო მესამეზე ძალაში შედიოდა ჰიმლერის უფლებამოსილება „საბოლოო მიზნის“ განსაზღვრის უფლებად.

1941 წლის 16 ივლისს ჰიტლერმა ასეთი დირექტივა მისცა თავის პალატილებს:

— ახლა მეტად მნიშვნელოვანია, რომ არ გამოვავსვარავთ მსოფლიოს წინაშე ჩვენი მიზანდასახულებანი, — სხვათა შორის, ეს საერთოდაც არ არის მიზანშეწონილი. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიძნელოთ საქმე ზედმეტი ახსნა-განმარტებით. ან რა საჭიროა ეს, როცა ჩვენ გვაქვს ძალაუფლება და შეგვიძლია გავაკეთოთ, რაც გვინდა, ხოლო რაც ჩვენს ძალაუფლებას აღემატება — ვერც გავაკეთებთ... ამიტომ მოქმედებების მოტივირება სამყაროს წინაშე უნდა გამომდინარეობდეს ტაქტიკური მოსაზრებიდან. ჩვენ აქ (საბჭოთა კავშირში — შ. კ.) ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც ნორვეგიაში, დანიასში, პოლანდიასა და ბელგიაში. იქაც ხომ არაფერი გვითქვამს საბოლოო მიზნების შესახებ, მომავალშიც ამ ხაზს უნდა გავყვეთ და განვაგრძოთ იგივე პოლიტიკა, ე. ი. ისევე ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ იძულებული ვიყავით დაგვეპყრო და გვემართა განსაზღვრული ზონა, რათა დაგვეცვა თვით მოსახელობის ინტერესები, დაგვეყარებინა წესრიგი და მოგვეგვარებინა კვებისა და კომუნიკაციების საკითხები. ამით ვერავინ მიხვდება, რომ ყველაფერი ეს მიმართულია 11. „მნაობა“, № 7

იმ ტერიტორიებში გერმანელების ჩასახლებისკენ...“

შემდეგ, როგორც ჩანს, მას შემდეგ და ამგვარი ყალბი მანევრით „საბოლოო მიზანი“ არ დაევაზარალო და დაუმთავრა.

— ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ არ უნდა მივმართოთ ყველა საჭირო ზომას, დახვრეტებს და სხვა...

— მაგრამ ჩვენ სრულიადაც არ გვინდა — განაგრძო მან — ვინმე ნადრევალი ვაქციოთ მტრებად. ამიტომ, ჯერ ისე ვიმოქმედოთ, თითქოს განზრახული გვქონდეს განვახორციელოთ მანდატი. თვით ჩვენთვის კი სრულიად ნათელი უნდა იყოს, რომ ამ ოლქებიდან უკვე არასოდეს არ წავალთ.

აქედან გამომდინარე, საქმე ეხება შემდეგ:

1. არაფერი არ ვაკეთოთ საბოლოო მოწესრიგებისათვის, მაგრამ ფარულად ვამზადოთ ყოველივე ეს.

2. ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მოგვაქვს „თავისუფლება“.

სინამდვილეში კი?.. „ყირიმი გაწმენდილი უნდა იქნეს ყველა უცხო საგან და დასახლებული გერმანელებით“.. და ა. შ.

ასეთი „შემპარავი პოლიტიკა“ იმთავითვე დაიწყო. ჯერ კიდევ 1941 წლის 13 მარტის ინსტრუქციაშია ნათქვამი:

„სამხედრო ოპერაციების დროს დაპყრობილი ტერიტორიები, როგორც კი ამის საშუალება იქნება, სპეციალური მითითების თანახმად, დაყოფილი უნდა იქნეს ცალკეულ სახელმწიფოებად, თავიანთი საკუთარი მთავრობებით“.

მაშინ როზენბერგიც ამბობდა „ამიერკავკასიაში ფედერაციული სახელმწიფო უნდა მოეწყოს“.

როგორც ჩანს ზოგიერთ ტყუილს გრძელი ფეხები აქვს. ეს ხმები უკებ გავრცელდა და ბევრ „ტახტის მამიებელს“ აუბნია გზა-კვალი, ბევრმა დიჯერა, რომ დაიბრუნებდა ოდესღაც დაკარგულ ზელისუფლებას, მაგრამ იმავე წლის 29 აპრილს ჰიტლერმა მოიწვია

არმიის ხელმძღვანელობა და სრულიად საწინააღმდეგო დირექტივები მისცა ამის თაობაზე. იმ თათბირის ოქმში წერია:

„როგორც ცნობილია, ფიურერმა ადრე გაცემული განკარგულებების შესაცვლელად გადაწყვიტა...“ და ამის შემდეგ უკვე ლაპარაკია არა „ცალკეულ სასახელმწიფოებსა და მთავრობებზე“, არამედ თვით გერმანელების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების პოლიტიკურ და ეკონომიურ მართვაზე. ამასთანავე პოლიტიკური მართვისა და ეკონომიური ექსპლოატაციის ადმინისტრაციული სქემა აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს. აღმოსავლეთის დაპყრობილი ტერიტორიების საიმპერიო სამინისტროს ჩამოყალიბებასთან ერთად შეიქმნა „განსაკუთრებული დანიშნულების“ ეკონომიური შტაბი — „ოლდენბურგი“, რაც ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად 5 სამეურნეო ინსპექციის, 23 სამეურნეო რაზმისა და 12 ფილიალისაგან შედგებოდა. იმ 5 სამეურნეო ინსპექციიდან (ოლქიდან) 4 უკვე შედგენილი იყო:

1. **ლენინგრადის** (კოდური სახელწოდება „პოლშტანი“) რაზმებით ქალაქებში: ვილინუსი, რიგა, ტალინი, ლენინგრადი, მურმანსკი. ფილიალები: ვოლოგდა, არხანგელსკი.

2. **მოსკოვის** („ზაქსენ“ — საქსონია) რაზმებით: მინსკი, მოსკოვი, ტულა, გორკი. ფილიალები: ბრიანსკი, იაროსლავლი, რიბინსკი.

3. **კიევის** („ბადენი“) რაზმებით: ლვოვი, კიევი, კიშინიოვი, ოდესა, ხარკოვი, დნეპროპეტროვსკი, სტალინო, როსტოვი, სტალინგრადი. ფილიალები: სევასტოპოლი, ქერჩი, ვორონეჟი, კურსკი.

4. **ბაქოსი** („ვესტფალენ“ — ვესტფალია) რაზმებით: კრასნოდარი, გროზნო, თბილისი, ბაქო და ერთი ფილიალი ბათუმში.

მეხუთე ინსპექცია („ჰესენი“) სარეზერვო იყო.

როგორც კი გერმანიის ჯარები ღრმად

შეიჭრნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, პიტლერმა, როგორც მისსაგანდგენელი იყო, მაშინვე მოიხსნა „გერმანული“ სუფლებლის“ ნიღაბი და განაცხადა:

„ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა, დავეკრათ ეს უზარმაზარი ნახუქი ისე, როგორც ჩვენ გვინდა, რათა შეგვეძლოს: პირველი — ვიბატონოთ, მეორე — ვმართოთ, მესამე — ექსპლოატაცია გავუწიოთ“.

ამ დავალების შესრულებას შეუდგნენ დაპყრობილი ტერიტორიების სახელმწიფო მინისტრი ალფრედ როზენბერგი და ეკონომიური ექსპლოატაციის უფროსი, რაიხსმარშალი გერინგი თავიანთი უზარმაზარი აპარატით.

1941 წლის 20 ივნისს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების 2 დღით ადრე, ალფრედ როზენბერგმა შეკრიბა თავისი ხელქვეითები და განუცხადა:

— არსებობს ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო კონცეპცია გერმანიის პოლიტიკის შესახებ აღმოსავლეთში. ერთი — ტრადიციული და მეორე — ახალი, რომლის გამოხატველნიც ჩვენ უნდა ვიყოთ, იმის მიუხედავად, თუ როგორი იქნება საქმეთა ვითარება უახლოესი ასი წლის განმავლობაში.

პირველი თვალსაზრისის მიხედვით, გერმანია ჩაება თავის გადამწყვეტ ბრძოლაში ბოლშევიზმთან და საჭიროა ამ ბრძოლის ბოლომდე მიყვანა, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ამის შემდეგ უნდა დიფიუსოს რუსეთის მეურნეობის ხელახალი შენებისა და აღორძინებულ, ეროვნულ რუსეთთან კავშირის განმტკიცების პერიოდი, რაც შეიძლება წარმატებით განხორციელდეს, რადგან რუსეთი აგრარული ქვეყანაა, გერმანია კი ინდუსტრიული.

ასეთია სხვადასხვა წრეების ჩვეულებრივი შეხედულება უკანასკნელ დრომდე. მე კი ვფიქრობ, და უკვე 20 წელიწადია არც ვმაღავ, რომ ამგვარი იდეოლოგიის წინააღმდეგი ვარ. დღეს ჩვენ ვმართავთ არა „ჯვაროსნულ ლაშქრო-

ბას“ ბოლშევიზმის წინააღმდეგ, „საწყა-
ლი რუსების“ გასათავისუფლებლად,
არამედ გერმანული პოლიტიკის გასა-
ტარებლად და საკუთარი უშიშროების
უზრუნველსაყოფად.

ღროა ამის შესაბამისად შევიგნოთ
ჩვენი მომავალი მდგომარეობა. ომი,
ახალი, განუყოფელი რუსეთის შესაქ-
მნელად — გამორიცხულია. სტალინის
შეცვლა სხვა მეფით, ან ამ ტერიტორიე-
ბზე ვინმე ახალი ბელადის წამოწევა —
კიდევ უფრო შეაკავშირებს მტრულ ძა-
ლებს ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ დღემ-
დე გავრცელებული ერთიანი რუსეთის
იდეის ნაცვლად ძალაში შედის აღმოსა-
ვლეთის საკითხის ახალი კონცეპცია. ამი-
ერიდან გერმანიის სურსათით მომარა-
გება იქნება ჩვენი უმთავრესი ამოცანა...
ჩვენ არ ვიღებთ არავითარ ვალდებუ-
ლებას, გვევბოთ რუსი ხალხი ამ უაღ-
რესად ნაყოფიერი ტერიტორიებით.
ამასთანავე, კარგად ვიცით, რომ ეს
მკაცრი აუცილებლობაა, რაც გამოდის
გრძნობების ყოველგვარ ფარგლებიდან,
მაგრამ ეშვს გარეშეა, რომ მოგვიხდება
მათი ევაკუაციის ფართო მასშტაბებით
ჩატარება, რის გამოც რუსებს მძიმე
წლები დაუდგებათ“.

როზენბერგი აქ გულისხმობდა რუ-
სების ურალს იქით, ციმბირში გასაზ-
ლებას, რის შემდეგ ისევ დაუბრუნდა
„ევაკუაციის მკაცრი აუცილებლობის“
საკითხს, რაც, მისი აზრით, მოითხოვს
„ქლიერი ხასიათების გამომუშავებას“
და სხვა ასეთი, თავისთავად ვასაგებია,
რომ როზენბერგი და, საერთოდ, ჰიტ-
ლერელები ცნებაში „რუსები“ გულის-
ხმობდნენ საბჭოთა ხალხს, ყველას,
ვინც ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღ-
ვრებიდან ურალამდე ცხოვრობს და
ჩემს მიერ უკვე ჩამოთვლილ ოთხ ოლ-
ქში ზედება.

ეს იმდენად ცხადი იყო, რომ ნიურნ-
ბერგის პროცესზე, როცა ინგლისელმა
ბრალდებულმა ეიმენმა შეცდომით იხ-
მარა გამოთქმა „რუსი ტყვეები“. ლოუ-
რენსმა მაშინვე გაუსწორა:

— პოლკოვნიკო ეიმენ, მე ვფიქრობ

„რუსი ტყვეების“ ნაცვლად თქვენ უნ-
და სთქვათ „საბჭოთა ტყვეები“
დამახასიათებელია, რომ ბრზენბერგმა
ჰიტლერის დირექტივის შესაბამისად,
„საბოლოო მიზნების“ შენიღბვის შესა-
ხებ, ცდილობდა საქმე ისე წარმოედ-
გინა, თითქოს „რუსული დინამიკის
აღმოსავლეთისაკენ მიქცევით“ თვით
„რუსებისათვის“ სასარგებლო საქმე კე-
თდებოდა (!).

— მომავალი რუსეთი, — თქვა მან, —
როდესმე გაამართლებს ამ გადაწყვე-
ტილებას; რა თქმა უნდა, არა ამ 30,
არამედ 100 წლის შემდეგ, რადგან უკა-
ნასკენელი 200 წლის განმავლობაში რუ-
სების სული ორადღა გააოხილი ამ ორი
ტენდენციის შინაგანი ბრძოლით და თუ
რუსები აქედანვე იზოლირებული იქნე-
ბიან დასავლეთისაგან, იქნებ ვახსენონ
თავიანთი პირველსაწყისი ძალები და
მიდამოები, საიდანაც წარმოიშობიან.
ყოველ შემთხვევაში, 100 წლის შემდეგ
რომელიმე ისტორიკოსი, ალბათ, სხვა-
გვარად განსჯის ამ გადაწყვეტილებას,
ვიდრე ეს ახლა მიანიათ რუსებს შესა-
ძლებლად.

ამის შემდეგ როზენბერგმა დააზუსტა
ჰიტლერის მიერ ოთხად გაკვეთილი
„ნაშუქის“ საზღვრები... მეოთხე ნაპერი,
მოგენსენებათ კავკასია, ანუ „ბაქოს
ოლქი“ იყო, ისიც ძალიან ფართოდ
მოზაზული. მან თქვა:

— კავკასიაში საზღვრები მიემართება
ვოლგის აღმოსავლეთით, შემდეგ როს-
ტოვის სამხრეთით, დანარჩენი კი ძვე-
ლებურად თურქეთისა და ირანის გას-
წვრივ. ეს ოლქი მოიცავს 500 ათას კვ.
კილომეტრს, 18 მილიონი მცხოვრებით,
რაც დაყოფილი იქნება 6 გენერალურ
კომისარიატად.

საქართველოს მაგივრად ერთ-ერთი
ასეთი კომისარიატი უნდა ყოფილიყო
და ფილიალი ბათუმში ჰქონოდა. გე-
ნერალური კომისარის რეზიდენციად გა-
მოცხადდა თბილისი.

ბუნებრივია, რომ ეს საკითხი მე გან-
საკუთრებით მაინტერესებდა. დოკუმენ-
ტებიდანაც ვიცოდი, რომ გერმანე-

ლებს განზრახული ჰქონდათ ბაქოში დიდი სამხედრო კოლონიის მოწყობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნავთის ექსპლოატაციის საკითხს. ამ მიზნით გადმოსახლებულ გერმანელებსათვის კი „განახლებულ“ საქართველოს ტერიტორიები იყო განკუთვნილი. ნიურნბერგში წინასწარი დაკითხვის დროს როზენბერგს რამდენიმე კითხვა მივეციით ამის თაობაზე, მაგრამ მან პასუხს თავი აარიდა და თქვა, უმჯობესი იქნება ამის შესახებ ჩემს მოადგილეს შეეცადნენ ჰკითხოთ, რომელიც საქართველოს გენერალურ კომისრად იყო დანიშნული. შეეცადნენ გვარი მე ადრეც მქონდა გაგონილი, მაშინაც ვეძებე, სადაც შეიძლებოდა, მაგრამ გამოირკვა, რომ ის ომის დამთავრებისთანავე თავის ნებით გაყოლია „სამოთხის ვხას“...

...ჰიტლერი და როზენბერგი არა მართო სპობდნენ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე სახელმწიფოებს, არამედ მათი სახელების მოშლასაც ცდილობდნენ. იყო პოლონეთი — ჰიტლერებმა ის „საგენერალ-გუბერნატოროდ“ აქციეს. საბჭოთა კავშირის დაპყრობილ ტერიტორიებს „ოსტლანდი“ უწოდეს: ნოვგოროდის, პსკოვისა და ლენინგრადის ოლქის ტერიტორიებს — ინგერმანლანდია; „ნაზუქის“ ოთხ ნაჰერს ოთხი კოდური სახელი შეარქვეს: „ჰოლმტიანი“, „საქსონია“, „ბადენი“ და „ვესტფალია“. ქალაქებს: გოტენბურგი, თეოდორიჰსჰაფენი და სხვა ამგვარი. საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ზრდილოეთ კავკასია და ყუბანი „ბაქოს ოლქად“ იქცა თავისი ექვსი კომისარიატით და ყოველივე ამის ბატონ-პატრონად როზენბერგს თავისი თავი მიანიჭდა. იგი ერთხელ კიდევ მივიდა საბჭოთა კავშირის უზარმაზარ რუკასთან, მოხაზა მის განკარგულებაში „გადმოსული“ ვრცელი ტერიტორიები და ამაყად თქვა:

— ამა წლის 20 აპრილს ფიურერმა მე დამინიშნა თავის უშუალო რწმუნე-

ბულად აღმოსავლეთ ევროპის საკითხების ცენტრალურებული გზით მოსაგვარებლად. მომავალში „რწმუნებულები“ ნაცვლად შეიძლება შეიქმნას დაწესებულება, განსაზღვრული იურიდიული და სახელმწიფოებრივი ამოცანებით. ყველაფრის წინასწარ განსაზღვრა ძნელია, მაგრამ ახლაც შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს:

1. აღმოსავლეთში ძალა-უფლების განხორციელება მონდობილი მაქვს მე.
2. საკითხი 4 რაიჰსკომისარისა, რომელიც მითითებებს მიიღებენ ჩემგან.
3. ოლქის სრულ ხელმძღვანელობას ანხორციელებს რაიჰსკომისარია.

ამის შემდეგ როზენბერგმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, თუ როგორ რეჟიმს დაამყარებს ის თავის სამფლობელოში და თანამშრომლებს მოუწოდა:

— ყველამ, ვინც იქ ქვეყანაში მიდის, მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ ისინი ემსახურებიან გიგანტურ ამოცანას და რომ მათ აწევთ მძიმე კოლონიზატორული მოვალეობა...

...მაგრამ ეს ჯერ კიდევ ომის საწყის პერიოდში იყო. ჰიტლერებები მაშინ არც იყვნენ მთლიანად „კოლონიზაციის“ ეშში შესულნი, მაგრამ დრაკონულ რეჟიმს მაინც ამყარებდნენ — როგორც ოფიციალურს, ე. ი. საქვეყნოდ გამოტანილს, ისე საიდუმლოს. ინსტრუქციაში, რომელიც ახლავს „აღმოსავლეთის“ დაპყრობის გეგმას — „ბარბაროსსა“ — ნათქვამია:

„სამხედრო ნაწილების მოქმედების რაიონში პოლიტიკური მმართველობისათვის ნიადაგის მოსამზადებლად ესეის რაიჰსფიურერი ჰიმლერი იღებს სპეციალურ დავალებას, რაც გამოძღინარეობს ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე სისტემის ბრძოლის იდეისაგან. ამ დავალების ფარგლებში რაიჰსფიურერი მოქმედებს დამოუკიდებლად, თავისი პასუხისმგებლობის მიხედვით“.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რას ნიშნავს

ასეთ დროს რაისპოტიურერ ჰიმლერის სახელის ხსენება — ეს არის „განხალხება“, „განსაკუთრებული მოპყრობა“, საკონცენტრაციო ბანაკები, კრემატორიუმები და „გზა სამოთხისაკენ“. გარდა ესეის ნაწილებისა, ამ „ლიბერალურად მოწინააღმდეგე იდეების“ ბრძოლაში ჩაბმული იქნენ სამხედრო უწყებებიც. ფელდმარშალმა კაიტელმა სპეციალური ინსტრუქცია დაურთო გეგმას „ბარბაროსისა“, განსჯადობის საკითხზე არმიის უფლებამოსილების შესახებ: „დამოკიდებულება დანაშაულობებისადმი, რასაც ჩაიდენენ სამხედრო პირები და დამხმარე პერსონალი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ“. ინსტრუქციაში ნათქვამია:

1. ძიების (დევნის) აღძვრა მოქმედების გამო, რასაც ჩაიდენენ სამხედრო მოსამსახურენი, ან დამხმარე პერსონალი მტრის სამოქალაქო პირების მიმართ, არ არის სავალდებულო, იმ შემთხვევაშიც, როცა ეს მოქმედება, ერთდროულად, წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს, ან გადაცდომას.

2. ასეთი მოქმედების განხილვის დროს პროცესის ყოველ სტადიაზე აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ გერმანიის დამარცხება 1918 წელს და გერმანელი ხალხის ტანჯვის პერიოდი ამის შემდეგ, აგრეთვე, ბრძოლა ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგ, რამაც ურიცხვი მსხვერპლი გამოიწვია, შედეგი იყო ბოლშევიკების გავლენისა, რაც არც ერთ გერმანელს არა აქვს დაიწყებული.

ეს ნამდვილი წაქეზება იყო დანაშაულისა, თანაც ცოდვების წინასწარ მიტევა — absolutio, რაღაც იმის მსგავსი, რასაც თავის დროზე გარყვნილი გონების პაპები იგონებდნენ და შემოსავლის წყაროდ იხდიდნენ. კაიტელი თავისთავს უფლებას აძლევდა პირადი განკარგულებებით შეეცვალა ის, რაც მაშინ კანონით იყო დაწესებული და საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული. ამას მილიონობით უდა-

ნაშაულო ადამიანების მსხვერპლი მოწყვა...

სტალინური
ბრძოლისთვისა

თორმეტი მცნება...

მერე დიდებს პატარებმაც მიბაძეს. კაიტელის ინსტრუქციები თავისი ხაზით განავითარა სურსათისა და სოფლის მეურნეობის რწმუნებულმა „ოსტლანდში“ სტატსმიდივანმა ბაკემ მან იცოდა აღმოსავლეთის ტერიტორიების ძარცვა რომ ქრისტეს 10 მცნების დაცვით არ შეიძლებოდა და თვითონ შეადგინა აღმოსავლეთის დაპყრობილ ტერიტორიებზე გერმანელთა ქცევა-მოქმედების „12 მცნება“. თუ ქრისტე ჭადაგებდა „არა კაც ჰკლავ“, ბაკე მასიურ მკვლელობებისაკენ მოუწოდებდა თანამემამულეებს და ანუგეშებდა:

— ნუ გეშინიათ მცდარი გადაწყვეტილებების. არ ცდება ის, ვინც არაფერს არ აკეთებს. სჯობს მცდარი გადაწყვეტილება მიიღოთ, ვიდრე არავითარი. მთავარია საქმე და არა შეცდომარუსებთან ურთიერთობის დროს კი, საერთოდ, შეცდომების დაშვება სჯობს. თქვენ არ უნდა უყუროთ საქმეებს ვიწრო დასავლეთ-ევროპული თვალსაზრისით. გამოიჩინეთ ინიციატივა. არავითარი ლაპარაკი! საჭიროა მხოლოდ მოქმედება; სულერთია, რუსებს ლაპარაკით ვერასოდეს ვერ აჯობებთ. ისინი ამ საქმის ოსტატებია. მოიქეცით ისე, რომ მათ ჩვენში დაინახონ ბატონები. უნდა შეიგნოთ, რომ იქ მთელი საუკუნეების მანძილზე იქნებით დიდი გერმანიის წარმომადგენლები და ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის მედროშენი, ამიტომ საკუთარი ღირსების შეგნებით უნდა მიიღოთ ყველაზე სასტიკი და შეუბრალებელი ღონისძიებები, რასაც მოითხოვს თქვენგან სახელმწიფო. ვინაც ხასიათის სიმტკიცე არ აღმოაჩნდება, დაუყოვნებლივ მოხსნილი იქნება და მერე ვერავითარ სამსახურს ვერ მიიღებს.

ბაკეს „12 მცნება“ ასწავლის ქვეშევრდომებს განუსაზღვრელობასა და გაუმადლობას:

— დაისახეთ მაღალი მიზნები, მიუღწეველი. — ქადაგებს ეს სენტენციების მოყვარული ანტიქრისტი. — მიღწეული ყოველთვის უნდა მიიჩნიოთ ნაწილად. არასოდეს არ გაძლეთ მოპოვებულთ. გამახვილეთ ყურადღება მთლიანზე. ნუ კითხულობთ, რა სარგებლობას მოუტანს ეს ადგილობრივ გლეხობას; იკითხეთ, თუ რამდენად გამოადგება გერმანიას. რუსებს არ უნდა დარჩეთ შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვმერყეობთ. ნუ გამოიყენებთ აქ გერმანულ მასშტაბებს, დაივიწყეთ ყოველგვარი გერმანული, გარდა თვით გერმანიისა..

ბაკეს „12 მცნება“ სრულიად შეესაბამებოდა მისი უმაღლესი შეფის გერინგის მოთხოვნებს. რაიჰსმარშალი ასეთ შემთხვევებში უფრო ლაკონიური იყო: იგი ასე განსაზღვრავდა გერმანიის ეკონომიურ პოლიტიკას აღმოსავლეთში: „ჩვენი მთავარი მიზანია მივიღოთ გერმანიისათვის რაც შეიძლება მეტი სურსათი და ნავთი!“ ან უფრო პირდაპირ: „ჩვენ უნდა ვძარცვოთ და ვძარცვოთ, რაც შეიძლება ეფექტურად“. რაიჰსმარშალი არც ასეთ თქმებს თაკილობდა: „უნდა ვიყოთ, როგორც დაგეშილი ძაღლები“.

...ნიურნბერგში წინასწარი დაკითხვების დროს გერინგს ვკითხეთ:

— რამ გაიძულათ ამგვარი სიტყვები გათქვით და ისიც ასე საჭაროდ?

გერინგს სრულიადაც არ უგრძენია უხერხულობა ასეთი კითხვის გამო, პირიქით, რაღაც უდარდელი გამომეტყველება მიიღო და თქვა:

— თქვენ მართალი ბრძანდებით, ჩემს გამოთქმებს, საერთოდ, აკლია სალონური სინატიფე.

საქმე, რა თქმა უნდა, გამოთქმების „სინატიფეს“ კი არ ეხებოდა, არამედ ამ დირექტივების შემადარწუნებელ ცინიკურობას. მით უმეტეს, რომ მათ კანონის ძალა ჰქონდა. ფელდმარშალი კაიტელი ყოველ მათგანს არმიათა წაუფებს უგზავნიდა, როგორც ბრძა-

ნებას. ამით არმიაც სრულიად ოფიციალურად ჩაება მშვიდობიან მოსახლეობის ძარცვის საქმეში. მტრის მტრის 25 ივნისის ბრძანებით ჰიტლერმა დაპყრობილ ტერიტორიებზე სრული ხელისუფლება არმიათა სარდლებს გადასცა. ილრინებოდა კიდევ ნადავლის გაყოფაში არავინ ჩამერიოსო. მას ხომ გამოხრული ძვალის გადაგდებაც ენანებოდა სხვისთვის.

იმ დღეებში საფრანგეთის ვიშისტური მთავრობის რომელიღაც ვახეთმა განაცხადა, გერმანიის ომით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთელი ევროპა ნახავს სარგებლობასო. ამან კიდევ უფრო გააცოფა ჰიტლერი.

— როგორ? ეს რა უსიციხვილობაა! — ყვიროდა ის — მაგათ ხომ არ ჰკონიათ, რომ ჩვენ მთელი ევროპის სასარგებლოდ ვაწარმოებთ ამ ომს?

მერე დაემუქრა კიდევ „ვილაკებებს“: არც მოკავშირე სახელმწიფოებს დაერიდა. ესენი დღეს ჩვენ გვეხმარებიან, მაგრამ, ვინ იცის, ზვალ რას იზამენო, და სცადა აღეკვეთა მათთვის „ნადავლის გაყოფაში“ მონაწილეობის მიღების სურვილიც კი...

...1941 წლის 16 ივლისს, დღის სამ საათზე, ჰიტლერმა თავისთან იზმო გერინგი, ბორმანი, კაიტელი, როზენბერგი და იმპერიის კანცელარიის უფროსი რაიჰსმინისტრი ლამერსი. თათბირი 5 საათი გაგრძელდა. გერმანული ჯარების შედარებით იოლი წინსვლით გაბრუებულ ჰიტლერს დაავიწყდა საკუთარი მითითება „საბოლოო მიზნების“ შენიღბვის შესახებ და ყველაფერი საშუალოზე გამოიტანა. არც არაფერი დაუფარავს, ისე შეუდგა საბჭოთა კავშირის ტერიტორიების ჰრა-კერვას: მთელი ბალტიისპირეთი მან იმპერიის ნაწილად გამოაცხადა, გალიცია (ცენ-

ტრი ქ. ლეოვი) გადასცა „საგენერალ-გუბერნატოროს“; ყირიმი და ახლო-მასლო მდებარე ტერიტორიები (რაც შეიძლება ბევრიო, შენიშნა მან) შეურთა გერმანიას. მეგრ ეკლესიისპირეთს მიღგა და ისიც თავისკენ მითალა.

თათბირის ოქმში წერია:

„ფიურერი ხაზს უსვამს, რომ ვოლგის კოლონიები უნდა იქცეს იმპერიის ოლქად, ზუსტად ისე, როგორც ბაქოს ოლქი. იქ იქნება გერმანიის კონცესია“ („სამხედრო კოლონია“).

იმავე თათბირზე ჰიტლერმა განაცხადა, რომ მას სურს ურალის დასავლეთით მდებარე მთელი ტერიტორიები დაუმორჩილოს გერმანიას. აქ არავითარი სხვა სახელმწიფო არ შეიძლება და ყოფილიყო, გარდა თვით გერმანიისა; არც არავითარი არმია.

„ურალის დასავლეთით სამხედრო სახელმწიფოს არსებობა — თქვა ჰიტლერმა — არასოდეს არ უნდა დადგეს დღის წესრიგში, ამისთვის ასი წელიც რომ მოგვიხდეს ომი. ჩემმა ყველა მიმდევარმა უნდა იცოდეს: იმპერია მხოლოდ მაშინ იქნება ყოველგვარი საფრთხის გარეშე, როცა ურალის დასავლეთით აღარ იქნება უცხოეთის არმია. ამ ტერიტორიების დაცვას გერმანია იღებს თავის თავზე. რკინის კანონად უნდა იქცეს: არასოდეს არ უნდა მიეცეს ვინმეს ნება, გარდა გერმანიისა ატარებდეს იარაღს... მხოლოდ გერმანელს აქვს უფლება იარაღის ტარებისა და არა სლავს, ჩეხს, კაზაკს, ან უკრაინელს..“

...17 ივლისს დამტკიცდა დაპყრობილი და დასაპყრობი ტერიტორიების ადმინისტრაციული სქემა. ამ ტერიტორიების „პოლიციური დაცვა“ დაევალა ესესის რაიჰსფიურერ ჰიმლერსა და საიდუმლო პოლიციის (გესტაპო) უფროსს ჰაიდრიხს. მათი წარმომადგენლები იგზავნებოდნენ არმიათა ჯგუფებში და გარდა სარდლებისა, ემორჩილებოდნენ რაიჰსკომისარებს. ამის აღ-

ნიშვნა საჭიროა, რადგან შემდეგ სამხედრო და სამოქალაქო პირები ცდილობდნენ „განახლების“ ღონისძიებათა მთელი პასუხისმგებლობა ესვენა და გესტაპოელებისთვის გადაეხრებოდათ; ნამდვილად კი ამ საქმეში ჩაბმული იყვნენ ნაციტური პარტია, მთავრობა, არმია, დიპლომატიური ქსელიც კი. მთელი ევროპა დაიფარა საკონცენტრაციო ბანაკების ქსელით. მარტო მაიდანეკისა და ოსვენციმის ხსენებაც შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას. აქეთვე მოედინებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა კუთხიდან ეშელონები დატვირთული „სალიკვიდაციო ცოცხალი მასალით“. ამ „მასალის“ დიდი ნაწილი გზაშივე იხოცებოდა შიმშილით, ან დახურულ სასაქონლო ვაგონებში დახუთვით. დახოცილებს ბოლო ვაგონებში ყრდინენ, ან სულაც აგდებდნენ მატარებლებიდან. კომპიენიდან მაიდანეკამდე მარტო ერთ ეშელონში ორი ათასი კაციდან გზაში დაიხოცა 1200, ვენიდან გამოგზავნილ ეშელონში 1500 კაციდან ბანაკამდე მარტო ოთხასმა ჩამოაღწია. თავდაპირველად მათ აღრიცხავდნენ მაინც, შემდეგ ქაღალდის ეკონომიის მიზნით, ეს პროცედურა გაამარტივეს და ასეთი „ეარგონული ანგარიშგება“ შემოიღეს: „აღდეს მორგეცს ათი ათასი კაცი“, „გარეცეს ათას ხუთასი“, „კვამლს გაატანეს შვიდი ათასი“ და სხვ... ამრიგად, მარტო მაიდანეკისა და ოსვენციმის ბანაკებში 6 მილიონამდე კაცი მოსპეს, ან, როგორც მათი ქარგონი ამბობს, „სამოთხის გზას გაუყენეს...“

...განსაკუთრებულ გულმოდგინეობას ოკუპანტები საბჭოთა კავშირში იჩენდნენ. ჰიტლერის დავალებას — „რუსეთი უნდა ამოიშალოს ევროპის სახელმწიფოთა სიიდანა“, აქ მონდომებით ასრულებდნენ მისი ჭალათები. მთელი საბჭოთა ტერიტორია ოთხ

სპეციალურ ზონად იყო დაყოფილი, არმოათა ოთხი ჯგუფისა და რაიკსკომისარიატების შესაბამისად — A, B, C, და D. პირველს მეთაურობდა — შტალევერი, მეორეს — დოქტორი ნებე; მესამეს ჯერ დოქტორი რაშე, შემდეგ ტომა, ხოლო მეოთხეს — ოლენდორფი, რომელიც შემდეგ მოწვევდაც გამოვიდა პროცესზე, უფრო გვიან კი ბირკამპ. ეს მეოთხე „საგანგებო რაზმი“ Sonderkommando ჯერ ყირიმსა და ყუბანში მოქმედებდა, შემდგომი დაწინაურლება კი კავკასია იყო. აქ ყველაზე დიდი საუშუაო მოვლოდათ, რადგან რუკაზე საქართველოს, რომელიც ე. წ. „ბაქოს ეკონომიურ რაიონში“ შედიოდა, როგორც მოგახსენეთ, თეორი პუნქტირები ჰქონდა დასმული და „განახლების“ ზონას მიეკუთვნებოდა.

პროცესზე ინგლისელმა ბრალმდებელმა ჰეითმა ოლენდორფს:

— რა საბოლოო ამოცანა იყო დასახული D ჯგუფის წინაშე?

— ჯგუფი თავისთავად რეზერვში იყო იმ განზრახვით, რომ შემდეგ კავკასიაში ემოქმედა. — უბასუხა მან...

...საბჭოთა კავშირის ამ ოთხ „საკონცენტრაციო ზონაში“ უამრავი საკონცენტრაციო ბანაკი გაიხსნა. ასეთი ბანაკები იყო სმოლენსკში, ხარკოვში, კიევი, ლვოვი, პოლტავეში, ნოვოგოროდში, ორიოლში, დნეპროპეტროვსკში, ოდესაში, კამენეც-პოდოლსკში, გომელში, ქერჩში, სტალინგრადის ოლქში, კაუნასში, რიგაში... და, ვინ იცის, კიდევ სად. გარდა საკონცენტრაციო ბანაკებისა, მოსახლეობის „ლიკვიდაცია“ ხდებოდა ყველგან — ტყეებში, ქაობებში, ქალაქის განაპირა უბნებში. მარტო ლისიციის ტყეში 200 ათასი კაცი დახვრიტეს, ბაგეროვსა და ბაბიე იარის მსგავსი მრავალი თხრილი, ორმო, ჭები და შახტები ამოავსეს დახოცილთა გვამებით.

სიკვდილის ასეთი შავი ტალღა მოიწვევა ჩვენსკენაც.

არ დასცალდათ, თორემ სანთვლილო ბანაკები უნდა გაეხსნათ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. „საქართველოს საიმპერიო კომისარს“ შიველანცს უკვე შედგენილი ჰქონდა გეგმები. „თბილისის გაულიტერი“ კი ანკარაში დაძრწოდა და მოუთმენლად უედიდა როდის შევიდოდა „თავის სამფლობელოში“. ცინიზმი იქამდე მივიდა, რომ ყირიმში შეიქმნა საქართველოს „გამათავისუფლებელი პატრიოტული“ ორგანიზაციები „თამარ I“ და „თამარ II“. ჟანდარმერიის ფელდფებელის (I) მეთაურობით, როლისთვისაც სიტყვა „გათავისუფლება“ და „განახლება“ სინონიმური მნიშვნელობისა იყო. მათ ყველაფერი ჰქონდათ მომზადებული საქართველოს „განახლებული“ ტერიტორიების ასათვისებლად. მე წინ მედო დოკუმენტი გერინგის ხელისმოწერით, სადაც ისიც კი იყო აღნიშნული, სოხუმის რაიონის რომელ უბანში რა ჯიშის თამბაქო უნდა დაეთესათ ბატონ გერმანელებს...

...საკონცენტრაციო რეჟიმი კი დღითიდღე აუტანელ ხასიათს იღებდა. დახვრეტა... დახვრეტა... ასეთი განაჩენი იყო წინასწარ გამოტანილი ყველასათვის, ვინც რამეს დააშავებდა, ან „აღმაცერად“ შემოხედავდა გერმანელს“. მილიონობით ხალხი იგზავნებოდა საკონცენტრაციო ბანაკებში.

რატომ? რისთვის? ესეც ნაწილია იმ საერთო კითხვისა: „რა უნდოდათ?“ პასუხიც ასეთია: ურალიდან ოდერამდე გაშლილი ვრცელი ტერიტორიების დაპყრობა, ამ ტერიტორიებზე გერმანელების „ათასწლოვანი იმპერიის“ შექმნა, ევროპის დანარჩენი სა-

ხელმწიფოების დამონება, იმპერიის ფარგლების კოლონურ აზიასა და აფრიკაში გაფართოება — ბოლოს მსოფლიო ჰეგემონიის დამყარება და ბატონყმობის „აუცილებელი პროცენტული შეფარდების“ უზრუნველყოფა.

— ეს არის ჩემი ცხოვრების აზრიო, — ამბობდა ჰიტლერი..

...მონტენი გვიამბობს პლუტარქეს მიერ გადმოცემულ ამბავს: როცა მეფე პიროსმა იტალიაზე გალაშქრება გადასწყვიტა, მისმა ბრძენმა მრჩეველმა კინეადმა ამ გადაწყვეტილების უგუნურება რომ ეგრძნობინებინა მისთვის, ჰკითხა:

— რისთვის წამოიწყეთ, მეუფეო, ეს დიდი საქმე?

— რომ დავიპყრო იტალია, — უბასუხა მეფემ მაშინვე.

— შემდეგ? — განაგრძო კინეადმა, — როცა ამას მიაღწევთ?

— მე გავილაშქრებ გალიისა და ესპანეთის წინააღმდეგ!

— შემდეგ!

— შემდეგ მე დავიპყრობ აფრიკას და ბოლოს დავიმორჩილებ მთელ მსოფლიოს, რათა ვიცხოვრო და მოვიხვეწო ჩემდა სანეტარო!

— ღმერთებს ვფიცავ, მეუფეო! — უთხრა მას კინეადმა, ახლა რუკე შეხედე: ხელს, რომ შეიქმნათ ასეთი გმადგომლობა? რატომ ახლავე არ დასახლებით იქ, საითაც თქვენი წარმოდგენით მისწრადვფით და არ აიცილენთ თავიდან ათასგვარ დავიდარებას და მოულოდნელობას, რაც შეიძლება გზად გადაგვლობოთ?...

ამის შემდეგ მონტენი მიმართავს ლუკრეციუსის ავტორიტეტს და მოჰყავს ადგილი წიგნიდან „საგანთა ბუნებისათვის“:

„აქ არაფერია გასაოცარი, რამეთუ მან არ იცოდა, სად უნდა შეჩერებულიყო, ან სანამდის შეიძლება დიდდებოდეს ჩვენი ტკობის სურვილი“.

ბოლოს კი ისევ მონტენი წერს:

„ამ მსჯელობას დავამთავრებ ერთი უძველესი ავტორის ნათქვამით, რაც, ჩემი აზრით, შესაფერისია ამ შემთხვევისათვის.“

ბედი ჩვენი დამოკიდებულია ჩვენსავე ზნეობაზე!...“

...ჰიტლერელთა ბედიც მათ ზნეობაზე იყო დამოკიდებული...

(გაგრძელება იქნება)

3. ზოლის—ჯინჯინაშვილი

ანთიმოზ ივერიელი—რუმინეთის პატრიოტი,
მწერალი-ჰუმანისტი

ანთიმოზ ივერიელზე ყურადღება მი-
მაქცევინა აკადემიკოს კონსტანტინესკუ
იაშის წიგნმა „რუმინელების და რუსე-
ბის კულტურული კავშირი წარსულში“
(ბუქარესტი, რუმინეთის სახალხო რე-
სპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის
გამოცემა, 1954 წ.), წიგნში ანთიმოზს
მთელი თავი აქვს დათმობილი. ძალზე
დამაინტერესა ქართველის პიროვნებამ,
რომლის მეორე სამშობლო რუმინეთი
გახდა. იმ მიზნით, რომ პირველწყარო-
ების საშუალებით გავცნობოდი მის
მოღვაწეობას, მე წავედი რუმინეთის
სახალხო რესპუბლიკაში. რუმინეთის
სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა
აკადემიის ბიბლიოთეკის ხელნაწერე-
ბის განყოფილებაში და რუმინეთის სა-
ხალხო რესპუბლიკის სახელმწიფო
არქივში გავეცანი ანთიმოზისეულ ხელ-
ნაწერებს და მისი ბელით შესრულებულ
მინიატურებს.

დავათვალიერე მონასტერი და ეკ-
ლესიაც, რომელიც მის სახელს ატა-
რებს, ვინახულე სწავლის მონასტე-
რი და სხვა ადგილები, რომლებიც ან-
თიმოზის სახელთანაა დაკავშირებული.

ახლა, როდესაც სოციალისტური ბა-
ნაკის ქვეყნებს შორის მეგობრული
კავშირი სულ უფრო და უფრო მტკიც-
დება, უაღრესად დიდი მნიშვნელობა
ენიჭება ისტორიული ურთიერთკავში-
რის ყოველ ახალ დადასტურებას. ან-
თიმოზის მოღვაწეობა და მისი ლიტე-

რატურული ნაწარმოებები წარმოგვიდ-
გენენ ჰუმანიზმის, პატრიოტიზმისა და
გულადობის მაღალ ნიმუშებს. არ შეი-
ძლება, რომ ყოველივე ზემოაღნიშნუ-
ლმა არ მიიზიდოს მკვლევარი.

• • •

XVII საუკუნის საქართველოში და-
ტრიალებულმა ბოზოქარმა ამბებმა
უცხო ქვეყანაში გადაისროლა ერთი
ქართველი. რომელიც შემდეგ ანთიმოზ
ივერიელის სახელით საქვეყნოდ ცნო-
ბილი პირი შეიქნა. მიუხედავად მძიმე
პირობებისა, ანთიმოზმა მოახერხა გამ-
ხდარიყო თავისი ეპოქის ერთ-ერთი
ყველაზე განათლებული ადამიანი. მან
ვალახეთის (რუმინეთის) მიტროპოლი-
ტის წოდებას მიიღწია, პატრიოტული
მოღვაწეობის წყალობით ქართველი
ხალხის იმ სასიქადულო შვილთა რი-
გებში მოხვდა, რომელთაც სახელი გა-
ითქვეს საზღვარგარეთ და უცხო ქვე-
ყნების ისტორიაში შევიდნენ.

რუმინეთი ანთიმოზის მეორე სამშო-
ბლო გახდა. მიუხედავად ამისა, ანთი-
მოზი არ ივიწყებდა თავის პირველ
სამშობლოს და საქართველოში მომხ-
დარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლე-
ნის კურსში იყო. წარმატებით იყენებ-
და ქართული ხელოვნების ცოდნას,
ქართულ მოტივებს, შესრულების ქარ-
თულ მანერას, ორნამენტებს მხატვრუ-

ლი შემოქმედების ყველა დარგში (ხე-ზე ამოკრა, ხუროთმოძღვრება, მინიატურები).

მოკლედ ანთიმოზის ბიოგრაფია ასეთია:

1676 წელს 16 წლის ქართველი ჭაბუკი — ანდრია ტყვედ ჩაიგდეს თურქებმა და კონსტანტინეპოლს ჩაიყვანეს. ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტებს იგი ხელს აწერს, როგორც „ივერიანულ“ ე. ი. ივერიელი.

XVII საუკუნის დასასრული და XVIII საუკუნის დასაწყისი ვალახეთის — რუმინეთის მშფოთვარე ისტორიული წარსულის მეტად მძიმე პერიოდია. ამ დროს ვალახეთში თურქები ბატონობდნენ. მიუხედავად ამისა, ვალახეთის მთავარმა კონსტანტინე ბრინკოვიანუმ¹ ფართო კულტურული საქმიანობა გააჩაღა ეროვნული კულტურის აღორძინებისა და განვითარებისათვის, თავის კარზე თავი მოუყარა აღმოსავლეთის დიდ მეცნიერებს. „ბუქარესტმა და იასამ შეითვისეს ყველაფერი და ყოველი, რაც კი სასახელო, დიადი და განათლებული იყო მართლმადიდებელ აღმოსავლეთში“ (ნ. იორგა, XVIII საუკუნის ლიტერატურა I. გვ. 59).

ჭეყენის პროგრესული ძალების და მთელი რუმინელი ხალხის ბრძოლა თურქების წინააღმდეგ ერთი მხრივ და ეროვნული კულტურის განვითარებისაკენ მიმართული ბრინკოვიანუს მეცადინეობა მეორე მხრივ — აი. ის ფონი, რომელზეც მკვეთრად მოჩანს სახე ანთიმოზ ივერიელისა, სახე მეცნიერის, მებრძოლის, თავისი მეორე საშობლოს — რუმინეთის პატრიოტის, პოლიტიკური მოღვაწისა, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ აღორძინების ხანის პიროვნება“ (რადუ ალბალა, „ანთიმოზ ივერიელი და მისი დრო“. წინასიტყვაობა).

ანთიმოზი რუსული ორიენტაციის პოლიტიკური მოღვაწე იყო. ^{საქმე მოღვაწე} პარაკებას აწარმოებდა ^{საქმე მოღვაწე} ცდილობდა აემხედრებინა ბოიარები თურქების წინააღმდეგ. ამის გამო იგი შეთქმულად გამოაცხადეს, აყარეს მიტროპოლიტის ტიტული და მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა წმინდა ეკატერინეს მონასტერში, სინაის მთაზე, ვადასახლებაში რომ მიდიოდა, გზაზე თურქებმა შეიპყრეს და აკლწეს.

ვალახეთში ანთიმოზს მთავარმა ბრინკოვიანუმ სამიტროპოლიტო სტამბა ჩააბარა. ანთიმოზის ხელმძღვანელობით სტამბა გამდიდრდა კირილეს სლავური, ბერძნული და არაბული შრიფტებით. ბრინკოვიანუს მმართველობის დროს, რომელიც 26 წელიწადს მოიცავს, ვალახეთში აყვავდა რუმინული და ბერძნული ლიტერატურა. დაიბეჭდა 64 წიგნი და გაკეთდა ამდენივე მხატვრული უდა. ამ ეპოქის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა ანთიმოზის სახელთან არის დაკავშირებული.

1698 წელს ანთიმოზი სნაგოვის მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს. აქ მან დააარსა სტამბა და დაბეჭდა დიდძალი რუმინული და ბერძნული წიგნები.

1705 წელს ანთიმოზი დანიშნეს რიმნიკის ეპისკოპოსად. მან საეპისკოპოსოსთან მოაწყო სტამბა, რომელმაც ჩვენს დღეებამდე იარსება. 1708 წლის 27 იანვარს ანთიმოზი მიტროპოლიტად აყურთხეს. ამ აქტის გამო რუმინულ ენაზე წარმოთქმული მისი სიტყვა შემონახულია.

ანთიმოზის სტამბაში იბეჭდებოდა არა მარტო საეკლესიო, საერო წიგნებიც — ბერძნულ, სლავურ და არაბულ ენებზე.

წიგნის ბეჭდვას მან მარტო რუმინეთში როლი შეუწყო ხელი. მისი დასმარებით და ხელმძღვანელობით სტამბები შეიქმნა საქართველოსა და ალეპოშიც (სირია).

¹ რუმინული ტრანსკრიპციით Brincoveanu.

ავტორი წიგნისა „ანთიმოზ ივერიელი და მისი დრო“, რუმინელი მწერალი რადუ ალბალა წერს: „შრომისმოყვარეობამ და მესტამბის, მთარგმნელის, გამომცემლისა და მხატვრის ოსტატობამ იგი გახადა რუმინული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული წარმომადგენელი“.

• • •

როცა კ. ბრინკოვიანუს მდივანი დელ კიარო ანთიმოზზე ლაბარაკობს, აღნიშნავს: „მას მომადლებული ჰქონდა გასათვარი ნიჭი, ჩინებულად ფლობდა ყოველგვარ მხატვრულ ხელოვნებას, განსაკუთრებით, ხეზე ამოჭრას, ფერწერასა და გრავეურას“.¹

ისეთი დიდი მშენებლობა, როგორც ანთიმოზ ივერიელის მიტროპოლიტობის დროს წარმოებდა, ვალახეთს არ ახსოვს. სწორედ მისი უდიდესი გავლენით კ. ბრინკოვიანუმ ხელი მიჰყო კულტურისა და ხელოვნების აღორძინების საქმეს.

სამი წლის ჩასულიც არ იყო ვალახეთში, როცა ანთიმოზმა ფართო ხუროთმოძღვრული საქმიანობა გააჩაღა და 25 წლის მანძილზე ააგო და აღადგინა 26 მონასტერი და ეკლესია, რაც იშვიათი მოვლენა იყო ვალახეთის ისტორიაში, ანთიმოზი რუმინეთში ჩავიდა ჩამოყალიბებული მხატვრული გემოვნებით. ითვლებოდა რა მეორე კაცად რუმინეთში, მან თავისი მღვდმარეობა გამოიყენა ხელოვნების აყვავებისათვის.

მრავალი მეცნიერული გამოკვლევებიდან ჩანს ქართული ხუროთმოძღვრების კეთილმყოფელი გავლენა რუმინულზე (პროფ. ჰეტრუ კონსტანტინესკუ იაშუ). ამ გავლენის ერთ-ერთი ფაქტორი იყო ანთიმოზის მოღვაწეობა. კერძოდ, ამაზე მეტყველებს ქართული დეკორატიული მოტივები, რომლებიც ხშირად გამოიყენებოდა რუმინულ

ხუროთმოძღვრებაში ანთიმოზის მიტროპოლიტობის დროს და შემოღწევის საუკუნეებშიც. ქართული ხუროთმოძღვრების გავლენის კვალი ამჩნევია რუმინულ ისტორიულ ძეგლებს, რომლებშიც აგებული და რესტავირებული იქნა ანთიმოზის ხელმძღვანელობით 1688—1716 წლებში, კ. ბრინკოვიანუს მართვის პერიოდში (ჰურეზი — 1691—1695, სინაი — 1699, კოლცეა — 1700, კოზია — 1706). მოგომოიკის სასახლე — 1708), ანთიმოზის ეკლესია-მონასტერი — 1713, ვიკირეტში და სხვ.)¹

იგივე ძეგლები მოკაზმულ-შემკულია ორიგინალური ანთიმოზისეული ფერწერით, ჩუქურთმებითა და ქანდაკებებით. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკასა და რუმინეთის სახელმწიფო არქივებში დაცულია ხელნაწერები, პერგამენტები და დოკუმენტები ანთიმოზის მიერ შესრულებული მინიატურებით.

ანთიმოზის გრაფიული ნამუშევრები წარმოდგენილია წიგნების ილუსტრაციებით, გამოყენებითი ხელოვნება—ანთიმოზის წიგნების და ხელნაწერების ტყავის ყდებით. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასა და სახელმწიფო არქივებში დაცულია დიდი მხატვრული ღირებულების მქონე ხელნაწერთა რამდენიმე ეგზემპლარი, მათ შორის, ყოველად წმინდა მონასტრის (ანთიმოზის მონასტრის) „ტიბიკონი“, რომელიც რუმინული ფოლკლორული ხელოვნების ნამდვილი საუნჯეა და არქივებში ცნობილია „№ 13 გრაგნილის“ სახელწოდებით. ძალზე კარგად შენახული „ტიბიკონი“, შესრულებული თვით მიტროპოლიტ ანთიმოზის მიერ 1715 წლის 20 ივლისს, დაწერილია და მინიატურებით მოხატულია პერგამენტზე. მას დიდი ისტორიული მნიშვნელობა და მხატვრული ღირებულება

¹ დელ კიარო „ანთიმოზის მოღვაწეობა ხელოვნებაში“.

აქვს. „ტიბიკონი“ ჩასმულია მხატვრულ ჩარჩოში, მოკაზმულია ფრონტისპისითა და ვინიეტით, ზედღართული ხელმოწერით. ყველაფერი ეს საღებავებით არის შესრულებული. ჩარჩოს შიგნით მოთავსებულია შავი ტუშით დაწერილი „ტიბიკონის“ ტექსტი.

ასეთი იდენტიური სპეციფიკური ნიშნების მქონე ელემენტებს ვხედავთ მის სხვა ნაწარმოებებშიც, ისეთებში, როგორც არის „ანდერძი“ (ინახება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნ. აკადემიაში), ეკლესიის ტაძრის ხატი (ამჟამად დაკულია ანთიმოზის ეკლესიის მონასტერში), ჩუქურთმები ეკლესიის ორიგინალურ კარებზე, კედლის მოხატულობის ორნამენტები (ინახება სტავროპოლისის ეკლესიის მუზეუმში) და, ბოლოს, პერგამენტი, რომელზედაც დაწერილია ანთიმოზის მონასტრის „ტიბიკონი“. ამ უკანასკნელს რუმინეთის მუზეუმებში დაცული ვერც ერთი იმდროინდელი დოკუმენტი ვერ შეედრება. ეს ყველაზე ორიგინალური და ძვირფასი მხატვრული ნიმუშია რუმინულ მინიატურებს შორის.

ზურთმომძღვრების გარდა, ანთიმოზი ქართულ მოტივებს მთავარ ელემენტად იყენებს ფერწერაში, გრაფიურაში, სკულპტურაში, ყდების, ხელნაწერების, მინიატურების კაზმულობაში.

ანთიმოზ ივერიელმა 1709 წლის ივლისში მთავარს — ბრინკოვიანუს მიართვა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები, რომელიც უფლებას გვაძლევს მისი ავტორი მივიჩნიოთ დახელოვნებულ მინიატურისტად. ეს არის „ძველი და ახალი აღთქმის დასები“¹, ანუ ბიბლიის ილუსტრირებული

ისტორია. იგი მედალიონებში ჩასმული 500 პორტრეტისაგან შედგება მელზედაც გამოსახულია ქრისტეს ნაპართა სახეები ამ თანმიმდევრობით, როგორც ისინი მოხსენებული არიან სახარებაში.

ანთიმოზის ამ ნამუშევრის მხატვრული ღირებულება ბევრად უფრო მეტია მის ისტორიულ და ლიტერატურულ ღირებულებამდე. „დასების“ ტექსტი მოწმობს, თუ რა ღრმად იცოდა ავტორმა ბიბლია და ისტორია.

ხელნაწერი, რომელიც 28 ფურცელს მოიცავს, მოგვიხსობს პორტრეტებზე გამოსახულ პირთა ცხოვრებას, ადამიდან მოყოლებული თვით ქრისტემდე. ტექსტს თან ახლავს ქვემოთ წარწერა:

„მისი უსამღვდელოების მიტროპოლიტის ანთიმოზ ივერიელის უდიდესი შრომით პირველადე ასეთი სახით შედგენილი ეს წიგნი მიეძღვნა დიდი სიყვარულით მთელი ვალახეთის უბრწყინვალეს და უდიდეს ხელმწიფეს იონ კონსტანტინე ბრინკოვიანუს ზასარაბ ვოდას და მასვე მიერთვა ცნობილ ქალაქ ტირგოვიტში, ქვეყნის შექმნიდან 7217 (1709) წლის ივლისის თვეს“.

• • •

ანთიმოზი XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ საუკეთესო რუმინელ მწერლად ითვლება. მისი ნაწარმოებები დიდად მნიშვნელოვანია როგორც თხრობის ფორმით, ისე შინაარსით. მან მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა — დღემდე მის მთავარ ნაწარმოებად რჩება „ქალაგებანი“ ანუ „ღიდახები“. ეს თხზულება რუმინული საეკლესიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ძეგლია არა მარტო იმიტომ, რომ იგი ამ თანრში ერთადერთია, არამედ იმიტომაც, რომ მას აქვს რეალური გარდაუვალი ღირებულება მკვებრმეტყვე-

¹ ხელნაწერი აღმოაჩინა შტუტგან ბერებმა კოევი. მანვე მოკლედ აღწერა იგი წიგნში „რუსეთის არქივების სლავური დოკუმენტები“ (ბუქარესტი, 1920 წ. გვ. 17—26), შემდეგ კი უფრო დაწერილებით. ისტორიული ძეგლების კომისიის შრომებში. ტ. II, 1928. გვ. 125—135.

ლებს, სილამაზისა და სიტყვიერი სიმდიდრის გამო¹.

დღესასწაულზე ქადაგებებით გამოსვლა მეტად გავრცელებული ჩვეულება იყო მთელს რელიგიურ სამყაროში, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. ფრანგული ლიტერატურის დიდებას წარმოადგენს XII—XIII საუკუნეების საეკლესიო ორატორების მთელი პლეადის — ბოსიუეს, ბურდალონის, ფლეშის, მასიონის ქადაგებანი. ვალახეთში ქადაგებათა წარმოქმნის ჩვეულება შევიდა და დამკვიდრდა საბერძნეთისა და იერუსალიმის გავლენით. ანთიმოზმა გაითქვა სახელი, განსაკუთრებით, როგორც რელიგიურმა ორატორმა: „სამიტროპოლიტოში გაისმოდა ხმა ყველაზე დიდი რუმინელი მქადაგებლისა — მიტროპოლიტ ანთიმოზისა“, — წერდა „ქადაგებების“ წინასიტყვაობაში პროფესორი პეტრუ ხანეში (იხ. გვ. 21).

მაგრამ ყველაზე დიდი დამსახურება ანთიმოზს მიანჯ ის არის, რომ იგი რუმინულ ენაზე ქადაგებდა და ამით გამოირჩეოდა თავისი წინამორბედებისაგან, რომლებიც ბერძნულად ორატორობდნენ და ცდილობდნენ თავი მოეწონებინათ ბერძნული ენის ცოდნით. მიტროპოლიტმა ანთიმოზმა დამტკიცა, რომ რუმინულად ე. ი. თავისი მეორე სამშობლოს დედაენით შეიძლება გამოიხატოს აზრები ისევე ბრწყინვალედ, როგორც ბერძნულთ. იგი ქადაგებდა არა მარტო შეიძლებული კლასებისათვის, რომელთათვისაც ბერძნული ენა მისაწვდომი იყო, არამედ მთელი ხალხისათვის, ქადაგებდა ახლობელი და გასაგები ენით. ამდენად ანთიმოზის ქადაგებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. მან, „უცხოელმა“ პირველად შეიტანა ვალახეთის საეკლესიო ღვთისმსახურებაში რუმინული ენა, ამით დასაბამი მისცა იმას, რომ ვალახეთის ლიტერატურაში დანერგილიყო რუმინული ენა,

რომელიც შემდგომში, ბრინკოვიანუს 26-წლიანი მმართველობის პერიოდში, დამკვიდრდა და იყო განუთიარებელი, როგორც ეროვნულმა ენამ. „ბევრად უფრო გვიან არდელიური სკოლა პოპულარიზაციას უწევდა რუმინულ ენაზე ლამაზი ფორმით წარმოთქმული სიტყვების“ სახელწოდებით შეკრებილ სხვა ქადაგებებსაც, რომლებიც რუმინული კულტურის მოწინავე მოღვაწეებს ეკუთვნოდათ. მაგრამ „მათ არ გააჩნდათ ანთიმოზ ივერიელის სიტყვების სიმშვენიერე და ენერგიულობა“, — ამბობს გამოჩენილი რუმინელი ისტორიკოსი ნ. იორგა „ქადაგებების შესახებ“ (იხ. XVIII საუკუნის რუმინული ლიტერატურის ისტორია, გვ. 430—433).

ანთიმოზის „დიდახები“ ანუ „ქადაგებანი“ პირველად მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიბეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნიმუშები სახარების სხვადასხვა კლასიკური კომენტარები იყო, ანთიმოზის ქადაგებანი მაინც რუმინული ლიტერატურული ენის განვითარების ხელის შემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდნენ. გარდა იმისა, რომ ანთიმოზი სამიტროპოლიტოში ქადაგებებით გამოდიოდა და მოუწოდებდა ყველას ღრმად შეესისხლხორცებინათ სარწმუნოება და მაღალი ქრისტიანული მორალი, ამასთან იგი ეკლესიის მსახურთ უგზავნიდა ეპისტოლეებს, სადაც დარიგებას აძლევდა მათ, უკეთ შეესრულებიათ მოვალეობა, არ მისცემოდნენ ბიწიერებასა და ცრუმორწმუნობას, პატიოსანი სიტყვითა და ქცევით სხვებისათვის მაგალითი ეჩვენებინათ.

საკულისხმოა ის წყაროები, რომლებითაც სარგებლობდა ანთიმოზი „დიდახების“ შედგენისას. ლიტერატურის ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა უმრავლესობამ გაიზიარა რუმინული ეპისკოპოსის მელქისედეკის თეორია, რომლის მიხედვით ანთიმოზი თითქოს დიდი ბერძენი მქადაგებლის, ვენეცი-

¹ პროფ. ი. ბიანუ „ქადაგებების წინასიტყვაობა“. ბუქარესტი 1886 წ.

ელი ილია მინიატის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. გამოჩენილ რუმინელ ისტორიკოს ნ. იორგას კი მიაჩნდა, რომ მიტროპოლიტ ანთიმოზისათვის ნიშნულს წარმოადგენდა ხრიზანტ ნოტარასის შემოქმედება. ამ ვარაუდებმა მოგვიანო გამოკვლევებში ვერ ჰპოვა დადასტურება. ღრმად თუ შევისწავლით „ქადაგებებს“, შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ ისინი მჭიდროდ დაკავშირებულია რუმინელი ხალხის ცხოვრებასთან და უაღრესად ორიგინალურია. „ქადაგებების“ შედგენისას ანთიმოზ ივერიელი სარგებლობდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით¹. იგი ძველი აღთქმის დიდი მცოდნე იყო და ხშირად იმოწმებდა თავის ქადაგებებში საღვთო წიგნების კომენტატორთა სიტყვებს. ქადაგებების გამოსაცოცხლებლად იგი მარტო ეკლესიის მიერ ნებადართულ კანონიკურ მწერლობას როდი ეყრდნობოდა. ცნობილია მისი ნაწარმოებები „ნიჭიერების ყვაილი“ და „ალექსანდრია“, სადაც მარჯვედ არის გამოყენებული ლეგენდები და აპოკრიფული ნაწარმოებები. ასევე, ქადაგებაში „ღვთისმშობლის ეკლესიაში შესვლა“ (გვ. 36), სადაც მოთხრობილია თუ რა გაჭირვება გადაიტანეს იაკობმა და ანამ, სანამ ღვთისმშობელი დაიბადებოდა, მასალა კანონიკური საღვთო წერილებიდან როდია აღებული. წმინდა იოანე ნათლისმცემელის მოაზრებას გადასვლის ლეგენდაც, რომელიც საფუძვლად დაედო ქადაგებას „ნათლიობა“ (გვ. 134), ასევე აპოკრიფულია. „ძველი და ახალი აღთქმის დასებშიც“ არის ზოგიერთი აპოკრიფული ლეგენდა.

დიდი ღვაწლი ანთიმოზს იმ მხრივაც მიუძღვის, რომ ღვთისმეტყველების იდეები მან ყოველდღიურ ცხოვრებას დაუქვაშირა. „ქადაგებებში“ იგი ამთარაბებს, სოციალური მდგომარეობის განურჩევლად, მთელი მრევლის მორა-

ლურ დაცემას. ორიგინალურია იგი სოციალური უსამართლობის მხედველობაში. ანთიმოზი ერთადერთი მსმეტრის პოლიტი იყო, რომელიც ამჟამად ილაშქრებდა ბოიარების წინააღმდეგ, მკაცრად კიცხავდა მათ უწესო მოქმედებას. იგი თვით მთავარსაც არ ერიდებოდა, პირდაპირ და მკაცრად ეუბნებოდა იმას, რასაც მასზე ფიქრობდა. ეს ერთ-ერთი პუნქტიც კი გახდა ბრალდებისა, რომელიც ანთიმოზს შემდგომ წაუყვანეს. ამას თვითონაც აღიარებს ერთ-ერთ დასაცავ სიტყვაში, რომელიც მთავარს კ. ბრინკოვიანუს გაუგზავნა, სადაც იგი წერდა: „მე თუ იმას გეუბნებოდი, რაც შენ არ მოგწონდა, ამას მუხანათობით კი არ ჩავდიოდი, არამედ ჩემი მოვალეობით. როგორც შენი სულიერი მამა“ (მსგავსი შემთხვევები შეიძლება მოვიტანოთ საფრანგეთის ისტორიიდან, — კათოლიკური ეკლესიის დიდი ორატორი ბოსიუე უსაყვედურებდა ხოლმე ლუდოვიკო XIV და რჩევა-დარიგებებს აძლევდა მას).

ანთიმოზი ქადაგებებში აღწერს თავის ეპოქას და იძლევა იმდროინდელი საზოგადოების არც თუ ისე სახარბიელო სურათს. იგი მთელი ძალით ცდილობს აამაღლოს მღვდლებისა და საზოგადოების ყველა ფენის მორალური დონე. ანთიმოზის ქადაგებების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მაშინდელ ზნე-ჩვეულებებსა და ყოფაცხოვრებაზე (1720 წლამდე).

ანთიმოზი მოურიდებლად ილაშქრებს თავის თანამედროვე საზოგადოების ყოველგვარი ნაკლოვანების წინააღმდეგ, ამხელს ბოიარების, მღვდლების, მშრომელების, ყველა იმ ადამიანის საქციელს, ვინც, მისი აზრით, უღირს ცხოვრებას ეწეოდა. ანთიმოზს ძალზე აწუხებს რწმენის, ნებისყოფის და მტკიცე მორალური საფუძვლების უქონლობა. აი, როგორ ჰკიცხავს იგი იმდროინდელ ზნეჩვეულებებს: „რაკი ერთმანეთი არ გვიყვარს და ერთმანეთისათვის კარგი არ გვინდა, ამით ჩვენ წარმართებზე უარესნი

¹ გ. შტრემბელი, „ქადაგებების წინასიტყვაობა“. კრიტიკული გამოცემა რ. ს. რ. აკადემიის გამომცემლობა. 1962 წ.

ვართ“. იგი ჰკიცხავს ზნეჩვეულებების შერყენას სხვა თვალსაზრისითაც: „ყველას ვლანძღვთ, ყველას ცილს ვწამებთ, ყველას ვაბეზღებთ, ყველას დავცინით და აბუჩად ვიგდებთ, ყველას შეშლილებს და უგონოებს ვუწოდებთ და მხოლოდ ჩვენი თავი მიგვაჩინია, გაეკადნიერდები და ვიტყვი, თვით ღმერთზე უფრო ჰკვიანად („ქადაგებანი“ გვ. 62). იგი მოურიღებლად თავს ესხმის იმ თანამედროვეებს, რომლებიც პატივს არა სცემენ უფროსებსა და თავიანთ მშობლებს (გვ. 34). მშობლებს ვაგინებთ და ვცემთ, მოხუცებს პატივით არ ვეკიდებით, ყველას წყევლა-კრულვით ვიხსენიებთ“ — („ქადაგებანი“ გვ. 52).

ანთიმოზმა შესანიშნავად იცოდა ცხოვრების ავ-კარგი, მისი უჯუმბარე, ხედავდა ბოიართა მორალურ დაკნინებას, იმას, რომ მათ ყოფა-ქცევას მოჩვენებითი ხასიათი ჰქონდა. აღსარებასაც მოსაჩვენებლად ამბობდნენ: „ერთი შიშის გამო, მეორე — ჩვეულების, ან სირცხვილის გამო, ზოგიერთს ორი მოძღვარი ჰყავს — ერთი სოფლად, მეორე ქალაქად, სოფლად მოძღვარს უმხელენ დიდ ცოდვებს, როგორც ადამიანს, რომელსაც ცოტა რამ გაეგება, ხოლო ქალაქის მოძღვარს ვაანდობენ მხოლოდ მცირე ცოდვებს“. სანტიგრესოა მისი შეხედულება დედაკაცის მორალსა და ყოფა-ქცევაზე. ანთიმოზი მკაცრად კიცხავს ფუქსაგატ ქალებსა და მათ ზედმეტ, გადაჭარბებულ ფუფუნებას. იგი აღარებს ბიბლიურ სარასა და XVIII საუკუნის რუმინელ ქალს. ამას მერტად ხატოვანი ანტიუფიხით გამოხატავს: „მოდი აქ, შენ, დედაკაცო, რომ გიჩვენო, რას ვაგებარ. აბრაამის ცოლს სარას სტუმრები რომ ეწვეოდნენ, იგი საკუთარი ხელით იწყებდა პურის ზელვას, და არასოდეს არ უსაყვედურებდა ქმარს, არ ეუბნებოდა: „რისთვის ვაგებოვდი? განა იმისათვის, რომ ასეთი სიმდიდრის მქონემ სხვებივით ვზილო პური?“ ახლა განა ნახავ, თუნდაც ერთს ამის-

თანა დედაკაცს? არა. სარას პირისახე ფქვილით ჰქონდა მოსვრილი, ეწყობო რებ თანამედროვე ქალის სახე და ვხედავ, იგი ყოველგვარი ეშმაკური საღებავებით არის მოთხუხუნული...“ ანთიმოზი ქალებს ისეთ რჩევა-დარიგებას აძლევს (ეს ადასტურებს მის მაღალზნობრიობას): „იცი, ქალო, რითი უნდა მოაწონო ქმარს თავი? — შენი პატიოსნებით, გულკეთილობითა და აღურისით“.

ამ ნაწყვეტში მკაფიოდ არის გადმოცემული იმდროინდელი საზოგადოების — ზნე-ჩვეულებების გაუმჯობესებისაკენ მიმართული მეცადინეობა ანთიმოზისა.

* * *

ნიკიერი ორატორი ანთიმოზი დიდი კულტურის კაცი იყო. წერდა ყველასათვის გასაგები ენით. თუ ანთიმოზის ქადაგებებს სტოლისტიკის თვალსაზრისით განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ მისი ფრაზა არის მოკლე, რიტმი—წყვეტილი, ზოგჯერ კი ვრცელი, პერიოდებით, ტალღისებური მღინარებით, ზოგჯერ მარტივი, მშვიდი, თავშეკავებული, ხან კი გულის სითბოთი გამსაქვალული, ზოგჯერ შემახებითი და აღფრთოვანებული: სხვა შემთხვევაში მკვეთრი და სარკასტული; ალაგ-ალაგ რიტორიული და თან პლასტიკური. ანთიმოზ ივერიელი წერდა თავის ქადაგებებს მეტყველო, გამომსახველო, დამაჯერებელი ენით. მისი ქადაგებების მკვლევარები ერბიჩიანუ, იორგა, ხანეში, აღნიშნავენ, რომ ანთიმოზის ენას მომადლებული აქვს ბუნებრივი სილამაზე, აღბეჭდილია ფაქიზი გემოვნებით, ზომიერების გრძნობით, თავდაპირველობით და კეთილშესაფერობით. იგი არ მიმართავს ზედმეტ, უმაქნის ტირადებს. ამიტომ ჩვენ ვერ ვუპოვით მას გაუგებარ ადგილებს ან ზედმეტ ფრაზოლოგიურ წყობას. მთავარი იდეის ხაზგასასმელად ანთიმოზი მარჯვედ იყენებს ეპითეტებს, შედარებებს, გამოვრებებს, რიტორიკულ კითხვებს და

სხვა სტილისტურ ხერხებს, მიმზიდველს არა მარტო ლამაზი ფორმით, არამედ ღრმა აზრით და შინაარსით. აი რამდენიმე შედარება ანთიმოზის ქადაგებიდან. „როგორც ოქროა მაცდურნი, ასევე მონანიებაც არის გულმართალიც და ცრუც“. (გვ. 206). ანთიმოზი აქ გამოხატავს თავის აზრს ოქროზეც და იმ ადამიანების თვალთმაქცობაზეც, რომლებიც თვით ღმერთის წინაშეც კი ტყუიან. „როგორც კერძი ვერ იქნება გემრიელი უმარილოდ, ასევე მარხვა ულოცვოდ“ (გვ. 31). ზოგჯერ შედარებები ანთიმოზს ახსნილი და გაანალიზებული აქვს. „ვენერას აღარ შეეძლო წამოღობა, რადგან ცოდვა ძირს ეწყოდა. ცოდვა ქვასა ჰავს — მოიწვეს დედამიწისაყენ, სადაც ის წარმოიშვა, — ხოლო სათნოება ჰკავს ცეცხლს, მიიწვეს ზევით, ჰაერში, სადაც იგი იშვა“ (გვ. 43—44). ფერადოვანი მკაფიო შედარებებით ანთიმოზი ქმნის ღვთისმშობელ მარიამის პორტრეტს, ერთხელ კიდევ ამკვადენებს რა თავის ფაქიზ გემოვნებას, ბუნების სიყვარულს, ბუნების მოვლენათა უტყუარ გაგებას... ანთიმოზი გრძნობს ბუნებას, როგორც ჭეშმარიტ პოეტს.

ხატოვანი მეტაფორებით იგი ბუნების სტიქიონებს ადარებს ცხოვრების ჭირბარამს (გვ. 12—13): „დიდი ქარები, რომლებიც ზღვებს აღელევენ, ეს ჩვენი ზრუნვა და დარღობა, მუდამ რომ გვანაღვლიანებს; ტალღები, რომლებსაც ხომალდი ებრძვის, ეს უბედურებაა, რომელიც ყოველდღე ხდება ხოლმე; ღრუბლები, რომლებიც აბნელებს ჰაერს, მუხია, ყოველი ვაჟაყვის გულს რომ აშინებს. ეს სხვადასხვაგვარი შემთხვევა და მოულოდნელი დანაკარგია“ (გვ. 153). ანთიმოზი აღწერს რა ქექა-ქუხილს, ცდილობს გადმოსცეს მოციქულთა სულიერი მდგომარეობა საფრთხის დროს. „მეჩვენება, რომ ვხედავ ხომალდს მოციქულთა, რომლებიც თავგანწირვით ებრძვიან ღელვას ზღვაზე; ერთი მხრიდან ტალღები ეხეთქებიან, მეორე მხრიდან მას წე-
12. „მნათობი“, № 7

წავს ქარი; მეჩვენება, რომ ვხედავ მოციქულთა სახეებზე შიშს, სიკვდილს; ერთი შეძარწუნებულია, მეორე შეშინებული...“

როდესაც ანთიმოზის აღწვთობა უმაღლეს მწვერვალს აღწევს, მისი ქადაგების ყოველი ფრაზა იესება მკვეთრი გამეორებებით და რიტორიკული შეკითხვებით. „თქვენ არ შეიძლება არ იცოდეთ, რომ ეს სწორედ ასე არ არის, იმიტომ, რომ რომელი ხალხი აგინებს ისე, როგორც ჩვენ, ჯვარს, კანონს, მკვდარს, სანთელ-საკმეველს, სულს, ჯვრისწერას და წინადა ეკლესიის ყველა საიღუმლოებას?!“

ანთიმოზი საკმაოდ ხშირად მიმართავს ხოლმე ქრისტიანობისა და წარმართობის შეპირისპირებას, რათა უფრო მეტად გაუსვას ხაზი საზოგადოების მანკიერებასა და ნაკლოვანებებს. იგი ამას აკეთებს მკაცრად და დამაჯერებლად იმ მიზნით, რომ შეარცხვინოს უღირსი ქრისტიანი; „აბა, რომელი წარმართთაგანი სჩადის ამას, ან ვინ ბილწავს კანონს ისე, როგორც ჩვენ?“ (გვ. 19).

ანთიმოზი სიმაართლისა და სამართლიანობის თავგამოდებული დამცველია. ვერ ითმენს სიცრუესა და მატყუარობას და მრისხანედ ესხმის თავს თვალთმაქცებს. „სად არის ერთეული და ბრძენი მსახური?...“ სად არის ის სამართლიანი მორწმუნე, რომელიც მარხულობს სულითა და ხორციით?!“.

ზოგჯერ კითხვები დაპირისპირებულია ანტითეზის სახით, რაც უფრო მეტად აცოცხლებს თხრობას. „რა სარგებლობაა იმაში, რომ სხეული მარხულობდეს, სული კი აღსავსე იყოს ცოდვით? რა სასარგებლოა, თუ გაყვითლდებიან და ჩამოჰკნებიან მარხულობისაგან, სულს კი რისხვითა და სიძულვილით აინთებთ? რა სარგებლობაა მოაქვს იმას, რომ არ ვსვამთ ღვინოს, მაგრამ მთერალი ვართ რისხვის შხამით? რა სარგებელს გვაძლევს ის, რომ არ ჰკამ ხორცს, ხორცს კი ვვლევთ ჩვენი ძმების სხეულს? (გვ. 33).

მიტროპოლიტი ანთიმოზი აუშხედრდა სოციალურ უთანასწორობას და ღარიბთა მიმართ ბოიართა უსამართლობას, რასაც მშვენიერად გამოხატავს მორალურ-სოციალური ხასიათის შესანიშნავი გამომსახველობითი ანტიფრაზა: „გვმართებს პატრივი ვცუთ და ვაქოთ არა მარტო დაიდგაროვნები და მდიდრები. ამ მაღლს იმსახურებენ პატარანიცი და მორჩილნიც, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერნი ბრწყინავენ თავიანთი ძვირფასი შესამოსელით, ხოლო ღარიბებს არაფერი გააჩნიათ შიშველი ტანის დასაფარავად; მდიდრები ნებიერობენ რბილ ღამაზ საწოლში, ხოლო ღარიბები შიშველ მიწაზე ან ჩალაზე ათევენ ღამეს, მდიდრებს ახლავს მრავალი მსახური, ესენი კი მოკლებულნი არიან დახმარებასა და მეგობრებს. ისინი განცხრომასა და ფუფუნებაში არიან, ესენი კი საშროშრობასა და მწუხარებაში“ (გვ. 159).

ორატორი ხშირად იყენებს გამეორებას: „მოსემ იხილა მარიამი სინას მთაზე, ვითარცა ანთებული კოცონი; აარონმა იგი იხილა ვითარცა გაფურჩქნული ხე, ნაყოფით დამძიმებული; იაკობმა იგი დაინახა ვითარცა კიბე, მიწაზე დამაგრებული და ცისკენ აღმავალი; იეზიკელმა იგი დაინახა ვითარცა ჩაკეტილი კარი, რომელშიც არავინ შესულა. იგი იხილა გედონმა, ვითარცა მატყლი; აბაკუმმა, ვითარცა ჩრდილიანი მღელი; დანიელმა, ვითარცა მთა, და სოლომონმა ვითარცა სარეცელი“.

ანთიმოზს ძალზე ეფექტურად აქვს გამოყენებული რიტორიული შეკითხვა, შეძახილი. მისი ლექსიკა მდიდარი და ნაირნაირია, ზოგჯერ გვხვდება სლავური და ბერძნული სიტყვები. ანთიმოზის ენის სტრუქტურა ნაკლებად განსხვავდება ხალხური მეტყველებისგან. გვხვდება ხალხური და არქაული ელემენტები ერთსა და იმავე დროს.

ზოგიერთ ფონეტიკურ, აშკარა ხალხურ თავისებურებებთან ერთად, გვხვ-

დება ძველი ფონეტიზმები, რომლებიც შეიძლება არქაიზმებად ქაჩუთვალს. ისინი არეულია უფრო ახალ ფონეტიკურ (ხალხურ) ელემენტებში.

ანთიმოზი კარგად იცნობდა ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და უდავოდ იცოდა ხალხური სამედიცინო ლიტერატურა, რასაც ცხადყოფს მორალზე, სამკურნალო ბალახებზე და შხამის გამაფრენებელ ოპიუმზე მისი გადაკრული ლაპარაკი. ანთიმოზის ქადაგებები შეიცავს ინფორმაციებს XVIII საუკუნის პირველი ათწლეულის ვალახეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე¹. იგი გვიჩვენებს ურთიერთ მოწინააღმდეგე ორი კლასის — გლეხებისა და ბოიარების ცხოვრებასა და ეკონომიურ მდგომარეობას. ანთიმოზი ამატარა ბოიარებს გლეხებზე მძიმე გადასახადის შეწერისათვის, ცუდი მოქცევისათვის. თავის პირველ ქადაგებაში „ზხოზის კვირა“ ანთიმოზი აკრიტიკებს იმ ბოიარებს, რომლებიც ხალხის ხარჯზე ცხოვრობენ, ხალხს ძარცვავენ და მერე ცდილობენ ნაძარცვი ფულით წირვა-ლოცვა გადაიხადონ, ღმერთს ფულით შეურიგდნენ. „განა ასევე ზოგიერთი ჩვენთაგანი, რომელიც მძარცველობს და ჩადის ათასჯვარ ბოროტებას ამ ქვეყანაზე, არ დადის მიწაზე იმ აზრით შეპყრობილი, რომ ის, ვინც ფულს აძლევს მღვდელს ლოცვებისა და ცოდვების შენდობისათვის, ყოველგვარი ბოროტებისაგან დაზღვეულია“.

ანთიმოზი ხშირად მიმართავს პამფლეტის ფორმას. მისი ქადაგებები მოკლებული არ არის ირონიას, რომლითაც ანთიმოზი ხშირად სარგებლობს სასურველი ეფექტის მისაღწევად. ქადაგებაში „მირქმა უფლისა“ ანთიმოზი ჰკიცხავს მსმენელებს ათი მცნების შეუსრულებლობისათვის, მიმართავს ირონიასა და პამფლეტის ფორმას. მესუ-

1 გ. შტრემელი. „ანთიმოზის ქადაგებათა წინასიტყვაობა“ კრიტიკული გამოცემა, გვ. 55, ბუქარესტი რ. ს. რ. აკადემიის გამოცემა. 1962 წ.

თუ ცნება გვეუბნება: „არა კაც ჰკლა, მაგრამ რაკი ჯოხით ან ხმლით კვლა აკრძალული გვაქვს, ენითა ვკლავთ“.

„არა იმართო, მეზობლის ცოლს ხელი არ ახლო. ჩვენ კი, არა თუ ხელს ვახლებთ, ვცდილობთ, ეს მის ქმარს შევატყობინოთ და თან ვემუქრებით, არ გაბედო ხმის ამოღებაო“.

ანთიმოზი დიდად განათლებული ადამიანი იყო. თავის ნაწარმოებებში იგი იხსენიებს ბერძენ ფილოსოფოსებს — არისტოტელეს, დემოკრიტეს, სოკრატესა და ბევრ სხვას. ანთიმოზი ფიქრობს, რომ ადამიანი და სამყარო შექმნილია ოთხი სტიქიონისაგან: ქარისა, ცეცხლისა, წყლისა და მიწისაგან.

ანთიმოზი ქადაგებს რა მშვიდობას აღამიანებსა და ხალხებს შორის, ამბობს, — აღამიანებს არა აქვთ ერთმანეთის მტრობის უფლებაო, მჭერმეტყველურად და დამაჯერებლად მოუწოდებს ყველას მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ. „მოციქულებმა მოიპოვეს ღიდი გამარჯვება, ისეთი, როგორაც მანამდე და შემდეგაც არ მოუპოვებია არც ერთ იმპერატორს. უიარაღო, ღარიბმა და უწიგნურმა, მაგრამ კეთილმა აღამიანებმა ცაში აღმართეს არა საომარი ღროშები, არამედ მშვიდობის ემბლემები, ლაღადებდნენ არა დაფდაფებითა და ბუკებით, ელვარებდნენ არა ბასრი ხმლებით, არამედ მხოლოდ კეთილი ცხოვრების ბრწყინვალეობით. მათ არ აღუვსიათ დედამიწა ჭარებით, ზღვა — ხომალდებით. მათ არა ჭრილობით, არა სისხლით, არა ზიანის მი-

ყენებით მორჩილებაში ჰყავდათ წარმართობა“.

მიტროპოლიტის ტახტზე წარმოთქმულ სიტყვაში ანთიმოზი აღწერს რა ხალხის მძიმე მდგომარეობას, აშკარად ველისხმობს თურქეთის უღელს: „წმინდად და უმწიკვლოდ იცავთ თქვენ სარწმუნოებას, უცხო საზღვრებით გარშემორტყმულნი, და შეწუხებულნი დარდისაგან, რაც გარგუნეს იმათ, ვინც ქვეყნის ბატონ-პატრონად ითვლება. ჩვენ გვძლია მწუხარებამ, გაჭირვებამ, ღვარძლმა და უსამართლობამ“ — ჩივის ანთიმოზი ქადაგებაში „მიძინება“.

ვალახეთმა ორჯერ სცადა თურქეთის უღლისაგან განთავისუფლება პეტრე დიდთან თანამეგობრობის და ავსტრიელებთან დაახლოების გზით.

ამ ცდების განხორციელებაში ანთიმოზი მთავარ როლს ასრულებდა, და თავიც ისახელა, როგორც მარჯვე პოლიტიკურმა მოღვაწემ და დიდმა პატრიოტმა.

თუ ანთიმოზის ქადაგებებს XVIII საუკუნის ლიტერატურული ენის თვალსაზრისით განვიხილავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ენა ცოცხალი, ბუნებრივი და ნათელია; ის ის ენაა, რომელსაც ხალხი ლაპარაკობდა. ანთიმოზი არც თუ ისე იყო გატაცებული ბერძნული და სლავური ლექსიკით. სწორედ ამ თვისებების გამო იგი მართებულად შეიძლება ჩაითვალოს რუმინული ლიტერატურული ენის შემოქმედად და რუმინული რელიგიური საორატორო ხელოვნების ერთერთ ფუძემდებლად.

პ. მინდაძე

„ივერიის“ ფურცლებზე

„ივერია“ უშუალოდ დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის სახელთან და მისი პოლიტიკური და პედაგოგიური მოღვაწეობის ერთერთ მთავარ ასპარეზს წარმოადგენს. „ივერიის“ საშუალებით ილია ჭავჭავაძე არსებითად წარმოართავდა და ხელმძღვანელობდა ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებას.

ილია ჭავჭავაძის კარგად ესმოდა ზვენი ერის ცხოვრებას ყოველი წერილში. ის უფურად-ღებოდ არ ტოვებდა ხალხის განვითარების დაცვის მიზნად უნდა ემსახურებინა, „ივერიის“ ფურცლებზე სისტემატურად აშუქებდა ჩვენი ქვეყნის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას, ანთროპოლოგიურ სწავლებების გაერთიანებას, სახავდა მის წინააღმდეგ ბრძოლის გზებს, ეპიდემიებთან საბრძოლველად რაზმად და ინტელიგენციას, ამხელდა მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებებს არასაკმარისობას და ჰქმნიდა საზოგადოებრივ აზრს ხოლერის, ყვავილის, შავიკოხის, ტიფების და სხვა ეპიდემიების თავიდან ასაცილებლად.

„ივერიაში“ ქვეყნდება ფურცლები სანიტარული განათლების, სამედიცინო მეცნიერების მიღწევების, საპროფესორო კურსიტებისა და სამკურნალო წყლების, კავკასიის ექიმთა და ფარმაცევტთა საზოგადოებების შემთხვევისა და პრაქტიკული მდიდროს მეცნიერების მიღწევების შესახებ. ამ გაზეთის ფურცლებზე ეხდებოდა მედიცინის მუშაობა ინტერესების დაცვის, მათი ავტორიტეტის განმტკიცებისა და ამავე დროს ზოგიერთი მათგანის უხეირო შეშინების შესახებ საფურადღებო მასალებს.

ილია ჭავჭავაძის კარგად ესმოდა ხალხის განვითარებისათვის ზრუნვის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და „ივერია“ განმარტობის დაცვის მეზობლ იარაღად გამოიყენა. ეს ტრადიცია გაზეთის გამოცევიდანვე (1877 წლის 3 მარტი) დაიწყო და ილიას რედაქტორობიდან წასვლის (1901 წლის 4 დეკემბერი) შემდეგაც გაგრძელდა.

კავკასიის სამედიცინო საზოგადოება დაარსდა 1864 წლის აპრილში და იარსება 1927 წლამდე. ის ხელს უწყობდა სამედიცინო აზროვნების განვითარებას ჩვენში და ხშირად სახავდა სხვა-რგვლივ ორგანიზაციულ ღონისძიებებს მოსახლეობის განვითარების დაცვის გაუმჯობესებისათვის. საზოგადოებას გააჩნდა მდიდარი ბიბლიოთეკა და ბეჭდვდა შრომათა კრებუ-

ლებს. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული იყო კავკასიაში მოღვაწე მრავალი ეროვნების და მათ შორის პრაქტიკული ექიმების მოწინავე ნაწილი.

უფრო გვიან დაარსდა კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოება, რომელიც გვერდში ამოუდგა ექიმთა საზოგადოებას და ჩაატარა ანალოგიური მუშაობა ფარმაცევტური აზროვნების განვითარებისა და მოსახლეობის საღებავო, სანიტარულ-ჰიგიენური და ლაბორატორიული მომსახურებისათვის.

ორივე საზოგადოება საიმპერატოროს სახელს ატარებდა.

„ივერია“ ხშირად აქვეყნებდა აღნიშნულ საზოგადოებათა მუშაობის ანგარიშებს, უყუთებდა მათ საჭირო კომენტარებს, ბეჭდვდა სარედაქციო წერილებს და ამით ხელმისაწვდომს ხდიდა სამედიცინო საზოგადოებებს საქმიანობას და ყურადღებას ამახვილებდა ხალხის სამედიცინო მომსახურებისადმი.

ექიმთა საზოგადოების სხდომებზე იხილავდნენ იმდროინდელი სამკურნალო საქმის მდგომარეობას და იხმენდნენ სამეცნიერო ხასიათის მოხსენებებს.

1886 წლის 9 ოქტომბრის (№ 217) „ივერიაში“ გამოქვეყნებულია კავკასიის საექიმო საზოგადოების მიერ შექმნილი ცხრა თემა და მისი შესრულებისათვის დაწესებული ფულადი ჯილდო, რასაც მიიღებდა ავტორი ნაწილს ცალკე პირებსაგან და ნაწილს საზოგადოებისაგან. ეს იქნებოდა სამეცნიერო-პაპულარული ხასიათის ნაშრომი ფართო მოსახლეობისათვის.

მისი საილუსტრაციოდ, თუ რა საკითხები ილგა მაშინ საექიმო საზოგადოების ურთიკლებების ცენტრში, დავასახელებთ ამ თემებს იმ სახით, როგორც ის დაბეჭდილია „ივერიაში“ (ნახვევნიცა მხოლოდ რვა თემა):

1. „მიმოხილვა იმისა, თუ რა და რა წამლობა იციან კავკასიის რომელსავე ილაგას, ანუ რომელსავე ერსა და ხალხში“.
2. „ჰავა კავკასიისა და ყირიმის სამხრეთ ნაპირისა იმის მიხედვით, თუ რამდენად მოხერხებულნი არიან ეს ადგილები საზამთროდ სადგომად“.
3. „გამოკვლევა იმ აუადამყოფობისა, რომელიც წარმოადგება ჭოთბიანის მოწამლულის პერისიგან“.
4. „მოკლე და ადვილად გასაგები თხულება ხოლერაზე კავკასიის დარბმ მკვიდრთათვის“.
5. „აღწერა ყველა სხვადასხვა წიშის წერილ-

ფეხისა და სხეულფეხის საქონლისა, რომელსაც ამხრებენ კავკასიის სამხედრო ოლქში და რომლის ხორცსაც საქმლად ხმარობს ზალხი». 6. „ფიზიოლოგია და დიეტეტიკა ორსულთა, მშობიარეთა და მშობელთა და აგრეთვე ახლად დაბადებულთა ყრმათა (ვიტალი შვიდი დღისანი შეიქმნებიან)“. 7. „აღწერა ვადამდების სახანისა, რომელიც ვაგრეკლებული იყო ამიერ-კავკასიის მეომარს ქაჩებში 1877-1878 წწ.“. 8 „ისტორია კავკასიის სამხედრო საექიმო საზოგადოებისა“.

საექმეთოს თხზულებისათვის დამსხრებელი იყო ჯილდო 100 მანეთის რაოდენობით, შრომა დაბეჭდებულა საზოგადოების გამოცემაში.

კავკასიის ექიმთა საზოგადოების დიდი მსჯელის ხაგანი ყოფილა თბილისის წყლით მორავების საკითხის განხილვა. ახრთა სხედა-სხეობას ჰქონდა ადგილი ავკალისა თუ მტკერის წყლის ვარვისიანობაზე. საზოგადოების ან სხდომების ვრცელი ანგარიში იბეჭდებოდა „ივერიაში“ (1888. № 37, 18 თებერვალი „და № 41, 23 თებერვალი).

1892 წლის 18 იანვრის (№ 12) „ივერიაში“ დაბეჭდილია კავკასიის სამკურნალო საზოგადოების 16 იანვარს ჩატარებული კრების ვრცელი ანგარიში. კრებას განუხილავს ქალაქის წყალსადენის გაქუქვიანების საკითხი, თბილისის სკოლებში ჩატარებული ყვავილის აცრის შედეგები და მოუხსენია ქირურგიული ხასიათის მოხსენება.

ყვავილზე აცრილ ბავშვებში დადებითი რეაქცია 46-58 წლ-ს არ აღემატებოდა მაშინ როდესაც რუსეთის სკოლებში ეს პროცენტი 80-ს უდრდა. ამის მიზეზი ასაკმდელი მასალის უეარგისობა კი არ არის, არამედ აცრის უყოღნიარაობის შედეგი უნდა იყოს — აღნიშნის მოკამათებმა.

1892 წლის 20 დეკემბრის (№ 271) ნოემბერში დაბეჭდილია სამკურნალო საზოგადოების 19 დეკემბრის კრების ანგარიში, სადაც ვკითხულობთ: „... ექიმ რუტამბერმა მის მიერ ხოლურის შესახებ 1 სექტემბრს წაიკითხულ რეფერატის განამარტებლად კრებას მიეროსკოპით აჩვენა წრევადავლი ხოლურის ბაცილები. შემდეგ მკურნალმა მინევიჩმა წაიკითხა დიდად საყურადღებო რეფერატი „მუზიკა როგორც სამკურნალო საშუალება“... ბოლდ დასკენა პატრიტეულმა დეპტორმა: აცრ თვალს და ყურს ესაიმოვნება, ის გულსაც ამშვიდებს და ავადმყოფს ჯანს უმატებს, რის გამო სენი ისე ძლიერ ველარა სტანაყენ ავადმყოფსაო. მუზიკის სამკურნალო მნიშვნელობის მიზეზად ამაში იმარტება“.

„ივერია“, რა თქმა უნდა საექიმო საზოგადოების მუშაობას მოლიანად ვერ გააშუქებდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ვაგუთში იბეჭდებოდა ფართო საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციები. საზოგადოების

სხდომების შესახებ მიმომხილველი წერს: „კრების საგანი სვეიციალი სამკურნალო მნიშვნელობისა იყო“.

1897 წლის 18 სექტემბრის (№ 193) ნოემბერში დაბეჭდილია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კავკასიის სამკურნალო საზოგადოების 16 სექტემბრის კრებაზე პარიზიდან დაბრუნებულ ახალგაზრდა ექიმს მ. ა. ვედევანიშვილს წაუკითხავს მოხსენება: აკრომეგალიის შესახებ. ილუსტრირებისათვის წარმოუდგენია აკრომეგალიით შემურობილი ქალი. „ტფილისში ამ დაავადების აღწერის პირველი შემთხვევა ყოფილა“ — წერს ვაგუთი. მოხსენებას ბევრი დასწრები.

აღნიშნული ფაქტი ჩვენ მნიშვნელოვანად მიგვანინია, რადგან საქართველოში აკრომეგალიის პირველი აღწერის პირობიტეტი მ. ა. ვედევანიშვილს უნდა მიეკუთვნოს.

ასევე საინტერესოა ექიმ მიხეილ გვდავანიშვილის მიერ ავადმყოფის დემონსტრაცია კავკასიის ექიმთა საზოგადოების კრებაზე 1898 წლის 2 იანვარს. აღწერილან ჩანს, რომ ავადმყოფს ჰქონია კისრის სევმენტების ტრავმული დაზიანება, რის შედეგადაც ვანეთიარებია მარჯვენა ხელფეხის დამბლა, ხოლო მარცხენა ხელფეხში „არცა ჰგრანობს არც სიცივის, არც სითბოს და არც ნემსის ჩხვლეტას“... (იხ. „ივერია“, № 2, 4, იანვარი, 1898). მამსალამე, ავადმყოფს ჰქონია ზურვის ტვინის ნახევრის დაზიანება კისრის სევმენტების არეში ანუ ბროუნსკავარის სინდრომში.

აღნიშნულ ფაქტსაც ვარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველოში კლინიკური ნევროლოგის განვითარების ისტორიისათვის.

აქვე საჭიროდ მიგვახანია დაევახლოთ იმ დროისათვის დამახასიათებელი ნევროლოგური ხასიათის რარი შემთხვევა: 1. ევნის ექიმთა კრებაზე პროფესორ ბენედიქტს წარმოუდგენია ქირურგიული მკურნალბის შემთხვევა ისეთი ავადმყოფისა, რომელსაც „ზნდადა სახის მარჯვენა მხრის მანჭვით ეწყებოდა და მანჭვა შემდეგ ხელსა და ფეხზე გადადიოდა“ (იხ. „ივერია“ № 56, 12 მარტი, 1892). აღწერილან ჩანს, რომ ავადმყოფს ჰქონია ნაწილობრივი (პარტიკულური) ე. წ. ჯესონის ტიპის კრენინხები გულყრები.

2. აღწერილია თავის ტვინის დაზოვლი ტრავმა, რასაც ფსიქიკური დაავადება მოჰყვა. ეს იყო ჩიკაოს ცნობილი ექიმი კოლოდერი. ეს კაცი 10 წელი იყო ჯერ ფსიქიატრიულ ხავადმყოფოში და შემდეგ სახლში. „ოდესლაც შესანიშნავი მკურნალებული და ჰეიკიანი კაცი იდიოტს დაემსგავსა... ექიმმა, ამერკიომ ცნობაში ქირურგმა სპიტყვამ კოლოდერს ვაუკეთა ოპერაცია თავის ქალას აბეში, იქიდან დაკოლტებული, შემზარბი სისხლი ამოიღო და კოლოდერი ვანიჭურნა“. (იხ. „ივერია“, № 151, 17 ივლისი, 1899).

ასეთი ნეიროქირურგიული ხასიათის ოპერა-



ციები მიწინ იშვიათი იყო და ამიტომ ქვეყნულ-ბოლა ის ვაზეთში, როგორც საინტერესო და იშვიათი შემთხვევა.

ხალხურ მედიცინას ბევრი სასარგებლო წამალი მოეპოვებოდა, რაც ემპირიულად იყო გამოყენებული. კავკასიის საექიმო საზოგადოებას ზოგიერთი რამ ამ მიმართულებითაც ეკუთვნის. ასე, მაგალითად, 1895 წლის 15 მარტს საზოგადოების „ქრებაზედ წყაითხულ იქმნა წერილი-ექიმ იაშვილისა, რომელსაც შეეკრიბნა ხალხური წამლები და გამოგზავნა საზოგადოებისათვის გამოსარკვევად. ეს წერილი გაუზიარეს კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოებას და უმეტესი გამოცნო, ხოლო ოთხი საშუალება დარჩენილა გამოურკვეველი, კრებამ დაადგინა ამიტუბისაგით დაბეჭდვა ამ წერილისა ფარმაცევტთა საზოგადოების ახნით და აგრეთვე ამ სახელებისა დამტკიცება, რომელიც აქუსწელი დარჩა“ (იხ. „ივერია“, № 60, 18 მარტი, 1895).

საზოგადოების ამავე კრებას განუხილავს მეცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლის პროექტი ქალაქ ერევნის შავალითის მიხედვით. პროექტი შეუდგენია უჩახოვს.

1896 წლის 6 იანვრის (№ 4) ნომერში დაბეჭდილია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კავკასიის ექიმთა საზოგადოებას გადაუწყვეტია სახალხო სამეურნალო ფურცლის გამოცემა ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. ეს გზებით თვეში ორჯერ გამოვა და ვაშუქებს სვადასებასა სმედლინო საკითხებს ხალხისათვის გასაგებ ენებზე.

გზებით ქართული განყოფილების რედაქტორებად აირჩევიან ს. ვაწაძე!) და ე. ელია-

შვილი 1.

1903 წლის 31 ოქტომბრის (№ 232) გამოქვეყნებულია ცნობა აკადემიკოს ვ. მ. ბუხტერევის კავკასიის სამედიცინო სამკურნალო საზოგადოების საპატიო წევრად და აკადემიკოს მ. ს. სუბოტინის ნ. ი. პიროგოვის საბელონის რუსეთის საქართველო საზოგადოების საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ საექიმო საზოგადოებებშიც პოვა გამოხმაურება, რის შესახებაც მოიპოვება ზოგიერთი ინფორმაცია „ივერიაში“. ასე, მაგალითად, 1905 წლის 30 მარტის (№ 40) ნომერში მეოთხე გვერდზე ვკითხულობთ: „მოსკოვში პიროგოვის კრებაზე 1000 ექიმმა ერთხმად დაადგინა, რომ არსებულ მდგომარეობაში მუშაობა შეუძლებელია. სრულიად სახელგატეხილმა აღმანისტრაციამ ხოლმასთან ბრძოლა თვითონ იყისრა, ჩვენი კრება აჯრამალა და ხოლმასთან ბრძოლის საშუალების შემუშავების ნება არ მოგვცა. ძალდატანებით და ძალმომრეობით ჩვენი კრების დავეტეამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ სინამ აღმინისტრაციის თვითნებობა არ მოისპობა, ოცნებას ვი არ შეგვიძლიან შესახებ ნორმალური საექიმო შრომისა და საზოგადოთ ცხოვრების ნორმალური პირობებისა.“

მოთხოვნებიდან ჩამოთვლილია: თავისუფლება გაფიცებისა, მ საათიანი სამუშაო დღე, ეროვნულ-სარწმუნოებრივი თავისუფლება, ეკლესიის გამოწერება სახელმწიფოსაგან, მიწის სოციალიზაცია და სხვ.“

ანალოგიური ინფორმაცია დაბეჭდილია ქუთაისის საექიმო საზოგადოების კრების შესახებაც სათაურით „ექიმთა მოწოდება“, სადაც აღნიშნულია, რომ ქუთაისის სამეურნალო საზოგადოების კრებაზე განხილული იყო საკითხი: ხეობარევიდ მხარი დაუჭიროონ „პიროგოვის საზოგადოების“ ექიმთა დადგენილებას; ხოლერის

სამი ნაბეჭდი შრომა ჰქონდა, მათ შორის ერთი ექ. ი. გომბაქსთან ერთად“ (ი. წულუკიძე. მეცხრამეტე საუკუნის ქართველი ექიმები, გვ. 50, თბილისი, 1961).

1) ექიმი ივანე სპირიდონის-ძე ელიაშვილი 1896 წელს თბილისის მიხეილის საავადმყოფოს ორდინატორად მუშაობდა. მას გამოჭყვევებული აქვს მთელი რიგი სამეცნიერო და ლიტერატურული ხასიათის შრომები. მის მიერ-ვეა ნათარგმნი და გამოცემული ი. მგზნიცოვის შრომა „აღმანის ბუნება“. (იქვე, გვ. 78-80).

1) ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკის კატალოგი აღნიშნულია ს. ა. ვაწაძის სადოქტორო დისერტაცია მიძღვნილი ილია ჭავჭავაძისადმი.

Вацадзе С. И. К вопросу о влиянии солено-щелочных минеральных вод (зсентукской № 17 и Боржомских) на отравления желудка и кислотность мочи у здоровых и Солиных людей. Диссертация на степень доктора медиц. врача С. И. Вацадзе. СПб, 1891, 108 стр.

წიგნზე არის წარწერა: „ა-ზ ილია ჭავჭავაძის ნიშნად პატივისცემისა ავტორისაგან. 1891. 1/VI“. (წყარო: ე. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა. ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკის კატალოგი. თბილისი, 1957. შემდგენელი ე. მავაერიანი, რედაქტორი ა. კავასიძე).

ექიმ სპირიდონ იოსების-ძე ვაწაძემ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1891 წელს პეტერბურგის სამედიცინო-სამედიცინო აკადემიაში. მისი ერთერთი ობიექტი იყო ივანე პეტრეს-ძე პაელოვი. ამ დროისათვის ვაწაძეს კიდევ

წინააღმდეგ მებრძოლ ადმინისტრაციულ კომისიებში ექიმებმა მონაწილეობა არ მივიღოთ. კრებზე ვაპროტიკებს ე. წ. „საგებერნო სასანიტარო ამბარსტულებს კომისია“ და მოთხოვეს მასთან კავშირის გაწყვეტა.

სამხედრო ექიმმა კანონიკმა მოითხოვა პაროციის ურლოობის დადგენილების პოლიტიკურ ნაწილსაც ვეთანაგრძინოთ, რაც თავმჯდომარემა (ნახაროვი) „მოუხერხებულ მიზნისა“ და კრების წევრებს სიმკობის გამო საკიხი შემდეგი კრებისათვის გადასდო (იხ. „ივერია“, № 78, 18 მაისი, 1905).

ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე შემდეგი ინფორმაცია: „ტუთისონი მეოფმა სტუდენტებმა უკან წაიღეს თავიანთი განცხადება — აღმოჩინათ დახმარება ქალაქის სასანიტარო-ამბარსტულებელ კომისიისათვის ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ეს უკანასკნელი საგებერნო კომისიის ექვემდებარებაო, ჩვენ კი, პაროციის X კრების დადგენილებებს ვუერთდებით“ (იხ. „ივერია“, № 98, 12 ივნისი, 1905).

1905 წლის 29 აპრილის (№ 63) ნომერში გამოქვეყნებულია შემდეგი ინფორმაცია: „წლიური კრება კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებასა“, სადაც თავმჯდომარე ფიშერმა თქვა: „რუსეთში დაწყებული მიმდებარება, წინამორბედი, ჩემის აზრით, ბრწყინვალე მომავლისა, კავკასიაშიც ვაძლავია“. განდგენ ახალი მოთხოვნანი და ჩვენს სამკურნალო საზოგადოება მათ არ ჩამორჩებაო.

სამკურნალო საზოგადოებამ „სულ ამ მოკლე ხანში საყაროდ წარმოსთქვა თავისი ვადპირი აზრი არსებული რევიმის შესაცვლელად. ვადპირი მსჯერი დასდო საერთოდ ჩვენს კავკასიაში სანიტარო-სამკურნალო საქმის მოწყობლობას და უვკასიად დავეწვანს. ვადპირს ის მოუწყობლობა, რომელიც ორგანიზირ მიხეზთა გამოა გამოწვეული. დასასრულ, ენტრით, რომ ჩვენი საზოგადოების მოქმედება მარტო ამ თავის აზრის გამოთქმას არ დაეპირდეს და ლირსულად განახორციელოს აღი“.

„ივერია“ პერიოდულად აქვეყნებდა კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების მუშაობის ანგარიშს. საყურადღებოა, რომ ფარმაცევტთა საზოგადოება მამინ იხილავდა აგრეთვე ჰიგიენისა და ბაქტერიოლოგიურ-ლაბორატორიული ხასიათის საკითხებსაც. ეს ნათლად ჩანს 1891 წლის 9 მაისის (№ 97) და 11 მაისის (№ 99) ნომერებში გამოქვეყნებულ ინფორმაციებში კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების კრების შესახებ. კრებას ვანუხილავს საზოგადოების მდიანის ბან ანტრევემსის მინერალ-კითხვულ წლიური ანგარიში. წლის განმავლობაში საზოგადოებას ვაუმართავს 7 კრება. ვან-საკურთხებული ყურადღება მიქცევა ჰიგიენის

საკითხებს, რადგან „ხალხის კეთილდღეობისათვის უკეთესია ავად-ყოფობის პრევენცია, ვიდრე მისი მკურნალობა“.

ყურადღებას იმსახურებს ოტენის მიერ კრებაზე წაკითხული მოხსენება თემაზე: „კლუბის ბაცილები კიხისა“, რომელშიაც ავტორი ფარმაცევტების მოუთხოვს ნახევლი ბაქტერიების აღმოჩენის დიდ მნიშვნელობაზე და მოუწოდებს კოლეგებს დაეფლონ ნახევლში ბაქტერიების აღმოჩენას.

ბან ისტრევემსის შუენწავლია მარჯარინი. საზოგადოების წევრს ბან სენიკოვსკის დამსწრეთა ყურადღება მიუქცევა იმ საკითხზე, რომ თბილისში შესუნდა წყალი უვკარგისა ქარხნებში საკიხი სისუფთავის დაუცველობა გამო.

კრებაზე ვანუხილავთ თბილისში საექიმო ლაბორატორიის დაარსების პროექტი.

1899 წლის 21 ივლისის (№ 154) „ივერია“ გვატობინებს ამავე წლის დეცემბერში მოაკოვმი სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა მესამე ყრილობის მოწვევის შესახებ. ვაღმოდელია საორგანიზაციო ბიუროს მისამართი, ყრილობაზე მონაწილეობის მიღების და მოხსენებათა ვაგზავნის წესები.

აღსანიშნავია, რომ საორგანიზაციო ბიუროს ვამდე იყო ე. ფერინა, ხოლო მდიანი — ე. ტეშელაშვილი.

გამოქვეყნებულია ყრილობის პროგრამა. საკიხოდ მივაჩინა აქვე აღენიშნოთ ილია აღბანიშვილის წერილი „სამკურნალო მცენარეობა“, რომელიც გამოქვეყნდა „ივერიაში“ 1899 წლის 26 ივნისის (№ 134). ამ წერილს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში არსებული სამკურნალო მცენარეების შენჯავისა და ქართული ფარმაცევტული ტერმინოლოგიის ორტირინისათვის.

ავტორი წერს: „...თქვენ პატრონი ბრანეთ, თორე მარტო კავკასიას შეუძლია სამკურნალო მცენარეებით მთელი რუსეთი დააკამოდილოს. ტფილისში არსებობს „კავკასიის სამკურნალო საზოგადოება“, „კავკასიის სამკურნალო საზოგადოება“ და „კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოება“. ესენი კავკასიაში მოქმედებენ, გარს იმდენი სამკურნალო და სასარგებლო მცენარეული ეხევიან, ეხევიებიან მოგვარაფით, და გერმანიიდან — კი იწერენ იმ მცენარეებს, რომელთაც აქ უბრალო ბალახითი ყოველ წლივ თივად სთბავენ. იქნება ვადკიონის მკიხივლო, ზოგიერთი ჩვენი მიაფთოაქე კინჯირასაც კი ნემეკურს იწერს, დალაზროს ღმერთმა, ნემეკები! იმათი კინჯირაი კინჯირობს და ჩვენს კინჯირს — კი რაღაც ღმერთი უწყება“.

ამის შემდეგ ჩამოთვლილია „სამკურნალო მცენარეული და მათი ნაწილები, რომელნიც მი-

ღებულა სამკურნალო მეცნიერებაში და, მაშასადამე, ბაზარი, გასავალი აქვს და ყველა მოფთობაე იყიდის“.

ნახევრებია მეცნიერის ქართული, ლათინური და რუსული საბეჭდოებები და ფასი.

დაბოლოს, ავტორი მოუწოდებს შემამულეებს მოიყვანონ სამკურნალო მეცნიერებები. ამის ვარდა, მოითხოვს, რომ ხალხური სამკურნალო საშუალებები ეთნოვალთ მეცნიერებამ გაეცნოთ.

ამ სტატიას სქოლიოში აქვს რედაქციის შემდეგი შენიშვნა: „სიბრძნეებით ვებეჭადეთ-რა ამ ყოველად საყურადღებო და სასარგებლო წერილს, ვისურვებთ, რომ პატრივტულ ბ-ნი ი. აღმაზნაშვილის წინადადებას ჭეროვანი ყურიღება მივუცეს“.

„ივერიაში“ დაბეჭდილია ი. აღმაზნაშვილის წერილები სერია სათაურით: „ფარმაკევტორული ტერმინები ქართულ ენაზე“ (იხ. „ივერია“, 1894; № 15, 21 იანვარი; № 16, 22 იანვარი; № 77,9 აპრილი). წერილის დასაწყისში დასახელებულია ქართული ფარმაკევტორული ტერმინების არსებობის დიდა საქართველოში როგორც ერის კულტურისათვის, ისე ექიმებისათვის როგორც დამზარებ და გამოსადგე საშუალება. შემდეგ ავტორი ვაჟფლის (უშეთარესად ლათინურ ტერმინებზე დაყრდნობით) ვერ ქიმიური ელემენტების ქართულ ტერმინებს და შემდეგ სამკურნალწამლო საშუალებების ტერმინებს.

„აღმაზნაშვილის შეუქმნია ამიერ-კავკასიის ფარმაკევტორია ამხანაგობა თბილისში და გულსინით საფთობაჲ მალაზია, რასაც დადებით შეფუძნებას აძლევს „ივერიაში“ ფურცლებზე ექიმი ვაჟფიქი. (იხ. „ივერია“, № 252, 18 ნოემბერი, 1900).

„ივერიაში“ ფურცლებზე ვხვდებით აგრეთვე ცნობებს ქუთაისის (№ 78, 18 მაისი, 1905) და ბათუმის (№ 21, 9 მარტი, 1905) საექიმო საზოგადოებების მუშაობის შესახებ და რუსეთის სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოებების სხდომებისა და ყრალობების ამსახველ კორესპონდენციებს.

ვერც ერთი პოლიტიკური და ლიტერატურული ხასიათის ვაჭეთი და ყურნალი ვერ ასახავს საედიცინო საზოგადოებების მუშაობის სრულ სურათს და, ალბათ, არც „ივერიაში“ ჰქონდა ამას პრეტენზია, მაგრამ დღეს ჩვენი მეთად მნიშვნელოვანია მეტეორატურ ბატყეთის მეორე ნახევრის და მეოცე საუკუნის დასაწყისის სამედიცინო საზოგადოებების მუშაობის ზოგიერთი ისტორიისაგან ფერფლწყურული სანტერესო ფაქტების დადგენა, რასაც ჩვენ ვპოულობთ „ივერიაში“ ფურცლებზე.

„ივერიაში“ ისტობობის პერიოდში (1877-1906) ქართულ მედიკოს მეცნიერთა რიცხვი მებრძე მცირე იყო, ისინი მუშაობდნენ რუსეთის სა-

უნეერისიტეტო ქალაქებში და საქართველოში ფართო საზოგადოებისათვის მითრქმეხენი მოღვაწეობა ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა.

„ივერია“ თვალყურს ადევნებდა ქართველების უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღებას საქმეს, ქართველ მეცნიერთა მიღწევისა და დამახებრების და მკობხეულებს ეცნობდა ჩვენი თანამემამულეთა სახელსა და ღიღებდა. ამის სიილუსტრაციოდ სიტყვასიტყვით მოვიტანო ამ ვაჭეთის ახალი ამბების ერთ-ერთ წერილს.

„მებრძე საუნეეშეებელია ქართველებისათვის, რომ ჩვენი ქართველები ამ ბოლო დროს სამეცნიერო სარბიელებე გამოდიან და არა ერთს შათავს მიუტყევა თავის თებზე ყურადღება არამე თე რუსეთის მეცნიერებისა, არამე ევროპისა. თავადი თარხნიშვილი, რომელსაც მეცნიერების წინაშე საქმად სახელოვან ღვაწლი მიუძღვანს, სახელოვანშეულია როგორც მეცნიერი, როგორც პროფესორი საქმიმო და სახირტრგო აკადემიისა და ამ ბოლის როგორც ერთი საუკეთესო და ნიჭიერი ლექტორი. პეტერბურგში ბ-ნი თარხნიშვილს ისეთი სახელო და პატივი აქვს, რომ საქმთა ვამოცხადდეს ბ-ნი თარხნიშვილი საქმარო ლექციასა ჰეითბულობსო და დანიშნულს ლექციისათვის დარბაზში ტევა აღარ არის ხლამე, ტმას ცვრას და ამწობნების ხომ თვლა არა აქვს. ოგისის უნივერსიტეტში მოღვაწეობს ორი ქართველი პროფესორი ბ-ნი პეტრიაშვილი და მელიქიშვილი. ბ-ნი პეტრიაშვილი უყვე ცნობილია მეცნიერებისა, როგორც ზელოვანი ქიმიკოსა და თავისის სამეცნიერო შრომით არა ვართხელ დამტკიცებია თავისი ბეჭეთობა, ნიჭი და ცოდნა. ბ-ნი მელიქიშვილი სულ ახალი პროფესორია, მაგრამ შინც სახელი შეიძინა და ყურადღება მიიქცია როგორც თავისის საქმის მცოდნე კაცმა. ამ უკანასკნელ ხანს ამ რიცხვით მცირესა, მაგრამ ღირსებით თვალსაჩინო გუნდს, მიემატა კიდვე ერთი ქართველი. მ-ს ამბოლს პეტერბურგის სამედიცინო-საექიმო აკადემიაში ბ-ნი ი. ზ. ვოპაძეს ჰქონია ბასი თავისი დისერტაციის გამო, რომელიც წარედგინა მეურნალო დოქტორობის ხარისხის მისაღებად. ერთი პეტერბურგის ვაჭეთი დიდის ქეზით იხვენიებს დისერტაციას, პროფესორებს ჩუდნოესკის და შანაენის ძალიან მოუწონიათ და ექ დამსწრე საზოგადოებას დიდის ტრებით დაუთოდღებია გამარჯებული დისერტანტი“.

(იხ. „ივერია“ № 86, 22. IV. 1886).

ოვანე რამაზის-ძე თარხნიშვილი (1846-1906) გამოჩენილი ფიზიოლოგი იყო და „ივერია“ სავსებით ღირსეულად ამუშეებდა მის მეცნიერულ დამახებრებას.

ვაჭეთი ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და მოუტყებულობასთან ბრძოლის საკითხების ვაშეშების დროს 1884 წლის 25 ნოემ-

ბრის (№ 251) ნომერში ეხება იმავე წლის 14 ნომბერს პეტერბურგში პროფესორ ი. თარხნიშვილის მიერ წაყიბულ ლექციას თემაზე: „ბუნებრივი სიკვდილის შესახებ“.

„ივერია“ განავრძობს ი. თარხნიშვილის ლექციების შინაარსს გადმოცემას იმავე წლის 16 დეკემბრის (№ 268), 28 დეკემბრის (№ 276) და 1890 წლის 15 თებერვლის (№ 34) ნომრებში. ლექციები აღიზიანს სიცოცხლის ხანგრძლიობასა და სიკვდილის გამოწვევ მიზეზებს შეეხებოდა.

ბროუნ-სეკარისა და ი. თარხნიშვილის აზრი სიცოცხლის გახანგრძლივებაზე გადმოცემულია აგრეთვე „ივერიის“ 1890 წლის 23 ივნისის (№ 132) ფურცლებზე. „მთ გარდა ამ მიმართულებით მრავალი სწავლული და მეცნიერი აწარმოებს ცვლდა ძიებას, მათ შორის პ. ფლოუგერო, გამოჩენილი ბონნელა პროფესორი ფიზიოლოგიისა — წერს ვაჭუთი. ამის შემდეგ გადმოცემულია ზოგიერთი საყურადღებო და სინტერესო ადგილი იმავე ავტორის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნიდან «Об искусстве прожить человеческую жизнь».

„ივერია“ საშარსად ხშირად ბეჭდვდა ინფორმაციებსა და ცალკე წერილებს ივ. თარხნიშვილის ლექციების, მოსაზრებების, იუბილეს და სხვათა შესახებ.

მიხილ საკამეილი ეურნალი „დროშია“ში (1958 წლის აგვისტო) შევხო ილია ქვეჯავაძის და ივანე თარხნიშვილის ურთიერთობის საკითხს და აღნიშნა თუ როგორ გააშუქა „ივერიაში“ თავის ფურცლებზე ი. თარხნიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა და როგორ ხაზგასმით აღიარა ამ ქართველა მეცნიერის დიდი ავტორიტეტი.¹

ჩვენში გამოიყა ცალკე მონოგრაფიებიც, სადაც ლაპარაკია აგრეთვე ივ. თარხნიშვილის შესახებ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ზოგიერთ მასალებზედაც.

სამეცნიერო ცვლევით მუშაობისადმი მოღვაწეობებს „ივერიის“ ფურცლებზე ი. თარხნიშვილი ქართველ ექიმებს. ის ღია წერილით მამართავს ქართველ ექიმებს. ჩვენი ერის საფუძელიანად შესწავლა თხოულობს დახმარებას ყოველ სპეციალისტის მხრივ და მათ შორის ექიმთა მონაწილეობას. ამათი ლეწლი, გარდა პირდაპირის მათ საგნის შესწავლისა, ჩვენთვის დასაფასებელია ერთი დარგის შემუშავება, რომელსაც ანთროპოლოგია ჰქვია. ეს ნორჩი მეცნიერება იძიებს გარეგანი სახით ერთა მონათესაობას, თუმცა ფსიქოლოგიური დაკვირვებაც საჭიროა ამ საგნის გამოსარკვევად. ქართველ მეცნიერების დიდ ნაყს ამჟამად შეადგენს სწორედ ეს უწონლობა. ქართველი ტომის ფიზიკურ ტიპის გამოკვლევისათითო-ორიოლა ცნობა მოიპოვება ამ საგნის შესახებ ი. ი. პანტიუხოვის ნაწერებში, მაგრამ იგი საგმარისი არ არის ინტროპოლოგიურ სისტემისათვის, რადგანაც ექიმებს მეტად ეხერხებათ სტულის შესწავლა, ამისათვის მათვე არის მიმართული ჩვენი თვალი და იმავან ველით ამ ნაყლის შევსებას. სახელმძღვანელოდ შეგვიძლია დავასახელოთ ამ ორია წლის წინად დაარსებული მოსკოვში ეურნალი «Русский антропологический журнал» („ივერია“, № 12, 16 იანვარი, 1902, გვ. 3).

საქართველოში საბჭოთა ზელოსუფლებს დამყარებამ ჩვენი ქვეყანა კულტურული და მეცნიერული აუჯავების გზაზე დააყენა. ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში და სამედიცინო ხასიათის სამეცნიერო-ცვლევით ინსტიტუტში ასობით მეცნიერი მუშაყა ეწვეა დიდი მასშტაბის მეცნიერულ მუშაობას და რეალობადა ქვეული „ივერიისა“ და მისი დამაარსებლის დიდი ილია ქვეჯავაძის სანუკარი ოცნება სამედიცინო მეცნიერების განვითარების და ზალხის განმრთელობის დაცვის კეთილდღეობისათვის.



სიციხისა და სიყვარულის პოეზია

„ნაყადლის“ მიერ გამოცემულ კარლ კალაძის წიგნი „ხერთვისის განთიადები“ სულ ორმოცდაორი ლექსია მოთავსებული.

„ლექსში სხვა რა უნდა ამოვიტხო, — სწერს კ. კალაძე — თუ არა თვით შენი ცხოვრების ამბავი, ფიქრი და გულისთქმა?“ და შემდეგ „უბო მრავალი თანამედროვე, მეც ღიმილით შევეუბრებ ჩემს კალარა სიკაბუჯეს“. სწორედ აი, ეს კეთილშობილი ღიმილი ამშვენებს კ. კალაძის პოეზიას:

— ეს ლექსა ლექსით
საარსებო პურია წმინდა,
ჩემო კარგებო,
პური თქვენთან ვაგტებო, მინდა!
აგრე თქვენს ტბილად დაბურებანს
მეც მოვესწარი
და მიხარია,
თუ შეგობრად გამოგადექით,
ჩემი ცხოვრების ნახევარი
აბა, ეს არი —
მგზავრებო, თავი შეიქციეთ
პურის ნატებით...

ამბობს პოეტი უსათაურო ლექსში, რომელიც მისი შემოქმედების ერთგვარ ვასალებად მიჩვენა. ამ ლექსში გამომეტუნდა კ. კალაძის პოეტური კრედი. აქვე ჩანს ყოველი ჰუმორატიკული შემოქმედის დაუკმაყოფილებლობის გრანობა:

ვინ გავაკვირებ
შოთიპურას ერთი ნატებით,
თონეში ჩაყრილ მთავარესავით
რომ ამოღრინდა?!
მაგრამ თუ დედასპური ვიყვართ,
ფეხზე ადგეთ!
ისევ და ისევ
პური თქვენთან ვაგტებო მინდა!

კ. კალაძის პოეტური მეზნს ყველაზე მეტი დღა მიაღწა საყვარელი მამულის — საქართველოსათვის გაუღია, ჩვენი სამშობლოს გმირული წარსული, ბედნიერი აწმყო და საოცრების მომავალი.

კარლ კალაძე, „ხერთვისის განთიადები“, „ნაყადლი“, 1964.

ვალე, მისი წარმტაცი ბუნება და ბრძოლა-შრომაში გაჯავებული ადამიანები არიან პოეტის დიდი შთაგონების წყარო, პოეტის გულში უღიღეს სიყვარულსა და სიბოძის ბადებს თვით ხსენებაც კი სამშობლოს:

დიდება შენდა, სამშობლოვ ჩემო,
მზუო, დასულო შენის ტარამდე!
მთები წამოდგნენ გემის გარშემო,
მე როგორ შეველებ დაუპატარადე...

ამბობს კ. კალაძე და იქვე დასძენს: „და ზოგჯერ ზღაპრად მომეჩვენება მე თვითონ ჩვენი მიწა და წყალი“ თითქოსდა ერთგვარი შეუცნობელი სიხარული თქმევენებს პოეტს: „ჩემი სიბერეც აქ ჩამიბზულბს, რომ ერთბელ კიდეც გაითბოს ძვალი...“

„საქართველოსკენ იჩქარის გემი“, „ეს რა დიდებულ დღეს დავესწარი“, „შვი ზღვის პირად სახლ აუაგე“, „ენგურბი“, „კოლხეთის ღამე“, „კოროხის გზით“, „მგზავრელი“, „ქართული სიმღერა“, „მუსხეშში“, ცუკლი „ხერთვისის განთიადები“... აი, ლექსები სამშობლოზე, პოეტის ხომ პირდაპირ, გულახდილად აცხადებს: „ჩემი სიცოცხლე და სიამყვე ჩემი კერაა, ჩემი მამული“.

მუდამ ასეა: საყვარელი დედა-სამშობლო, დიდი სალოცავი და სითავჯანი, მაგრამ სადაც დარჩა შენი აკვანი, სადაც სიცოცხლე დაიწყო, უფრო ტკბილია ტკბილია ბავშვობასავით და მოგონებების აღმშვერელია. ამიტომ სრულიად კანონზომიერია, რომ იმერეთის სურათები ჰარბობს პოეტის ლექსებში. მათგან თავისი იდეური გაჯარებობა და მხატვრული გადამწყვეტით აღსანიშნავია „მეღლი ძელქვები“, „მსწავლეპული ქალი სოფლად“, „მედოქვები“.

საუცეთესო ლექსში „დედა“ განზოგადებულად არის შერწყმული საყვარელი იმერეთიც, საერთოდ დედა-საქართველოც და საყვითივე დედაც...

იშვიათია ქართველი პოეტი, რომ დედაზე ლექსი არ შეექმნას. ზოგ მათგანში ეიწრო, პირადული განცდებია წინა პლანზე წამოწეული,

ზოგნი კი ამბობენ, საკაცობრიო იდეალებზე კ. კალამის ლექსი კი გამოარჩევა საოცარი მგრძობნაობით, დედამწერი ტკბილი ურთიერთობის განცდით.

„რა წყა-ღავით გამოგზარდა, ქვეყანაზე ვაგვ-ვატარა...და თვითონ კი პატარა, პატარა-კაფა-ნდარა“ — წერს პოეტი და შემდეგ განაგრძობს:

თითები კი საითთაოდ
დასაოცნად დაღუტუნა...
სხვა ვინ გვეყვდა მოალერსედ,
მკერვალად თუ მზარეტულად!
მოდამ ასე თრთოდენ ჩვენთვის...

და არ ვეახსოვს ახლა ვინა,
ამ თითების თბილ ქოთინდინ
ჩელი ყველის ამოყვანა?

ცხოვრებაში ჰუმორით დაჯილდოებული პო-
ეტი პოეზიაშიც ხშირად მიმართავს ამ ხერხს.
„იმერული მოთხრობის“, „ქვეყნების“, „გუდას-
ტვირი და ლენის გედს“ წაქოთხვა შეუძლე-
ბელია ლიბლის ვარზე. პირველი ლექსი შესა-
ნიშნავი, კოლორიტული ფერებით გაღმორეკემს
იმერულ ოჯახში სტუმრობას. ზუსტი და უტყუა-
რი სახეებითაა სახეე ეს ვრცელი ლექსი:

თქვა და — გაისმა შინ ვაბ-საყვარის ხმა
ტამასცემად,
ბუხარიც უმაღ ააგვიზიხა ალმა,
სანთლის არაყი და ხმელი ხილი
თავშესაქცევად
სუფრის ვაშლამდე მოგვიბრუნინა ქალმა.
მასანიძელს უნდა, ფეხისცურებზე ჩემი

ადგამით
შე ამარადოს თავის ცხოვრების წერილმანს,—
დაუღდა წვიმას აქა-იქ თუნგი, ქვაბი თუ ვაბი...
და ჩონგურით გაისმის ბნელში წვიმაც!
კარლო კალამე არ იზღუდებოდა მკაცრად.
„მას, როგორც თავის დროის ნამდვილ მოქალა-
ქესა და პოეტს, ბევრი რამ ალღუევს. იგი
უმღერის დიდ ლენის თავისებური ღრმა პოე-
ტური გაზრებითა და მალამონატურული ოს-
ტატობით. სიამაყით აცხადებს, რომ: „დღდაენას-
თან“ ერთად ლენინი ჩემმა მშობელმა მეც შე-
მაყვარა...“ ხოლო თბილისში ჩამოსვლის შემ-
დეგ: „ენახე, რომ ანდათ შენობებს ქორჯამ-
ველის პომბის ნატეხი...ახლა კი ბელადი ქანდი-
კვად აღმართულა თბილისის გულში და „იგი
ბრინჯაოს ძეგლი კი არა — რწმენაა ჩვენი თა-
ვისუფლებების“.

პოეტს უმღერის სამშელო ომის სახელოვან
გმირებს („მავრამ სიყვდილზე უფრო მკაცრია
კაცი საყვდილის პირისპირ მდგარი“), ქართულ
ავტომობილს („დიდი რუსეთის ვრცელი ველუ-
ბიე აწ უყუე მისი სარბიელა“), ხალხთა მგობ-
რობას (ლექსი — „შე საითნოვას ქართულიც
მიყვარს“).

დავლკოთი გვიჩინა სინათლე დილის,
სიმართლე გვიჩინა ვთქვათ ქალაქურად:

ჩვენ გვეყვარს ყველა, ვინც ერთხელ
გული დაუღო, გული აგურად!
მწელია, ერთ პატარა წერალში ამომწერავად
გამაშქო პოეტის მრავალწლოვანი შემოქმედების
ყველა საკითხი. უფრო მწელია ეს ისეთ მრავალ-
ფეროვან და მხატვრულად საინტერესო პოეტ-
თან, როგორც არის კარლო კალამე. ამ წიგნში
კიდევ რამდენიმე კარგი ლექსია, ისეთები, რომ-
ლებიც თანამედროვე ქართული პოეზიის შვეიკერ
დღეობას წარმოადგენს: „აღისფერი მარმარი-
ლო“, „დამბახა“, „მშის საღიდებლიდ“, „წარ-
წერა ქვაზე“, „მეხსა-ბერლია“...

კარლო კალამეს არ უყვარს სტატიკური ფერ-
წერა პოეზიაში, არ უყვარს ვანგენებული სუ-
რათები. მისი სტილია მოქმედებითი, სოფე-
ტური ლექსები, რომლებიც შეთხვევს უფრო
შეტ ემოციასა და ინტერესს აღუძრავს. აქლან
გამომდინარეობს კ. კალამის ლექსების მოყუ-
ლობაც. იგი ძირითადად ვრცელი ლექსების
ავტორია. მვრამ არსად არ იგრძნობა ასეთი
ლექსებისათვის დამახასიათებელი ვაჰანტრე-
ბა.

„ზერთვისის ვანთადების“ ავტორი მტკიცედ
მისდევს ქართული კლასიკური ლექსის ტრადი-
ციებს. მისი ლექსების რიტმი მრავალფეროვანია
და მუსიკალური. კ. კალამე თავის პოეზია-
ში ხმარობს თამამ, ორიგინალურ და მტკიცედ
სახეებს, მებავტორებს, ავტორიტულ თქმებს.
საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითი:

„შენც ვახსენე შენი ქალბა...თოვლქვეშ ყო-
ველთვის ვაბადებულა“; „ფსკერზე დაქუარა პა-
ტარ-პატარა ქუთუთოების მსგავსი ნივარა“,
„იმღერე, სანამ ენგუთი გჭვიან და არა ღუგუშე შენი
ზღვის ტალღა“...; „დაბად გოგორა ურშებზე
გადაწოლილი ჭურები იცქიბებან პარლიად,
ღვეივით ვაბაწრულები“, „ქალებს დატყრავთ
ქათამი კეცზე შეფის ღერბივით“, „ღორივით
მდგარი დოჭები ღვინს“, „ჩემი ცხოვრება დამ-
ბახის ერთი გასროლა ყოფილა“ და მრავალი
სხვა.

კ. კალამე ამ კრებულის წინასიტყვაობის და-
სასრულს ამბობს: „ვედილობ, სახლის შუქი
პირველმა დაღინახო, ცეცხლობ, ამ სიბილის
მოქმედი ძალა ვიყო, რომელსაც ხალხის აწმყო
ჭჭვია და ჩვენი დიდი წარსულის გადარჩენადაა
ამავე დროს, ჩემი ლექსების ნამდვილი პათოსი
ამ მრავალფეროვანი დღის ხატვასა და ამღერე-
ბაში... იგი გამოცდილ ოსტატობას მოითხოვს,
და როგორც იტყვიან კომენტატორები, — ენა-
ხით რას მოგვიტანს დარჩენილი დრო“.

ჩვენის მზრვე ვესტურებთ პოეტს, რომ დარჩე-
ნილ დროში ახალ-ახალი პოეტური მიღწევებით
გამდიდრებისის ქართული საბჭოთა პოეზია.

ალექსი სანაღირაძე

ქართული მებალსტრეის სათავეებთან



ჩვენამ უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში. ჩინისა და ლითონის გამოგონებამ და მოხმარებამ გააყო ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის საფუძვრები: ქვის ხანის ბრინჯაოს ხანა მოჰყვა, ბრინჯაოს ხანა კი ჩინის ხანამ შესცვალა.

სისტორიო მეცნიერებაში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა კითხვა, თუ სად, რომელ ქვეყანაში მიაგნეს ჩინის მიღების საიდუმლოებას, ვინ იყვნენ ის საკვირველი გამოჩენილი მანქანები, რომელთაც მოიპოვეს მადანი, გამოადნეს, აწრთეს და ქედის მიწველი ჩინი და ფოლადი, კაცობრიობის პროგრესის ეს დიდი საფუძველი.

ამის საბაზუხოდ მრავალი შეხედულება გამოითქვა. ზოგი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ მელოთაონობის პირველი კერა ინდოეთი იყო, სხვები ამგვარ კერად ეგვიპტეს, ბაბილონს და ანტიკური კულტურის სხვა ქვეყნებს ასახედებდნენ. მაგრამ ბოლოს მეცნიერული აზრი ობიექტურ დასკვნამდე მივიდა და აღიარა, რომ მეტალურგიის ადვანი წინააზიისა და ამიერკავკასიის სამხრეთ მხარეებში დაიწყო და ლითონის პირველი შერამბეული ქართული ტომები იყვნენ. სახელდობრ, ქიანები, იბერები, ქართველები, კოლხები, შესხები, რომელთა წინამორბედი, ანტიკური ურარტუ-ნაირისა და ხეთასუბარების ქვეყნიდან გამოსული ხალხები, ხალიბები, მუსკები, მოსინიები, თუხალეები და სხვანი, უხსოვარ დროში (მეორე ათასწლეულის შეახანებში) ფართო ტერიტორიაზე იყვნენ გადგენილი მესოპოტამიიდან ეილრე შვე ზღვამდე და მცირე კავსაამდე.

როგორც ძველი წყაროები იფუყებანი, ამ ტომებს ჩინეთის პროდუქციით ფართო აღმომცემობა ჰქონდათ განაღებული მეზობელ ქვეყნებთან. აკად. ბ. პიოტროვსკი შენიშნავს: სამეცნიერო ლიტერატურაში ფართო გავრცელება ჰპოვა იმ აზრმა, რომ ჩინის დამეშვეება დაიწყო ხალიბთა ქვეყანაში, რომელიც ურარტუს ჩრდილო საზღვრებთან მდებარეობდა და აქედან ეს ლითონი თანდათან გავრცელდა მთელ მველ სამყაროში.

მეცნიერები მიუთითებენ აგრეთვე მთელ რაგ ძველ შერაღთა და მოგზაურთა თხზულებებზე, რომელთაც ღიხსშესანიშნავი ცნობები მოგვითვებათ ამ საკითხზე. მეტად საყურადღებოა ბაბილონ ანუ დაბადების წიგნის მითითება აქ მოხსენებულია თობალ-კენი. მასზე ნაოქვამია, რომ „ესე იყო კვირით ხრობი, მკუდული ჩაღლისა და ჩინისისა“. ამავე წიგნში

მეორე ადგილას თობელთან ერთად იხსენიება მოსოხიცი (დღევანდელი ტეჩინით, მესხი) როგორც ფოლადით მოკურნა — „თობელი და მოსოხიცი ეკურნებენ შენს შირის ზღლებსა კავთასა და მურქეღლი ჩავლისანი მისცენსა საეპუროდ შენდაო“ — კითხულობთ იქ.

მაგვამ უფრო თვალათლივი დადასტურება ამ ფაქტისა ის არის, რომ ვასულ საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კვლავ ცოცხლობდა მეტალურგიული წარმოების უძველესი ტრადიციები. ბევრგან ახლაც ახსოვთ როგორ საქმიანობდნენ ე. წ. „ჩინისი კაცები“, როგორ იღებდნენ მადანს, ამზადებდნენ კანქმს, სპეციალურ ღუმელებში სწურავდნენ, აღნობდნენ ჩინისა, აწრთობდნენ და ქედდნენ მის მტკიცედ დაღვნილი ხალხური წესების მიხედვით.

ძველ ღუმელთა დანადგარებისა და ლითონის ვადაშეშებების ადგილებს ე. წ. „საკრეფების“ ნაშთებს ახლაც ბევრს პოულობენ ჩვენი მკვლევარნი რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, აკარაში, ზემო იმერეთში, ქვემო ქართლში, თრიალეთში, მტკეთაში და სხვაგან.

ყველა ამ მონაცემის, აგრეთვე ისტორიული ფაქტების გათვალისწინებამ მეცნიერების წინაშე დღის წესრიგში დააყენა ქართული ხალხური მეტალურგიული კულტურის მონოგრაფიულად შესწავლის ამოცანა.

ამ აქტუალურ საკითხზე უკვე მეორე ათეული წელია ნაყოფიერად მუშაობს ს. ჟანაშიას სახელობის საქართველოს მეზუემის ეთნოგრაფიული განყოფილების ვამბე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. რეხვიაშვილი.

ახლანან გამოცემულ ნ. რეხვიაშვილის წიგნში „ქართული ხალხური მეტალურგია“, თავმოყრილია და განაღლიზებული საქართველოში საუკუნეობრივად ფესმოკიდებული ჩინისა და ფოლადის მიღება-დამეშვეების ხალხური წესები, დამწარლებთან არის აღწერილი ტექნოლოგიური პროცესები და ვადაშეშებისა მათთან დაკავშირებული მდიდარი ტერმინოლოგია.

წიგნი შესავლისა და ექვსი თავისაგან შედგება. პირველ თავში მიმოხილულია ჩინის წარმოება საქართველოში, ნეღლეულის კერები, საბადოები, ჩინის ძველი წარმოების ნაშთები და წარმოების ტექნიკური აღმურცელობა.

მეორე და მესამე თავები დათმობილი აქვს ჩინისა და ფოლადის დამზადების შრომიით პროცესების (მადნის დამწურვა, ჩინის დაარძმელება, მომწიფება, დაყენება, ნაკვა, მოქნა, წრთობა და სხვ.). შემდეგი თავი ეძღვნება ჩინის ქედვას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ავტორი აქ დიდძალ ფაქტურ მასალას გავცნობს ცალკეულ კუთხეებში გავრცელებულ-

ნ. რეხვიაშვილი, „ქართული ხალხური მეტალურგია“, საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1961.

ლი ჰედელით ხელოვნების ნაირსახეობათა ვასი-
 ცობად. იგი აქვეყნებს მის მიერ სამეცნიერო
 მოგზაურობის დროს ჩაწერილ ხელოსან-მოქმე-
 დთა საუბრებს, თუ როგორ ჰედდნენ და ამაღ-
 დნდნენ რჯინისაგან სსსოფლო-სამეურნეო, სა-
 ბაძროლო და საყოფაცხოვრებო იარაღ-მოწყო-
 ბილობას. გამოქვეყნებული ტექსტები ძვირფას
 ცნობებსა და სიტყვა-ტერმინებს შეიცავენ ჩვე-
 ნი მელითონეობის ისტორიის გასათვალისწინე-
 ბლად.

შემდეგ თავში მოცემულია ქართული რჯინი-
 სა და ფოლადის დახასიათება, მათი ქიმიური
 შედგენილობის, წარმოების ადგილის, ფორმი-
 სა და დანიშნულების მიხედვით.

ევრობა რა ყველა ამ მასალას, მკითხველი
 რწმუნდება, რომ რჯინის წარმოება და, საერ-
 თოდ, მელითონეობა საქართველოში ვარდნი
 დანერგული კულტურა კი არ არის, არამედ ში-
 გნით აღმოცენებული, თავისთავად, ეროვნუ-
 ლი ცხოვრების ორგანული და სისხლსაბრე-
 ული ნაწილი. ამის ერთერთი უტყუარი მაშ-
 ვენებული ისიც არის, რომ ავტორისავე თქმით,
 „მელითონეობის ღრმა ყვალი ატყვია არა მარ-
 ტო ნეთიერ ნაშთებს, არამედ იგი ღრმად არ-
 ის შექრილი ხალხის სულიერი ცხოვრების
 სფეროშიც“. საქმი ეს არის, რომ ხალხის უჭე-
 დით რწმენით შექმნილი და შექმნილია სიმ-
 რითი მოქმედებს არის მიხედვით, ხოლო რჯი-
 ნა — მკვიფრ საგნად. ქართული ზეპირსიტყვი-
 ერება იცნობს ბევრ თქმულებას-გადმოცემასა და
 ლეგენდას პირველ მკვლევებზე და შექმნილობის
 მომგონ დებრთაყვებზე. გერანია ჩაწერილი
 ერთი ასეთი თქმულება მთლიანად არის გამო-
 ქვეყნებული უკანასკნელ მეექვსე თავში. (ეს,
 რასაკვირველია, კარგია, მაგრამ საჭირო იყო მი-
 სი ტექსტი ლიტერატურულად ენით გაართუ-
 ლყო, თორემ ჩაწერის მიერ უცვლელად და-
 რთვებული გერული კილის მკვეთრ თავისებუ-
 რებებს საესებოთ გაუმართლებელი სპირტუ-
 შეაკეთ ნაშრომის ენა-სტილიში).

წიგნში ყურადღება ექცევა შესასწავლ საყო-
 ბთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ სახელებ-

საც. ნ. რუხვიაშვილის საგანგებოდ აღწერსაც
 სამთო-მეტალურგიული წარწერებისა და მძღვა-
 წრათობის ძველი კვების სახელწოდებები, რუ-
 მელთა შორის გვხვდება—სარკინით, ფოლად-
 ური, რჯინის მთა, დამურდაგი, ნაშქედური, ჭი-
 თა გოლა, ნაშვილარა და სხვ. ყველა ეს სახელი
 თავისი შინაარსით ეხმარება ჩვენს წინაპართა
 „სარკინე“ საქმიანობას. ჩვენი აზრით, საბუღა-
 ამავე რიგს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე მან-
 გლისი (მანგლის ანუ ნაშქელის წარმოების ადგი-
 ლი), პერევი, პერევისა (პერი ჭაფს ნიშნავს),
 წედისი (წარმოქმნილია სიტყვისაგან წედა), სონ-
 აგური, ზოდი და გორდი (საფეჭრებელია, რომ
 დღემდე შემორჩენილი ძველი გამოთქმა „გო-
 რდა ხმალი“ ქართულის ანუ ქორთუების მიერ
 დამზადებულ ხმალზე მიუთითებდა).

წიგნში მოცემულ მრავალ ტერმინთა შორის
 საინტერესოა ხალხი და მისი სახესხვაობანი.
 აქ მითითებულია, რომ ძველმა ხალხებმა ანუ
 ხალხებმა უდიდესი როლი შეასრულეს რჯინის
 კულტურის განვითარებაში, მათ მაღლესი უფო-
 ნგავი ფოლადის დამზადებას და მთელ მსოფ-
 ლოში გაითქვას სახელი, ამიტომ შემთხვევი-
 თი არ არის, რომ „ხალხის“ ბერძნულად ფო-
 ლადს ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ
 გვსურს აღვნიშნოთ, რომ იგივე ხალხი სა-
 ფუძლად დასდებია არაბულ ტერმინს კა-
 ლისსაც, რომელიც რუსულში Калибр-ის
 სახით გადასულია, ხოლო ქართულში კი და-
 მკვიდრებულია რიგგორც ყალიბი. იგივე ძირი
 უნდა იყოს გამოყენებული სიტყვაში ქლაბი,
 რომლის უჭველესი სახე უნდა ყოფილიყო
 ქლაბი, რაც იგივე ხალხია. ხეცურულ გვარში
 ხალხბურში ხომ ეს სიტყვა აშკარად ჩანს.

ნ. რუხვიაშვილის ეს წიგნი, მიუხედავად გა-
 მოცემის ზოგიერთი ტექნაუკრი და სხვა ფა-
 კტიური ნაკლისა, მნიშვნელოვანი წვლილი ქა-
 რთველი ხალხის სამეურნეო ყოფისა და მა-
 ტერიალური კულტურის შესწავლის საქმეში.

ილია მინსკაძე

„პაიკვატას“ ახალი თარგმანი

ქართული მკითხველი კარგად იცნობს ლონ-
 გველის პოემას, ამდენად ზედმეტად მიმინია
 მის ლიტერატურულ ღირსებაზე საუბარი, მით
 უმეტესს, რომ სარკვევნიო წიგნის პოლონურ-
 ენაში, რომლის ავტორია ირაკლი ენკოშვი-
 ლი, დამაყრებლობით არის ნაიქვამი ამის შე-
 სახებ. ასე რომ უშუალოდ თარგმანზე შევაფ-
 რებ მკითხველის ყურადღებას.

„სიმღერა პაიკვათაზე“ ამერიკული ეროვნუ-
 ლი ეპოსის ერთერთი პირველი თვალსაჩინო ნი-
 მუშია. ამ პოემის გმირული სული, მაღალი ზნე-
 რობრივი იდეალები უთუოდ ყარგი საკვება
 ჩვენი ახლავარდობისათვის. ამდენდაც მისა-
 სალმებელ ფაქტად მიგვაჩნია, რომ იგი თარგმ-
 ნაზემა ნიჭიერმა პოეტმა ოთარ კილაძემ, რომ-
 მელმაც ამ თარგმანშიც ერთხელ კიდევ გამოა-
 მკლავნა თავისი დახვეწილი პოეტური კულტუ-
 რა და ვანქლის უშუალობა.

დღემში პოემა რეამარცხლიანი ლექსითა და-
 წერილი. ოთარ კილაძე კი მას ამარცხლიანი

1. ლონგველი, „სიმღერა პაიკვათაზე“, თარგ-
 მანი ინგლისურიდან ოთარ კილაძისა, „ნაკადუ-
 ლი“, 1964.

ლექსით თარგმნის. ნამდვილი შემოქმედებით თარგმნის დროს არა თუ მარცვალთა, არამედ სტრიქონთა მათემატიკურ სინუსტესაც არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მავალითისთვის შორს წასვლა არ დაგვიტრდება. შექსპირის ტრაგედიების ამბარცვლოვან ლექსს ქართულად ხომ ვუვლახე უფრო 14 მარცვლოვანი საზომი მოეხდა. ასე რომ ოთარ ჯიღაძესაც შეეძლო ათმარცვლოვანდ ეთარგმნა დედნის რკამაცილიანი ლექსი, მაგრამ ეს მხოლოდ უღლებია იყო მთარგმნელისა და ვერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ შინ საბოლოოდ გაიმარჯვა. იყო ერთი საშინაობა—ხომ არ დამიმდებოდა ლონგფელსეულ სტრიქონთა სიხვედ და სისადავე, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან ოთარ ჯიღაძეს, როგორც მთარგმნელს, შესწევს უნარი თავი აარილოს ხელოვნურ შესატყვისობას დედნის პოეტურ სახეებას. ოთარ ჯიღაძე შესანიშნავად განიზრახა დედნის საერთო განწყობილებას (ეს კი მთავარი თარგმნისას) და ასევე მალალმბატურულად გადმოსცემს მას ქართულადაც. ამიტომაც არის ჯიღაძისეული თარგმანის სტრიქონები ასე ლაღი და ბუნებრივი ეფერადობისა, ამიტომაც, ასე თავისუფლად აღიქმება დედნის აზრი. თუმცა ძველი უპირატესობა შიანისკო რომელიმე ნაწყვეტს თარგმანიდან, მაგრამ მაინც მოვიყვან ერთ მავალითს ზემონათქვამის საილსტრაციოდ:

არცა შორსაა ჩემი მიწურვი,
 გულს მძიმდება მაშინ ლოდვით.
 სადა ხარ, ჩემო ტბილო მიწურვი,
 სადა ხარ, ჩემო ტბილო აღგონქინი
 შან ჩამოყლია ყელზე მძივები
 და ჩამწურწულა ყურში ცახკახით.
 სადა ხარ, ჩემო ტბილო მიწურვი,
 სადა ხარ, ჩემო ტბილო აღგონქინი!
 შენთან ვიქნება ყველგან, ყოველთვის,
 ასე დამპირდა ჩემი მიწურვი. —
 შეუ წამოყვები შენს სამშობლოში,
 მომეცი ნება შენთან სიყვდილს.

შისასაღმებელია, რომ მთარგმნელი არ იჩენს მიდრეკილებას მოძველებული, არქაული სიტყვებისა და ძველი გრამატიკული ფორმებისადმი, რაც, ცუდი ტრადიციის სახით, ხშირად იჩენს ხალხმე თაეს ჩვენს თარგმანებში, და აქ თითქოს საჭიროც იყო, ერთი შეხედვით, კლორიტის შესანარჩუნებლად. ხაზი უნდა გაესვას ერთ ვარემოებასაც. ცნობილია, რომ ლონგფელსის პოემა თავისი შინაარსით ამერიკელ ინდიელთა პატრიარქალურ ყოფასთან არის დაკავშირებული. პოემაში ბევრია მცენარეული და ცხოველური სახელოვებანი, რომელთაგანაც ზოგი იშვიათად იხმარება მეტყველებაში და ამიტომაც, თარგმნისას ლექსიკონის მოშველიებას საჭიროებს. ამიტომაც არის, რომ თარგმანში ვხვდებით

ფაენის წამომადგენელთა იშვიათ და წირღვლივ ქართულ შესატყვისებს. ასევე მაღალპროფესია, ულად, ჩვენი ენის ფონეტიკურ თავისებურებებს შესაძლებლობათა და დედნის საყვამისაშქვტს ეფერადობის გათვალისწინებით არის გადმოტანილი საკითხარი თუ გეოგრაფიულ-ეკონოგრაფიული სახელები, რომლებიც უხედა ვხვდებოდა ლონგფელსის პოემაში. აქ, რა თქმა უნდა, მთარგმნელს დღეად დაეხმარებოდნენ ისეთი კვლადიციური რეპერტორი და კონსულტანტი, როგორც არაან ნიყო ფიასაშვილი და ბოლო-სიტყვაობის ავტორი ირაკლი კენჭოშვილი. ლონგფელსის პოემაში არის რამდენიმე სიმღერა, რომელიც თავისი სტილის თავისებურებით განსხვავდება პოემის სერთო ტონალობისაგან. ყოველივე ეს შენარჩუნებულთა თარგმანშიც:

ღმილი მოსავს ცისა და მიწას.
 ტყესა და შინდორს, მთას და მდინარეს.
 მე კი ღმილი არ შემოძლია,
 როდესაც შორს ხარ და მენატრები.

მთარგმნელთა შორის ხშირად აართა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ როგორი მიზანობა უნდა გამოვიჩინოთ ზოგიერთი სპეციფიური რეალობის აღწერისეული სიტყვების მიმართ. ზოგს შიანია, რომ უნდა ითარგმნოს ყველა ასეთი სიტყვა, რომ მათ უნდა მოეძებნოთ შესატყვისი ექვივალენტები. ზოგი კი საწინააღმდეგო აზრისაა და ფიქრობს, რომ დედნის თავისებურებათა შესანარჩუნებლად საჭიროა უთარგმნელად გადმოიტანოთ ისეთი სიტყვები, სპეციფიური სიტყვები, როგორც არის სერ, მისტერი, ლედი, პადრე, კარინო და ა. შ. ჩემი აზრით უკეთესი იქნება თუ მესამე, უფრო კომპრომისული თვალსაზრისი დამკვიდრდება. მთარგმნელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს დედნის ლოკალური გარემო და სპეციფიური შესანარჩუნებლად ავიღებულად საჭიროა თუ არა ზოგი სიტყვის უთარგმნელად გადმოტანა და თუ საჭიროა, რა ზომით და რა სახით. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ ასეთი სიტყვის გადმოტანას თარგმანში შემოაქვს დედნისათვის უცხო ეგზოტიზმი. ზოგიერთ კი მათ ვარემო თარგმანი დარბილება. ლონგფელსის პოემის ჯიღაძისეული თარგმანი იწარჩუნებს ზოგ ინტერ სიტყვას, რომელთა მნიშვნელობა წიგნის ბოლოში დაბოლო ლექსიკონშია განმარტებული. მავალითად, თარგმანში ვკითხვლობთ:

„ონეუეი! ყუყოფა ძილი!
 შინდორის ყუყოლო, გუყოფა ძილი.
 პრერიის ჩიტი, გუყოფა ძილი,
 შემომანათე ნუკრის თვალბუ...“

როგორც ვხედავთ, აქ გამოყენებულია არაქართული სიტყვა „ონეუეი“—ე. ი. „გამოიღვიძე“. როგორც ეს ლექსიკონშია განმარტებული, რაც

ამ კონტექსტს უნარჩუნებს ინდური ყოფის დედნისებულ ხასიათს, ხოლო სიტყვა „პრერია“ უკვე დამკვიდრებულია ქართულ ლიტერატურულ ენაში და ხელს უწყობს პოემის მოქმედების გარემოს კოლორიტის წარმოსახვას.

კიდევ ერთი რამ: სმელერა პიავაიაზე ურთიმოდ არის დაწერილი. მაგრამ ღონღველო ქემშარტი პოეტია და ხანდახან „სეოლავს“, მის სტრიქონებში იგრძნობა რითმების, ასე ვთქვათ, შორეული გამოთახილი. სხვათა შორის, ასევე „სეოლავს“ ოთარ ქალაქე, ესეი უფრო მეტ ეშხსა და ლაზარს მატებს თარგმანს.

და ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ვამოყების გადგომების მაღალმხატვრული დონე.

მხატვარ თენგიზ მირზაშვილის მიერ შესრულებული სათურთა შემეკლობანი, თავსართები და ბოლოსათვის, საწყისი ასოები. უკლებლად კონური ვრადიეული სტილით შესრულებული ნახაბტი ორგანულად შეესატყვისება პოემის შინაარსს, გადმოსცემს მის სულისკვეთებას, ხასიათს, კოლორიტს. ყველა ნახაბტი ერთ სტილისტურ ხელწერას ექვემდებარება, მაგრამ ყოველი მათგანი გამოირჩევა ორიგინალობითა და ნაირსახეობით.

სარტყენზოო წიგნი დამსახურებს ჩვენი მაღალგემოვნებანი და მომთხონი მკითხველის ყურადღებას.

გიორგი ღოლია

სამაშულო ომის გამოკახილი

იმ დღეებში, როდესაც საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა ზემოთ აღნიშნულ დიდი სამაშულო ომის დამთავრების ოცი წლის თავს გამოემყვებოდა „ნაყადულმა“ ქართველ მკითხველს მაიწოდა მიხეილ კაკაბაძის წიგნი „უკანასკნელი წვიმა“, რომელშიც გაკაცებულელია საფრთხილო ცხოვრების ამბიულეებელი სურათები.

მიხეილ კაკაბაძე დიდი სამაშულო ომის მონაწილეა. ის რაც ამ წიგნშია მოთხრობილი, ავტორის მიერ საკუთარი თვალითაა ნანახი და განცდილი, ამიტომ მასში მკითხველი ვერ ნახავს ყალბ ეპიზოდებს. კრებულს „უკანასკნელი წვიმა“ ოთხი, შეიძლება ითქვას, სრულიად დამოუკიდებელი მოთხრობისაგან შესდგება. სამი მათგანი — „ოცეული გადის წინა ხაზზე“, „მიწის გემო“, „ნისლით წაშლილი ბილიკი“. ფრონტზე მომხდარი ამბების აღწერას წარმოადგენს, ხოლო მეოთხე „ნავსადგურის ქუჩა“ გიორგი გიგაურის ომისშემდგომ ცხოვრებას შეეხება, ამავე დროს, კრებული უმპროზოტიკური შექრულ ერთ მთლიან ნაწარმოებს წარმოადგენს. „უკანასკნელი წვიმის“ მთლიანობას ხელს უწყობს ნაწარმოების იდეურ-თემატიკური საფუძვლის ერთიანობა, და ლიტერატურული გიორგი გიგაურის სახე, რომელიც ყველა ეპიზოდის შემკავშირებელ რგოლად გვევლინება.

ამ ციკლის პირველი მოთხრობა — „ოცეული გადის წინა ხაზზე“.

შეჩალმა, პატარა, მაგრამ ბევრის მოქმელი ეპიზოდების საშუალებით გადმოგვცა საბჭოთა ადამიანების კეთილშობილება, გასაქარში მყოფი აშანაგისადმი გულისმთვრი და მოკიდებულება და თანაგრძნობა, სხვისი ინტერესების პირად ინტერესებზე შალა დაყენება.

ი. ამ მოთხრობაში აღწერილია ერთ-ერთი ეპიზოდი. ლიტერატურული გიორგის ოცეული მძიმე ბრძოლის შემდეგ დასასვენებლად მეორე ეშელონში იდგა. მათ ზღოშიწერებს ყოველდღე პატარა სამშებლო თეიომფრინავეი „უ-2“ გადაუვლიდა, თან მეტბრძოლებს ესალმებოდა ხოლმე.

ერთ დღეს ოცეულის განლაგებას გერმანელთა „შესერები“ დაესხნენ თავს ამ დროს ნაცნობი სამშებლო თეიომფრინავეი „უ-2“-ც გამოჩნდა, რომელიც თავის ჩვეულებრივ რეისს აკეთებდა. როდესაც მფრინავემა დაინახა, რომ მეორე ეშელონში დაბანაკებულ ქვეყანა-ყოფს მტერი ტყვიამფრქვევებიდან ტყვიას უშენს, იგი უწყობანოდ თავგამტებებით ეკვიათა მტერს. „შესერებთან“ შეტაკების დროს საბჭოთა მფრინავე მძიმედ დაჰკრა და საველე პოსტილაში მოხვდა. როდესაც გიორგი გიგაური და მისი ოცეულის მეტბრძოლები გათგებენ, რომ მათი ნაცნობი მფრინავე მძიმედაა დაჭრილი, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ მის გადასარჩენად. შეჩალმა კარგად იცის, თუ რა ზვირფასია ადამიანური სიბორო, მხარდაჭერა. რომ ეს არის ყველაზე ზვირფასი წაშალი განსაკურნაველ.

გიორგი გიგაური, იმისათვის რათა მომკედავ მფრინავს სიკაცხლის ნაწერწყალი გულვიფოს, თავის სავეარტე მოწყობებს დაელების ოვალებს მზრუნველობას და ქალური სიბორო არ მოაკლოს დაჭრილს. გიგაური შხად არის თავისი ზედნიერება გაკრებებაში ჩავარდნილ სხვა ადამიანის ზედნიერებას ანაკვალის, რათა იგი სიკვდილის ბრქეულებს გაბოსტაცოს. ეს არის იმ კაცთმოყვარეობის, ქემინიზმის ერთერთი მაგალითი, იმ ქემინიზმისა, რომელსაც იზენდნენ ფრონტზე საბჭოთა მეტბრძოლები.

გმირთა რთული პირადი განცდები მოთხ-

მიხეილ კაკაბაძე „უკანასკნელი წვიმა“, ნაკადული, 1965.

რობაში ფსიქოლოგიები სიღრმითა და დამა-
ჯერებლობით არის დახატული.

მეორე მოთხრობა — „მიწის გემო“ პირვე-
ლად გამოქვეყნდა ჟურნალ „ციხკარში“ და
პირველი მოთხრობის გაგრძელებას წარმოად-
გებს. ეს მოთხრობაც მებრუნებულს საბჭოთა
აღმართების დიდ პუნქტორბაზე, ეროვნების
შხარდაჭერასა და სამშობლოს სიყვარულზე.
საფორნტო სოფელ რევეტში მომხდარი ამ-
ბავი ნათლად გადმოგვცემს ომის სამინერ-
ბას და საბჭოთა მეომარების გულბობილობასა
და სოლიდარობას.

გიორგი გიგაური სოფელ რევეტის ერთ-
ერთ განაპირა ქოხში შევიდა და მოხუცებულ
ეოლ-ქმარს წყლის ვაცებება სთხოვ-
ტანის დასაბანად. მოხუცებმა უყოყმანოდ
შეასრულა უცნობი ლეიტენანტის თხოვნა.
თბილმა წყალმა, ოჯახურმა მუდღერობამ
დადლილი გიგაური ისე ერთბაშად შოწვეიტა,
რომ უნებურად ჩასთვლია. ბურანში წასულ
გიგაურს მოხუცი კაცისა და ქალის ღამარაგი
ჩაესმა. საუბრიდან გიგაურმა გაიგო, რომ მათ
ამაჟინ ჯერ რძალი გარდაეცვალათ, ხოლო
ახლა კი სამი წლის შვილიშვილის ცხედარი
შეხვეთათ სახლში. მათი შვილი ტოლნაკ
ოჯახში არ არის, იგი ფრონტზეა წასული.
ლეიტენანტი გიგაური მიხვდა ამ მოხუცების
განუხომელ კეთილშობილებას და კაცთყო-
ვარობას. ისინი თვითონ იყვნენ უმწიფონი,
მაგრამ ამ უბრალო აღმართებმა, დიდი მწუხ-
არების გამსაც თავის თავში ძალა იპოვეს,
რათა სტვისათვის მოველით, მშობლიური
მხრუნელობა გამოეჩინათ, მაშინ როდესაც
ჯვრახე მეტად თვითონ სჭირდებოდით დახ-
მარება.

დაუვიწყარი და გულში ჩამწვდომია პატარა
ვოვას დასაფლავების ეპიზოდი. ლეიტენანტ
გიგაურის ოცეულმა მხრუნელე მონაწილეობ-
და მიიღო ფრონტული ჯარისკაცის პატარა
ბავშვის დაკარგულაში და მოხუცების დიდი
მწუხარება გაიზიარა.

პატარა ვოვას ცხედარი ისეთვე პატივით
მიმბარეს მიწას, როგორც ბრძოლაში დაეც-
მული მებრძოლის ნეშტი. მებრძოლებმა ფე-
ტომატება დაკაღეს და საფლავზე წააწერეს:
„აქ განისვენებს საბჭოთა მეომრის ვაჟი ვო-
ვა, რომელმაც სულ 3 წელი იცოცხლა“.

მოთხრობაში მწერალმა შესწლილი საბჭოთა
მეომრების გვიარობის მხატვრული სიპართ-
ლით ჩვენება მიხეილ კაკაბაძემ შექმნა ამ
მებრძოლთა დასამახსოვრებელი სახეები, რომ-
ლებსაც მაღალი საზოგადოებრივი შეგნება,
სამშობლოს სიყვარული მხნეობისა და გამარ-
ჯეების რწმენის მატებდა. პარალელურად
მწერალმა გვაჩვენა სულმდბალი აღმართის,
სამშობლოს მოღალატის საიზღარი სახე.

კრებულის მესამე მოთხრობაა „ნისლით

წაშლილი ბილიები“. ამ ნაწარმოებში მოქმე-
დება უკვე სავლელ მოსპიტალი იშლუბა, რომ-
ელშიაც მოათავსეს ბრძოლაში დაჭრილი
იტენანტი გიგაური.

აქ მოხდა გიგაურის შეხვედრა პატარა
ვოვას შამისთან, რომელიც სანიტრად მუშა-
ობს. როდესაც სანიტარი ტოლია ვაივებს
თავისი ბავშვის სიკვდილის ამბავს იგი სტო-
ვებს სანიტრულ პატილიონს და წინა ხაზზე
მიდის, რათა მტერს სამავიერო მიუხდოს.

სამივე მოთხრობას თავიდან ბოლომდე
გასდევს ლეიტენანტ გიგაურის და მოწყო-
ლების დის — ელისოს ამბლებული სიყვო-
რულის ამბავი.

მოთხრობები უხვადაა ორნაწინტირებელი
შეღარებებით. მიხეილ კაკაბაძის ენა პაეტუ-
რია და სადა. სანიტრებსოა მოთხრობა „ნის-
ლით წაშლილი ბილიები“ მებრძოლ დროშო-
ნის სახე. დროშონი ომის დაწყებამდე ქურ-
ლი და ბანდიტი იყო. არაერთხელ მოიხდა სას-
ჯელი, არაერთხელ ვაიქცა შორეული გაღ-
ასახლებიდან, მაგრამ მისი გამოსწორება არ
ქნა და არა.

ომის პირველი დღეები იყო, როდესაც დო-
როშონი კვლავ ვაიქცა პატიმართა ბანაკიდან.
იგი კვლავ ამირებდა ძველი გზით სიარულს,
მაგრამ ამ პატაროტელმა აღმავლობამ, რომ-
ელიც მის ორგელივ სუფედა, ბორბტომქ-
მელი კაცად აქცია. დროშონი მებრძოლთა
რიგებში ჩადგა და მტერს იარაღით ხელში
იკვეთა. ფსიქოლოგიურად დამაჯერებლად
არის გადმოცემული მოთხრობაში დროშონის
ეს სასწაულებრივი ფერისცვალება.

კრებულში დახატულია მებრძოლთა სახე-
ები. ძალზედ კოლორიტურია ქართველი მე-
ომრების საჩანგლის, ბოგეერაძის, ზამთარაძის
სახეები.

ხალისა და სითბოს მატებს ფრონტულ
ეპიზოდებს განსალი და გონებაშახვილური
იუმორი, რომლითაც განირეუა მოქმედ
პირთა მეტყველება.

მეოთხე მოთხრობა „ნავსადგურის ქენა“
ზემოგანხილულ მოთხრობებთან შედარებოთ
უფრო სტემატურია.

გიგაურის საკმაოდ რთული განცდები, და-
კავშირებული ელისოსთან და ბავშვთან, რომ-
ელიც ელისოს გიგაურისაგან შეეძინა, უფრო
მეტ გაშლასა და ფსიქოლოგიურ მოტივირ-
ბას მოითხოვინ.

მიხეილ კაკაბაძის მოთხრობების პირველი
წიგნი „უჯანსკნელი წიგნი“ მწერლის ნიჭზე
მეტყველებს. აგრძობა შესწლილი მეოთხეულის
წინაშე სამამულო ომის მრისხანე დღეების
კიდევ ერთი ფურცლის გაღმწლა.

დ. კახიანიძე

642/189



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ

ՅՅԵՆ 80 ՎՅՅ.

И Н Д Е К С
7 8 1 2 8

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“